საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველოს საინჟინრო აკადემია

Georgian Technical University
Georgian Academy of Engineering

ბიზნეს-ინჟინერინგი
Business-Engineering

ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი
საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი

QUARTERLY REFEREED AND REVIEWED
INTERNATIONAL SCIENTIFIC JOURNAL

მეოთხე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია - IEC-2016
ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ

THE FOURTH INTERNATIONAL ECONOMIC CONFERENCE - IEC 2016
MODELS OF NATIONAL ECONOMY DEVELOPMENT: YESTERDAY, TODAY, TOMORROW

4
2016

ბიზნეს-ინჟინერინგი
Business-Engineering

ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი

უაკ (**UDC**) 338.22+62
ბ-666

№ 4. 2016 წელი

ა. სიჭინავა (მთავარი რედაქტორი)
შ. ვეშაპიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე)
ა. ქუთათელაძე (ელექტრონული ვერსიის ტექნიკური რედაქტორი)
თ. ლომინაძე (ელექტრონული ვერსიის რედაქტორის მოადგილე)

სარედაქციო კოლეგია: ნ. აბესაძე, გ. აბაშიძე (ბათუმი), გ. აბრამიშვილი, ე. ბარათაშვილი, თ. ბაციკაძე, ვ. ბოჯარი (პოლონეთი), ზ. გასიტაშვილი, ი. გაბისონია, ა. გლუშეცკი (რუსეთი), ივ. გორგიძე, ი. გუჯაბიძე, ც. დურული (გორი), მ. ეფიმჩენკო (რუსეთი), რ. ვინთერი (შვეიცარია), დ. თავხელიძე, ლ. იმნაიშვილი, კ. ისაევა (ყაზახეთი), რ. შენგელია, ი. კაკუბავა, ი. კვესელავა, ლ. კლიმიაშვილი, პ. კოღუაშვილი, ე. ლობანოვა (რუსეთი), შ. ლომინაშვილი (ქუთაისი), ი. ლომიძე, გ. მალაშხია, ვ. მინასიანი (რუსეთი), რ. ოთინაშვილი, მ. ოსინსკა (პოლონეთი), მ. პისანიუკი (მოლდოვა), მ. რაუდიარვუ (ესტონეთი), გ. სალუქვაძე, დ. სეხნიაშვილი, რ. სტურუა, ა. ფრანგიშვილი, ლ. ქარჩავა, რ. ქუთათელაძე, გ. ღავთაძე (ქუთაისი), მ. ჩიქავა, ნ. ჩიხლაძე (ქუთაისი), გ. ძიძიგური, დ. ჯაფარიძე, გ. ჯოლია.

EDITOR : A. Sichinava
TECHNICAL EDITOR: A. Kutateladze
DEPUTY OF CHIEF EDITOR: Sh. Veshapidze
DEPUTY EDITOR: T. Lominadze

EDITOR STAFF: N. Abesadze, G. Abramishvili, G. Abashidze (Batumi), E. Baratashvili, T. Batsikadze, V. Bojari (Poland), M. Chikava, N. Chikhladze (Kutaisi), C. Duruli (Gori), G. Dzidziguri, M. Efimchenko (Russia),P. Ioni (Germany), A. Frangishvili, I. Gabisonia, J. Gakhokidze, Z. Gasitashvili, G. Gavtadze (Kutaisi), A. Glushetsky (Russia), Iv. Gorgidze, I. Gujabidze, L. Imnaishvili, K. Isaeva (Kazakhistan), J. Janashia, D. Japaridze, G. Jolia, I. Kakubava, L. Klimiashvili, P. Koguashvili, I. Kveselava, E. Lobanova (Russia), I. Lomidze, Sh. Lominashvili (Kutaisi), G. Malashkhia, V. Minasian (Russia), M. Osinska (Poland), R. Otinashvili, M. Pisaniuk (Moldova), L. Qarchava, R. Qutateladze, M. Raudiarv (Estonia), G. Saluqvadze, R. Shengelia, R. Sturua, D. Tavkhelidze, R. Winter (Sweden),O. Zumburidze.

პასუხისმგებელი რედაქტორი: დალი სეხნიაშვილი
RESPONSIBLE EDITOR: Dali Sekhniashvili

გარეკანის დიზაინის ავტორი: დალი სეხნიაშვილი
ტექნიკური რედაქტორები: თეა მაისურაძე, თამარ აბუაშვილი, ნატო გეგენავა

COVER DISIGN BY : Dali Sekhniashvili
TECHNICAL EDITORS: Tea Maisuradze, Tamar Abuashvili, Nato Gegenava

რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს ავტორისას. სტატიაში მოყვანილი ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

The editorial staff opinion may not coincide with the authors' point of views. Authors of published materials are responsible for the accuracy of facts.

მისამართი:
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
კოსტავას 77, კორპ. VI, სართ. VI, ოთ. 615ბ.
ტელ.: 595 71 91 77; 599 51 80 84;
555 36 61 01; 595 22 11 25; 032 2 365391.
www.Business-Engineering. bpengi.com
ელ-ფოსტა: info@bpengi.com

Editorial office address:
Georgian Technical University
Tbilisi, Kostava str. 77. 615 b.
Tel.: 595 71 91 77; 599 51 80 84;
555 36 61 01; 595 22 11 25; 032 2 365391;
www. Business-Engineering. bpengi.com
E-mail: info@bpengi.com

ISSN 1512-0538

ISSN 1512-0538

ს ა რ ჩ ე ვ ი

მეოთხე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია - IEC-2016
ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ

სექცია 3. აგრობიზნესისა და ტურიზმის განვითარების სტრატეგიები

Section 3. Agribusiness and tourism development strategies

Jelena Rootamm-Valter
Consumer Behaviour of Russiam Tourists in a Borderland of a Neighbouring Country 9

პაატა კოღუაშვილი
საქართველომ კვების ეროვნული პოლიტიკა უნდა შეიმუშაოს 12

მარინა მეტრეველი
საქართველოს ტურიზმის საკანონდებლო ხარვეზები და მათი გამოსწორების გზები 17

დალი სილაგაძე
კოოპერირებული საწარმოების განვითარების უზრუნველყოფა 22

კახაბერ ციმინტია
სასურსათო უსაფრთხოება ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემაში 26

მანანა შალამბერიძე, ზეინაბ ახალაძე
სოფლის მეურნეობის ეკონომიკურ-ფინანსური პრობლემები და მათი დარეგულირების ძირითადი მიმართულებები 30

ნანა ნადარეიშვილი
Wellness ტურიზმის პერსპექტივები საქართველოში 32

კონსტანტინე ყიზილაშვილი
ტურიზმის ეკონომიკური ეფექტიანობის მაღლების გზები თუშეთში 36

Nino Chachava, Tamar Khoshtaria
Urban Settlements Branding Issue as an Important Part of the Tourism Cluster Developmentin the Case of Samtskhe-Javakheti 43

მარინა მეტრეველი, გიორგი ჯაბნიძე
ტურისტთა სტატუსური ქცევის ცნება როგორც ტურპროდუქტებზე მოთხოვნის მოტივაცია საქართველოს შავი ზღვის კურორტებზე 46

ქეთევან ქაჯაია
ღვინის ტურიზმის პერსპექტივა საქართველოში 53

თამარ ობლიშვილი
სოფლის მეურნეობის მუნიციპალური საინფორმაციო სამსახურის როლი ფერმერული მეურნეობის განვითარებაში 56

ლაშა ზივზივაძე
ღვინის ტურიზმის პერსპექტივა საქართველოში 59

სექცია 4. ეროვნული ეკონომიკის განვითარების სამართლებრივი, პოლიტიკური და ისტორიულ-ფილოსოფიური ასპექტები

Section 4. Legal, Political, Historical and Philosophical Aspects of the National Economy Development

გივი აბაშიძე
საპროცესო შეთანხმების უარყოფითი ასპექტები 62

ზოია კაკულაშვილი
საკუთრების უფლების დაცვისას საკუთრების უფლების მოპოვების კეთილსინდისიერების მნიშვნელობის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი 67

ლია მეტრეველი
ზოგიერთი რამ, კომპლექსების შესახებ 74

ნუგზარ სიჭინავა
კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებული სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის ჩამოყალიბების ასპექტები საქართველოში 76

ს ტ ა ტ ი ე ბ ი :

ბიზნეს-ინჟინერინგის თეორიული ასპექტები

დემნა კვარაცხელია
ლარიზაცია: პრობლემები და პერსპექტივები 80

ქეთევან ქაჯაია
ინოვაციური ბიზნესის პერსპექტივები საქართველოში 91

მარინა ბაღათურია
გლობალიზაცია და თანამედროვეობა 96

ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების მოდელები

ალექსანდრე სიჭინავა, დალი სეხნიაშვილი
ექსპერიმენტული ეკონომიკა ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის 99

Гладченко А.Ю
РОЛЬ КОРПОРАЦИЙ В КЛАССИЧЕСКОЙ И СОВРЕМЕННОЙ КОНЦЕПЦИЯХ ЭКОНОМИЧЕСКОГО РАВНОВЕСИЯ 104

აკაკი გვარუციძე
რისკების მართვა ეკონომიკაში 108

ირინა ბენია
ორგანიზაციის კონკურენტული სტრატეგიის ძირითადი სახეები და მათი გავლენა მყარი კონკურენტუნარიანობის მისაღწევად 112

როზეტა ასათიანი
ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია, „ჰოლანდიური დაავადება“ და საქართველო 117

ირაკლი ჯანგავაძე
ინოვაციური განვითარების სტრატეგიული მოდელების თავისებურებები და მათი კომპარატივისტიკული დახასიათება 125

გივი ედიშერიშვილი
გამოწვევები გლობალურ და ადგილობრივ შრომის ბაზარზე 130

თეიმურაზ გორშკოვი, ვახტანგ ბოგველიშვილი
შემოწმების ტექნიკური საშუალებები საქართველოს საბაჟო გამშვებ პუნქტებში 132

ნინო დგვეფაძე
ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები - ჰოლისტიკური მარკეტინგის ერთ-ერთი განზომილება თუ მისი არსი? 136

ბიზნეს-ინჟინერინგი სოფლის მეურნეობაში

Туганова Б.С
ТЕХНОЛОГИЯ МЕМБРАННОЙ ПЕРЕРАБОТКИ МОЛОЧНОЙ СЫВОРОТКИ 144

კახაბერ ციმინტია
სასურსათო უსაფრთხოება საქართველოში: ხელმისაწვდომობის ასპექტები 146

საერთაშორისო და პოლიტიკა

David Chkhetiani
1968 Tet Offensive: An Intelligence Failure? 151

გოგი ცხოვრებაძე
სტრატეგიის სამხედრო განსაზღვრებები და სტრატეგიის ჩამოყალიბების ნიმუში 159

თემურ არბოლიშვილი
სოციალური უზრუნველყოფის სისტემა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში და მისი შედარებითი ანალიზი კოსოვოსთან 166

ვახტანგ შამუგია
მოლდოვა 1917-1940 წლებში 172

ნინო ნიშნიანიძე
საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების კონსტიტუციურობის შემოწმება და საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები 176

გენო მორჩილაძე
საგადასახადო საიდუმლოების ზოგიერთი ასპექტი საჯარო მმართველობაში 183

დავით სუჯაშვილი
„ისლამური სახელმწიფოს“ ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიული მახასიათებლები 187

ბიზნეს-ინჟინერინგი მასობრივ კომუნიკაციებში

ალექსანდრე ედიბერიძე, დავით ნოზაძე
სოციალური კომერციის განვითარების ტენდენციები 190

Tinatin Mshvidobadze
Challenges in Mobile Electronic Commerce 194

ბიზნეს-ინჟინერინგი გეოდეზიაში

ნოდარ ფოფორაძე, ოლღა სესკურია, ნათია ინანაშვილი
ალპური ტიპის კვარცის ძარღვები 198

გურამ მიქაძე
ნავთობპროდუქტების დანაკარგების შემცირების ეკოლოგიურ - ეკონომიკური ასპექტები მათი შენახვის პროცესში 204

ბიზნეს-ინჟინერინგი განათლებაში

სოფიკო ჯააძე
სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება ტესტების საშუალებით 213

ბიზნეს-ინჟინერინგი საბანკო საქმეში

დავითი პიტიურიშვილი
საქართველოს კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკისთვის დამახასითებელი თავისებურებები 218

დემნა კვარაცხელია
ინფლაციის მიზეზები, ტემპები, სახეები და გაღრმავების ეტაპები პოსტკომუნისტურ საქართველოში - 1990-იანი წლების დასაწყისში 222

რამაზ ოთინაშვილი, შალვა კუტუბიძე
საადგილმამულო ბანკის საკრედიტო ოპერაციები 227

გიორგი ცაავა, თეა ჰასრათოვი
საბანკო რისკების შეფასების მოდელები 231

ბიზნეს-ინჟინერინგი ტურიზმში

ნანი მამფორია, ნინო ლეთანძე
მსოფლიო ტურიზმის განვითარების ტენდენციები 233

თეა მაისურაძე
ფულის ტრიალი რუსთაველის ეპოქის საქართველოში 236

ქეთევან ქაჯაია
ტურიზმის პერსპექტივები საქართველოში, როგორც სასტუმრო ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი 238

ბიზნეს-ინჟინერინგი ენერგეტიკაში

დავით ჯაფარიძე, ნინო გიორგიშვილი, ირაკლი ბიჭიაშვილი
ენერგოდაზოგვის მართვის საერთაშორისო გამოცდილება და მისი დანერგვის პერსპექტივები საქართველოში 244

არკადი რიკრიკაძე
ოთხფაზა ელექტროგადაცემის სადენთა ინდუქციურობა და ტევადობა 250

ბიზნეს-ინჟინერინგი არქიტექტურაში

ანნა თანდილაშვილი
ქალაქის იმიჯის ფორმირების კონცეპტუალური საკითხები 255

სექცია 3. აგრობიზნესისა და ტურიზმის განვითარების სტრატეგიები
Section 3. Agribusiness and tourism development strategies

Consumer Behaviour of Russian Tourists in a Borderland of a Neighbouring Country (an Eexample of Eastern Estonia)

Jelena Rootamm-Valter

Summary

The article is based on the results of a study that was held at the end of 2014 and the beginning of 2015 in Ida-Virumaa, an Estonian county on the border between Estonia and Russia. The study was conducted to find out the preferences of Russian tourists to be able to define the most effective ways for meeting their needs and expectations, seeing towards further development of tourism in the region.

Keywords: consumer behaviour, borderland, Russian tourists

Introduction

Borderland tourism[1] has become an important factor for cultural, social, political and economic development

of the border regions. Borderland tourism may also have a considerable impact on national economies of neighbouring countries.

The article is based on the results of a study that was held at the end of 2014 and the beginning of 2015 in Ida

Virumaa, an Estonian county on the border between Estonia and Russia. The study was conducted to find out the preferences of Russian tourists to be able to define the most effective ways for meeting their needs and expectations, seeing towards further development of tourism in the region.

The need for a study was caused by the fact that in spite of the diverse and systematic statistical surveys and a lot of descriptive quantitative data, the officials and entrepreneurs are still not able to predict important changes in the behaviour of Russian tourists for achieving the expected amount of customers and income in business. There is also need for constant improvement of related public services. Estonian borderland businesses are interested in the stabilization of a stream of tourists to be able to provide focused services and goods for increasing their turnover and profitability.

The article aims to shape the factors that influence the steadiness of visits and purchases of Russian tourists in

Ida-Virumaa county, also to specify their expectations to related Estonian public services in order to give more precise informational input for the development of Estonian borderland businesses.

Theoretical Background

During the last decade numerous studies have stressed the growing importance of borderland tourism because

of its multiple effects: a positive impact on cultural and social integration and community development, political issues; advantages of labour mobility, cross-border trade and business co-operation. The subject is topical in all destinations and for countries and regions with different rates of welfare. Although in some circumstances the effects do not meet all the expectations (Burtea 2014:28) or bring uneven results for the parties (Hampton 2010: 250), positive results seem to prevail.

Borderland tourism became a subject of special attention in the European Union countries at the end of the last century, caused by geopolitical changes in the region, as well as by the concentration of tourism services toward large cities, well-known and remarkable attraction centres (Prokkola 2008: 31). The need for a balanced regional development of each country and the European Union as a whole attracted special attention to border regions problems, tourism in particular. It was stated that the border discourse offers new possibilities and may be handled as a resource. This was proven, for example, by the implementation of targeted programs for the development of Finnish-Swedish cross-border sustainable tourism (ibid.: 41-42). It applies to the European Union border countries as well (Kropinova 2009: 117), and the necessity for the focused development of tourism services in a border region was stressed again (ibid.: 128).

Borderland tourism has a number of specific features. Their essentials may be explained by the concept of familiarity for a number of different countries (Scott 2009). Izotov and Laine (2013: 108) in their Karelia study came to a conclusion that both "familiarity" and "unfamiliarity" may become an important reason for visiting a neighbouring country, especially if the border region had historically

1 Hampton (2010: 240) mentions, that if the definition of international tourism, determined by the United Nations' World Tourism Organization, is internationally widely accepted, there is no agreed definition for a popular term for cross-border tourism. The understanding of cross-border tourism has become wider, being compared with the early definition of a day trip that includes crossings of an international border: it may also include an overnight stay (ibid.; 240). In this article the term "borderland tourism" is used to cover all the activities of international visitors, who cross the border, in a borderland region. At the same time, Estonian Department of Statistics (ESA) counts as a tourist every non-resident who crosses Estonian border. In this article visitor and tourist are used as synonyms in the last and the broadest meaning, if not stated otherwise.

belonged to a different neighbouring country. They found that the images of the analysed border region produced in the Soviet and post-Soviet eras contributed to the formation of a territorial identity (ibid.: 109) that contributes to the development of a common cultural and social space with a high rate of cross-communication and important economic outcome.

The abovementioned standpoints form a theoretical background for the study of factors that shape the steady

consumer behaviour of Russian visitors in the eastern borderland of Estonia, Ida-Virumaa.

Methodology

The study was completed in Narva College of the University of Tartu as ordered by an administration of the

Ida-Virumaa county which is located near the border between Estonia and Russia. A general research question was formulated as follows: "What do Russian tourists really do in Ida-Virumaa?"

With the intention of deepening the understanding of factors that shape the consumer behaviour of Russian

visitors in Ida-Virumaa, statistical data of border crossings was used for defining different groups of visitors by their reasons. It was premised that specifics of consumer behaviour are caused by the reasons of a visit. The regularity of visits, to our mind, is another important factor that shapes consumption. It may also be a crucial point for economic outcomes in a borderland region. The mode of crossing a border was used as an indicator for different types of consumption, i.e. by foot, by different kinds of road transport: a car, a truck, a bus; by rail. To give an idea of the number of Russian visitors in Ida-Virumaa: the number of border crossings by visitors from Russia through the eastern border crossing point of Estonia (Ida-Virumaa) amounted to 2.2 million in 2013 (Narva… 2014), the number of vehicles amounted to over 150,000 in 2014 and over 276,000 in 2015 (ESA).

There was formed a qualitative sample of different types of consumers based on the types of transportation and its share in the total amount of Russian border crossers during the 11 months of 2014 (Figure 1).



Figure 1. Structure of Russian tourists in Ida-Virumaa by ways of crossing the border, %.

In total, 131 respondents were questioned. A contact method of interview was used, that included 26 closed questions for defining visitors' consumption preferences for goods and services as well as the ways of obtaining information about different kinds of events in the area, reasons for visiting, expectations and plans for future visits et cetera. Though, it was intended to classify the answers according to certain methodology to be able to perform quantitative analysis of the data. To determine dependencies in processing the data SPSS tools as contingency analysis were used.

In addition, open questions allowed getting focused qualitative information about the influence of different marketing and PR means for the borderland businesses. The importance of the study grew at that particular time from December 2014 to January 2015 because of the important changes in Russian currency rates that took place at the end of 2014. Local Estonian businesses were lacking of information about the current state of the Russian consumer market which was of essential importance to them.

Main Features of Russian Tourists' Consumer Behaviour in Estonian Eastern Border Region

The factors that shape consumer behaviour of Russian tourists in an eastern border region of Estonia may be

handled in two main aspects: 1) the influence of unexpected economic events on the steadiness of the visits to Estonia, and especially to the borderland and 2) the main features of stable preferences in their consumption behaviour in the Ida-Virumaa border region of Estonia..

As for the destination of the visits, all those who cross the border by truck use the borderland as an area for

transition, and a one third of visitors that come by bus do not name Ida-Virumaa as the last point of destination. 40% of travellers by train are also the passers-by, but their number is marginal: only 2% of border crossers came to Ida-Virumaa by train in 2014 (ESA). It means that businesses have to focus on the needs and expectations of those who cross border by car and on foot. It is remarkable that 92% of the latter stay in the citiy of Narva, which is the third largest city in Estonia by its' population with 58,375 inhabitants as for January 1, 2015 (Narva 2016: 3). It proves once again that the decision of businesses to locate main shopping centres in Narva for all of Ida-Virumaa county is valid, i.e. for the particular situation where consumption of Russian tourists in total is decreasing.

The period of the field study coincided with the tip of financial crisis in Russia in the end of 2014. It gave an

opportunity to measure the rate of stability of Russian tourists' consumer behaviour in an unfavourable and unstable economic environment. It is remarkable that only 1/8 of Russian tourists who continued to visit Estonia, Ida-Virumaa by car in the situation of financial crisis in Russia and about 22% of those who crossed border on foot, demonstrated uncertainty in their consumer behaviour. They are presumably consumers with relatively low income or those

whose consumption in Ida-Virumaa is comparably smaller. Still, the total number of tourists with lower amounts of income amounts to approximately half a million a year (Narva 2014) which means a lot for local businesses.

Russian border crossers who come to Ida-Virumaa as employees of Estonian enterprises (18% of the total

number, according this study) did not demonstrate any uncertainty in the matters of their behaviour in Estonia at all. Unfortunately this particular group of visitors consume very little during their visits.



Figure 2. Estimations of Russian tourists to the change of their consumption of goods in Estonia, Ida-Virumaa for 2015 compared with 2014, %.

The other essential result of the study gives the businesses a clear answer for the question whether the financial crisis in Russia influences the structure of consumption of Russian tourists in Ida-Virumaa. The results of the study allow to conclude that the structure of consuming goods does not change with the relatively high rate of probability. Though, half of the visitors who crossed the border on foot (presumably with relatively low incomes) stated that they will buy less compared with the pre-crisis period; those who came by car expected reducing their buying budget by 1/3. All the visitors agreed that they would rather refuse buying clothing and domestic goods than food and goods for children. Figure 2 shows estimations of visitors to the changes in their consumption of goods in Ida-Virumaa compared with the "usual" rate. Among preferred brands those that are known for the decades are prevailing.

It is notable, that Russian tourists would also rather shorten their vacation visits to Ida-Virumaa SPAs than refuse of them. In the longer perspective it occurred that a considerable part of Russian regular customers of Ida-Virumaa SPAs refused of using those services during the crisis. The attempts to attract Russian tourists with relatively higher incomes to Ida-Virumaa SPAs did not bring expected results. The businesses that applied for an internal Estonian market did better.

Conclusions

The main conclusion of the conducted study supports the well-known standpoint that familiarity shapes a relatively stable flow of tourist at the borderland. It is valid for the Russian tourists' visits to Estonian eastern borderland near the border of Russia.

As for consumer behaviour of Russian tourists in the region, it is most stable for the visitors who are employed by Estonian enterprises, though the consumption of this segment of visitors is insignificant. The structure of consumption of Russian buyers of goods does not tend to change, though unfavourable financial obstacles influence the amount of consumption. They rather refuse buying clothing and domestic goods under strong financial pressure and continue buying food and goods for children in the familiar assortment.

Consumer behaviour of the buyers of services mainly concurred with overnight stays at SPA hotels of the region, under the circumstances not only reduced in number, but also in duration. Their customers seem to be the most unstable segment of Russian visitors of the borderland that provides the highest rate of risks for the related businesses.

Finally, it is necessary to assume that a qualitative study of the factors shaping consumption of Russian tourists in the eastern border region of Estonia gives valuable input to the local businesses and authorities as well as to the researchers.

References:

1. Burtea, C. (2014) Economic valorization of **tourism** potential in the romania-bulgaria **border** area - correlation analysis. Urbanism. Architecture. Constructions / Urbanism. Arhitectura. Constructii, Vol. 5 Issue 3: 17-30. ESA = Estonian Department of Statistics.
2. Hampton, Mark **P**. (2010) Enclaves and ethnic ties: The local impacts of Singaporean cross-**border tourism** in Malaysia and Indonesia. Singapore Journal of Tropical Geography. Jul, Vol. 31 Issue 2: 239-25.
3. Izotov, A., Laine, J. (2013) Constructing (Un)familiarity: Role of **Tourism** in Identity and Region Building at the Finnish–Russian Border. European Planning Studies. Jan, Vol. 21 Issue 1: 93-111. Kropinova, E. (2009) zoning of the kaliningrad region for the purposes of **tourism** and recreation and development of trans-**border** cooperation. Bridges / Tiltai, Vol. 47 Issue 3: 117-129.
4. Scott, J. W- (2010) Cross-**Border** Cooperation in the Periphery of the European Union: Reinterpreting the Finnish-Russian Borderland. Eurolimes, Vol. 10: 123-138. Narva = Narva arvudes 2014, 2016. Narva: Narva linnavalitsus.
5. Prokkola, Eeva-Kaisa (2008). Resources and barriers in tourism development: cross-border cooperation, regionalization and destination building at the Finnish-Swedish border. Fennia 186: 1: 31–46. Scott, James Wesley (2010) Cross-**Border** Cooperation in the Periphery of the European Union: Reinterpreting the Finnish-Russian Borderland. Eurolimes, Vol. 10: 123-13.

საქართველომ კვების ეროვნული პოლიტიკა უნდა შეიმუშაოს

პაატა კოღუაშვილი, სსმმა ნამდვილი წევრი

Georgia Must Develop the National
Politic of Nourishment

Paata Koguashvili

Summary

For throughout centuries the victual had been creating and embodying separate nations' specific ethno culture with different attributes of fundamental maintenance.

Georgia is an ancient country of independent agrarian culture and has the advanced experience of food procuring. The Georgian nation's nutrition traditions had been forming in Asia, which is fairly considered to be the ancient hearth of land-tenure and cattle-breeding development. The demand for traditional food is genetic in Georgia. It had been improving as a taste and settling as a character of nutrition for throughout a thousand years. In the epoch of globalization Georgians have to reveal a great deal of caution to protect our unique nutrition culture. Thus, with ensuing common Georgian nutrition character consequences, we must maintain and enrich our food ration.

The work also discusses the quality of nourishment of citizens of Georga, which is evaluated as troubled. Almost 70% of the population is feeding imperfectlybecause of lack of funds. It is concluded that food safety standards in Georgiamismatches the current realities. The work criticizes the method of compiling country's "living wage" and "minimum foodstuffs". The recommendations are given for improvement of the condition.

* * * * * *

სურსათი ადამიანის მატერიალური კულტურის ერთ-ერთი ყველაზე არსებითი შემადგენელი ნაწილია. ივანე ჯავახიშვილის აზრით, „კვებას ერის ფიზიკურ-გონებრივი განვითარებისთვის უაღრესი მნიშვნელობა აქვს და ადამიანის მეურნეობითი შემოქმედების ამ დარგშიც კულტურის განვითარების როგორც მიმდინარეობა, ისევე მისი დონეცა ჩანს და ბუნებრივი სიმდიდრის გონივრული გამოყენების ხალხის უნარი კარგად გამოიხატება ხოლმე."[1]

ისტორიულად ჩამოყალიბებულ კვების ხალხურ, ტრადიციულ სისტემაში ვლინდება საციცოცხლო უზრუნველყოფის კულტურის მემკვიდრეობითი ფასეულობანი, ეთნოსის დამახასიათებელი თვისებები და ეროვნული თვითშეგნება. საკვებწარმოების ეროვნულ გამოცდილებაში წარმოჩენილია ეკოლოგიური, სამკურნალო, გერონტოლოგიური, ეკონომიკური, კულტურულ-სამეურნეო, რელიგიური, სოციალური და რაც მთავარია, სურსათის უვნებლობის ასპექტები. ჩვენს დროშიც კი, როცა მატერიალურ-კულტურული, საყოფაცხოვრებო და სხვა სფეროებში მიმდინარეობს ეთნიკური სპეციფიკის ინტენსიური გამოთანაბრების პროცესი, იგი კვლავაც ყოფითი კულტურის ფენომენად რჩება.

საქართველოში კვების სისტემის და კვების კულტურის განვითარებას ხელს უწყობდა და აყალიბებდა ეკოლოგიური გარემო, სამეურნეო პირობები, ქონებრივი და სოციალური მდგომარეობა, ეთნოსის რელიგიურ-საკრალური რწმენა-ჩვეულებები.

საქართველოს ცალკეულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეს ჰქონდა თავისი ბუნებრივი და სამეურნეო სპეციფიკა, რაც განაპირობებდა ეთნიკური ჯგუფის კვების თავისებურებას (საკვების სახეობა, დამზადების წესი, საკვების მიღების პერიოდულობა). ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესში, მთისა და ბარის ინტენსიური კონტაქტების შედეგად ჩამოყალიბდა ზოგათქართული კვების კულტურა.

ქართული კვების კულტურაში მცენარეული კომპონენტების ძირითადი მასა მოდის მიწათმოქმედებიდან. მისი შემავსებელი (და არა დამხმარე) ნაწილი შემგროვებლობის პროდუქტი იყო. მეცხოველეობის განვითარებასთან ერთად, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებიდან ნანადირევის ხვედრითი წონა თანდათან მცირდებოდა და ბოლოს „დელიკატესად" იქცა. საქართველოში სამდინარო თევზჭერა სარეწაო ხასიათისა არ ყოფილა, ამიტომ თევზი ქართველთა კვების სისტემაში, როგორც ცხოველური წარმოშობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, იყო და არის მოპოვებითი მეურნეობის პროდუქტი.

ქართველთა კვების სისტემაში შერწყმულია ბალახოვანი ველურად მზარდი საზრდო მცენარეები და მებოსტნეობის პროდუქტები: მწვანილი, სანელებელი ბოსტნეული და მხალი; ასევე, ხიჩატელი (ტყის ხილი) და კულტურული ხილი. მემცენარეობის ტიპის ჩარჩოებში ქართველთა კვების სისტემიდან შეიძლება გამოვყოთ მემინდვრეობის ქვეტიპის კულტურული მცენარეები – ყველა საკვები ნივთიერების (ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები) წყარო: პარკოსანი (ცერცვი, ცერცველა, ხანჭკოლა, ოსპი, ბარდა, მუხუდო, ცულისპირა, ძაძა, უგრეხელი, ლობიო), ზეთოვანი (სელი), პურეული მარცვლეულები (ხორბალი, ფეტვი, ქერი, ჭვავი, შვრია). შერწყმული სახითაა წარმოდგენილი, ერთი მხრივ, მემინდვრეობისა და მებოსტნეობის, მეორე მხრივ, მემინდვრეობისა და მევენახეობის პროდუქტები. ყოველივე ეს განაპირობებს კარგად ბალანსირებულ ვეგეტარიანულ კვებას. მაგალითად, პური (სახამებელი), სელის ზეთი, პარკოსნები

1 ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი თორმატ ტომად, საქართველოს ეკონომიური ისტორია, პირველი ნაწილი, ტომი მეოთხე, თბილისი 1996

(მცენარეული ცილა+ნახშირწყლები), ბოსტნეული (ნახშირწყლები, ცილა, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, ორგანული მჟავები), ველურად მზარდი ბალახოვანი მცენარეები (ნახშირწყალი, ცილა, დიეტური და სამკურნალო ნივთიერებები), კაკალი და თხილი (მცენარეული ცხიმი) ადამიანს აძლევს ყველა იმ აუცილებელ ნივთიერებას, რაც უზრუნველყოფს მის ნორმალურ ცხოველქმედებას.[2]

საკვების სახეობა, მისი წარმოების წესი, საკვების შემადგენლობა, კვების პერიოდულობა, კვების თავისებურებები, კვების რაციონი, ყოველდღიური და რიტუალური საკვები და სუფრის ეტიკეტი ეთნოსის კვების ხასიათს ქმნის. სხვაგვარად, კვების ხასიათი (ტრადიცია) დაკავშირებულია ყოფითი კულტურის ბუნებრივ და სამეურნეო პირობებზე. მასზე გავლენას ახდენს ხალხის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე, ისტორიული გარემო, რელიგია და ეთნოსთაშორისი კონტაქტები.

ტრადიციულ საკვებ პროდუქტებზე მოთხოვნილება ქართველებში გენეტიკურია, იგი ათასწლეულების მანძილზე იხვეწებოდა როგორც გემოვნება და მკვიდრდებოდა როგორც კვების ხასიათი. ყოველივე ამან განაპირობა ქართველთა განსხვავებული ჩვევები, სურვილები და მისწრაფებები ამქვეყნიურ ცხოვრებაში, რაცმიწასთან მარადიული ურთიერთობის თავისებურებებიდან გამომდინარეობს.

გლობალიზაციის ეპოქაში ქართველებს უნიკალური კვების კულტურის დასაცავად დიდი სიფრთხილე გვმართებს. ზოგადქართული კვების ხასიათიდან გამომდინარე, ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ და გავამდიდროთ კვების რაციონი.

* * * * * * *

საქართველოს მოსახლეობის თითქმის 70%, უსახსრობის გამო,არასრულყოფილად (ცუდად) იკვებება.ყოველ მესამე ოჯახს არა აქვს საკმარისი თანხა სურსათის შესაძენად.

ხარისხიანი საკვების დაბალანსებულად მიღების ჩვევა (ნუტრიცია), თანამედროვე მსოფლიოსთვის ერთერთი უმძიმესი გამოწვევაა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოზარდი თაობის (10-17 წლის) ნუტრიცია. თუ მათი ორგანიზმი სწორად არ გამოიკვება, შეფერხდება განვითარება, რაც მოზარდების გონებრვ შესაძლებლობებზე, ათვისების უნარსა და მათ მომავალზე იმოქმედებს.

საქართველოსმოსახლეობის კვების ხარისხის დონის შესწავლამ (კვლევა) რომელიც ,,ოქსფამმა" ჩაატარა,აჩვენა, რომ მდგომარეობა საგანგაშოა. აღმოჩნდა, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი (სოფლად თუ ქალაქად) სრულფასოვნად ვერ იკვებება. პროდუქციის შეძენისას მათთვის ძირითადი კრიტერიუმი ხარისხი და ფასია. უუმრავლესობა კითხულობს ეტიკეტს შესასყიდ პროდუქტზე, ინტერესდება ვარგისიანობის ვადით და ფასით.

ხშირია ხორცის მიუღებლობის ფაქტი, ზოგიერთი ოჯახი ყველა სახის სურსათის ნაკლებობას მთელი წლის განმავლობაში განიცდის. ყველაზე მძიმე თვეებად ასახელებენ თებერვალს, მარტსა და აპრილს. სურსათის დეფიციტის მთავარი მიზეზი ფინანსური ხელმიუწვდომლობაა.

გამოკითხული მოსახლეობის უმეტესობა იღებს მარცვლეულს, ზეთს და ბოსტნეულს. ბოსტნეულის მიღების მაღალი წილი შეიძლება იმ ფაქტით აიხსნას, რომ კვლევა ზაფხულში ჩატარდა, როცა ახალი ბოსტნეულის მოხმარება მაღალია.

მაგრამ, მიუხედავად ზაფხულისა, გამოკითხული ოჯახებიდან ხილს მხოლოდ 46% იღებს; მიზეზი ეკონომიკური ფაქტორია — ხორცი და ხილი ძვირია. ამ პროდუქტებს სისტემატურად მხოლოდ მაღალშემოსავლიანი ოჯახები მიირთმევენ. ასევე დაბალია რკინით მდიდარი პროდუქტებით ორგანიზმის გაძლიერება და ამის დეფიციტს განსაკუთრებით მარტოხელა პენსიონერების ოჯახები განიცდიან, ძალიან დაბალია რკინით მდიდარი პროდუქტების მოხმარება. მოსახლეობის უმეტესობა ძირითადად იკვებება შემდეგი კერძებით: შემწვარი კარტოფილი, ლობიო, აჯაბსანდალი, იშვიათად ხორციანი კერძით.

განსაკუთრებით სავალალოა ის ფაქტი, რომ 10-17 წლის მოზარდები ნაკლებ ბოსტნეულს, ბაღჩეულს, ხილს, ხორცს, ზეთს, რძეს და რძის პროდუქტებს იღებენ (ვიდრე სრულწლოვნები),რაც მოზარდთა გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებს. ბავშვების უმეტესობა კვირაში რამდენჯერმე ჭამენ ტკბილეულს და სვამენ გაზიან უალკოჰოლო სასმელებს. ცქალების 50% მოიხმარს 4 ჯგუფის საკვებს: მარცვლეულ და ცხოველურ ცხიმებს, ბოსტნეულს, რძესა და რძის პროდუქტებს.[3]

თანამედროვე ლიტერატურაში, ადამიანის მიერ გამოყენებული საკვები პროდუქტები ათ ჯგუფში არის გაერთიანებული. კვების ისტორიული გამოცდილებისა და ხასიათის გათვალისწინებით, ქართულ სინამდვილეში საკვები პროდუქტების ოდენობა ჯგუფების მიხედვით წლის განმავლობაში ასე გამოიყურება (ნორმების დადგენაში მონაწილეობდა მედიცინის დოქტორი დავით კეზელი); 1. პური, ფქვილი, ბურღულეული, მარცვლოვანები და მარცვლოვან-პარკოსნები, ფუნთუშეული, მაკარონისა და საკონდიტრო ნაწარმი და აშ. (როდესაც ამ ჯგუფების პროდუქტთა მიღების ნორმებს აფასებენ, სპეციალური კოეფიციენტების მეშვეობით ყველა პროდუქტი გადაიანგარიშება ფქვილზე) – 127,5კგ. 2. კარტოფილი – 62კგ. 3. ბოსტნეული და ბახჩეული (აქ შედის აგრეთვე, მათი კონსერვები, მარინადები და აშ. მათი მოხმარების ერთიანი მოცულობის დადგენისას, იგი გადაჰყავთ ნედლ ბოსტნეულზე) – 146კგ. 4. ხილი, ხილის წვენები, კონსერვები, მშრალი ხილი და ა.შ. (ამ პროდუქტების ერთიან ნიშნულზე დაყვანა ნედლ ხილზე წარმოებს) – 110კგ. 5. შაქარი –

2 ბახტაძე დ. კოღუაშვილი პ. ქართველთა კვების კულტურა. თბ. 2011.

3 საქართველოში კვების ეროვნული კვლევის ანალიზი. ოქსფამი,თბ. 2016.

36კგ. 6. მცენარეული ზეთები (მართალია, ადამიანის რაციონში ცხიმების 70% მოდის ცხოველური წარმოშობის ცხიმებზე და მხოლოდ 30% მცენარეულზე, მაგრამ ეს უკანასკნელი დამოუკიდებლად შედის კვების პროდუქტების ჩამონათვალში) – 7,3კგ. 7. თევზი და თევზის პროდუქტები (ამ ჯგუფში შემავალი თევზის გადამუშავების პროდუქციის გადაყვანა ხდება ნედლ თევზზე, რაციონში მათი შეფასების დროს) – 18,3კგ. 8. ხორცი და ხორცის პროდუქტები (ამ ჯგუფში შედის საღი ხორცი, ძეხვეული, შაშხი, ქონი, სხვადასხვა კონსერვი და აშ. შეფასებისას ყველა აღნიშნული პროდუქტი გადაიყვანება ხორცზე) – 70კგ. 9. რძე და რძის პროდუქტები (ამ ჯგუფში შედის საღი რძე, ყველი, კარაქი, ხაჭო, არაჟანი, მაწონი და აშ. შეფასების საფუძველია საღი სტანდარტული შემადგენლობის რძე) – 360კგ. 10. კვერცხი (იანგარიშება ცალობით) – 292.

* * * * * *

დღე-ღამეში თანამედროვე ადამიანი საკვებად იყენებს დაახლოებით 1,5 – 2 ლიტრ წყალს და 800 – 900 გრამამდე საკვებს. ჩვენი პლანეტის მოსახლეობის (7 მლრდ) სადღეღამისო რაციონი 6.3 მილიონ ტონა საკვებს შეადგენს. კაცობრიობის დიდი ნაწილი განიცდიდა და განიცდის ზოგიერთი სახეობის საკვები პროდუქტის დეფიციტს (დღეს მსოფლიოში 1 მლრდ ადამიანი შიმშილობს, ხოლო 2,2 მლრდ სასმელი წყლის დეფიციტს განიცდის).

სრულფასოვანია სურსათი, თუ იგი საკმარისი რაოდენობით შეიცავს ადამიანის ჯანმრთელობისთვის აუცილებელ ცილებს, ცხიმებს, ნახშირწყლებს, ვიტამინებს, მინერალებს, მიკროე ლემენტებს. ხელისუფლება ვალდებულია მოსახლეობას შეუქმნას ისეთი სოციალური პირობები, რომ მან შეძლოს ჯანმრთელობისთვის აუცილებელი რაოდენობის დაბალანსებული საკვების შეძენა-მოხმარება. კერძოდ, ფიზიოლოგიური ნორმების შესაბამისად, საკვებ რაციონში პური უნდა შეადგენდეს დღეში—350 გრამს, ხორცი–200 გრამს, რძე და რძის ნაწარმი–960 გრამს, კარტოფილი–170გრამს, ბოსტნეული–370 გრამს, ხილი–210 გრამს, თევზი–50 გრამს, ცხიმი–30 გრამს, შაქარი–100 გრამს.

ეს ნორმები ემყარება საერთაშორისო ნორმებს და გათვალისწინებულია საშუალო ასაკის 70 კგ, მსუბუქი შრომით დაკავებული 31-50 წლის მამაკაცისთვის (იგივეა 60 კგ წონის ქალისთვის) და შეადგენს 2800 კკალ დღეში (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდებული ნორმა შეადგენს 2450 კკალ). ეს მონაცემები მართალია პერიოდულად იცვლება ასაკის, წონის, გეოგრაფიული გარემოს და სხვა ფაქტორების გავლენით, მაგრამ არა არსებითად.

კვების რაციონის შედგენისას, მასში ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების, ვიტამინების, მინერალური ნივთიერებების რაოდენობას კი არ მიუთითებენ, არამედ სხვადასხვა სახეობის სასურსათო პროდუქტისას.

სასურსათო ჯგუფში ადამიანის არსებობისთვის საჭირო 40-მდე დასახელების პროდუქტია შეტანილი (განვითარებულ ქვეყნებში ეს ჯგუფი გაცილებით მასშტაბურადაა წარმოდგენილი).

რაციონალური კვების ცნება განუყოფლად დაკავშირებულია კვების ფიზიოლოგიური ნორმების განსაზღვრასთან, რაც საშუალო მაორიენტირებელი სიდიდეებია, რომლებიც ძირითად საკვებ ნივთიერებებზე მოსახლეობის ცალკეული ჯგუფის მოთხოვნას გამოხატავს. რაციონალური ნორმები არ ატარებს მუდმივ ხასიათს და იგი იცვლება კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური ყოფის ცვლასთან ერთად. ფიზიოლოგიური ნორმები გამოიყენება კონკრეტულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში ან ექსტრემალურ სიტუაციებში. სხვა მხრივ, მისი განზოგადება არაბუნებრივია.

რაციონალური კვების შესახებ არსებობს არაერთი კონცეფცია და სისტემა,თუმცა, ისინი ამომწურავ პასუხს ვერ სცემს საკვებსა და კვებასთან დაკავშირებულ უმთავრეს პრობლემურ საკითხებს. აქ მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ განსხვავებულია ადამიანთა საზოგადოებები, ადამიანთა ცნობიერება, გარემო და ცხოვრების წესი, ყოფითი კულტურა, ტრადიციები და თვით კვების კულტურა.

რაციონალური კვება გულისხმობს სამი ძირითადი პრინციპის დაცვას: ენერგიის ბალანსის უზრუნველყოფა; გარკვეულ საკვებ ნივთიერებებზე ორგანიზმის მოთხოვნილების დაკმაყოფილება; კვების რეჟიმის დაცვა.

საარსებო მინიმუმი მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური კატეგორიაა. ის წარმოადგენს სოციალურ ორიენტირს ცხოვრების დონის სოციალურ სტანდარტს, რომელიც გამოიყენება გასაცემი ხელფასების, პენსიების, სტიპენდიების, შემწეობებისა და სხვა სოციალური დახმარებების ოდენობის განსაზღვრისათვის. საარსებო მინიმუმის სრული ღირებულება შედგება შრომისუნარიანი ადამიანის ნორმალური ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის აუცილებელი სასურსათო პროდუქტებისა (ე.წ. სასურსათო კალათა) და ასევე პირველადი მოხმარების არასასურსათო ნაწარმისა და მომსახურების მინიმალური რაოდენობის ხარჯებისაგან (საბაზრო ფასებით).[4]

საყურადღებოა ისიც, რომ განვითარებულ ქვეყნებში ცნება „საარსებო მინიმუმი“ საერთოდ არ არსებობს. იქ არის „რაციონალური სამომხმარებლო კალათა“, რაც სასურსათო კალათაში მოცემული სასურსათო პროდუქციისა და არასასურსათო ხარჯების, პირველადი მოხმარების საგნების, მომსახურების სხვადასხვა სახეობის საჭიროების რაციონალურ ჩამონათვალს მოიცავს.

* * * * * * *

ბოლო 25 წლის მანძილზე საქართველოში უხეშად ირღვევა სასურსათო უსაფრთხოების პრინციპები,

4. ჩხეიძე შ. საქართველოს მოსახლეობისთვის დადგენილი საარსებო მინიმუმის შესახებ, „ახალი აგრარული საქართველო“, №5 (მაისი), 2016.

სურსათის მოხმარების ნორმები და აქედან გამომდინარე, უარესდება მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაც.

განსაკუთრებით დაბალია სასიცოცხლოდ აუცილებელი ცილოვანი საკვების მოხმარება (ხორცის მოხმარება შემცირებულია – 2,5-3-ჯერ, თევზის – 4-5-ჯერ, რძის პროდუქტების 3-ჯერ), ხოლო პურისა და პურპროდუქტების მოხმარება 1,8-2,0-ჯერ მეტია ფიზიოლოგიურ ნორმასთან შედარებით, რის გამოც საკვები რაციონის ენერგეტიკული ღირებულების თითქმის 61% პურპროდუქტებზე მოდის (განვითარებულ ქვეყნებში პურის წილი საკვებ რაციონ¬ში 12-15%-ს არ აღემატება).

2003 წელს NATO-ს სოფლის მეურნეობის დაგეგმვის კომიტეტმა (FAPC), საქართველოს მოსახლეობის სურსათის მოხმარების მაჩვენებლები საგანგაშოდ ჩათვალა და საგანგებოდ აღნიშნა მდგომარეობის გამოსასწორების აუცილებლობის შესახებ. ხელისუფლებამაც არ დააყოვნა და 2003 წლის 8 მაისს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით №111-ნ დაამტკიცა ახალი „ნორმა“ (სადაც სურსათის კალორიულობა შეფასებულია 2300 კკალ). ამ ბრძანების თანახმად, ხორცის მოხმარების მაჩვენებელი 80 გრ/დღ ჩაითვალა „ნორმად“, რომელიც 2,5-ჯერ ჩამორჩება საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმას (200 გრ/დღ), რძისა და რძის პროდუქტების ნორმა შემცირდა 4,5-ჯერ (!) 960 გრამიდან 215 გრამამდე, ბოსტნეულის განახევრდა 370 გრამიდან 182 გრამამდე, შაქარი შემცირდა 100 გრამიდან 55 გრამამდე. პურის მოხმარების ნორმა – 350 გრამიდან გაზრდილია 400 გრამამდე.

ამრიგად, ფიზიოლოგიურ ნორმად ჩაითვალა მინიმალური საკვების ის რაოდენობა, რის მიღებასაც მოსახლეობა ახერხებდა და მოხმარების მაჩვენებელიც ახალ „ნორმებს“ დაუახლოვდა, ზოგიერთი პროდუქტისთვის გადააჭარბა კიდეც (რძე და რძის ნაწარმი). ასე მარტივად „მოგვარდა“ სასურსათო უსაფრთხოების დარღვევის საგანგაშო მდგომარეობა, ბიუჯეტიდან ხარჯების გაწევის და სათანადო ღონისძიებების გატარების გარეშე და ამ ე.წ. „ნორმების“ მიხედვით ჩვენი მოსახლეობის მიერ სურსათის მოხმარების ვიზუალური სურათი „არც თუ ისე სავალალოდ“ გამოჩნდა. სასურსათო კალათაში მნიშვნელოვნად შემცირდა ძვირადღირებული პროდუქციის ჩამონათვალი და გაიზარდა შედარებით იაფი პროდუქციის რიცხვი. სასურსათო კალათის გაიაფება შესაძლებელია მხოლოდ პროდუქციის სახეობების შერჩევით.

სამწუხაროდ, ამ „ნორმების“ გადახედვით და გამოსწორებით დღემდე არც ერთი მთავრობა არ დაინტერესებულა და სასურსათო კალათას და საარსებო მინიმუმს ამ ნორმებით ანგარიშობს (ზოგადად სასურველი იქნებოდა სურსათის მოხმარების ნორმები იცვლებოდესდა იანგარიშებოდეს ზაფხულ-შემოდგომისა და ზამთარ-გაზაფხულის პერიოდების, მთისა და ბარის რეგიონების ურბანული და სასიფლო დასახლებების მიხედვით).

ეს „ახალი სასურსათო კალათა“ 2016 წლის ივნისის მდგომარეობით 109.9 ლარის ღირებულების საარსებო მინიმუმს იძლევა, რაც მაინც მიუწვდომელია მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის.

პრობლემის სპეციალური შესწავლით (რომელიც საყოველთაოდ აღიარებულ მეთოდიკას ეყრდნობა) დადგინდა, რომ საარსებოდ მიღებული მინიმალური ნორმის შესაბამისი სასურსათო კალათის რეალური ღირებულება 176,25 ლარია, რომელიც 38 პროცენტით აღემატება ოფიციალურად მიღებულ – 109.9 ლარს.[5]

საარსებო მინიმუმის გაანგარიშება საქსტატის მიერ ხორციელდება ე.წ. ნორმატიულ-სტატისტიკური მეთოდის საფუძველზე — მიჩნეულია, რომ სურსათის წილი ამ მაჩვენებელში უნდა შეადგენდეს 70 პროცენტს (რაც არასწორია, რადგან ადამიანს, როგორც გონიერ არსებას სხვა მოთხოვნილებებიც გააჩნია. განვითარებული მსოფლიოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აღიარებულია, რომ ეს მაჩვენებელი საარსებო მინიმუმში 15-30% ფარგლებში უნდა მერყეობდეს), დანარჩენი 30 პროცენტით კი უნდა დაიფაროს ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის არასასურსათო საქონლისა და მომსახურების ღირებულება. ეს ნიშნავს იმას, რომ რეალური საარსებო მინიმუმის ღირებულება – 251,75 (176,25+75,5) ლარი, 1.6 ჯერ მეტი იქნება დადგენილ – 157.1 (109.9+47.2) ლარზე თვეში. სასურსათო და სამომხმარებ¬ლო ხარჯების გათანაბრების (0.5/0.5) შემთხვევაში (რაც სწორი და სავსებით მისაღები გადაწყვეტილება იქნება), საარსებო მინიმუმის ღირებულება 352.5 (176.25+176.25) ლარს გაუტოლდება.

(ცნობისათვის, ეს მაჩვენებელი აზერბაიჯანში — 348 ლარია, სომხეთში — 230 ლარი, რუსეთში – 390 ლარი, ესტონეთში – 520 ევრო, სლოვენიაში – 830 ევრო, აშშ-ში 902,5 დოლარი, ნორვეგიაში – 2100 ევრო).

2006 წლის შემდეგ საარსებო მინიმუმის ამჟამად მოქმედ მეთოდოლოგიაზე გადასვლისას მყისიერად, 30 პროცენტით შემცირდა მისი ღირებულება (დაბალანსებული კვების რაციონის ნაცვლად ნორმატიულ ბაზაში შეტანილ იქნა შედარებით ნაკლებად ღირებული საკვები პროდუქტები, ანუ მაქსიმალურად შეიზღუდა ცხოველური წარმომავ¬ლობის საკვები პროდუქტების წილი). აღსანიშნავია, რომ საარსებო მინიმუმის ახლანდელ კალათაში სურსათის კალორიულობა შეფასებულია 2300 კკალ-ის დონეზე, რაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდებულ ნორმაზე (2450 კკალ) საგრძნობლად ნაკლებია. ქვემოთ მოცემული გაანგარიშება ამ უკანასკნელ რაციონალურ ნორმას ემყარება.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს საარსებო მინიმუმში სურსათისა და დანარჩენი სამომხმარებლო საქონლის თანაფარდობა პროპორციით 0.7/0.3. ეს

5 საქსტატი. „საარსებო მინიმუმი“, ბიულეტინი, ივლისი, 2016.

პროპორცია სასწრაფოდაა შესაცვლელი — უნდა მკვეთრად შემცირდეს სასურსათო კომპონენტის წილი და გაიზარდოს არასასურსათო კომპონენტის წილი (ეს იმ დროს, როდესაც ინფლაციის გასაანგარიშებელ კალათაში სურსათის წილი წლიდან წლამდე მცირდება და ამჟამად 30 პროცენტს არ აღემატება). ამ შემთხვევაში, თვით ამჟამად მოქმედი მინიმალური სასურსათო ნორმისა და სადღეღამისო კალორიულობის შენარჩუნების შემთხვევაში, მნიშვნელოვნად გაიზრდება საარსებო მინიმუმის ღირებულება (109.9 +109.9) 219,8 ლარი.

აღნიშნული ცვლილებით „საარსებო მინიმუმისა“ ღირებულება საგრძნობლად მიუახლოვდება მის ფაქტობრივ დონეს, ამით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგმება აგრეთვე ამჟამად კატასტროფულად დაშორებული „საარსებო მინიმუმისა“ და „სიღარიბის“ ცნებათა შინაარსობრივ დაახლოებისკენ.

დასკვნის მაგიერ. საქართველოში მოქმედი სურსათის მოხმარების ნორმები და „სასურსათო მინიმუმის“ ღირებულება რეალობას აცდენილია. არსებული არც თუ სასურველი მდგომარეობის შესაცვლელად, სახელმწიფომ აკადემიურ სექტორთან თანამშრომლობით, ყველა სხვა აუცილებლად გასატარებელ ღონისძიებასთან ერთად(ფერმერთა და კოპერატივთა მხარდაჭერა, სპეციალიზებული აგროსაკრედიტო სისტემის შექმნა, მელიორაციული და აგროტექზოოვეტ მომსახურების უზრუნველყოფა და სხვა) უნდა შეიმუშაოს სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგია (სამოქმედო გეგმა) და კვების ეროვნული პოლიტიკა,რომლის რეალიზაცია ყველაპასუხისმეგელი სახელმწიფო სტრუქტურის გააზრებულ მუშაობაზე იქნება დამოკიდებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი თორმატ ტომად, საქართველოს ეკონომიური ისტორია, პირველი ნაწილი, ტომი მეოთხე, თბილისი 1996.
2. ბახტაძე დ. კოღუაშვილი პ. ქართველთა კვების კულტურა. თბ. 2011.
3. საქართველოში კვების ეროვნული კვლევის ანალიზი. ოქსფამი,თბ. 2016.
4. ჩხეიძე შ. საქართველოს მოსახლეობისთვის დადგენილი საარსებო მინიმუმის შესახებ, „ახალი აგრარული საქართველო”, №5 (მაისი), 2016.
5. საქსტატი. „საარსებო მინიმუმი“, ბიულეტინი, ივლისი, 2016.

საქართველოს ტურიზმის საკანონმდებლო ხარვეზები და მათი გამოსწორების გზები

მარინა მეტრეველი,
სტუ-ს პროფესორი

რეზიუმე

საქართველოს მთავრობის მიერ ტურიზმის დარგი, ბოლო 20 წელია, ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად არის გამოცხადებული. 90-იანი წლების შემდგომ პერიოდში ბევრი რამ გაკეთდა დარგის რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციის კუთხით. მიუხედავად აშკარა პოზიტიური ცვლილებებისა დღემდე საქართველოს ტურისტული პოტენციალის მხოლოდ მცირე ნაწილია გამოყენეული და ათვისებული.

ძირითად პრობლემას რომელიც ხელს უშლის ტურისტული პოტენციალის სრულყოფილ რეალიზაციას არის დარგის საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფილება.

ნაშრომის მიზანია გამოავლინოს ტურიზმის კანონებში არსებული ხარვეზები და ჩამოაყალიბოს მათი აღმოფხვრის პრაქტიკული მიმართულებები.

კვლევის ამოცანებს წარმოდგენს: ტურიზმის სამართლებრივ-იურიდიული ველის სივიწროვესა და საკანონმდებლო ბაზის სიმწირესთან დაკავშირებული პრობლემების წარმოჩენა; საქართველოში ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკისა და სამართლებრივი გარემოს გაუმჯობესების აქტივობათა განხილვა.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმის სტრატეგია, ტურიზმის პოლიტიკა, ტურიზმის ინდუსტრია, ტურიზმის კანონი.

Legislative gaps of tourism in Georgia and solution ways

Summary

The Government of Georgia has declared tourism as the priority direction of economic development of the country for the last 20 years. After 90s, much has been done for rehabilitation and reconstruction of the hereof field. Despite of evident positive changes, only the small part of the tourist potential of Georgia has been used. The main problem, impeding realization of improvement of tourist potential, is named as imperfection of the respective legislative base.

The work aims to reveal the gaps existent in the current laws on tourism and to develop practical directions for elimination thereof.

The tasks of the survey are: identification of the problems related to limited legal area on tourism and scarcity of the legislative base; consideration of activities directed to improvement of legal environ and state policy on development of tourism in Georgia.

1990 წწ-ებში საქართველოში განვითარებული დრამატული ეკონომიკურ-პოლიტიკური მოვლენების მიუხედავად, ტურიზმის მიმართ ინტერესი ყოველთვის არსებობდა, რაც ტურიზმის განვითარების ეფექტური პოლიტიკის ჩამოყალიბების ინტერესს წარმოშობდა. მეცნიერ ჰოლის მოსაზრება სრულად ადასტურებს ამ დამოკიდებულებას ,,დარგის მართვის განხორციელებისთვის მთავრობა ირჩევს იმ ინსტრუმენტებსა და მექანიზმებს, რომლებიც გამოიყენება დარგში ეფექტური პოლიტიკის მიზნების გასატარებლად (Hall, C. M., 2011).

საქართველოს ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის გატარება დაიწყო 1997 წლიდან, როდესაც შეიქმნა ტურიზმის სახელმწიფო დეპარტამენტი, როგორც ტურიზმში სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი ორგანო (1997 წლიდან დღემდე მას რამდენჯერმე შეეცვალა სახელი, მაგრამ მისი ფუნქცია იგივე დარჩა) და მიღებულ იქნა „საქართველოს კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ“. კანონი მიმართული იყო სექტორში არსებული ლიბერალიზაციის შენარჩუნებისა და ინვესტიციების მხარდაჭერაზე. მთავრობას უნდა შეესრულებინა წამყვანი როლი ტურიზმის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრაში, რომელშიც სრულად იქნებოდა გათვალისწინებული ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალური და ორგანიზაციული ასპექტები.

მიღებული კანონის მოქმედებასთან დაკავშირებული იყო არანაკლებ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარული დაცვის ზონების შესახებ კანონის მიღება, რაც 1998 წლის 20 მარტს განხორციელდა. ორივე კანონს ერთად ტურიზმის განვითარების პოლიტიკა შესაბამისობაში უნდა მოეყვანა ქვეყნის განვითარების პოლიტიკასთან. ამასთან, ეროვნული და რეგიონული ამოცანები დომინირებული უნდა ყოფილიყო ლოკალურ და სექტორულ ინტერესებზე. კანონების საფუძველზე წარმოქმნილი რეგულირების მექანიზმების მოქმედების შედეგად ტურისტულ ინდუსტრიაში უნდა მიგვეღო, ტურ-პროდუქტის ფასისა და ხარისხის ისეთი თანაფარდობა, რომელიც კონკურენტუნარიანს გახდიდა მას, უპირველეს ყოვლისა, შიდა ბაზარზე. ასეთი უნდა ყოფილიყო მიზანთან მაქსიმალურად დაახლოვების შედეგები. მიუხედავად დარგის განვითარებაში განხორციელებული მასშტაბური ცვლილებებისა ტურიზმის განვითარების პოლიტიკა არასრულყოფილი აღმოჩნდა. დასახული მიზნების მიღწევის დონე კი არადამაკმაყოფილებელი.

აღნიშნული მდგომარეობის გამოსასწორებლად 2000 წელს TASIS-ის და 2008 წელს ამერიკის სავაჭრო პალატის დახმარებით შემუშავებულ იქნა დარგის განვითარებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო არ იქმნა რეალიზებული. 2015 წელს მსოფლიო ბანკის რეკომენდაციებზე დაყრდნობით, მიღებულ იქნა „საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2015/2025“, რომლის სახელმძღვანელო პრინციპებია (ციტატა სტრატეგიიდან):

1. **კერძო სექტორის წამყვანი როლი** - ტურიზმის განვითარება საბაზრო ტენდენციებზე დაყრდნობით, ინდუსტრიის თაოსნობითა და მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით უნდა მოხდეს.

2. **ბაზრების პრიორიტეტულობის განსაზღვრა** - საქართველოს ტურიზმის განვითარებისა და მარკეტინგის სტრატეგია უნდა იყოს ორიენტირებული ისეთი მიზნობრივი ბაზრების დაინტერესებასა და მომსახურებაზე, რომლებიც ჩადებული ინვესტიციიდან ყველაზე მეტ ამონაგებს მოიტანს.

3. **მთელი მთავრობის ჩართულობა** - ტურიზმის წარმატებული განვითარებისთვის აუცილებელია, რომ ამ ძალისხმევაში მთავრობის ყველა სამსახური მონაწილეობდეს, როგორც ადგილობრივ, ასევე ცენტრალურ დონეზე, საიმიგრაციო სამსახურით დაწყებული განათლებით, ინფრასტრუქტურითა და საზოგადოებრივი უსაფრთხოებით დამთავრებული.

4. **მთავრობის სრული ჩართულობა** - ტურიზმის სფეროს წარმატებული განვითარება საჭიროებს მთავრობის ყველა რგოლის ჩართულობას, როგორც ადგილობრივ, ასევე ცენტრალურ დონეზე, მათ შორის, საიმიგრაციო, განათლების, ინფრასტრუქტურის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურებისა და სხვა უწყებების კოორდინაციას.

5. **მდგრადობა** - „ეროვნული გეოგრაფიული საზოგადოების“ (National Geographic Society) „გეო-ტურიზმის“ კონცეფციის გათვალისწინება განვითარების პროცესში. „გეო-ტურიზმი“ - მოგზაურობის სახეობაა, რომელიც ორინეტირებულია დანიშნულების ადგილის გეოგრაფული თავისებურების შენარჩუნებასა და დაცვაზე, მათ შორის, გარემოს, ესთეტიკის, კულტურული მემკვიდრეობისა და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის ხელშეწყობაზე.

6. **საქართველოს სტუმარმოყვარეობის კულტურის განვრცობა მომსახურების სფეროზე** -ტრენინგების, განათლების ხელშეწყობისა და საზოგადოებაში ტურიზმის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლების გზით.

ტურიზმის ცნობილი მკვლევარები დრეჯი და ჯენკინსი აღნიშნავენ, ტურიზმის დაგეგმვასა და პოლიტიკაში ჩართული სამთავრობო, კერძო ბიზნესის და ადგილობრივი თემების მონაწილეები განსხვავებულად რეგირებენ ტურიზმის განვითარების პარამეტრებსა და მონაწილეთა ურთიერთობების საკითხებზე (Dredge, D., & Jenkins, J. 2011). აღნიშნული მოსაზრება პრინციპების დონეზე გათვალისწინებულია სტრატეგიაში, მაგრამ მთლიანობაში ზემოაღნიშნული პრინციპები, როგორც შინაარსობრივად, ასევე მისგან გამომდინარე დარგის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების თვალსაზრისით ვერ პასუხობს საქართველოს ტურიზმის განვითარების თანამედროვე გამოწვევებს და გრძელვადიან პერიოდში მისი განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს. მაგ., სტრატეგიის ძირითად მუხლებში ვხვდებით ისეთ „პრიორიტეტულ მიმართულებებს“, როგორებიცაა: მყარი ნარჩენების გაუმჯობესება; ვიზასთან დაკავშირებული მოთხოვნების შემცირება; საკრუიზო ლაინერების პორტებსა და ნავმისადგომებში ინვესტირება, კერძო სექტორისათვის შეღავათების დაწესება და საკრუიზო ლაინერების წახალისება დარჩენის გახანგრძლივების მიზნით და ა.შ. გარდა იმისა, რომ გაუგებარია რას გულისხმობენ ავტორები პრიორიტეტების შინაარსში, ასევე ჩამოთვლილი არ განეკუთვნება ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საქმიანობის სფეროსა და პრეროგატივას (აღნიშნული პრიორიტეტები მიეკუთვნება სხვადასხვა სახელმწიფო სააგენტოების რეგულირების სფეროებს). დოკუმენტში მრავლადაა ასეთი „უზუსტობანი“ და ადმიმინისტრაციის ყოველდღიური საქმიანობის გრძელვადიან პრიორიტეტებად წარმოჩენის მცდელობა. ამდენად, საეჭვოა რომ აღნიშნული დოკუმენტის პირობებში ტურიზმის სექტორული პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ქვეყნის საერთო განვითარების პოლიტიკასთან.[1*]

სამწუხაროდ საქართველოში ტურიზმის დარგის მეცნიერული კვლევა ახალი დაწყებულია, განსაკუთრებით დარგის პოლიტიკის მიმართულებით. ამიტომ სამეცნიერო კვლევების რაოდენობა, რომლებიც ქვეყანაში დარგის განვითარების პოლიტიკასა და საკანონმდებლო უზრუნველყოფას ეხება, ძალზე შეზღუდულია.

ქვეყანაში დღეს არსებული საქართველოს კანონი „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ მიღებულ იქნა 1997 წელს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ იგი მოძველებული და ვერ პასუხობს ტურიზმის განვითარების ახალ გამოწვევებს, ზოგიერთი მუხლი კი, მარტივად რომ ვთვათ, არ მუშაობს. კერძოდ, საქართველოს კანონს „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ არ აქვს პრეამბულა, სადაც განსაზღვრული უნდა იყოს დარგში გასატარებელი სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპები, მიმართული საქართველოს ერთიანი ტურისტული ბაზრის სამართლებრივი საფუძვლების ჩამოყალიბებისათვის.[2*]

მოქმედი კანონის I თავის მე-2 მუხლი შედგება

1. ტურიზმის ქარტიის მე-3 მუხლის მიხედვით, თითოეული სახელმწიფო მოვალეა: ბ) შეუფარდოს ტურიზმის პოლიტიკა საერთო განვითარების პოლიტიკას, რომელიც ხორციელდება ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე (აღიარებულია საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 25 იანვრის დადგენილებით).

2. ჰაგის დეკლარაციის დანართი, რეკომენდაცია IV. 89-ის მიხედვით, მთავრობებმა და პარლამენტებმა ძირითადი ყურადღება უნდა დაუთმონ ეროვნულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო იურიდიული დოკუმეტების გამოყენებას ტურიზმის სფეროში.

ძირითადი ცნებების განმარტებებისაგან, რომელიც არასრულია და საჭიროებს განახლებას. არსებული განმარტებები მოძველებულია და შინაარსობრივად დასახვეწია, აგრეთვე განმარტებებში არ არის მრავალი სხვა ცნება, რომელიც ტურისტული ინდუსტრიის ელემენტია და აღნიშნულ კანონში გამოიყენება.

თავი II. "სახელმწიფო პოლიტიკისა და სახელმწიფო რეგულირება ტურიზმის დარგში" მე-51 მუხლი მოიცავს დარგის მართვის რეგიონულ ორგანიზაციებს. ესენია: რეგიონული (სამხარეო) სამმართველოები, რომელთა სტრუქტურა და ფუნქციები განისაზღვრება ამ კანონით, ტურიზმისა და კურორტების მართვის სახელმწიფო ორგანოს მიერ დამტკიცებული შესაბამისი დებულებით. უნდა აღნინიშნოს რომ გაუქმებულია რეგიონული სამმართველოები. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ახალი დებულებით დარგის მართვის რეგიონული ორგანიზაციებია ტურიზმის რეგიონული მართვის სამსახურები, რომელთა სტრუქტურა და ფუნქციები განისაზღვრება მხოლოდ ადმინისტრაციის დებულებით და არა ამ კანონით.

კანონიდან ამოსაღებია მე-6 და მე-7 მუხლები, ვინაიდან გაუქმებულია ლიცენზიები ტურისტული და საკურორტო საწარმოებისათვის, აღარ არსებობს სტანდარტიზაცია და სერტიფიკაცია. არ არსებობს ტურისტული და საკურორტო საქმიანობის ლიცენზირებული სუბიექტების სახელმწიფო რეესტრი, რომელსაც აწარმოებდა დარგის მართვის უფლებამოსილი ორგანო.

მე-11 მუხლი მოძველებულია, რადგან მუხლის ჩანაწერის მიხედვით, ტურისტული და საკურორტო მომსახურება შეიძლება განხორციელდეს ხელშეკრულების, საგზურის და სამარშრუტო წიგნაკის გარეშე. სამარშრუტო წიგნაკი კი აღარ გამოიყენება 2000 წლის შემდეგ.

მე-17 მუხლის მე-2 ქვეპუნქტის ჩანაწერის მიხედვით ლიცენზირების შესახებ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე ამ კანონის მე-7 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებული ურთიერთობები უნდა მოწესრიგდეს საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დამტკიცებული შესაბამისი დებულების მიხედვით". გასათვალისწინებელია, რომ 2010 წლიდან ზემოაღნიშნულ ორგანიზაციას ეწოდება ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ხოლო მე-8 მუხლი ამოღებულ იქნა კანონიდან 2011 წლის 24 ნოემბერს. აღნიშნული უზუსტობები და კანონის მუხლების შეუსაბამობა თანამდედროვე გამოწვევებთან, ნათელს ხდის რომ იგი საჭიროა განახლდეს და ჰარმონიზებაში მოვიდეს ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

საქართველოს კანონი „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ" მიღებულ იქნა 1998 წელს. კანონის რეგულირების სფეროს წარმოადგენს საქართველოს კურორტებსა და საკურორტო ადგილებში საწარმოთა განთავსების, სამეწარმეო საქმიანობის, ბუნებრივი სამკურნალო რესურსებით სარგებლობისა და მოსახლეობის განსახლების აუცილებელ პირობების განსაზღვრა. კანონის მიღების მიზანია ბუნებრივი სამკურნალო რესურსების თვისებების შენარჩუნება და მათი დაბინძურების, გაფუჭებისა და გამოფიტვისაგან დაცვის მიზნით სანიტარიული დაცვის ზონების დადგენა.

აღნიშნულ კანონში 2006 წელს შევიდა ცვლილებები კურორტებზე საკანალიზაციო სისტემის დაპროექტებაა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებით, ხოლო 2011მიღებული ცვლილებებით განისაზღვრა ადგილობრივი თვითმართველობის უფლება-მოვალეობები სანიტარიული დაცვის ზონების საზღვრების დადგენას, დაპროეტებასა და დამტკიცებასთან დაკავშირებით. ასევე, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან შეთანხმებით, ამ კანონით გათვალისწინებულ საკითხებზე რეკომენდაციების გაცემასა და გასატარებელ ღონისძიებათა კოორდინაციის განხორციელებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ტურიზმის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის მიზნით, 2011 წელს დაიწყო და 2013 წლის მარტის თვეში დასრულდა ევროკავშირის პროექტი „თვინინგი", რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს ტურიზმის საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესებას. ავსტრიულმა კონსალტინგურმა კომპანიამ 2013 წელს შეიმუშავა რეკომენდაციები დარგის საკანონმდებლო ბაზის განახლებასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობდა საქართველოს კანონის „ტურიზმისა და კურორტების შესახებ" და საქართველოს კანონის „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარული ზონების დაცვის შესახებ" გაერთიანებას და ახალი საქართველოს კანონის „ტურიზმის შესახებ" შექმნას. დღემდე აღნიშნულ კანონთან დაკავშირებით საქმიანობა არ დაწყებულა. თუ გავითვალისწინებთ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების განვითარების სისწრაფესა და მრავალფეროვნებას, გასაგები იქნება რომ 2013 წელს მიღებული რეკომენდაციები, რომლის შემუშავებისთვის ევროკავშირმა 900 000 ევრო დახარჯა, სათანადოდ ვეღარ იქნება გამოყენებული.

ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს ქართული ტურისტული პროდუქტისათვის გლობალურ ბაზარზე კონკურენციული უპირატესობის შექმნაზე.

2014 წელს საქართველოში უცხოელ ტურისტთა რაოდენობამ 5,515,559 ადამიანს მიაღწია. წინა წელთან შედარებით ქვეყანაში ტურისტთა რაოდენობა 2 %-ით გაიზარდა, მაგრამ თუ საბაზისო წლად 2010 წელს ავიღებთ, ვნახავთ, რომ თითქმის 2,5-ჯერ არის გაზრდილი (დიაგრამა 1.).

დიაგრამა 1.

საერთაშორისო შემოსვლები 2010-2014



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ 2012 წლიდან ტურისტთა რაოდენობის ზრდის ტემპის შემცირება განაპირობა მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა პროცესებმა, მაგრამ ჩვენი აზრით მასზე ასევე დიდი გავლენა მოახდინა ქვეყანაში ტურიზმის პოლიტიკის არარაციონალურმა და არათანმიმდევრულმა განხორციელებამ.

უცხოელი ვიზიტორების დანახარჯებს ქვეყანაში დიდი გავლენა აქვს საქართველოს საგადამდელო ბალანზე. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, დაახლოებით 59% ქვეყნის მომსახურების ექსპორტის შემოსავლებიდან ტურიზმზე მოდის (ტრანსპორტი - 32%, სხვა - 9%). 2014 წელს შემოსავალი უცხოური ტურიზმიდან შეადგენდა 1.79 მილიარ აშშ დოლარს (ზრდა 4%) (ცხრილი 1.), ხოლო 2014 წელს საქართველოს მოქალაქეების დანახარჯებმა უცხოურ ტურიზმზე - 0.30 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. შედეგად, უცხოური ტურიზმის ბალანსი საქართველოში შეადგენდა 1.49 მლრდ აშშ დოლარი (ზრდა 4%).

ცხრილი 1.

შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან 2010-2014

	2010	2011	2012	2013	2014	2013-2014 ცვლილება %-ში
სულ	659,245	994,909	1.410.902	1.719.700	1.787,140	3,9
მათ შორის:						
I კვარტალი	100,685	163,990	235,931	302,818	315,461	4,2
II კვარტალი	136,565	222,250	330,827	426,524	429,690	0,7
III კვარტალი	231,913	326,569	487,721	604,202	649,775	7,5
IV კვარტალი	190,081	242,100	356,423	386,156	392,214	1,69

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 1. და ცხრილი 1.-ის მიხედვით 2010 წლიდან 2014 წლამდე ტურიზმიდან შემოსვლები გაზრდილია 271%-ით, ხოლო შემოსავლები გაიზარდა 261%-თ. საქართველოსთვის, როგორც მცირე ტერიტორიისა და უნიკალური ისტორიული და ბუნებრივი რესურსების მქონე ქვეყნისთვის პრიორიტეტულია ტურისტთა რაოდენობის შემცირება და შემოსავლების ზრდა. სწორედ ასეთი პრინციპით უნდა შეირჩეს მიზნობრივი ტურისტული ბაზრები და განხორციელდეს ტურისტული პროდუქტის სარეკლამო კამპანია და შესაბამისად, წინ წაწევის ღონისძიებები. აღნიშნული ემპირიული მონაცემების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სარეკლამო პოლიტიკა საჭიროებს გადახედვას. განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ძირითადი საქმიანობა მიმართულია, არა დარგის პოლიტიკის წარმართვაზე, არამედ ქართული ტურისტული პროდუქტის უცხოეთში რეკლამასა და წინ წაწევის ღონისძიებებზე (რაც უნდა შეასრულოს მარკეტინგულმა კომპანიამ). აღნიშნული დამამტკიცებლად შეიძლება მოვიყვანოთ ადმინისტრაციის ბიუჯეტი, სადაც დაახლოებით, ბოლო 10 წლის განმავლობაში 90%-ზე მეტი სახელმწიფო ხაზინიდან სწორედ მარკეტინგული ღონისძიებების განსახორციელებლად არის გამოყოფილი. არა და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია თავისი ფუნქციითა და საქმიანობით უპირველეს ყოვლისა, უნდა ემსახურებოდეს დარგის პრიორიტეტების განსაზღვრასა და ამ პრიორიტეტებთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას (მოძველებული კანონისა და დარგის მარეგულირებელი აქტების განახლებას, რეგიონებისა და მთლიანად ეროვნული სტრატეგიის შემუშავებას, დარგის მონაწილეების სტიმულირებასა და დაცვას და ა.შ.).

ტურიზმის განვითარების სწორი პოლიტიკის საფუძველზე, შიდა ბაზარზე უნდა გაიზარდოს ერთობლივი მოთხოვნა ტურ-პროდუქტზე (რომელიც აამაღლებს ტურ-პროდუქტისა და ტურისტული მომსახურების ხარისხს და გახდის მას კონკურენტულს შიგა ბაზარზე).[3*] საქართველოს ტურისტული ინდუსტრიის განვითარება თავის მხრივ გააუმჯობესებს ტურისტული პროდუქტის წარმოების ტექნოლოგიას (სატრანსპორტო ინდუსტრია, გზები, კომუნიკაციები, მომსახურების სტანდარტები, განთავსების საშუალებების გადანაწილება და გამრავალფეროვნება, ტურისტულ მარშრუტებზე სველი წერტილები, პიქტოგრამები და ა.შ.), რაც ჩამოაყალიბებს კონკურენციულ უპირატესობებს საერთაშორისო ბაზარზე.

ქვეყანაში შიგა ტურიზმის განვითარება დადებით ზეგავლენას ახდენს, როგორც ქვეყნის ეკონომიკაზე, ასევე სოციალურ-კულტურულ სფეროსა და ეკოლოგიაზე. იგი იწვევს ქვეყნის შიგნით ეკონომიკური აქტივობის სტიმულირებას, შემოსავლების გადანაწილებას და ხელს უწყობს რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონის გათანაბრებას. ქვეყანაში შიგა ტურიზმის განვითარება ხელს შეუწყობს

3 * ჰაგის დეკლარაცის ტურიზმის შესახებ, რეკომენდაცია I., დასკვნა 10-ის მიხედვით, შიგა ტურიზმის განვითარება ხელს უწყობს საბაზო ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნასა და სპეციალისტების მომზადებას, რაც ქვეყნებს დაეხმარება ტურიზმის საერთაშორისო ტურისტულ ინდუსტრიაში ჩართვასა და განვითარებაში.

მაღალმთიანი რეგიონების ტურისტული პოტენციალის შენარჩუნებას; შეამცირებს უცხოური ვალუტის ქვეყნიდან გადინებას და ქართული ვალუტის ლარის კურსის ვარდნას შეზღუდავს. იგი შექმნის წინაპირობას, საერთაშორისო ტურიზმის ერთ-ერთი მიმართულების, შემომყვანი ტურიზმის სათანადო რესურსების მობილიზებისა და მომსახურების სტანდარტების ამაღლებისთვის. ეს იქნება ბუნებრივი და მდგრადი სვლა ტურიზმის განვითარების ერთი ეტაპიდან მეორეზე.

საქართველოს ტურისტული პროდუქტის, როგორც შიდა, ასევე გარე ბაზარზე გატანისა და დამკვიდრებისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა შეიქმნას შესაბამისი ინფრასტრუქტურა და შემუშავდეს სწორი, თანმიმდევრული სარეკლამო პოლიტიკა, რომლისთვისაც შერჩეულ უნდა იქნას მიზნობრივი ბაზრები.

დასკვნა

აღსანიშნავია რომ საკმარისი არ არის აღნიშნულ კანონებში ცვლილებების შეტანა, ისინი საჭიროებენ გაერთიანებას და ახალი საქართველოს კანონი ,,ტურიზმის შესახებ“ მიღებას, რომლის ძირითად პრინციპებსა და მუხლებთან დაკავშირებით წარმოდგენილი გვაქვს რეკომენდაციები.

ზემოაღნიშნული რეკომენდაციების სრულყოფილი იმპლიმენტაციის მიზნით, ქვეყანაში სწორი პოლიტიკის განხორციელების პირველი რიგის ამოცანებია: ტურიზმის საკანონმდებლო უზრუნველყოფა და მისი ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია. ტურიზმის შესახებ კანონის საფუძველზე უნდა შემუშავდეს განვითარების მოკლევადიანი დაგრძელვადინი სტრატეგია, რომელიც თანხვედრაში იქნება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებთან (საქართველოს ეკონომიკის განვითარების გრძელვადიანი კონცეფციიდან გამომდინარე) შემაფერხებელი ფაქტორებისა და კრიზისული სიტუაციების გათვალისწინებით. რეკომენდაციების გათვალისწინება და მათი განხორციელება შესაძლებელს გახდის რაციონალურად იქნას გამოყენებული ქვეყნის მატერიალური, ბუნებრივი, კულტურული და ადამიანური რესურსი. ამავე დროს საზოგადოებრივ ღირებულებათა დაცვის კუთხით მოგვეცემა საშუალება ავიცილოთ ინტერესთა კონფლიქტები რომლებიც შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ადგილობრივ მოსახლეობასა და ტურისტული საწარმოების საქმიანობას შორის.

სახელმწიფოს მხრიდან ტურისტული საწარმოების მხარდაჭერა (რომელიც ჩვენს მიერ შეთავაზებულ რეკომენდაციებშია გათვალისწინებული) უნდა ხორციელდებოდეს სოციალური პასუხისმგებლობის საკითხების მაქსიმალური გათვალისწინებითა და მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების დაცვის საფუძველზე, ასეთი მიდგომა საშუალებას მოგვცემს ტურიზმი ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთ წამყვან დარგად გადავაქციოთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მეტრეველი, მ. (2011), ტურიზმის ეკონომიკა და პოლიტიკა, ფავორიტი პრინტი, თბილისი, საქართველო
2. მეტრეველი, მ. (2012), გარემო და ეკოტურიზმის მენეჯმენტი, ფავორიტი პრინტი, თბილისი, საქართველო
3. საქართველოს კანონი “ტურიზმისა და კურორტების შესახებ” https://matsne.gov.ge/en/document/view/33370
4. საქართველოს კანონი „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ“ http://economy.ge/en/economic-legislation/tourism
5. საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2015/2025 http://georgia.travel/
6. Dredge, D., & Jenkins, J. (Eds.). (2011). Stories of practice: Tourism policy and planning. Aldershot: Ashgate.
7. Hall, C. M. (2011). A typology of governance and its implications for tourism policy analysis. Journal of Sustainable Tourism, 19(4-5), 437-457.
8. Georgian Tourism in Figures (2015). Structure & Industry Data
9. Metreveli M., & Gogorishvili I. (2015). „Prospects to improve the tourist market operation in Georgia“, STRATEGICA 2015 - International Academic Conference 3th edition, 29-31 October 2015, Global versus. Local, Collection of Reports, p. 353-362, Bucharest, Romania, http://eventegg.com/strategica-2015/
10. UNWTO World Tourism Barometer (2015)
11. The Travel & Tourism Competitiveness Report (2015).World Economic Forum
12. http://wttc-infographic.org/
13. http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/bop/FTrade_January_%20March_2014_GEO.pdf
14. http://www.GNTA.ge
15. http://www3.weforum.org/docs/WEF_TT_Competitiveness_Report_2014.pd

კოოპერირებული საწარმოების განვითარების უზრუნველყოფა

დალი სილაგაძე,
აწსუ-ს ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

საკვლევი თემა ეძღვნება კოოპერირებული საწარმოების განვითარების უზრუნველყოფას, საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარება არა დამაკმაყოფილებელია,მაშინ როდესაც საქართველოს სოფლის მეურნეობა წარსულში (1990 წლამდე) აკმაყოფილებდა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 9 %-ს. საქართველო სურსათზე მოთხოვნილების 80-90 %-ს იმპორტული საქონლით იკმაყოფილებს.ამდენად, ამ სექტორის შემდგომი განვითარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, როგორც ქვეყნის უსაფრთხოების, ასევე სტაბილურობისათვის, სადაც დიდი როლი უნდა შეასრულოს კოოპერირებულმა საწარმოებმა. დღეს მიმდინარე პროექტებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამა, რომელიც არის მიმართული სოფლად მცხოვრები ფერმერებისათვის საინფორმაციო და საკოსულტაციო ცენტრების ჩამოყალიბებაზე, ხელისუფლებისათვის დახმარების გაწევაზე, ისეთი კანონების მიღებაზე,რომელიც ხელს შეუწყობს კოოპერაციას ფერმერებს შორის და სოფლის განვითარების მიზნით გრანტების გაცემას ფერმერებზე.

ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა შეგვესწავლა იმერეთის რეგიონში ევროპის დაფინანსებით შექმნილო კოოპერატივები, განსაკუთრებით ღვინის წარმოებაში და გამოვყავით "თერჯოლის ღვინო" და "მეღვინეობა საზანო".რისთვისაც გამოვიყენეთ გამოკითხვის, დაკვირვების და ანალიზის მეთოდი (მონაცემების მოგროვება და ანალიზი).

დასკვნის სახით გვინდა ვთქვათ, რომ მევენახეობის დარგში კოოპერირების დონე საკმაოდ დაბალია, რეგიონში არსებული რამოდენიმე კოოპერატივი არსებითად ვერ ქმნის ამინდს დარგში, თუმცა ინდივიდუალურ მწარმოებელთა შორის არსებობს არაფორმალური ურთიერთობები, რომლის ფარგლებშიც ისინი აწვდიან ერთმანეთს ინფორმაციას შესაწამლი საშუალებების, მყიდველების და სხვა საკითხების შესახებ. ჯკვლევამ აჩვენა, რომ წვრილი საოჯახო მეურნეობების ინტერესი და ნდობა კოოპერატივში გაწევრიანებასთან დაკავშირებით არის დაბალი.კოოპერირების ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს ისიც, რომ საოჯახო მეურნეობები თავს იკავებენ ზვრების გაერთიანებისაგან. ჩვენთან ის პრობლემაა, რომ კოოპერატივის წევრებს მცირე მიწები აქვთ და ბიზნესი ვერ ფართოვდება. თუ კოოპერატივები გაერთიანდებიან, ერთობლივად მეტი პროდუქციის მოყვანა და გასაღება იქნება შესაძლებელი.

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ კოოპერირების დონე საკმაოდ დაბალია მეფრინველეობის დარგშიც.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების, მეწარმეობის, გადასახადებისა და გრანტების შესახებ საქართველოს კანონებში შეტანილმა ცვლილებებმა უნდა შექმნას სოფლად ეკონომიკის სტიმულირებისა და განვითარების რეალური შესაძლებლობა ბიზნესზე ორიენტირებული ფერმერთა გაერთიანებების და კოოპერირებული საწარმოების განვითარების უზრუნველსაყოფად, თუმცა ამ შედარებით უფრო ხელსაყრელ გარემოშიც კი წარმატებული და მდგრადი კოოპერატივების ჩამოყალიბება რთული პროცესია.

საკვანძო სიტყვები: სოფლის მეურნეობა, აგრარული სექტორი, კოოპერირებული საწარმოები, განვითარება, უზრუნველყოფა

Ensuring the development of cooperative enterprises

Summary

Research topic is devoted to the development of cooperative enterprise. The development of the agricultural sector is unsatisfactory. The agriculture satisfied the requirement of food previously (until 1990) and created 55% of national income. Nowadays it involves 9% of the country's products. Georgia uses 80-90% of imported things for the requirement of food. So, the development of this sector is vitally important for the security and stability of our country. The cooperative enterprises have great role in this field. Today, the most important project is EMPARD. It is sponsored by European Union. It is directed to the farmers who live in the villages. It is good for the formation of the informational and advisory centers. It helps the government to pass the laws which will help the cooperation between farmers and give grants to the farmers to develop the agriculture.

The aim of my research is to study the cooperation in Imereti regions. They are sponsored by Europe. We are interested in wine producing and we have chosen 'wine of Terjola' and 'wine-making Sazano'. We use the methods of interview, observation and analyses (collecting information and analyses).

To sum up, the level of cooperation is too low. Some cooperation which exists now can't change the situation in this field. Some individual producers have informal relationships. They share information about poisoning facilities, clients and other issues. Research shows that the interest of small housekeeping and the faith of joining in the cooperative society are low. One of the adverse factors is that housekeeping avoids uniting vineyards. The main problem for us is that the members of cooperative society have small lands and the business can't expand. If the members of cooperative society unite, we'll be able to grow more crops and sell more.

According to our research results, the level of cooperation is very low in poultry farming.

New changes in Georgian law should create the stimulation and development of economy. These changes are about agriculture, cooperative societies, enterprise, taxes and grants. This law should manage to unite and develop

the cooperation societies. It is very difficult to form stabile and successful cooperations even in better conditions.

* * * * * *

საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარება არადამაკმაყოფილებელია,მაშინ როდესაც საქართველოს სოფლის მეურნეობა წარსულში (1990) წლამდე აკმაყოფილებდა ქვეყნის სასურსათო მოთხოვნილებას და ქმნიდა ეროვნული შემოსავლის 55 %-ს, ამჟამად იგი ქმნის მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 9 %-ს.საქართველოს სურსათზე მოთხოვნილების 80-90 %-ს იმპორტული საქონლით იკმაყოფილებს.

საქართველოს აგრო სექტორი დღეისათვის ვერ უზრუნველყოფს იმ რაოდენობის პროდუქტების წარმოებას,რაც დააკმაყოფილებდა მოსახლეობის როგორც კვების ფიზიოლოგიური ნორმებით

გათვალისწინებულ, ასევე გადახდისუნარიან მოთხოვნასაც. 2013 წელს 1990 წელთან შედარებით საქართველოში შემცირებულია უმეტესი სასურსათო პროდუქტების მოხმარების დონე.

დაბალია თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლების სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქტებზეხორცზე, კვერცხზე და ა. შ. მართალია ქვეყანაში სურსათის დეფიციტი არ აღინიშნება,მაგრამ მისი დაბალანსების შევსება ხდება იმპორტული პროდუქტებით. პროდუქცია ადგილობრივ წარმოებასთან შედარებით იაფია, მაგრამ მათი უმრავლესობა გენომოდიფიცირებულია, ანუ შეიცავს ადამიანის ჯანმრთელობისთვის მეტად საშიშ ინგრედიენტებს.

სპეციალისტთა ყველაზე ოპტიმისტური პროგნოზით 2030 წლისთვის მსოფლიოში ხორცის დეფიციტი 40 მლნ. ტონა იქნება, მარცვლეულისა კი 526 მლნ. ტონა. ასე რომ უახლოეს 15-20 წელიწადში სურსათზე მოთხოვნა მიწოდების ბალანსში დიდი რღვევის დაწყებას ექნება ადგილი, ამ საშიშროების წინაშე დადგება საქართველოც. თუ ეს ვითარება წარმოიშვა, მაშინ სხვა ქვეყნებიდან, თუნდაც დაბალხარისხიანი სასურსათო პროდუქციის მიღების იმედი გაქრება. ამიტომ საქართველომ თავისი მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების განსავითარებლად ამ თავითვე ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას.

საქართველოში სოფლის მეურნეობისაკენ შემობრუნება მხოლოდ ამ უკანასკნელ წლებში დაიწყო. პროგრამები "იაფი კრედიტი" და "აწარმოე საქართველოში" პროგრამის 46 მილიონი ლარი დაფინანსებიდან 30 მილიონი ლარი წარიმართა სოფლის მეურნეობისაკენ, მაგრამ არც ეს თანხებია საკმარისი და როგორც ფერმერები ჩივიან სოფლის მეურნეობის სააგენტოში, მეწარმეობის სააგენტოში და კომერციულ ბანკებში დიდ ბიუროკრატიზმს აქვს ადგილი.

ასევე ჩივიან მეფრინველეობის ფაბრიკებიც, ინდმეწარმეებიც და ის ოჯახებიც,რომლებსაც ახლა სურთ დაიწყონ საქმე. თუ საქართველოს მთავრობა უპირობოდ არ დაუდგება მათ გვერდით ფინანსურადაც და მეთოდურადაც, თავისი ძალებით ისინი ვერ შეძლებენ მეფრინველეობის პროდუქციით ქვეყნის თვითუზრუნველყოფას და ვერც კონკურენციას გაუწევენ იმპორტს.

ამდენად, ამ სექტორის შემდგომი განვითარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, როგორც ქვეყნის უსაფრთხოების, ასევე სტაბილურობისათვის. დღეს მიმდინარე პროექტებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამა EENPARD რომელიც არის მიმართული სოფლად მცხოვრები ფერმერებისათვის საინფორმაციო და საკონსულტაციო ცენტრების ჩამოყალიბებაზე, ხელისუფლებისათვის დახმარების გაწევაზე ისეთი კანონების მიღებაში,რომელიც ხელს შეუწყობს კოოპერაციას ფერმერებს შორის, და სოფლის განვითარების მიზნით გრანტების გაცემას ფერმერებზე.

ევროპის სამეზობლო პროგრამა საქართველოში სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის (EENPARDE საქართველო) ევროკავშირის მიერ 52 მლნ.ევროთი დაფინანსებული პროგრამაა. 2012 წლის დეკემბერში ხელმოწერილო პროგრამა მიზნად ისახავს საკვების წარმოების ხელშეწყობას და სოფლად არსებული სიღარიბის აღმოფხვრას. გრანტების მინიჭების გარდა, ასევე ანხორციელებს საქართველოს მთავრობის პირდაპირ ფინანსურ მხარდაჭერას სოფლის მეურნეობის სფეროში სტრატეგიის განხორციელებისათვის და უზრუნველყოფს ცოდნისა და უახლესი მიდგომების გაზიარებას სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოსათვის.

ევროკავშირის მხარდაჭერის ფარგლებში 2013 წელს საქართველოში მიღებული იქნა კანონი სასოფლო-სამეურნეო კოპერატივების შესახებ. ამ დროისათვის ევროპული მაგალითის მიხედვით 350-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივია დარეგისტრირებული.

ბიზნესზე ორიენტირებული კოოპერატივები თანამედროვე სოფლის მეურნეობაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ მთელს მსოფლიოში, მცირე ფერმერების უმრავლესობა კოოპერატივებში არიან გაერთიანებულნი. ევროპაში სოფლის მეურნეობის სფეროში ნაწარმის დიდი ნაწილი სწორედ კოოპერატივების მიერაა წარმოებული.

ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა შეგვესწავლა იმერეთის რეგიონში ევროპის დაფინანსებით შექმნილი კოოპერატივები, განსაკუთრებით ღვინის წარმოებაში და გამოვყავით "თერჯოლის ღვინო" და "მეღვინეობა საზანო", რომლებმაც ევროკავშირის დაფინანსებული პროგრამის ENPARD-ის ფარგლებში და ჩეხური ორგანიზაცია "ადამიანი გაჭირვებაში" (People in Need) მიიღო თანადაფინანსება ტექნიკური აღჭურვილობის შეძენისათვის,რაც ღვინის წარმოების გაზრდას,ბოთლებში ჩამოსხმასა და ეტიკეტირების სისტემის შექმნას მოხმარდა. მათი დახმარებით , რომელმაც 7662 ლარი შეადგინა, კოოპერატივმა "მეღვინეობა საზანო" უახლესი ტექნიკური საშუალებები მიიღო და ამ აქტივების საშუალებით ადგილობრივი ღვინის ევროპული სტანდარტებით ჩამოსხმას შეძლებს, მისი

წარმოების მოცულობა პირველი წლისთვის 600 ლიტრი იქნება. ხოლო კოოპერატივის "თერჯოლის ღვინო" ტექნიკური გადაიარაღებისთვის ENPARD-ის და -ის თანადაფინანსებამ 74365 ლარი შეადგინა, რაც მას საშუალებას მისცემს პირველწელს 2850 ლიტრი ღვინო აწარმოოს, რომლის მთლიანი ღირებულება 72 456 ლარი იქნება.

მევენახეობის დარგში კოოპერირების დონე საკმაოდ დაბალია, რეგიონში არსებული რამდენიმე კოოპერატივი არსებითად ვერ ქმნის ამინდს დარგში, თუმცა ინდივიდუალურ მწარმოებელთა შორის არსებობს ფოპმალური ურთიერთობები, რომლის ფარგლებშიც ისინი აწვდიან ერთმანეთს ინფორმაციას შესაწამლი საშუალებების,მყიდველების და სხვა საკითხების შესახებ.

კვლევამ აჩვენა,რომ წვრილი საოჯახო მეურნეობების ინტერესი და ნდობა კოოპერატივში გაწევრიანებასთან დაკავშირებით არის დაბალი და ამის წარმატებული პრეცედენტებიც თითქმის არ არსებობს. კოოპერირების ერთ ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს ისიც, რომ საოჯახო მეურნეობები თავს იკავებენ ზვრების გაერთიანებისაგან.

კვლევამ აჩვენა, რომ წვრილი საოჯახო მეურნეობების ინტერესი და ნდობა კოოპერატივში გაწევრიანებასთან დაკავშირებით არის დაბალი და ამის წარმატებული პრეცენდენტებიც თითქმის არ არსებობს. ჯოოპერირების ერთ-ერთ ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს ისიც, რომ საოჯახო მეურნეობები თავს იკავებენ სხვების გაწევრიანებისკენ.

ჩვენთან ის პრობლემაა, რომ კოოპარატივის წევრებს მცირე მიწები აქვთ და ბიზნესი ვერ ფართოვდება. თუ კოოპერატივები გაერთიანდებიან, ერთობლივად მეტი პროდუქციის მიყვანა და გასაღება იქნება შესაძლებელი. რაც შეეხება საგადასახადო შეღავათებს, კოოპერატივები გადასახადებისაგან 2018 წელს თავისუფლდება. რეალუარდ კი ახლად შექმნილ ორგანიზაციებს ფინანსური შეღვათები ახლა სჭირდებათ.

კვლევამ აჩვენა, რომ მთავარი მიმართულება, რომელშიც ღვინის ადგილობრივი მწარმოებლები სახელმწიფოს მხარდაჭერას მოითხოვენ არის შემდეგი: საერთაშორისო ბაზრების მოძიება და ამ ბაზრებზე ფალსიფიკაციასთან ბრძოლაში დახმარება; თანამედროვე მექანიზაციის საშუალებებსა და ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა შეღავათიანი გრძელვადიანი საკრედიტო რესურსების გამოყენების გზით, ან ამ საშუალებათა ლიზინგის წესით აღების შესაძლებლობების გაჩენა; თანამედროვე განათლება. ფერმერები, ასევე, მნიშვნელოვნად მიიჩნევენ ინფორმაციის მიღებას დარგში არსებულ სიახლეებზე, ისეთი საკითხების შესახებ როგორიცაა ვაზის მოვლა, ეფექტური შესაწამლი საშუალებები და მათი გამოყენების წესები და ა.შ. თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა; კოოპერაციის განვითარება; მსხვილი ინვესტიციების მოზიდვა; ღვინის ტურიზმის განვითარების შესაძლებლობა; ახალი ბაზრების ათვისება; ეკოლოგიურად სუფთა ბიო პროდუქციის წარმოება. ვინაიდან საქართველოში ღვინის წარმოების რესურსი არ არის განუსაზღვრელი, ამიტომ აქცენტი გადატანილი უნდა იქნეს ეკოლოგიურად სუფთა მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოებაზე, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება საერთაშორისო ბაზრებზე საშუალო და მაღალ საფასო სეგმენტში; კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობა დარგში. იმის გამო, რომ არსებული მეურნეობები მცირე ზომისაა, თითოეული ცალცალკე ვერ ახერხებს თანამედროვე ძვირადღირებული ტექნიკისა და ტექნოლოგიების შეძენას და დანერგავს, რაც აუცილებელია ხარისხიანი პროდუქციის წარმოებისა და ზოგადად დარგში პროდუქტიულობის გაზრდისათვის. ამ პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი ეფექტური გზა შეიძლება იყოს კოოპერირების საშუალებით მეურნეობების მოცულობის ზრდა; ახალი ბაზრების ათვისება. წარმოების მოცულობის ზრდის კვალობაზე, მისი შემდგომი სტიმულირებისათვის აუცილებელია ახალი ბაზრების მოძიება,რაზედაც აქტიურად მუშაობს ღვინის ეროვნული სააგენტო; დივერსიფიკაციის შესაძლებლობების ათვისება. დარგში მოქმედი ფერმერებისათვის მონათესავე სექტორების ათვისება შემოსავლების ზრდის მნიშვნელოვანი საშუალება გახდება, იქნება ეს არყის, ბრენდის წიპწის ზეთის წარმოება.

ჩვენ ასევე შევისწავლეთ მეფრინველეობის კოოპერატივი „საკირე",რომელიც ტყიბულშია, მასში 5 ფერმერია გაერთიანებული.კოოპერატივი ძირითადად ცოცხალ ქათამსდა წიწილებს ჰყიდის.ამ ფერმერებმა ჩათვალეს, რომ არსებობს საბაზრო ნიშა გლეხური ქათმის წარმოებისათვის,რადგან გლეხური ქათამი ბროილერთან შედარებით ბევრად უფრო გემრიელია. კოოპერატივის მიზანია, რომ გლეხური ქათმის კომერციული წარმოება ააწყონ. გლეხებს არ აქვთ ფინანსური შესაძლებლობა იმისათვის, რომ თუნდაც გრძელ ვადიან პერსპექტივაში საკუთარი წარმოება გადააწყონ და ახალ სტანდარტებს მოარგონ. მათ დახმარება შესთავაზა ჩეხურმა ორგანიზაციამ „ადამიანი გაჭირვებაში" (PfeopleinNeed), რათა არ შეექმნათ პრობლემები სურსათის უვნებლობის რეგულაციებთან. კოოპერატივს უყიდიან ინკუბატორს, გალიებს და ტრაქტორს, რომელიც ფრინველის საკვების წარმოებისათვის სჭირდებათ. გრანტის სახით 11 500 ევროს მიიღებენ.ჩეხური ორგანიზაცია კოოპერატივს, რომ დაეხმაროს,ის ორგანიზაციის მინიმალურ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს-კოოპერატივში სულ მცირე 5-6 ფერმერი უნდა იყოს გაერთიანებული.

მეფრინველეობის დარგში კოოპერირების დონე საკმაოდ დაბალია და მხოლოდ იმით შემოიფარგლება, რომ მწარმოებლები პირადი ურთიერთობების საფუძველზე აწვდიან ერთმანეთს ინფორმაციას საკვების, მედიკამენტების, მყიდველების და სხვა საკითხების შესახებ.

კვლევამ აჩვენა, რომ მთავარი მიმართულება, რომელშიც ფრინველისა და კვერცხის მწარმოებლები სახელმწიფოს მხარდაჭერას მოითხოვენ არის შემდეგი:

კვერცხის წარმოება ქვეყანაში იბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით (განსხვავებით სოფლის მეურნეობის სხვა პირველადი წარმოების პროდუქტებისაგან), რაც ზრდის ადგილობრივი ნა-

წარმის თვითღირებულებას და არაკონკურენტუნარიანს ხდის მას იმპორტირებულ პროდუქციასთან შედარებით. ამასთან, კვერცხის წარმოება იმ ქვეყნებში საიდანაც ხდება იმპორტი საქართველოში საკმაოდ მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათებით სარგებლობს; საქართველოში ფრინველის კვერცხის იმპორტისათვის აუცილებელია სპეციალური ნებართვა სოფლის მეურნეობის სამინისტროსაგან, რომელსაც იმპორტით დაინტერესებული პირები საკმაოდ მარტივი პროცედურების გავლის შედეგად იღებენ, განსხვავებით წინა წლებისაგან, როცა ფრინველის გრიპის შემოტანის რისკის არსებობის გამო პრაქტიკულად შეზღუდული იყო კვერცხის იმპორტი ქვეყანაში.

ღირებულებათა ჯაჭვის გაუმჯობესების პოტენციალი:

ფერმერული მეურნეობების გამსხვილებისათვის ხელისშეწყობა. წვრილი ფერმერული მეურნეობებისათვის ძნელად ხელმისაწვდომია სამაცივრე და სხვა საჭირო მეურნეობის მოწყობა, რომლებიც ზრდიან მეურნეობის პროდუქტიულობას. აღნიშნული პრობლემის მოგვარების ერთერთ გზას კოოპერირების განვითარება წარმოადგენს. საკვებწარმოების ბაზის განვითარება. ქვეყანაში მარცვლეული კულტურების წარმოების გაფართოება და მათი ფასის შემცირება გამოიწვევს მეფრინველეობის პროდუქციის (ხორცი, კვერცხი) წარმოების თვითღირებულების შემცირებას, რაც გაზრდით მათ კონკურენტუნარიანობას. თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ფერმერებისათვის. ფერმერთა დიდი ნაწილი იყენებს მოძველებულ ტექნოლოგიებს, რის გამოც დაბალია პროდუქტიულობის დონე. არსებული მეფრინველეობის ფერმების თანამედროვე ტექნოლოგიებით და ტექნიკით აღჭურვისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს სალიზინგო სისტემა. პროდუქტიული ჯიშების გავრცელების ხელისშეწყობა. თანამედროვე პროდუქტიული ჯიშების გამოყენება, როგორც მეხორცეობაში ისე კვერცხის წარმოებაში, მნიშვნელოვნად გაზრდის დარგის პროდუქტიულობას.

კოოპერატივები ფუნქციონირებს ბაღდათში-ვაზის სანერგე მეურნეობის და სიმინდის წარმოების „მშვილდი“.

იმერეთის რეგიონში გვხვდება აგროკრედიტებით დაფინანსებული საწარმოები- სასათბურე მეურნეობები, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმები, რძის გადამამუშავებელი საწარმო.

სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგიაში ხაზგასმითაა აღნიშნული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინტეგრირებული განვითარება.თანამედროვე,ბიზნესზე ორიენტირებული კოოპერატივები,ის აუცილებელი საშუალებაა, რომელიც საქართველოს მცირე ფერმერს დაეხმარება მაქსიმალური სარგებელი მიიღოს ასოცირების შეთანხმებიდან და საშუალებას მისცემს მას თავისი საქმე იმ პრინციპებზე ააგოს, რომელიც ევროპული სოფლის მეურნეობას უდევს საფუძვლად.

კოოპერატივების საგრანტო სქემა მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდას და ბიზნესზე ორიენტირებულ ფერმერთა მცირე ჯგუფისათვის ან სოფლის მეურნეობის კოოპერატივებისათვის შემოსავლების გაუმჯობესებას ფინანსურად მდგრადი საქმეების დანერგვის მეშვეობით. ამიტომ კოოპერატივებს, რომლებმაც განაცხადი შეიტანეს გრანტზე ჩაუტარდებათ ტრენინგები.

ამდენად მითი,რომ ევროკავშირი სოფლის მეურნეობას ანგრევს უსაფუძვლოა. რეალურად სოფლის მეურნეობის განვითარებას, სოფლად დასაქმების გაუმჯობესებას, ხარისხიანი პროდუქციის წარმოებასა და მათ ევროპულ ბაზარზე გატანას უწყობს ხელს. ამ მიზნით ორი ძირითადი პროექტი ENPARD-i (ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის) და CIB (ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარება) ხორციელდება.

სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების, მეწარმეობის, გადასახადების და გრანტების შესახებ საქართველოს კანონებში შეტანილმა ცვლილებებმა უნდა შექმნას სოფლად ეკონომიკის სტიმულირებისა და განვითარების რეალური შესაძლებლობა ბიზნესზე ორიენტირებულ ფერმერთა გაერთიანებების და კოოპერირებული საწარმოების განვითარების უზრუნველსაყოფად,თუმცა ამ შედარებით უფრო ხელსაყრელ გარემოშიც კი წარმატებული და მდგრადი კოოპერატივების ჩამოყალიბება რთული პროცესია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ENPARD-ი ევროკავშირის სამეზობლო პროგრამა-სოფლის მეურნეობისა და სოფლის სექტორების განვითარების შეფასება აღმოსავლეთ პარტნიორების ქვეყნებში.საქართველო
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://geostat.ge
3. საინფორმაციო — ანალიტიკური პორტალი, ქართული ღვინის კომპანიები http://vinoge.com/qarTuli-Rvinis-kompaniebi
4. ღვინის ეროვნული სააგენტო, http://georgianwine.gov.ge/
5.ქართული ღვინის ასოციაცის http://www.gwa.ge
6. ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები, 2015-2018 წლები, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო,http://www.mof.ge/BDD;
7.WineIntitute, WorldStatistics, http://www.wineinstitute.org/resources/statistics
8. აგრარული განვითარების ჯგუფი www.agro.ge/index.php?m=1089
9. სურსათის ეროვნული სააგენტო http://nfa.gov.ge/index.php/lang_id=GEO&sec_id=89
10. აგრო თრეიდინგ ჯორჯია http://agrotrading.ge/index.php?page=324&news_id=38&lan

სასურსათო უსაფრთხოება ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემაში

კახაბერ ციმინტია,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

ეკონომიკური უსაფრთხოების ფუნქციონალურ ინდიკატორებს შორის სასურსათო უსაფრთხოების ინდიკატორებიც უნდა განიხილებოდეს. სასურსათო უსაფრთხოებას, თავისი არსიდან გამომდინარე განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემაში, რადგანაც სასურსათო უსაფრთხოების მიღწეული დონე, საზოგადოების მთავარი მიზნის — მოსახლეობის ცხოვრების მაღალი დონისა და ხარისხის ერთ-ერთი შედეგობრივი მახასიათებელია.

არსებული მონაცემები და განხორციელებული გათვლები ადასტურებენ, რომ საქართველოში აგროპროდუქციის წარმოების და თვითუზრუნველყოფის პარამეტრებთან ერთად, კვლავაც არასასურველია სურსათისადმი ხელმისაწვდომობის არსებული დონე. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის შემოსავლები არასაკმარისია რეკომენდირებული მინიმალური სასურსათო კალათის შემადგენლობაში შემავალი სურსათის მისაღებად.

სასურსათო უსაფრთხოების მისაღები პარამეტრების უზრუნველსაყოფად უპირველეს ამოცანად მიგვაჩნია: იმპორტშემცვლელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების განვითარების პროგრამის შემუშავება-განხორციელება; სიღარიბის დაძლევის და აგრარულ სექტორში მწარმოებლურობის ამაღლების ღონისძიებების განხორციელება.

საკვანძო სიტყვები: სასურსათო უსაფრთხოება. ეკონომიკური უსაფრთხოება. სურსათისადმი ხელმისაწვდომობა. სურსათით თვითუზრუნველყოფა. სურსათის მოხმარება

Food Safety in the System of Economic Safety
Summary

The indicators for food safety should be included among the functional indicators for safety, as the food safety, due to its importance, holds a special place in the system of economic safety.

The existing data and calculations implemented certify that the level of access to food as well as the ability to manufacturing agro products and a the level of self-reliance is still unsatisfactory. The revenues of the significant part of the population are not enough to buy the composition of the minimum food basket.

In order to ensure adjustable security norms, we consider that the followings are to be done foremost: development and implementation of the program for production of importing agro products ; implementation of measures for Poverty Reduction and improvement of the productivity of Agricultural Sector.

* * * * * *

ეკონომიკური უსაფრთხოება ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ნაწილია და პიროვნების, საზოგადოების, სახელმწიფოს ეკონომიკური ცხოვრების ყველა მხარეს მოიცავს. მისი უზრუნველყოფა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების საერთო კონტექსტში ხორციელდება და ეროვნული ინტერესების მიზნების რეალიზაციას ემსახურება. ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების დახასიათებისათვის მრავალფეროვანი მაჩვენებლები გამოიყენება, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი ეკონომიკური უსაფრთხოების ფუნქციონალურ ინდიკატორთა სისტემას უჭირავს, რომელიც შემდეგ ინდიკატორებს გულისხმობს: ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობის ინდიკატორები; სოციალური უსაფრთხოების ინდიკატორები; ფინანსური უსაფრთხოების ინდიკატორები. ჩვენი აზრით, ეკონომიკური უსაფრთხოების ფუნქციონალურ ინდიკატორებს შორის სასურსათო უსაფრთხოების ინდიკატორებიც უნდა განიხილებოდეს, რამდენადაც სასურსათო უსაფრთხოებას, თავისი არსიდან გამომდინარე განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემაში. სასურსათო უსაფრთხოების მიღწეული დონის ანალიზისა და ამ მიმართულებით არსებული პრობლემების გამოვლენის გარეშე კი ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების მიღწეული დონისა და არსებული გამოწვევების ყოველმხრივი და სრულყოფილი დახასიათება შეუძლებელია, რამდენადაც სასურსათო უსაფრთხოების მიღწეული დონე, საზოგადოების მთავარი მიზნის — მოსახლეობის ცხოვრების მაღალი დონისა და ხარისხის ერთ-ერთი შედეგობრივი მახასიათებელია.

აღსანიშნავია, რომ FAO-ს მიერ სასურსათო უსაფრთხოების შეფასების მაჩვენებელთა სისტემა შემდეგი ოთხი მიმართულებითაა წარმოდგენილი: პროდუქტების არსებობა (წარმოების მოცულობა, მოსავლიანობა (პროდუქტიულობა), მარაგების დონე, დანაკარგები და ა. შ.); სურსათისადმი ხელმისაწვდომობა (არსებული შემოსავლების პირობებში საჭირო ოდენობით სურსათის შეძენის ეკონომიკური შესაძლებლობა, სურსათის მიწოდების შესაძლებლობა და ა.შ.); სურსათით უზრუნველყოფის სტაბილურობა (საკმარისი რაოდენობის სურსათის არსებობა სხვადასხვა პერიოდში, სურსათის ფასების

ცვლილება და ა.შ. რაც განიხილება სტიქიური უბედურებებისა და სოციალური არეულობის პირობებში სურსათის შესაძლო უკმარისობის კონტექსტში); სურსათის მოხმარება (სურსათის ფაქტიური მოხმარების და მოხმარების ფიზიოლოგიურ ნორმებთან შესაბამისობა: კალორიები, ცილები, ცხიმები, მიკროელემენტები და ა. შ.) (5; გვ. 65);

ყველაზე ფართო გაგებით, სასურსათო უსაფრთხოება გულისხმობს ქვეყნის ეკონომიკისა და შესაბამისი ინსტიტუტების უნარს, უზრუნველყოს ეკოლოგიურად წმინდა სურსათის სტაბილური საკმარისობა და ხელმისაწვდომობა, თვითუზრუნველყოფის გარკვეული დონის პირობებში. FAO-ს სასურსათო უსაფრთხოების კონცეფციაში გამოყოფენ შემდეგ ძირითად პირობებს: სასურსათო უსაფრთხოება არ გულისხმობს სრულ თვითუზრუნველყოფას; ქვეყანა უნდა აწარმოებდეს თავისი საჭიროებისათვის საკმარის პროდუქტებს, თუ მას ამ პროდუქტების წარმოებაში შეფარდებითი უპირატესობა გააჩნია; ქვეყანას უნდა გააჩნდეს სურსათის საჭირო რაოდენობის იმპორტისა და სურსათზე მოქალაქეების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა; მთავრობამ უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო სურსათზე ფიზიკური და ეკონომიკური ხელმისაწვდომობა (4; გვ.5).

CC საუკუნის ბოლოსათვის სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა ცალკეული ეკონომიკური სისტემისა და ლოკალური საზოგადოებრივი დონიდან უკვე გლობალურ პარამეტრებზე გავიდა, რადგანაც მჭიდროდ უკავშირდება ენერგიის ახალი წყაროების გამოყენების, გარემოს დაცვის, უახლესი ბიოტექნოლოგიების დანერგვის პრობლემებს. ამავდროულად, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლებისთვის სასტარტო პირობების ფორმირებაში, რადგანაც ცალკეული ინდივიდებისთვის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა გულისხმობს იმ რაოდენობის, ასორტიმენტისა და ხარისხის კვების პროდუქტების მოპოვებისა და მოხმარების შესაძლებლობას, რომელიც აუცილებელია ადამიანის განვითარებისა და აქტიური ცხოვრების უზრუნველყოფისთვის.

საქართველო, რომელიც აგრარული ტრადიციების ქვეყანაა, გამოირჩევა აგრარული სექტორის განვითარებისთვის ხელსაყრელი გეოგრაფიული, ბუნებრივ-კლიმატური და შრომითი მონაცემებით. მთელი რიგი აგროპროდუქციის წარმოებისთვის ქვეყანაში არსებული საბაზო რესურსები განვითარებული სოფლის მეურნეობისთვის ხელსაყრელია. ამასთან, რიგი სურსათის წარმოებაში წარსულში მიღწეული დონე მიუთითებს, რომ ამ მიმართულებით განვითარების მაღალი პოტენციალია. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით მოსახლეობის უზრუნველყოფის მსგავსი მაჩვენებლები (2004 წლის მონაცემებით, ერთ სულ მოსახლეზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოცულობა 0,7 ჰა-ს შეადგენს, მხოლოდ სოფლის მცხოვრებზე გადაანგარიშებით კი — 1,5 ჰა-ს) პოზიტიურ რაოდენობრივ პარამეტრად ითვლება ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო წარმოების ფორმირებისათვის. ქვეყნის პრობლემა არა მცირემიწიანობა, არამედ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების არაეფექტიან გამოყენებაშია. დაუმუშავებელი და შესაბამისად გამოუყენებელია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაწილი, დაბალია მოსავლიანობა. რაც მიუთითებს ამ მიმართულებით არსებულ როგორც ექსტენსიურ, ისევე ინტენსიურ რეზერვებზე.

ამასთან, მთელი რიგი ისეთი აგროპროდუქციის წარმოების და თვითუზრუნველყოფის პარამეტრებია კვლავაც არასასურველი, რომელთა წარმოების მაღალი პოტენციალიც გააჩნია ქვეყანას.

ხორბალი. ხორბლით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები 8-13%-ის ფარგლებში მერყეობს. ცხადია, რომ აღნიშნულ სტრატეგიული პროდუქტით სრულ თვითუზრუნველყოფაზე აქცენტირება არარეალური და კონტრეფექტური იქნება. ამასთან, არსებობს რეზერვები (მოსავლიანობის ზრდა, გამოუყენებელი პოტენციური სათესი ფართობები) ხორბლის წარმოების შემდგომი ზრდისათვის.

სიმინდი. ბოლო ათწლეულის განმავლობაში სიმინდით თვითუზრუნველყოფის პოზიტიური მაჩვენებელია სახეზე. 2007 და 2012 წლებში ქვეყანაში სიმინდით 100 %-იანი თვითუზრუნველყოფა იყო მიღწეული. ამასთან, ადგილი ქონდა ქვეყანაში საკვები სიმინდის იმპორტს. ამ მიმართულებით მიღწეული პარამეტრები მისაღებია და სასურველია ცხოველთა საკვები სიმინდის წარმოების ზრდა.

კარტოფილი. სიმინდის მსგავსად, კარტოფილის წარმოებაშიც პოზიტიური მაჩვენებლებია წარმოდგენილი. 2013 წელს თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელმა 100 %, ხოლო 2010 წელს 103 % შეადგინა. 2014 წელი კი იგი რამდენადმე შემცირდა და 89% იყო. მიუხედავად ამისა, არაჯანსაღი კონკურენციის გამო, ქვეყანაში მაინც ხორციელდება კარტოფილის იმპორტი. ქვეყანაში არსებობს საადრეო კარტოფილის ექსპორტის შესაძლებლობები.

ბოსტნეული. ქვეყანაში 2014 წელს ბოსტნეულით თვითუზრუნველყოფის 70 %-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა. ამ მიმართულებით ბოლო ათწლეულში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2006 წელს დაფიქსირდა 79 %-ის დონეზე. ბოლო პერიოდში სასათბურე მეურნეობების განვითარების მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები ამ მაჩვენებლის შემდგომი გაუმჯობესების პერსპექტივას უჩვენებს.

ყურძენი. ყურძნით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები ტრადიციულად მაღალი და პოზიტიურია. მან 2014 წლისთვის 141 % შეადგინა.

ხორცი. ხორცის წარმოებისა და თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები მნიშვნელოვნადაა გაუარესებული. კერძოდ, 2006 წელს თვითუზრუნველყოფის დონე არსებული 73 %-დან 2014 წლისათვის შემცირდა 41 %-მდე. ამასთან, მსხვილი რქოსანი პირუტყვის

ხორცით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი 2006 წელს არსებული 81%-დან 2014 წლისთვის შემცირდა 70 %-მდე, ღორის ხორცის — 79%-დან 42%-მდე, ფრინველის ხორცით თვითუზრუნველყოფა ამ პერიოდში შემცირდა 43%-დან 25 %-მდე, ხოლო ცხვრისა და თხის ხორცით 100 %-ანი თვითუზრუნველყოფა 79 %-მდე შემცირდა. მნიშვნელოვნად შემცირდა ყველა სახის ხორცის (გარდა ფრინველის ხორცისა) წარმოება. წარსულის გამოცდილებიდან და ქვეყანაში არსებული პირობებიდან გამომდინარე საქართველოში არსებობს რეზერვები აღნიშნული რესურსის წარმოების ზრდისა და შესაბამისად, თვითუზრუნველყოფის დონის მნიშვნელოვანი ამაღლებისათვის. განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მეცხვარეობისა და მეფრინველეობის დარგებში განვითარების არსებული პოტენციალის ათვისება.

რძე და რძის პროდუქტები. ქვეყანაში რძითა და რძის პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის მაღალი მაჩვენებელია (90%-ზე მეტი) მიღწეული. ამასთან არსებობს პოტენციალი, როგორც პირუტყვის სულადობის ზრდის, ასევე განსაკუთრებით, პროდუქტიულობის ამაღლების მიმართულებით.

კვერცხი. ასევე პოზიტიური პარამეტრებია მიღწეული მოსახლეობის კვერცხით თვითუზრუნველყოფის მხრივ. შეიძლება ითქვას, რომ ამ დარგის განვითარება 2007 წლიდან სასურველი მიმართულებით ხორციელდება და იგი ერთ-ერთ კონკურენტულ, თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ წარმოებად არის ჩამოყალიბებული.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს თანამედროვე გამოწვევებიდან გამომდინარე, სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა და წინა პლანზე გამოდის სურსათისადმი ეკონომიკური ხელმისაწვდომობის პრობლემების შესწავლა. სურსათისადმი ეკონომიკური ხელმისაწვდომობის ანალიზი არა მარტო სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობის განსაზღვრის საშუალებას იძლევა, არამედ აფასებს ქვეყანაში არსებულ სოციალურ სიტუაციას, ავლენს ამ მიმართულებით არსებულ პრობლემებს. ამასთანავე, სურსათის წარმოების მაჩვენებელთა შეფასება შედარებით უფრო ადვილია, ხოლო მოსახლეობის თითოეული ჯგუფისათვის სურსათისადმი ხელმისაწვდომობის განსაზღვრა, არსებული პრობლემების, ხელმისაწვდომობის ამაღლების გზების დასახვა - შედარებით ძნელი.

თუ გავითვალისწინებთ, რომ დღეისთვის სურსათის უკმარისობა მისი საჭირო რაოდენობით წარმოების შეუძლებლობით კი არა, მის შესაძენად საჭირო შემოსავლების არ არსებობითაა განპირობებული, ცხადი ხდება, რომ პრობლემა შეიძლება გამწვავდეს, რადგანაც მოსახლეობის ზრდის ტენდენციით გამორჩეული ქვეყნები არ გამოირჩევიან შემოსავლების ზრდითაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თანამედროვე პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქვეყანაში სურსათისადმი ხელმისაწვდომობის პირობების და განსაკუთრებით კი — ეკონომიკური ხელმისაწვდომობის პირობების, ამ მიმართულებით არსებული პრობლემების, გამოწვევებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის საკითხების შესწავლა. შესაბამისად, ჩამოყალიბებულია სურსათისადმი ხელმისაწვდომობის შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც დაკავშირებულია მოსახლეობის შემოსავლებისა და ხარჯების ანალიზთან, ხელმისაწვდომობის კოეფიციენტების განსაზღვრასთან.

ოფიციალური სტატისტიკით, მიუხედავად ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში არსებული დადებითი დინამიკისა, სურსათისადმი ხელმისაწვდომობის ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზისას ვლინდება, რომ იგი ძალზე დაბალია. კერძოდ, 2014 წლის მდგომარეობით მოსახლეობის 11,6% სიღარიბის ზღვარს ქვევითაა (რეგისტრირებული სიღარიბე). ე. ი. მათ არა თუ გათვალისწინებულ რაციონალურ ნორმებთან არამედ, მინიმალური სასურსათო კალათის შესაბამისი სურსათისადმი არა აქვთ წვდომა. აღსანიშნავია ისიც, რომ საანალიზო პერიოდში სურსათზე, სასმელსა და თამბაქოს ნაწარმზე საშუალო-თვიური ხარჯები იმდენად მცირეა (63,8 ლარი), რომ იგი ვერანაირად ვერ პასუხობს ოპტიმალური სიცოცხლისუნარიანობის პირობებს. აღსანიშნავია, რომ 2005-2014 წლებში მოსახლეობის საშუალო-თვიური შემოსავალი ერთ სულზე გაიზარდა 2,96-ჯერ, სულზე საშუალო-თვიური ხარჯები კი — 2,61-ჯერ. მაშინ, როცა სურსათზე, სასმელსა და თამბაქოს ნაწარმზე ხარჯები მხოლოდ 1,8-ჯერ, ხოლო საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი — 1,6-ჯერ.

ენერგიის მოხმარებიდან გამომდინარე, გამოყოფენ სიცოცხლისუნარიანობის სამ დონეს: ოპტიმალური სიცოცხლისუნარიანობა. დღეში 2500 — 3500 კკალ მიღების პირობებში; არასრულყოფილი სიცოცხლისუნარიანობა. 1500 — 2500 კალორიის მიღება დღეში; კრიტიკული სიცოცხლისუნარიანობა. 1000 — 1500 კკალორიის მიღება დღეში. FAO-ს კლასიფიკაციით ის პირები, რომლებიც იღებენ 1520 კკალორიას და ნაკლებს დღეში მიეკუთვნებიან მოშიმშილეთა კატეგორიას. 2150 კკალორიის მიღება დღეში ითვლება შიმშილობის ზღვრად (1; გვ. 47; 2; გვ. 11).

ამჟამად საქართველოში მინიმალური სასურსათო კალათის რეკომენდირებული შემადგენლობა შრომისუნარიანი მამაკაცისთვის განსაზღვრულია ,,საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებისა და საარსებო მინიმუმის განსაზღვრისთვის საჭირო სასურსათო კალათის შემადგენლობისა და ნორმატივების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 8 მაისის 111/ნ ბრძანების შესაბამისად და იგი მოიცავს სასურსათო კალათის ისეთ შემადგენლობას, რომლის მიხედვითაც დღე-ღამეში უზრუნველყოფილია 2300 კკალორიის მიღება.

სურსათის მოხმარების ანალიზისას ვლინდება, რომ ქვეყანაში შექმნილია არასრულყოფილი სიცოცხლისუნარიანობისთვის დამახასიათებელი პირობები. კერძოდ, მიღებული სურსათის ენერგეტიკული

ფასეულობის ანალიზისას სახეზეა ნეგატიური პარამეტრები. ერთ სულზე კვების პროდუქტების წლიური მინიმალური მოხმარების ნორმისა და ფაქტიური მოხმარების ოფიციალური მონაცემების დისტრიბუცია გვიჩვენებს რომ მათ შორის მთელი რიგი პროდუქტების მიხედვით ნეგატიური დისპროპორციებია.

არსებული მონაცემებით მინიმალური სასურსათო კალათის შესაბამის რაოდენობას მნიშვნელოვნად ჩამორჩება ხორცისა და ხორცის პროდუქტების, თევზისა და თევზის პროდუქტების, ბოსტნეულის, ლობიოს, ხილის მოხმარება, ხოლო უმნიშვნელოდ — რძისა და რძის პროდუქტების, ჩაის, ყავისა და კაკაოს. ფიზიოლოგიურ ნორმაზე უკეთესი მაჩვენებლებითაა წარმოდგენილი კარტოფილის, შაქრის, ზეთისა და ცხიმის, მარგარინის, მარილის, ღვინოს მოხმარება. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ სულ უფრო რთულდება იმ სტატისტიკური მასალის მოპოვება, რომელიც საშუალებას მოგვცემდა სულზე სურსათის მოხმარების მაჩვენებელთა გათვლას. ამასთანავე აღვნიშნავთ, რომ დღეში 2300 კკალორიის მიღებაზე გათვლილი მინიმალური სასურსათო კალათა არ პასუხობს არსებულ მოთხოვნებს. ჯერ ერთი, იგი ვერ ასახავს 2003 წლის შემდგომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დადებით ასპექტებს, მეორე, როგორც აღვნიშნეთ მიღებული კრიტერიუმებით 1500-2500 კკალორიის დღიური მიღება არასრულყოფილ სიცოცხლისუნარიანობას ახასიათებს. თუმცა, ცნობილია ისიც, რომ 2150 კკალორიის დღიური მიღება FAO-ს მიერ სურსათით უზრუნველყოფის ზღვრული მაჩვენებელია. თუმცა უფრო უპრიანი იქნებოდა, რომ მინიმალური სასურსათო კალათის ღირებულება გათვლილი იყოს ოპტიმალურ სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფაზე, ე.ი. 2500-3500 კკალორიის მიღებაზე დღეში. სავარაუდოდ, სულზე სურსათის მოხმარების მაჩვენებლები რეალობაში უფრო პოზიტიურია. აღნიშნული მოსაზრების გამოთქმის საფუძველს გვაძლევს ისიც, რომ მოსახლეობის აღწერის ბოლო მონაცემებით, მოსახლეობის რიცხოვნობა შემცირებულია.

ამგვარად, არსებული მონაცემები და განხორციელებული გათვლები ადასტურებენ, რომ საქართველოში აგროპროდუქციის წარმოების და თვითუზრუნველყოფის პარამეტრებთან ერთად, კვლავაც არასასურველია სურსათისადმი ხელმისაწვდომობის არსებული დონე. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის შემოსავლები არასაკმარისია რეკომენდირებული მინიმალური სასურსათო კალათის შემადგენლობაში შემავალი სურსათის მისაღებად. მიუხედავად ბოლო 15 წლის მანძილზე ეკონომიკური უსაფრთხოების და მათ შორის, სასურსათო უსაფრთხოების მაჩვენებლების პოზიტიური დინამიკისა, იგი მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი სიღარიბის დაძლევისა და მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის არსებითი გაუმჯობესებისათვის.

სურსათისადმი მოსახლეობის ეკონომიკური ხელმისაწვდომობის სასურველი დონის უზრუნველყოფის ვექტორი სიღარიბის დაძლევაზე გადის. განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მცირე ბიზნესის, მათ შორის წვრილი სასოფლო-სამეურნეო მწარმოებელების, წახალისების ღონისძიებები. ამავდროულად, სასურსათო უსაფრთხოების მისაღები პარამეტრების უზრუნველსაყოფად უპირველეს ამოცანად მიგვაჩნია: იმპორტშემცვლელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების განვითარების პროგრამის შემუშავება-განხორციელება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მეცხოველეობის პროდუქციის, კვერცხის, ბოსტნეულის, ხილის, კარტოფილის, ჩაის, თევზის წარმოების არსებული პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება. რაც გაზრდის მოხმარებისა და თვითუზრუნველყოფის პარამეტრებს და მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლების, შესაბამისად სურსათისადმი ხელმისაწვდომობის მაჩვენებლებს; აგრარულ სექტორში შრომის მწარმოებლურობის ამაღლება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კოღუაშვილი პ. საქართველოს სასურსათო უშიშროება: რეალობა და პროგნოზები. თბ., 2004.
2. მოდებაძე ნ., გარაყანიძე ზ. სასურსათო უსაფრთხოების ზოგიერთი პრობლემა საქართველოში. თბ., 1998.
3. Давидянц Д., Продовольственная безопасность и комерческие структуры (в условиях Российских реформ). М., 1999.
4. Курбанова Г. Обзор продоволственной безопасности в Евразийском регионе. М., 2013.
5. Шагайда Н., Узун В. Продовольственная безопасность: проблемы оценки. «Вопросы Экономики». 2015, № 5.

სოფლის მეურნეობის ეკონომიკურ-ფინანსური პრობლემები და მათი დარეგულირების ძირითადი მიმართულებები

მანანა შალამბერიძე, *აწსუ-ს ასოცირებული პროფესორი;*
ზეინაბ ახალაძე, *აწსუ-ს ასოცირებული პროფესორი*

რეზიუმე

ქვეყნის სოფლის მეურნეობის არსებული სიტუაცია მოითხოვს შესაბამისი აგრარული პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც უნდა ემსახურებოდეს აგრარული სფეროს ბუნებრივი განვითარების მიმდინარე პროცესის დაჩქარებას და სრულყოფას. ამ მიმართულებით სახელმწიფოს უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ხელშეწყობის ისეთი ვარიანტის შერჩევა, რომელიც ერთის მხრივ უზრუნველყოფს ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და მეორეს მხრივ არსებული გამოწვევების დაძლევას.

აგრარული სისტემის განვითარებისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკურ-ფინანსური პრობლემების დარეგულირების საქმეში სახელმწიფოს როლის შესახებ ჩვენს საზოგადოებაში არსებობს გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა. მაგრამ ვფიქრობთ, უმთავრესი ფაქტორი, რაც ხელს შეუწყობს აგრარულ სფეროში დღეს არსებული კრიზისის დაძლევას არის ის, რომ სწორად განხორციელდეს და ზუსტად შესრულდეს დარგში გატარებული რეფორმები, გეგმაზომიერად დაიხარჯოს სოფლის მეურნეობისათვის გამოყოფილი ფინანსები და მოხდეს ხელსაყრელი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა

საკვანძო სიტყვები: აგრარული სექტორი, მიწის ბაზარი, კაპიტალდაბანდება.

Agriculture economic and financial problems and their resolution of the main directions

Manana Shalmberidze,
Zeinab Akhaladze

Summary

The country's agriculture, the situation requires an appropriate agricultural policy, which is to boost the agricultural sector in accelerating the process of natural development and perfection. In this regard, the main task is to promote a version of which is on the one hand provides a significant improvement in the financial and economic situation and on the other side existing challenges.

Agricultural and Rural Development of the system of economic and financial problems in resolving the issue of the role of the state in our society there are some differences of opinion. But I think the most important factor that will help the agricultural sector in the current crisis is that it is properly implemented and enforced in the field of reforms, planned to spend the funds allocated for agriculture and the favorable foreign investment.

მიუხედავად განხორციელებული ეკონომიკური და აგრარული რეფორმებისა ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არსებობს სრულყოფილი სახის სოფლის მეურნეობის განვითარების ერთიანი მოქნილი სისტემა, რის გამოც სოფლის მეურნეობის სფერო ბევრი პრობლემისა და გამოწვევის პირისპირ დგას, კერძოდ:

- ძირითადი კაპიტალური დაბანდებების ნაკლებობა,
- რუსული ემბარგო ქართულ პროდუქციაზე,
- მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისი,
- ნაკლებად ხელმისაწვდომი სასოფლო—სამეურნეო კრედიტები.
- სასოფლო—სამეურნეო სექტორში კვლევა გავრცელების სისტემის არარსებობა,
- არასათანადოდ მოქმედი მიწის ბაზარი.

სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ ბოლო წლებში რეალური წარმოება საქართველოში 20%—ით შემცირდა, ნათესი ფართობი 43%—ით შემცირდა, ხოლო საშუალო წარმოებამ ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით დაიკლო. სოფლის მეურნეობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მშპ—ში მისი წილის, წმინდა სავალუტო შემოსავლების, დასაქმებისა და სიღარიბის დაძლევის თვალსაზრისით, თუმცა, მისი როლი თანდათანობით იკლებს. სოფლის მაცხოვრებელთა უმრავლესობისთვის სოფლის მეურნეობა შემოსავლის უმნიშვნელოვანესი წყაროა,სწორედ სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული მთელი სამუშაო ძალის 50%. მათი 95% მცირე მეწარმეები არიან (თითოეულ ოჯახზე +/- 1.2 ჰექტარი და 2 ძროხა), ასე რომ, მათ მიერ წარმოებული პროდუქცია ძალზე მწირია. ქვეყანაში არსებული სიღარიბის მაღალი მაჩვენებლის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ვერ მოხერხდა ქვეყნის სოფლის მეურნეობის სექტორის მოდერნიზება. ფერმერულ ორგანიზაციათა რაოდენობა ძალზე მცირეა, ამდენად მათი უმრავლესობა ვერც მასშტაბზე ორიენტირებული ეკონომიკის უპირატესობით სარგებლობს და ვერც იმპორტიორებს უწევს კონკურენციას. ქვეყანა დიდწილადაა დამოკიდებული უცხოეთიდან იმპორტზე.

ამ პრობლემების მოგვარებისათვის სახელმწიფო დგას არჩევანის წინაშე: მას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს მსხვილი ფერმერული მეურნეობებისაგან შემდგარი აგრარული სისტემის ფორმირების პროცესში და ასევე შეუძლია შექმნას აგრარული სექტორი, რომლის ძირითად ბირთვს წარმოადგენს წვრილი გლეხური მეურნეობები, რომელთაც სისტემატურად ესაჭიროებათ სახელმწიფოსგან სუბსიდირებით მხარდაჭერა მხოლოდ იმისათვის, რომ ძირითადად

შექმნან პროდუქცია ოჯახური საჭიროებისათვის და არა რეალიზაციისათვის. რადგან საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი პირდაპირ კავშირშია სოფლის მეურნეობასთან, ამიტომ სახელმწიფო საკმაოდ წამგებიან სიტუაციაში აღმოჩნდება თუ მიმართავს წვრილი გლეხური მეურნეობების სისტემატური მხარდაჭერის პოლიტიკას. ამიტომ უმჯობესი იქნება თუ სახელმწიფოს როლი აგრარული სექტორის მოდერნიზების საქმეში შემოიფარგლება მსხვილი ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბების ხელშეწყობაზე ორიენტირებული იაფი და ეფექტური სუბსიდირების განხორციელებით.

ასეთი მოდელის შექმნისათვის საჭიროა შემუშავებულ იქნას მექანიზმი, რომლის მოქმედებაში მოყვანით სოფლის მეურნეობის სისტემის შემდგომი განვითარება მიიღებს შეუქცევად სახეს. სოფლის მეურნეობის სფეროს განვითარების მთავარ შემაფერხებელ ფაქტორებს წარმოადგენს მცირე მიწიანობა, რომელიც ქმნის არასათანადოდ მოქმედ მიწის ბაზარს.

აღნიშნული პრობლემების გადაჭრა შეუძლებელია უშუალოდ სოფლის მეურნეობის სისტემაში დიდი კაპიტალდაბანდებით. ამ შემთხვევაში გაცილებით მეტი ეფექტი მოჰყვება სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარებისათვის გამიზნული თანხებით მეტი სამუშაო ადგილების შექმნას, აგრარული სექტორისაგან განყენებულ სფეროებში, რათა რეგიონებში რაც შეიძლება მეტ ადამიანს გააჩნდეს წვრილ გლეხურ მეურნეობაზე უკეთესი საარსებო გარემოს მოპოვების შანსი. ამავე დროს საჭიროა არა დარგების, არამედ კონკრეტული ფერმერების შერჩევითი მხარდაჭერა. ფერმერებისა, რომელთაც გააჩნიათ მეურნეობების საკუთარი შეხედულებების მიხედვით მოწყობისათვის საჭირო შესაბამისი გამოცდილება, პოტენციალი და მოტივაცია. სასურველია, თუ საკანონმდებლო დონეზე მოხდება ისეთი სახის ცვლილებები, რომელთა მიზანიც მაქსიმალურად კომფორტული გარემოს შექმნაა მიწის გრძელვადიანი იჯარით სარგებლობის მიმართულებით. იჯარის წესების გამარტივება დააჩქარებს მსხვილი ფერმერული მეურნეობების ფორმირების პროცესს, რადგან ქართველი გლეხი, რომელსაც თუნდაც გააჩნდეს ალტერნატიული შემოსავალი, ძნელად შეელევა და გაყიდის მის საკუთრებაში არსებულ მიწას. იჯარა კი იცავს ერთგვარ დადებით ბალანსს ფერმერულ მეურნეობაზე ორიენტირებულ და ალტერნატიული შემოსავლის მქონე ადამიანთა ინტერესებს შორის. მცირე გლეხური მეურნეობების მსხვილ, მოგებაზე ორიენტირებულ ფერმერულ მეურნეობებად გარდაქმნის შედეგად თავისთავად იხსნება დაბალი რენტაბელურობის პრობლემაც. მაგრამ ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს რომ ზემოთ ნახსენები ინიციატივები აგრარული სექტორისაგან განყენებულ სფეროებში სამუშაო ადგილების შექმნის და იჯარის წესების გამარტივების შესახებ ვერ უზრუნველყოფს სექტორის განვითარებას, რადგან არსებობს კიდევ ერთი პრობლემა — საჭირო ცოდნისა და ინფორმაციის დეფიციტი. ეს კი წარმოადგენს ისეთი სახის დაბრკოლებას, რომლის გადაჭრაც შეუძლებელია სახელმწიფოს ჩარევის გარეშე. სწორედ ამ მიმართულებით არის ყველაზე მეტად საჭირო ფერმერთა სუბსიდირება სახელმწიფოს მხრიდან. ცოდნა და ხელმისაწვდომობა საჭირო ინფორმაციაზე არის სახელმწიფოსათვის ყველაზე იაფი და ფერმერისათვის ყველაზე ძვირფას პროდუქტს რომელიც შეიძლება მიწოდებულ იქნას სუბსიდირების სახით. გაცილებით უფრო იაფი სახელმწიფოსათვის და უფრო ძვირფასი ფერმერისათვის ვიდრე ეს შეიძლება იყოს რომელიმე კულტურის ხარისხიანი სათესლე ან სარგავი მასალა ან აგროქიმიკატების თუ საწვავის უფასო დარიგება. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების შესახებ ინფორმაციის და ცოდნის მიწოდებისას საჭიროა სახელმწიფომ გამონახოს ისეთი სახის ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს ცოდნის სამართლიან გადანაწილებას ყველა ფერმერისათვის, რადგან ეს არის ის შანსი, რომელსაც ყველა ფერმერი თანაბრად იმსახურებს სახელმწიფოსაგან. ხოლო ვინ როგორ და რა ფორმით გამოიყენებს მიღებულ შანსს, ეს მათი პირადი გადასაწყვეტია.

აგრარული სისტემის განვითარებისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკურ-ფინანსური პრობლემების დარეგულირების საქმეში სახელმწიფოს როლის შესახებ ჩვენს საზოგადოებაში არსებობს გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ ვფიქრობთ უმთავრესი ფაქტორი, რომელიც ხელს შეუწყობს აგრარულ სფეროში დღეს არსებული კრიზისის დაძლევას არის ის, რომ სწორად განხორციელდეს და ზუსტად შესრულდეს დარგში გატარებული რეფორმები, გეგმაზომიერად დაიხარჯოს სოფლის მეურნეობისათვის გამოყოფილი ფინანსები და მოხდეს ხელსაყრელი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. .საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2012- 2022.
2. მ. შალამბერიძე ფერმერული მეურნეობის მენეჯმენტი ქუთაისი 2015

Wellness ტურიზმის პერსპექტივები საქართველოში

ნანა ნადარეიშვილი,
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი,
გეოგრაფიის ინსტიტუტის
უფრ. მეცნ. თანამშრომელი

Резюме

Перспективы Wellness туризма в Грузии

Термин велнес (wellness) в общих чертах подразумевает здоровье, душевное спокойствие, здоровый образ жизни человека; он был введён в 60-ые годы прошлого столетия американским врачом Гербертом Дуном.

Cwellness-ом связано применение разных методов по оздоровлению организма и способствующих душевному спокойствию человека (SPA, водные процедуры, массаж, специальные упражнения, релаксационная терапия, медитация, специальная диета и др.) комплексно предлагаемые потребителю (туристам) в оздоровительных центрах, в специальных отелях.

Популярность,Wellness-а растет ежегодно. За последние годы по численности туристов этот вид путешествий составляет 6% (524,4 млн чел.) мирового туризма, а объем рынка 438,6 млрд долларов США. (по данным 2012 года).

Грузия имеет большие возможности для позиционирования на мировом рынке Wellness туризма богатыми и уникальными природными ресурсами в виде бальнеологических и климатических курортов.

На сей день, реабилитированы и благоустроены оздоровительные комплексы в Цхалтубо, Боржоми, Саирме, Тбилиси. Строятся Wellness центры в Тбилисской агломерации («Коджорскийлесо-парк» и «Биони». Огромный потенциал имеют и другие курорты Грузии: Батуми, Митарби, Абастумани, Ахтала и др.

საკვანძო სიტყვები: ***WELLNESS, SPA,*** ტურიზმი, კურორტები.

ადამიანის ცხოვრება ხასიათდება ხშირი სტრესებით და ემოციური დაძაბულობით. ამიტომ, ყველა დროსა და ეპოქაში ნებისმიერ ადამიანს სურს, რომ თავს გრძნობდეს ჯანსაღად, გამოიყურებოდეს ახალგაზრდულად და არ ავადმყოფობდეს. ამ მიზნის მიღწევას ემსახურება სერვისი, რომელსაც ველნესი (*Wellness*) ჰქვია.ის ჩაისახა XX საუკუნის 60—იან წლებში ამერიკაში, როცა ამერიკელმა ექიმმა ჰელბერტ ლ. დუნმა (HalbertL. Dunn, M.D) შემოიტანა ცნება „ველნესი„ და პირველმა ჩამოაყალიბა ხარისხიანი ცხოვრების ძირითადი პრინციპები. დუნის გარდა ველნესის განვითარებასა და პოპულარიზაციაში დიდი წვლილი მიუძღვით ისეთ მეცნიერებს, როგორებიც არიან DeepakChopra, MichaelRoizen, MehmetOz,[1]

*Wellness*სერვისის დანერგვისას ნავარაუდევია, რომ სპეციალური დიეტის შეხამება წყლის სხვადასხვა პროცედურებთან, ასევე განსაკუთრებულ ატმოსფეროში ვარჯიშების ჩატარებამ სხეულს უნდა შესძინოს სრულიად ზეაღმატებული მდგომარეობა, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს სულიერი თავისუფლება და დინჯი გონება. ასეთი დასვენების საბოლოო ამოცანაა - არა მარტო განკურნება, არამედ ბუნებრივი ჰარმონიის მოპოვება.

ტერმინი „*wellness*“ ქართულად მკაფიოდ ვერ ითარგმნება, მისი მიახლოებითი თარგმანია „კარგი თვითშეგრძნება” ან „შესანიშნავი გუნება-განწყობა“—ეს არის სხეულის, სულის დაგონების ბალანსი, ტერმინი, რომელიც თავის თავში აერთიანებს ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრთელობას, სწორ კვებას, ზომიერ ფიზიკურ დატვირთვას, მავნე ჩვევებისაგან განთავისუფლებასა და სამყაროსადმი კეთილდამოკიდებულებას. *Wellness* ტურიზმი, როგორც მას განსაზღვრავს ბერნის უნივერსიტეტთან არსებული (ქ. ბერნი, შვეიცარია) დასვენებისა და ტურიზმის კვლევითი ინსტიტუტი, - ეს არის ყველა ურთიერთობისა და მოვლენების კომპლექსი, რომელთა მთავარი მოტივაციაა - ჯამრთელობის შენარჩუნება ან გაუმჯობესება. სპეციალური ოტელები (კლუბები, ცენტრები) უზრუნველყოფენ შესაბამის პროფესიულ ნოუ-ჰაუს და ინდივიდუალურ მოვლას. აღნიშნული მომსახურება მომხმარებელს ჩვეულებრივ მიეწოდება კომპლექსური პაკეტის სახით, რომელიც მოიცავს ფიტნესს, ჯანსაღი კვების დიეტას, რელაქსაციას, მედიტაციას და სულიერი გაჯანსაღების პროცედურებს. გარდა ამისა, *Wellness*ტურიზმს ასევე განსაზღვრავენ, როგორც „ცხოვრების წესს, ორიენტირებულს ოპტიმალურ ჯამრთელობაზე და კარგ გუნება-განწყობაზე, რომლის დროს სხეული, სული და გონება ინტეგრირებულია ინდივიდის მიერ, რათა მან იცხოვროს ადამიანთა საზოგადოებაში და ბუნებასთან ერთობაში უფრო სავსე ცხოვრებით“[2]. მედიცინის შესაძლებლობები დღეს ძალზე დიდია, მაგრამ ადამიანი რომ ახალგაზრდულად, მხნედ და ჯანმრთელად გამოიყურებოდეს, ამისათვის, ეს არ არის საკმარისი. აუცილებელია, რომ ადამიანმა დაიცვას ჯანსაღი ცხოვრების წესები, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. ეს არის:

1) ფიზიკური აქტივობა;
2) სწორი კვება;
3) თერმული აბაზანები, მეთოდების ფართო ჩამონათვალით, მათ შორის ბალნეოლოგიური და ჰიდროთერაპიული;
4) სხვადასხვა მეთოდებით სტრესებთან ბრძოლა;
5) არომათერაპია და სხვა ახალი პროცედურები;
6) სხვადასხვა მასაჟები;
7) სხეულისა და სახის სილამაზისთვის განკუთვნილი პროცედურები;
8) რელაქსაციისათვის განკუთვნილი ალტერნატიული თერაპია;
9) სპეციფიკური მკურნალობა, მათ შორის წონაში დაკლება (გახდომა)ან მომატება.

ბოლო წლებში *Wellness*, ძალიან სწრაფად ვითარდება. ეს არის მრავალმხრივ განვითარებული ინდუსტრია და თანამედროვე ცხოვრების სწრაფი ტემპი მას კიდევ უფრო მეტად მოთხოვნადს ხდის. უნდა აღინიშნოს, რომ *wellness* ტურიზმის სფეროში უკვე 10 წელია იმართება საერთაშორისო სამიტები და წელსაც, 2016 წლის 17-19 ოქტომბერს ავსტრიის ქალაქ ტიროლში გაიმართება რიგითი სამიტი, რომელიც ამ სფეროს შემდგომ განვითარებას მიეძღვნება[3]. სამიტების შედეგები ქვეყნდება ანგარიშების სახით, რომლებიც განსაზღვრავენ აღნიშნული სფეროს განვითარების მიმდინარე ტენდენციებს [4]. 2012 წლის მონაცემებით წელლნესს ტურიზმის სფეროში შექმნილია 11,7 მლნ პირდაპირი სამუშაო ადგილი დამისი ბრუნვა შეადგენს მსოფლიოს მშპ-ს 1,8%. *wellness* ტურიზმს უკავია მთელი შიგა და საერთაშორისო მოგზაურობათა 6% (524,4 მლნ ტურისტი). 2013-3014 წლის სამიტის ანგარიშის თანახმად *wellness* ტურიზმის ბაზრის მოცულობა აღნიშნული პერიოდისთვის იყო 438,6 მილიარდი აშშ დოლარი [5]. აქედან:

91,8 მლრდ აშშ დოლარი	მოდის ტრანსპორტირებაზე;
93,4 მლრდ აშშ დოლარი	განთავსებაზე (სასტუმრო, პანსიონი, მოტელი და ა.შ.);
71,9 მლრდ აშშ დოლარი	კვებაზე (რესტორნები, სასადილოები, ბარები, მაღაზიები);
64,8 მლრდ აშშ დოლარი	შოპინგზე (სუვენირები, ტანსაცმელი, პროდუქტები);
61.4 მლრდ აშშ დოლარი	ღონისძიებებზე და ექსკურსიებზე (თეატრები, მუზეუმები, გართობა);
55,3 მლრდ აშშ დოლარი	სხვა სერვისები (დაზღვევა, ბილეთები, კავშირგაბმულობა).

ჩვენ საუკუნეში ერები ახალი გამოწვევების წინაშე დადგნენ. გლობალიზაცია და ინტერნეტ ტექნოლოგიები არა მხოლოდ ტერიტორიულ, არამედ კულტურულ საზღვრებსაც შლიან. დადგა მცირე ერების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებისა და კულტურული ღირებულებების მოშლის საფრთხე. მაგრამ, ისინი ვინც მოახერხებენ თანამედროვე ცივილიზაციას ახალი და განსაკუთრებული საიდენტიფიკაციო ბრენდ-კოდი შესთავაზონ, ბუნებრივად აღმოჩნდებიან პრივილეგირებულ მდგომარეობაში. ეს ტენდენცია უკვე შეიმჩნევა: მაგალითად, აშშ - მსოფლიოს სამეცნიერო და ფინანსური ცენტრი, ჩინეთი - იაფი პროდუქციის მასობრივი მწარმოებელი, იაპონია - ტექნოლოგიების მაღალხარისხიანი მწარმოებელი, საფრანგეთი - ღვინის ქვეყანა. ისმის კითხვა: რა საიდენტიფიკაციო ბრენდ-კოდით შეიძლება წარსდგეს საქართველო გლობალურ სივრცეში?

პირველ რიგში დავძენთ, რომ ეს სტრატეგიული დაგეგმვის საკითხია და მკაფიო გააზრებას, ხედვის ჩამოყალიბებასა და სისტემურ მიდგომას საჭიროებს, რომელზეც ჩვენ ვისაუბრეთ სტატიაში [6].

რბილი კლიმატი, სუფთა ჰაერი, ქართული სტუმართმოყვარეობა, თერმული და მინერალური წყლების სიუხვე, ენდემური მცენარეების მრავალფეროვნება, ცნობილი და ახლად ფორმირებული ბალნეოლოგიური და სამკურნალო ცენტრები - აი ეს არის ძირითადი ფაქტორები საქართველოში *wellness* ტურიზმის გასავითარებლად და გლობალურ სივრცეში ამ კუთხით წარმოსაჩენად.

ქვეყანაში ტურიზმის დარგის პრიორიტეტულობამ, ამ ინდუსტრიის აღორძინებისკენ გადადგმულმა ქმედითმა ნაბიჯებმა და ბუნებრივ რესურსებზე ინვესტორთა ინტერესების გაძლიერებამ ადგილობრივ კურორტოლოგებსა და ბალნეოლოგებს დიდი იმედი ჩაუსახა დარგის რეაბილიტაცია-მოდერნიზაციის მიმართულებით. შედეგმაც არ დააყოვნა: მთავრობის დახმარებით შემუშავდა კურორტ წყალტუბოს განვითარების სტრატეგია, ყაზახი ინვესტორების დახმარებით ბორჯომში (ლიკანში) განხორციელდა ყოფილი მეოთხე სამმართველოს დასასვენებელი კომპლექსის რეაბილიტაცია, საირმისა და თბილისის ბალნეოლოგიური კურორტების აღდგენა. ასევე განზრახულია საქართველოს სხვა ბალნეოლოგიური კურორტების რეაბილიტაციაც.

დღეს საქართველოს კურორტები ხარისხიან მკურნალობასა და მომსახურებას სთავაზობენ ყველაზე მომთხოვნ დამსვენებლებს, რომლებიც განებივრებულნი არიან ჩეხეთის, სლოვენიის, უნგრეთის, ხორვატიის, გერმანიისა და სხვა მსგავსი კურორტებით. უეჭველია, აღნიშნულ ქვეყნებს გააჩნიათ გარკვეული წარმატებები, რითაც შეუძლიათ იამაყონ თავიანთი ველნეს ინდუსტრიით. თუმცა, საქართველოსაც შეუძლია დამსვენებლებს შესთავაზოს არანაკლები სერვისები. საქართველოს ტერიტორიაზე ორიათასზე მეტი მინერალური და თერმული წყაროა და 730-მდე სახის მინერალური წყალია. ყველა მათგანს გააჩნია განსაკუთრებული თვისებები და მაჩვენებლები, რომლებიც აუცილებელია კანისა და თმების მოვლისათვის, იმუნური და ნერვული სისტემის აღსადგენად, მთლიანად ორგანიზმის გაჯანსაღება-გაახალგაზრდავებისათვის.

დიდ ქალაქებში და მეგაპოლისებში ყოველდღიური ინფორმაციული გადატვირთულობა, გადაწყვეტილებების მიღების სისწრაფე, ცხოვრების დაძ-

აბული რითმი,რასაკვირველია ზრდის სტრესულ ფონს და ნერვულ დაძაბულობას. ამ უარყოფითი ზეგავლენის გასანეიტრალებლად მნიშვნელოვნად გვესახება დასვენების ხანგრძლივობის ფაქტორიც, რომელიც ზრდის დასვენება-მკურნალობის ხარჯებს; ჩვენს ბალნეოლოგიურ კურორტებზე კი შეიძლება შეირჩეს შესაფერისი შეთავაზება: იაფიდან, ძვირ მომსახურებამდე.

ქვემოთ განვიხილავთ საქართველოს სამ კურორტს, სადაც წარმატებით ვითარდებაწელლნესსტურიზმი ადგილმდებარეობისა და ხანგრძლივობის მიხედვით.

წყალტუბო/14-21 დღე.

წყალტუბო ითვლება ყველაზე უძველეს კურორტად საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო პირველი წერილობითი წყაროები, რომლებშიც მოიხსენიება წყალტუბოს სამკურნალო წყლები მიეკუთვნება XII-XIII საუკუნეებს. წყალტუბოს თანამედროვე ბალნეოლოგიური საკურორტო კომპლექსის განვითარება კი დაიწყო 1926 წელს, როდესაც ამ ადგილას აიგო პირველი სასტუმრო სახლები და სამკურნალო კორპუსი. 1950-იან წლებში წყალტუბოში ააშენეს 19 სანატორიუმი და პანსიონატი, 9 კომპლექსი სამკურნალო აბაზანებით, გააშენეს საკურორტო პარკი, კურორტოლოგისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფილიალი. საქართველოს დამოუკიდებლობის მპოვების შემდეგ, ცნობილი პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენებისას, წყალტუბოს კომპლექსმა განიცადა ნგრევა და უმძიმესი დანაკარგები. ამჟამად, აღორძინება დაწყებულია - და დღეს, დამსვენებელს იქ სთავაზობენ სამ ან ოთხვარსკვლავიან სასტუმროებს, უახლესი მოწყობილობებით აღჭურვილ ახლადგარემონტებულ გამაჯანსაღებელი დაწესებულებების სამკურნალო დარბაზებს. უფრო დეტალურად წყალტუბოს კურორტის კლასტერიზაციით განვითარების შესახებ ჩვენი მოსაზრებები გადმოცემულია სტატიაში[7]. ხოლო საქართველოს რეკრეაციულ-ტურისტული სისტემის ინოვაციური მოდელი „კურორტოპოლისწყალტუბოს“ მაგალითზე წარმოდგენილიაჩვენს პუბლიკაციაში [8]. მოკლედ ვიტყვით, რომ დღეს სანატორიუმში მოქმედებს 3 აუზი და 50 აბაზანა. სამკურნალო კორპუსი არ არის გათვალისწინებული სტუმრების საცხოვრებლად განსათავსებლად. მათთვის ფუნქციონირებს რამდენიმე სანატორიუმი და სასტუმრო.მაგალითისთვის შეიძლება სასტუმრო თსკალტუბო Plaza4*-ის დახასიათება, სადაც კომფორტული ატმოსფერო, სითბო და მყუდროებაა. მასში განთავსებულია რესტორანი, საუნა, სპორტული დარბაზი, SPA და ჭელლნესს ცენტრი. სამკურნალო პროგრამების შერჩევა ხდება ინდივიდუალურად 14 და 21 დღის ხანგრძლიობით. წყალტუბოს ბალნეოლოგიური კურორტი ორიენტირებულია მოძრაობის ორგანოების, სისხლის მიმოქცევის, ნერვიული სისტემის, კანის, ალერგიის, სებორიული თმის ცვენის, ნივთიერებათა ცვლის დარღვევისა და ენდოკრინული სისტემის დაავადებებისსამკურნალოდ. რადონისა და სულფიდების შემცველობა წყალტუბოს წყალს აძლევს ძლიერ ანტიმიკრობულ, ანთების საწინააღმდეგო და აღმდგენით მოქმედებას.

ბორჯომი/7-14 დღე.

კურორტი ბორჯომი — ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კურორტია არა მარტო პოსტსაბჭოთა სივრცეში, არამედ მთელ მსოფლიოში. ბორჯომი ცნობილია იქ არსებული მინერალური წყლის სამკურნალო თვისებებით, მთის შესანიშნავი კლიმატით და ითვლება როგორც ბალნეოლოგიურ, ისე კლიმატურ კურორტად. ის მდებარეობს მდინარე მტკვრის ხეობაში 900 მეტრ სიმაღლეზე, მდინარეების ბორჯომულასა და გუჯარეთის ნაპირებზე. აქ ძლიერი გამაჯანსაღებელი ფაქტორია სუფთა ჰაერი, რომელიც გაჯერებულია წიწვოვანი ტყის ფიტონციდებით. ბორჯომში არ არის მკვეთრი, დღეღამური ტემპერატურათა ცვალებადობა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია გულისა და ნერვული სისტემის დაავადებების მქონე პაციენტებისათვის. მაგრამ, მთავარი სამკურნალო ფაქტორი, რომელმაც ბორჯომს ცნობადობა მოუტანა- უნიკალური მინერალური წყალია. მისი შემადგენლობა საქვეყნოდ ცნობილია და მასზე ყურადღებას აღარ გავამახვილებთ. აღვნიშნავთ, რომ აქ მინერალური წყლით მკურნალობა მხოლოდ ექიმების ყურადღების ქვეშ ხდება. მინერალური წყალი კურნავს კუჭნაწლავის დაავადებებს, ხელს უწყობს ორგანიზმიდან შლაკების გამოდევნას, ასუფთავებს ღვიძლსა და თირკმელებს. ბორჯომში პაციენტები მინერალურ წყალს არამარტო მიირთმევენ, არამედ იყენებენ სასუნთქი ორგანოების ინგალაციისა და აბაზანების მისაღებად. ბორჯომში არსებულ სასტუმროებში პაციენტებს სთავაზობენ მრავალ *SPA* და *Wellness* სერვისს, განსაკუთრებით სასტუმრო *Borjomi Palace Hotel&SPA 4*-*-ში.

თბილისი /2-7დღე.

ქ. თბილისში უძველესი დროიდან არსებობდა გოგირდის წყლები, ხოლო ბალნეოლოგიური კურორტი აბანოთუბანში აშენდა 1938 წელს. ამჟამად თბილისის ამ უძველეს უბანში არსებობს *Sam-Raan Spa & Wellness Centre*, სადაც 6 საპროცედურო კაბინეტია(თითოეულში მოქმედებს ორთქლის აბაზანა), წყლის საწოლი, აუზი მკვდარი ზღვის მინერალებით, ორი საუნა, სხვადასხვა ტიპის შხაპი, გამოქვაბული ჰიმალაის მარილებით, სილამაზის სალონი და ფიტნეს ცენტრი. აქვე პაციენტებს სთავაზობენ ღვინის თერაპიას. *MEDGROUP GEORGIA*თბილისის აგლომერაციაშივე აშენებს ორ *Wellness* ცენტრს „კოჯრის ტყე-პარკი“ და „ ბიოლს“. ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ლოკაციებისა, ჩვენი აზრით, *Wellness* ტურიზმი წარმატებით შეიძლება განვითარდეს კოჯორში, საირმეში, ბათუმში, მიტარბიში, აბასთუმანში, ახტალაში და საქართველოსსხვა კურორტებზეც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://en.wikipedia.org/wiki/Wellness_(alternative_medicine)
2. Erfurt-Cooper P., Cooper M. Health and Wellness Tourism: Spas and Hot Springs. NY: Channel View Publications, 2009. p. 8.
3. http://www.globalwellnesssummit.com/
4. http://www.globalwellnesssummit.com/industry-resource/research/
5. The Global Wellness Tourism Economy Report 2013 & 2014, June 2015.
6. ნ. ნადარეიშვილი, "საქართველოს ტურიზმის დაგეგმვის საკითხისათვის". ტურიზმის პრობლემები. ჟურნალი "სოციალური ეკონომიკა" - XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები. №5 (35) 2014. გვ.121-127.
7. ნ. ნადარეიშვილი, ნ. ძიძიკაშვილი. „სამკურნალო და *SPA* ტურიზმის კლასტერიზაციით განვითარების პერსპექტივები (წყალტუბოს მაგალითზე). ჟურნალი, „ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი". ბათუმი 2014. გვ. 400-405.
8. ნ. ნადარეიშვილი. „განვითარების პერსპექტივები: საქართველოს რეკრეაციულ-ტურისტული სისტემის ინოვაციური მოდელი". ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი"№3 2014. გვ202-205.

ტურიზმის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების გზები თუშეთში

კონსტანტინე ყიზილაშვილი
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

წარმოდგენილ სტატიაში „ტურიზმის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების გზები თუშეთში“ განხილულია თუშეთში ტურიზმის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების გზების ძიების საკითხები.

თუშეთში ტურიზმის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების მთელი რიგი შესაძლებლობები არსებობს, რომლის გამოყენების შემთხვევაში უფრო მეტად გაიზრდება მისი ეკონომიკური ეფექტიანობა. ამიტომ ამ რეზერვენბის გამოვლინებისა და გამოყენების თვალსაზრისით მეცნიერულად დასაბუთებული გზების ძიების და ღონისძიებების დამუშავებას მათზე დიდი მნიშვნელობა აქვს.

თუშეთში ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების ძირითადი გზები და ღონისძიებებია: საინფორმაციო მომსახერება და ტურიზმის განვითარება: გზა — ბილიკების სრულად მოწესრიგება, ტურისტების და თუში მოსახლეობის ტრანსპორტით უზრუნველყოფა, შინამრეწველობის განვითარება, სოფლის მეურნეობის და კვების მრეწველობის განვითარება, სოფლებისა და ისტორიული ძეგლების აღდგენა, თუშეთის ელექტროენერგიით უზრუნველყოფა.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, ტურიზმის ეკონომიკური ეფექტიანობა, ტურისტული რესურსები, საინფორმაციო მომსახურება, ტურისტული საქონელი, შინამრეწველობა, კვების მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, დაცული ტერიტორიები, მატერიალური კულტურა.

Резюме

В представленной статье «Пути повышения экономической эффективности туризма в Тушети» рассмотрены вопросы поиска путей для повышения экономической эффективности туризма в Тушети.

В Тушети существует целый ряд возможностей для роста экономической эфективности туризма. В случае их использования еще больше возрастёт его экономическая эффективностть. Поэтому большое значение имеет научно подтвержденной поиск путей выявления и использования этих резервов и разработка мероприятий.

Основными путями и мероприятиями роста экономической эффективности туризма в Тушети являются:информационное обслуживание и развитие туризма; приведение в полный порядок дорог и троп; обеспечение транспортом местного населения и туристов; развитие внутренного сельского и пищевого хозяйства; восстановление деревень и исторических памятников; обеспечение Тушети электороенергиеё.

თუშეთში არსებული განუსაზღვრელი ტურისტული რესურსები, ტურიზმის განვითარების დიდ შესაძლებლობას იძლევა. ამასთან, ტურიზმის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების მთელი რიგი შესაძლებლობები არსებობს, რომლის გამოყენების შემთხვევაში უფრო მეტად გაიზრდება მისი ეკონომიკური ეფექტიანობა. ამიტომ ამ რესურსების გამოყენებას, მეცნიერულად დასაბუთებული გზების ძიებას და ღონისძიებების დამუშავებას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს.

თუშეთში ტურიზმის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების ძირითადი გზები და ღონისძიებებია: საინფორმაციო მომსახურება და ტურიზმის განვითარება; გზა-ბილიკების სრულად მოწესრიგება და ტურისტების და თუში მოსახლეობის ტრანსპორტით უზრუნველყოფა; შინა მრეწველობის განვითარება; სოფლის მეურნეობის და კვების მრეწველობის განვითარება; სოფლებისა და ისტორიული ძეგლების აღდგენა; თუშეთის ელექტროენერგიით უზრუვნელყოფა.

თუშეთში ტურიზმის განვითარების საფუძველთა საფუძველია თუშეთის ტურისტული რესურსები და მათგან წარმოებული ტურისტული საქონელი. მაგრამ, როგორც საქართველოს მკვიდრი, ისე უცხოელი ტურისტებისათვის საჭიროა თუშეთში არამარტო ზოგადად ტურიზმის განვითარების დონის, არამედ ამ დონის განმსაზღვრელ ტურისტულ რესურსებზე, როგორიცაა ბუნების სილამაზე, მთები და თოვლიანყინულიანი მწვერვალები, მდინარეები და ჩანჩქერები, დაცული ტერიტორიები და ლანდშაფტები, ფლორა და ფაუნა, ისტორიული ძეგლები, ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურა, ტრადიციები, წეს-ჩვეულებები და სხვათა შესახებ ფართო საინფორმაციო მასალის ცოდნა. რადგან ყველა ტურისტის მოგზაურობის მოთხოვნილებებს სხვადასხვა ტურისტული რესურსი და საქონელი განსაზღვრავს, ამიტომ თუშეთში ტურიზმის განვითარების შესახებ დაწვრილებითი და უტყუარი საინფორმაციო მასალის არსებობის გარეშე შეუძლებელია არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ უცხოელი ტურისტების მოთხოვნილებების და სურვილების დაკმაყოფილება. აქედან გამომდინარე, მომავალში ტურიზმის ნორმალური განვითარება.

როგორია ამჟამად თუშეთში ტურისტული რესურსების და ტურიზმის განვითარების შესახებ საინფორმაციო მასალის (რეკლამის) არსებობის დონე? უნდა ითქვას, რომ ძალზე დაბალი. მით უმეტეს, რეკლამას ტურისტულ სფეროში გაცილებით უფრო დიდი ადგილი ეთმობა, ვიდრე საქართველოს ეროვნული მეურნეობის რომელიმე სხვა დარგში.

საქართველოში ტურიზმის დარგის გაძღოლის

მიზნით შექმნილია დამოუკიდებელი სახელმწიფო უწყება „საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია“, რომლის ძირითადი უფლება-მოვალეობა არის საქართველოში ტურიზმის მდგომარეობისა და განვითარების შესახებ ყოველგვარი საინფორმაციო მასალის სტამბური წესით მომზადება და საჭიროების მიხედვით მიწოდება. მაგრამ, ფაქტიურად საქართველოში ტურიზმის ირგვლივ თითქმის ყველა საინფორმაციო მასალა სხვადასხვა უწყების მიერ მზადდება და ლიტერატურის სახით გამოიცემა აღნიშნული ადმინისტრაციის გვერდის ავლით.

მაგალითად, 2007 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, დაცული ტერიტორიების დეპარტამენტისა და თუშეთის დაცული ტერიტორიების დირექციის ინიციატივით, მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტოს მიერ მომზადდა და გამოიცა „თუშეთის დაცული ტერიტორიები - საველე მეგზური“; საქართველოს ბუნების შენარჩუნების ცენტრის მიერ მომზადებული „საქართველოს დაცული ტერიტორიების რუკა“ - ტექსტით (აქ არის თუშეთის დაცული ტერიტორიებიც) გამოიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის ინიციატივით საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის ფარგლებში, რომელსაც მართავს მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტო; მ.მეტრეველის მიერ 2007 წელს მომზადებული „კახეთი, ვაშლოვანისა და ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების მიმდებარე ტერიტორიების მოსახლეობის წეს-ჩვეულებისა და მათთან ურთიერთობის შესახებ სახელმწიფო ცნობარი ტურისტებისათვის“ (აქ არის თუშეთის დაცული ტერიტორიებიც) გამოიცა, საქართველოს დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის, ვაშლოვანისა და ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების დირექციის მხარდაჭერით; ა. ქიქოძის და რ. გოხელაშვილის ავტორობით ინგლისურ ენაზე დაწერილი „საქართველოს დაცული ტერიტორიები“ (აქ არის თუშეთის დაცული ტერიტორიებიც) ასევე გამოიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის მიერ.

ეს ყველაფერი, რაც კეთდება, ძალზე კარგი და მისასალმებელია, მაგრამ საკითხავია: საქართველოში ტურიზმის შესახებ ტურისტული მეგზურების, ტურისტული ცნობარების, ტურისტული რუკების და სხვა საინფორმაციო მასალების მომზადება-გამოცემაში რატომ არ იღებს მონაწილეობას საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია? ვფიქრობთ, რომ ამ სამსახურის გვერდის ავლით ნებისმიერი ცალ-ცალკე ინდივიდუალური საინფორმაციო მასალის გამოცემა-გავრცელება ხელს კი არ შეუწყობს ქვეყანაში ტურიზმის განვითარებასა და ტურისტების მოზიდვას, არამედ, პირიქით, ეს იქნება საქართველოში ტურიზმის განვითარების შეფერხების ყველაზე ქმედითი საშუალება. ამიტომ „საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის“ თანხმობის გარეშე ყოვლად შეუძლებელია არა მარტო ქვეყნის მასშტაბით, არამედ მის ცალკეულ რეგიონსა თუ მხარეში ტურიზმთან დაკავშირებული ნებისმიერი საინფორმაციო მასალის მომზადება-გამოცემა და გავრცელება. იმიტომ, რომ მხოლოდ „საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციაში,“ ქვეყნის ტურიზმის განვითარების შესახებ ერთად თავმოყრილი უტყუარი საიმფორმაციო მასალა არის მსოფლიო ტურისტული მეგზურის ნაწილი და მსოფლიო მასშტაბის კონკურენტუნარიანი ქართული ტურისტული საქონლის შექმნის საფუძველი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია: მიზანშეწონილი და აუცილებელია, რომ „საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან” შეიქმნას ტურიზმის საინფორმაციო სააგენტო, რომელიც კოორდინაციას გაუწევს და პასუხისმგებელი იქნება ყველა იმ პრობლემის გადაწყვეტაზე, რომელიც საქართველოში ტურიზმის განვითარებასთან არის და იქნება დაკავშირებული. კერძოდ, ამ სააგენტოსთან შეთანხმების გარეშე არავის ექნება უფლება ქვეყნის ტურისტული რესურსების და ტურიზმის შესახებ ნებისმიერი საინფორმაცია მასალის - სპეციალური ლიტერატურის სახით: ტურისტული მეგზურების, ტურისტული ცნობარების, ტურისტული ბუკლეტების, ტურისტული რუკების, ტურისტული საველე მეგზურების, ტურისტული სქემების, ტურისტული სატრანსპორტო მაგისტრალების სქემების, ტურისტული სააგენტოების და ტუროპერატორების კატალოგების, ტურისტული საინფორმაციო დისკების შედგენა-გამოცემა, ტურისტული გამოფენების მოწყობა და სხვ. ამდენად, ტურისტული რესურსებისა და ტურიზმის განვითარების შესახებ ამ ფორმით საინფორმაციო მასალების ერთად თავმოყრა და არსებობა, მათი თანამედროვე ელექტრონული საშუალებებით საერთაშორისო მასშტაბით ინფორმირება იქნება ერთადერთი უტყუარი გზა საქართველოს ტურიზმის ქვეყნად მსოფლიო აღიარებისა.

ასევე, აუცილებლად მიგვაჩნია თუშეთის ტურისტული რესურსებისა და ტურიზმის შესახებ რაც შეიძლება მეტი რაოდენობის ბუკლეტების, ტურისტული მეგზურების, ტურისტული ცნობარების, ტურისტული რუკების და სხვა თვალსაჩინო მასალის სპეციალური ლიტერატურის სახით გამოცემა და მათი მსოფლიო მასშტაბით გავრცელება, რაც ხელს შეუწყობს მსოფლიო ქვეყნების ტურისტების დარწმუნებას იმაში, რომ ბუნების სილამაზით და მდიდარი მატერიალური კულტურით თუშეთი ერთ-ერთი ულამაზესი მხარეა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში, ეს კი თავის მხრივ, გამოიწვევს თუშეთში ტურისტების მოზიდვას და ტურიზმის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას.

თუშეთში ტურიზმის განვითარების და ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მიმოსვლის გზაბილიკების ტექნიკურ გამართულობას და გამართულ კომფორტულ სატრანსპორტო საშუალებებს. რადგა-

ნაც კარგი მიმოსვლის გზა-ბილიკები და სატრანსპორტო საშუალებები ხელს უწყობს ტურისტების, დამსვენებლების და თუში მოსახლეობის მგზავრობის დროის შემცირებას, სხვადასხვა სახის სასურველი ტრანსპორტით სარგებლობის შესაძლებლობას, კომფორტულად გადაადგილებას და ტურისტული საქონლის ღირებულების შემცირებას.

თუშეთში მისასვლელი და თუშეთის ტერიტორიაზე გზა-ბილიკების (საფეხმავლო, საცხენოსნო, სამანქანო, საჰაერო) ფართო ქსელია, მაგრამ ამჟამად მათი ტექნიკური მდგომარეობა ძალზე არასახარბიელოა. გზა-ბილიკების დღევანდელი მდგომარეობის ძირითადი მიზეზებია: თუშეთის რთული მთიანი რელიეფი, მკაცრი კლიმატური პირობები (თოვლი, ზვავი, ნიაღვარი), ნიადაგის ეროზია, საზაფხულო სათიბ-საძოვარი სავარგული მიწების დიდძალი ცხვრის ფარებითა და საქონლის ნახირით გადატვირთვა და სარგებლობა, და რაც მთავარია, ის, რომ საერთოდ არ ხდება (გარდა ნაწილობრივ სამანქანო გზისა) საფეხმავლო და საცხენოსნო გზა-ბილიკების შეკეთება-აღდგენა.

თუშეთში მისასვლელი და არსებული გზა-ბილიკების სრული მონესრიგების გარეშე შეუძლებელია ტურიზმის ნორმალური განვითარება, ამიტომ ამ პრობლემის დროულად მოგვარებას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. გზა-ბილიკების პრობლემის გადაჭრის, ე.ი. თუშეთში მისასვლელი და თუშეთის ტერიტორიის კარგი გზა-ბილიკებით მთლიანად უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა: კახეთისა და თუშეთის დამაკავშირებელი სოფ. ფშაველი–ომალოს საავტომობილო გზის სრულ წესრიგში მოყვანა, თუშეთის ტერიტორიაზე ამ გზის განშტოებების ბოლომდე მშენებლობა და კეთილმოწყობა, თუშეთის ტერიტორიაზე საფეხმავლო და საცხენოსნო გზა-ბილიკების ყოველწლიურად შეკეთება-აღდგენა, სოფლების დაკავშირების მიზნით საბაგირო გზების ფართო ქსელის აგება, შვეულმფრენის რეგულარული რეისების აღდგენა-განახლება.

თუშეთში მისასვლელი და შიდა გზა-ბილიკების შეკეთება-აღდგენისა და სრულ წესრიგში მოყვანისათვის, ახალი საავტომობილო და საბაგირო გზების, ხიდების, გვირაბების მშენებლობისათვის დიდძალი კაპიტალური დაბანდებები (ინვესტიციები) იქნება საჭირო, რომელთა ერთდროულად მოძიება ძნელი და შეუძლებელია, ამიტომ აუცილებელია, რაც შეიძლება დროულად დამუშავდეს თუშეთში მისასვლელი და ადგილობრივი გზა-ბილიკების შეკეთება-აღდგენისა და მშენებლობისათვის საჭირო ფულადი სახსრების მონახვა-გამოყოფისა და გამოყენების შესახებ სახელმწიფო პროგრამა, რაც ამ პრობლების დროულად გადაწყვეტის გარანტი იქნება.

როგორც ცნობილია, თუშეთის მოსახლეობის მთიდან კახეთში ჩამოსახლების შემდეგ, ბევრჯერ იდგა კახეთიდან თუში ხალხის თავის ძველ საცხოვრისში თანდათანობით დაბრუნებისა და თუშეთის ხელახლა აღორძინების საკითხი. მაგრამ ეს პრობლემა დღემდე მოუგვარებელია, მიუხედავად თუში ხალხის ძალზე დიდი სურვილისა.

დღეს თუშეთში თუშების დაბრუნების საკითხი ძალზე აქტუალურია იმიტომ, რომ თუშეთში ტურისტული რესურსების უდიდესი შესაძლებლობების გამო შესაძლებელია მაღალგანვით-არებული ტურიზმის შექმნა. ამიტომ როგორც ტურიზმის, ისე თუშების სამეურნეო საქმიანობის დარგების განვითარება ადგილობრივ მცხოვრებთა გარეშე შეუძლებელი იქნება.

თუში ხალხის კახეთიდან თუშეთში თანდათანობით დაბრუნების, მუდმივად დასახლებისა და ამ მხარის აღორძინების ყველაზე დიდი შესაძლებლობა გაჩნდა მაშინ, როცა დაიწყო სოფ. ფშაველი–თორღვას აბანო–ომალოს დამაკავშირებელი 72 კმ-იანი საავტომობილო გზის მშენებლობა და 1978 წლის 23 სექტემბერს თუშეთის ცენტრში, სოფელ ომალოში პირველი ავტომანქანა შევიდა.

მართალია ამ გზის მშენებლობამ თუშეთში გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური ნაყოფი გამოიღო, მაგრამ კახეთიდან თუშეთში თუში მოსახლეობის თანდათანობით დაბრუნებისა და იქ მუდმივად დასახლების თვალსაზრისით სიკეთე არ მოუტანია. მაგალითად, 1975 წელს თუშეთში მუდმივად ცხოვრობდა 40 კომლი 168 მოსახლით, ხოლო ეს მაჩვენებელი 2014 წლისთვის იყო 22 კომლი და 25 მოხუცი მოსახლე. ეს მდგომარეობა ძირითადად დაკავშირებულია იმასთან, რომ აღნიშნული გზა გადადის კავკასიონის ქედზე ზღვის დონიდან 2926 მეტრის სიმაღლეზე თორღვას აბანოს სერის უღელტეხილზე და დიდთოვლობის გამო წელიწადში შვიდი-რვა თვე გაუვალი და ჩაკეტილი ხდება; ასევე იკეტება სხვა გადასასვლელი უღელტეხილები, საცალფეხო და საცხენოსნო გზა-ბილიკები. ამის გამო კახეთსა და თუშეთს შორის და პირიქით მოსახლეობის მგზავრობაც წყდება. შვიდი-რვა თვე კახეთთან კავშირის გარეშე ჩაკეტილ თუშეთში ცხოვრება არის ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ფერხდება თუშების კახეთიდან თუშეთში თანდათანობით დაბრუნება და მისი აღორძინება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს პრობლემა საბოლოოდ რომ გადაიჭრას, ე.ი. თუშებს და ტურისტებს რომ მიეცეთ მთელი წლის განმავლობაში კახეთსა და თუშეთს შორის და პირიქით მიმოსვლისა და მგზავრობის საშუალება, აუცილებელია კახეთისა და თუშეთის დამაკავშირებელი მიწისქვეშა გვირაბების გაყვანა-მშენებლობა. ერთი გვირაბი გაყვანილი უნდა იქნას მდინარე სტორის ხეობიდან ჭანჭახოვანის ხეობამდე (ფიცრის ჭალა), ხოლო მეორე გვირაბი – კახეთის ალაზნის ხეობიდან (პანკისის ხეობა) თუშეთის ალაზნის ხეობამდე (ალაზნისთავი).

ამ გვირაბების გაყვანა საბოლოოდ გადაწყვეტს, თავიანთი წინაპრების საცხოვრისში თუშების მუდმივ საცხოვრებლად თანდათანობით დაბრუნების, ტრადიციული სამეურნეო დარგების აღდგენის, ტურიზმის სწრაფად განვითარების, მთელი წლის განმავლობაში თუში მოსახლეობისა და ტურისტების კახეთსა და თუშეთს შორის, და პირიქით მიმოსვლისა

და მგზავრობის, მთლიანად თუშეთის აღორძინების პრობლემას.

ამ გვირაბების მშენებლობის გარეშე შეუძლებელი იქნება თუშეთის ხელახლად აღორძინების პრობლემის საბოლოოდ გადაწყვეტა.

თუშეთში მისასვლელი და შიდა გზა-ბილიკების სრულ წესრიგში მოყვანის პარალელურად, საჭიროა თუში მოსახლეობის, ტურისტებისა და დამსვენებლების კომფორტული ტრანსპორტით უზრუნველყოფა. ვინაიდან მაღალმთიან და რთული რელიეფის მქონე თუშეთში სხვადასხვა სახის სატრანსპორტო საშუალებებია საჭირო (ავტომობილი, ცხენი, შვეულმფრენი), ამიტომ ასეთი მრავალი სახის სატრანსპორტო საშუალებებით თუში მოსახლეობისა და ტურისტების დაკმაყოფილება ძალზე ძნელი საქმეა. მიუხედავად ამისა, ამჟამად კახეთიდან თუშეთში და ადგილობრივ თუშეთში საზოგადოების გადაადგილებისათვის ძირითადად გამოიყენება მხოლოდ კერძო ორ და სამხიდიანი ავტომობილები და ცხენები, იშვიათად – შვეულმფრენი. კახეთიდან თუში მოსახლეობის და ტურისტების სოფ. ომალომდე და გაყვანილ საავტომობილო გზის ბოლომდე გადაყვანა ხდება ავტომანქანებით, ხოლო იქიდან თუშეთის მთელ ტერიტორიაზე – ცხენებით.

დღევანდელი მცირე რაოდენობის კერძო არაკომფორტული ორ-სამხიდიანი ავტომანქანები, ცხენების მცირე რაოდენობა, მომსახურების მაღალი ტარიფები, მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს თუში მოსახლეობისა და ტურისტების ამჟამინდელ მოთხოვნილებებს. მით უმეტეს, მომავალში ამ პრობლემის მოგვარება თითქმის შეუძლებელი იქნება. ამიტომ სამომავლოდ ამ პრობლემის მთლიანად გადაწყვეტის მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ახმეტის რაიონის სოფელ ზემო და ქვემო ალვანებს შორის არსებულ ტერიტორიაზე აშენდეს თანამედროვე ტიპის დიდი ტურისტული ცენტრი. აქ განთავსდება სასტუმრო, ტურისტული მომსახურების სააგენტო, ტურიზმის კადრების მომზადების აკადემია, კომფორტული სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფილი ავტოპარკი, შვეულმფრენის დასაჯდომი მოედანი. რადგანაც თუში მეცხვარეების სამეურნეო საქმიანობა და თუშეთის ტერიტორიაზე ტურისტების გადაადგილების ძირითადი საშუალება ცხენია, ამიტომ აუცილებელია თუშური ცხენებით არა მარტო დღევანდელი, არამედ სამომავლოდ თუშთა და ტურისტთა მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილება. ამ მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია თუშური ცხენსაშენი მეურნეობის შექმნა. მეურნეობის შექმნის გზით, ერთი მხრივ, მთლიანად გადაწყდება თუშურ ცხენებზე თუში ხალხის და ტურისტების მზარდი მოთხოვნილებები. ხოლო მეორე მხრივ მეურნეობა იქნება საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის თუშურ ცხენებზე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელი ბაზა.

ამ ცენტრის აშენების შემდეგ, ავტომანქანებით თუში ხალხისა და ტურისტების გადაყვანა მოხდება სამი მარშრუტით: პირველი: ალვა-ნები – სოფ. ფშაველი–თორღვას აბანო–სოფელი ომალო-დანიშნულების ადგილი (ალვანები); მეორე: ალვანები–ბახტრიონი–სოფ. ბირკიანი–სოფ. ტბათანა, დანიშნულების ადგილი ალვანები; ხოლო ცხენებით მგზავრობის მოყვარულებს საშუალება ექნებათ გადაადგილდნენ: პირველი მარშრუტით: ალვანები–სოფ. ფშაველი–თორღვას აბანო–სოფ. ომალო, დანიშნულების ადგილი (ალვანები); მეორე მარშრუტით: ალვან-ები–ბახტრიონი–სოფ. ბირკიანი–სოფ. ტბათანა–ალაზნისთავი–ქვახიდი –სოფ. გირევი–სოფ. ომალო–ალვანები; მესამე მარშრუტით: ალვანები– ბახტრიონი–სოფ. ბირკიანი–სოფ. ტბათანა–ალაზნისთავი-წოვათა–საჩა-ღმე–ომალო–ალვანები. შვეულმფრენის მარშრუტები იქნება: ალვანები– ომალო–ალვანები; ალვანები–ალაზნისთავი–ომალო–ალვანები. ალვანი –თელავი–თბილისი.

თუშეთში მისასვლელი და შიდა გზა-ბილიკების მოწესრიგება და თანამედროვე კომფორტული სატრანსპორტო საშუალებების არსებობა ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ადგილობრივი მოსახლეობისა და ტურისტების ნორმალურ მგზავრობას, მგზავრობის ღირებულების შემცირებას, ტურიზმის განვითარებას, ტურისტების რაოდენობის გაზრდას, ტურიზმიდან შემოსავლის ზრდას და ტურიზმის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას.

თუშეთში ერთ დროს საკმაოდ მაღალგანვითარებული შინამრეწველობის დარგი დღეს ფაქტიურად მიტოვებულია, მაგრამ სამომავლოდ ტურიზმის განვითარებისათვის მის აღორძინებას ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ადრინდელ პერიოდში შინამრეწველობის–საოჯახო ხელსაქმიანობის პროდუქციას ძირითადად თუშების საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის აწარმოებდნენ. მაგრამ დღეს თუში ხალხის ხელქმნილი ხელსაქმის შედევრები – ფარდაგ-ხალიჩები, წინდები, ჩითები, ხელთათმანები, თუშური ქუდები, ხის კოვზები, ჯამები და სხვა პროდუქცია ხიბლავს არა მარტო საქართველოს ადგილობრივ მოსახლეობას, ქვეყანაში შემოსულ ტურისტებს, არამედ უცხო ქვეყნების – იაპონიის, რუსეთის, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, პოლონეთის და სხვა ქვეყნებში მოწყობილი გამოფენა-ვაჭრობის დამთვალიერებლებსა და მყიდველს, ამიტომ აუცილებელია დიდი ყურადღება დაეთმოს თუშეთში შინამრეწველობის განვითარებას.

მეცხვარეობასთან არის დაკავშირებული. აქაური ცხვარი მაღალი ხარისხის მატყლის დიდ მარაგს იძლევა (260,0 ტ), ამიტომ შინამრეწველობისათვის მატყლის ნედლეულის ნაკლებობა არ არსებობს. ამასთან, ამ დარგის განვითარების ხელშემწყობია ბუნებრივი მცენარეული საღებავებისა და დასამუშავებელი ხეტყის ძალზე დიდი მარაგი და, რაც მთავარია, ამ საქმის უბადლო ოსტატები – თუშები. ამდენად, თუშეთში შინამრეწველობის მაღალ დონეზე განვითარებისათვის ყველა პირობა არსებობს. აქ ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ რადგანაც დღეს თუშეთში მუდმივად ძალზე ცოტა ხალხი ცხოვრობს, ამიტომ შინამრეწველობაში დასაქმდებიან ზაფხულის პერიოდში

ზემო და ქვემო ალვანებიდან თუშეთში ამოსული ამ საქმის უბადლო ოსტატები.

ადრინდელ პერიოდში თუშური შინამრეწველობის პროდუქციის წარმოება პრიმიტიული, მაგრამ ძალზე საინტერესო შრომის იარაღების გამოყენებით ხდებოდა. ამიტომ ამ პროდუქციის წარმოება არასამრეწველო ხასიათს ატარებდა და ძირითადად შიდა მოხმარებისათვის იყო განკუთვნილი. დღეს, როდესაც მრავალნაირი საინფორმაციო საშუალებებით შესაძლებელი და მისაწვდომი გახდა, როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე მსოფლიოსათვის თუშური ხალხური მრავალსაუკუნოვანი ხელოვნების თვალსაჩინო მიღწევების გაცნობა, რასაც შედეგად მოჰყვა მათზე დიდი მოთხოვნილებების გაჩენა, მიგვანიშნებს ამ მეტად მნიშვნელოვანი დარგის სწრაფად აღორძინების აუცილებლობაზე.

თუშეთში შინამრეწველობის დარგი, რომ აღორძინდეს საჭიროა: სოფელ ომალოში, დიკლოში, შენაქოში და დართლოში აშენდეს თანამედროვე მაღალმწარმოებლური სართავ-საქსოვი საწარმოები სადაც დამზადდება თუშური ფარდაგები, ხალიჩები, ჩითები, წინდები, ხელთათმანები, თუშური ქუდები, ჩანთები, საფენები, ხურჯინები, ნაბდები, თუშური შალი და მატყლის სხვა ნაწარმი; ამასთან ერთად ბუნებრივი მცენარეული საღებავების წარმოებისათვის უნდა აშენდეს ქიმიური საამქროები. ასევე უნდა აშენდეს ხე-ტყის დამამუშავებელი საამქროები ისეთი რაოდენობით, რომ არ გაჩანაგდეს და ზიანი არ მიადგეს ბუნებას. ხეტყისგან დამზადდება ავეჯი, კიდობნები, კოვზები, ჯამები და ხის სხვა მრავალი პროდუქცია.

თუშეთში შინამრეწველობის განვითარების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება: თუშური შინამრეწველობის პროდუქციით თუშეთში და საქართველოში შემოსული ტურისტების, მთლიანად ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დაკმაყოფილება და საზღვარგარეთის ქვეყნების ბაზრების დახლების დამშვენება. შინამრეწველობის საწარმოების აშენებას ასევე დიდი მნიშვნელობა ექნება იმ მხრივაც, რომ ისინი იქნებიან ტურისტთა ექსკურსიების მოწყობის თვალსაჩინო ობიექტები, სადაც ტურისტებს საშუალება ექნებათ ახლოს გაეცნონ და მონაწილეობა მიიღონ თუშური შინამრეწველობის პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიურ პროცესებში, რაც გაზრდის თუში ხალხის მრავალსაუკუნოვანი ხელოვნების თვალსაჩინო მიღწევების უცხო ქვეყნებში გატანის შესაძლებლობას.

თუშეთში, თუშური შინამრეწველობის აღორძინებას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ტურიზმის განვითარებისათვის, ისე ბარიდან მთაში თუში ხალხის დაბრუნების, დამკვიდრებისა და დასაქმებისათვის. ტურისტებისათვის საოცრად მომხიბვლელი და მიმზიდველი გახდება უნიკალურ ძველ საცხოვრებელ სახლებსა თუ ციხე-სახლებში, ციხე-კოშკებში კარგი გემოვნებით ახლად აშენებული თუ გახსნილი თუში ოსტატების ფანტაზიით შექმნილი ხელოვნების ნიმუშებით მოწყობილი და დამშვენებული კერძო სასტუმროები, რესტორნები, ბარები და სასაუზმეები. აქ თუშური ფარდაგებით მორთულ დარბაზებში ხის სკამებით გარშემოტყმულ თუშურორნამენტებიან ხის მაგიდაზე, ხის სერვისითა და თუშური ტრადიციული კერძებით გაწყობილი სუფრა; თუშური ხელოვნების მრავალფეროვანი შედევრების საჩუქრად არჩევის შესაძლებლობა და უთვალავი სხვა რამ არის თუშეთში როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე მსოფლიოს ყველა კუთხიდან ტურისტთა მოზიდვისა და ტურიზმიდან შემოსავლის ზრდის, ტურიზმის სამომავლოდ განვითარების და მისი ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების გარანტი.

თუშეთში ტურიზმის ნორმალური განვითარებისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ტურისტების, თუშეთის მოსახლეობის და დამსვენებელთა სოფლის მეურნეობის და კვების მრეწველობის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებით უზრუნველყოფის პრობლემის გადაწყვეტას.

ისტორიულად თუშთა სამეურნეო საქმიანობა იყო მეცხოველეობა და სამთო მიწათმოქმედება. მეცხოველეობის დარგებიდან ყველაზე მეტად განვითარებული იყო მეცხვარეობა, მესაქონლეობა და მეჯოგეობა, ხოლო სამთო მიწათმოქმედებიდან – მარცვლეულის მეურნეობა და მეკარტოფილეობა. სოფლის მეურნეობის აღნიშნული დარგებიდან დღეს ფუნქციონირებს მეცხვარეობა, მესაქონლეობა და ნაწილობრივ – მეჯოგეობა და მეკარტოფილეობა. რადგან დღეს თუშეთში მუდმივად არ ცხოვრობს ხალხი, ამიტომ ამ დარგების სამეურნეო საქმიანობას ეწევიან და წარმართავენ ზაფხულში ზემო და ქვემო ალვანებიდან თუშეთში ასული მოსახლეობა.

ბოლო წლის მონაცემებით ზემო და ქვემო ალვანების მოსახლეობის კერძო საკუთრებაშია 53,2 ათასი სული ცხვარი და თხა, 3,5 ათასი სული ძროხა და მოზარდი, 254 ცხენი და სხვა პირუტყვი. თუში ხალხი ორგანბინადარი ცხოვრების გამო, ცხვარსა და მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს ძირითადად თუშეთში აზაფხულებს. თუშეთის თითქმის მთელ ტერიტორიაზე განლაგებულია თუშური ცხვრისა და ძროხის ფერმები და იქ ეწევიან სამეურნეო საქმიანობას.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება ხდება ცხვრისა და ძროხის ფერმებში. ჩვენი გაანგარიშებით, დაახლოებით იწარმოება: მატყლი - 241,0 ტონა, რძე - 5410,0 ტონა, თუშური ცხვრის (გუდის) ყველი - 210,0 ტონა, ცხვრის ხორცი - 265,0 ტონა, ძროხის ყველი - 331,0 ტონა, კარაქი - 82,0 ტონა, საქონლის ხორცი - 225,0 ტონა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტები. მოსახლეობა ამ პროდუქტების ნაწილს თვითონ მოიხმარს, ნაწილს ადგილობრივ ყიდის (სასტუმროები, ტურისტები, დამსვენებლები, მოსახლეობა), ნაწილი ბარში ჩამოაქვთ და ბაზრების დახლებზე ყიდიან.

უნდა ითქვას, რომ მეცხოველეობის პროდუქტების ადგილობრივ წარმოება, ბარში ჩამოტანა და რეალიზაცია დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, ამიტომ ძვირი ჯდება. მაშინ, როდესაც ამ პროდუქტების საბაზრო ფასები ძალზე დაბალია და კიდევ უფრო კლებულობს. ამ გარემოების გამო თუშეთში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება თანდათანობით მცირდება, რის გამოც სამომავლოდ ძნელი გახდება ტურისტების, გაზრდილი რაოდენობის დამსვენებლების, მოსახლეობის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის პროდუქტებით მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

თუშეთში სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის დარგების პროდუქტების წარმოების პრობლემა საბოლოოდ რომ მოგვარდეს და გად-

აწყდეს, საჭიროა: თუშეთში რამდენიმე ადგილას გაიხსნას სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის პროდუქტების შესყიდვის სპეციალური პუნქტები, სადაც ხელმისაწვდომ ფასებში მოხდება ადგილობრივ წარმოებული მეცხოველეობის პროდუქტების ბითუმად ჩაბარება. ასევე, რამდენიმე ადგილას უნდა აშენდეს მცირე წარმადობის კომბინირებული ქარხნები. ამ ქარხნებში მოხდება რძისა და და ხორცის პროდუქტების წარმოება, როგორიცაა ცხვრისა და ძროხის სტერილიზებული რძე პაკეტებში, ქარხნული წესით დამზადებული თუშური ცხვრისა და ძროხის ყველი, ხაჭო, მაწონი, კარაქი, ერბო, ნაყინი, სოსისი, ძეხვი, ცხვრისა და საქონლის დაფასოებული ხორცი, ყველისა და ხაჭოს ხინკალი, ცხვრის ხორცის კონსერვი და სხვა პროდუქტი. ასევე აუცილებელია მეცხოველეობის ნარჩენების გამოყენების მიზნით ერთ-ერთ კომბინირებულ ქარხანაში მცირე სიმძლავრის საპნის და ტყავის საამქროების მშენებლობა და შესაბამისი პროდუქციის წარმოება. თუშეთში აგრეთვე უნდა აშენდეს დეკის ფოთლის ჩაის, მთის ხილისაგან (მოცვი, ჟოლო და მაყვალი) ლიმონათისა და წვენების და თუშური ლუდის წარმოების ფაბრიკა-ქარხანა. ყველა ამ პროდუქციის რეალიზაცია მოხდება როგორც ადგილობრივ თუშეთში, ისე საქართველოს და საზღვარგარეთის ქვეყნების ბაზრებზე.

ზემოთ აღნიშნული ფორმით სოფლის მეურნეობის და კვების მრეწველობის პროდუქტების წარმოება, შესყიდვა და რეალიზაცია ხელს შეუწყობს თუშთა ბარიდან თუშეთში დაბრუნების დაჩქარებას, მათ მიერ ცხვრის, მსხვილფეხა რქოსანი და სხვა სახის პირუტყვის რაოდენობის ზრდას, პირუტყვის პროდუქტიულობის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების იმ რაოდენობით გაზრდას, რომელიც თუშეთში ტურისტების, დამსვენებლების და მოსახლეობის მოთხოვნილებებს მაქსიმალურად დააკმაყოფილებს, მეტიც, ნამეტი პროდუქტებით გაჯერდება ჩვენი და უცხო ქვეყნების ბაზრები; აღორძინდება სამთო მიწათმოქმედება; ქარხნების მშენებლობით გაჩნდება დამატებითი სამუშაო ადგილები. მკვეთრად გაიზრდება სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობაში დასაქმებულ მუშაკთა შემოსავალი; გაძლიერდება რეგიონის და ქვეყნის ეკონომიკა; ასევე, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ქარხნების მშენებლობას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ექნება თუშეთში შემოსული ტურისტებისათვის: აქ ტუმრობისას მათ ექნებათ ქარხნებში მეცხოველეობის და სხვა პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიური პროცესების შესახებ ფართო ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა.

ბუნებამ თუშეთი დააჯილდოვა ძალზე საინტერესო გეოგრაფიული მდებარეობით, მრავალფეროვანი და წარმტაცი მთიანი რელიეფით, კარგი კლიმატურ-ნიადაგობრივი პირობებით, მდიდარი ფლორითა და ფაუნით და მასთან ორგანულად შერწყმული ორიგინალური არქიტექტურით ნაგები კოლორიტული თუშური სოფლებით.

საუკუნეებით მოსახლეობის გარეშე დარჩენილი საქართველოს ეს ულამაზესი მხარე- თუშეთი და თუშეთის სოფლები ზამთრობით მკვდარ სანახაობას წარმოადგენენ. ცოცხლდებიან მხოლოდ ზაფხულში, როცა ბარიდან თუშები წინაპრების საცხოვრისს აკითხავენ, სათუთად უვლიან მათ ადგილ-მამულს, ნაფუძარს. ამასთან, თუშეთის სოფლებს განსაკუთრებით ლამაზ იერს აძლევს, თუშური კოლორიტის შენარჩუნებით აღდგენილ ძველ საცხოვრებელ სახლებსა თუ ციხე-კოშკებში, ან ახალაშენებულ ნაგებობებში, გახსნილი კეთილმოწყობილი სასტუმროები; აგრეთვე, ძველი იერ-სახის მქონე, მაგრამ თანამედროვე ტიპის ერთ ან ორსართულიანი ნათელი აივნებიანი კარ-ფანჯრებით გამართული და ფინური ფორმის აშენებული სახლები.

მიუხედავად ამ აღმშენებლობისა, ისტორიული ჟამთაცვლის გამო თუშეთის თვრამეტი სოფელი უკაცრიელი და გაპარტახებულია, ბევრი მათგანი მხოლოდ ნანგრევების სახითაა შემორჩენილი, ზოგიერთი კი – ნასოფლარის სახით.

ისტორიულ ჟამთაცვლას გადარჩენილი ოცდათექვსმეტი სოფელი, რომლებიც თუშეთის მთელ ტერიტორიაზეა გაშენებული, შორიდან ერთი შეხედვით ძალზე შტამბეჭდავია, მაგრამ მათი ახლოს ნახვა გულდასაწყვეტია და სინანულის მომგვრელია.

თუშეთის ყველა სოფელში ძალზე ბევრია დანგრეული საცხოვრებელი სახლები და სხვა ნაგებობები. ამას ემატება ისიც, რომ თუშეთში გახშირდა უნიკალური ძველი საცხოვრებელი სახლების, ციხე-სახლების, ციხე-კოშკების გადაკეთება-გადმოკეთება, მათი სახურავების შიფერით თუ თუნუქით გადახურვა, უადგილო ადგილას ბეტონის ბლოკებით და სხვა საამშენებლობა მასალით უგემოვნო ახალი საცხოვრებელი სახლებისა თუ სხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა, რის გამოც სოფლები და ისტორიული ძეგლები თანდათანობით კარგავენ თავიანთ პირვანდელ სახეს და სილამაზეს, ამიტომ თვითნებური მშენებლობა თუშეთში დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს.

თუშეთის სოფლებისათვის პირვანდელი იერ-სახის შენარჩუნების, ნაგებობების ძველი კოლორიტის დაცვით აღდგენა-განახლებისათვის საჭიროა დროზე დამუშავდეს თუშეთში ამ სფეროს განვითარების სახელმწიფო კონცეფცია. კონცეფციის ლაიტმოტივი უნდა იყოს: მთლიანად აღვადგინოთ თუში ხალხის ნაფუძარი, კერა, ისტორიული და არქიტექტურული ძეგლები, მოვუაროთ და გამოვიყენოთ მისი უნიკალური შესაძლებლობები.

მართალია, თუშეთში დიდი რაოდენობით არის წყლის რესურსები, მაგრამ სოფლების თავისებური ადგილმდებარეობის გამო, ყველა მათგანი განიცდის სასმელი წყლის ნაკლებობას. აუცილებელია ახალი წყალსადენების მშენებლობა. რესტავრირებულ და განახლებულ სოფლებში, ყველგან თუ არა, სოფელ ომალოში მაინც უნდა აშენდეს თანამედროვე სასწავლო და სამედიცინო ტექნიკით აღჭურვილი სკოლა-ინტერნატი და სამედიცინო ამბულატორია.

რადგან თუშეთში სოფლების, ისტორიული ძეგლების და ინფრასტრუქტურის აღდგენა დიდ კაპიტალურ

დაბანდებებთან არის დაკავშირებული, მიზანშეწონილია ამ სამუშაოების ეტაპობრივად განხორციელება. პირველ რიგში ეს სამუშაოები უნდა დაიწყოს შედარებით მჭიდროდ დასახლებულ და სიცოცხლით სავსე ოთხ სოფელში (ომალო, შენაქო, დიკლო, დართლო). ზოგან დაწყებულია ეს სამუშაოები. სოფლების აღმშენებლობისათვის საჭიროა დიდძალი სამშენებლო მასალა, რისთვისაც აუცილებელია ფიქალი ქვის წარმოების საამქროების მშენებლობა.

თუშეთის სოფლების, ისტორიული და არქიტექტურული ძეგლების აღდგენა-განახლება ხელს შეუწყობს თუში ხალხის ბარიდან თავიანთი წინაპრების საცხოვრისში თანდათანობით დაბრუნებას, ტრადიციული სამეურნეო დარგების განვითარებას და ადგილზე დასაქმებას; როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შემოსული ტურისტების რაოდენობის გაზრდას და ტურიზმის განვითარებას. ყოველივე ეს კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს როგორც თუშეთის, ისე საქართველოს ეკონომიკის განვითარებას.

საქართველოს მთავრობის მიერ 1999 წლის 8 ივნისს მიღებული „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ კანონით გათვალისწინებულია მთიან რეგიონებში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და სამეურნეო საქმიანობის ელექტროენერგიით უზრუნველსაყოფად მცირე სიმძლავრეების ელექტროსადგურების მშენებლობისა და ენერგიის განახლებადი წყაროების გამოყენების პროექტების დაფინანსება. მიუხედავად ამისა, დღემდე თუშეთში რაიმე სახის ელექტროენერგიის მომცემი არცერთი ნაგებობა არ აშენებულა, ამიტომ თუშეთი ისევ ღამის წყვდიადშია ჩაფლული.

თუშეთი მდიდარია ჰიდრორესურსებით. მის ტერიტორიაზე 342 სწრაფი და წყალუხვი მდინარე მიედინება, რომელთა ჯამური წყლის ხარჯი 1178,0 მლნ მ-ია. წყლის რესურსებით ასეთი მდიდარი ეს მხარე დღეს სრულ სიბნელეში იმყოფება.

თუშეთში ტურიზმის განვითარებისა და თუშეთის აღორძინების ერთ-ერთი ძირითადი გზა არის მისი ელექტროენერგიით სრული დაკმაყოფილება. თუშეთში ენერგეტიკის განვითარება უნდა მოხდეს ადგილობრივ მცირე და საშუალო სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისა და მზის ენერგიის გამოყენების გზით.

თუშეთში მცირე და საშუალო სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისათვის განსაკუთრებით კარგი პირობებია: წყლის ბუნებრივი ვარდნა, რაც გამორიცხავს კაშხლების, წყალსაცავების და მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობას; მინიმუმამდე მცირდება დანაკარგები ელექტროენერგიის ტრანსპორტირებაზე და მავნე ეკოლოგიური ზემოქმედება გარემოზე. ასევე, საქართველოში არის ჰიდროელექტროსადგურებისათვის საჭირო ჰიდროაგრეგატების, ტურბინების, გენერატორების, ჰიდრავლიკური და ელექტრონული მართვის სისტემების და დამხმარე მოწყობილობების საწარმოები - თბილავიამშენი, ჩარხმშენებელი ფირმა დეა, ქუთაისის და ოზურგეთის ელექტრომექანიკური ქარხანა, თბილისის მმართავ-გამომთვლელი ქარხანა, სადაც ხდება ამ პროდუქციის წარმოება.

რაც შეეხება მზის რადიაციის ენერგიას, იგი ამოუწურავი და ეკოლოგიურად სუფთა ენერგიის წყაროა. თუშეთში მზის ნათების ხანგრძლივობა წლის განმავლობაში საშუალოდ 2000-2200 საათია, ენერგიის ნაკადის დღეღამური ინტენსივობა კი 120-180 კვ/მ. მზის ენერგიას თუშეთის ელექტროენერგიის საერთო ბალანსში მნიშვნელოვანი ადგილის დამკვიდრება შეუძლია.

დღეისათვის როგორც საქართველოს მთელი მთიანეთის დასახლებისათვის, ისე თუშეთისათვის არსებობს მთის მდინარეებსა და მათ შენაკადებზე მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის პროექტები და ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება. ასევე შექმნილია მზის ენერგიის გამოყენების პროექტები. პროექტების არსებობის მიუხედავად, არცერთი პროექტი პრაქტიკულად არ განხორციელებულა, რაც ძალზე უარყოფით გავლენას ახდენს თუშეთში იმ პრობლემების გადაწყვეტაზე, რომლებიც განსაზღვრავენ ტურიზმის განვითარებას და თუშეთის აღორძინებას. ამიტომ აუცილებელია, რაც შეიძლება დროზე ეტაპობრივად დაიწყოს როგორც მცირე და საშუალო სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, ისე მზის რადიაციის ენერგიის გამოყენება.

ზემოთ აღნიშნული პრობლემების დროულად გადაწყვეტა გარანტი იქნება იმისა, რომ სამომავლოდ თუშეთი იქნება აღორძინებული, მაღალგანვითარებული ტურიზმის ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი ულამაზესი მხარე მსოფლიოში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კ. ყიზილაშვილი. თუშეთი და ტურიზმი. თბ. 2015.
2. კ. ყიზილაშვილი. სამთო ტურიზმის ეკონომიკური ეფექტიანობა და მისი ამაღლების გზები თუშეთში. სადოქტორო დისერტაცია. თბ. 2010
3. შ. ყიზილაშვილი, კ. ყიზილაშვილი: ტურიზმისა და სოფლის მეურნობის განვითარების პრობლემები საქართველოში. ჟურნ. „საქართველოს ეკონომიკა“, 6. 2008.
4. კ. ყიზილაშვილი. ტურიზმის განვითარების პრობლემები საქართველოში. ჟურნ. „ეკონომიკა“, 7 — 8, 2008
5. კ. ყიზილაშვილი. კახეთისა და თუშეთის დამაკავშირებელი მიწისქვეშა გვირაბების მშენებლობა — თუშეთის აღორძინების და სამთო ტურიზმის განვითარების ერთადერთი უტყუარი გზა. ჟურნ. ეკონომიკა“, 10 — 12, 2010.
6. კ. ყიზილაშვილი, ვ. დათაშვილი : თუშეთის ტურისტული რესურსების პოტენციალი. ჟურნ. ,,სოციალური ეკონომიკა“, 4, 200

Urban Settlements Branding Issue as an Important Part of the Tourism Cluster Development in the Case of Samtskhe-Javakheti

Tamar Khoshtaria, PhD Student
Nino Chachava, Associated Professor

Summary

The Main Objective of our article is to rise the integration of different institutions and social layers into the problems of urban development, to identify and implement the contents of the business engineering in urban planning and management by the way of promotion, advertisement faced in different branding activities, which significantly strengths the communication and connection between the urban environment and tourism cluster. The methods of expert assessment and system analyze were used in the case of Samtskhe-Javakheti Region of South Georgia. We developed ideas for City Branding for most popular Resort Cities in south part of Georgia. These are: Akhaltsikhe, Borjomi and Abastumani. We choose these cities as most interesting and multilateral settlements having big impact on the regional development. We are aiming to define right ways for urban planning solutions to improve their conditions. We investigated possibilities how the middle or small resort cities in South Georgia can become green / smart settlements with good city marketing and management, with green environmental policy. For the marketing strategy we developed slogans of these cities.

City Branding/Marketing is a very important input for settlements of former Soviet Union to be awakened from the condition of "Sleeping Quarters", to become contemporary, modern, comfortable and beautiful cities.

Keywords: Tourism, Cluster[1], Urban Branding[2]

* * * * * *

Urban Branding, which really replaced Urban marketing, is relatively new comprehensive discipline, which includes the subjects of Urban infrastructure, Economical, Cultural development and other issues. The main purpose of urban branding is to impact and rich the benefits by the way of their promotion and popularization. Sometimes these efforts are accompanied by different problems caused by the mentality of people, different visions of inhabitants and city authorities, develop undesired results. To avoid these unwanted effects branding strategy should be based on real preconditions, priorities, potent strengthened with positive effects, which are really typical, desired for the settlement. "As a result of successful branding in the vision of target group a particular city should be identified with particular visual scenes and vice versa. The successful results depends upon the rate of coordination between the city and branding issues. So, between the city and it's branding-creating natural-geographic unit, building, or their combination sustainable and permanently coordinated association must exist "[3].



During the past years some similar activities were developed in several Georgian cities: Batumi, Kutaisi, Sighnaghi etc. Among them was the City of Akhaltsikhe, regional center of Samtskhe-Javakheti, South Georgia. The correctness of these activities – the ways of implementation, influence and demonstration created many different opinions in the society.

The objective of our study is to research the impact of urban planning solutions and to find the appropriate ways of urban management to improve the existing situation. Therefore we consider branding / marketing issue. We are mapping out the whole layer of subjects related to tourism and formulate them as Tourism Cluster. Tourism cluster doesn't mean only Tourism separately. Almost whole economic activities in the region are related to the Tourism Cluster. From this point of view we define what is important for the development of Tourism Cluster and determine several factors of City Branding for Akhaltsikhe, Borjomi and Abastumani. In this study we less discuss Bakuriani, hyper-development of which can be performed in negative way and the problems developed there should be considered separately in other section.

But in the case of Tourism Cluster concept development we can't avoid the case of Bakuriani and have to investigate it along the number Borjomi Municipality resorts.

In this work Main Problems were defined - Insufficient using of economic and touristic potential of small and middle settlements, most of which are considered as resorts; decreasing of functions, unenmployment, poverty, environmental

1 Cluster – a Group with similar characteristic. Cluster analysis - or **clustering** is the task of grouping a set of objects in such a way that objects in the same group (called a**cluster**) are more similar (in some sense or another) to each other than to those in other groups (clusters).

Here is to define that application of Tourism Cluster and Cluster analysis for Samtskhe-Javakheti belongs to well-known Urbanist, V. Vardosanidze.

2 Branding(creating and managing brand; The Process involved in creating a unique name and image for a product in the consumer's mind.http://www.businessdictionary.com/definition/branding.html

3 Vardosanidze V.Civilization Researches, №10, 2012, New Reality of Urban Culture – City, as a "Consumer Good" and it's Branding. What Vitruvius couldn't Consider, pp 46-57.

problems, etc; Lack and insufficient quantity of urban planning documents. There is no unified General Plans for spatial, land usage development and urban regulation planning for Samtskhe-Javakheti,. We have only part of these documents. [4]

While modern urban development strategy should be based on the complex of "Green activities", including construction, communications, transportation, green areas in optimal proportion. From this point of view Akhaltsikhe, Borjomi and Abastumani can become first demonstration cities with such benefits. Targeted branding of these cities will support local population and regional development in general.



It must be mentioned that Akhaltsikhe is listed as balneologic, spa resort from soviet time5 up today[6]. It's formation as resort, like Borjomi and Abastumani, related to 19-th century Russian Kingdom development time in Georgia. Akhaltsikhe is University City. It is important that there is comfortable, valuable environment for seminars, learning and business meetings. Also here are middle-class hotels for different ranks of guests.

Lately renovated Rabati rise the interest of many guests. Although still not calm down disputes of art historians and other specialists about the fact, how correctly it's reconstruction process was conducted. However Rabati became very interesting touristic place. In any case, in Akhaltsikhe is more observed the international connecting, communicating function, as a hub.

Popular practice of branding is to work out city slogan, which have to outline its advantages and to reflect the deep and wide research results. For example, based on the above analysis, it is possible to express such slogans: "Akhaltsikhe – historic and contemporary city"; "Akhaltsikhe – education and travel center of Samtskhe-Javakheti"; "Akhaltsikhe – discover and rest"; "Akhaltsikhe – smart regional center".

Borjomi is a well-known resort city especially in former post-soviet area, with it's Mineral Water Park; neighboring to Borjomi-Kharagauli National Park, with a lot of small resort settlements and villages around.Name "Borjomi" is known from 19-th century. Old name of this place is"Tori", revival of which has some benefits. Slogan "Borjomi – Successor of Old Tori" can be interesting for tourists who likes antiquities and archeology. "Tori-Gujareti Area"[7]- We can give this artistic definition to wide territory around Tsagveri, Tba, Bakuriani and also new travel packages can be worked out for less known touristic objects and attractions in this area.

Expressing the brand is likely to reflect urban strategy, to have a city forming function. Consequently, it is important to introduce and implement it at all levels – legislative, planning and executing.

As marketing slogan for Borjomi can be used it's old well-known definition: "Borjomi – "Pearl of Georgia" in past and modern Spa-resort today".

But What is interesting in Borjomi today? How can be created it's branding? Nowadays lack of cultural life is obviously to feel, there is no appropriate exhibition or concert space related to city ambition. Last years opened several high-class hotels with spa-packages. Forever, for ordinary Georgian inhabitants organized rest and treatment are not available, they have to provide it themselves. What can be done for a new understanding of health-treatment spa-sanatoriums? May be new investments under State Insurance program, activation of resort-related treatment with a general complex activities strategy – Spa and medical function, State decision and directive, investment in creating new Spa-balneology packages, achievable for social public community.

From the point of Urban management many tasks are to solve. Often public opinion is not included in projects, influencing appearance of the city. Public participation in decision-making is only formal. Long-distance transportation is not sufficiently regulated. The famous brand of Borjomi, for many associated with Borjomi from childhood "Kukushka", narrow mountain railway, enabled in 1902, is in very bad condition. It's necessary to consider it as Engineering Heritage Monument and an important part of resort infrastructure.

Resort city is surrounded with forests, damaged from many years of wrong or illegal tree-logging, forest disease and fires. In faceless suburbs, renovation of poor appear-

4 Land Usage Development Plans of Borjomi and Abastumani (2007-2008), Urban Planning Documentation of Cultural Landscape of "Khertvisi-Vardzia-Oloda"

5 Resorts, encyclopedic Dictionary, Moscow, "Sovetskaia Enciklopedia", 1983. Курорты, Энциклопедический словарь, Москва, «Советская энциклопедия», 1983

6 About Resorts and Resort places of Georgia, Direction of Georgian President #655, 2-th July, 2005, Tbilisi

7 Authority of this name belongs to tourism expert, historian Sh. Givishvili.

ance of the houses is attributed to population.Therefore would be very useful to organize green recreation city spaces instead of old disfunctioned industry objects, for example, the territory of former glass plant on the way to Bakuriani.

Abastumani is a unique climatic and balneology resort in South Georgia, which have quite unordinary microclimate. The air transparency and insolation are very high here. Compared to the local natural conditions superior than Davos (Switzerland) and noting that Abastumani's natural conditions are even more than the Swiss resorts.

Historical sources tell us about rich history of this place (Prince Vakhushti Bagrationi)[8] and early medieval monuments[9].

Astro-Physical Observatory is an only one scientific center for Astronomy in Georgia. In Abastumani we have also excellent warm healing thermal springs. This place is especially rich in historical monuments and buildings with monument signs. Appearance of Abastumani architecture is an original synthesis of European, Georgian and Russian styles, these are buildings, survived from 19-th or constructed in the beginning of 20-th century. In this small settlement we have approximately 122 cultural heritage monuments. This gives us the right to state that Abastumani is completely cultural heritage monument and the intensive care and maintaining of this resort is the most important objective.

There was an rebranding attempt of Abastumani from previous government: it was planned to fully remove lungs treatment function to place it in another river gorge, and to perform Abastumani in high-class entertainment and recreation place. Nowadays this behavior is rejected and other vision is presented to perform negative factors into positive. Development Strategy Document is created for Abastumani, with a part of marketing strategy. [10].

Slogans for Abastumani: "Abastumani – Health and Science", "Abastumani – Place for International Humanitarian Meetings", "Abastumani – place for Science, Art, Health and Recreation".

8 Georgian historian of 18-th century, related to Georgian Kingdom.

9 For example, "Tamari Castle", ruins of "Daredjani Monastery", bridge on the river Otskhe, towers, ruins of settlements, churches, etc.

10 Sustainable Development Strategy for resort Abastumani, implemented by: GIS and DZ Consulting Center Geographic, Pekini Str. 27, Tbilisi, 0160. In order of Municipal Development Foundation, D. Agmashenebeli Ave. 150, Tbilisi, 0112.



According to all above, based on questionnaires and analysis of international studies, it can be concluded that analyzing and targeted using of City branding in Urban development policy Branding can become reference point and realization vector of planned objectives; it can clearly reflect city development potential, strategy, goals, results, recommendations and implementation ways. Branding will significantly support: strengthening, extension and development of city forming functions;

To target an attention of different departments, organizations, private and public sectors under condition of contemporary market economy and to implement complex activities to achieve planned objectives and results;

To revive urban elements to be awakened from passive condition of "Sleeping quarters" and to perform them in lively, modern and comfort environment;

To develop Tourism and Recreation Cluster of Samtskhe-Javakheti – in the way of working out common policy of managing, executing, banking, insurance and other investment sectors and to perform coordinated actions.

List of References:

1. Vardosanidze V. Civilization Researches, #10, 2012, New Reality of Urban Culture – City, as a "Consumer Good" and it's Branding. What Vitruvius couldn't Consider, pp 46-57.
2. Resorts, encyclopedic Dictionary, Moscow, "Sovetskaia Enciklopedia", 1983.
3. About Resorts and Resort places of Georgia, Direction of Georgian President #655, 2-th July, 2005, Tbilisi
4. Sustainable Development Strategy for Resort Abastumani. Implemented by: GIS and DZ Consulting Center "Geographic", Pekini Ave. 27, 0160 Tbilisi. In order of Municipal Development Foundation of Georgia.
5. Workshop materials: "Green building and sustainable development for guesthouses", designed by author under frame of UNDP Program Project "Sustainable Livelihoods and Responsible Attitude to Environment", 2013.
6. http://dangnguyenimcreflectivefolio.blogspot.com/-HBM352N Integrated Marketing Communications.

ტურისტთა სტატუსური ქცევის ცნება როგორც ტურპროდუქტებზე მოთხოვნის მოტივაცია საქართველოს (აჭარის რეგიონი) შავი ზღვის კურორტებზე

მარინა მეტრეველი,
ეკონომიკის დოქტორი,
სტუ-ს პროფესორი

გიორგი ჯაბნიძე,
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

ნაშრომში მოცემულია ტურისტთა ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფების შესაბამისი სტატუსური ქცევის ანალიზი, რაც ტურპროდუქტებზე მოთხოვნისა და მათი მოხმარების მოტივაციის მნიშვნელოვანი შემადგენელია. გაანალიზებულია გადმოცემული სტატისტიკური კვლევა რომელიც ჩატარდა აჭარის ზღვისპირეთის სამი განსხვავებული კლასის სასტუმროებში განთავსებულ 300 ტურისტზე. კვლევა დაეფუძნა ტურისტთა სამ(მაღალ, საშუალო და დაბალ საშემოსავლო) ჯგუფს. კვლევამ წარმოაჩინა ტურისტთა სტატუსური ქცევის გამოყოფისა და გამოვლენის აუცილებლობა ტურპროდუქტებზე მოთხოვნის ზრდის აქტივიზაციისათვის.

საკვანძო სიტყვები: ტურისტთა სტატუსური ქცევა, ტურპროდუქტზე მოთხოვნის მოტივაცია.

The concept of status behavior of tourists as motivation the demand for tourist products of the Georgian (Adjarian) Black Sea resorts

Summary

The study includes an analysis of status behavior typical of economic interest groups of tourists, which is an important motivational constituent of demand for and consumption of tour products. The study includes an analysis of statistical research done on 300 tourists accommodated at three different class hotels on the coastline of Adjara. The research was based on three (high, average and low income) groups of tourists. The research emphasized the necessity of accentuation and detection of status behavior of tourists in order to encourage an increase in demand for tour products.

Keywords: Status behavior of tourists, motivation of demand for tour products, encouragement of an increase in demand for tour products.

ტურისტების მიერ ტურპროდუქტებზე მოთხოვნის ჩამოყალიბება ბაზარზე და შემდგომში მისი ზრდის გააქტიურება ბევრად არის დამოკიდებული ტურისტთა ქცევის მოტივაციაზე. მისი გაგებისათვის სხვადასხვაგვარი მიდგომების ანალიზის მეშვეობით აქტუალურია სოციალური ქცევის ერთ-ერთი სახეობის - სტატუსური ქცევის - გამოყოფის აუცილებლობა. მიუხედავად ტურიზმის პოლიტიკის შემმუშავებელთა საკმარისად სტაბილური ინტერესისა გაზარდონ მოთხოვნა საქართველოში წარმოებულ ტურპროდუქტებზე ჯერ კიდევ არ შეინიშნება ინტერესი ტურისტთა ქცევისა და მათი სტატუსის ურთიერთკავშირის საკითხისადმი. ტურიზმის ეკონომიკის დარგში მოღვაწე მკვლევართათვის მოცემული სოციალური მოვლენა თეორიულად არაა გააზრებული სხვადასხვაგვარი სოციალური პრაქტიკების დონეზე.

ნაშრომში მოცემული კვლევის მიზანია ტურისტთა ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფების შესაბამისი სტატუსური ქცევის ანალიზი, რაც ტურპროდუქტებზე მოთხოვნისა და მათი მოხმარების მოტივაციის მნიშვნელოვანი შემადგენელია.

ნაშრომის მიზანმა განაპირობა შემდეგი ამოცანების შესრულება: 1. ტურისტთა ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფების განსაზღვრა მათ მიერ სასტუმროს მომსახურებისა და განთავსების ადგილების მიხედვით. 2.განსხვავებული კატეგორიის სასტუმროებში ტურისტთა ჯგუფების განთავსების მოტივაციის კავშირი მათ სტატუსური ქცევის მოდელებთან. 3. ტურპროდუქტებზე მოთხოვნის გააქტიურების მიზნით აჭარის ზღვისპირეთში ტურისტთა სტატუსური ქცევის მოტივაციაზე ორიენტაცია.

ნაშრომის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ქართველ და უცხოელ მეცნიერ მკვლევართა ნაშრომები. მათ შორის: მ. მეტრეველის, ლ. ყორღანაშვილის, მ. ხოხობაიას, ვ. არღუთაშვილის, ე. ლეკაშვილის, ი. გოგორიშვილის აგრეთვე, აგრეთვე დ. დრეჯეს, ჯ. ჯენკინსის, კ.მ. ჰალისა და სხვა მეცნიერთა მონოგრაფიები და სამეცნიერო სტატიები.

ნაშრომის მეთოდოლოგიურ ბაზისს წარმოადგენს ჩვენს მიერ წარმოებული სტატისტიკური კვლევა აჭარის ზღვისპირეთის სამი განსხვავებული კლასის სასტუმროებში განთავსებულ 300 ტურისტზე. კვლევა დაეფუძნა ტურისტთა სამ(მაღალ, საშუალო და დაბალ საშემოსავლო) ჯგუფს. კვლევის პროცესში გამოყენებულია აგრეთვე ლოგიკური ანალიზის, ინდუქციის, დედუქციისა და სტატისტიკის

მეთოდები. ტურისტთა ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფების მოთხოვნა ტურპროდუქტებზე გაანალიზებულია სტატუსური ქცევის(როგორც მოთხოვნის მოტივაციის მთავარი შემადგენლის) პოზიციიდან. ნაშრომში განხილული კვლევის განზოგადებისას ყურადღება აქცენტირებულია როგორც ტურისტთა ეკონომიკური ინტერესების შესაბამისი სტატუსური ქცევის მოდელებზე ისე ტურიზმის პოლიტიკის გამტარებელთა(გარემომცველთა) მიერ მათი ინტერპრეტაციის ხერხებზე.

ტურიზმისთვის, როგორც საკმარისად მოწესრიგებული სისტემისთვის, ერთი მხრივ, დამახასიათებელია ტურისტთა განსაზღვრული ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფებისათვის სტატუსური განსხვავებებისა და მათი შესაბამისი სოციალური ქცევის მოტივაციის შენარჩუნება და გამყარება (იმ აუცილებელი პირობით, რომ ისინი შეესატყვისება ტურისტთა ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფების ქცევის ნორმებს ტურისტთა სოციალური სტრუქტურის იერარქიაში); მეორე მხრივ, მოცემული სისტემა ეკონომიკური ასპექტის თვალსაზრისით თვითგანვითარებადი და ღიაა, რაც უზრუნველყოფს როგორც ტურისტთა სტატუსური განსხვავებების პარამეტრების, ასევე - სტატუსური ქცევის სტრატეგიების შეცვლის შესაძლებლობებს. ტურისტთა სტატუსური ქცევის ანალიზისას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება მათი ტიპური ფორმების გამოვლენას, რომლებიც ახასიათებს ტურისტთა განსაზღვრულ ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფებს. მნიშვნელოვანია, ასევე, ტურისტთა სოციალური ჯგუფების არასტანდარტული სტატუსური ქცევის ფორმების შესწავლა, რაც ააშკარავებს მათ შესაბამისობას და/ან შეუსაბამობას საზოგადოებაში დაკავებული ადგილისადმი(რაც წარმოადგენს ტურპროდუქტებზე მათი მოთხოვნის მოტივაციას).

სოციოლოგების მიერ განხილულია ,,სტატუსური ქცევა სოციალური იდენტიფიკაციის სისტემაში". ამავე დროს არასაკმარისად არის გაშუქებული ტურისტთა სტატუსური ქცევის ცნება და სტატუსზე ორიენტაციის სპეციფიკური თავისებურებები.

სტატუსზე ორიენტაცია - ეს არის ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფისადმი ადამიანის კუთვნილების კულტურულად ჩამოყალიბებული მოთხოვნილება. ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია გააზრებულ იქნას განსხვავება ორ მიდგომას შორის: ერთი მხრივ, სტატუსური ქცევა შეიძლება ჩამოყალიბდეს ეკონომიკური სისტემის ზეწოლის შედეგად, როდესაც ადამიანი იძულებულია მოიქცეს მის მიერ დაკავებული პოზიციის შესაბამისად (რათა სოციალურმა გარემომ ის არ გააძევოს თავისი ჯგუფიდან როლური ქცევის დეფორმაციათა გამო); მეორე მხრივ, ზოგჯერ შეინიშნება ,,მოძრაობა ქვემოდან", როდესაც შესაბამისი ეკონომიკური პირობების ფორმირებისას საზოგადოებაში ჩნდება ახალი შესაძლებლობები როგორც ცალკეული ეკონომიკური აგენტების(ინდივიდების), ისე ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფების სტატუსურ პოზიციათა შესაცვლელად (სტატუსი წინასწარ კი არაა მოცემული, არამედ ეკონომიკური აგენტების, ინდივიდუალურ ქმედებათა წყალობით მიიღწევა). განსაზღვრული სტატუსისადმი შესაბამისობის სურვილის საფუძველია ეკონომიკური ინტერესი, რომელიც უმრავლეს შემთხვევებში ,,შეიფუთება" სიამაყით ან სხვა გრძნობით. მოცემულ ნაშრომში შევეცადეთ გაგვეშუქებინა ტურისტთა სოციალური სტრუქტურისადმი(როგორც სოციალურ-ეკონომიკური სივრცისადმი), სტატუსური ქცევის შესაბამისობის შესწავლის აუცილებლობა ტურიზმის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისათვის. საქართველოში საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების საფუძველზე გაჩნდა მნიშვნელოვანი ცვლილებები საზოგადოების სისტემაში. ჩვენ გვსურს განვავითაროთ მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებაში ამჟამად მიმდინარეობს სტატუსური მახასიათებლების ევოლუცია, რაც უკავშირდება წოდებრივი ფორმებიდან საბაზრო ფორმებზე გადასვლას. საბაზრო ფორმებში მთავარი მაჩვენებელია გარკვეული ,,ბრენდის" ნივთის ან მომსახურების შესყიდვის შესაძლებლობა, ესე იგი, შემოსავლის გარკვეული დონე. მაშასადამე, ხაზგასმით აღინიშნება, რომ სტატუსის გამომვლენი ან მასთან დაკავშირებული მახასიათებლები დავიწროვდა და პრაქტიკულად ერთ ფაქტორიანი გახდა. ამჟამად მთავარი მნიშვნელობა ენიჭება არა იმას, თუ როგორ მოიპოვა ადამიანმა ფული, როგორია მისი კულტურის დონე (ანუ რასაც მან მიაღწია საკუთარი ძალისხმევის წყალობით), არამედ იმას, თუ როგორ ხარჯავს ადამიანი თავის ფულს, ანუ როგორი წარმატებით ხორციელდება საბაზრო მოთხოვნის გააქტიურება. (რაც ადამიანისგან ძალისხმევას არ მოითხოვს). ტურიზმის განვითარების მაღალეფექტიანი პოლიტიკის შემუშავებისთვის უნდა განხორციელდეს ტურისტთა განხილვა სტრუქტურალისტური მიდგომის ჩარჩოებში, რაც (საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე) საშუალებას გვაძლევს, დავაფიქსიროთ ტურისტების სამი ძირითადი სტატუსური ჯგუფის არსებობა.

კვლევა ჩატარდა ტურისტთა სამ ჯგუფზე (ტურისტთა გამოკითხვისას ისინი გარკვეული შემოსავლის ჯგუფებს აკუთვნებდნენ თავის თავს), ეს ჯგუფებია: მაღალშემოსავლიანი, საშუალოშემოსავლიანი და დაბალშემოსავლიანი. ჩვენ განვსაზღვრავთ ტურისტთ სტატუსურ ქცევას როგორც ქცევითი აქტების ისეთ ერთობლიობას ან ქმედებათა სისტემას, რომლებიც ასახავენ ინდივიდის(ტურისტის) კუთვნილებას მის მიერ დაკავებული გარკვეული სტატუსური პოზიციისადმი საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში. თანამედროვე საზოგადოებაში სტატუსური ქცევა, პირველ ყოვლისა, უკავშირდება უთანასწორობის გარკვეული საზღვრების განტკიცებისა და შენარჩუნების სურვილს, რაც ხორციელდება განსხვავებული სოციალური ჯგუფების წარმომადგენელთა ცხოვრების სტილების ჩამოყალიბების მეშვეობით. საქართველოში ტურიზმის კვლევით პრაქტიკაში სტატუსური განსხვავებების ანა-

ლიზისას აქცენტი, როგორც წესი, უნდა გაკეთდეს ამ ჯგუფების წარმომადგენელთა სამომხმარებლო აქტივობის კვლევაზე.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს თითოეული სტატუსური ჯგუფის ცხოვრების სტილის სტერეოტიპული აღქმა, ეს კი, თავის მხრივ, საშუალებას იძლევა, გამოიყოს სოციალური ქცევის ტიპური ფორმები, რომლებიც განსაზღვრავს ინდივიდის კუთვნილებას ამ ჯგუფისადმი. შესაბამის სიტუაციებში ჩნდება შესაძლებლობა, აღქმის სტერეოტიპების გამოყენებით და იმგვარი ქცევით, რომელიც არ შეესაბამება რეალური ვითარებას – დემონსტრირებულ იქნას საზოგადოების ჯგუფებისა და ფენებისადმი საკუთარი კუთვნილება. წარმოიშობა წინააღმდეგობა რეალურსა და მოჩვენებით (პიროვნების მიერ დროებით შექმნილ) სტატუსებს შორის.

ჩატარებული ანალიზის საშუალებით გამოყოფილ იქნა ტურისტთა სტატუსის ობიექტური და სუბიექტური მაჩვენებლები. ობიექტური ფაქტორები მოიცავს გარკვეული სტატუსური ჯგუფისადმი ინდივიდის მიკუთვნების რეალურ ასპექტებს: ეკონომიკური და პოლიტიკური რესურსების განაწილებაში მისი ჩართულობის დონეს, სოციალური გარემოცვის მიერ მის აღიარებას. სუბიექტური ფაქტორები ვლინდება დემონსტრირებულ მაჩვენებლებში - მოხმარების კონკრეტულ ხერხებში. სწორედ სტატუსური პოზიციის ობიექტური და სუბიექტური მაჩვენებლების არსებობა წარმოშობს სტატუსის სხვადასხვაგვარი აღქმის შესაძლებლობას. მკვლევართა თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია სტატუსური პოზიციების აღქმა უშუალოდ განსხვავებული ჯგუფების მიერ, როგორც საზოგადოების არსებული სოციალური სტრუქტურის სუბიექტური შეფასების შესაძლებლობა (როგორც რეალური, ისე ყალბი სტატუსების აღქმა).

ამგვარი შეფასების შესაძლებლობა საშუალებას იძლევა, გამოვლინდეს, ერთი მხრივ, სტატუსური პოზიციების განსაზღვრის სტერეოტიპულობა; მეორე მხრივ კი - აღწერილ იქნას ერთი და იმავე კრიტერიუმების შეფასებისა და მნიშვნელობის ვარიატიულობა ტურისტთა განსხვავებული სტატუსური ჯგუფების წარმომადგენლებისათვის. აქედან წარმოიშობა პრესტიჟული და სტატუსური მოხმარების განსხვავების აუცილებლობა, რადგან პრესტიჟულობის მახასიათებელი უკავშირდება გარკვეული ქცევითი აქტებისა ან მოვლენების საზოგადოებრივი აღიარების პარამეტრებს, მაგრამ შეიძლება არ ასახავდეს ინდივიდის რეალურ მდგომარეობას სოციალურ სტრუქტურაში. ხაზგასმულია მოჩვენებითი სტატუსის ხელოვნური ხასიათი.

ტურისტული მომსახურებისა და ტურინდუსტრიის პროდუქტთა მოხმარების სურვილი მნიშვნელოვან წილად მოტივირებულია სტატუსური პოზიციით. სტატუსური პოზიციის პრესტიჟულობა უკავშირდება მისი მიღწევის შესაძლებლობას ან ცხოვრების წესის შეცვლის წყალობით ან ახალი სტატუსის შესაბამისად მის მომდევნო შეცვლის მეშვეობით. ამასთან, სწორედ პოზიციის მიღწევის ხასიათი გულისხმობს, რომ არსებობს დემონსტრატიული მოხმარების მოთხოვნილება, რადგან დემონსტრატიული მოხმარება - ესაა მოხმარება სიმდიდრის ფლობის დამტკიცების მიზნით. ესაა რეპუტაციის შენარჩუნების საშუალება.

ამგვარად, ტურისტთა სტატუსური ქცევის რეალიზაციის მაგალითს წარმოადგენს მომხმარებელთა ქცევაც, რომლის ხასიათს ხშირად სოციალური გარემოცვა თავს ახვევს ადამიანს. ტურპროდუქტების მომხმარებელთა ქცევა სტატუსური ქცევის შემადგენელია. მათი სტატუსური ქცევის მოტივაცია მოიცავს სიამოვნების მიღებისა და საფრთხის შიშის პრევენციის - უსაფრთხოების მიღწევის სურვილს. უსაფრთხოება ძირითად საზოგადოებრივი ღირებულებაა, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს ზოგადად ეკონომიკური პოლიტიკა და ამ შემთხვევაში კი ტურიზმის პოლიტიკა საქართველოში. მოტივაციის არანაკლებ მნიშვნელოვანი კომპონენტია ტურპროდუქტის მოხმარების საფუძველზე სიამოვნების მიღება, რომელიც აგრეთვე სტატუსის რეალიზაციასა და მის განმტკიცებას ემსახურება.

პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში ტურიზმი განიხილება, არა როგორც ელიტარული პრაქტიკა, არამედ – როგორც განსხვავებული ფენების მომხმარებლური პრაქტიკა, რადგან, დაწყებული XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, როგორც შიგა ტურიზმი ასევე საერთაშორისო ტურიზმი ხასიათდება, როგორც მასობრივი მოვლენა. ჩვენმა მოქალაქეებმა საერთაშორისო ტურისტთა რიგების შევსება დაიწყეს მხოლოდ 1990-იანი წლების დასაწყისში, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ამ სფეროში მიმდინარე კვლევებს.

მასობრივი ტურიზმის განმასხვავებელი თავისებურებაა მისი კომერციალიზაცია. ყალიბდება სპეციალურ ორგანიზაციათა ქსელები, რომლებიც ქმნიან პირობებს კომფორტული და უსაფრთხო მოგზაურობებისთვის. კომერციალიზაციის წყალობით ტურიზმი მადიფერენცირებელ ხასიათს იძენს და ითვალისწინებს არა მარტო ტურიზმის მოტივებსა და დანიშნულებას (შემეცნებითი, საგანმანათლებლო, სპორტული და ა.შ.), არამედ – მოგზაურობაში დაბანდებული სახსრების რაოდენობასაც.

კომერციალიზებულ ტურიზმში სტატუსური ქცევა უფრო სწრაფად და ხშირად ვლინდება, ვიდრე - საქართველოს მოქალაქეთა დასასვენებელი საქმიანობის სხვა სფეროებში. ტურისტული მოგზაურობა წარმოადგენს არა მხოლოდ მომსახურებას ან მომსახურებათა კომპლექსს, რომელიც ინდივიდის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს, არამედ შეიძლება რეფერენტული ჯგუფის ფასეულობადაც იქცეს. ტურიზმი ერთჯერადი ქმედება კი არაა, არამედ ღონისძიებათა და მომხმარებლური პრაქტიკების დროში განფენილი კომპლექსია, რომელიც უკავშირდება თავისუფალ დროს და დამოკიდებულია ინდივიდის ცხოვრებისეულ ფასეულობებზე. სწორედ ამიტომ

ტურიზმის სოციოლოგიურ-ეკონომიკური ანალიზი საშუალებას იძლევა, გამოვლინდეს მოჩვენებითი, დროებითი სოციალური სტატუსების სისტემის ფორმირების მექანიზმები, რომლებიც დამახასიათებელია თანამედროვე საზოგადოებისთვის მოხმარების სფეროში. მადიფერენცირებელი ფუნქცია ტურიზმში (რაც მოხმარების არც ერთ სხვა ობიექტში არ ხდება) დამოკიდებულია ტურის ინტერპრეტაციასა და რეპრეზენტაციაზე თვით მომხმარებლის მიერ, რაც განისაზღვრება მომსახურების ან ტურისტული პროდუქტის (და არა საქონლის, რომლის დემონსტრირებაც შესაძლებელია) ბუნებით. გამომდინარე იქიდან, რომ ნებისმიერ მომსახურებას აქვს ოთხი ძირითადი ნიშან-თვისება: არახელშესახებობა, წარმოებისა და მოხმარების განუყოფელობა, ხარისხის ცვალებადობა, შენარჩუნების შეუძლებლობა, წარმოიშობა მოხმარების ილუზორული წარმოდგენის, მოჩვენებითი სტატუსის შექმნის შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში შეუძლებელია შემოწმდეს, გაკონტროლდეს ტურისტული მგზავრობის რეალური შინაარსისა და ხასიათის შესაბამისობა ტურისტის მიერ აღწერილ წარმოსახულ მოგზაურობასთან.

ემპირიული მონაცემების ანალიზი საშუალებას იძლევა, გამოიყოს საქართველოს მოქალაქეთა მიერ ტურისტული მოხმარების შემდეგი თავისებურებები: უპირველეს ყოვლისა, უნდა ვისაუბროთ მოსახლეობის იმ ჯგუფებზე, რომლებიც თავიანთ დასასვენებელ საქმიანობას უშუალოდ უკავშირებენ ტურიზმს. მათ მიეკუთვნება მაღალშემოსავლიანი ჯგუფის წარმომადგენელთა 76 %, საშუალოშემოსავლიანთა 51%) და დაბალშემოსავლიანთა 39 %. ტურისტთა მოცემული ჯგუფები განთავსებულნი იყვნენ სამი ტიპის სასტუმროებში (იხილეთ ცხრილი№1).

ჩვენს მიერ გამოკითხული საქართველოს ტურისტები უმეტესად მოგზაურობენ წელიწადში ერთხელ ან ორჯერ (რესპონდენტთა 60%). კვლევამ გამოავლინა არსებითი განსხვავება ტურისტული აქტივობის სასურველ დონესა და რეალურ მოხმარებას შორის: შორეულ საზღვარგარეთში ის შეადგენს 15%-ს, ახლო საზღვარგარეთში - 35 %-ს, ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე - 50 %-ს.

ცხრილი№1. აჭარის ზღვისპირეთის განსხვავებული ღირებულების სასტუმროთა ნომრებში ტურისტთა განთავსება (პროცენტებში).

სასტუმროების ტიპები	ფასი $	დატვირთულობა %	ოთახების რაოდენობა
საზღვარგარეთული ბიზნეს კლასის ბრენდები (Upscale Brands)	101-300	45	617
ადგილობრივი ,,ეკონომ“ კლასის სასტუმროები (Local Upscale)	50 - 83	43	597
ადგილობრივი იაფი სასტუმროები	36	33	1530

წყარო: შედგენილია ავტორების მიერ

ტურისტულ აქტივობაზე შემოსავლის დონის ზეგავლენას სოციალური ჯგუფის სპეციფიკა განსაზღვრავს. რესპონდენტებისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს არა თვით რომელიმე ტურის შესყიდვის შესაძლებლობას, არამედ გარკვეული მოთხოვნების შესაბამისი ტურისტული მომსახურების შეძენის შესაძლებლობას. დაბალშემოსავლიანი ჯგუფისთვის ამგვარი მოთხოვნები უკავშირდება მოგზაურობის მიმართულებას ან გეოგრაფიას, საშუალოშემოსავლიანი ჯგუფისთვის - განთავსების პირობებს (ვარსკვლავების რაოდენობას სასტუმროში, მომსახურების დონეს), მაღალშემოსავლიანი ჯგუფისთვის კი - კომფორტის დონეს და დამატებითი მომსახურების შერჩევის შესაძლებლობის არსებობას.

გამოკითხულ საქართველოს და უცხოელ მოქალაქეთა ტურისტული აქტივობის გეოგრაფია პრაქტიკულად მცირე გამონაკლისების გარდა ევროპას, ახლო აღმოსავლეთსა და რუსეთს მოიცავს. ყველაზე უფრო მოთხოვნად მიმართულებებს, შიდა ტურიზმის თვალსაზრისით, წარმოადგენს შავი ზღვის კურორტები: ბათუმი, ქობულეთი, ურეკი, გონიო, აგრეთვე თბილისი და ქუთაისი (მათზე მაღალი მოთხოვნაა დაბალშემოსავლიანი ჯგუფის ტურისტებს შორის). ზამთრის კურორტები როგორიცაა: გუდაური, ბაკურიანი და ბორჯომი უფრო მეტად საინტერესოა და მისაწვდომი საფინანსო თვალსაზრისით საშუალო შემოსავლის მქონე ტურისტთა ჯგუფებისთვის. საზღვარგარეთული ტურიზმის პოპულარული მიმართულებებია: ევროპა (განსაკურებით - იტალია, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი - მაღალშემოსავლიანი ტურისტებისთვისა და საშუალოშემოსავლიანი მომხმარებლებისთვის), თურქეთი და ეგვიპტე (ტურისტთა დაბალ და საშუალოშემოსავლიანი ჯგუფებისთვის). ამჟამად ტურისტთა მაღალშემოსავლიანი ჯგუფებისთვის აქტივიზებულია ტურიზმის ისეთი მიმართულებები, როგორებიცაა აფრიკა, ჩრდილოეთი და სამხრეთი ამერიკა, ჩინეთი. ტურისტთა მაღალშემოსავლიანი ჯგუფი უმეტესწილად ორიენტირებულია ექსკლუზიურ ტურებზე, რომლებიც სცილდება საშუალო სტანდარტის საზღვრებს.

კვლევამ დააფიქსირა, რომ ქ. ბათუმისა და მიმდებარე საკურორტო ზონაში ქართველ ტურისტთა შორის შეინიშნება ტურისტული მოგზაურობების მოტივაციის სამი ტიპი. პირველი მათგანი ჰედონისტური და რელაქსაციურია. ის დამახასიათებელია ტურისტთა 65%-სთვის. მეორე ტიპი მოიცავს შემეცნებით მოტივებს (ისტორიული ადგილების(მოციქულთა სწორი მათათას სავარაუდო საფლავი, რომაული პერიოდის ძეგლები და არტეფაქტები, უახლესი ატრაქციები ,,შეკვეთილთან”) დათვალიერება, ახალი

საარსებო გარემოს გაცნობა და ა.შ. - რესპონდენტთა 20 %. მესამე ტიპს განეკუთვნება შოპ-ტურები - გამოკითხვის მონაწილეთა 15 %.

ქალაქის მოსახლეობის სტატუსური მოტივაცია ტურიზმში უკავშირდება ისეთ კატეგორიებს, როგორებიცაა ,,წარმატებულობა" და ,,პრესტიჟულობა". ერთი მხრივ, ესაა თვით ტურიზმის, როგორც დასვენების სახეობის პრესტიჟულობა, მეორე მხრივ კი – ტურისტული აქტივობის სხვადასხვა ასპექტის პრესტიჟულობა. გამოყოფილ იქნა ტურიზმის პრესტიჟული მახასიათებლები, სახელდობრ ტურისტული ზონის პოპულარობის დონე, სასტუმროს კლასი, ტურისტული მოგზაურობის ღირებულება და ნაცნობ-მეგობრებთან სიახლოვე.

თანამედროვე საზოგადოების პირობებში, როდესაც სტატუსის მნიშვნელოვან მაჩვენებლად იქცევა ფინანსური რესურსის გამოყენების ხასიათი და მოხმარების დონე, წარმოიშობა წინააღმდეგობა სამომხმარებლო აქტივობის დემონსტრირების(ნაცნობ-მეგობრებთან) მზარდ როლსა და მისი შენარჩუნებისთვის საჭირო რეალური რესურსების არსებობას შორის. ტურიზმი, როგორც აქტივობის მოცემული სახეობის საჯარო აქტი, საშუალებას იძლევა გამოვლენილ იქნას წინააღმდეგობები ტურისტთა სტატუსური პოზიციებისა და რეალური სტატუსური ქცევის შესაბამისობის ან შეუსაბამობის დონეში. ტურიზმის განვითარებასთან, ტურისტული აქტივობის ფორმათა, მომსახურებისა და ტრანსპორტის შეთავაზებული დონის სახეობების ზრდასთან ერთად დაბალ და საშუალოშემოსავლიან ჯგუფებს შესაძლებლობა ეძლევათ აღმოჩნდნენ იმავე ადგილას, სადაც - უფრო მაღალი სტატუსური ჯგუფის წარმომადგენლები იმყოფებიან. ამიტომ განსხვავების მნიშვნელოვან კრიტერიუმებს ტურისტებისთვის წარმოადგენს ტურის ღირებულებისა და მოხმარების ერთობლიობა ტურისტულ ზონაში. ყოველივე ამის შედეგად, წარმოიქმნება შესაძლებლობები არა მარტო ადეკვატური, არამედ - მოჩვენებითი სტატუსური ქცევის განხორციელებისთვის.

ტურისტთა სტატუსური ქცევითი პრაქტიკების განხილვით შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ ტურისტთა სტატუსური ქცევის ტიპოლოგია. ქცევის მოდელები ინდივიდუალური აქტივობის ფორმაა, რომელთა დანიშნულებას წარმოადგენს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და ადამიანის ინტერესების რეალიზაცია მთლიანი შიდა პროდუქტის(მშპ-ს) კვლავწარმოების ობიექტურად განსაზღვრული პირობების, საშუალებებისა და ხერხების სისტემაში. ამგვარი პირობების ჩარჩოებში ყალიბდება ინდივიდებისა და სოციალური ჯგუფების ურთიერთმოქმედებათა ურთულესი სტრუქტურა, რომელზეც მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს ტურიზმი.

ტურიზმში მომხმარებლური ქცევისადმი მიძღვნილი ემპირიული მასალის ანალიზი საშუალებას იძლევა, შეიქმნას სტატუსური ქცევის მოდელი, რომელშიც გამოიყოფა ოთხი სახეობა: ადეკვატური (დემონსტრატიული/არადემონსტრატიული), მოჩვენებითი, ანომიური და იზოლაციური. გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ გამოკითხული ტურისტების უმრავლესობისთვის (70 %) მოგზაურობისას დამახასიათებელია სტატუსური ქცევა, მაგრამ სტატუსური ქცევისა და რესპონდენტთა შემოსავლის დონის კორელაციის ანალიზისას თავი იჩინა არსებითმა ქცევითმა განსხვავებებმა აჭარის რეგიონში მყოფ ტურისტებს შორის. სტატუსის დემონსტრირებისას ადეკვატური ქცევა იმით ხასიათდება, რომ ინდივიდს გააჩნია რესურსები მის მიერ დაკავებული სტატუსის გამოსავლენად, რითაც ის ამაყობს. ამასთან დაკავშირებით, შესაძლებელია ადეკვატური ქცევის ორი ფორმა: დემონსტრატიული და არადემონსტრატიული. პირველ შემთხვევაში ინდივიდი, თავისი რესურსებიდან გამომდინარე, შესაბამისი ხერხებით ხაზს უსვამს მოცემული სტატუსისადმი კუთვნილებას. მიმდინარეობს სხვებზე(ნაცნობ-მეგობრებზე და პარტნიორებზე) ორიენტაციის მუდმივი პროცესი: როგორც იმავე სტატუსის მქონე პირთა მიმართ, ისე - სხვა სტატუსური ჯგუფების მიმართ (უფრო მაღალი/უფრო დაბალი).

ადექვატური ქცევის დემონსტრატიული არსი, რომელიც დამახასიათებელია მაღალშემოსავლიანი ჯგუფის წარმომადგენელთა 40 %-სთვის, შემდეგნაირად ვლინდება:

პირველი - დასვენება საზღვარგარეთ და არც თუ ისე იშვიათად - საქართველოს მოქალაქეთა შორის ტურისტულ ზონაში (დემონსტრაციის ფარული ფორმა).

მეორე საშუალება - დემონსტრაციის ღია ფორმა, რომელიც უკავშირდება, მაგალითად, ექსკლუზიური ტურის შერჩევას დამატებითი მომსახურების ფართო კომპლექსით, რომლის შესახებაც მან შეიძლება მოუთხროს გარემომცველ ადამიანებს (მაგალითად, ჩაძირული გემის დათვალიერება წყალქვეშ). სწორედ ტურისტთა საშუალოშემოსავლიანი ჯგუფი მისდევს მოდურ ტენდენციებს, რომლებიც შესაბამისი სტატუსისთვისაა დამახასიათებელი (35 %). დაბალშემოსავლიანი ჯგუფის წარმომადგენლები რესურსების განაწილებისას უპირატესობას ანიჭებენ სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე დასვენებასა(მკურნალობისა და რეკრეაციის მიზნით) და შენაძენებს. ამიტომ მოცემულ ჯგუფში ტურიზმი ხშირად განიხილება, როგორც აუცილებელი(სამკურნალო კურორტებზე წასვლა ყოველწლიურად), იშვიათი(განსაკუთრებული რეპუტაციისა და სახელის მქონე სპეციალისტებთან კონსულტაციები, ოპერაციები და ა.შ.) და მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც შეიძლება მოხდეს ცხოვრებაში 5-10 წელიწადში ერთხელ. ამის გამო ხდება მისი აქტიური დემონსტრირება (რესპონდენტთა 60%).

მეორე შემთხვევაში ტურისტებისთვის რესურსების არსებობა და სტატუსი განიხილება, როგორც ცხოვრების ჩვეული წესი, ქცევითი პრაქტიკების ყოელდღიური ერთობლიობა, საკუთარი სტატუსის ვინმესთვის დემონსტრირების სურვილის გარეშე. მაღალშემოსავლიან ჯგუფში ეს დამახასიათებელია

რესპონდენტთა 60%-სთვის, საშუალოშემოსავლიანში - 10%-სთვის, დაბალშემოსავლიანში - 5 %-სთვის.

ტურისტთა მოჩვენებითი ქცევა უკავშირდება პიროვნების სურვილს, გარკვეული პერიოდის განმავლობაში იამაყოს თავისი სტატუსით. ეს მისწრაფება თამაშებრივი ფორმით რეალიზდება, როდესაც ადამიანი, რომელსაც არა აქვს საკმარისი რესურსები უფრო მაღალი სტატუსის მისაღწევად, შეუძლია დროებით აღიჭურვოს სასურველი სტატუსით სოციალურ გარემოში, რომელსაც არ გააჩნია სრული ინფორმაცია საზოგადოებაში ინდივიდის(ამ შემთხვევაში ტურისტის) მდგომარეობის შესახებ. ქცევის ამგვარი ტიპი უკავშირდება სასურველი სტატუსის დემონსტრირების სურვილს, ისე, რომ არ გამჟღავნდეს რეალური სტატუსი.

ჩვენი გამოკვლევის მონაცემთა მიხედვით, მოჩვენებითი ქცევა ყველაზე უფრო ხშირად იჩენს თავს საშუალოშემოსავლიან ჯგუფში (რესპონდენტთა 40 %, განსხვავებით დაბალშემოსავლიანისა - 15 % და მაღალშემოსავლიანისგან - 9%). ამგვარი ქცევა შეიძლება ასახავდეს საკმარისი ფინანსური რესურსების შეძენის ორ ხერხს. უპირველეს ყოვლისა, ესაა დაგროვებითი ხერხი, როდესაც ხდება მოგზაურობისთვის განკუთვნილი თანხების გადადება ერთი წლის ან მეტი ხნის განმავლობაში, მეორეც - ესაა კრედიტი, როდესაც მოგზაურობის განსახორციელებლად გამოიყენება სესხები.

ანომიური ქცევა ტურისტთა მოცემულ ჯგუფში თავს იჩენს მაშინ, როდესაც სტატუსური პოზიციები გამყარებულია არსებული რესურსებით, მაგრამ ადამიანი თავს მაინც დაუცველად და უკმაყოფილოდ მიიჩნევს, რადგან ფიქრობს, რომ მეტს იმსახურებს. ყველაზე ხშირად ამგვარი ქცევა დამახასიათებელია ტურისტთა საშუალოშემოსავლიანი და დაბალშემოსავლიანი ჯგუფებისთვის (შესაბამისად, რესპონდენტების 15-15 %), როდესაც არ ხდება ,,სხვა სტატუსის გათამაშება", მაგრამ იდენტიფიკაციისას აქცენტების გადანაცვლება ხდება.

იზოლაციური ქცევა. საზოგადოების წევრთა ქცევის მოცემული ტიპი გულისხმობს იმ სიტუაციათა წარმოქმნის შესაძლებლობის შემცირებას, რომლებიც საჭიროა სტატუსის დემონსტრაციისთვის, ეს კი ტურიზმის სრულ უგულებელყოფაში გამოიხატება. იზოლაციური ქცევა დამახასიათებელია დაბალშემოსავლიანი ჯგუფის რესპონდენტთა 5%-სთვის(სიღატაკის გამო).

მიღებული შედეგების შესამოწმებლად საჭირო გახდა ახალი მოდელის აგება, რომლის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს ტურისტთა სტატუსური კუთვნილების ინდივიდუალური თვითშეფასება. მოცემული მოდელი შექმნილ იქნა იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანს(ტურისტს), მისივე წარმოდგენით, შეიძლება ორი თვალსაზრისი ჰქონდეს საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში თავისი ადგილის შესახებ - მკაფიოდ გააზრებული და გაურკვეველი. მკაფიოდ გააზრებული პოზიცია დამახასიათებელია ტურისტთა იმ ჯგუფისთვის, რომლებიც იცნობიერებენ, რომ საზოგადოება იერარქიულია და იცნობენ საქართველოში არსებულ სტატუსურ პოზიციათა გამოყოფის ძირითად კრიტერიუმებს. გაურკვეველი პოზიცია მოწმობს ორი ძირითადი ტენდენციის შესახებ:

ერთი მხრივ, ტურისტი საერთოდ არ ფიქრობს საზოგადოებაში თავისი მდგომარეობის თაობაზე (ინფანტილიზმი);

მეორე მხრივ - სტატუსური პოზიციების არსებული კონკურენტული მოდელი არ აკმაყოფილებს ტურისტის წარმოდგენებს ჰარმონიული სოციალური მოწყობის შესახებ, რაც ზოგჯერ მისი უარყოფის მექანიზმს მოიცავს. ასეთ შემთხვევებში საშუალო და ძალზე იშვიათად მაღალშემოსავლიანი ჯგუფის ტურისტები ირჩევენ მათი საზოგადოებრივი სტატუსისთვის შეუფერებელი განთავსების ადგილებსა და სიტუაციებს.

ქართველ ტურისტთა ქცევის ორიენტაციას ახლობლებზე, ნათესავებზე, მეგობრებზე, კოლეგებზე საკუთარი სტატუსური პოზიციის შეფასებისას წამყვანი როლი განეკუთვნება. ამის საფუძველზე და პოზიციის გააზრებულობის გათვალისწინებით ჩვენს მიერ გამოყოფილია 6 სტატუსური პოზიცია: დემონსტრაცია, ადეკვატურობა, მოჩვენებითობა, მიბაძვა, ადაპტაცია და ამორფულობა.

ზოგადად შესაძლებელია, ორი ძირითადი პოზიციის გათვალისწინებით, დეტალურად დახასიათდეს ტურისტთა ქცევითი სტრატეგიების სახეობები. გაურკვეველი პოზიციისას ადამიანს უძნელდება თავისი რეალური სუბიექტური და ობიექტური რესურსების შეფასება საკუთარი სტატუსის განსაზღვრის მიზნით. ამიტომ ტურისტისთვის სტრატეგია ,,მიბაძვა" ყველაზე უფრო ხშირად რეალიზდება ნათესავების, მეგობრების, კოლეგების (როგორც ნაცნობთა წრის წარმომადგენლების) მიბაძვის დონეზე. ასეთ დროს აქცენტირებულია მათთან თანასწორობა მსგავსების ჭარბი დემონსტრაციის ხაზგასმის წყალობით (შემომხედეთ, ისევე, ვიქცევი, როგორც - თქვენ). ეს დამახასიათებელია უმეტესწილად საშუალოშემოსავლიანი ჯგუფისთვის (რესპონდენტთა 10 %, განსხვავებით დაბალშემოსავლიანისა - 6 % და მაღალშემოსავლიანისგან 0%).

ადაპტაცია, აგრეთვე, საშუალებას იძლევა, ნაცნობებისა და ნათესავების წრის მეშვეობით განისაზღვროს იმ ქცევითი აქტების ერთობლიობა, რომლებიც გარკვეულ სტატუსურ პოზიციას შეესაბამება. ამასთან, ხდება მსგავსების აღიარება, მაგრამ არა - ხაზგასმა (სხვებივით ქცევა). მოცემული დამოკიდებულება უფრო მეტად დამახასიათებელია დაბალშემოსავლიანი ჯგუფისთვის (12%), ვიდრე - სხვა ჯგუფების წარმომადგენლებისთვის — (4 %). გამოკითხულები ამ ფაქტს უკავშირებენ ობიექტური გარემოებების ზეგავლენას, რომლებიც გარდუვალად აიძულებენ მათ, შეურიგდნენ არსებულ მდგომარეობას.

ამორფულობა შეიძლება გამოვლინდეს, როგორც ,,გადარჩენის" და, ასევე, როგორც უახლოეს გარემოზე ,,თვითამაღლების'' სტრატეგია. ემპირიული

მონაცემების საფუძველზე გამოვლინდა, რომ იმ რესპონდენტთა წილი, რომლებიც ამგვარ სტრატეგიებს იყენებენ, არაარსებითია (დაბალშემოსავლიანი და საშუალოშემოსავლიანი ჯგუფების რესპონდენტთა 2 % და 1 %).

მეორეც, ესაა წინააღმდეგობა, ერთი მხრივ, ტურისტებზე სოციალური გარემოს მაიძულებელ სტატუსურ ზეგავლენასა და, მეორე მხრივ, მათ სტატუსურ ამბიციებს შორის. სოციალური გარემოს ზეგავლენით ადამიანი იცნობიერებს თავის კუთვნილებას გარკვეული სტატუსური პოზიციისადმი, მაგრამ ქცევით აქტებში სხვა ქცევით ჯგუფზეა ორიენტირებული. ტურისტთა პირადი და სოციალური სტატუსური რესურსების ნაკლებობისას ეს მოჩვენებითი სტატუსური ქცევის ეფექტს იწვევს.

ამგვარად, სტატუსური ქცევის ანალიზი ტურიზმში, როგორც მადიფერენცირებელ საქმიანობაში (რომელსაც განსაზღვრავს სტატუსური ფასეულობების სისტემა და რომელიც აყალიბებს ცხოვრების გარკვეულ წესს, საზოგადოებრივ იდეოლოგიას), მოწმობს, რომ ტურისტებისა და მათი ჯგუფების სამომხმარებლო ქცევა იმეორებს საზოგადოების გარკვეულ სტრუქტურას და წარმოქმნის გარეგნული მაჩვენებლების სისტემას სტატუსური პოზიციების წარმოსაჩენად.

ტურისტული მომსახურებისა და პროდუქტების ბაზარზე სამომხმარებლო მოთხოვნის განუხრელი ზრდის უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია, რომ ტურიზმის პოლიტიკა შესაბამისობაში იყოს და იცვლებოდეს ტურისტთა სტატუსურ ქცევასთან ერთად. ასეთი მიდგომა გრძელვადიან პერიოდში უზრუნველყოფს ტურისტთა ნაკადების სტაბილურ ზრდასა და სხვა მნიშვნელოვან პოზიტიურ შედეგებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მეტრეველი მ. (2011). ტურიზმის ეკონომიკა და პოლიტიკა. საგამომცემლო სახლი ,,ფავორიტი პრინტი“, თბილისი.
2. მეტრეველი მ. (2012). გარემოსა და ეკოტურიზმის მენეჯმენტი. საგამომცემლო სახლი ,,ფავორიტი პრინტი“, თბილისი.
3. Dredge, D., & Jenkins, J. (Eds.). (2011). Stories of practice: Tourism policy
4. and planning. Aldershot: Ashgate.
5. Georgia Tourism Strategy 2015/2025 http://georgia.travel/
6. 6. Gvelesiani R. & Gogorishvili I. (2014). The Basic Problems for the
7. Realization of the Concept of Economic Policy, International Scholarly and
8. Scientific Research & Innovation International Science index.org. Vol:8 no:11,
9. p. 332-335. waset.org
10. Hall, C. M. (2011). A typology of governance and its implications for tourism
11. policy analysis. Journal of Sustainable Tourism, 19(4-5), 437-457.
12. http://geostat.ge Georgian Statistics Office
13. http://gnta.ge Georgian National Tourism Administration
14. Law of Georgia ,,On Sanitary Protection Zones of Resorts and Resort Areas”
15. http://economy.ge/en/economic-legislation/tourism
16. law of Georgia ,,On Tourism and Resorts” https://matsne.gov.ge/en/document/view/33370

ღვინის ტურიზმის პერსპექტივა საქართველოში

ქეთევან ქაჯაია
სტუ-ს ასისტენტ-პროფესორი

რეზიუმე

დაახლოებით ოთხი წელია, რაც მთელ მსოფლიოში ღვინის ტურიზმის ბუმი დაიწყო. ღვინის მწარმოებელ ნებისმიერ ქვეყანაში ცდილობენ, რომ საკუთარ ღვინის ქარხნებსა თუ პატარა მარნებში მოაწყონ ისეთი ინფრასტრუქტურა, სადაც ტურისტებს ღვინის გარდა სხვა მნიშვნელოვან მომსახურებასაც შესთავაზებენ (გართობა, ღვინოსთან დაკავშირებულ პროცესებში ჩაბმა, რთველში მონაწილეობა, ღვინის დაწურვა, კერძებისდეგუსტაცია და სხვ.). ამ კუთხით საქართველოს უპირატესობა უცხოელი ღვინის ექსპერტების აზრით ისაა, რომ საქართველოში შემორჩენილია ტრადიციული მეღვინეობა, არსებობს ქვევრის კულტურა და ის, რომ ღვინის კულტურა საქართველოში მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებასთანაა შერწყმული.

განსხვავებულობა, რომელიც ქართულ ღვინოსა და მეღვინეობას გააჩნია, აშკარაა და უცხოელები ამას ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევენ. განსახვავებული ნიშის პოვნა კი კონკურენტულ უპირატესობასაც ნიშნავს. მთავარია, ხელისუფლებამ ეს უპირატესობა ხელიდან არ გაუშვას და დაინტერესებულ დამწყებ ფერმერსა თუ გლეხს შესთავაზოს ხელშეწყობის ისეთი პროგრამა, რაც არაერთია აგრარულ სექტორში. ჩვენ მსოფლიო კონკურენციაში გარკვეული უპირატესობები უკვე გაგვაჩნია, რადგან აღარ არის საკამათო, რომ ღვინის ტრადიციული კულტურა საქართველოდან დააიწყო და ქვევრის მისტიკაც თავის როლს თამაშობს. საქართველოში უკვე არსებობენ ინფრასტრუქტურულად განვითარებული კომპანიები, თუმცა ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმისა, რისი შესაძლებლობა და პოტენციალიც არსებობს.

საკვანძო სიტყვები: ღვინისტურიზმი, ქვევრის ღვინო, ტრადიციული მეღვინეობა, ღვინის ექსპორტი, გაეროს ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია,აგრარულისექტორი

Perspective of wine tourism in Georgia

Ketevan Kajaia

Summary

It`s about four years, that world-scale wine boom has started. Every wine-producing country tries to arrange such infrastructure through wine plants or in small wine-vaults, that will offer tourists not only wine, but other relevant service as well (joy, involvement in wine-related processes, involvement in vintage, trample the grapes, degustation of dishes, etc.). In this scope, the Georgia`s advantage among other countries is, that here is left the traditional winery, here exists the pitcher culture and the winery culture in Georgia is merged with people`s everyday life.

Georgian wine and winery has its specificity. It`s obvious and foreigners always pay huge attention to this issue. To find a different mark means a competitive advantage. It`s important, that authority not to leave this advantage without attention and to offer to beginner farmers such supportive program, that are numerous through agricultural sector. We already have some kind of advantages in global competition, as it`s not doubtful any more, that wine tradition culture has started from Georgia and pitcher`s mystic also plays its role. In Georgia already exist the companies with developed infrastructure, though this is a small part of a huge potential, which actually exists.

Keywords: Wine tourism, pitcher wine, traditional winery, Wine export, UN tourism world organizationAgricultural sector

ღვინისტურიზმიმსოფლიოსმრავალქვეყანაშიწარმატებულბიზნესად და საკუთარიკულტურისდემონსტრირებისეფექტურსაშუალებადითვლება. მაგალითად, ბირმულმავენახმა, რომელიც 1997 წელსბერტმორსბახმადააარსა, მიანმასყოველწლიურადათასობითტურისტიშესძინა. ”სტელენბოშისღვინისგზა” კისამხრეთაფრიკაშიუამრავტურისტსმასპინძლობს. საქართველოსუნიკალურიგეოგრაფიულიმდებარეობა და ღვინისუნიკალურიჯიშებისარსებობაქვეყანაშიღვინისტურიზმისგანვითარებისთვისშესანიშნავსაფუძველსქმნის, თუმცაშეიძლებაითქვას, რომ საქართველოშიმსგავსისახისტურიზმიფეხსმხოლოდახლაიდგამს.

საქართველოში ღვინის ტურიზმი მზარდ სეგმენტს წარმოადგენს, მოთხოვნის დივერსიფიკაციის უზარმაზარი შესაძლებლობებით. ამას თავისი ხელშემწყობი ფაქტორები გააჩნია. საქართველოს შეუძლია, სასიკეთოდ გამოიყენოს ყურძნის უნიკალური ჯიშების სახით არსებული რესურსი.როგორცცნობილია, მსოფლიოშიცნობილი 2000 ჯიშიდან 550 ქართულია.ასევე, მნიშვნელოვანია, იმისგათვალისწინებაც, რომ საქართველოშიქვევრისღვინოისევინარჩუნებსწამყვანპოზიციას, იუნესკომკიქართულიქვევრი და ღვინისდამზადებისწესიარამატერიალურიძეგლებისნუსხაშიშეიტანა. ღვინისტურიზმიყურძნისდაკრეფის, დაწურვის, ღვინისდაყენებისა და დაჭაშნიკებისპროცესისგარდა, მოიცავსეკლესიამონასტრებისდათვალიერებას, ქართულისუფრისგაცნობას, დაგემოვნებას, ზოგადად, ქართულიკულტურისპოპულარიზაციას.

ჟურნალი „ფორბსი“ ქართულ ღვინოებს 9 საუკეთესო ალკოჰოლურ ნაწარმს შორის ასახელებს, რომელთასმაცამერიკელებმა 2016წელსაუცილებლა-

დუნდადაიწყონ.ალისფარინგი, ნიუ-იორკელიმწერალი და ღვინისავტორიტეტულიექსპერტი,ყურადღებასსაქართველოშინატურალურიღვინისწარმოებისუნიკალურწესზეამახვილებს და ამბობს, რომ „ამ წესითქართველები„ღვინოსუწყვეტად,ალბათ, 8 ათასინწლისმანძილზეამზადებდნენ და დღესაცარისსაქართველოშიმცირე, მაგრამძალიანძლიერიჯგუფი, რომელიცმოდერნიზებისმიუხედავად, წარმოებისპროცესშიმანიპულირებასძალიანმცირედოზითუშვებს და ტრადიციებისერთგულირჩება“.

ღვინისტურიზმისგანვითარებასაქართველოსრეგიონებისთვისდასაქმების და სიღარიბისდაძლევისსაუკეთესოშესაძლებლობაა. ამპოზიციასიზიარებსხელისუფლება და როგორცტურიზმისდეპარტამენტიაცხადებს, ღვინისტურიზმიმათთვისერთ-ერთპრიორიტეტადიქცა. აქვეუნდააღვნიშნოთ, რომ ტურიზმის ამ სახეობისთვისხელშემწყობიფაქტორიაღვინისექსპორტისზრდა და ქართულიღვინისპოპულარიზაცია. ღვინისეროვნულსააგენტოსმონაცემებით, 2016 წლისპირველნახევარშისაქართველოდანმსოფლიოს 40 ქვეყანაშიექსპორტირებულია 19,8 მლნბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 44%-ითაღემატებაგასულიწლისანალოგიურმონაცემებს. საანგარიშოპერიოდშიექსპორტირებულია 46,6 მლნაშშდოლარისღირებულებისღვინო, რაც 18%-ითმეტიაგასულიწლისამავეპერიოდისმაჩვენებელზე. საანგარიშოპერიოდისთვისექსპორტისმატებააღსანიშნავიაროგორცევროკავშირისქვეყნების, ისეჩინეთისა და სხვატრადიციულიბაზრებისმიმართულებით. 6 თვისმონაცემებით, ჩინეთმა მე-4 ადგილიდან მე-3 ადგილზეგადაინაცვლაისეთიტრადიციულიბაზრებისშემდეგ, როგორიცაარუსეთი და უკრაინა. ექსპორტიორიქვეყნებისპირველიხუთეულიასეგამოიყურება: რუსეთი - 10 198 085 ბოთლი; უკრაინა -2 286 977 ბოთლი; ჩინეთი - 1 884 665 ბოთლი; ყაზახეთი- 1 764 286 ბოთლი; პოლონეთი -1 070 454 ბოთლი. ადგილწარმოშობისდასახელებისღვინოებიდანყველაზედიდირაოდენობითექსპორტირებულია „ქინძმარაული“ — 2 626 364 ბოთლი, „მუკუზანი“ — 1 006 732 ბოთლი, „წინანდალი“ — 830 149 ბოთლი, „ახაშენი“ — 426 899 ბოთლი, „ხვანჭკარა“ — 132 033 ბოთლი. შესაბამისად, ყველაესდასახელებულიბრენდიზოგადადქართულიღვინისგაზრდილირეკლამაა, რაცხელსუწყობსუცხოელებისდაინტერესებასსაქართველოთი და იქღვინისტურიზმისგანვითარებით.

ტურიზმისწილისაქართველოსეკონომიკაში 7 პროცენტზემეტია დაწლიდანწლამდეიზრდებასასტუმროებისა და რესტორნებისსაქონელბრუნვა. დარგისგანვითარებაშიმნიშვნელოვანიროლიშეუძლიაითამაშოსღვინისტურიზმმა, რომლისპერსპექტივადიდიუნდაიყოსსაქართველოსღვინოებისსიმრავლის, რელიეფისთავისებურების, კერძებისა და ფოლკლორულიმრავალფეროვნებისგამო.

რასარგებლისმოტანაშეუძლიაღვინისტურიზმს და რააფერხებსმისგანვითარებას? ფერმერიმალხაზჯაყელიორგანულმევენახეობა-მეღვინეობასმისდევსგარეკახეთისსოფელხაშმში, სადაცდაახლოებით 5,5 ჰექტარზესაფერავისვენახიაქვსგაშენებული. ხაშმისსაფერავი, რომელსაცხალხმა„დევისსისხლი“შეარქვა, საუკუთესოდითვლება. შესაბამისად, გასაკვირიარარის, რომ „ჯაყელებისღვინოების“ წლიურისაქონელბრუნვა40 ათასლარსაღწევს, თუმცათავადმალხაზჯაყელიიმედოვნებს, რომ ღვინისტურიზმშიჩაბმითშემოსავლისკიდევუფრომეტადგაზრდასშეძლებს.

საქართველოშიმოქმედიტუროპერატორებიდაინტერესებულტურისტებსუკვესთავაზობენღვინისტურებსროგორცზვრებსა და მარნებში, ასევეკვებისობიექტებში. დღესღვინისტურებიძირითადადიმართებატრადიციულიმევენახეობისრეგიონებში,სადა ტურისტებსსაშუალებაეძლევათ,ეწვიონღვინისმსხვილსა და მცირეკომპანიებს, გლეხურმეურნეობებს, მარნებს, ვენახებს და მონაწილეობამიიღონრთველში, გაეცნონფოლკლორსა და ადგილობრივტრადიციებს. ასევემნიშვნელოვანიადეგუსტაციისასღვინოსთანმხოლოდადგილობრივიკერძებისშეხამება, ისევე,როგორცმნიშვნელოვანიატიპიურიარქიტექტურის, ჩაცმულობისა და ღვინისჭურჭლისშერჩევა, თუმცაისიცუნდაითქვას, რომ ყოველივეესმნიშვნელოვანხარჯებთანარისდაკავშირებული, რაცსოფლებშიგარკვეულწილადღვინისტურიზმისგანვითარებასაფერხებს. დიდსაწარმოებსაქვთფული და არაინტერესებთტურიზმიდანშემოსავალი. მცირემეწარმეებსა და გლეხურმეურნეობებსკიაქვთმცირეშემოსავალი და ვერახერხებენმარნებისკეთილმოწყობას, შესაბამისადაღჭურვას. დამატებითსაჭიროაინფრასტრუქტურა, მარანთანმისასვლელიგზა, კომფორტულისველიწერტილები, რაცსერიოზულხარჯებსმოითხოვს.

ღვინის ტურიზმის განვითარება იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ მცირე მარნების გადარჩენისა და, შესაბამისად, ქართული ღვინოების მრავალფეროვნების შენარჩუნების კარგ საშუალებას იძლევა. ამასთან, როგორც ტურისტული კომპანიები აცხადებენ, ღვინის ტურებზე მოთხოვნა განუხრელად იზრდება. საქართველოში ჩამოსული ტურისტების 100% თუ არა, 80% მაინც ითხოვს ღვინოების გასინჯვას.

თუმცა უსახსრობა არ არის ერთადერთი მიზეზი იმისა, რომ ღვინის ტურიზმი საქართველოში ისე სწრაფად ვერ ვითარდება, რისი შესაძლებლობებიც არსებობს. ეკოტურიზმის განვითარების ცენტრის განცხადებით, მნიშვნელოვანი პრობლემაა გიდების დაბალი კვალიფიკაცია:„თვალშისაცემია გიდების განათლებისა და სერტიფიცირების პრობლემა. ყველას შეუძლია იყოს გიდი, არანაირი დამადასტურებელი მოწმობა მას არ სჭირდება. ზოგი გადამზადებულია, ზოგი - არა. ეს პრობლემა მძაფრად დგას ღვინის ტურიზმში, რომელიც ახლა იკიდებს ფეხს და ცოდნა ამ მიმართულებით არის ძალიან დაბალი. არადა, სხვა გიდებთან შედარებით, ღვინის ტურიზმში მეტი ცოდნაა საჭირო. გიდი კარგად უნდა ფლობდეს სპეციალურ ტერმინოლოგიას... მართალია, ნაბიჯები იდგმება, მკვიდრდება გარკვეული სტანდარტები, მაგრამ არაფერი გამოვა, თუ თავად არ იზრუნეს ღვინის კომპანიებმა საკუთარ გიდებსა და მათ მომზადე-

ბაზე“.

ამ მხრივ წარმატებულია აჭარაში გიდების გადამზადება მაღალმთიანი აჭარის ტურისტული მარშრუტებისთვის. წელს გიდების ცოდნის გაღრმავება ქედის ღვინის ტურისტული მარშრუტის მიმართულებით მოხდა. აჭარის ტურისტული პროდუქტების სააგენტომ რეგიონში მოქმედი 10 უცხო და ქართულენოვანი გიდი უცხოელ ტურისტებში პოპულარული მარშრუტის მიმართულებით გადაამზადა.თეორიული სწავლების გარდა ტრენინგების ფარგლებში გიდებისთვის ღვინის მარშრუტის მიმართულებით ინფოტურები მოეწყო. ისინი მარშრუტზე არსებულ ღვინის მარნებს, საოჯახო სახლებსა და ისტორიულ-კულტურულ ძეგლებს გაეცნენ. ადგილზე დააგემოვნეს საოჯახო მარნებში დამზადებული ღვინო და ტრადიციული კერძები. რაც შეეხება თეორიულ ტრენინგებს, მათ აჭარაში ცნობილი მეღვინის, სომელიესა და ისტორიკოსისგან ღვინის ისტორიის, დეგუსტაციის წესებისა და ტექნოლოგიური მომზადების, ასევე, ექსკურსიამძღოლობისას პრობლემატური საკითხების მოგვარების შესახებ მიიღეს ინფორმაცია.აჭარაში ქედის ღვინის მარშრუტი განსაკუთრებით საინტერესოა ტურისტებისთვის, რომლებსაც რეგიონში ტრადიციული კერძების დაგემოვნება და მხოლოდ აჭარისთვის დამახასიათებელი ღვინის სახეობების აღმოჩენა სურს. ქედის „ჩხავერი“ და „ცოლიკაური“ განსაკუთრებული არომატით გამოირჩევა და ტურისტებში პოპულარობით სარგებლობს.

მნიშვნელოვანია, რომ სექტემბრის დასაწყისში, პირველად საქართველოში, ღვინის ტურიზმის გლობალური კონფერენცია გაიმართა. გაეროს ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის ღონისძიება 2016 წლის 7-9 სექტემბერს კახეთში ჩატარდა. გადაწყვეტილება ოფიციალურად ლონდონში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე გახდა ცნობილი, სადაც მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ტალებ რიფაიმ, პროექტის პრეზენტაცია გამართა. ტალებ რაფაის განცხადებით, ღვინის ტურიზმი წარმოადგენს მზარდი სეგმენტს, მოთხოვნის დივერსიფიკაციის უდიდესი შესაძლებლობებით. საქართველოს შემთხვევაში ეს პოტენციალი კარგად ცნობილია და სასიხარულოა, რომ საქართველოში პირველად გაიმართა ღვინის ტურიზმის მსოფლიო კონფერენცია. ამ კონფერენციის შესახებ განცხადება ლონდონის ტურისტულ გამოფენაზე გაკეთდა, რადგან ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ტურისტული გამოფენა. ეს კონფერენცია ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რომელიც დიდი ალბათობით ღვინის სამშობლოდ არის მიჩნეული. ეს არის ქვეყანა ათასწლოვანი ტრადიციებით, სადაც შესანიშნავი ღვინო მზადდება.

გაეროს ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ სხვადასხვა კულტურის და ცხოვრების სტილის გასაცნობად სამზარეულო და ღვინო მთავარი კომპონენტებია, რომელიც მოგზაურებს სხვადასხვა ქვეყნის მონახულების სტიმულს აძლევს და მოტივაციას უზრდის.

მეღვინეები დიდი ენთუზიაზმით ხვდებიან ღვინის ტურიზმის განვითარებას, თუმცა არის ნაწილი, რომლებსაც ეს საქმე სრულიად არ აინტერესებს. რა თქმა უნდა, ესეც ბუნებრივია, რადგან ყველა ვერ დაკავდება ამ იდეის სისრულეში მოყვანით... ამ დროისთვის, ღვინის ტურიზმის თვალსაზრისით, ძალიან კარგი მდგომარეობაა კახეთში. ასევე ქართლის რამდენიმე რაიონში თვალსაჩინოა მცირე და დიდი მარნების აქტიურობა.საქსტატის მონაცემებით, დაინტერესება წამოვიდა იმერეთის, სამეგრელოს, გურიის და აჭარის მცირე მარნებიდანაც.

ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ, როდესაც ჩვენს ქვეყანაში უცხოელები - ღვინის სპეციალისტები თუ რიგითი დამსვენებლები - ჩამოდიოდნენ და როდესაც მათთვის ქართველ მასპინძლებს ღვინის გასინჯვა და მარნების ჩვენება უნდოდათ, მხოლოდ კახეთში დაჰყავდათ, რადგან საქართველოს სხვა კუთხეებში და პირველ ყოვლისა დასავლეთ საქართველოში, არ არსებობდა მარნები და ზოგადად, ისეთი ადგილები, სადაც სტუმრებს სათანადო მომსახურებას შესთავაზებდნენ.დღესდღეობით ამ კუთხით სიტუაცია საგრძნობლად გამოსწორებულია და ამას ღვინის სააგენტოშიც ადასტურებენ. უცხოელ სტუმრებს დღეს იმერეთში, გურიასა და მთიან აჭარაშიც გამოუჩნდათ მასპინძლები, რომლებიც ღვინოსაც გაასინჯებენ და სხვა სახის სათანადო მომსახურებასაც გაუწევენ.

ამ დროისთვის ღვინის ტურიზმს გარკვეული შემოსავალი მოაქვს, მაგრამ ჯერ ადრეა საშუალო და მსხვილ ბიზნესზე ლაპარაკი. ამიტომ ღვინის ტურიზმით ბევრი მარანი უნდა დაკავდეს, რაც შესაძლებელს გახდის, რომ ღვინის ტურიზმი მალე დიდ ინდუსტრიად იქცეს. ამ საქმეშიპრობლემა ძალიან ბევრია, ყველაზე დიდი პრობლემა კი საზოგადოების სკეპტიკური დამოკიდებულება და გაუწაფაობაა ღვინის ტურიზმის მიმართულებით.აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ეს ტენდეციაც ნელ-ნელა იცვლება და ფერმერები რწმუნდებიან, რომ ღვინის ტურიზმი შესაძლოა მოგების მიღების სოლიდურ წყაროდ იქცეს. ამდენად, დღეისათვის ყველაზე დიდ დაბრკოლებასმაინცბიზნესის ამ სეგმენტისადმი ბანკების სკეპტიციზმი და უნდობლობა ქმნის. სოფლად ძალიანგართულებულია კრედიტის მიღება, მით უფრო, როცა საქმე სტარტაფს ეხება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეკონომიკის სამინისტროს მასალები,
2. საქსტატი — ტურიზმის მაჩვენებლები,
3. ტურიზმის ეროვნული სააგენტოს ანგარიში — 2015 წელი.

სოფლის მეურნეობის მუნიციპალური საინფორმაციო სამსახურის როლი ფერმერული მეურნეობის განვითარებაში

თამარ ობლიშვილი, სტუ-ს დოქტორანტი

The role of the agricultural municipal informational service in the farging development

Tamar oblishvili

Summary

The functional side of service is discussed in this article, why information-advicory service is formed, what is its main goal and how does is manage to its duty.

The idea of forming this service was thought up 2012 and at the beginning of 2013 has already completely formed. It was innovation for Georgian reality and it was founded on the base of American experience.

The foundation of the service coused different opinions, as far as it should be persived as a successful example that this service is oriented toward assisting the farming development.

The result of hard work of the servise is exact statistical data, which makes easy the calculation of economical indicator and to make the right conclusion.

The information advisory service supports the development of Georgian agriculture, by means of effective usage of its material, financial and humman resources.

The main goal of the staff of the service is to make such conditions that the people of working together in the subdivision should be able effective existence to achieve this goal.

In spite of service success it will be better to organize visits to the same service of Europe and America. Such activities improves their qualification and give them more motivation to work better.

* * * * * *

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების- საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ ბრძანება №2-63, 2013 წლის 28 თებერვალს გამოიცა და ძალაში შევიდა გამოქვეყნებისთანავე. სამსახურები წარმოადგენენ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტეიტორიულ ორგანოს შესაბამის მუნიციპალიტეტში. სამსახურები თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობენ საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს კანონმდებლობით და სამსახურის ტიპიური დებულებით. სამსახური თავის მხრივ ანგარიშვალდებულია სამინისტორ წინაშე, რომელიც ახორციელებს მათ სამსახურებრივ ზედამხედველობას კანონით დადგენილი წესით.

მსგავსი ტიპის სამსახური სიახლე იყო ქართული რეალობოსათვის და შეიქმნა ამერიკული მაგალითის ბაზაზე. სამსახურის შექმნამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, თუმცა აგერ უკვე მეოთხე წელია ის პირნათლად ასრულებს საკუთარ უფლება-მოვალეობებს და დიდ სამსახურს უწევს ფერმერულ მეურნეობებს. სამსახურის დიდი შრომის შედეგია დღეს არსებული ზუსტი სტატისტიკური მონაცემების არსებობა, რაც დიდად აადვილებს ეკონომიკური მაჩვენებლების გამოთვლას და სწორი დასკვნების გაკეთებას.

საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მართვის პროცესი არის იმ სასურველი შედეგების მიღწევა, რომლებიც მიმართულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისაკენ, მისი მატერიალური, ფინანსური და ადამიანური რესურსების ეფექტიანი გამოყენების საშუალებით. საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსხურის სამსახურის მართვის თითოეული ტანამშრომლის ამოცანაა იმგვარი პირობების შექმნა, რომ სხვადასხვა ქვედანაყოფებში ერთობლივად მომუშავე ადამიანებმა შეძლონ ეფექტიანი ფუნქციონირება, რათა მიაღწიონ დასახულ მიზანს.

სამსხურს რთული და დატვირთული სამუშაო განრიგი აქვს, რაც მოიცავს სოფლის მეურნეობაში შემავალ ყველა სფეროს. მათ შორის: ინფორმაციის შეგროვება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შესახებ, სამეურნეო წლის განმავლობაში ნათესი და ნარგავი ფართობების სრული განახლებადი საინფორმაციო ბაზის შექმნას, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში კულტურების მიხედვით სავარაუდო მოსავლის წინასწარი განსაზღვრასა და ოპერატიული ინფორმაციის მიღება-დამუშავებას. მუნიციპალიტეტის ადმისიტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში სამინისტროს მიერ განხორცილებულ მიზნობრივი პროექტების შერჩევაში აქტიურ მონაწილეობას, კონსულტაციის გაცემას და მონიტორინგს. მნიშვნელოვანია ადგილობრივ ბაზარზე სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასების, ასევე წარმოების საშუალებების ღირებულებიბის შესახებ ინფორმაციის შეგროვება-დამუშვება-ანალიზი. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში სასაწყობო და გადამამუშავებელი საწარმოების არსებული პოტენციალის შესწავლა მემცენარეობისა და მეცხოველეობის პირველადი წარმოების პროდუქტების მიხედვით. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით სოფლის მეურნეობაში მოქმედი სამართლებრივი და საგადასახადო ვალდებულებების შესახებ დაინტერესებული პირე-

ბის ინფორმირება, სამინისტროს პოლიტიკისა და პროგრამების შესახებ მოსახლეობის დროული ინფორმირება, სოფლის მეურნეობის სფეროში გამოვლენილი პრობლემებისა და არსებული მდგომარეობის შესახებ სამინისტროს დროული ინფორმირება, მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური პროცესის ეკონომიკური შეფასება (გამოყენებული წარმოების საშუალებებზე გაწეული დანახარჯების გათვალისწინებით) და დაინტერესებული პირებისატვის რეკომენდაციების გაცემა. სამსახურის ფუნქცია-მოვალეობებში შედის ასევე: სასოფლო-სამეურნეო კულტურების განაშენიანება-მოვლის თანამედროვე აგროტენიკური მეთოდების პოპულარიზაცია და დანერგვის ხელშეწყობა, ბაზარზე არსებული სათესლე და სარგავი მასალების შესახებ ინფორმაციის შეგროვება-დამუშავება, მათი სპეციფიკაციის მიხედვით დაინტერესებული პირებისათვის კონსულტაციების გაწევა, მუნიციპალიტეტში მექანიზაციის ხელმისაწვდომობაზე, ასევე მათი რაციონალური გამოყენების შესახებ დაინტერესებული პირებისათვის ინფორმაციის მიწოდება, ბაზარზე არსებული მცენარეთა დაცვის საშუალებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და დაინტერესებული პირებისათვის მათი გამოყენების მართებული მეთოდების შეთავაზება. სამსახური ასევე აქტიურადაა ჩართული მოსავლის აღების პროცესებში, მოსავლის არებასთან დაკავშირებული მოსამზადებელი ტექნიკური ღონისძიებებისა და სხვა ორგანიზაციული საკითხების შესახებ დაინტერესებული პირებისათვის კონსულტაციების გაწევა, აღებული მოსავლის შენახვის პირობებისა და ვადების შესახებ დაინტერესებული პირებისათვის რეკომენდაციების გაწევა. სამსახურს ყავს სხვადასხვა დარგის სპეციალისტი, მათ შორის ერთ-ერთი მეცხოველეობის დარგში მუშაობს და მის მოვალეობებშია: ცხოველთა მოვლა-მოშენების თანამედროვე მეთოდების დატექნოლოგიების პოპულარიზაცია მათი დანერგვის მიზნით, საძოვრების რაციონალური გამოყენების მიზნით დაინტერესებული პირებისათვის კონსულტაციების გაწევა, ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით წლის განმავლობაში აუცილებელი ვეტერინარული სა სანიტარული ღონისძიებების შესახებ დაინტერესებული პირებისათვის კონსულტაციების გაწევა, მეძეული და მეხორცეული მიმართულების მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის პროდუქტიულობის მაჩვენებლის ზრდის და სტაბილურად შენარჩუნების მიზნით საკვები რაციონის შესახებ რეკომენდაციების გაცემა.

სამსახურს ყავს ტექნიკური თანამშრომელი რომელიც ვალდებულია კურატორობა გაუწიოს შემდეგ საკითხებს: სახელმწიფო და ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოებთან, საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, ასევე ექსენტიის ცენტრებტან აქტიური თანამშრომლობისა და სეხვედრებში მონაწილეობისა. სხვადასხვა ტრენინგების, სწავლებებისა და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება, კანონმდებლობით დადგენილი წესით მუნიციპალიტეტში სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო საქმიანობის კომისიებში და სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა, სოფლის მეურნეობის ცალკეულ დაეგებსა და სფეროებში შექმნილ საგანგებო სიტუაციათა ანალიზი და შეფასება, კომპეტენციის ფარგლებში სტატისტიკის სფეროში მონაცემტა საინფრომაციო ბაზის შექმნაში მონაწილეობა და კოორდინირებული საქმიანობა, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლება-მოვალეობათა განხორციელება.

საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის პროგრამები სახელმწიფო რეგიონალური პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტთაგანია და დიდ როლს თამაშობენ როგორც კონკრეტული რეგიონის , ასევე მთლიანად სახელმწიფოს განვითარებაში. ეს როლი კიდევ უფრო იზრდება გლობალური ეკონომიკური ცვლილებების პერიოდში, როდესაც თვით სახელმწიფოს ბედი შიძლება დამოკიდებული იყოს იმაზე, თუ რამდენად ესმის და გულთან ახლოს მიაქვს ქვეყნის მოსახლეობას სახელმწიფო პოლიტიკის მიზნებით.

ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოების ეკონომიკური ამოცანები მიმართული უნდა იქნეს საბაზრო სისტემის ფუნქციონირების მხარდაჭერაზე და გაადვილებაზე, თითოეული რეგიონის შიგნით ნორმალური კონკურენტული გარემოს შექმნისა და დაცვის ჩატვლით. ამასთან საჭიროა დაცული იქნას ეკონომიკის განვითარების სტაბილურობა, პირველ რიგში ეკონომიკური კონიუნქტურის მერყეობით წარმოშობილი დასაქმებისა და ინფლაციის დონეზე კონტროლის გაწევით, აგრეთვე რეგიონში ეკონომიკური ზრდის სტიმულირებით. ეს ყველაფერი გულისხმობს საზოგადოებრივი ატმოსფეროს შექმნას, რომლეიც ხელს უწყობს საბაზრო სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლისათვის, სადაც საზოგადოებრივი აზრი ყალიბდება წლების მანძილზე და კონესრვატიული ხასიათი აქვს. ამა თუ იმ საკითხებში საზოგადოებრივი აზრის გავლენისა და ჩამოყალიბების ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტთაგანია ადგილობრივი საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური.

რეგიონალური ეკონომიკური პოლიტიკისა და შესაბამისად ადგილობრივი საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მიშვნელობას ბევრ ქვეყანაში ზრდის ტენდენცია ახასიათებს. ეს ჩანს არა მარტო ამ სამსახურებისათვის გამოყოფილი ფიანასური სახსერების რაოდენობიდან, არამედ საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ფუნქციების გადიდებიდანაც. სულ უფრო ინტენსიური რეგიონალური ეკონომიკური პოლიტიკის მიუხედავად, არსებობს იმის სხვადასხვა ნიშნები, რომ სივრცობრივი ეკონომიკური უთანასწორობა ბევრ ქვეყანაში შემცირების ნაცვლად იზრდებოდა. გარდა ამისა სივრცობრივი ეკონომიკური უთანასწორობა ალბათ უფრო შორეულ მომავალშიც გაიზრდება. სხვა მიზეზთა გარდა, ეკონომიკური განვითარების შეჩერების გამო. მაშასადამე, მოთხოვნილება ქმედით რეგიონალურ ეკონომიკურ პოლიტიკაზე და აქედან გამომდინარე იმ სამსახურებზე, რომლებიც შეძლებენ მის რე-

ალიზაციის ხელშეწყობას, ძალზე დიდი იქნება.

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ქვეყნების უმრავლესობაში საკონსულტაციო სამსხურს სახელმწიფო ინახავს გადასახადების გადამხდელების ხარჯზე. დიიდ ხანი არ არის რაც წარმოებს საკონსულტაციო სამსახურების დაფინანსება სხვადასხვა წყაროებიდან და უმთავრესად სახელმწიფო ორგანიზაციების პრივატიზებისა, აგრეთვე აგრარულ სფეროს გამოკვლევებში და ცოდნის გავრცელებაში კომერციული კომპანიების მზარდი როლის შედეგად. ამასტან დაკავშირებით დაისვა საკითხი იმის შესახებ, თუ რას მისცემს საქონელმწარმოებლისათვის დახმარების გამწევ საკონსულტაციო სამსხურებს დაფინანსების ახალი შესაძლებლობები.

საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის სახელწოდება ცნობილია როგორც ''Extension''- ექსტენციის სამსახური. ექსტენციის სისტემა პირველ რიგში წარმოადგენს ცოდნის გადაცემის ჯგუფური ან ინდივიდუალური სწავლების სისტემას სიახლეების შესახებ. ამრიკული ექსტენციის სისტემის სპეციალისტები ასეთნაირად აღწერენ თავის საქმიანობას: ''ჩვენ ვასწავლით თევზის ჭერას, ვასწავლით თევზჭერის ახალი მეთოდების გამოყენებას, მაგრამ ჩვენ ამოცანებში არ შედის მეთევზეობის მუდმივ დამხმარედ ყოფნა''. ევროპული, განსაკუთრებით კი დანიური საინფორმაციო-საკონსულტაციო სისტემები, შედარებით უფრო მეტად არიან ორიენტირებულნი ფერმერთათვის მუდმივ დახმარებაზე.

საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების საქმიანობა მჭიდრო კავშირშია საგანმანათლებლო სისტემებთან. აშშ-ში, გერმანიის ზოგიერთ მიწაზე, შოტლანდიაში, ეს სამსახურები გვევლინება უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სისტემების ნაწილებად, თუმცა შეიძლება ჰქონდეთ იურიდიული დამოუკიდებლობაც. ზოგიერთ სხვა ქვეყნებში ისინი საკამოდ დამოუკიდებელნი არიან. ამასთან უფრო დეტალური შესწავლა გვიჩვენებს, რომ ხშირად საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების სპეციალისტები ასწავლიან სასწავლო დაწესებულებებში, ხოლო ბევრ პედაგოგს აქვს სსს-ში მუშაობის გარკვეული პრაქტიკა.

საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის თითოეული თანამშრომელი რომ ნამდვილად დაინტერესებული იყოს თავისი საქმიანობის შედეგებში, ამისატვის საჭიროა მკაფიოდ ჰქონდეს წარმოდგენილი თავისი ამოცანები და ფუნქციები, ასვე გაცნობიერებული უნდა ქონდეს, რომ ეს საქმიანობა მნიშვნელოვანი და აუცილებელია სოფლის საქონელმწარმოებლებისატვის. ამასთანავე იგი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მის წინაშე დაყენებული ამოცანები რეალურია, ხოლო რესურსები საკმარისია დასახული მიზნის მისაღწევად. მისი მოტივაცია დაეცემა თუ ის ვერ შეძლებს შეასრულოს ტავისი ამოცანები დასახულ დროში და მოცემული რესურსით. თანამშრომელთა საქმიანობის მნიშვნელობა საკუთარ თავში კიდევ უფრო გაიზრდება, თუ მათ აზრს და ინფორმაცია, რომელსაც ისინი აწვდიან ხელმძღვანელობას, გაითვალისწინებენ სამსახურის სტრატეგიის ფორმირების პროცესში. ასევე გაითვალისწინებენ გრძელვადიანი და მოკლევადიანი პროგრამების შედგენისას და ასევე სამმართველო გადაწყვეტილებების მიღებისას. ტანამშრომელთა მოტივვაცია ასევე დამოკიდებულია მატერიალური და მორალური დაინტერესების სისტემებზე.

საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახუტრის წარმატებული საქმიანობა შენარჩუნდება მისი მართვის მუდმივი სრულყოფით. სამსახურის მართვის მუდმივი სრულყოფა მისი ამოცანებისა და მოთხოვნილებების ზრდის შესაბამისად წარმოადგენს კანონზომიერ პროცესს, რომელიც ხელს უწყობს მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდა-განვითარებას. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის ცალკეული გადაწყვეტილებების რელიზაცია პრაქტიკაში ყოველთვის არ იძლევა საჭირო დადბით ეფექტს. პერსპექტივაში უფრო ეფექტიანად იმუშავებენ არა ის ორგანიზაციები რომლებსაც დღეს აქვს მართვის ოპტიმალური სისტემა და მომავალშიც მას უცვლელს დატოვებენ, არამედ ისისნი სადაც სწორადაა დაყენებული საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მართვის სრულყოფის საქმე და თანამიმდევრულად ხორციელდება მართვის ორგანიზაციის პროცესი. საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მართვის სრულყოფის დროს აუცილებელია გავითვალისწინოთ კონკრეტული ობიექტების სპეციფიკური პირობები, მათ შორის ეკონომიკური, ორგანიზაციული, შესაბამისი კოლექტივების სოციალურ-ფსიქოლოგიური ტავისებურებები, ტრადიციები, მათი წევრების განათლების დონე და ა.შ. ერთი და იგივე ღონისძიბამ, რომელმაც ერთ შემთხვევაში გაამართლა და სწრაფად იქნა მიღებული სხვა შემთხვევაში შესაძლოა დასანერგად მოითხოვოს უფრო ხანგრძლივი დრო და მთელი რიგი დამატებანი და დაზუსტებანი. ამიტომა ჯერ კიდევ პროექტირების ეტაპზე საჭიროა შესაძლო ღონისძიებების მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირება, მათი დაგეგმვის ან წინასწარი გაფრთხილების მიზნით, თუმცა მაინც შეუძლებელია ყველა სახის მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირება. სამსახურის მართვის სრულყოფის სამუშაოების აუცილებლობისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით, სამსახურების ხელმძღვანელები რეგულარულად უნდა ასრულებდნე ასეთი სახის საქმიანობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური აგროსამრეწველო კომპლექსში (მსოფლიო გამოცდილება და განვითარების ტენდენციები) - რევაზ ასათიანი, თბილისი 2002, გვ. 305.
2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება №2-63- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების-საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ. თბილისი 2013.

სოფლის მეურნეობის ძირითადი ტენდენციები და გამოწვევები საქართველოში

ლაშა ზივზივაძე, *სტუ-ს დოქტორანტი*

Summary

This study shows the key agricultural tendencies and challenges in Georgia. Initially, it is concentrated on the strategy of agriculture of Georgia 2015-2020 and its key strategy directions. Secondly, it is focuses on trade regimes, agro export/import/trade balance and its analyses. Finally, the study is concentrated on the challenges that faces agricultural sector in Georgia.

Keywords: Agricultural Strategy, Agricultural Policy

* * * * * *

2015 წლის თებერვალში, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშავა 2015-2020 წლების სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია. სოფლის მეურნეობის სტრატეგიის მთავარი ხედვაა „მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით, ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს აგროსასურსათო სექტორში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას, სურსათის უვნებლობასა და სოფლად სიღარიბის დაძლევას“.[1] სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიაში ხაზგასმულია შვიდი ძირითადი სტრატეგიული მიმართულება:

1. ფერმერთა და აგრარულ სექტორში დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის ზრდა - იმისათვის, რომ ფერმერი ბაზარზე გახდეს კონკურენტუნარიანი მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მის განათლებას და განათლების გადაცემას სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შექმნილი საინფორმაციო საკონსულტაციო/ექსტენციის ცენტრების მეშვეობით. აგრეთვე, მნიშვნელოვანია სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობა ქვეყანაში. იაფი და ხელმისაწვდომი კრედიტები და აგრო დაზღვევა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ქვეყანაში ფერმერული მეურნეობების კონკურენტუანარიანობის ზრდის მიმართულებით.

2. ინსტიტუციური განვითარება - სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინსტიტუციური განვითარება, ორგანიზაციული სტრუქტურა და ანალიტიკური შესაძლებლობების გაუმჯობესება მნიშვნელოვან როლს თამაშობს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული ამოცანების შესრულებაში.

3. მელიორაცია და ნიადაგის ნაყოფიერება - ირიგაცია და სადრენაჟე სისტემების რეაბილიტაცია გადამწყვეტ როლს ასრულებს სასოფლო სამეურნეო პროდუქციის მოსავლიანობის ზრდის მიმართულებით. სოფლის მეურნეების სამინისტრო მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს გამოყოფს იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს ქვეყნის სამელიორაციო სისტემები.

4. რეგიონული და დარგობრივი განვითარება; დამატებითი ღირებულების შემქმნელი სრული ციკლის წარმოების განვითარების ხელშეწყობა - სოფლის განვითარება მნიშვნელოვან როლს ასრულებს და დამოკიდებულია მრავალ ისეთ ფაქტორზე როგორიცაა: სოფლად ინფრასტრუქტურის, ჯანდაცვის და განათლების ხელმისაწვდომობა. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სექტორული და რეგიონული პროგრამების განვითარებას. სოფლის მეურნეობის სამინისტრო ხელს შეუწყობს დამატებითი ღირებულების შემქმნელი სრული ციკლის განვითარებას.

5. სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა - სოფლის მეურნეობის სამინისტრო გააგრძელებს ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების მონიტორინგს. სოფლის მეურნეობის სტრატეგიის იმპლემენტაცია ხელს შეუწყობს აგრო პროდუქციის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტების ზრდას, ბაზრის სტაბილურობას და საექსპორტო და საიმპორტო ბაზრების დივერსიფიკაციას.

6. სურსათის უვნებლობა, ვეტერინარია და მცენარეთა დაცვა - სოფლის მეურნეობის სამინისტრო გეგმავს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის მიმართულებით რეგულაციების დაწესებას ევროკავშირის კანონმდებლობის გათვალისწინებით. აგრეთვე, მნიშვნელოვანია ქვეყანაში ლაბორატორიული შესაძლებლობების გაძლიერება.

7. კლიმატის ცვლილებები, გარემო და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება - გარემოს დაცვა და ბიომრავალფეროვნება სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. მნიშვნელოვანია კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა.

2012 წლიდან სოფლის მეურნეობა საქართველოს მთავრობის პრიორიტეტი გახდა. 2012 წელს წინა წლებთან შედარებით სოფლის მეურნეობის ბიუჯეტი მნიშვნელოვნად გაიზარდა და შეადგინა 228 მილიონი ლარი. 2010 და 2011 წლებში სოფლის მეურნეობის ბიუჯეტის წილი მთლიან ბიუჯეტში შესაბამისად 0.4 %-ს და 0.8 %-ს შეადგენდა. 2012 წლიდან, საქართველოს მთავრობის პრიორიტეტების შეცვლის შემდეგ სოფლის მეურნეობის ბიუჯეტის წილი მთლიან ბიუჯეტში 2.8 %-დან 2.9 % ზღვრებში მერყეობს. 2015 წელს წინა წელთან შედარებით, სოფლის მეურნეობის ბიუჯეტი დაახლოებით 16 %-ით გაიზარდა. ხოლო 2015 წელს 2010 წელთან შედარებით სოფლის

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო (2015). საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020

მეურნეობის ბიუჯეტი დაახლოებით 10-ჯერ გაიზარდა. მაშასადამე, ეს ნიშნავს იმას, რომ 2012 წლიდან სოფლის მეურნეობა გახდა სახელმწიფო პრიორიტეტი და მთავრობამ მნიშვნელოვნად გაზარდა სოფლის მეურნეობის სექტორის დაფინასება.

საქართველოს გააჩნია თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი თურქეთთან და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობასთან (დსთ). საქართველოს აგრეთვე თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი გააჩნია რუსეთთან. თუმცა, ქართველ ექსპორტიორებს ჰქონდათ დიდი პრობლემები რუსეთთან, როდესაც 2006 წელს რუსეთმა ემბარგო დააწესა ქართულ პროდუქციაზე. საქართველოს შეღავათიანი სავაჭრო ურთიერთობები გააჩნია აშშ-თან, იაპონიასთან, კანადასთან, ნორვეგიასთან და შვეიცარიასთან. მაშასადამე, საქართველოს ყველა ზემოთხსენებულ ქვეყანასთან გააჩნია შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმი და სარგებლობს შეღავათიანი საიმპორტო ტარიფებით.

2014 წლის ივნისის თვეში, საქართველოსა და ევროკავშირს შორის მოეწერა ხელი ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას (DCFTA)[2]. საქართველოში პროდუქციის მწარმოებლებისთვის ევროკავშირთან ტარიფები და არასატარიფო ბარიერები არის ძირითადი დამაბრკოლებელი ფაქტორები. თუმცა, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება გულისხმობს ყველა სავაჭრო სატარიფო ბარიერის მოხსნას. ხოლო არასატარიფო რეგულაციები, როგორიც არის სანიტარული და ფიტოსანიტარული ნორმები, ტექნიკური ბარიერები და სხვა სტანდარტები ქართველი ექსპორტიორებისათვის რჩება მნიშვნელოვან დაბრკოლებებად. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება მოხსნის ყველა ტექნიკურ ბარიერს, თუმცა ექსპერტების შეფასებით დაახლოებით 7-10 წელია საჭირო, რომ საქართველოში წარმოებული პროდუქციისთვის მთლიანად გაიხსნას ევროკავშირის ბაზარი. მოკლედ, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ქართველ მწარმოებლებს აძლევს დიდ შესაძლებლობას, რომ მათთვის ხელმისაწვდომი გახდეს დაახლოებით 500 მილიონიანი ევროპული ბაზარი.

2011 წლიდან 2014 წლის ჩათვლით, საქართველოდან აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტს აქვს ზრდის ტენდენცია და 2014 წელს აგროსასურსათო ექსპორტმა შეადგინა 826 მილიონი დოლარი. 2014 წელს 2011 წელთან შედარებით აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი დაახლოებით გაორმაგებულია. ხოლო 2015 წელს წინა წელთან შედარებით აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი შემცირდა დაახლოებით 210 მილიონი აშშ დოლარით და შეადგინა 612 მილიონი დოლარი.

2 ევროკომისია, http://ec.europa.eu/trade/policy/countries-and-regions/countries/georgia/

გრაფიკი 1: აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტ/იმპორტი და სავაჭრო ბალანსი (მლნ. დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური

2011 წლიდან დღემდე აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტი ხასიათდება ზრდის ტენდენციით. 2014 წელს 2011 წელთან შედარებით აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტი გაიზარდა დაახლოებით 9.4 %-ით. ხოლო 2015 წელს წინა წელთან შედარებით აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტი დაახლოებით 200 მილიონი აშშ დოლარით შემცირდა და შეადგინა 1 105 მილიონი აშშ დოლარი. 2011 წლიდან 2014 წლის ჩათვლით, აგროსასურსათო პროდუქციის სავაჭრო ბალანსი შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა და 2014 წელს დაახლოებით 479 მილიონ დოლარს მიაღწია, ხოლო 2015 წელს აგროსასურსათო პროდუქციის სავაჭრო ბალანსი მცირედით გაიზარდა და 493 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია.

ბოლო წლებში აგროსასურსთო პროდუქციის ექსპორტში ძირითადად დომინირებდა თხილი და ღვინო. 2015 წელს, თხილისა და ღვინის ექსპორტი მთლიან აგროსასურსათო პროდუქციის ექპორტში დაახლოებით 44.5 %-ს შეადგინა. 2015 წელს, თხილისა და ღვინის შემდგომ ძირითად აგროსასურსათო საექსპორტო პროდუქციას წარმოადგენს მინერალური წყლები და ალკოჰოლური სასმელები შესაბამისად 82.2 და 65.1 მილიონი დოლარით.

გრაფიკი 2: ძირითადი აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი - 2015 წელი (მლნ. დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური

საქართველოსთვის ძირითადი საექსპორტო ბაზრებია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა (დსთ) და ევროკავშირის ქვეყნები. 2015 წელს, დსთ-ს ქვეყნებიდან ძირითადი საექსპორ-

ტო ბაზრებია: რუსეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა და ყაზახეთი. ხოლო ევროკავშირის ქვეყნებიდან ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: გერმანია და იტალია. 2015 წელს, საქართველოში აგროსასურსათო იმპორტი ძირითადად ხორციელდება რუსეთიდან, უკრაინიდან, თურქეთიდან და ბრაზილიიდან.

იმისათვის, რომ ფერმერებისათვის ხელმოსაწვდომი ყოფილიყო იაფი ფინანსური რესურსები 2013 წელს, საქართველოს მთავრობამ დაიწყო იაფი აგროკრედიტის პროგრამა. იაფი აგროკრედიტის პროგრამის მიხედვით საქართველოს მთავრობა სუბსიდირებას უწევს მომხმარებლის მიერ აღებულ სესხებს წლიური 8 %-დან 12 %-ის ჩათვლით. აღნიშნულ პროგრამას გააჩნია სამი კომპონენტი: 1. შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი 2. შეღავათიანი აგრო ლიზინგი 3. აწარმოე საქართველოში.

ზემოთ ჩამოთვლილი ინდიკატორებზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ და სოფლის მეურნეობის სექტორი განვითარებას განიცდის თუმცა, დარგში მაინც რჩება სხვადასხვა გამოწვევები. ძირითადი პრობლემებიდან აღსანიშნავია სასოფლო სამეურნეო პროდუქციის დაბალი წარმადობა და დაბალი თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტები. 2015 წელს, ბევრ სასოფლო სამეურნეო პროდუქციაზე თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი არის ძალიან დაბალი. მაგალითად: ხორბლის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი შეადგენდა - 17 %, ხორცის - 47 %, ღორის ხორცის - 45 %.[3] 2015 წელს, ბლუაშვილმა და სუხანსკაიამ თავიანთ ნაშრომში ხაზი გაუსვეს სოფლის მეურნეობის სექტორში არსებულ შემდეგ ძირითად პრობლემებს: სოფლად მოძველებული ინფრასტრუქტურა, მოძველებული საირიგაციო და სადრენაჟე სიტემები, დანაწევრებული მიწები, ცოდნის და სამეწარმეო უნარის ნაკლებობა, ბაზრის საინფორმაციო სისტემების არ არსებობა (ველტონი 2013).

2012 წელს, სიმონ ეფლბიმ მის კვლევაში წარმოადგინა საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის SWOT ანალიზი. მისი კვლევის მიხედვით სოფლის მეურნეობის სექტორში ძირითადი ძლიერი მხარეებია: სხვადასხვა ქვეყნებთან ხელსაყრელი სავაჭრო რეჟიმები, მდიდარი წყლის რესურსები, ხელსაყრელი კლიმატი, სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოებაზე 15 %-იანი მოგების გადასახადი და სხვა. ხოლო ავტორმა ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობაში ძირითადი სუსტი მხარეებია: განათლებისა და უნარ-ჩვევების ნაკლებობა, განუვითარებელი აგრო დაზღვევის ბაზარი, ქვეყანაში სოფლად განუვითარებელი ინფრასტრუქტურა და სხვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Bluashvili, Aleqsandre, and Nina Sukhanskaya. 2015. “Country Report: Georgia”. The Fund Georgian Center for Agribusiness Development. EU.
2. Welton, George. 2013. Comparative Analysis of Agriculture in the South Caucasus. UNDP. January 1, 2013.

3. საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური

სექცია 4. ეროვნული ეკონომიკის განვითარების სამართლებრივი, პოლიტიკური და ისტორიულ ფილოსოფიური ასპექტები

Section 4. Legal, Political, Historical and Philosophical Aspects of the National Economy Development

საპროცესო შეთანხმების უარყოფითი ასპექტები

გივი აბაშიძე, *სამართლის დოქტორი,*
ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

ნაშრომში მოკლედ განხილულია საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის არსი და ამოცანები, მისი სამართლებრივი რეგულირების საკითხები.

გადმოცემულია საპროცესო შეთანხმების ზოგიერთი უარყოფითი ასპექტები, დასმულია რამდენიმე პრობლემატური საკითხი ამ კუთხით კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ და წარმოდგენილია კონკრეტული წინადადებები და მოსაზრებები საპროცესო შეთანხმების მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების სრულყოფის, პრაქტიკაში ამ ნორმების სწორად გამოყენების მექანიზმების, კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის თაობაზე.

საკვანძო სიტყვები: სისხლის სამართლის პროცესი, დანაშაული, საპროცესო შეთანხმება

Some Opinions on the Improvement of Legal Institute of Plea Agreement

Summary

The present paper briefly discusses the essence and objectives of the plea agreement as well as the issues of its legal regulation.

The paper deals with some negative aspects of the plea agreement and some problematic issues about the existed shortcomings in this regard and causing reasons. Here are also represented specific proposals and thoughts about the improvement of the regulating legal norms, the mechanisms of proper usage of these norms in practice and corresponding amendments in the legislation.

Keywords: Criminal law process, Crime, Plea agreement

2004 წლის თებერვლიდან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის შემოღება გარკვეულ სიახლედ უნდა ჩაითვალოს, რომლის მიზანია სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების უზრუნველყოფა.

საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის შემოღების დროს ქართველი კანონმდებლების მიერ გათვალისწინებული იქნა საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება, რომელმაც ამ მოკლე პერიოდში განვლო მნიშვნელოვანი გზა.

ხსენებული ინსტიტუტის მიღებას, ბუნებრივია, ჰქონდა საკმარისი საფუძველი და მიზეზები. პირველ რიგში, ეს იყო საქართველოს სსს კოდექსის ძალზე ფორმალიზებული, დროში გაწელილი პროცედურები, ცალკეული საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედებების ჩატარებისას არსებული სიძნელეები, ვადის დარღვევები და სხვა უარყოფითი შედეგები[1].

იმის მიუხედავად, რომ საპროცესო შეთანხმება იწვევს მრავალ შეკითხვასა და პრობლემას პრაქტიკაში გამოყენებისას, მისი არსი ისაა, რომ სასჯელზე, ბრალდების შემსუბუქებაზე ან ნაწილობრივ მოხსნაზე შეთანხმების საფუძველზე, სასამართლოს შეუძლია საქმის არსებითი განხილვის გარეშე გამოიტანოს განაჩენი.

კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე მუხლის მიხედვით სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველია საპროცესო შეთანხმება, რომლის თანახმადაც ბრალდებული აღიარებს დანაშაულს და უთანხმდება პროკურორს სასჯელზე, ბრალდების შემსუბუქებაზე ან ნაწილობრივ მოხსნაზე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად საპროცესო შეთანხმების დადებისას ბრალდებული პროკურორს ზემოაღნიშნულ პირობებთან ერთად შეუძლია შეუთანხმდეს თანამშრომლობაზე ან/და ზიანის ანაზღაურებაზე, რაც იდება ზემდგომ პროკურორთან წინასწარი წერილობითი შეთანხმე-

1. გ. ჭანტურიძე. საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებთან მიმართებაში. თბილისი, 2007 წელი, გვ. 42.

ბით.

შეთანხმების დადების შემთხვევაში სასამართლოში საქმე იხილება გამარტივებული წესით, არსებითი განხილვისა და მტკიცებულებათა გამოკვლევის გარეშე. ბრალდებული თანამშრომლობს გამოძიებასთან, აწვდის მას მნიშვნელოვან ინფორმაციას და მტკიცებულებებს, შედეგად კი იღებს მოსალოდნელზე მსუბუქ სასჯელს, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში — საერთოდ თავისუფლდება სასჯელის მოხდისაგან[2].

ბრალდებულისათვის სასჯელის შემცირების მოთხოვნისას ან ბრალდების შემსუბუქების ან ნაწილობრივ მოხსნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი ითვალისწინებს საჯარო ინტერესს, რომელსაც იგი სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტების, ჩადენილი დანაშაულისა და მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმის, დანაშაულის ხასიათის, ბრალეულობის ხარისხის, ბრალდებულის საზოგადოებრივი საშიშროების, პიროვნული მახასიათებლების, ნასამართლობის, გამოძიებასთან თანამშრომლობისა და დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით ბრალდებულის ქცევის შეფასების საფუძველზე განსაზღვრავს.

ზოგადად, საქართველოს სსს კანონმდებლობაში საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის შემოღებას საზოგადოების, უფლებადამცველების, არასამთავრობო უფლებადამცველი ორგანიზაციებისა და სამართლის მეცნიერეთა მხრიდან თავიდანვე არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა, რადგან როგორც ყოველ ნოვაციას, ისე საპროცესო შეთანხმებასაც ახლდა გარკვეული სახის ხარვეზები.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოქვეყნდა არაერთი ნაშრომი, რომლებიც ეხება საპროცესო შეთანხმების ცალკეულ საპროცესო ასპექტებს. მეცნიერ-იურისტთა დამოკიდებულება ამ თემისადმი აშკარად განსხვავებულია. მეცნიერთა ნაწილი ამ ინსტიტუტის საქართველოში შემოღებას უარყოფითად აფასებდა, ვინაიდან მათი აზრით, ის ეწინააღმდეგება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ძირითად პრინციპებს და მცდარად მიაჩნდათ მისი არსებობა, ხოლო მეორე ნაწილი იმედოვნებდა, რომ ნოვაცია წარმატებული იქნებოდა და თავის სიტყვას იტყოდა ქართულ კანონმდებლობაში.

ქართველ მეცნიერთა დიდ ნაწილს, რომლებიც უარყოფითად აფასებდნენ საპროცესო შეთანხმების შემოღებას მიაჩნდათ, რომ როგორც თვით პრინციპი - საპროცესო შეთანხმება, ასევე ეს ინსტიტუტი ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პროცესის ამოცანებსა და პრინციპებს, ამასთან, მისი სრულყოფის მიზნით გვთავაზობდნენ ცალკეულ ნოვაციებს[3]. მათივე მოსაზრებით, საპროცესო შეთანხმების შედეგად თანხის ასეთი გადახდა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით არ არის არც ჯარიმა და არც კორუფციულ საქმეებზე სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება და ამგვარი ქმედება კანონსაწინააღმდეგოა.[4]

ზოგჯერ თეორიაში გამოთქმული იყო რადიკალური შეხედულებაც, რომლის თანახმადაც, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის შემოღების იდეა მცდარია და ეწინააღმდეგება არა მარტო სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის პრინციპებს, არამედ მთლიანად მის ძირითად დებულებებსაც[5]. მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი გარკვეულწილად ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის ისეთ ძირეულ პრინციპს, როგორიცაა კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველას თანასწორობა.

თუმცა მათი მხრიდან იყო საპირისპირო მოსაზრებებიც. კერძოდ, პროფესორი ნ. გაბრიჩიძე, რომელმაც საქართველოს სსს კოდექსში საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის შემოღებისთანავე პირველმა მიუძღვნა სამეცნიერო სტატია მის ცალკეულ საკითხებს, სამართლიანად მიუთითებს იმის შესახებ, რომ ახლად ამოქმედებული საპროცესო კანონმდებლობის საზომი, პირველ რიგში, მაინც პრაქტიკაში რეალიზაციაა, სწორედ პრაქტიკაში ვლინდება კანონმდებლობის შუქ-ჩრდილი და მომავალში ამ თემაზე საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკის გაანალიზება, მეცნიერული გამოკვლევები იმის სრულ გარანტიას იძლევა, რომ უფრო სრულყოფილი და დახვეწილი გახდება მისი ცალკეული დებულებები. ამასთან, მისი აზრით, საპროცესო შეთანხმება ბრალდებულისათვის ერთგვარ მასტიმულირებელ (წამახალისებელ) ნორმას წარმოადგენს[6].

იურიდიულ ლიტერატურაში სხვა მეცნიერები საპროცესო შეთანხმების დადებით მხარეებზე საუბრისას აღნიშნავენ, რომ საპროცესო შეთანხმება მართლმსაჯულების აღსრულების ძალზე ეფექტიანი საშუალებაა, რომელზედაც იხარჯება ადამიანური და მატერიალური რესურსების მინიმალური რაოდენობა, რომელიც იძლევა იმის საშუალებას გაიხსნას მძიმე დანაშაული და პასუხისგებაში მიეცენ საშიში დამნაშავეები, რასაც რათქმა უნდა ვეთანხმებით, მაგრამ საპროცესო შეთანხმების დადებისას ნებისმიერ შემთხვევაში საჭიროა მაქსიმალური სიფრთხილე, რათა არ იქნას დაშვებული შეცდომები და საბოლოო ჯამში საზოგადოება არ დარჩეს დაზარალებული.

ამ ინსტიტუტის შემოღებასთან დაკავშირებით საზოგადოების რეაქციაც უარყოფითი იყო, რაც ნამდვილად არ არის გასაკვირი, რადგან იგი დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ საკმაოდ ბევრ დათმობას

2. პ. კობალაძე. სისხლისსამართლებრივი დევნისა და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის სუბიექტი. ‍ პროფესორ შ. ფაფიაშვილის დაბადებიდან მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომების კრებული, თბ. 2015, გვ.200

3. ც. რატიანი. საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართლის პროცესში, მითი და რეალობა. ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, 2006 წელი, №3, გვ. 117-153.

4. იხ. დასახელებული ნაშრომი,გვ.118

5 გ. მეფარიშვილი. სისხლის სამართალწარმოების ზოგიერთ კონცეპტუალურ საკითხებთან დაკავშირებით. ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, 2006 წელი, №3, გვ. 103-104.

6 ნ. გაბრიჩიძე. საპროცესო შეთანხმება. ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №2, 2004 წ, გვ. 59, 63.

გულისხმობს.

იმის მიუხედავად, რომ საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტმა დღემდე მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, ბევრი ნორმები ახლებურად ჩამოყალიბდა, შეიძლება ითქვას, რომ როგორც მეცნიერების, ასევე პრაქტიკოსი მუშაკებისა და საზოგადოების არაერთგვაროვანი დამოკიდებულება მაინც უცვლელია, რადგან მიგვაჩნია, რომ ამ ინსტიტუტს მრავალ დადებით მხარეებთან ერთად, ბევრი უარყოფითი ასპექტები გააჩნია.

საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის ზოგიერთი ნორმების მიმართ როგორც სამართლის მეცნიერების, ასევე საზოგადოების მხრიდან ასეთ კრიტიკულ დამოკიდებულებას ბევრი მიზეზები აქვს. ჩვენი აზრით, მათგან შეიძლება გამოვყოთ ზოგიერთი ძირითადი მიზეზი, კერძოდ:

1). როგორც საპროცესო შეთანხმების კანონმდებლობის ზოგადი განხილვისა და საპროცესო შეთანხმების გამოყენების პრაქტიკის შესწავლით ირკვევა ზოგადად საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის მარეგულირებელი ზოგიერთი ნორმა არასრულყოფილია, რაც საჭიროებს დამუშავებას და სამართლებრივად გამართვას;

2). სამართლებრივი რეგულირების გარეშეა დარჩენილი საპროცესო შეთანხმების პროცესში წამოჭრილი ბევრი საკითხი, რაც ხელს უშლის საპროცესო შეთანხმების სრულყოფილ და ობიექტურ განხორციელებას. აღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა საპროცესო შეთანხმების პროცესში წამოჭრილი ამგვარი საკითხების გარკვევა და სამართლებრივად გადაწყვეტა,.

3). აშკარად ჩანს, რომ არანაკლები პრობლემებია საპროცესო შეთანხმების გამოყენების პრაქტიკაში, ხშირდ თეორიული ნორმები ძალიან განსხვავდება პრაქტიკისაგან, რაც გარკვეულად განაპირობებს ამ ინსტიტუტისადმი საზოგადოების მხრიდან უარყოფით განწყობას და არაერთგვაროვან დამოკიდებულებას;

4). საყურადღებო და აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საპროცესო შეთანხმებაში მონაწილე პირების მიერ ხშირად არასწორად არის გაგებული საპროცესო შეთანხმების არსი და შესაბამისი ნორმები, რის საფუძველზეც ხდება აღნიშნული ნორმების განზრახ ან გაუფრთხილებლობით დარღვევა, რომელიც იწვევს სამართალწარმოების მონაწილე პირების უფლებების შეზღუდვასა და დამახინჯებული პრაქტიკის ჩამოყალიბებას,

სწორედ აქედან გამომდინარე, აღნიშნული სტატიის მიზანია წარმოვადგინოთ ჩვენი მოსაზრებები საპროცესო შეთანხმების მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების სრულყოფის, მათი სწორი და სამართლიანი გადაწყვეტის, ასევე ამ სფეროში არსებული ჩვენს მიერ ქვემოთ განხილული ზოგიერთი პრობლემური საკითხის სამართლებრივად მოგვარების შესახებ.

ა). პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ საპროცესო შეთანხმების დადების დროს სრულიად იგნორირებულია დაზარალებულის როლი და მისი ინტერესები. მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული დაზარალებულის მიერ საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების და მისი საპროცესო შეთანხმების განხილვაში მონაწილეობის შესაძლებლობა.

რა თქმა უნდა პროკურორი ვალდებულია საპროცესო შეთანხმების დადებამდე დაზარალებულთან გაიაროს კონსულტაცია და შეატყობინოს მას საპროცესო შეთანხმების დადება, რის შესახებაც იგი ადგენს ოქმს, მაგრამ საკანონმდებლო თვალსაზრისით აღნიშნული დებულება ძალიან ბუნდოვანია, არ არის დაკონკრეტებული რა მიზნით და რა ფორმით უნდა მოხდეს დაზარალებულის ინფორმირება, რა შედეგი მოჰყვება ამას. ფაქტიურად პროკურორის ამგვარი კონსულტაციის მიზანი მხოლოდ დაზარალებულის პოზიციის გარკვევაა და ის ფორმალურ ხასიათს ატარებს, რადგან მარტო იმის ცოდნა, რომ ბრალდებულთან ფორმდება საპროცესო შეთანხმება, დაზარალებულს არ აძლევა არანაირ უფლებას თავისი ინტერესების დასაცავად. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ კანონით დაზარალებულის უარი არ აბრკოლებს საპროცესო შეთანხმების გაფორმებას და როგორც ზემოთ აღინიშნა მას უბრალოდ საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების შესაძლებლობაც არ აქვს, მაშინ საკითხავია რა მიზანს ემსახურება ამგვარი კონსულტაცია.

თუმცა ვეთანხმებით ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ დაზარალებულის პოზიციას დიდი მნიშვნელობა აქვს პროკურორისათვის საპროცესო შეთანხმების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში[7].

ე.ი. დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, რომელმაც მინიმუმამდე შეზღუდა დაზარალებულის საპროცესო უფლებები, დაზარალებულს არ გააჩნია არანაირი რეალური სამართლებრივი ბერკეტი საპროცესო შეთანხმების დადების გადაწყვეტასთან დაკავშირებით. მაგრამ პრობლემა არა საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტში, არამედ ზოგადად ამჟამად მოქმედ სსს კანონმდებლობაშია, რომელმაც როგორც ზემოთ აღინიშნა მნიშვნელოვნად გააუარესა დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა.

მიგვაჩნია, რომ საკანონმდებლო დონეზე მოხდეს დაზარალებულის უფლებების გაზრდა, მისი საპროცესო სტატუსის გაფართოება, რადგან დაზარალებულისათვის კანონით მინიჭებული მარტო ის უფლება, რომ შეიტანოს სამოქალაქო სარჩელი საპროცესო შეთანხმების საქმეზე მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ, ვერ მოახდენს საპროცესო შეთანხმების პროცესში მასზე წართმეული უფლებების კომპენსაციას.

7. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი. თბ. 2015, გვ. 648

ბ). საქართველოს სსს კოდექსში, განსხვავებით საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის საპროცესო კანონმდებლობისაგან, არ არის იმ დანაშაულთა ჩამონათვალი და განსაზღვრული განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის განზრახ დანაშაულთა წრე, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან არ გაფორმდება საპროცესო შეთანხმება. ანუ კანონით კონკრეტულად არ არის განსაზღვრული თუ რომელი კატეგორიის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაშია შესაძლებელი საპროცესო შეთანხმების გაფორმება.

სწორედ ასეთი ნორმის არარსებობის გამოა, რომ მოქმედი კანონმდებლობით შესაძლებელია საპროცესო შეთანხმების დადება ნებისმიერი კატეგორიის, მათ შორის მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის (მაგ. მკვლელობა, გაუპატიურება, სხეულის მძიმე დაზიანება და სხვ) დანაშაულთა საქმეებზეც, რაც ჩვენი აზრით დაუშვებელია და საპროცესო შეთანხმების სერიოზულ ხარვეზად მიგვაჩნია.

არა მგონია, მიზანშეწონილი იყოს განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულზე საპროცესო შეთანხმების დადება, რადგან არსებობს დიდი რისკი, რომ შეთანხმების საფუძველზე სასჯელისაგან განთავისუფლებული პირი კიდევ ჩაიდენს ახალ დანაშაულს. ამას კი საზოგადოების მხრიდან ყოველთვის უარყოფითი შეაფასება მოსდევს.

საპროცესო შეთანხმების ამგვარი სისტემა მოქმედებს მხოლოდ სულ რამდენიმე ევროპულ ქვეყანაში და მათ შორის არის საქართველო. სხვა ძირითად ქვეყნებში ფუნქციონირებს საპროცესო შეთანხმების სხვადასხვა მექანიზმები, თუმცა ისინი, როგორც წესი გამოიყენება მხოლოდ ნაკლებად მძიმე დანაშაულთან მიმართებით. მაგ. ზოგიერთ ქვეყანაში საპროცესო შეთანხმება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დანაშაულებრივი ქმედება ისჯება თავისუფლების აღკვეთით 5 წლამდე (იტალია, საფრანგეთი), 6 წლამდე (ესპანეთი) ან თუნდაც 10 წლამდე (რუსეთი).

გერმანიაში დანაშაულის აღიარების დროს საპროცესო შეთანხმების პროცედურა გამოიყენება ყველა დანაშაულთან მიმართებით, მაგრამ შეთანხმება ეხება მხოლოდ სასჯელის ფარგლებს და არა ბრალდებას. ზემოთხსენებული პროცედურების უმეტესობა არ ითვალისწინებს გარიგებას ბრალდების შემსუბუქებაზე და ნაწილობრივ მოხსნაზე[8].

აღნიშნული მაგალითები და ამ სფეროში უცხო ქვეყნების გამოცდილების ანალიზი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს საპროცესო შეთანხმების შესახებ ქართულ სისხლის საპროცესო სამართლის კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების თაობაზე ჩვენს მიერ ზემოთ გამოთქმული შენიშვნების და მოსაზრებების სისწორეში და ამ საკითხზე სსს კოდექსში შესაბამისი ცვლილებების შეტანის აუცილებლობაში.

ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს სსს კოდექსში შევიდეს შესაბამისი ცვლილება, რომლის თანახმად საპროცესო შეთანხმება შესაძლებელი იქნება მხოლოდ ნაკლებად მძიმე დანაშაულის საქმეებზე, რომელთა ჩადენისათვის გათვალისწინებულია ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა არაუმეტეს ხუთი წლისა.

გ). ვფიქრობ გასათვალისწინებელია უცხოელი მეცნიერების და ამ დარგის ექსპერტების მოსაზრება, რომ საქართველოს კანონმდებლობით გარკვეულად შეიზღუდოს საპროცესო შეთანხმების გამოყენება ნაკლებად მძიმე დანაშაულთან მიმართებაშიც. ამ კატეგორიის საქმეებზე გამოყენებული იქნას სხვა სამართლებრივი მექანიზმები, რის საშუალებასაც ამ კატეგორიის დანაშაულთა სიმძიმე და ხასიათი იძლევა და ამ კუთხით გაძლიერდეს გარანტიები ბრალდებულისათვის[9].

დ). ვეთანხმები მეცნიერ-იურისტების მხრიდან ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ადამიანებს გარკვეულად არათანაბარ პირობებში აყენებს ის გარემოებაც, რომ საპროცესო შეთანხმების დადებისას ბრალდებულს უმრავლეს შემთხვევაში უწევს გარკვეული თანხის გადახდა, რაც არავისთვის არ არის საიდუმლო. დღევანდელი ქართული რეალობის გათვალისწინებით ამით ირღვევა კანონისა და სასამართლოს წინაშე თანასწორობის პრინციპი, რადგან გამოდის, რომ თუ პიროვნებას საკმარისი თანხა არ გააჩნი, უარს ეტყვიან საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე. მითუმეტეს, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული საპროცესო შეთანხმების საფუძველზე გადასახდელი თანხის ზღვრული ოდენობა და პრაქტიკულად საპროცესო შეთანხმების საფუძველზე ბიუჯეტში შესატანი თანხის რაოდენობას ყველა კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს პროკურორი.

ე). ჩვენს სინამდვილეში საპროცესო შეთანხმება თითქმის ყველა სახის სისხლის სამართლის საქმეზე გამოიყენება. თავიდანვე საპროცესო შეთანხმების შემოღების ერთ-ერთი მყარი არგუმენტი ანტიკორუფციული დატვირთვა იყო. მეცნიერ-იურისტების დიდი ნაწილი და ზოგადად ყველა ის პირი, ვინც საპროცესო შეთანხმების შემოღებას უჭერდა მხარს, ძირითადში საპროცესო შეთანხმებას მიიჩნევდა როგორც ანტიკორუფციულ ღონისძიებად. ნაწილობრივ ვეთანხმები ამ მოსაზრებას და მიზანშეწონილად მიმაჩნია საპროცესო შეთანხმება უფრო მეტად გამოყენებული იქნას კორუფციულ და ეკონომიკური სახის დანაშაულთა საქმეებზე.

ვფიქრობთ, რომ საპროცესო შეთანხმების სფეროში არსებული და ჩვენს მიერ ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ხარვეზების დროული დარეგულირება ხელს შეუწყობს საპროცესო შეთანხმების მიზნის მიღწევას — სასამართლოში დაჩქარებული წესით

8. ინტერნეტ წყარო: https://www.google.ge/webhp?sourceid=chrome-instant&ion (OSCE/ODIHR და ევროპის საბჭოს ერთობლივი მოსაზრება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესახებ. ვარშავა/სტრასბურგი, 2014 წ) უკანასკნელად გადამოწმებულია 01.10.2016

9 იხ. იგივე ინტერნეტ წყარო

საქმის განხილვას, მათ განტვირთვას, საპროცესო ხარჯების შემცირებას და საპროცესო ვადების დაცვას, ზოგადად კი სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. 2016 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
2. გ. ჭანტურიძე. საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებთან მიმართებაში. თბილისი, 2007 წელი
3. პ. კობალაძე. სისხლისსამართლებრივი დევნისა და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის სუბიექტი. ‚პროფესორ შ. ფაფიაშვილის დაბადებიდან მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომების კრებული, თბ. 2015
4. ც. რატიანი. საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართლის პროცესში, მითი და რეალობა. ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, 2006 წელი, №3
5. გ. მეფარიშვილი. სისხლის სამართალწარმოების ზოგიერთ კონცეპტუალურ საკითხებთან დაკავშირებით. ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, 2006 წელი, №3, გვ. 103-104
6. ნ. გაბრიჩიძე. საპროცესო შეთანხმება. ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №2, 2004 წ
7. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი. თბ. 2015
8. ინტერნეტ წყარო: https://www.google.ge/webhp?sourceid=chrome-instant&ion (OSCE/ODIHR და ევროპის საბჭოს ერთობლივი მოსაზრება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესახებ. ვარშავა/სტრასბურგი, 2014 წ) უკანასკნელად გადამოწმებულია 01.10.2016

საკუთრების უფლების დაცვისას საკუთრების უფლების მოპოვების კეთილსინდისიერების მნიშვნელობის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი

ზოია კაკულაშვილი
საქართველოს უნივერსიტეტის,
სამართლის სკოლის დოქტორანტი

რეზიუმე

ქართულ სამართალში, საკუთრების უფლების დაცვა უზრუნველყოფილია მთელი რიგი საკანონმდებლო ნორმებით. უპირველეს ყოვლისა კი გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით.

ნაშრომში აღნიშნულია, რომ პრაქტიკული მაჩვენებლებიდან გამომდინარე, კერძო ურთიერთობებში, ხშირია საკუთრების უფლების ხელყოფის ფაქტები, უფლების დაცვის საშუალებად კი, ძირითადად, სასამართლოები გვევლინება.

სამეცნიერო ნაშრომში ნაჩვენებია საკუთრების უფლების დაცვის მომცველი მარეგულირებელი ნორმების დახვეწის აუცილებლობის საჭიროება საქართველოში. შეფასებულია საკუთრების უფლების ხელყოფის შემთხვევები, სახელმწიფო ორგანოები კი ზოგ შემთხვევაში გაუმართლებელი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის და დაუსაბუთებელი ეკონომიკური სარგებლის მქონე საინვესტიციო პროექტების ხელშეწყობის საბაბითა და ზოგ შემთხვევაში, კი, არასრულფასოვანი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოთი სარგებლობენ და უგულვებელყოფენ მოქალაქეების ინტერესებს.

წინამდებარე სტატიაში ნაჩვენებია, რომ უმეტესად, სასამართლოც კი ვერ უზრუნველყოფს უფლებების აღდგენის მექანიზმის ფუნქციას. შესაბამისად, ძირითად გამოწვევად, კვლავ, საკუთრების ხელყოფის საფრთხეების შემცირება რჩება. დასკვნის სახით ჩამოყალიბებულია კონკრეტული რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: საკუთრების უფლება, საკუთრების უფლების დაცვა, კეთილსინდისიერების პრინციპი

Comparative legal analysis of the significance of good faith for obtaining property rights in protection of property rights

In Georgian law, protection of property rights is ensured by a number of legislative norms. First of all it is guaranteed by the Constitution.

The article states that, based on practical indicators the cases of violation of property rights are very common in personal relationships. And the courts are mainly considered as the means for protecting the right.

The study provides the need to improve regulatory norms related to the protection of property rights in Georgia. The work evaluates the cases of violation of property rights, and state authorities, in some cases, for unreasonable urgent public necessity and under the pretext of promoting investment projects of unsubstantiated economic benefits and in some cases, making use of inadequate legal and institutional frameworks and ignore the interests of citizens.

The present paper shows that in most cases, even the court could not provide a mechanism for restoration of rights. Therefore, the major problem is still to reduce the risks of property damage. In conclusion, the specific recommendations are outlined.

Сравнительно-правовой анализ важности добропорядочности приобретения права собственности при защите права собственности

В грузинском праве защита права собственности обеспечена целым рядом законодательных норм. В первую очередь гарантирована конституцией Грузии.

В статье указано, что исходя их практических показателей во время частных взаимоотношений, часто наблюдаются факты нарушения права собственности, средствами же защиты прав, в основном, выступают суды.

В научном труде показана необходимость совершенствования в Грузии уровня норм, регулирующих защиту права собственности. Дана оценка случаев посягательства на право собственности, государственные органы же, в некоторых случаях способствуют инвестиционным проектам, имеющих необоснованную важность для общественных нужд и недокументированную экономическую пользу, в других же случаях пользуются несовершенными законодательными и институциональными рамками и игнорируют интересы граждан.

В настоящей статье показано, что в большинстве, даже суд не может обеспечить функцию восстановления прав. Соответственно, основным вызовом, опять же остается уменьшение опасности посягательства на собственность. В виде вывода сформулированы конкретные рекомендации.

შესავალი

საკუთრების უფლების დაცვა და კეთილსინდისიერების პრინციპის ურთიერთმიმართების გამოკვლევის აუცილებლობა განპირობებულია საკუთრე-

ბის უფლების დაცვის სიხშირესა და მის მასშტაბურობაზე, რაც, თავისთავად, გამომდინარეობს საკუთრების უფლების დაცვაზე მიმართვიანობის სიმრავლით, იქნება ეს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, სხვადასხვა არასამთავრობო/უფლებადამცველი ორგანიზაციები, თუ სასამართლოები.

თითქმის ყველა ქვეყანა საკუთრების უფლებას იცავს, როგორც ეროვნული კანონით ისე საერთაშორისო შეთანხმებებით.

სხვა ქვეყნების სამართლის იურისდიქციის მსგავსად, საქართველოს სამართალიც ითვალისწინებს საკუთრების უფლების მოპოვების კეთილსინდისიერების მარეგულირებელ მექანიზმებს.

საერთო სამართლისა და კონტინენტური სამართლის იურისდიქციების ანალიზის საფუძველზე, ნაშრომში ნაჩვენებია საკუთრების უფლების დაცვის მომცველი მარეგულირებელი ნორმების ჩასწორების აუცილებლობას ქართულ კანონმდებლობაში.

I. საკუთრების უფლების მნიშვნელობის დახასიათება

საკუთრების უფლება განეკუთვნება იმ უფლებათა რიცხვს, რომელიც ოდითგანვე განიხილებოდა ნებისმიერი ფენის წარმომადგენელთა მიერ და, რომელიც კვლავ ინარჩუნებს აქტუალობას. შესაბამისად, საკუთრების უფლება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა რიცხვს განეკუთვნება. საკუთრება ზესახელმწიფოებრივი და წინარესახელმწიფოებრივი ადამიანის ბუნებითი უფლებაა, რომლის გარეშეც შეუძლებელია დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობა. საკუთრების უფლების დაცვა კანონის წინაშე მოქალაქეთა სამართლიან თანასწორობასა და გონს ეფუძნება[1]. ჯერ კიდევ პლატონისა და არისტოტელეს მოქალაქეთა სამართლიანი თანასწორობის თეორია მოიცავდა ადამიანის მორალურ, სამართლებრივ, პოლიტიკურ და სოციალურ თანასწორობას[2].

საკუთრების უფლება დამოუკიდებელი ცხოვრების ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს[3]. „საკუთრების უფლება ადამიანის არა მარტო არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძლებლობების ადეკვატურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართავს“.კერძო საკუთრება კი, როგორც ინსტიტუტი, საბაზრო ეკონომიკის ბირთვს წარმოადგენს. შესაბამისად, ის არის არა მხოლოდ მესაკუთრეებს შორის ეკონომიკური კონკურენციის, ასევე, დემოკრატიული სახელწიფოს არსებობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობა[4].

სახელმწიფო არაა საკუთრების უფლების შემოქმედი და, ამიტომ, არც მისი გაუქმება ძალუძს. თუმცა, სახელმწიფოს შეუძლია უფლების გარკვეული საზღვრების დადგენა. აღნიშნული გამომდინარეობას სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებიდან, ვინაიდან უფლებათა ურთიერთდაპირისპირება თავისთავად გამორიცხავს უფლებათა აბსოლუტურობას[5]. ჯერ კიდევ ჯონ ლოკი განიხილავდა სახელმწიფოს დიდ როლს საკუთრების უფლების დაცვისას. იგი მიიჩნევდა, რომ თავისუფლება, თანასწორობა და დამოუკიდებლობა სამართლებრივად უნდა ყოფილიყო დეკლალირებული. იგი მიიჩნევდა, რომ „უტყუარი ნიშანი სამოქალაქო საზოგადოებისა არის ის, რომ თვითოეულ ინდივიდს უნდა გააჩნდეს უფლება, რომ ისარგებლოს სამართლის ბუნებით და დაიცვას მისი საკუთრება“[6].

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით „საკუთრების უფლება აღიარებული და ხელშეუვალია“.

ადამიანის საკუთრების უფლების აღიარება დაცვის გარანტიის აღიარებასაც ნიშნავს. შესაბამისად, საკუთრების დაცვა იმავდროულად წარმოადგენს პიროვნების დაცვას[7]. სამოქალაქო კოდექსი მიზნად ისახავს უზრუნველყოს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა[8], ამავდროულად ეს მხოლოდ კანონის კი არა, სახელმწიფოს მიზანსაც წარმოადგენს. მისი ფუნქცია სწორედ ისაა, რომ შექმნას საკუთრების თავისუფალი განვითარებისა და დაცვის გარანტიები[9]. სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისათვის, კი, უმთავრესია კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვა. მოცემული არამარტო საქართველოს, არამედ ევროპული კანონმდებლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს წარმოადგენს.

II. კეთილსინდისიერების პრინციპის დახასიათება

ქართულ სამართალში კეთილსინდისიერების პრინციპი გერმანული კერძო სამართლის რეცეპციის გზით მოხვდა. იგი აღიარებულია, როგორც თანამედროვე კერძო სამართლის საციცოცხლოდ მნიშვნელოვანი კომპონენტი[10]. საკუთრების თვისება სწორედ იმაშია, რომ ნივთის ამა თუ იმ პირზე კუთვნილებას უნდა აცნობიერებდეს არა მარტო ამ ნივთის მფლობელი, არამედ ყველა დანარჩენი მესამე პირი. აღნიშნულ დამოკიდებულებაში მესაკუთრე უფლების სუბიექტია, მესამე პირი კი ვალდებლების სუბიექტი. საკონსიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ „საკუთრების უფლების განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები, ხოლო საკუთრების სარგებლობა იმავდროულად უნდა ემსახურებოდეს საერთო კეთილდღეობას, თუ ეს მოთხოვნები არ სრულდება ან არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სათანადო გარემოებანი, მაშინ საქართველოს კონსტიტუცია არ გამორიცხავს საკუთრების უფლების შეზღუდვას“[11]. დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს ეკონომიკური სიძლიერე სწორედ საკუთრების უფლების პატივისცემასა და დაცვას ეყრდნობა“[12]. შესაბამისად, საკუთრების უფლება მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული.

კეთილსინდისიერების პრინციპი სამოქალაქო კოდექსის პირველი წიგნის ზოგადი დებულებე-

ბით არის განმტკიცებული - „სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი“ (სსკ-ის მე-8 მუხლის მესამე პუნქტი). აღნიშნული პრინციპის სისტემურად ზოგად დებულებებში განმტკიცება გულისხმობს მის უნივარსალურობას და გავრცელებას მთლიანად კერძო სამართალზე[13].

კეთილსინდისიერების პრინციპი „თაღლითობის განზრახვისაგან თავისუფლებას” (Simpson & Weiner, 1989) [14] განსაზღვრავს. კეთილსინდისიერების კრიტერიუმს წარმოადგენს პატიოსნება (ჰონესტყ), რომელიც სუბიექტური სულიერი მდგომარეობითაა განპირობებული. იგი, ასევე, აერთიანებს სამართლიანობისა (fairness) და გონივრულობის (რეასონაბლენესს) ცნებებს, რომლებიც თავისთავადაა დაკავშირებული ობიექტურ მოქმედებათა მდგომარეობის განსაზღვრებასთან. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ აღნიშნული კრიტერიუმების დანიშნულებანიც ისევე, როგორც კეთილსინდისიერების პრინციპის დანიშნულენა, მეტისმეტად ბუნდოვანია და უფრო ღრმა განმარტებას საჭიროებს[15,16]

ზოგი ავტორი კეთილსინდისიერების პრინციპს ნორმას უწოდებს, ზოგი -სამართლებრივ პრინციპს, ზოგი - სტანდარტული ქცევის წესს, დაუწერელი სამართლის წყაროს, ზოგად დათქმას, უმაღლეს ნორმას[17], მეფურ მუხლს[18], ნორმათა დედოფალს, თუმცა, დავას არ იწვევ ის ფაქტი, რომ კეთილსინდისიერების პრინციპი არ არის ისეთი ნორმა, რომელიც მსგავსია სხვა ნორმათა უმეტესობისა [19]. იგი დამოკიდებული უნდა იქნეს საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე, რომელთა მიმართაცაა იგი გამოყენებული და აუცილებლად დაკონკრეტების მეთოდის გამოყენებით უნდა დადგინდეს[20].

კეთილსინდისიერების პრინციპი bona fides რომის სამართლინად იღებს სათავეს. თავდაპირველად, ტერმინი bona fides საქმიან ურთიერთობებში გამოიყენებოდა, რომელიც მხარეების მიერ პირობისა და მიცემული სიტყვის დაცვას ნიშვავდა. წინააღნდეგ შემთხვევაში დაზარალებულ მხარეს უფლება ჰქონდა კონტრაჰენტისათვის პრეტენზია წაეყენებინა და ვალდებულების აღსრულება იძულებით სარჩელის საფუძველზე მოეთხოვა[21]. XI-XII საუკუნეებში კეთილსინდისიერების მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა და მოსამართლეების მიერ ხელშეკრულებათა განმარტებისას და კანონთა კორექტირების მიზნით გამოიყენებოდა[22]. შუა საუკუნეებიის კეთილსინდისიერების პრინციპი ერთიან ევროპულ სამართალში წმინდა მატერიალურ-სამართლებრივ ნორმად გარდაიქმნა და სამართლიანობისა და თანასწორობის ცნებაში გაერთიანდა, რითაც უფრო ფართო მნიშვნელობა მოიპოვა.

თანამედროვე დროში, კეთილსინდისიერების ვალდებულება იმპლემენტირებულია, როგორც საერთაშორისო კოდიფიკაციებში[23,24,25,26], რომელთა დებულებებიც სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილე მხარეებს ავალდებულებს იმოქმედონ კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად, ისე ნაციონალურ კოდიფიკაციებში, სამოქალაქო კოდექსებშია იმპლემენტირებული[27,28], სადაც კეთილსინდისიერების პრინციპი, ურთიერთობის მხარეებს, უპირველესად, საყოველთაოდ აღიარებული კეთილსინდისიერების ვალდებულების დაცვას უნდა ემსახურებოდნენ.

კოდიფიკაციების ეპოქაში ყველაზე დიდი გავლენა bona fides-მ გერმანიის სამოსამართლო აზროვნების ჩამოყალიბებასა და სამართალგანვითარების პროცესზე მოახდინა. კეთილსინდისიერების პრინციპი აღიარებულ იქნა „სამეფო ნორმად“, რომლის ამოცანაც გერმანიის მთელი სამართლის „მორალიზაცია“ იყო. იგი მოქმედებს, როგორც „სუპერნორმა“, რომელიც სხვა დანარჩენი სამართლის ნორმების მოდიფიცირებასაც ახდენს[29]. იგი მორალურ სტანდარტებთანაა დაკავშირებული. ერთის მხრივ ის არის მორალური სტანდარტი, რომელიც ნიშნავს გულწრფელობას, სიწმინდეს, მიუკერძოებლობას, ობიექტურობას, სამართლიანობას, ერთგულებას და სხვა, გამომდინარე მისი გერმანული პროტოტიპის დეფინიციიდან Treu und Glauben, სადაც Treu ნიშნავს ერთგულებას, ლოიალურობას[21], ხოლო Glauben რწმენას, ნდობას[21]. თუმცა, პრაქტიკაში მისი განმარტება უფრო ფართო მნიშვნელობის მატარებელია, ვიდრე მთლიანობაში აღებული აღნიშნული ცნებები. მეორეს მხრივ – ეს არის კარიბჭე, რომლის გავლითაც მორალური ღირებულებები სამართლად იქცევა[30].

კეთილსინდისიერება არა მხოლოდ ეთიკური და მორალური პრინციპია, არამედ სამართლებრივი დოქტრინაა. იგი ნების ავტონომიის პრინციპსა და კანონის სიტყვასიტყვით ნებას უპირისპირდება. იგი საშუალებაა მოუწესრიგებელი ცხოვრებისეული სფეროების ახალი ეთიკური და სოციალური სტანდარტების შესაბამისად მოწესრიგებისათვის და მისი ფუნქციაა, როგორც სამართლის საშუალებით სამართალის დაცვა, ისე სამართლებრივი ურთიერთობების მორალიზებით გამოიხატულებაა[31].

„კეთილსინდისიერების დოქტრინა გახლავთ ანტითეზისი ფორმალიზაციისა და პოზიტივიზმისა“[32]. კონტინენტური ევროპის კეთილსინდისიერების პრინციპი უზრუნველყოფს მხარეთა მოლოდინს, მხარეთა ქცევისადმი მორალური ევოლუციის უზრუნველყოფით[33]. აქვე, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ აღნიშნული პრინციპი თანმხლებია სოციალურად სასურველობისა და სამართლიანობის უფლებაუნარიანობის ნაკლებობისა[34,35].

III. საერთო სამართლისა და კონტინენტური სამართლის იურისდიქციები

სამეცნიერო ნაშრომი არ მოიცავს უძრავ და მოძრავ რეგისტირებულ ქონებაზე უფლების მოპოვებას. ინტერესები ფოკუსირებული იქნება მოძრავ ნივთებზე, რომლებიც არ არიან რეგისტრირებულნი საჯარო ან სხვა კერძო ჩანაწერებში. ზოგადად, მოძრავი

ნივთების შეძენისას საკუთრების უფლების მოპოვების კეთილსინდისიერების მომცველი ნორმების ძირითადი დანიშნულება „ეფექტური მომსახურებაა“, რადგანაც ადგილი აქვს რისკის განაწილებას ორ უდანაშაულო მხარეს შორის. არსებობს მესაკუთრე, რომელსაც მოპარეს ნივთი ან გარკეული მიზეზების გამო დაკარგა ნივთზე მფლობელობა და არსებობს მყიდველი, რომელმაც აღნიშნული ნივთი შეიძინა კეთილსინდისიერად. შესაბამისად, ორი უდანაშაულო მხარე იბრძვის საკუთრების უფლების დასაცავად. საკუთრების უფლების დაცვის მომცველი მარეგულირებელი ნორმები სხვადასხვა სამართლის სისტემებში განსხვავებულია, თუმცა კეთილსინდისიერების მნიშვნელობას ყველა ერთხმად აღიარებს.

ინგლისის სამართლის შესაბამისად, ნორმატიულ წყაროს, რომელიც მოიცავს მოძრავი ნივთების შეძენისას საკუთრების უფლების მოპოვების კეთილსინდისიერებას წარმოადგენს Sale of Goods Act 1979 (SGA). SGA-s 21(1) აყალიბებს ზოგად წესს: „თუ ნივთები გაყიდულია იმ პირის მიერ, რომელიც არ არის ნივთის მესაკუთრე და არც აღნიშნულის უფლებამოსილება გააჩნდა, მყივდელი ვერ მოიპოვებს უკეთეს საკუთრების უფლებას ნივთზე ვიდრე გააჩნდა გამყიდველს, თუ, ნივთის მესაკუთრე არ გამორიცხავს თანხმობას და არ უარყოფს ნივთის გაყიდვისას გამყიდველის უფლებამოსილებას.“ აღნიშნული ზოგადი ნორმა ცხადყოფს, რომ წესები ინგლისში the “original ownership rule” (იურიდიულ ლიტერატურაში, ასევე, ცნობილია, rogorc the “nemo plus iuris” principle”, the “nemo dat rule”) – მესაკუთრეს უფლებების დაცვას ემსახურება. თუმცა, ინგლისის სამართალი აღნიშნული ზოგადი ნორმის მიმართ მრავალ გამონაკლისს მოიცავს, რომელიც კეთილსინდისიერ მყიდველს იცავს და რეგულაციას ბევრად უფრო დაბალანსებულს ხდის: The doctrine of estoppel - თუ მესაკუთრე დაარწმუნებს შემძენს, რომ გამყიდველი ფლობდა ნივთის გადაცემის უფლებამოსილებას, მყიდველს შეუძლია საკუთრების უფლების მოპოვება ნივთზე მიუხედავად იმისა, რომ გამყიდველი არ იყო მესაკუთრე; sale under voidable title - შემძენი მოიპოვებს საკუთრების უფლებას, თუ კეთილსინდისიერად მოქმედებდა და არ იცოდა გამყიდველის ნაკლიანი უფლებამოსილების შესახებ. მხოლოდ იმ შემთხვევას, თუ გამყიდველის უფლებამოსილება გაყიდვის პროცესში არ იყო ანულირებული; seller in possession after sale ნივთის მეორე მყიდველს შეუძლია, ასევე, მოიპოვოს საკუთრების უფლება ნივთზე, თუ იგი კეთილსინდისიერად მოქმედებდა და არ იცოდა პირველი მყიდველის არსებობის შესახებ; buyer in possession after sale - თუ ნივთის შემძენს ჯერ არ მოუპოვებია საკუთრების უფლება ნივთზე და ისე გადასცემს მას, კეთილსინდისიერი შემძენი მოიპოვებს ნივთზე საკუთრების უფლებას თუ მან არ იცოდა ნამდვილი საკუთრების უფლების შესახებ[36,37]

აშშ-ის იურისდიქცია ნემო დატ რულე-ის გამოვლინებაა. The UCC 2-403(1) (Uniform Commercial Code) თანახმად, ნივთის მყიდველი მოიპოვებს საკუთრების ყველა იმ უფლებამოსილებას, რომელიც გააჩნდა ნივთის გადამცემს შეზღუდული ინტერესების გათვალისწინებით. UCC, ასევე, მოიცავს ზოგადი ნორმის მიმართ გამონაკლისებს: The voidable title rule, რომლის თანახმად, თუ მესაკუთრე გარიგებისას წაქეზებულია (თაღლითობის ან მოტყუების საფუძველზე), რომ გადასცეს ნივთი, მიმღები მოიპოვებს საკუთრების უფლების გადაცემის უფლებამოსილებას კეთილსინდისიერი მყიდველის მიმართ; The entrustement rule, რომლის თანახმად, თუ მესაკუთრე მიანდობს ნივთს მოვაჭრეს, მყიდველის მიმართ ფლობს საკუთრების უფლების გადაცემის უფლებამოსილებას.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 932(1)-ე მუხლი არეგულირებს არაუფლებამოსილი პირის მიერ მოძრავი ნივთების გაყიდვისას მოძრავ ნივთებზე საკუთრები უფლების მოპოვების კეთილსინდისიერებას. აღნიშნული მუხლი უზრუნველყოფს შემძენის, რომელიც მოქმედებდა კეილსინდისიერად, უფლებამოსილებას მოიპოვოს ნივთზე საკუთრები უფლება, იმ შემთხვევაში თუ მართალია გამყიდველს არ გააჩნია ნივთის გადაცემის უფლებამოსილება თუმცა, ფლობს მესაკუთრისაგან გადაცემულ მფლობელობით უფლებამოსილებას[38]. მუხლი 932(2) კი განსაზღვრავს კეთილსინდისიერებას (good faith, germanulad: guter Glaube), სადაც განმარტავს, რომ „მყიდველი არ მოქმედებს კეთილსინდისიერად (in goog faith), თუ მან იცის ან გულგრილობის საფუძველზე არ იცის (ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე უნდა სცოდნოდა), რომ მოძრავი ნივთი არ ეკუთვნოდა გამყიდველს.

ავსტრიის სამართალში შესაბამისი ნორმები მფარველობს კეთილსინდისიერ შემძენს, თუ, მან შეიძინა ნივთები საჯარო აუქციონზე, ან ბიზნესის ჩვეული მსვლელობისას ან საკუთრების მინდობის შემთხვევაში[39]. აღნიშნულის თანახმად უმნიშვნელოვანეს ელემენტს ნივთის “source” (გაყიდვების არხი, წყარო) წარმოადგენს, მას შემდეგ, თუ კეთილსინდისიერმა მყიდველმა ნივთი სანდო წყაროდან შეიძინა, მას შეუძლია დარჩეს ნივთის მესაკუთრედ. ავსტრიული სამართალი, კეთილსინდისიერი შემძენის მიმართ, მიიჩნევა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე დამცველი იურისდიქცია.

შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის თანახმად საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდია (ხუთი წელი), რომლის განმავლობაშიც მესაკუთრეს გააჩნია ნივთის გამოთხოვის უფლებამოსილება. თუ ნივთი შეძენილია საჯარო აუქციონზე ან სხვაგვარად ბაზარზე, ან მოვაჭრესაგან, რომელიც ვაჭრობს მსგავსი ნივთებით მისი საქმიანობის ჩვეული მსვლელობისას, ნაყიდი ნივთის ღირებულება აუნაზღაურდება კეთილსინდისიერ მყიდველს[40]. აღნიშნული წესი, მიუხედავად იმისა, რომ არ არის უნიკალური (მსგავსი წესებია საფრანგეთში, ესპანეთში და უნგრეთში და ა.შ.)[41] მოიცავს ერთ-ერთ უხანგრძლივეს პერიოდს, როდესაც მესაკუთრეს შეუძლია გამოითხოვოს

ნივთი.

DCFR მოიცავს წესების ნაკრებს მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების მოპოვების კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით პირისაგან, რომელსაც არ გააჩნდა საკუთრების უფლება ან საკუთრების გადაცემის უფლებამოსილება[42]. აღნიშნული წესების თანახმად, კეთილსინდისიერ მყიდველს შეუძლია საკუთრების უფლების მოპოვება გამყიდველისაგან, რომელსაც არ გააჩნდა საკუთრების უფლების გადაცემის უფლებამოსილება, თუ განსაზღვრული პირობებია შესრულებული (მაგ.: თუ მყიდველი მოიპოვებს საკუთრებას ღირებულებით საფუძველზე ის მოქმედებს კეთილსინდისიერად და ა.შ). თუმცა, მოპარულ ნივთებიზე ვერ მოიპოვებს საკუთრების უფლებას კეთილსინდისიერი მყიდველი თუ მან მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლება არ მოიპოვა ნივთის გადამცემის მიერ ბიზნესის ჩვეულებითი მსვლელობისას. მოპარული კულტურული ობიექტების შეძენისას საკუთრების უფლების მოპოვების კეთილსინდისიერება სრულიად გამორიცხულია.

IV. საკუთრების უფლების დაცვისა და კეთილსინდისიერების მნიშვნელობის ურთიერთმიმართება საქართველოში

სხვადასხვა ქვეყნების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ უმეტესწილად, სხვადასხვა სამართლის იურისდიქციები მესაკუთრეს უფლებების დაცვისკენაა მიმართული, თუმცა ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მათგანი აღიარებს კეთილსინდისიერი შემძენის უფლებამოსილებას. ქართული კანონმდებლობის შესაბამისად მესაკუთრეს სავინდიკაციო სარჩელის საფუძველზე შეუძლია ნივთის უკანონო მფლობელობიდან დაბრუნება. სავინდიკაციო სარჩელის განხორციელების შედეგი, კი, დამოკიდებულია თუ რა სახის არამართლზომიერი მფლობელია მოპასუხე. არამართლზომიერი მფლობელობა თავის მხრივ შეიძლება იყოს კეთილსინდისიერი და არაკეთილსინდისიერი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 159-ე მუხლის თანახმად არეულია კეთილსინდისიერებისა და მართლზომიერების ცნებები. არასწორია დებულება, რომ კეთილსინდისიერია მფლობელი, რომელიც ნივთს მართლზომიერად ფლობს[43]. დაუშვებელია მართლზომიერებისა და კეთილსინდისიერების ერთმანეთთან გაიგივება[43].

კათილსინდისიერებისა და არაკეთილსინდისიერების საკითხი დგება უკანონო მფლობელობის შემთხვევაში, ისინი სუბიექტური ცნებებია, ხოლო მართლზომიერება ობიექტური, პირს აქვს ან არ აქვს მფლობელობის საფუძველი[44]. არსებობს მოსაზრებაც, რომ სსკ-ის 159-ე მუხლში მითითებული „მართლზომიერება“ უნდა გაიგივდეს, როგორც სუბიექტური ცნება მფლობელის წარმოდგენაში არსებული ფაქტი. 159-ე მუხლის ხარვეზი სწორდება 187-ე მუხლის დანაწესით (პირველი ნაწილის მეორე წინადადება): „... კეთილსინდისიერად არ ჩაითვლება შემძენი თუ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე“. ქართულ სასამართლო პრაქტიკაში კი აღნიშნული საკითხისადმი არაერთგვაროვანი მიდგომაა. ზოგჯერ მართლზომიერებისა და კეთილსინდისიერების ცნებები გაიგივებულია, ზოგჯერ კი განმარტების საფუძველზე არის ხარვეზი აღმოფხვრილი[45]. არამართლზომიერი მფლობელობის დაყოფის კრიტერიუმი მფლობელის სუბიექტური დამოკიდებულებაა მფლობელობის შეძენის სამართლებრივი საფუძვლისადმი. სანივთო სამართალში მოქმედებს კეთილსინდისიერების პრინციპი სუბიექტური გაგებით. მასში ვლინდება მფლობელის დამოკიდებულება სინამდვილისადმი, რაც ფაქტობრივი გარემოებების ცოდნა-არცოდნასთან, აღქმასთან არის დაკავშირებული. ვალდებულებით სამართალში, კი, კეთილსინდისიერების პრინციპი ობიექტური გაგებისაა, რაც პირის ქცევის შეფასებას, ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, გულისხმობს. ვინდიკაციის პრინციპიდან განსხვავებით დამკვიდრდა პრინციპი, რომელსაც ვინდიკაციის შეზღუდვის წესი ეწოდება. ამ დროს კანონი უპირატესობას კეთილსინდისიერ შემძენს ანიჭებს. აღნიშნული წესი მთელ რიგ გარემოებებთანაა დაკავშირებული: შემძენი კეთილსინდისიერია, დადებულია გარიგება, გარიგება სასყიდლიანია, შემძენისათვის ნივთის ფაქტობრივი გადაცემულია, ნივთი გამოსულია მართლზომიერი მფლობელის ხელიდან მისი ნებით. სსკ-ის 187-ე მუხლის განმარტების საფუძველზე, გონივრული განმარტების შედეგად, იკვეთება, რომ ის მოიცავს ვინდიკაციის შეზღუდვის წესს. თუმცა ნორმა ხარვეზულია და შესწორებას ითვალისწინებს. 187-ე მუხლის თანახმად „შემძენი ხდება ნივთის მესაკუთრე მაშინაც, როცა გამსხვისებელი არ იყო ნივთის მესაკუთრე, მაგრამ შემძენი ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია“ არ არის მართებულად ჩამოყალბებული. შედეგად, გამსხვისებლის არაუფლებამოსილების საფუძველზე განხორციელებული ნებისმიერი განკარგვა კანონიერი იქნენა და კეთილსინდისიერი შემძენი ყოველთვის მოიპოვებს საკუთრების უფლებას და შესაბამისად არც იარსებებდა ვინდიკაციის უფლებამოსილება. რაც შეეხება აღნიშნული მუხლის მეორე ნაწილს, რომლის ფუნქციას დაკონკრეტებაა, ფორმულირება აქაც არასწორია - „მოძრავი ნივთის შემძენი ვერ იქნება კეთილსინდისიერი, თუ მესაკუთრემ ეს ნივთი დაკარგა, მოჰპარეს, ან მისი ნების წინააღმდეგ სხვაგვარად გავიდა მისი მფლობელობიდან, ანდა თუ შემზენმა ისინი უსასყიდლოდ მიიღო.....“. ამ შემთხვევაში უარყოფილია კეთილსინდისიერების სამოქალაქო სამართლებრივი არსი, რაც გულისხმობს პირის სუბიექტურ დამოკიდებულებას ნივთის შეძენის სამართლებრივი საფუძვლისადმი, რაც ამავე მუხლის პირველი წინადადების მეორე ნაწილში სწორად არის გადმოცემული: „ ...კეთილსინდისიერად არ ჩაითვლება შემძენი, თუ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ გამსხისებელი არ იყო მესაკუთრე.....“ [46]

დასკვნა

მოძრავი ნივთების შეძენისას საკუთრების უფლების მოპოვების კეთილსინდისიერების შესახებ არსებული კვლევები ადასტურებს, რომ კანონმდებელი ცდილობს იპოვოს ბალანსი მესაკუთრესა და კეთილსინდისიერ შემძენს შორის ინტერესებისა. უმეტეს შემთხვევაში, რეკომენდაცია nemo plus iuris-ის წესზე მიუთითებს, იმ დროს როცა განსხვავებული გამონაკლისებია გათვალისწინებული კეთილსინდისიერი მყიდველის სასარგებლოდ. ზოგადად, მოპარული ნივთების კეთილსინდისიერი მყიდველი ნაკლებადაა დაცული შედარებით იმ ნივთების მყიდველისა, რომელმაც ნივთი არაუფლებამოსილი პირისაგან შეიძინა. გარდა ამისა, ზოგ შემთხვევაში, მესაკუთრეს გააჩნია უფლებამოსილება ნივთის გამოთხოვისა, ანაზღაურების მოთხოვნის უფლებამოსილებასთან ერთად.

რაც შეეხება ვინდიკაციის შეზღუდვის წესს, კონტონენტური ევროპის სამოქალაქოსამართლებრივი დოქტრინისა და პოზიტიური სამართლის თანახმად, სავინდიკაციო სარჩელის მოქმედების ფარგლების გათვალისწინებით 187-ე მუხლის მეორე ნაწილში ხარვეზი უნდა შესწორდეს.

გამომდინარე კეთილსინდისიერების სუბიექტური ბუნებისა კეთილსინდისიერია მფლობელი, რომელმაც არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა თავისი ფაქტობრივი ბატონობის უკანონობის შესახებ. შესაბამისად, ობიექტური დამოკიდებულება, ნივთისადმი უკანონო ფაქტობრივი ბატონობის შესახებ, არასამართლიანია. აღნიშნულს ისიც ამტკიცებს, რომ კეთილსინდისიერებისა და მართლზომიერების ერთმანეთთან გაიგივება წინააღმდეგობაში მოდის 187-ე მუხლის პირველი პუნქტრის მეორე და მესამე წინადადებასთან, რომელიც კეთილსინდისიერი შემძენის უფლებების დაცვას ემსახურება. უპრიანია 159-ე მუხლი ახლებურად ჩამოყალიბდეს.

კეთილსინდისიერების არსებობა დამოკიდებულია მესაკუთრის მფლობელობიდან ნივთის გამოსვლის წესზე. შესაბამისად, 187-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება უნდა შესწორდეს და განისაზღვროს ნივთის გადაცემის ბუნება. თუ ნივთი მესაკუთრის მფლობელობიდან მისი ნებითაა გასული სამართლებრივი შედეგი კეთილსინდისიერი შემძენის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს, რადგან ნივთის მფლობელობიდან მესაკუთრის ნებით გასვლის შედეგად, პასუხისმგებლობის ტვირთიც მესაკუთრეზე უნდა იყოს მიმართული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1 გარიშვული მ., ხოფერია მ. რომის სამართლის საფუძვლები. ღეტრიეევედ 08.03. 2016 . http://oldtbappeal.court.ge/upload/r_1258.pdf

2 Conceptions of Equality/Plato, Aristotle and additions. (n.d.). Retrieved 2016 □□□□ 08 03 from http://pegasus.cc.ucf.edu: http://pegasus.cc.ucf.edu/~stanlick/equality1.html

3 ლაფაჩი ე. უძრავ ნივთებზე ქონებრივი უფლების რეგისტრაციის პრინციპები ქართული და გერმანული კანონმდებლობის იხედვით. სამართლის ჟურნალი , 61. 2013

4 1/2/384 . საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. 02.07.2007 .

5 კორკელია კ.. ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები. სტატიათა კრებული. თბილისი.2012

6 Donald L. Doernberg. We the People: John Locke, Collective Constitutional Rights, and Standing to Challenge Government Action. January 1985. Valume 73, Issue 1, Article 2. California Law Review http://scholarship.law.berkeley.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2069&context=californialawreview

7 ჭანტურია ლ. „უძრავი ნივთების საკუთრება“ მეორე გამოცემა, გამომცემლობა სამართალი. თბილისი 2001. გვ. 111

8 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მე-9 მუხლი (2012 წლის მდგომარეობით)

9 ზოიძე ბ. „ქართული სანივთო სამართალი“ თბილისი 2003, გვ. 93

10 Zimmermann R., Whittaker S., Good Faith in European Contract Law, Cambridge,2000, 8

11 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N1/51 თბილისი, 21 ივლისი, 1997.

12 საქართველოს საკონსტიტუციოსასამართლოს გადაწყვეტილება №2|1-370, 384 , 390, 402, 404. 18 მაისი, 2007.

13 კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი 2009, 92

14 Simpson, J. & Weiner, E. (1989 eds), The Oxford English Dictionary (2nd ed.) vol 2, Clarendon Press, Oxford. p. 379.

15 Mitchelle, A.D, Goog faith in WTO dispute settlement. Melbourne Journal of International Law. vol. 7, p. 2006. 340. http://www.worldtradelaw.net/articles/mitchellgoodfaith.pdf

16 http://www.austlii.edu.au/au/journals/MelbJIL/2006/14.html

17 Lando, O. (2001). Salient features of the principles of european contract law: A comparision with the UCC. Pace International Law Review, pp. 339-340

18 ჭანტურია ლ., ზოიძე ბ. , საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე - ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბი-

ლისი, გამომც. სამართალი, გვ. 271. 2001.
19 იოსელიანი ა. კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებით სამართლებივი გამოკვლევა), სასემინარო ნაშრომი, 2007. გვ. 32
20 Schlechtriem, P. (1997). Good faith in German law and in international uniform laws. Centro di Studi e Ricerche di Diritto Comparato e Straniero, SAGGI, CONFERENZE E SEMINARI 24. Published in
http://servizi.iit.cnr.it/~crdcs/crdcs/schlechtriem.htm
21 Zimmermann, R. The law of obligations: Roman faundation of the civilian tradition. Gteat Britain: Oxford, Univesity Press, 2005. p. 667 http://books.google.ge/books?id=iFIT_NsmE7MC&printsec=frontcover&hl=en#.
22 Zimmermann, R,& Whittaker, S.. Good Faith in European Contract Law. United Kingdom. Cambridge, University Press, 2000. p.26. http://books.google.ge/books?id=B4AvUL3Xq7EC&printsec=frontcover&dq=Zimmermann++the+good+faith+in+European+contract+law&hl=en&cd=1#v=onepage&q=&f=false □□□□ □□□□□ 05.04.2016
23 ვენის 1980 წლის საერთაშორისო საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებათა შესახებ კონვენციის 7.1-ე მუხლი –
United Nations Convention on Contracts the International Sales of Goods (1980) [CISG]. http://www.cisg.law.pace.edu/cisg/text/treaty.html
24 UN Charter, art 2(2). Published in http://www.un.org/en/documents/charter/index.shtml.
25 Uniform Commercial Code, article 1, part 3, $ 1:304. Published in
http://www.lexinter.net/LOTWVers4/uniform_commercial_code.htm
26 OAS Charter, chapter II, article 3(c). Published in
http://www.oas.org/dil/treaties_A41_Charter_of_the_Organization_of_American_States.htm#ch2.
27 გარმანიის სამოქალაქო კოდექსი –
German Civil Code - Bürgerliches Geset zbuch, Book 2: Law of Obligations _ (Schuldrechtsmodernisierungsgesetz), $ 242 http://www.iuscomp.org/gla/statutes/BGB.htm#b2
28 საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი –
Civil Code, Book III, Title III, Chapter III, Art.1134 http://www.lexinter.net/ENGLISH/civil_code.htm
29 Lando, O. (2001). Salient features of the principles of european contract law: A comparison with the UCC, International Law Review, p. 352. Published in http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/lando.html#iiib (2001, Last updated: September 5, 2002). bolo naxva 05.04.2016
30 Hesselink, M. W. (1998). Good faith, towards a european civil code. 2 ed., The Hague/London/Boston (Kluwer Law International), p. 288
31 Summers, R. S. (1968). "Good faith" in general contract law and the sales provisions of the uniform commercial code. Virginia *Law Review*. 54. pp. 195-198
32 Sim, D.. A general introduction to the concept of good faith. in Maggi, M. (2004). Review of the convention of contracts for the international sales of goods (CISG) 2002-2003. published: Kluwer Law International. Printed in the Netherlands. p. 28.
http://books.google.ge/books?id=Kp5kYHecqZIC&pg=PA27&lpg=PA27&dq=John+Klein,+Good+Faith+in+International+Transactions,+15+LIVERPOOL+LAW+REVIEW+(1993)&source=bl&ots=zKhPRPmZZ6&sig=iuQjpv7aj58cFWFuuRaUUnlmtFU&hl=ka&ei=p8xS8TbMpSB_QaD253vAw&sa=X&oi=book_result&ct=result&resnum=9&ved=0CB0Q6AEwCA#v=onepage&q=&f=false
33 Nicholas B. The French law of contract. Publisher: Clarendon Press. Place of Publication: Oxford.pp.20-22,48. 1992, 2nd ed
34 Peel E. The law of Contract, 12th ed., London, Sweet & Maxwell, 2007. pp. 2-3
35 Treitel E. "Contact: in general" in Burrows A. (Ed.). Oxford, Oxford University Press, 2007.pp. 624-625
36 Elham Balavar (2014), The Doctrine of Nemo Dat Quod Non Habet and Its Exceptions J. Appl. Environ. Biol. Sci., 4(5)7-14, http://www.textroad.com/pdf/JAEBS/J.%20Appl.%20Environ.%20Biol.%20Sci.,%204(5)7-14,%202014.pdf
37 'The Nemo Dat Rule: A Balancing Act' http://www.undergraduatelibrary.org/system/files/1027.pdf
38 the German Civil Code §929 ("the owner delivers the thing to the acquirer and both agree that ownership is to pass»).
39 the Austrian Civil Code §367
40 the Swiss Civil Code §1466
41 the Hungarian Civil Code §118(2)
42 Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, Draft Common Frame of Reference (DCFR) Outline Edition. http://ec.europa.eu/justice/policies/civil/docs/dcfr_outline_edition_en.pdf
43 ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ. 2005, გვ.250
44 ჭეჭელაშვილი ზ., რამდენიმე ხარვეზი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, ჟურნალი „სამართალი", №11-12, 2002, გვ. 70-71
45 სუსგ №3კ 1474-02, 18.02.2003, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, 2003, №4, 965; სუსგ №ას 1263-1503-05, 27.04.2006, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, №1, 2006,18
46 ქოჩაშვილი ქ.. მფლობელობისა და საკუთრების ურთიერთმიმართება საკუთრების დაცვის ჭრილში. მართლმსაჯულება და კანონი, №3(30)'11, 2011. გვ. 78

ზოგიერთი რამ, კომპლექსების შესახებ

ლია მეტრეველი
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

***"მნიშვნელობა აქვს არა იმას, თუ
რით დაიბადება ადამიანი, არამედ იმას,
თუ როგორ განკარგავს იგი მას"
ალფრედ ადლერი***

რეზიუმე

უპირატესობისკენ სწრაფვა და არასრულფასოვნების გრძნობა, ყველა ადამიანში თანაარსებობს, თუმცა არასრულფასოვნების გრძნობა, მანამ არ ვლინდება, სანამ წარმატებისკენ მიმავალ გზაზე წინააღმდეგობა არ შეხვდება. ეს გახლავთ პათოლოგიური გრძნობა, რომელიც აუცილებლად მოითხოვს მსუბუქ კომპენსაციას და განსაკუთრებულ დაკმაყოფილებას, და რომელიც იმავდროულად წარმატების მიღწევის ხელის შემშლელია ბარიერების გზით, და ამასთანავე სიმამაცის რეზერვების შემცირებით.

ყველა ბაშვს ბოძებული აქვს არასრულფასოვნების თანდაყოლილი გრძნობა, რომელიც ასტიმულირებს წარმოსახვას და იწვევს ფსიქოლოგიური დისკომფორტის დაჩრდილვისმცდელობებს სიტუაციის გაუმჯობესების გზით, სიტუაციის შეცვლას მიჰყავს არასრულფასოვნების გრძნობის შემცირებამდე, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ეს შეიძლება განხილულ იქნას, როგორც კომპენსაცია.

მოხსენებაში განხილულია არასრულფასოვნების კომპლექსები, ძირითადად ბავშვებთან და მათთან ბრძოლის სხვადასხვა მექანიზმები.

საკვანძო სიტყვები: არასრულფასოვენბის კომპლექსი, ბავშვები, გარემო, მშობელი, პედაგოგი.

Some things about complexes

Lia Metreveli
Associate Professor of GTU

Summary

The aspirationofsuperiority and inferiority sense, in all human beings co-exist, but the feeling of inferiority, will not be revealed until the path to success is not to meet with resistance. It is a pathological sense, which necessarily requires a special light compensation and satisfaction, and at the same time achieving success is hindered by barriers in the way, and at the same time reducing the reserves of courage.

All young children have been given an innate sense of inferiority, which stimulates the imagination and leads to psychological discomfort shading attempts to improve the situation by changing the situation leads to a decrease in feelings of inadequacy, psychological point of view it could be considered as compensation.

The report deals with inferiority complexes, mainly with children and variety of mechanismsto fight against them.

Keywords: Inferiority complex, Children, Environment, Parent, Teacher.

* * * * * *

არასრულფასოვნების კომპლესი — დაავადებაა, მას ახასიათებს ადამიანის ფსიქოლოგიური და ემოციური შეგრძნების დარღვევა საკუთარი თავის მიმართ. 1920 წ. ალფრედ ადლერმა, შემოგვთავაზა არასრულფასოვნების კომპლექსი, რომელიც თვლიდა, რომ არასრულფასოვნების განცდა ყალიბდება ბავშვობიდან. დღეისათვის დაავადება ფართოდ არის გავრცელებული, მისი საწყისის ნახვა შესაძლებელია პრაქტიკულად ყველა ადამიანში.

დღემდე დაუდგენელია არასრულფასოვნების კომპლექსის გაჩენის მიზეზი, მაგრამ მაინც გამოყოფენ რამდენიმე ფაქტორს:

- საკუთარი თავის რწმენის არქონა
- არასასურველი ოჯახური მდგომარეობა (განსაკუთრებით ბავშვობის ფიზიკური ნაკლი)
- მშობლების გადაჭარბებული ყურადღება ან უყურადღებობა...

ჩემთვის და ალბათ საზოგადობის გარკვეული ნაწილისათვის, ძალიან საინტერესოა როდის და როგორ ყალიბდება ბავშვებთან კომპლექსები. მიუძღვით თუ არა ამაში ბრალი როგორც მასწავლებლებს, ასევე მშობლებს. როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ ბავშვი თავდაჯერებული იყოს? სპეციალისტების აზრით, ბავშვობაში ყველას აქვს კომპლექსები და ცხადია არასრულფასოვნების კომპლექსიც, მაგრამ ჯანსაღი ურთიერთობით და დიდი ძალისხმევით ისინი ქრებიან. აი აქ კი დიდ როლი აკისრია როგორც მშობელს, ასევე პედაგოგს. ბავშვთან ურთიერთობა საკმაოდ ფაქიზია, საჭიროებს პოზიტიურ ენერგიას, ბავშვს ასაკი ემატება და რასაკვირველია იმატებს მისი ცნობისმოყვარეობაც, გაუთავებლად სვამს კითხვებს, იწყება "მეტყველების აფეთქების" ეტაპი, უჩნდება ყველაფრისადმი ინტერესი. ამ პერიოდიდან აუცილებელია, ბავშვები შეძლებისდაგვარად დავაახლოვოთ წიგნთან და შევეცადოთ წიგნთან ურთიერთობა ჩვევად ექცეთ. თუ მაგალითს უფროსებიც მივცემთ ეს საუკეთესო შემთხვევაა, პირად მაგალითს ბავშვთან

ურთიერთობაში უდიდესი ძალა აქვს (დიდი სიფრთხილე გვმართებს სოციალურ ქსელებთან). როდესაც ოჯახის წევრები მოწესრიგებულები, გულახდილები და წიგნიერები არიან, ბავშვი გაცილებით მარტივად მიიღებს ყველა ამ თვისებას. უნდა გვახსოვდეს, რომ გულახდილი ურთიერთობა ბავშვთან ჰაერივით საჭირო და აუცილებელია, აღზრდას ენით აუწერელი როლი აქვს ბავშვის ხასიათის ჩამოყალიბებაში. ამ დროისათვის ბავშვი საკმაოდ უსუსურია და გადასარჩენად მთლიანად ეყრდნობა მშობელს. ეს განცდა ძალიან ძლიერია, მაქსიმალურად უნდა შევეცადოთ, რომ ბავშვს არ ჩამოუყალიბდეს უსუსურობის შეგრძნება. საყურადღებოა გენეტიკური და გარემო ფაქტორები, რომლებიც საკმაოდ დიდ როლს ასრულებენ პიროვნების ჩამოყალიბებაში.

თითქმის ნებისმიერ ბავშვს შეუძლია დაძლიოს სუსტი მხარეები, მთავარია მან იგრძნოს, რომ ის მნიშვნელოვანი ფიგურაა, როგორც სკოლაში, ასევე ოჯახში. მოსწავლესა და პედაგოგს შორის აუცილებლად უნდა არსებობდეს ნდობა და ურთიერთპატივისცემა, რათა იყოს ინტერესი სწავლისადმი, ნუ დაგენანებათ ყურადღება და სიყვარული, გაეცით პოზიტივი და მერწმუნეთ გაცილებით სასიამოვნო და სასიკეთო ფაქტის წინაშე დაგაყენებენ ბავშვები.

როგორც მშობლემბა, ასევე პედაგოგებმა უნდა გამოიჩინონ დიდი ძალისხმევა, რათა ბავშვმა განივითაროს რწმენა საკუთარი თავისადმი, რეალურად აარასრულფასოვნების განცდა არის მათი უსუსურობის მიზეზი.

სამწუხაროდ არსებობენ პედაგოგები და მშობლები, რომლებიც არასწორ გზაზე დამდგარ ბავშვს ცუდ დასასრულს უწინასწარმეტყველებენ. ეს დიდი შეცდომაა, რომელიც სიტუაციას აუარესებს. პირიქით კი უნდა იყოს — ბავშვში ოპტიმიზმი უნდა ჩავასახლოთ, არ დაგვავიწყდეს, რომ ბავშვის შეურაცხყოფით და დამცირებით ვერასოდეს მოვახერხებთ მისი ქცევის გაუმჯობესებას.

ბავშვებთან, რომლებიც სიყვარულს მოკლებულ ატმოსფეროში აღიზარდნენ, პედაგოგებს ბევრი სირთულის გადალახვა უხდებათ. ბავშვების წარმოდგენაში, ჩვენც ისეთები ვართ, როგორც ისინი ვინც მათ ტკივილი მიაყენა, ისინი თავს დაჩაგრულად გრძნობენ და წინააღმდეგობისთვის ყოველთვის მზად არიან, მათ სძულთ ამხანაგები, რომლებსაც გაცილებით ბედნიერი ბავშვობა ჰქონდათ, გაბოროტებულები ხშირად ისეთ ადამიანებად გადაიქცევიან, რომელთაც უყვართ სხვებისთვის ცხოვრების გამწარება, სამწუხაროდ ისინი ვერ ადაპტირდებიან თავის გარემოცვაში... არასრულფასოვნების კომპლექსირება ხდება მათზე უფრო სისტის დაჩაგვრის გზით.

მნიშვნელოვანი და საყურადღებოა, რომ ბავშვის მდგომარეობა ბავშვის თვალებით დავინახოთ და იგი მისი საკუთარი თუნდაც მცდარი მსჯელობით ავხსნათ, უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვების აღზრდა შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ გაგვეთვალისწინებინა ის ფაქტი, რომ ბავშვები შეცდომებს უშვებენ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ჩვენ შევძლებთ ბავშვების აღზრდას ან ხელახლა აღზრდას, მისი შეცდომები რომ თანდაყოლილი ყოფილიყო, მაშასადამე, მას ვისაც ხასიათის თანდაყოლილი თვისებების სჯერა, არ შეუძლია ბავშვის აღზრდა და ამ საქმეს ხელი არ უნდა მოჰკიდოს.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბავშვებთან არასრულფასოვნების კომპლექსის საოცარი გამოცლინება ცოდნის უნარის შეძენის სირთულეშია, ბავშვები, რომლებიც სასწავლო საგნების უმეტესობას წარმატებით სწავლობენ, მაგრამ უჭირთ გარკვეული საგნები, მაგალითად მათემატიკა, უჩნდებათ შიშები და კომპლექსები, კარგავენ იმედს მასთან გამკლავების, რასაც მივყავართ სავალალო შედეგამდე (გამოცდაზე ჩაჭრით).

მშიშრობა ეს ხასიათის თვისებაა, რომელიც ხშირად არღვევს ადამიანებს შორის ურთიერთობას. მშიშრებს ყოველთვის ეშინიათ, რომ დასცინებენ, მათ ყოველთვის სხვისი აზრი აწუხებთ (ე.წ. რას იტყვის ხალხი?). ვითარდება ისეთი თვისებები, როგორიცაა ეჭვიანობა, შური, ეგოიზმი. მათ არასდროს უჩნდებათ სურვილი სხვისი შექების. ეს სისუსტის შედეგია. პედაგოგის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა, არ დაუშვას ბავშვის მიერ სიმამაცის დაკარგვა სკოლაში, მაგრამ თუ ბავშვი სკოლაში პრობლემებით მოვიდა, დიდი ძალისხმევა მართებს, რომ დაუბრუნოს მას საკუთარი თავის რწმენა. სწორედ ამაშია სკოლის პედაგოგის როლი და მაღალი პროფესიონალიზმი.

და მაინც, არასრულფასოვნების განცდა ეს არის ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე, მისი უსუსურობის განცდიდან გამომდინარე (ადლერის იმანენტური უსუსურობის თეორია). ადამიანი იბადება, იდეალურ გარემოს მხოლოდ დედის ორგანიზმში პოულობს, როგორც კი გამოდის პირველი მისი8 რეაქცია არის ტირილი, უსუსურია ამხელა სამყაროში, ეს განცდა მას დევს მთელი თავისი ცხოვრება, რომელიც სხვადასხვა გამოვლინებებით წარმოჩინდება.

და მაინც, ბევრმა ადამიანმა, არასრულფასოვნების კომპლექსი, რომელიც დღემდე კვლევის საგანია, შეძლო და წარმატებით გამოიყენა. ისტორიას არაერთი ცნობილი ადამიანი ახსოვს, რომლებმაც შეძლეს და დაამარცხეს იგი, მაგალითად: მერლინ მონრო, როკფელერი, შვარცნეგერი... ეს ადამიანები ნათელი მაგალითია იმისა, რომ ადამიანს არასრულფასოვნების შეგრძნებების საკუთარი თავის სასიკეთოდ გამოყენება შეუძლია...

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალფრედ ადლერი — ბავშვთა აღზრდა. გამომცემლობა "გერ". თბილისი. 2014 წ.
2. მამია ყოლბაია — სკოლის ფსიქოლოგია. გამომცემლობა "ცის ნამი". თბილისი. 2008 წ.
3. სოლომონ (ბიჭი) თეზელიშვილი — ფსიქოლოგიის ენციკლოპედია. თბილისი. 2007წ.
4. ინტერნეტ საიტები — GD-პედია — მარია ბარამიძე — არასრულფასოვნების კომპლექსი.

კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის ჩამოყალიბების ასპექტები საქართველოში

ნუგზარ სიჭინავა, *სტუ-ს დოქტორანტი*

რეზიუმე

კერძო სამართლის სუბიექტ – საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობის სახელმწიფოს მხრიდან რეგულირების (საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის) საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოში მიმდინარე რეფორმების ფონზე, სამეწარმეო ურთიერთობათა მომწესრიგებელი სამართლებრივი აქტების მუდმივი ცვალებადობის პირობებში.

საგანმანათლებლო საქმიანობა, თავისი არსით, წარმოადგენს ისეთ ორგანიზებულ საქმიანობას, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს და მოიცავს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს. ამასთან ერთად, საყურადღებოა მოცემული საქმიანობის კერძო სამართლის სუბიექტების მიერ რეალიზაციის რეგულირების სამართლებრივი ასპექტები და ამ პროცესში დაგროვებული გამოცდილება. 1991 წლის 10 ივლისიდან მოყოლებული, როდესაც გაცემულ იქნა საგანმანათლებლო საქმიანობის სფეროში პირველი ლიცენზია, კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების სახელმწიფოს მხრიდან რეგულირების პროცესში ბევრი რამ შეიცვალა, ბევრი პროგრესული იდეაც დიდი ხნით დავიწყებას მიეცა, ან ვერ განხორციელდა ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო.

მოცემული ნაშრომის მიზანია საგანმანათლებლო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის ფორმირების წინაპირობების და კერძო პირების მიერ განათლების სფეროში მოგების მიღებაზე ორიენტირებული საქმიანობის განხორციელებისათვის რეალური სამართლებრივი საფუძვლების შექმნის წარმოჩენა, ასევე რეგულირების თავდაპირველი მექანიზმის დახასიათება.

საკვანძო სიტყვები: ლიცენზირება; განათლება; უმაღლესი განათლება; რეგულირებადი საქმიანობის განხორციელება.

Aspects of Establishing State Regulatory Mechanism for Delivery of Educational Activities by Legal Entities of Private Law in Georgia

Nugzar Sichinava

Summary

Against the backdrop of the ongoing reforms in Georgia the issue of state regulation (public law limitations) of the activities of educational institutions that are private legal entities is of crucial importance, given the continuous changes in legal acts that govern entrepreneurial activities.

The educational activity per se represents such organized activity that refers to unlimited number of individuals and implies particularly important state or public interests. Moreover, legal aspects of regulation of the above activities delivered by private legal entities and the experience accumulated throughout the process are of particular interest. From July 10, 1991, when the first license was issued in the sphere of education, many changes have been introduced in the process of state regulation of educational activities of legal entities of private law; several progressive ideas have been forgotten for a long time or failed to be implemented due to harsh socio-economic conditions in the country.

The proposed paper aims at shedding light on preconditions for shaping a state regulatory mechanism for educational activities and the actual legal basis for commercial activities of private legal entities in the sphere of education, as well as describing the initial mechanism of regulation.

Keywords: Licensing; education; higher education; performing regulated activities.

კერძო სამართლის სუბიექტების მიერ საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების სახელმწიფოს მხრიდან რეგულირება სათავეს იღებს საქართელოს სახელმწიფოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენის პერიოდიდან. რეგულირების მექანიზმის არსებობის სამართლებრივი საფუძველი გახდა 1991 წლის 14 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ფასიანი სწავლების თაობაზე ცვლილების განხორციელება და საქართველოს რესპუბლიკაში ფასიანი სასწავლებლების შესახებ დებულების დამტკიცება. აღნიშნულ კანონშემოქმედებით საქმიანობას წინ უძ-

ღოდა ფასიანი სწავლების შემოღებისა და კერძო პირთა (საზოგადოებრივი გაერთიანებები, მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფები) მიერ საგანმანათლებლო დაწესებულებების დაარსების შესაძლებლობის თაობაზე ინიციატივების განხილვა სახელმწიფო ორგანოების მხრიდან. მაგალითად, საზოგადოებრივმა გაერთიანებამ – საქართველოს ეკონომიკური აღორძინების კავშირმა 1990 წლის 20 აგვისტოს №20 წერილით [6; გვ. 1-2] მიმართა საქართელოს სსრ მინისტრთა საბჭოს „ექსპერიმენტის სახით უმაღლესი კომერციული სასწავლებლის შექმნის“ შესახებ. აღნიშნული კორესპონდენციით, ინიციატორმა სურვილი გამოთქვა საქართველოს ეკონომიკური აღორძინების კავშირთან „ექსპერიმენტის წესით“ შექმნილიყო თვითდაფინანსებაზე მყოფი უმაღლესი კომერციული სასწავლებელი (ბიზნესის ინსტიტუტი) ფასიანი სწავლებით. ავტორთა განმარტებით, მსგავსი ღონისძიების განხორციელება საჭირო გახდა „საბაზრო ეკონომიკაზე სახალხო მეურნეობის ფართოდ გადასვლის შედეგად კვალიფიციურ სპეციალისტებზე თანდათანობით მზარდი მოთხოვნების“ გამო, აგრეთვე იმ გარემოებით, რომ „სწავლების მოძველებული პრინციპებითა და მეთოდებით მომზადებული სპეციალისტების დონე ვერ აკმაყოფილებს რადიკალური რეფორმებით გამოწვეულ გაზრდილ მოთხოვნებს“. ამავე წერილით აღნიშნულ მინისტრთა საბჭოს წარედგინა საქართველოს ეკონომიკური აღორძინების კავშირის გამგეობის სხდომაზე (ოქმი №5, 18.08.1990წ.) მოწონებული აღნიშნული სასწავლებლის წესდების პროექტი და ეთხოვა ნებართვა, რათა სასწავლებელს ფუნქციონირება დაეწყო იმავე წლის 15 ოქტომბრიდან. წერილის ავტორმა აიღო ვალდებულება სასწავლებლის ფუნქციონირებისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად და სათანადო კადრებით დასაკომპლექტებლად.

კომერციული სასწავლებლის გახსნას დაეთანხმა საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო [7; გვ. 1], სასწავლებლის სამეურნეო ანგარიშზე არსებობის პირობით, ასევე თანხმობა განაცხადა საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრომ [8; გვ. 1], კონტინგენტის რაოდენობისა და მისი გარკვეული ფორმით შერჩევის მექანიზმის სასწავლებლის წესდებაში განსაზღვრის პირობით. უმაღლესი კომერციული სასწავლებლის წესდებასთან დაკავშირებით მხოლოდ რამდენიმე შენიშვნის გამოთქმით შემოიფარგლა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო [9. გვ. 1]. საყურადღებოა საქართველოს სსრ საგეგმო კომიტეტის პოზიცია [10; გვ. 1], კომერციული უმაღლესი სასწავლებლის დაარსების შეუძლებლობისა და მიზანშეუწონლობის თაობაზე, მოცემული საკითხის გადასაწყვეტად არსებითი მნიშვნელობის მქონე შემდეგი გარემოებების მითითებით:

- კომერციული უმაღლესი სასწავლებლის დაარსებისა და მისი საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის არარსებობა;
- რესპუბლიკაში სახალხო მეურნეობის სპეციალისტთა კადრების ჭარბად მომზადებით, სპეციალისტთა შრომით დასაქმებაში გამოწვეული სირთულეებიდან გამომდინარე, უმაღლესი სასწავლებლის შექმნის მიზანშეუწონლობა.

კომერციული საგანმანათლებლო დაწესებულებების დაარსებისა და მათი საქმიანობის განხორციელების პირობების განსაზღვრის თაობაზე კანონმდებლობის ფორმირება შესაძლებელი გახდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით.

კომერციული საგანმანათლებლო დაწესებულების დასაარსებლად და ფასიანი სწავლების შემოღებისათვის აუცილებელი იყო ამ უფლებამოსილების განსაზღვრა იმჟამად მოქმედ „საქართველოს რესპუბლიკის დროებით ძირითად კანონში“ [1; გვ. 3] – საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში. შესაბამისად, „საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონით [2. გვ. 1] განხორციელებული ცვლილებების შედეგად, დაშვებულ იქნა „ყველა სახეობის ფასიანი სწავლება“. კერძოდ, კონსტიტუციის 38-ე მუხლის მეორე ნაწილით განისაზღვრა, რომ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა შრომის უფლებას, მათ შორის უფლებას – აირჩიონ პროფესია, საქმიანობისა და სამუშაოს სახეობა მოწოდების, უნარის, პროფესიული მომზადების, განათლების შესაბამისად და საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით, „უზრუნველყოფს მეურნეობის სისტემა, საწარმოო ძალების ზრდა, უფასო და ფასიანი პროფესიული სწავლება, შრომითი კვალიფიკაციის ამაღლება და ახალ სპეციალობათა სწავლება პროფესიული ორიენტაციისა და შრომითი მოწყობის სისტემათა განვითარება“. ამავე კანონით ცვლილება შევიდა კონსტიტუციის 43-ე მუხლში, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა განათლების უფლებას და კონსტიტუციის 43-ე მუხლის მეორე ნაწილში, განხორციელებული ცვლილების შედეგად, გარანტირებულ იქნა ფასიანი სწავლების უფლება, კერძოდ, განისაზღვრა, რომ განათლების უფლებას „უზრუნველყოფს ყველა სახეობის ფასიანი და უფასო სწავლება, ახალგაზრდობის საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების ფართოდ განვითარება ცხოვრებასა და წარმოებასთან სწავლების კავშირის საფუძველზე; დაუსწრებელი და საღამოს სწავლების განვითარება; მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის სახელმწიფო სტიპენდიებისა და შეღავათების მიცემა; სკოლაში დედაენაზე სწავლების შესაძლებლობა“.

მიუხედავად კერძო სამართლის სუბიექტების დაარსების, საქმიანობის განხორციელების, ზოგადი უფლებამოსილების, ორგანიზაციული მართვის, ლიკვიდაციის, სამართლებრივ ურთიერთობებში მათი ადგილის განსაზღვრისა და სხვა მსგავსი საკითხების

მარეგულირებელი ნორმატიული აქტების არარსებობისა, მოცემული ცვლილებების განხორციელებით შეიქმნა რეალური სამართლებრივი საფუძველი კერძო პირების მიერ განათლების სფეროში მოგების მიღებაზე ორიენტირებული საქმიანობის განხორციელებისათვის.

იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ ფასიანი სასწავლებლების დაარსების, სასწავლებლის წესდებისა და მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე სწავლების განხორციელების, აგრეთვე კურსდამთავრებულზე სახელმწიფოს მიერ აღიარებული სათანადო კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის უფლებამოსილება განმტკიცებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 14 ივნისის დადგენილებით დამტკიცებული „დებულებით საქართველოს რესპუბლიკაში ფასიანი სასწავლებლების შესახებ“ [2; გვ. 1]. აღნიშნული დებულების პირველი და მე-2 პუნქტებით იურიდიულ და ფიზიკურ პირებს ნება დაერთოთ დაეარსებინათ ფასიანი სასწავლებლები სახელმწიფოს მიერ აღიარებული სათანადო კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობის (დიპლომი, ატესტატი) გაცემის უფლებით. ამასთან, დაუშვებლად იქნა ცნობილი სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სასწავლებელში ფასიანი სწავლების შემოღება. აღნიშნული ნორმა კიდევ ერთხელ უთითებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემული დებულებით საქართველოში პირველად იქნა დაშვებულ კერძო კაპიტალის საფუძველზე განათლების სფეროში სამეწარმეო საქმიანობის უშუალო განხორციელების შესაძლებლობა და ამ მიზნით კერძო საგანმანათლებლო დაწესებულების დაარსება.

აღნიშნული დებულების მე-3 პუნქტის თანახმად, ფასიანი სასწავლებლის რეგისტრაციაში გატარებისათვის დადგინდა შესაბამისი ლიცენზიის მიღების ვალდებულება, რომლის გამცემ ორგანოდ განისაზღვრა საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრო. დებულების მე-4 და მე-5 პუნქტებით დადგინდა ლიცენზიის მიღების წინაპირობები და ფასიანი სასწავლებლების ვალდებულება ლიცენზიის მისაღებად ფასიანი სასწავლებლის სასწავლო გეგმის, პროგრამის, პედაგოგიური პერსონალის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობა სახელმწიფოს მიერ დადგენილ მოთხოვნებთან. ამასთან, ფასიანი სასწავლებელი უფლებამოსილი იყო:

- შეედგინა სასწავლო გეგმა და პროგრამა;
- დაემყარებინა საქმიანი ურთიერთობა ნებისმიერ იურიდიულ და ფიზიკურ პირთან, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ;
- შეექმნა დამხმარე სამეურნეო, სასწავლო თუ სამეცნიერო ქვედანაყოფები;
- დაეწესებინა პედაგოგიური და დამხმარე პერსონალისათვის ხელფასის ოდენობა ინდივიდუალური ხელშეკრულების საფუძველზე;
- განესაზღვრა სასწავლებელში მსმენელთა მიღების წესები, სწავლებისათვის შესატანი თანხოს ოდენობა და მისი შეტანის პირობები;
- საგამოცდო კომისიის წარმატებით გავლის შემთხვევაში კურსდამთავრებულისათვის მიენიჭებინა სათანადო კვალიფიკაცია და გაეცა შესაბამისი მოწმობა.

დებულებით დადგინდა, რომ ფასიანი სასწავლებლის მსმენელებთან ურთიერთობა განისაზღვრებოდა სასწავლებლის წესდებითა და მსმენელებთან ან მათ წარმომადგენლებთან დადებული ხელშეკრულებით. ამასთან, ფასიანი სასწავლებლის მსმენელები და თანამშრომლები სარგებლობდნენ სახელმწიფო სასწავლებლისათვის დადგენილი ყველა შეღავათით. ფასიანი სასწავლებლისათვის დაწესდა შეზღუდვაც, კერძოდ, დაუშვებლად იქნა ცნობილი სწავლების დაუსწრებელი ფორმა (დებულების მე-6 პუნქტი).

ლიცენზიის საფუძველზე საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას ხელი შეუწყო 1991 წლის პირველი ოქტომბრიდან „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 25 ივლისის კანონის [5] ამოქმედებამ. ამ კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ იქნა სამეწარმეო საქმიანობის შეზღუდვა. კერძოდ, განისაზღვრა, რომ ისეთი საქმიანობის განხორციელება, როგორიცაა მაგალითად, სასწავლო დაწესებულებების შექმნა, აკრძალულია „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის, მის მიერ უფლებამოსილი ორგანოს სპეციალური ნებართვის გარეშე“.

ამ კანონის 24-ე მუხლის თანახმად, საწარმოს შეეძლო განეხორციელებინა ნებისმიერი სამეურნეო საქმიანობა, რომელიც არ იყო შეზღუდული ამ ან სხვა კანონით, საწარმოს წესდებით, მისი შექმნის შესახებ ხელშეკრულებით, რომელიმე სხვა დამფუძნებელი დოკუმენტით, ან არ იყო აკრძალული სხვა წესით. ზოგიერთი სახის სამეურნეო საქმიანობას, რომელთა ნუსხასაც განსაზღვრავდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, საწარმო შეიძლება ეწოდოს მხოლოდ სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) მიღების შემთხვევაში. ლიცენზიის მიღების წესს ადგენდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სხვა სახელმწიფოთა ფიზიკურ, იურიდიულ პირთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ნებისმიერი სამეურნეო საქმიანობისათვის აუცილებელი იყო საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ნებართვა.

„სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის 37-ე მუხლი განსაზღვრავდა საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაციას. კერძოდ, „საწარმო დაფუძნებულად ითვლება მისი სახელმწიფო რეგისტრაციის დღიდან. არარეგისტრირებული საწარმოს საქმიანობა აკრძალულია“. საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაციას საწარმოს ადგილმდებარეობის მიხედვით ახორციელებდნენ რაიონის და ქალაქის მმართველობის ორგანოები, ხოლო რაიონული დაყოფის მქონე ქალაქებში - მმართველობის რაიონული ორგანოები. იმ შემთხვევაში, თუ საწარმო იქმნებოდა სახელმწიფო სახსრებით, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების ფიზიკური და იურიდიული პირების, საერთაშორისო ორ-

განიზაციების მონაწილეობით, მის რეგისტრაციას ახდენდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო.

მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ საქართველოს რესპუბლიკაში ფასიანი სასწავლებლების შესახებ დებულება ადგენდა კერძო საგანმანათლებლო დაწესებულების ლიცენზირებისათვის ზოგად მოთხოვნებს, იგი უდავოდ წარმოადგენს ფასიანი სასწავლებლების საქმიანობის სახელმწიფო მხრიდან რეგულირების ერთ-ერთ უპირველეს დოკუმენტს საქართველოში. აღნიშნულმა აქტმა, „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონთან ერთად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საგანმანათლებლო საქმიანობის სახელმწიფოს მხრიდან ლიცენზირების საფუძველზე რეგულირების მექანიზმის შექმნაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი) 1991 წ. (1991 წლის მარტის თვის მდგომარეობა). თბილისი, 1991 წ. გვ. 54;

2. „საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წლის 21 ივნისი, №20(140);

3. 1991 წლის 31 ივლისის „საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წლის 31 ივლისი, №49 (169);

4. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 14 ივნისის დადგენილებით დამტკიცებული „დებულება საქართველოს რესპუბლიკაში ფასიანი სასწავლებლების შესახებ“ (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991 წ., №2 მუხ. 441);

5. 1991 წლის 25 ივლისს მიღებული „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წლის 01 აგვისტო, №50 (170);

6. საქართველოს ეკონომიკური აღორძინების კავშირის 1990 წლის 20 აგვისტოს №20 კორესპონდენცია, 2 გვ.;

7. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს 1990 წლის 24 სექტემბრის №05-1/02 წერილი, ადრესატი – საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო;

8. საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს 1990 წლის 26 სექტემბრის №01-13-08/3124 წერილი, ადრესატი – საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო;

9. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს 1990 წლის 21 სექტემბრის №02-11/554 წერილი, ადრესატი – საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო;

10. საქართველოს სსრ საგეგმო კომიტეტის 1990 წლის 24 სექტემბრის №02-12/47 წერილი, ადრესატი – საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო;

11. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უწყებრივი სალიცენზიო რესტრი (სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის არქივი).

ბიზნეს-ინჟინერინგის თეორიული ასპექტები

ლარიზაცია: პრობლემები და პერსპექტივები

დემნა კვარაცხელია *, ასოცირებული პროფესორი*

რეზიუმე

სტატიაში გაანალიზებულია:

- ლარიზაციის დაბალი დონის მიზეზები;
- 2015 წლის მანძილზე დოლართან თანაფარდობაში ლარის კურსის მკვეთრი შემცირების ძირითადი მიზეზები;
- ეროვნული ბანკის სავალუტო პოლიტიკა - ლარის კურსის აღნიშნული გაუფასურების პირობებში;

დასაბუთებულია, რომ ლარიზაციის დაბალი დონე გაპირობებულია ქვეყნის ეკონომიკაში ფორმირებული შემოსავლების დაბალი დონით, ინფლაციის მოსალოდნელი ტემპისა და ნომინალური პროცენტის განაკვეთის შედარებით მაღალი დონით, აგრეთვე დოლართან თანაფარდობაში ლარის მიმდინარე და მოსალოდნელი გაცვლითი კურსების არასტაბილურობით და შესაბამისად, ლარისადმი ნდობის ფაქტორის დეფიციტით.

განხორციელებული ანალიზის საფუძველზე გამოთქმულია ვარაუდი, რომლის თანახმადაც 2015 წლის მანძილზე რეფინანსირების სესხების მოცულობის ზრდამ გამოიწვია დოლართან თანაფარდობაში ლარის მომავალში მოსალოდნელი ნომინალური გაცვლითი კურსის შემცირება, რამაც თავის მხრივ განაპირობა ლარის მიმდინარე ნომინალური გაცვლითი კურსის შემცირების (რაც თავის მხრივ გამოწვეული იყო საგარეო ეკონომიკური ფაქტორების არახელსაყრელი ცვლილებით) გაღრმავება და დროში გახანგრძლივება.

სტატიაში დადებითად არის შეფასებული ეროვნული ბანკის შედარებით ნეიტრალური სავალუტო პოლიტიკა - ლარის კურსის ზემოაღნიშნული გაუფასურების პირობებში. ამასთან, უარყოფითად არის შეფასებული ეროვნული ბანკის პოლიტიკა რეფინანსირების სესხების პარალელურ ზრდასთან დაკავშირებით. ამის მიზეზი ისაა, რომ რეფინანსირების სესხების ზრდა სტატიაში მიჩნეულია ლარის კურსის შემცირების გაღრმავებისა და დროში გახანგრძლივების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად.

დაზუსტებულია ლარის გაცვლითი კურსის ამაღლების მიზეზები 2016 წლის მარტი-მაისის თვეებში. სხვა თანაბარ პირობებში, ლარის კურსის აღნიშნული გაძვირების გათვალისწინებით, განსაზღვრულია ლარიზაციის ამაღლების პერსპექტივები.

საკვანძო სიტყვები: დოლარიზაცია, ლარიზაცია, ფულზე მოთხოვნა, გაცვლითი კურსი, სავალუტო პოლიტიკა.

Larization: Problems and Prospects

Summary

The work provides analysis of the following:

- Causes of low larization level;
- Key reasons of drastic fall of lari to dollar exchange rate during year 2015;
- Foreign currency policies of the National Bank – in the conditions of the mentioned devaluation of lari;

The work argues that the low larization level is caused by the low level of incomes in the country's economy, relatively high expected inflation rate and nominal interest rates, as well as instability of current and expected lari to dollar exchange rate and hence, deficiency of confidence to lari.

On the basis of the performed analysis there was proposed that growth of loan refinancing during year 2015 has caused future expected nominal GEL to USDexchange rate reduction, what, in turn, has caused further fall of lari current nominal exchange rate (caused, in turn, by unfavorable change of the foreign economic factors) and its extension with time.

The work gives positive assessment of the relatively neutral currency policies of the National Bank – in the conditions of above mentioned devaluation of lari; while the National Bank's policies dealing with the simultaneous increase of the refinancing loans is evaluated negatively. This is because the authors regard growth of refinancing loans as one of the key reasons of further fall of lari exchange rate and its extension in time.

The causes of improvement of lari exchange rate in March-May 2016 were studied in details. In the other equal conditions, regarding mentioned improvement of lari exchange rate, the prospects if larization improvement were determined.

* * * * * *

ეკონომიკის ლარიზაციის დაბალი დონე ერთ-ერთი ყველაზე არასასურველი მოვლენაა, ვინაიდან იგი გამორიცხავს ეროვნული ბანკის მიერ ეფექტიანი მონეტარული პოლიტიკის განხორციელებას.

ეკონომიკის ლარიზაციის დონის მიახლოებითი შეფასების მიზნით ვიხელმძღვანელებთ დეპოზიტების დოლარიზაციის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით. ზუსტი შეფასების განხორციელებას ხელს უშლის საოჯახო მეურნეობების

განკარგულებაში ნაღდი ფულის სახით არსებული დოლარის მოცულობის შესახებ სათანადო ინფორმაციის არარსებობა.

ლარიზაციის დაბალი დონის გამომწვევი მიზეზები

მიმდინარე საუკუნის განვლილ პერიოდში, დეპოზიტების ლარიზაციის ყველაზე დაბალი დონე დაფიქსირდა 2003 წლის ნოემბერში (13,17%). 2013 წლის დეკემბერში ლარიზაციის მაჩვენებელმა შეადგინა 44,33%, რაც აღნიშნული პერიოდის (2000 წლიდან დღემდე) ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. მისი მნიშვნელობა 2014 წლის მანძილზე მერყეობდა 40,81-42,94%-ის ფარგლებში. 2015 წლის ივლისიდან კი თავი იჩინა დეპოზიტების ლარიზაციის მაჩვენებლის შემცირების ტენდენციამ და 2016 წლის იანვრისთვის მისი მნიშვნელობა დაეცა 31,53%-მდე, რაც განპირობებული იყო დოლართან თანაფარდობაში ლარის კურსის შემცირებით. მომდევნო თვეებში მისი მნიშვნელობა მცირედით გაიზარდა და მარტის თვეში შეადგინა 32,9%.

აღსანიშნავია, რომ დეპოზიტების ლარიზაციის მაჩვენებელი შედარებით მაღალ ნიშნულზე იმყოფებოდა ლარის მიმოქცევაში შემოღების საწყის წლებში, რაც განპირობებული იყო: დოლართან თანაფარდობაში ლარის ფიქსირებული გაცვლითი კურსის არსებობით, მიმოქცევაში ახლად შემოღებული ლარის მიმართ პოზიტიური მოლოდინების ჩამოყალიბებით, როგორც კუპონების, აგრეთვე რუსული რუბლების (როგორც ნაღდი ფულის სახით, აგრეთვე დეპოზიტებზე არსებულის) მასიური გადაყვანით ლარებში და ა. შ.. აღნიშნულ გარემოებათა ურთიერთქმედების შედეგად, ლარის მიმოქცევაში ჩაშვებიდან 1997 წლის მეორე ნახევრამდე, ლარიზაციის მაჩვენებელი აჭარბებდა 50%-იან დონეს. ასე მაგალითად, 1995 წლის დეკემბერში დეპოზიტების ლარიზაციის მაჩვენებელმა შეადგინა 64,7%, რაც წარმოადგენს დეპოზიტების ლარიზაციის ყველაზე მაღალ დონეს - ლარის მიმოქცევაში შემოღებიდან დღემდე. 1997 წლის მეორე ნახევრიდან მისი მნიშვნელობა 50%-იან ზღვარს ჩამოსცილდა და დღემდე აღნიშნული დონის ქვემოთ მერყეობს.

მიმდინარე ეტაპისთვის ეკონომიკის ლარიზაციის დაბალი დონე გამოწვეულია ლარზე მოთხოვნის დაბალი დონით, რაც თავის მხრივ განპირობებულია მრავალი მიზეზით.

ტრადიციული გაგებით ფულზე მოთხოვნის ფუნქციას გააჩნია შემდეგი სახე:

$$\left(\frac{M}{P}\right)^d = L(r, y) \qquad (1)$$

სადაც, M— ფულის ნომინალური მასაა, p - ფასების დონეა, R - პროცენტის ნომინალური განაკვეთია, Y - რეალური მთლიანი შიდა პროდუქტია, ხოლო $\left(\frac{M}{P}\right)^d$ არის ფულადი საშუალებების რეალურ მარაგზე მოთხოვნა (1, გვ.: 95-137; 3, გვ.: 83-95).

დრობიშევსკისა და კოზლოვსკაიას მიერ განხორციელებულ კვლევაში ფულზე მოთხოვნის საბაზო განტოლება წარმოდგენილია შემდეგი სახით:

$$\frac{M^d}{P} = f(y, \dot{e}) \qquad (2)$$

სადაც M^d - ნომინალურ ფულად ნარჩენზე მოთხოვნაა, p - ფასების დონეა, y- რეალური მთლიანი შიდა პროდუქტია, ხოლო $\dot{e}$ - ეროვნული ვალუტის ნომინალური გაცვლითი კურსის ცვლილების ტემპია.

აღნიშნული ავტორების აზრით, დოლარიზებულ ეკონომიკაში ფულის შენახვის ალტერნატიული ღირებულება უნდა განისაზღვროს არა ფინანსურ აქტივებზე შემოსავლიანობის ნორმით, ანუ პროცენტის ნომინალური განაკვეთით, არამედ დოლართან თანაფარდობაში ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების ტემპის სიდიდით [4. ჩგვ.: 347].

მე-2 განტოლება, ჩემი აზრით, მოითხოვს კორექტირებას. ფულზე მოთხოვნის სიდიდეზე სავალუტო ბაზარზე მიმდინარე ცვლილებების ზეგავლენის შესაფასებლად, საჭიროა ეროვნული ვალუტის ნომინალური გაცვლითი კურსის ცვლილების ტემპთან შედარებით უფრო ინფორმაციული მაჩვენებლის შერჩევა. ასეთ მაჩვენებლად მიმაჩნია ეროვნული ვალუტის მომავალში მოსალოდნელ ნომინალური გაცვლითი კურსის ცვლილების ტემპსა (ავღნიშნოთ e**-ით) და ეროვნული ვალუტის მიმდინარე ნომინალური გაცვლითი კურსის ცვლილების ტემპს (ავღნიშნოთ e*-ით) შორის სხვაობის მაჩვენებელი (ავღნიშნოთ e***-ით), რომელიც გვიჩვენებს ეროვნული ვალუტის მიმდინარე და მომავალში მოსალოდნელი გაცვლითი კურსების ცვლილებისას - უცხოურ ვალუტაში დაზოგილი შემოსავლის (ნაღდ ფულში, ან დეპოზიტებზე) ცვლილების ტემპს (მაგალითად, ეროვნული ვალუტის მიმდინარე კურსის შემცირებასთან შედარებით, მისი მომავალში მოსალოდნელი გაცვლითი კურსის უფრო მკვეთრი შემცირებისას, იგი გვიჩვენებს უცხოურ ვალუტაში დაზოგილი შემოსავლის ზრდის ტემპს).

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, მე-2 განტოლება შეგვიძლია ჩავწეროთ შემდეგი სახით:

$$\left(\frac{M}{P}\right)^d = f(y, e^{***})$$

სადაც, $e^{***} = e^{*} + e^{**}$

საქართველოს ეკონომიკა, დოლარიზაციის მაღალი დონის პარალელურად, ხასიათდება შედარებით ზომიერი ინფლაციისა და მეტ-ნაკლებად განვითარებული ფინანსური ინსტიტუტების არსებობით. ასეთ პირობებში მიზანშეუწონელია პროცენტის r ნომინალური განაკვეთის, როგორც აქტივების სახით შენახული ფულის ალტერნატიული ღირებულების როლის შეუფასებლობა. შესაბამისად, საქართველოს

ეკონომიკის თავისებურებათა გათვალისწინებით, მე-2 განტოლებით გამოსახული ფულზე მოთხოვნის ფუნქცია შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

$$\left(\frac{M}{P}\right)^{d} = f(y, r, e^{***}) \quad (3)$$

ზემოაღნიშნული ანალიზიდან გამომდინარე, ცხადია რომ ფულზე (საუბარია M_1 ფულად აგრეგატზე, რომელიც მოიცავს ბანკებს გარეთ არსებულ ნაღდ ფულსა და მოთხოვნამდე ანაბრებს ლარებში) ერთობლივი მოთხოვნა ყალიბდება ორი კომპონენტისაგან: გარიგებისთვის ფულზე მოთხოვნა და აქტივების ფორმით ფულზე მოთხოვნა.

ლარზე მოთხოვნა გარიგებისთვის დამოკიდებულია საანგარიშო პერიოდში ლარში განხორციელებულ გარიგებათა მთლიან მოცულობაზე. გარიგებათა მთლიანი მოცულობის გაზომვა რთულია. ამიტომ, ეკონომიკურ თეორიაში მიღებული ტრადიციის თანახმად, მას გამოსახავენ მიახლოებითი მნიშვნელობით, კერძოდ ეკონომიკაში ფორმირებული ნომინალური შემოსავლის მთლიანი მოცულობით. საქართველოში მკვეთრად დაბალია აღნიშნული შემოსავლის მოცულობა. ამასთან, რიგი ტრანსაქციები (მაგალითად, უძრავ-მოძრავ ქონებასთან დაკავშირებული გარიგებები) ძირითადად ხორციელდება დოლარში, რაც თავის მხრივ იწვევს გარიგებისთვის ლარზე მოთხოვნის არეალის შეკვეცას, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული გარიგებების მნიშვნელოვანი ნაწილი (მაგალითად, იმავე უძრავ-მოძრავ ქონებასთან დაკავშირებული), არ ხორციელდება საანგარიშო პერიოდში გამოშვებული პროდუქციით.

ლარზე მოთხოვნა აქტივების სახით დამოკიდებულია: ნომინალური შემოსავლის მთლიან მოცულობაზე, ნომინალური პროცენტის განაკვეთზე, აგრეთვე ლარსა და სტაბილურ უცხოურ ვალუტას (ძირითადად დოლარს) შორის მჯობინების (უპირატესობის მინიჭების) ხასიათზე.

მთლიანი ნომინალური შემოსავლის ამაღლებისას იზრდება ფულზე მოთხოვნა როგორც ტრანსაქციათა განხორციელებისათვის, აგრეთვე აქტივების ფორმით, ვინაიდან მოსახლეობას, სხვა თანაბარ პირობებში (მაგალითად, პროცენტის განაკვეთის უცვლელობისას), შესაძლებლობა ეძლევა თავისი შემოსავლების მეტი ნაწილი გადაინახოს აქტივების სახით ფულად ფორმაში. ვინაიდან, ჩვენი ქვეყნის ფარგლებში ფორმირებული შემოსავლების ერთობლივი დონე მკვეთრად დაბალია, ამიტომ, იმთავითვე შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ შემოსავლების წვლილი უკიდურესად მოკრძალებულია აქტივების სახით ფულზე (ლარზე) მოთხოვნის ფორმირებაში.

საქართველოს სუსტად განვითარებულ, შემოსავლებზე ორიენტირებულ ეკონომიკაში (რომლისთვისაც დამახასიათებელია ჭარბი მოხმარება, იმპორტსა, უცხოურ დახმარებებსა და უცხოეთიდან ფულად გზავნილებზე ტოტალური დამოკიდებულება, მაღალი უმუშევრობა და ემიგრაცია) აქტივების სახით ფულზე მოთხოვნის ფორმირებაში არსებით როლს ასრულებს უცხოური ვალუტა, კერძოდ დოლარი, რასაც ადასტურებს ანაბრებზე განთავსებული ფულის დოლარიზაციის მაღალი მაჩვენებელიც.

აქტივების ფორმით ფულზე მოთხოვნა დამოკიდებულია ნომინალური პროცენტის განაკვეთის დონეზეც, რომლის ფორმირებაშიც, ნორმალურად ფუნქციონირებად ეკონომიკაში, ცენტრალურ ბანკთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებს საფონდო ბაზარიც. საფინანსო ბაზრის აღნიშნული სეგმენტის განუვითარებლობის შედეგად, ფინანსური დანაზოგის განხორციელებისას საქართველოს მოსახლეობას არჩევანის გაკეთება უწევს ფინანსური აქტივების მხოლოდ ორ სახეობას, კერძოდ, M_1 ფულსა და ვადიან ანაბრებს შორის, რაც ზღუდავს მოსახლეობის არჩევანს დანაზოგების განთავსებისას, საბოლოო ანგარიშით კი, ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარების მოთხოვნებთან შეუსაბამო ხისტი საპროცენტო განაკვეთების ჩამოყალიბებას, რაც თავის მხრივ წარმოადგენს ფულზე მოუქნელი მოთხოვნის ჩამოყალიბების მიზეზს.

ამასთან, ვინაიდან, საფინანსო ბაზრის ცალკეული სეგმენტების განუვითარებლობის პირობებშიც, ნომინალური პროცენტის განაკვეთი ადგენს აქტივის სახით შენახული ფულის ირიბი დანახარჯის დონეს, ამიტომ, ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, საქართველოში აქტივების სახით ფულზე მოთხოვნის მოცულობის განსაზღვრისას შეუძლებელია პროცენტის ნომინალური განაკვეთის როლის უგულვებელყოფა. როგორც წესი, როცა ნომინალური პროცენტის განაკვეთი (ანუ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვადიან ანაბრებზე არსებული პროცენტის განაკვეთი) მაღალია, მაშინ აქტივების ფორმით ფულზე მოთხოვნა და შესაბამისად, ფულზე ერთობლივი მოთხოვნა დაბალია და პირიქით. ამ შემთხვევაშიც საუბარია M_1 ფულზე.

საქართველოში, ფინანსური ბაზრის, კერძოდ საფონდო ბაზრის განუვითარებლობის შედეგად, მიზანშეუწონლად მიმაჩნია აქტივების სახით ფულზე მოთხოვნის ბაზად M_2 ფულადი აგრეგატის შერჩევა, ვინაიდან არაფრის მომცემია და შესაბამისად, აზრს მოკლებულია ნომინალური პროცენტის განაკვეთის განსაზღვრა ფასიან ქაღალდებზე პროცენტის გასაშუალებული განაკვეთისა და ვადიან ანაბრებზე პროცენტის გასაშუალებული განაკვეთის სხვაობის საფუძველზე, თანაც გასათვალისწინებელია ისიც, რომ M_2 ფულში არც თუ მნიშვნელოვანია ვადიანი ანაბრების წილი. ამასთან, ვადიან ანაბრებზე ნომინალური პროცენტის განაკვეთის ზრდა, რა თქმა უნდა, გაზრდის ლარში ვადიან დეპოზიტებზე განთავსებულ ფულზე მოთხოვნას. შესაბამისად შეიცვლება M_2 ფულის სტრუქტურა: შემცირდება M_1 ფულის წილი და გაიზრდება ვადიან დეპოზიტებზე განთავსებული ფულის წილი, თანაც ამ უკანასკნელის წილი, მულტიპლიკატორის ეფექტის მოქმედების შედეგად, გაიზრდება უფრო სწრაფად. შესაბამისად, გაიზრდება M_2 ფულადი აგრეგატის მოცულობა, თუმცა ნომინალური პროცენტის განაკვეთსა და M_2 ფულად აგრეგატს შორის ბევრად უკეთეს კავშირს

მივიღებდით ორგანიზებული საფონდო ბაზრის განვითარების შემთხვევაში.

ნომინალური პროცენტის განაკვეთის ამაღლებაში რაც უფრო მნიშვნელოვანი იქნება ინფლაციის მოსალოდნელი ტემპის ცვლილების წვლილი, მით უფრო მეტად შემცირდება M_1 ფულზე მოთხოვნა. ეს იმითაა გამოწვეული, რომ როცა ინფლაციის მოსალოდნელი ტემპი მაღალია, მაშინ მკვეთრად მაღალია დანაზოგების (აქტივის) სახით ფულის შენახვის ხარჯები: პროცენტის განაკვეთის შესაბამისი თანხის დანაკარგს ემატება ის დანაკარგი, რომელიც წარმოიქმნება აქტივის სახით შენახული M_1 ფულის გაუფასურების შედეგად.

ლარზე დაბალი მოთხოვნის მიზეზები საძიებელია კუპონის ერაში განვითარებულ ჰიპერინფლაციურ პროცესებშიც, რომელთანაც დაკავშირებული პრობლემები ხალხის მეხსიერებაში დაილექა და დიდი ხნით შეარყია ეროვნული ვალუტისადმი ნდობა. იმ პერიოდში განვითარებული პროცესების გავლენით, ლარსა და დოლარს შორის არჩევანის განხორციელებისას, საქართველოს მოსახლეობას ჩამოუყალიბდა დოლარისთვის უპირატესობის მინიჭების ინერციული დამოკიდებულება. შედეგიც სახეზეა. დოლარმა მთელ რიგ ოპერაციებში, მაგალითად, უძრავ-მოძრავ ქონებასთან დაკავშირებულ გარიგებებში, ანაბრებზე დანაზოგების განთავსებისა და სესხის გაცემის ოპერაციებში და ა. შ., პრაქტიკულად ჩაანაცვლა ლარი, რითაც შეიზღუდა მისი ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სასიცოცხლო ეკონომიკური სივრცე.

საქართველოს ეკონომიკისთვის, ბოლო წლებში (2012-2015წწ), დამახასიათებელი იყო მიმდინარე ინფლაციის დაბალი ტემპი, რასაც წესით უნდა გამოეწვია ლარზე მოთხოვნის არსებითი ზრდა, მ. შ. ინფლაციის მოსალოდნელ ტემპზე პოზიტიური ზემოქმედების გზით. თუმცა ეს ასე არ მოხდა. ამის მიზეზი საძიებელია უახლოესი წარსულის გამოცდილებაში. საუბარია იმაზე, რომ კუპონის ეპოქაში, წარმოების დაცემის პარალელურად, აღინიშნებოდა ფასების დონის მასშტაბური ზრდა. აღნიშნული გამოცდილების გათვალისწინებით, მოსახლეობა უნდობლად ეკიდება, ეკონომიკური ზრდის უკიდურესად დაბალი დონის პირობებში, რასაც ადგილი აქვს ბოლო წლებში, მიმდინარე ინფლაციის დაბალი ტემპის არსებობის ფაქტს. შესაბამისად, მას უყალიბდება ხელისუფლების მიერ ინფლაციის მიმდინარე ტემპის შესახებ მონაცემების ხელოვნური შემცირება-დამახინჯების განწყობა, აქედან გამომდინარე კი, ინფლაციური პროცესების გარდაუვალი გაღრმავების მოლოდინი. ამიტომ, ვერ ხერხდება ინფლაციის მომავალში მოსალოდნელ ტემპთან დაკავშირებით ეკონომიკურად მიზანშეწონილი გრძელვადიანი მოლოდინის ფორმირება, შესაბამისად, ვერ ხერხდება ინფლაციის მომავალში მოსალოდნელი ტემპის შემცირება და აქტივების სახით ლარზე მოთხოვნის ამაღლება.

ამრიგად, კუპონის ერის გამოცდილების გათვალისწინებით მოსახლეობაში მუდმივად შენარჩუნებულია ფასების ზრდის მოლოდინი, რაც განაპირობებს აქტივების სახით ფულზე, კერძოდ კი ეროვნულ ვალუტაზე, დაბალ მოთხოვნას.

ნომინალური პროცენტის განაკვეთი, როგორც აქტივების სახით ფულზე, აგრეთვე ფულის მთლიან მოცულობაზე (გარიგებისთვის და აქტივების სახით) მოთხოვნას განსაზღვრავს არა მხოლოდ უშუალოდ, როგორც ფულადი ბაზრის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი, არამედ ირიბადაც, როგორც ლარში და დოლარში განთავსებული დეპოზიტებზე მომავალში მოსალოდნელი შემოსავლიანობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი დეტერმინანტი (მიმდინარე და მომავალში მოსალოდნელ ნომინალურ გაცვლით კურსებთან ერთად).

ეროვნულ და უცხოურ ვალუტას შორის უპირატესობის მინიჭებისას, სხვა თანაბარ პირობებში (კერძოდ, ეროვნული ვალუტის სტაბილურობისა და საიმედობის შესახებ ოპტიმისტური განწყობილების არსებობისას), გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს როგორც ეროვნული, აგრეთვე ალტერნატიული უცხოური ვალუტისგან მომავალში მოსალოდნელ შემოსავალთან დაკავშირებით საზოგადოებაში არსებული მოლოდინი. აღნიშნული მოლოდინის ჩამოყალიბებაში არსებით როლს ასრულებს: ინფლაციის წარსულსა და აწმყოში არსებული და მომავალში მოსალოდნელი დონეები, ლარში და დოლარში დენომინირებულ დეპოზიტებზე არსებული ნომინალური პროცენტის განაკვეთები, აგრეთვე ნომინალური გაცვლითი კურსის მიმდინარე და მომავალში მოსალოდნელი დონეების ცვლილების ხასიათი და ა.შ.. აღნიშნული დეტერმინანტები მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ M_1, M_2 და M_3 ფულად აგრეგატებს შორის თანაფარდობას.

პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, აქტივების სახით ფულზე (ლარზე) მოთხოვნა განსაკუთრებით მგრძნობიარეა ნომინალური გაცვლითი კურსის მიმდინარე და მომავალში მოსალოდნელი დონეების ცვლილების ტემპების მიმართ. შესაბამისად, საქართველოს მსგავს სუსტად განვითარებულ, შემოსავლებზე ორიენტირებულ, გარე და შიდა შოკების მიმართ არამდგრად ეკონომიკაში, ეროვნულ და უცხოურ ვალუტას შორის არჩევანის განხორციელებისას და ეროვნულ ვალუტაზე მოთხოვნის განსაზღვრისას, პროცენტის ნომინალურ განაკვეთზე უფრო არსებით როლს ასრულებს როგორც მიმდინარე, აგრეთვე მომავალში მოსალოდნელი ნომინალური გაცვლითი კურსის ცვლილების ხასიათი.

დოლარის მიმართ ლარის მიმდინარე ნომინალური გაცვლითი კურსის არსებითი შემცირებისას აღინიშნება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენა:

1. ლარის საგარეო კურსის გაუფასურება აიაფებს ექსპორტს და აძვირებს იმპორტს, რაც საბოლოო ანგარიშით ზრდის ლარზე მოთხოვნას და ხელს უწყობს გაცვლითი კურსის ახალ, და რა თქმა უნდა, შედარებით დაბალ ნიშნულზე სტაბილიზებას. თუმცა ასე მარტივადაც არა რის საქმე, ვინაიდან, უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია ფასების დონის

დინამიკა როგორც ჩვენთან, აგრეთვე პარტნიორ ქვეყნებში. გასთვალისწინენელია დროის ფაქტორიც, ანუ ის, რომ სავალუტო კურსის ცვლილებასთან ექსპორტ-იმპორტის შესაბამისობაში მოყვანას სჭირდება გარკვეული დრო. ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ თუკი აშშ დოლართან თანაფარდობაში საქართველოს სხვა ძირითადი პარტნიორი ქვეყნების ვალუტების კურსები უფრო მკვეთრად დაეცემა, მაშინ ლარის კურსი აღნიშნულ ვალუტებთან მიმართებაში შეიძლება გაიზარდოს კიდევაც. ასეთ პირობებში კი, ექსპორტის გაიაფებაზე, ლარზე მოთხოვნის ზრდაზე და გაცვლითი კურსის სტაბილიზებაზე საუბარი ზედმეტია. როგორც ჩანს, ბოლო ორმა ფაქტორმა არსებითი როლი შეასრულა იმაში, რომ მიუხედავად დოლართან თანაფარდობაში ლარის გაუფასურებისა, 2015 წელს ექსპორტი კი არ გაიზარდა, არამედ შემცირდა კიდევაც.

2. დოლართან თანაფარდობაში ლარის მიმდინარე კურსის არსებითი შემცირება საქართველოს მოსახლეობაში იწვევს ლარისადმი ნდობის მასშტაბურ შემცირებას. ამის მიზეზი ისაა, რომ ლარის მიმდინარე კურსის პერმანენტული შემცირება განაპირობებს დოლართან თანაფარდობაში ლარის მომავალში მოსალოდნელი გაცვლითი კურსის უფრო მკვეთრ შემცირებას. დოლართან თანაფარდობაში ლარის მიმდინარე კურსის შემცირებასთან შედარებით ლარის მომავალში მოსალოდნელი გაცვლითი კურსის უფრო მკვეთრ შემცირებისას კი, დოლარის სასარგებლოდ ირღვევა პროცენტული პარიტეტის პირობა.

ორ ვალუტას შორის როცა დაცულია პროცენტული პარიტეტის პირობა, მაშინ დეპოზიტები აღნიშნულ ვალუტებში უზრუნველყოფენ ერთნაირ მოსალოდნელ შემოსავალს, ანუ მიიღწევა მოგების მოსალოდნელი ნორმების ტოლობა და სავალუტო ბაზარი იმყოფება წონასწორობის მდგომარეობაში (2. გვ.: 342).

დოლარის სასარგებლოდ პროცენტული პარიტეტის პირობის დარღვევის შემთხვევაში, ეკონომიკის სუბიექტები, სხვა თანაბარ პირობებში (კერძოდ, როგორც ლარში, აგრეთვე დოლარში დენომინირებულ დეპოზიტებზე ნომინალური პროცენტის განაკვეთის უცვლელობისას), როგორც წესი, უპირატესობას დოლარს მიანიჭებენ, რადგან იგი მომავალში უზრუნველყოფს უფრო მაღალ შემოსავალს (მაგალითად, ლართან თანაფარდობაში დოლარის კურსის ზრდისას, დოლარში არსებული დეპოზიტები მომავალში უფრო მაღალ შემოსავალს გვთავაზობს ლარებში, ვიდრე ლარში არსებული დეპოზიტები). შესაბამისად, როგორც დანაკარგების შემცირების, აგრეთვე სავალუტო ოპერაციიდან მოგების მიღების მიზნით, საქართველოში, მოვლენების ასეთი სცენარით განვითარებისას, ადგილი აქვს დანაზოგების (როგორც ხელზე, აგრეთვე დეპოზიტებზე არსებულის) მასიურ გადაყვანას მყარ ვალუტაში, ძირითადად დოლარში. საბოლოო ანგარიშით კი, მკვეთრად მცირდება მოთხოვნა ლარზე, რაც ხელს უშლის ლარის კურსის სტაბილიზებას.

ლარის კურსის შემცირების მიზეზები

2015 წელს, დოლარის მიმართ ლარის მიმდინარე გაცვლითი კურსის მასშტაბური შემცირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზეზს წარმოადგენდა დოლარის მიმართ ლარის მომავალში მოსალოდნელი გაცვლითი კურსის შედარებით უფრო მკვეთრი შემცირება. თავისთავად ცხადია, რომ დოლარის მიმართ ლარის მომავალში მოსალოდნელი გაცვლითი კურსის აღნიშნული შემცირება, 2015 წლის მანძილზე ლარის მიმდინარე გაცვლითი კურსის მკვეთრი შემცირების პირველადი მიზეზი არ არის, არამედ იგი განპირობებულია სხვა ძირითადი (პირველადი) მიზეზების მოქმედებით.

აღნიშნული ძირითადი მიზეზები საძიებელია არახელსაყრელ საგარეო ფაქტორებში (ნავთობის გაიაფებასა და დოლარის საყოველთაო გამყარებაში, რეგიონის ძირითად პარტნიორ ქვეყნებში ეკონომიკური სიტუაციის გაუარესებაში, ქვეყნის გარეთ დოლარის მასშტაბური გადინებაში და ა. შ.) და შესაძლოა, ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულ მცდარ ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში. კერძოდ, მიმაჩნია, რომ მოსალოდნელ გაცვლით კურსთან დაკავშირებით ნეგატიური ხასიათის მოლოდინის ჩამოყალიბებაში საკუთარი წვლილი შეიტანა რეფინანსირების სესხებთან დაკავშირებით ეროვნული ბანკის ხისტმა დამოკიდებულებამ. საზოგადოებაში ჩამოყალიბებული რწმენა-განწყობილების თანახმად, რეფინანსირების სესხების მასშტაბურმა ზრდამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა ლარის კურსის შემცირება 2015 წლის მეორე ნახევარში. სებ-ი საწინააღმდეგოს ამტკიცებდა, თუმცა მან ვერ შეძლო საკუთარი მოსაზრების სათანადოდ დასაბუთება და საკუთარ სიმართლეში საზოგადოების დარწმუნება, რის შედეგადაც რეფინანსირების სესხების მზარდი ტემპით გაცემა იმავე საზოგადოების მხრიდან აღიქმებოდა, როგორც მთავრობასთან დაპირისპირებულ რეჟიმში მყოფი სებ-ის მხრიდან საბოტაჟის მცდელობა. შესაბამისად, რეფინანსირების სესხების დაჟინებული სიჯიუტით გაცემა ხელს უწყობდა ლარის მოსალოდნელი გაუფასურების შესახებ განწყობილების გაღრმავებას.

რეფინანსირების სესხების მთლიანმა მოცულობამ (აუქციონით გაცემული რეფინანსირების სესხებისა და მუდმივმოქმედი რეფინანსირების სესხების ერთობლივმა წლიურმა მოცულობამ) 2008 წელს შეადგინა — 282,3 მილიონი ლარი, 2009 წელს — 1093,7 მილიონი ლარი, 2010 წელს 5515,5 მილიონი ლარი, 2011 წელს — 8690,2 მილიონი ლარი, 2012 წელს — 9063,2 მილიონი ლარი, 2013 წელს — 12154,4 მილიონი ლარი, 2014 წელს — 24634 მილიონი ლარი, 2015 წელს — 47128,8 მილიონი ლარი, ხოლო 2016 წლის 8 იანვრიდან 28 აპრილის ჩათვლით — 13606 მილინი ლარი.

რეფინანსირების სესხების მთლიანი წლიური მოცულობის შესახებ მონაცემები, ერთი შეხედვით არაინფორმაციულია, ვინაიდან იგი წარმოადგენს

ყოველკვირეულად ერთი კვირის ვადით გაცემული სესხების მექანიკურ ჯამს. ამასთან, ინფორმაციულია რეფინანსირების სესხების საშუალო კვირეული მოცულობის ყოველწლიური ზრდის ტემპი, ვინაიდან იგი შესაძლებლობას გვაძლევს შევაფასოთ აღნიშნული სესხების საშუალო კვირეული მოცულობის ცვლილების მასშტაბები.

2008-2015 წლებში რეფინანსირების სესხების საშუალო კვირეული მოცულობის გასაანგარიშებლად საჭიროა თითოეულ წელს გაცემული რეფინანსირების სესხების მთლიანი მოცულობა გაიყოს 52,14-ჯერ, ანუ წელიწადში კვირეების საშუალო რაოდენობაზე, ხოლო 2016 წლის განვლილი პერიოდისთვის კი, რეფინანსირების სესხების გაცემის რაოდენობაზე, ანუ 17-ზე (2008 წლის 1 მაისის მდგომარეობით).

ამრიგად, რეფინანსირების სესხების საშუალო კვირეულმა მოცულობამ 2008 წელს შეადგინა 5,4 მილიონი ლარი, 2009 წელს 21 მილიონი ლარი, ანუ წინა წელთან შედარებით 3,9—ჯერ მეტი, 2010 წელს 105,8 მილიონი ლარი, ანუ ანუ წინა წელთან შედარებით 5—ჯერ მეტი, 2011 წელს 167 მილიონი ლარი, ანუ ანუ წინა წელთან შედარებით 1,57—ჯერ მეტი, 2012 წელს 173,8 მილიონი ლარი, ანუ ანუ წინა წელთან შედარებით 1,04—ჯერ მეტი, 2013 წელს 233,1 მილიონი ლარი, ანუ ანუ წინა წელთან შედარებით 1,34—ჯერ მეტი, 2014 წელს 472,5 მილიონი ლარი, ანუ ანუ წინა წელთან შედარებით 2,03—ჯერ მეტი, 2015 წელს 904 მილიონი ლარი, ანუ ანუ წინა წელთან შედარებით 1,91—ჯერ მეტი, ხოლო 2016 წელს 800,4 მილიონი ლარი, ანუ ანუ წინა წელთან შედარებით 1,13—ჯერ ნაკლები.

ამგვარად, რეფინანსირების სესხების საშუალო კვირეული მოცულობა ყველაზე მკვეთრად, ანუ 5-ჯერ გაიზარდა 2010 წელს, რაც ალბათ განპირობებულია რეფინანსირების სესხების ამოქმედების შემდგომი სასტარტო პერიოდის მოთხოვნებით, კერძოდ, აღნიშნული სესხებით შესაბამისი ბაზრის მოთხოვნის გარკვეული გაჯერებით. მომდევნო ორი წლის მანძილზე აღინიშნა მისი ზრდის ტემპის არსებითი შემცირება, მაგალითად, 2012 წელს რეფინანსირების სესხების საშუალო კვირეული მოცულობა გაიზარდა მხოლოდ 1,04-ჯერ, რაც ალბათ განპირობებული იყო საარჩევნო წლისთვის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის ამოცანებით. 2014-2015 წლებში ადგილი ჰქონდა შედარებით მოკრძალებულ ზრდას (შესაბამისად, 2,03-ჯერ და 1,91-ჯერ), ვიდრე 2010 წელს, თუმცა მხედველობაში მისაღებია ის ფაქტი, რომ წინა წლების ზრდის ხარჯზე, რეფინანსირების სესხების საშუალო კვირეული მოცულობა 2015 წლისთვის, 2010 წელთან შედარებით, გაზრდილია 8,5-ჯერ.

საინტერესო ისაა, თუ რატომ გახდა ლარის დევალვაციის პირობებში (2015 წელს) რეფინანსირების სესხების მასშტაბური ზრდა სასიცოცხლოდ აქტუალური, მაშინ, როდესაც 2012 წლის დაბალი ინფლაციისა (მშპ-ს დეფლატორმა შეადგინა 1%) და 2013 წლის დეფლაციის (მშპ-ს დეფლატორმა შეადგინა -0,7%) პერიოდში, როცა ლარის გაცვლითი კურსიც შედარებით მაღალი იყო (1,65-1.67 ლარი/დოლარის ფარგლებში), ასეთი რამ არ აღინიშნებოდა.

ცალსახად ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია. ერთი რამ კი აშკარაა: რეფინანსირების სესხების ზრდასა და ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის შემცირებას შორის შეუძლებელია მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობის გამორიცხვა. პირდაპირი მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არარსებობის შემთხვევაშიც, რეფინანსირების სესხების უწყვეტ რეჟიმში მზარდი მასშტაბებით გაცემა შეუძლებელია დროთა ვითარებაში ირიბად არ ასახულიყო გაცვლით კურსზე (მოლოდინების ფორმირებაში მის როლის გათვალისწინებით). ამასთან, ასეთი მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობის დამტკიცება არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ რეფინანსირების სესხების ზრდა მივიჩნიოთ ლარის კურსის დაცემის ერთადერთ, მით უფრო პირველად მიზეზად. იგი უნდა მივიჩნიოთ მისი გაღრმავების, დროში გახანგრძლივებისა და ეკონომიკისათვის არასურველი მოლოდინების ფორმირების მიზეზად.

შესაძლოა გარკვეული გაუგებრობა გამოიწვიოს იმ ფაქტმა, რომ 2016 წლის დასაწყისიდან 25 თებერვლამდე განვლილ პერიოდში, დოლართან თანაფარდობაში ლარის კურსი კიდევ უფრო გაუფასურდა, მიუხედავად იმისა, რომ 2015 წლის დეკემბრის თვის დასაწყისიდან რეფინანსირების სესხებისთვის დამახასიათებელი იყო შემცირების ტენდენცია. ე.ი. აღნიშნულ პერიოდში რეფინანსირების სესხების შემცირების მიუხედავად, აღინიშნა ლარის შემდგომი გაუფასურება. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება აპრიორი იმის მტკიცება, რომ რეფინანსირების სესხების ცვლილებასა და გაცვლითი კურსის ცვლილებას შორის განსაზღვრული მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არ არსებობს. როგორც წესი, მონეტარული პოლიტიკის ცვლილებასთან გაცვლითი კურსის შესაბამისობაში მოყვანას გარკვეული დრო სჭირდება, რომლის ხანგრძლივობაც დამოკიდებულია მონეტარული პოლიტიკის ფარგლებში გამოყენებული ინსტრუმენტების ბუნებაზე.

მიმაჩნია, რომ 2015 წლის დეკემბრის თვის დასაწყისიდან რეფინანსირების სესხების ზემოაღნიშნულმა შემცირებამ, სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან ფაქტორებთან, მ.შ. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ამაღლებასთან, აგრეთვე მოლოდინების რადიკალურ ცვილებასთან (ეროვნული ბანკის პრეზიდენტისთვის საპრეზიდენტო ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით) ერთად, არსებითი როლი შეასრულა 2016 წლის თებერვლის თვის ბოლოდან ლარის კურსის ამაღლებაში, რამაც მარტის თვიდან შეიძინა აშკარად შეუქცევადი ხასიათი.

ეროვნული ბანკის სავალუტო პოლიტიკა ლარის კურსის გაუფასურებისას

როგორც გარიგებისთვის, აგრეთვე აქტივების ფორმით ფულზე მოთხოვნის ყველა ფაქტორის

(რომლებიც განხილულია ამ სტატიის წინა ნაწილებში) დინამიკის გათვალისწინებით, ცხადია, რომ საქართველოში დაბალია ლარზე მთლიანი მოთხოვნა, რაც განაპირობებს როგორც ეკონომიკის ლარიზაციის, აგრეთვე მონეტიზაციის დაბალ დონეს (როგორც M_1, აგრეთვე M_2 ფულადი აგრეგატის მიხედვითაც). ასე მაგალითად, M_2 ფულის მიხედვით მონეტიზაციის კოეფიციენტი 2005-2012 წლებში მერყეობდა 9,5-15,55%-ის ფარგლებში, 2014 წელს მიაღწია ლარის მიმოქცევაში არსებობის პერიოდისათვის მაქსიმალურ 20,25 %-იან დონეს, ხოლო 2015 წლისთვის, დოლართან თანაფარდობაში ლარის კურსის გაუფასურებისა და ლარში არსებული დეპოზიტების დოლარში არსებულით ჩანაცვლების შედეგად, მისი მნიშვნელობა კვლავ დაეცა 18%-მდე. ამასთან, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ყოფილ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში M_2 ფულის მიხედვით მონეტიზაციის კოეფიციენტი მერყეობს მინიმუმ 30-60%-ის ფარგლებში, ხოლო მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში იგი აჭარბებს 100%-იან, რიგ შემთხვევაში კი რამდენიმე ასეულ პროცენტიან დონეს. შედარებით მაღალია M_3 ფულადი აგრეგატის მიხედვით გაანგარიშებული მონეტიზაციის კოეფიციენტი. მისმა მნიშვნელობამ 2014 წელს შეადგინა 38,34%, 2015 წლისთვის კი გაიზარდა - 41,86%-მდე, რაც განპირობებულია დეპოზიტების დოლარიზაციის დონის ამაღლებით (დოლართან თანაფარდობაში ლარის გაუფასურების შედეგად).

ამრიგად, ეკონომიკის ლარიზაციის დონის ბოლოდროინდელ შემცირებაში არსებითი წვლილი მიუძღვის დოლართან თანაფარდობაში ლარის კურსის შემცირებას. მიუხედავად ამისა, და ლარის კურსის დაცემის სხვა ნეგატიური შედეგებისა, არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ აუცილებელი იყო ლარის გაცვლითი კურსის მაღალ დონეზე ნებისმიერი მეთოდით შენარჩუნება.

მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, რომ ფინანსური კრიზისის დროს ეროვნული ვალუტის მყარი კურსის შენარჩუნებას ეწირება რეზერვების (ოქროს სტანდარტის პირობებში ოქროს, დღევანდელ პირობებში უცხოური ვალუტის) მნიშვნელოვანი მოცულობა, მაგრამ ამ გამოცდილებას, სამწუხაროდ ხშირად უგულვებელყოფენ. ასე მოხდა დიდი დეპრესიის საწყის ეტაპზე, როდესაც დიდი ბრიტანეთი ცდილობდა ფუნტი სტერლინგის კურსის (ფუნტი სტერლინგის ოქროში გამოხატული ფასის) უცვლელ დონეზე შენარჩუნებას. ამას შეეწირა მისი ოქროს მარაგის მნიშვნელოვანი ნაწილი, დიდ ბრიტანეთს კი, საბოლოოდ მაინც მოუწია უარის თქმა აღნიშნულ პოლიტიკაზე. ანალოგიურ პოლიტიკას ახორციელებდა აშშ-იც ბრეტონ-ვუდსის სისტემის ფუნქციონირების ბოლო პერიოდში, როდესაც ცდილობდა ოქროს მიმართ დოლარის მყარი კურსის შენარჩუნებას, რამაც თითქმის გაანახევრა მისი ოქროს მარაგები და მასაც მოუწია ოქროს მიმართ დოლარის ფიქსირებულ კურსზე უარის თქმა.

შორს რომ არ წავიდეთ, იგივე დაემართა საქართველოს ეროვნულ ბანკს 1998 წელს, რომელმაც უცხოური რეზერვების მნიშვნელოვანი ნაწილი შესწირა დოლართან მიმართებაში ლარის უცვლელი კურსის შენარჩუნებას, მიზანს კი მაინც ვერ მიაღწია.

იგივე განმეორდა 2008 წლის სექტემბერ-ოქტომბრის თვეებში, როდესაც ლარის კურსის შესანარჩუნებლად ეროვნულმა ბანკმა დაახლოებით 300 მილ. დოლარით შეითხელა ჯიბე, მაგრამ მაინც არავითარი შედეგი: საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების თანახმად, დოლართან თანაფარდობაში ლარის გაცვლითი კურსი 2008 წლის სექტემბერ-ოქტომბრის თვეებში უმნიშვნელო გადახრებით მერყეობდა 1,4-1,42 ლარი/დოლარის ფარგლებში, ხოლო ამავე წლის 11 ნოემბრიდან წლის ბოლომდე მერყეობდა 1,65-1,66 ლარი/დოლარის ფარგლებში, ანუ მიუხედავად ინტერვენციებისა, მაინც ვერ მოხერხდა კურსის შენარჩუნება და იგი გაუფასურდა დაახლოებით 18-19%-ით.

ე.ი. გამოცდილება ცხადყოფს, რომ როდესაც ესა თუ ის კურსი (მითუმეტეს ხელოვნურად უკიდურესად დეფორმირებული) მეტისმეტად დაშორდება ბუნებრივ დონეს, მაშინ ეკონომიკაში კრიზისული მოვლენების განვითარებისას, მისი შენარჩუნება უზარმაზარ ხარჯებთანაა დაკავშირებული და რაც მთავარია, მიზანი ყოველთვის მიუღწეველი რჩება.

როგორც 1998 წელს, აგრეთვე 2008 წელს ლარის დევალვაცია გარდაუვალი იყო (ობიექტური მიზეზებით იყო გამოწვეული). დევალვაციამდე არსებული მისი საწყისი კურსის შენარჩუნების მცდელობებს ორივე შემთხვევაში შეეწირა ეროვნული ბანკის განკარგულებაში არსებული უცხოური ვალუტის რეზერვების მნიშვნელოვანი ნაწილი, თუმცა მიზნის მიუღწევლობის შედეგად, ეროვნული ბანკი, საბოლოოდ, ორივე შემთხვევაში იძულებული გახდა ხელი აეღო თავის განზრახვაზე.

ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობამ 2015 წელს, როგორც ჩანს, გაითვალისწინა 1998 და 2008 წლების მწარე გამოცდილება და უარი თქვა ლარის კურსის გაუფასურების შეჩერების მიზნით არაფრისმომცემი ინტერვენციების განხორციელებაზე, რაც ნამდვილად გამართლებული ნაბიჯი იყო. მცირე მოცულობის დოლარული ინტერვენციები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ლარის გაუფასურების ტემპის შენელებას და დროში გაწელვას, პრაქტიკულად მხედველობაში მისაღები არ არის. საკითხავი მხოლოდ ისაა, თუ რამდენად დროულად განხორციელდა აღნიშნული ინტერვენციები, ვინაიდან დრულად და მიზნობრივად განხორციელებულ მცირე მასშტაბის სავალუტო ინტერვენციას მეტი ეფექტის მოცემა შეუძლია, ვიდრე დროში აცდენილ და უმისამართოდ განხორციელებულ მასშტაბურ ინტერვენციას. ამასთან, შესაძლოა იმ კონკრეტულ სიტუაციაში დროის ფაქტორს არც კი ჰქონოდა არსებითი მნიშვნელობა, რადგან როგორც მსოფლიო ეკონომიკაში, აგრეთვე ჩვენს რეგიონში განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, ნებისმიერ შემთხვევაში გაიზრდებოდა დოლარზე მოთხოვნა, ლარი კი - აუ-

ცილებლად გაუფასურდებოდა. ამიტომ ცალსახად იმის თქმა, რომ სავალუტო ბაზრის ფუნქციონირებაში ეროვნული ბანკის ჩარევით თავიდან ავიცილებდით ლარის მასშტაბურ გაუფასურებას, არაკორექტულია.

2015 წლისთვის ლარის დევალვაციას გააჩნდა როგორც დადებითი, აგრეთვე უარყოფითი ასპექტები.

დოლართან თანაფარდობაში ვალუტების, განსაკუთრებით კი ჩვენს სამეზობლოში არსებული ფულადი ერთეულების გაუფასურების პირობებში, ლარის დევალვაციამ ხელი შეუწყო ქართული ნაწარმის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას. ლარის დევალვაციის გარეშე არა თუ საგარეო, არამედ შიდა ბაზარზეც მკვეთრად გაუარესდებოდა ქართული ნაწარმის ისედაც მყიფე კონკურენტუნარიანობა. ე. ი. ლარის დევალვაციის გარეშე თავიდან ვერ ავიცილებდით სამამულო წარმოების ზრდის ტემპის შემდგომ დაცემას, უფრო მეტიც, თავიდან ვერ ავიცილებდით რეცესიას.

ლარის კურსის მკვეთრმა შემცირებამ გარკვეულწილად შეაფერხა დოლარების უცხოეთში გადინების პროცესი, რომ არა ლარის კურსის აღნიშნული დაცემა, ბევრად მეტი მოცულობის დოლარი გავიდოდა უცხოეთში და საბოლოოდ ლარის კურსიც უფრო მეტად დაეცემოდა.

ლარის დევალვაციისგან სარგებელი მიიღო სახელმწიფო ბიუჯეტმაც, რადგან შეუძლებელია არ გაზრდილიყო იმპორტირებულ პროდუქციაზე როგორც დამატებული ღირებულების გადასახადიდან, აგრეთვე აქციზიდან ბიუჯეტში ჩარიცხული შემოსავლები, რაც 2015 წლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გადაჭარბებით შესრულების ხელშემწყობ ფაქტორად მოგვევლინა. 2014 წელთან შედარებით 2015 წლისთვის იმპორტის მოცულობა დოლარებში დაახლოებით 10%-ით შემცირდა. ამასთან, იმავე 2015 წლისთვის, დოლართან თანაფარდობაში ლარის დაახლოებით 29%-იანი გაუფასურების შედეგად, იმპორტის ღირებულება (10%-ით შემცირებულიც) ლარებში არსებითად გაიზრდებოდა, როგორც 2014 წელთან, აგრეთვე 2015 წლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმით გათვალისწინებულ მოცულობასთან შედარებით. ანუ იმპორტის ლარში გამოსახული ფასის ზრდის (დოლართან თანაფარდობაში ლარის 29%-იანი გაუფასურების შედეგად) კომპენსირებას ვერ მოახდენდა იმპორტის მოცულობის 10%-იანი შემცირება. შესაბამისად, აუცილებლად გაიზრდებოდა როგორც დამატებული ღირებულების გადასახადით, აგრეთვე აქციზით დასაბეგრი ბაზა. სამწუხაროდ, არც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და არც ფინანსთა სამინისტროს შესაბამის საიტებზე იმპორტის ლარში გამოხატული მოცულობის, აგრეთვე იმპორტირებულ პროდუქციაზე დამატებული ღირებულების გადასახადისა და აქციზის შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება, თუმცა იმპორტის გადასახადის სახით მობილიზებული სახსრების 1,9%-ით გადაჭარბებით შესრულების შესახებ ინფორმაცია ცალსახად მიუთითებს ლარის გაუფასურებიდან სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ მიღებულ სარგებელზე.

2015 წლის მანძილზე დოლართან თანაფარდობაში ლარის დაახლოებით 29%-იანი დევალვაციის ნეგატიური მხარეა ის, რომ დაახლოებით ამდენივე პროცენტით შემცირდა საქართველოს მოქალაქეების რეალური (დოლარში შეფასებული) შემოსავლები, მათ შორის ხელფასები. ამაზე მსჯელობა შეგვიძლია თუნდაც იმ მოქალაქეების მიხედვით, ვისაც კრედიტები დოლარებში ჰქონდათ აღებული და შესაბამისად, აღნიშნული კრედიტების დასაფარავად დაახლოებით 29%-ით მეტის გადახდამ მოუწიათ. შესაბამისად, მკვეთრად გააუარესდა მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ლარის კურსის დაცემის შედეგად მკვეთრად შემცირდა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი, კერძოდ არსებითად შემცირდა დოლარში გამოსახული საქართველოს მშპ-ის მოცულობა.

ლარიზაციის ამაღლების პერსპექტივები

ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტის საპრეზიდენტო ვადის დამთავრებისთანავე (2016 წლის 25 თებერვალი) ლარის კურსმა დოლართან თანაფარდობაში გაძვირება დაიწყო. 2016 წლის 10 მაისისთვის ლარის კურსი დაახლოებით 15%-ით უფრო მაღალი იყო, ვიდრე ამავე წლის 25 თებერვლისთვის. ლარის აღნიშნული გაძვირება, როგორც მოვლენების განვითარებიდან ჩანს, ძირითადად განაპირობა:

- ეროვნული ბანკის ახალ ხელმძღვანელობასა და მთავრობას შორის თანამშრომლობა-კომუნიკაციის გარკვეულმა გაუმჯობესებამ და ასეთი ურთიერთობების პირობებში, როგორც ეროვნული ბანკის, აგრეთვე მთავრობის პოლიტიკის მიმართ ნდობის ფაქტორის ამაღლებამ;
- დოლარის გამკარგავ საქართველოს ეკონომიკის სუბიექტებში ახალი რეალობის ადექვატური მოლოდინის ჩამოყალიბებამ და ეროვნული ბანკის ახალი ხელმძღვანელობის მიერ აღნიშნული მოლოდინის შესაბამისი პოლიტიკის გატარებამ;
- ბიუჯეტის ხარჯების მოსალოდნელი შემცირების შესახებ ხელისუფლების მხრიდან არაერთგზის გაჟღერებული დაპირებების პოზიტიურმა ზემოქმედებამ ლარის გამყარების ზემოაღნიშნულ მოლოდინზე;
- რეგიონის ქვეყნებში ეროვნული ვალუტების გაცვლითი კურსების მეტ-ნაკლებმა სტაბილიზაციამ;
- 2015 წლის დეკემბრის თვის დასაწყისიდან დღემდე, რეფინანსირების სესხების შემცირების მცირედ დაგვიანებულმა, მაგრამ მაინც პოზიტიურმა ზემოქმედებამ ლარის კურსზე;
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსალოდნელ ამაღლებასთან დაკავშირებით მთავრობის განცხადებებმა;
- ტურისტული სეზონის მოახლოებამ და ა. შ.

დოლარის მიმართ ვალუტების საყოველთაო სტა-

ბილიზაციის პირობებში (განსაკუთრებით კი რეგიონის ქვეყნებში), ლარის კურსის ამაღლებაში, შესაძლოა არც თუ მცირედი წვლილი მიუძღვოდეს საქართველოს საბანკო სისტემაში, ამა თუ იმ მიზეზით, უცხოური ვალუტის შემოდინებასაც.

ამრიგად, 2015 წლის თებერვლის თვის მიწურულიდან ლარის მიმდინარე გაცვლითი კურსის გაძვირებას საწყისი ბიძგი მისცა, ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის ცვლილებასთან დაკავშირებით, დოლართან თანაფარდობაში ლარის მომავალში მოსალოდნელი გაცვლითი კურსის ამაღლების მოლოდინმა. როგორც მოვლენების განვითარებიდან ჩანს, დოლარის დიდი რაოდენობით გამკარგავმა საქართველოს ეკონომიკის სუბიექტებმა (კომერციული ბანკები, არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტება და სხვა სუბიექტები, რომლებიც გარკვეულ სარგებელს ნახულობენ სავალუტო ოპერაციებით), დაიწყეს დოლარის მასობრივი გადაყვანა ლარებში. ამით მათ დაასწრეს მოვლენების მოსალოდნელ განვითარებას და ლარის გაუფასურების ადრეულ ეტაპზე შედარებით იაფად შეძენილი დოლარები გაყიდეს შედარებით მაღალი ფასით, შესაბამისი მოგების უზრუნველყოფით. ამით წაგებული დარჩა მოსახლეობის ის ნაწილი, რომელმაც დოლარი მისი გაძვირების ბოლო სტადიაზე შეიძინა და რომელმაც დოლარის დროული გაყიდვა, ამა თუ იმ მიზეზის გამო (მაგალითად, მისი ისევ გაძვირების მცდარი მოლოდინის შედეგად) ვერ შეძლო და გაყიდვამ მოუწია შეძენის ფასთან შედარებით დაბალ ფასად.

მარტის თვეში ლარის გამყარების დამატებით ფაქტორად იქცა მოგების გადასახადის გადახდის თარიღის მოახლოება. როგორც წესი მოგების გადასახადი გადახდილ უნდა იქნას ყოველი წლის პირველი კვარტლის ბოლოს, ანუ 1 აპრილამდე. დოლართან თანაფარდობაში ლარის გაცვლითი კურსის ამაღლების მოლოდინმა მოგების გადასახადის გადამხდელი ეკონომიკის სუბიექტები აიძულა ლარის მოსალოდნელ გაძვირებამდე, წინმსწრები ტემპით მოეხდინათ მათ განკარგულებაში არსებული დოლარული დანაზოგების გადაყვანა ლარებში. ამ შემთხვევაშიც გადამწყვეტი როლი შეასრულა ლარის კურსის ამაღლების მოლოდინმა.

ლარის გაცვლითი კურსის ამაღლების საწყისსავე ეტაპზე, სხვა თანაბარ პირობებში (მაგალითად, ფასების დონის შედარებით უმნიშვნელო ამაღლებისას), გარკვეული თვალსაზრისით (სამამულო ნაწარმის კონკურენტუნარიანობის შედარებით მაღალ დონეზე შენარჩუნების მიზნით), მართებული იქნებოდა, ეროვნულ ბანკის გააქტიურება სავალუტო ბაზარზე ჭარბი დოლარების შესაძენად და გაცვლითი კურსის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, რაც სავალუტო ბაზრის მსხვილი მოთამაშეებისთვის გახდებოდა ერთგვარი შეტყობინება-სიგნალი სპეკულაციური თამაშებისთვის წერტილის დასმის შესახებ, რაც მათ მნიშვნელოვანწილად გაუქარვებდა მომავალში ასეთ თამაშებში მონაწილეობის მიღების სურვილს. თუმცა მაღალი იქნებოდა ასეთ პოლიტიკის გატარების ფასი: ფასების დონის გარდაუვალი არსებითი ზრდისა და დოლარებში კრედიტების მქონე ეკონომიკის სუბიექტების ხარჯების გაუმართლებლად მაღალ დონეზე შენარჩუნების შედეგად. მიუხედავად ამისა, მინდა ავღნიშნო, რომ ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად სავალუტო ბაზარზე ეროვნული ბანკის აქტიურობა, შედარებით გამართლებულად მიმაჩნია (დადებითი და უარყოფითი ასპექტების თანაფარდობის გათვალისწინებით) ლარის კურსის ამაღლებისას (მით უფრო თუკი ლარის კურსის აღნიშნული ამაღლება სამამულო წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებით კი არა არის განპირობებული, არამედ სხვა ფაქტორებით), ხოლო გაუმართლებლად - ლარის კურსის შემცირებისას.

დოლართან თანაფარდობაში ლარის კურსის ამაღლების ზემოაღნიშნული დეტერმინანტების დიდი ნაწილი, სხვა თანაბარ პირობებში, აქტუალურობას შეინარჩუნებს მინიმუმ მიმდინარე წლის ბოლომდე. მიმდინარე საარჩევნო წელს, ლარის კურსის შენარჩუნება-განმტკიცებაში, ყოველ შემთხვევაში მისი მკვეთრი დაცემის არდაშვებაში, ალბათ არც თუ მცირეოდენ წვლილს შეიტანს საარჩევნო ბატალიებთან დაკავშირებით დოლარების ოფიციალური თუ არაოფიციალური არხებით შემოდინებაც, ან საარჩევნო მიზნებისთვის ქვეყნის შიგნით დოლარებში არსებული დანაზოგების გამოყენებაც.

ლარის კურსის ბოლოდროინდელი შემცირების (ლარის კურსი 10 მაისიდან 19 ივნისამდე განვლილ პერიოდში შემცირდა დაახლოებით 10%-ით) მიუხედავად, აღნიშნული დეტერმინანტები არსებით როლს ასრულებენ ლარის კურსის შემდგომი გაუფასურების შეკავების თვალსაზრისით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძნელია ლოგიკური ახსნა მოეძებნოს ლარის კურსის ბოლოდროინდელ შემცირებას. ცალკეული ექსპერტების მხრიდან ლარის კურსის შემცირების მიზეზად დასახელდა - კომერციული ბანკებისა და ბიზნესსექტორის წარმომადგენლების მიერ უცხოური ვალუტის მობილიზაცია დაგროვილი საგარეო ვალდებულებების გადახდის მიზნით. თუმცა ეს არგუმენტი დამაჯერებლობას მოკლებულია, ვინაიდან შეუძლებელია წინა წლებშიც არ ჰქონოდა ადგილი კომერციული ბანკებისა და ბიზნესსექტორის წარმომადგენლების მიერ ვალების გასტუმრებას, თუმცა ამას ლარის კურსის ასეთი მასშტაბური გაუფასურება ადრე არ გამოუწვევია, ყოველ შემთხვევაში ასეთი მიზეზი არასოდეს დაუსახელებიათ.

ლარის კურსის აღნიშნული გაუფასურების მიუხედავად, მიმაჩნია რომ მიმდინარე წლის საპარლამენტო არჩევნებამდე დარჩენილ პერიოდში ნაკლებ სავარაუდოა მისი მნიშვნელოვანი რყევა როგორც შემცირების, აგრეთვე ამაღლების მიმართულებით (სხვა თანაბარ პირობებში, ანუ საგარეო ფაქტორების ნეიტრალურობისას).

მთავარია, როგორ განვითარდება მოვლენები საპარლამენტო არჩევნების ჩატარების მომდევნო პერიოდში, განსაკუთრებით კი 2017 წლიდან. თუკი აღნიშ-

ნულ პერიოდშიც, სხვა თანაბარ პირობებში (საგარეო ფაქტორების ნეიტრალურობისას), ლარის კურსი სტაბილურობას შეინარჩუნებს, მაშინ შესაძლებელი იქნება იმის თქმა, რომ 2016 წლის 25 თებერვლის შემდგომ პერიოდში ლარის კურსის ამაღლება (25 თებერვლიდან 10 მაისამდე ლარის კურსი დოლართან თანაფარდობაში დაახლოებით 15%-ით ამაღლდა, ამიტომ მიუხედავად 10 მაისის შემდგომ ლარის კურსის დაახლოებით 10%-იანი შემცირებისა, მისი კურსი 25 ივნისისთვის მაინც დაახლოებით 5,5%-ით აღემატება 25 თებერვლისთვის არსებულ კურსს) ობიექტური პროცესია და არ არის განპირობებული სუბიექტური ფაქტორებით, ანუ არ არის განპირობებული: მოლოდინების დროებითი ცვლილებით, სავალუტო ბაზრის მსხვილი მოთამაშეების დროებითი დაშოშმინებით, საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით უცხოური ვალუტის შემოდინებით, უცხოეთში დასაქმებული ჩვენი თანამემამულეების ფულადი გზავნილების გაუთვალისწინებელი ცვლილებით, ან ნებისმიერი სხვა მიზეზის შედეგად უცხოეთიდან ვალუტის მასშტაბური შემოდინებით, და ა. შ..

სავალუტო ბაზარზე მოვლენების ასეთი სასურველი სცენარით განვითარება, ანუ გაცვლითი კურსის სტაბილიზაცია (ამასთან არც არაფერი წახდება, პირიქით ქართული ნაწარმის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას ხელს შეუწყობს კიდევაც, თუკი, სხვა თანაბარ პირობებში, ლარის გაცვლითი კურსი ყოველწლიურად გაუფასურდება მინიმალურ, მაგალითად, 3-4%-ის ფარგლებში) და ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურების მოლოდინის აღმოფხვრა, ხელს შეუწყობს ეკონომიკის ლარიზაციის პროცესის წახალისებას, ვინაიდან რეალურ პირობებს შექმნის ეკონომიკის სუბიექტების მიერ დოლართან შედარებით ლარისთვის უპირატესობის მისანიჭებლად.

ეკონომიკის ლარიზაციის წახალისებისა და სამომავლოდ ფინანსურ სტაბილურობაზე მოქმედი შესაძლო რისკების შერბილების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც ითვალისწინებს 2016 წლის 16 ივნისიდან ეროვნული ვალუტით მოზიდულ სახსრებზე მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ნორმის 10%-დან 7%-მდე შემცირებას და უცხოური ვალუტით მოზიდულ სახსრებზე განსაზღვრული მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ნორმის 15%-დან 20%-მდე ამაღლებას, რაც უდაოდ დროული გადაწყვეტილებაა და სხვა თანაბარ პირობებში, აუცილებლად გამოიწვევს სასურველი შედეგის მიღებას, მ.შ. M_2 ფულის მულტიპლიკატორის ამაღლების გზით.

ამასთან, ასეთი შედეგის მისაღებად აუცილებელია კომერციულმა ბანკებმა, ლარში მოზიდულ სახსრებზე სავალდებულო სარეზერვო ნორმის 10%-დან 7%-მდე შემცირების შედეგად გამონთავისუფლებული თანხა მთლიანად მოახმარონ საკრედიტო რესურსის ზრდას. კომერციულმა ბანკებმა, ამა თუ იმ მიზეზით, შესაძლოა აღნიშნული რესურსით, ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის ხარჯზე გაზარდონ ნებაყოფლობითი რეზერვები, რაც გამორიცხავს სარეზერვო ნორმის შემცირებისგან არსებითი ხასიათის დადებითი შედეგის მიღებას. ამიტომ, იმედია ეროვნულ ბანკს შემუშავებული ექნება პრევენციული ღონისძიებები მოვლენების ასეთი განვითარების შემთხვევისთვის.

დაბოლოს, ლარის კურსის სტაბილურობის უზრუნველყოფისა და ლარიზაციის ამაღლების ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს ის, რომ ხელისუფლებისა და ეროვნული ბანკის უმაღლესი ეშელონების წარმომადგენლებმა შეძლონ მოსახლეობის დარწმუნება მათ მიერ გატარებული საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკის ადექვატურობა-მიზანშეწონილობაში და ამ გზით ხელი შეუწყონ გრძელვადიანი პოზიტიური მოლოდინების ჩამოყალიბებას. შესაბამისად:

- მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს საშუალოვადიანი და გრძელვადიანი პერიოდისთვის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა: სისტემური ცვლილებების მასშტაბური განხორციელებისა და ინკლუზიური ინსტიტუტების ფორმირების, ინოვაციური საქმიანობის წახალისებისა და კონკურენციული ურთიერთობების გაღრმავების, ბაზრების ეფექტიანობის ამაღლებისა და უცხოური ვალუტის გამომუშავებელ ეკონომიკურ აქტივობათა სტიმულირების და ა. შ. გზით;
- ეროვნული ბანკმა, ფასებისა და საფინანსო სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფით, აგრეთვე სავალუტო ბაზარზე წარმოქმნილი კრიზისის შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებით, ხელი უნდა შეუწყოს მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევას მოკლევადიან პერიოდში (მით უფრო, რომ მცირე ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანაში ფისკალური პოლიტიკა, მაგალითად დანახარჯების ზრდა, დაბალ ეფექტიანია, ვინაიდან დაკავშირებულია: 1. ინვესტიციური დანახარჯების შემცირებასთან პროცენტის განაკვეთის ამაღლების შედეგად; 2. სავაჭრო დეფიციტის ზრდასთან რეალური გაცვლითი კურსის ზრდის შედეგად), რათა შედარებით უმტკივნეულოდ მოხდეს გადასვლა სტაბილური ეკონომიკური განვითარების საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდებში;
- ეკონომიკური განვითარების მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი შედეგების უმტკივნეულო მიღწევის აუცილებელი პირობაა: მთავრობისა და ეროვნული ბანკის მიერ კოორდინირებული პოლიტიკის განხორციელება და ამ გზით ოპტიმისტური განწყობა-მოლოდინების ფორმირება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბლანშარი ო. მაკროეკონომიკა. თბ.: თსუ-ის გამომცემლობა 2010;
2. International Economics (Sixth Edition) by Paul R. Krugman, Maurice Obstfeld, 2003.
3. Mankiw N. G. macroeconomics, fifth edition, 2001.
4. Дробышевский С. М., Козловская А. М. Анализ инфляционных процессов в российской экономике. В кн.: „Экономика переходного периода“, сборник избранных работ 1999-2002. Ред. коллегия: Е. Гайдар (главный редактор), Н. Главацкая, В. Мау, С. Сенелъников-Мурылев. Институт экономики переходного периода. М., 2003, стр. 346-391.
5. Макконнелл К. Р., брю С .Л. “экономикс”, Т.1. М., 1992 г.

ინოვაციური ბიზნესის პერსპექტივები საქართველოში

ქეთევან ქაჯაია. *სტუ-ს ასისტენტ-პროფესორი*

რეზიუმე

ქვეყნის ეკონომიკურ პროგრესს უმეტესწილად განაპირობებს ინოვაციები, რომლებიც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და ეკონომიკური მოთხოვნების გაერთიანების შედეგია. საქართველოს მთავრობამ, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, 2013 წლიდან დაიწყო აქტიური მუშაობა რეფორმების პაკეტზე, რომლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს საქართველოში ცოდნასა და ინოვაციებზე დამყარებული ეკონომიკის მშენებლობის ხელშეწყობა.

ინოვაციების და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებისთვის, საქართველოს მთავრობა წაახალისებს ისეთი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას, რომელიც მიმართული იქნება მოწინავე ტექნოლოგიების შემოტანასა და დანერგვაზე.

მთავრობა, ასევე, ხელს უწყობს ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდას, განსაკუთრებით, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, რომლებიც, თავის მხრივ, ინოვაციის მამოძრავებლები არიან. კვლევების და განვითარების კომერციალიზაციის მიზნით, ხელი შეეწყობა კერძო სექტორს და განათლების სისტემას შორის კავშირების გაღრმავებას, გამოყენებითი კვლევისა და განვითარების როგორც ხარისხის, ასევე, პრაქტიკაში დანერგვის (კომერციალიზაციის) ეფექტიანობის ასამაღლებლად.

ინოვაციების და ტექნოლოგიების სფეროში სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკის მთავარ შედეგებს შორის მოიაზრება კომპანიების მიერ ტექნოლოგიების ტრანსფერისა და პრაქტიკაში დანერგვის გაძლიერება, სამეცნიერო წრეებს და ბიზნესს შორის კავშირების გამყარება, ინოვაციების დონის ამაღლება და შედეგად ქართული ექსპორტის უფრო მაღალტექნოლოგიურ პროდუქციაზე ორიენტაცია.

საკვანძო სიტყვები : ინოვაცია, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, თანამედროვე ტექნოლოგიები, მცირე და საშუალო ბიზნესი, ინოვაციური პროექტები, ტექნოპარკები, ბიზნესინკუბატორი

The perspectives of innovative business in Georgia

Ketevan Kajaia

Summary

Mostly, the economic progress is caused by the innovations, which are the result of unity of scientific – technical progress and the economic demands. Government of Georgia since 2013 year, with World Bank`s support started active working on the reform package, which one of the most important part is economic construction promotion in Georgia that`s based on the knowledge and innovations.

For innovations and modern technology development, the Government of Georgia will encourage such foreign direct investment flow, which will be directed to import and implement the modern technologies.

The government also will promote the financial accessibility, especially for the small and medium enterprises, which by themselves are the innovations` motive power. In purpose to commercialize the research and development, there will be promoted deepening the connections existed between the private sector and the education system, to increase the efficiency of applied research and development, implementing like in quality and in practice as well.

In the field of innovations and technologies, among the main results of the policy conducted by the state are: reinforcement of technological transfers and their implementation though the practice exercised by the companies, strengthening the connection between the business and scientific fields, increasing the stage of innovations and as a result – orientate the Georgian export on the production having much higher technologies.

Keywords:Innovation, Foreign direct investment, Modern technologies, Small and Medium Business, Innovative Projects, Techno parks, Business incubator

ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ქვეყნის ეკონომიკურ პროგრესს უმეტესწილად განაპირობებს ინოვაციები, რომლებიც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და ეკონომიკური მოთხოვნების გაერთიანების შედეგია. სხვადასხვა ქვეყნის ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს მაღალტექნოლოგიური მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა. ამისათვის შექმნილია სხვადასხვა სახელმწიფო ორგანო (ეკონომიკური განვითარების ოფისი, ინოვაციური ცენტრი, ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარების სააგენტოები). მათი საქმიანობა მიმართულია ახალი

კომპანიების დაარსებისა და მათი წარმატებული საქმიანობისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნის ხელშეწყობისკენ, რაც თავის მხრივ, ქმნის სამუშაო ადგილებს და აწარმოებს კონკურენტულ პროდუქციას.

საქართველოში ეკონომიკის ზრდის ტემპებზე ორი რამ მოქმედებს - პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და პროდუქტიულობის ზრდა. ინოვაციების გარეშე წარმოუდგენელია, აქაურ წარმოებასა და ადგილობრივ ეკონომიკაში გაიზარდოს პროდუქტიულობა. ქართული საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ ბევრი საინტერესო გამომგონებელი და მეცნიერი ჰყავს ჩვენს ქვეყანას, რომლებიც ახალ, ძალიან საინტერესო ტექნოლოგიაზე მუშაობენ. ეს ინიციატივები დღემდე კვდებოდა კაბინეტებში, სხვადასხვა უნივერსიტეტის ლაბორატორიებში. „ჩვენ ვართ ზუსტად იმისთვის, რომ ეს გამოგონებები და ახალი ინიციატივები კომერციულ იდეებად ვაქციოთ, შემდგომში კი მათი გაყიდვა და დანერგვა შესაძლებელი გახდეს დღეს არსებულ საწარმოებში არამარტო საქართველოში, არამედ, მის ფარგლებს გარეთაც“ - განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა.

განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა „სოციო-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020“, რომლის მიხედვით განისაზღვრა პრიორიტეტული მიმართულებები. მასში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განვითარებისა და ეკონომიკური კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.

„საქართველოს მთავრობამ მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, 2013 წლიდან დაიწყო აქტიური მუშაობა რეფორმების პაკეტზე, რომლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს საქართველოში ცოდნასა და ინოვაციებზე დამყარებული ეკონომიკის მშენებლობის ხელშეწყობა. საქართველოს აქვს მნიშვნელოვანი ინტელექტუალური პოტენციალი, ჰყავს ნიჭიერი ახალგაზრდები, მეცნიერთა და გამომგონებელთა მნიშვნელოვანი ბაზა. ქვეყანაში საკმაოდ დიდი პოტენციალია კრეატიული ინდუსტრიების განვითარების მიმართულებით.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით, 2014 წელს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში შეიქმნა სსიპ ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, როგორც მთავარი მაკოორდინებელი ორგანო ინოვაციების ეკოსისტემის ფორმირების პროცესში.

ინოვაციებისათვის ინფრასტრუქტურის ხელშეწყობის მიზნით, პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, 2016 წლის იანვარში გაიხსნა საქართველოში პირველი ტექნოლოგიური პარკი (ტექნოპარკი), რომელიც უზრუნველყოფს როგორც სათანადო კვალიფიკაციის სამუშაო ძალის მომზადებას და განვითარებას, კვლევის და განვითარებისთვის აუცილებელი დამხმარე ინფრასტრუქტურის სრულყოფას, ასევე, ხელს შეუწყობს სრული ციკლის წარმოებას იდეიდან პოდუქტამდე. ტექნოპარკი უზრუნველყოფს ღია დაშვებას თანამედროვე ტექნოლოგიებთან, ცოდნასა და განვითარების პერსპექტივასთან. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, შეუძლია, მიიღოს დახმარება იდეის დამუშავებიდან დაწყებული მის პროტოტიპად ჩამოყალიბებამდე და ბიზნესად ქცევამდე. ტექნოლოგიური პარკის საშუალებით, სახელმწიფო წაახალისებს ისეთი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას, რომელთა მთავარი ამოცანა მოწინავე ტექნოლოგიების შემოტანა-დანერგვაა.

საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია საინოვაციო სისტემის განვითარების უნარი. ეკონომიკური ზრდა, სოციალური პრობლემების გადაჭრა, სიღარიბის დაძლევა, დასაქმება და რეგიონების ჩამორჩენის აღმოფხვრა, ძირითადად, საინოვაციო პოლიტიკის გატარებითაა უზრუნველყოფილი. საინოვაციო პოლიტიკა ეს არის, სოციალურ- ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს ინოვაციების დარგში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის მიზნებს, მიმართულებებს და მეთოდებს. ინოვაციური განვითარება ხანგრძლივი პროცესია. თანამედროვე, კონკურენტუნარიანი ტექნოლოგიების შექმნა, განათლების სისტემის რეფორმა და სამეცნიერო სექტორის განვითარება მიზანმიმართულ პოლიტიკასა და სტრატეგიას მოითხოვს. დღესდღეობით, შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობების პირობებში, საწარმოები ძირითად ფინანსურ რესურსებს მიმართავენ წარმოების მიმდინარე საჭიროებების დასაფინანსებლად, ვიდრე ინოვაციური პროექტების განხორციელებისათვის, რაც ბუნებრივია.

თანამედროვე კონკურენტუნარიანი ტექნოლოგიების შექმნა, განათლების სისტემის რეფორმა და სამეცნიერო სექტორის განვითარება მიზანმიმართულ პოლიტიკასა და სტრატეგიას მოითხოვს. ამასთან, არ არის საკმარისი, რომ აქ ჩართული იყოს მხოლოდ სახელმწიფო. თუმცა როგორც ვთქვით, საქართველოში, შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობების პირობებში, კომპანიათა უმრავლესობა ძირითად ფინანსურ რესურსებს მიმართავს წარმოების მიმდინარე საჭიროებების დასაფინანსებლად და ნაკლებად აქვს შესაძლებლობა, გამოიყენოს ისინი ინოვაციური პროექტების განხორციელებისათვის.

მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა 2014-2015 წლების გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც ინოვაციების თვალსაზრისით საქართველო 144 ქვეყნიდან 121-ე ადგილზეა. ეს მაჩვენებელი ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ აღნიშნული საკითხი ძალიან აქტუალურია ქართული პერსპექტივისთვის. ამასთან, ეს ვითარება უკვე არაერთი წელია, გრძელდება. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, პრობლემის კვლევის მთავარი მიზანია, გავიგოთ, რა ვითარებაა ამ მხრივ ქვეყანაში და რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ქვეყანაში ბიზნესის განვითარება ინოვაციურ მიდგომებს დაეფუძნოს,

მოზიდულ იქნას ინვესტიციური რესურსები ახალი ტექნოლოგიების დასანერგად და ასამოქმედებლად. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია მსოფლიოში წარმატებული კომპანიების განვითარების მაგალითებზე დაყრდნობით ლოგიკური დასკვნების გაკეთება. ცნობილ კორპორაციათა უმეტესობამ სწორედ ინოვაციურ პროგრამებში დაბანდებული ინვესტიციებით მიაღწიეს განვითარების უდიდეს მასშტაბებს.

საქართველოში, ამ მხრივ, საკმაოდ რთული ვითარებაა. დღევანდელი მდგომარეობით, ქვეყანაში დაბალია როგორც სახელმწიფო, ასევე, კერძო სექტორის დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე, რაც ასახულია სხვადასხვა საერთაშორისო შეფასებასა და რეიტინგში. კონკურენტუნარიანობის შეფასების 119 კრიტერიუმი 12 თემატურ ჯგუფში არის გადანაწილებული. აღნიშნული ჯგუფების მიხედვით, საქართველოს ყველაზე კარგი პოზიცია შრომის ბაზრის ეფექტიანობაში აქვს — 41-ე ადგილი, ხოლო ყველაზე დაბალ პოზიციაზე (121-ე ადგილი) ინოვაციების კუთხით არის წარმოდგენილი.

ქართული კომპანიების მხოლოდ მცირე ნაწილი ცდილობს, სიახლე შესთავაზოს მომხმარებელს, დახვეწოს და გააუმჯობესოს არსებული პროდუქცია. სასურველი და აუცილებელიც არის, კომპანიებმა აწარმოონ პერიოდული გამოკითხვა, რათა გაიგონ მომხმარებელთა აზრი, რა მოსწონთ, რა სიახლეებს მიესალმებიან. აუცილებელია, რომ ინოვაციურ იდეებს სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემის ანალიზი და კვლევები დაედოს საფუძვლად. ინოვაცია გრძელვადიანი პროცესია, რომელიც განსხვავებული, საინტერესო იდეით იწყება და შემდგომი წარმატებული განხორციელებისთვის საფუძვლიან კვლევას საჭიროებს. მართალია, მაღალი ტექნოლოგიები, ინოვაციები, ტექნოლოგიური სტარტაფები და ა.შ. საქართველოს დღევანდელი რეალობისთვის ჩვეულებრივი და ორგანული არ არის, მაგრამ ბოლო თვეების განმავლობაში ყინული დაიძრა და დედაქალაქში ეს სიახლეებიც გამოჩნდა. მაგალითად, თბილისის მერიამ შექმნა რამდენიმე ბიზნესინკუბატორი, რომელიც ქალაქის თითქმის ყველა რაიონშია განლაგებული და დამწყებ ბიზნესმენებს ეხმარება ინოვაციური იდეების განხორციელებაში.

ინოვაციური პროექტების წარმატებით განსახორციელებლად ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევა „ბიზნესინკუბატორების“ ამუშავება, სადაც ხდება სტრატეგიული პარტნიორების მოძიება, სპეციფიკური ცოდნის შეძენა, ბიზნესგეგმების მომზადება, ფინანსური რესურსების მოძიება და ა.შ ამავე დროს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მაღალი რისკის მქონე, ახალი, ინოვაციური იდეების დაფინანსებას. მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს ვენჩურული ფონდების განვითარებას და ბაზარზე კონკურენციის არსებობას.

ამ თვალსაზრისით, უაღრესად მნიშვნელოვანი იყო 2016 წლის იანვარში, ოქროყანაში საქართველოში უახლესი ლაბორატორიული დანადგარებით აღჭურვილი მაღალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარების ცენტრის გახსნა. ტექნოლოგიური პარკის გახსნის ცერემონიას საქართველოს პრემიერ-მინისტრი დაესწრო. გიორგი კვირიკაშვილმა ინოვატორებისთვის განკუთვნილი, ერთი ფანჯრის პრინციპით მომუშავე სივრცე დაათვალიერა, შეხვდა ინოვაციური პროექტებით დაინტერესებულ ახალგაზრდებს, გაეცნო მათ იდეებს და უახლოეს უქმეებზე ტექნოპარკში შეხვედრა შესთავაზა. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნული პროექტი სახელმწიფოს მხრიდან ქვეყნის მომავალში ჩადებულ მნიშვნელოვან ინვესტიციად შეაფასა:

„ეს არის 5-მილიონიანი პროექტი, რომელიც ერთ წელიწადში დაიწყო და დამთავრდა. ეს არის პირდაპირი ინვესტიცია საქართველოს მომავალში. ეს არის სივრცე, სადაც სრულდება თანამშრომლობა სამ ძირითად მიმართულებას შორის: აკადემიას, ანუ სამეცნიერო მიმართულებას, ეკონომიკას, ანუ ქვეყნის სამეწარმეო წრეებსა და მთავრობას, ანუ შესაბამის სამთავრობო უწყებებს შორის. ეს არის პირველი მოდელი საქართველოში, სადაც ამ ტიპის თანამშრომლობა ამ სამ მიმართულებას შორის შედგა. მე არ შემიძლია დავმალო ჩემი შთაბეჭდილება, როდესაც ვნახე, თუ რამხელა პოტენციალია ჩვენს ახალგაზრდებში ინოვაციური მიმართულებით.მოგეხსენებათ, რომ ეკონომიკის სწრაფი ზრდა შეუძლებელია ინოვაციაზე, კვლევასა და განვითარებაზე დაფუძნებული დარგების განვითარების გარეშე. ამიტომ ეს ცენტრი, სადაც ახლა ჩვენ ვიმყოფებით, იქნება სწორედ ის სივრცე, სადაც მოხდება დაფუძნება და პირველი ეტაპის გავლა იმ კომპანიების მხრიდან, რომლებსაც ამ მიმართულებით განსაკუთრებული პოტენციალი გააჩნიათ,” — განაცხადა პრემიერმა.

ტექნოპარკის გახსნა შეფასდა, როგორც მთავრობის მთავარი გზავნილი, რომ ქვეყანაში მეწარმეობის განვითარებაა მთავარი პრიორიტეტი. სწორედ ტექნოპარკებია საჭირო იმისთვის, რომ ახალგაზრდებს მიეცეთ თავიანთი იდეების რეალიზაციის საშუალება.

ტექნოპარკში წარმოდგენილია წამყვანი საერთაშორისო წარმომადგენლობების მიერ დამზადებული აუცილებელი დანადგარები, როლის ჩამონათვალი კიდევ უფრო გაფართოვდება. ისინი საშუალებას იძლევა, რომ ახალგაზრდა გამომგონებლებმა მოახდინონ საკუთარი გამოგონებების პროტოტიპიზაცია, ანუ საცდელი ეგზემპლარების გამოშვება. ტექნოპარკის მშენებლობა 2015 წლის იანვარში დაიწყო. პროექტის ღირებულება 5 მილიონი ლარს შეადგენს. სივრცე აღჭურვილია უახლესი ლაბორატორიული დანადგარებით. მაღალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარების ცენტრი მოიცავს როგორც მცირე ინკუბატორებს, სასწავლო ცენტრებსა და ლაბორატორიებს, ასევე, დიდ ოფისებს კომპანიებისთვის, ერთობლივ სამუშაო ადგილებსა და რეკრეაციულ სივრცეს.

ზოგადადაც, ინოვაციური პროცესებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერას, რაც შემდგომში განაპირობებს მეცნიერებატევადი დარგების განვითარებას და

კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას. განათლების სისტემისა და მეცნიერული კვლევების ბიზნესთან კოორდინაციით შესაძლებელია ეკონომიკური სუბიექტების სტიმულირება ბიზნესსაქმიანობაში. აღნიშნული მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საერთაშორისო კონკურენტულ გარემოში ეროვნული ეკონომიკის უპირატესობის უზრუნველყოფას.

დღეს საქართველოშიც აღარავინ დავობს, რომ ინოვაციური პოლიტიკა თანამედროვე ბიზნესის წარმატების საწინდარია. მსოფლიო ბანკის 2013 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის - „ინოვაციების ხელშეწყობა საქართველოში" მიხედვით, ქართული კომპანიები, რომლებიც აქტიურად გამოიყენებდნენ ინოვაციებს საკუთარ საქმიანობაში უფრო სწრაფად ვითარდებოდნენ და 30%-ით მეტ სამუშაო ადგილს ქმნიდნენ, ვიდრე არაინოვაციური კომპანიები.

ინოვაციური პოლიტიკის გატარება შეუძლებელია ტექნოლოგიური პარკების, ინოვაციური ცენტრების და ლაბორატორიების შექმნის გარეშე. საქართველოში ინოვაციური ბიზნესის განვითარების ხელშეწყობისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ტექნოპარკების შექმნა, რომლებიც სულ უფრო მეტად პოპულარული ხდება მთელს მსოფლიოში. მათი შექმნით დაინტერესებულნი არიან არა მხოლოდ კერძო საწარმოები ან სასწავლებლები, არამედ, მთავრობებიც, რადგან ისინი ხელს უწყობენ ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას და სუსტი რეგიონების განვითარებას.

საქართველოში ინოვაციური ბიზნესის განვითარება კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას უნდა დაეფუძნოს, რისთვისაც არსებითია ინფორმაციასა და ინოვაციურ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა. სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა, რათა ქვეყანაში შეიქმნას შესაფერისი გარემო ინოვაციური პოლიტიკის გასატარებლად. ეს უკანასკნელი ხელს შეუწყობს ქართულ მრეწველობას, განვითარდეს და უპასუხოს საერთაშორისო მოთხოვნებს.

ცნობილია, რომ კომპანიები კვლევებში ინვესტიციებს ახორციელებენ იმავე მიზნით, რა მიზნითაც ყიდულობენ, ვთქვათ, მანქანა-დანადგარებს და აშენებენ ახალ ფაბრიკა-ქარხნებს: ესაა მოგების ზრდა. კვლევებზე დანახარჯების ზრდით ფირმა იმედოვნებს, რომ ის აღმოაჩენს და შემდგომ განავითარებს ახალ პროდუქტებს. თუ ახალი პროდუქტი წარმატებულია, ფირმის მოგებაც, ბუნებრივია, გაიზრდება. თუმცა კვლევით საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები დამოკიდებულია არა მხოლოდ კვლევითი პროცესის ნაყოფიერებაზე, არამედ, კვლევითი შედეგების გამოყენებადობაზეც, კვლევებზე გაწეული საქმიანობიდან მიღებულ უპირატესობებსა და სარგებლიანობაზე.

საქართველოში წარმოებულ საქონელს აქვს დაბალი დამატებული ღირებულება. ამ ეტაპზე, შედარებით განვითარებულია მხოლოდ გადამამუშავებელი მრეწველობა, რომელიც პირდაპირ მიბმულია საქართველოში მოპოვებულ ბუნებრივ რესურსებზე და სოფლის მეურნეობის ადგილობრივ ნაწარმზე. ამის მიზეზია ტექნოლოგიური განვითარების და ინოვაციის დაბალი დონე. ქვეყანაში ინოვაციის დონე ჯერ ისევ არადამაკმაყოფილებელია და დაბალია როგორც სახელმწიფო, ასევე, კერძო სექტორის დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე, რაც ასახულია სხვადასხვა საერთაშორისო შეფასებასა და რეიტინგში. ინოვაციის გლობალურ ინდექსში-2013 (GII) საქართველო მსოფლიოში 73-ე ადგილზეა, ხოლო 2012 წლის ინოვაციების შესაძლებლობის ინდექსში (ICI) საქართველოს 44-ე ადგილი უკავი 131 ქვეყანას შორის. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში (GCI), 2013-2014 წლის მდგომარეობით, საქართველო 148 ქვეყანას შორის შემდეგ პოზიციებს იკავებს: ინოვაციის განხორციელების შესაძლებლობების მაჩვენებელი - 118-ე ადგილი; კომპანიების დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე (R&D) - 128-ე ადგილი.

დაბალია როგორც თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა, ასევე, ტექნოლოგიური განვითარების დონე. ამ ინდექსის მიხედვით, საქართველოს აქვს შემდეგი მაჩვენებლები: უახლესი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა - მე-100 ადგილი; ახალი ტექნოლოგიების დანერგვა კომპანიების მიერ - 117-ე ადგილი. არადამაკმაყოფილებელია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის დონე, რაც ერთ- ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ინოვაციების განხორციელებისთვის. საქართველო ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კომპონენტით 124-ე ადგილზეა.

როგორც საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაშია წარმოდგენილი, ინოვაციების და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებისთვის, საქართველოს მთავრობა წაახალისებს ისეთი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას, რომელიც მიმართული იქნება მოწინავე ტექნოლოგიების შემოტანასა და დანერგვაზე, განსაკუთრებით კი, გარემოს დაცვაზე ორიენტირებული რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვაზე და მწვანე ეკონომიკის განვითარებაზე. ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ინოვაციური საქმიანობის და უახლესი ტექნოლოგიების ტრანსფერის და დანერგვის ხელშეწყობა.

სტრატეგიის მიხედვით, კერძო სექტორის განვითარების და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, მთავრობა ხელს უწყობს კვლევასა და განვითარებას, რაც, თავის მხრივ, მოიცავს როგორც გამოყენებითი კვლევების განხორციელების ხელშეწყობას მათი სახელმწიფო დაფინანსების ეფექტიანობის ზრდით, ასევე, სხვა ინსტრუმენტების შემუშავების მეშვეობით. მთავრობა, ასევე, ხელს უწყობს ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდას განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, რომლებიც, თავის მხრივ, ინოვაციის მამოძრავებლები არიან. კვლევების და განვითარების კომერციალიზაციის მიზნით, ხელი შეეწყობა კერძო სექტორს და განათლების სისტემას შორის კავშირების გაღ-

რმავებას, გამოყენებითი კვლევისა და განვითარების როგორც ხარისხის, ასევე, პრაქტიკაში დანერგვის (კომერციალიზაციის) ეფექტიანობის ასამაღლებლად.

ინოვაციების და ტექნოლოგიების სფეროში სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკის მთავარ შედეგებს შორის მოიაზრება კომპანიების მიერ ტექნოლოგიების ტრანსფერისა და პრაქტიკაში დანერგვის გაძლიერება, სამეცნიერო წრეებს და ბიზნესს შორის კავშირების გამყარება, ინოვაციების დონის ამაღლება და შედეგად ქართული ექსპორტის უფრო მაღალტექნოლოგიურ პროდუქციაზე ორიენტაცია.

მნიშვნელოვანია, რომ ტექნოპარკისა და ბიზნესინკუბატორების შემდეგ, მთავრობა სტარტაფების დაფინანსების პროგრამას იწყებს. პროექტს საპარტნიორო ფონდი და ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სააგენტო განახორციელებენ. როგორც ცნობილია, ახალი ინსტიტუტი განაცხადების მიღებას მაისის ბოლოდან დაიწყებს და საბანკო უზრუნველყოფის გარეშე პირველი დაფინანსების გაცემა სექტემბრისთვის მოხდება. პირველ ეტაპზე პროგრამისთვის გამოიყოფა 11 მილიონი ლარი, ხოლო შემდეგ ბიუჯეტი გაიზრდება 35 მილიონ ლარამდე.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარე ირაკლი ქაშიბაძე განმარტავს, რომ ეს არ არის მხოლოდ ფინანსურ რესურსზე წვდომა. გარდა იმისა, რომ სტარტაფებში ინვესტირება მოხდება, ასევე, მოხდება მათი დაშვება-განხორციელება ძალიან ბევრ მნიშვნელოვან სერვისთან. ეს არის როგორც საკონსულტაციო, ასევე, მაღალტექნოლოგიური სერვისები. საბოლოო ჯამში პროცედურა იდენტურია, რომელსაც სტარტაფი გადის ვენჩერულ ფონდთან მუშაობისათვის, ანუ ხდება საერთაშორისო ექსპერტების მიერ აპლიკაციების განხილვა, ასევე, ვენჩერ- ინვესტორების ჩართვა და მათი დახმარებით პროექტების სიცოცხლისუნარიანად ქცევა.

მთავარი მოთხოვნაა, რომ პროექტი ინოვაციური უნდა იყოს. თუმცა არ არის აუცილებელი მაღალტექნოლოგიურიც იყოს. ბევრი მაგალითია საერთაშორისო კუთხითაც, როდესაც ინოვაციური პროექტი ტრადიციულ ბიზნესად, დიდ კომპანიებად გადაიქცა. მაგალითად, UBER ტაქსის ბიზნესის შემთხვევაში. იგი დღეს მთელ მსოფლიოს იპყრობს. აქაც ინოვაცია და ახალი ბიზნესმოდელი იყო გამოყენებული.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც მაისის თვეში მოხდა და საქართველოში ინოვაციური ბიზნესის განვითარებას უკავშირდება, არის თბილისში ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროექტის განხორციელება. პროექტის ღირებულება, რომელსაც საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი "ქართუ" აფინანსებს, რამდენიმე ასეული მილიონი ევროა.

ფართო წრეებში "კოლაიდერად" ცნობილი ნაწილაკების ამაჩქარებლის კომპლექსის მეშვეობით ქართველი მეცნიერები და მეცნიერთა ახალი თაობები შეძლებენ უმნიშვნელოვანესი კვლევების ჩატარებას, მათ შორის, მედიცინის, კერძოდ კი, ონკოლოგიის "ადრონული თერაპიის" მიმართულებით. ტექნოლოგიური ინსტიტუტის ძირითადი დანიშნულება არის საქართველოში მეცნიერებისა და განათლების განვითარება. ეს არის ის იშვიათი შემთხვევა, როცა კერძო სექტორი სოლიდური თანხების ინვესტირებას ახდენს ინოვაციურ პროექტში.

ხელისუფლებას დეკლარირებული აქვს, რომ ინოვაციების და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებისთვის, საქართველოს მთავრობა წაახალისებს ისეთი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას, რომელიც მიმართული იქნება მოწინავე ტექნოლოგიების შემოტანასა და დანერგვაზე. ამ შემთხვევაში კერძო სექტორი პირიქით, იღებს ვალდებულებას, რამდენიმე წლის განმავლობაში დაეხმაროს ხელისუფლებას და აცხადებს, რომ ყველაფერს გააკეთებს, რათა ინსტიტუტის ფუნქციონირება ტვირთად არ დააწვეს ბიუჯეტს. ეს პროექტიც არის ერთგვარი ინვესტიცია სამომავლოდ ინოვაციური ბიზნესების ხელშეწყობის საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო - 2020
2. „საქართველოს ეკონომიკა", 2015, მაისი.
3. Forbes Georgia, 2014, იანვარი.

გლობალიზაცია და თანამედროვეობა

მარინა ბაღათურია, *სტუ-ს პროფესორი*

რეზიუმე

ნაშრომში გაანალიზებულია, რომ გლობალურ საერთაშორისო სისტემაში გარკვეულწილად კნინდება ცალკეული სახელმწიფოების როლი, მაგრამ, ისიც ფაქტია, რომ ამავე დროს, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია ყველასგან განცალკევებული, იზოლირებული ქვეყნის არსებობა დღევანდელ მსოფლიოში. განსაკუთრებით რთული პრობლემების წინაშე დგანან პატარა ქვეყანები, რადგან მათ უნდა შეძლონ საკუთარი თვითმყოფადობისა და კულტურული ტრადიციების შენარჩუნებაც და საერთაშორისო სისტემაში სათანადო ადგილის დამკვიდრებაც.

საკვანძო სიტყვები: თანამედროვე გლობალიზაცია, გლობალიზაციის პროცესი, მსოფლიო საზოგადოება, მსოფლიო წესრიგი

Summary

Mariana Bagaturia

Globalization and modernity

The paper analyzes that somewhat diminished the the role of the individual states in the global international system but the fact remains that at the same time, in fact, impossible to separate from everyone, country in the world today. Especially problems are facing small countries - they should be able to keep their own identity and cultural traditions as well as to find their places in the international system.

Keywords: Modern Globalization, The process of globalization, The world community, World Order

გლობალიზაცია მსოფლიო მოვლენაა და იგი, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია სხვადასხვა სახელმწიფოთა ერთ სააზროვნო სისტემაზე, ერთა ატრიბუტიკის სტანდარტიზაციასა და საერთო ტექნიზაციაზე მსოფლიო მორგების ტენდენციასთან.

დღეს მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესი გულისხმობს ერთიანი მსოფლიო საზოგადოების ჩამოყალიბებას, რაც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს (პოლიტიკა, კულტურა, ეკონომიკა, სოციალური პირობები, ეკოლოგია) ეხება და გაერთიანების, შერწყმის სინონიმად არის ქცეული. თავის მხრივ, გლობალიზაცია რთული და წინააღმდეგობრივი, ძალზე ფართო და მრავალმხრივი პროცესია და, გამომდინარე აქედან, იგი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პატარა ქვეყნებზე.

გლობალურ საერთაშორისო სისტემაში გარკვეულწილად კნინდება ცალკეული სახელმწიფოების როლი, მაგრამ, ისიც ფაქტია, რომ ამავე დროს, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია ყველასგან განცალკევებული, იზოლირებული ქვეყანის არსებობა დღევანდელ მსოფლიოში. განსაკუთრებით რთული პრობლემების წინაშე დგანან პატარა ქვეყანები – მათ უნდა შეძლონ საკუთარი თვითმყოფადობისა და კულტურული ტრადიციების შენარჩუნებაც და საერთაშორისო სისტემაში სათანადო ადგილის დამკვიდრებაც.

გლობალიზაციის დადებით მხარეს წარმოადგენს ის, რომ მისი სხვადასხვა ასპექტი პატარა ქვეყნებს აძლევს საშუალებას თავიანთი კულტურა და ეროვნული ტრადიციები მთელს მსოფლიოს გააცნონ, რაც მათი ეკონომიკური პროდუქტიულობის ზრდის ხელშემწყობის პირობა შეიძლება აღმოჩნდეს.

გლობალიზაცია თანამედროვე ტერმინია და იგი საზოგადოებასა და მსოფლიო ეკონომიკაში საერთაშორისო ვაჭრობისა და კულტურული ურთიერთობების ზრდით გამოწვეულ ცვლილებებს, ასევე, ბარიერთა რღვევისა და ქვეყანათა ურთიერთდამოკიდებულების ზრდის შედეგად, ვაჭრობისა და ინვესტიციების ზრდას ასახავს.

პროფ. ზურაბ დავითაშვილის აზრით, ტერმინი „გლობალიზაცია“ XX ს-ის 80-იან წლებამდე საერთოდ არ არსებობდა და ამ ტერმინის გამოჩენა დაკავშირებულია ამერიკელი სოციოლოგის რ. რობერტსონის სახელთან, რომელმაც ის 1983 წელს სტატიაში გამოიყენა .

იგივე ტერმინი პროფ. ოთარ ნადარაიას მოსაზრებით, ტექნიკური მეცნიერებიდან არის „ნასესხები“. მისი თქმით, ინფორმატიკის ენაზე გლობალიზაცია ისეთი პროგრამული ბირთვის შემუშავების პროცესს ნიშნავს, რომელიც არ არის დამოკიდებული მომხმარებელი ქვეყნის ენასა და სტანდარტებზე. ო. ნადარაია გამოთქვამს აზრს, რომ თანამედროვე, მრავალმხრივი აღქმით, გლობალიზაციას – „საქონლის, მომსახურების, კაპიტალის, თანამედროვე ტექნოლოგიების, ადამიანთა, მათი კვალიფიკაციისა და სულიერი ფასეულობების ტრანსსასაზღვრო გადაადგილება და ახალ, ინტერნაციონალურ, გლობალურ-რეგიონულ, ტერიტორიულ თუ ვიზუალურ სივრცეებში კოორდინაცია შეგვიძლია ვუწოდოთ“ .

ტერმინი გლობალიზაცია ინგლისურ სიტყვა „გლობე“-ს უკავშირდება, რაც დედამიწას, გლობუსს ნიშნავს, ხოლო გლობალ — გლობალურს, საყოველთაოს, მთლიანს, საერთოს ნიშნავს, გამომდინარე აქედან, ცნებაც „გასაყოველთაოებას“ ნიშნავს. ის-

მის კითხვა: რას ნიშნავს „გასაყოველთაობა“ და რის „გასაყოველთაოებაზეა“ საუბარი? ამ ცნებას თავდაპირველად მხოლოდ ეკონომიკური დატვირთვა ჰქონდა, მაგრამ დღეს მან უკვე, ფაქტობრივად, ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა. ყველა სფეროში ძირითადად იგულისხმება ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურულ-რელიგიური დონეები.

უფრო ზოგადად, გლობალიზაცია არის პროცესი, რომელიც მსოფლიოს დავიწროებას ახდენს. ეს არის ერთიანი „მსოფლიო საზოგადოება“, რომელშიც გერმანელი ფილოსოფოსი ულრიხ ბეკი სიტყვა „მსოფლიოს“ განსხვავებულობის, მრავალფეროვნების, ხოლო „საზოგადოებას“ არაინტეგრირებულობის მნიშვნე-ლობით განმარტავს.

აქედან გამომდინარე, გამოდის, რომ მსოფლიო საზოგადოება არის ერთიანობის გარეშე არსებული მრავალფეროვნება. უ. ბეკი გლობალიზმში გულისხმობს მოვლენას, როცა მსოფლიო ბაზარი ზღუდავს ან საერთოდ ცვლის პოლიტიკურ ქმედებას. მისი აზრით, გლობალიზაციის პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები მსოფლიო ბაზარს არის დაქვემდებარებული და ეს პროცესი ისეთ რთულ ორგანოს, როგორიც სახელმწიფოა, მართავს ისე, როგორც საწარმოს. უ. ბეკი მიიჩნევს, რომ გლობალიზაცია არის პროცესი, ან პროცესები, როცა ეროვნული სახელმწიფოები და მათი სუვერენიტეტი ტრანსნაციონალური აქტორებით იფარება .

საინტერესოა, რომ უ. ბეკი განასხვავებს გლობალიზმის, გლობალურობისა და გლობალიზაციის გაგებას. აღნიშნული განსხვავების მიზანია დაამსხვრიოს პოლიტი-კურისა და საზოგადოებრივის ტერიტორიული ორთოდოქსულობა, რომელიც პირველი მოდერნის პროექტში ჩამოყალიბდა, დაუკავშირდა ეროვნულ სახელმწიფოს და კატეგორიალურ-ინსტიტუციური აბსოლუტის სტატუსი მიიღო. გლობალიზაცია – ესაა მსოფლიო საზოგადოება მსოფლიო სახელმწიფოსა და მსოფლიო მთავრობის გარეშე და მასში არ იგულისხმება მსოფლიო სახელმწიფოს არსებობა; აქ საუბარია გლობალურად დეზორგანიზებული კაპიტალიზმის გაფართოებაზე, გამომდინარე იქიდან, რომ არ არსებობს ჰეგემონი ხელისუფლება და ინტერნაციონალური რეჟიმი არც ეკონომიკური და არც პოლიტიკური თვალსაზრისით.

შეიძლება ითქვას, რომ გლობალიზაცია თავადაც წარმოადგენს მსოფლიო წესრიგს, რადგან უახლოეს მომავალში საზოგადოებებს სწორედ მისგან მომდინარე გამოწვევებზე მოუწევს პასუხის გაცემა.

გლობალიზაციის შესახებ სამეცნიერო წრეებში შექმნილი თეორიები ისეთივე სწრაფი ტემპით ვითარდება, როგორც თავად გლობალიზაციის პროცესი, რომელიც დამყარებულია ადამიანთა, უფრო სწორად, სხვადასხვა საზოგადოებათა ურთიერთობაზე, ე.ი. როცა საუბარია გლობალიზაციაზე, მასში იგულისხმება ამ თუ იმ საზოგადოების ღირებულებათა გასაყოველთაოება, საზოგადოებამ კი, თავის მხრივ, თავისი ღირებულებები საყოველთაოდ რომ აქციოს, იგი სხვა საზოგადოებებს უნდა გააცნოს და გაუთავისოს. ამისათვის კი საჭიროა კონტაქტები. აქედან გამომდინარე, მივდივართ დასკვნამდე, რომ გლობალიზაციის უპირველეს და აუცილებელ პირობას წარმოადგენს სხვადასხვა საზოგადოების და სხვადასხავა კულტურული ერთობების ურთიერთობა.

ექსპერტთა ნაწილის აზრით, გლობალიზაცია არის პროცესი, რომელიც განპირობებულია საბაზრო და არა სახელმწიფოებრივი ძალებით. იმისათვის, რომ ქვეყნებმა მოიზიდონ კაპიტალი საკუთარი კეთილდღეობისათვის, ასევე ისარგებლონ საკუთარ ეკონომიკაზე თანამედროვე და მომავლის ტექნოლოგიების გავლენით, მათ უნდა იზრუნონ:

№ დაბალანსებულ ბიუჯეტზე;

№ ეკონომიკის პრივატიზაციაზე;

№ ინვესტიციებისა და საბაზრო ნაკადების ღიაობაზე;

№ ვალუტის სტაბილურობაზე.

ამრიგად, გლობალიზაცია ნიშნავს ფასების, პროდუქტების, ჯანდაცვის დონისა და ხარისხის, შემოსავლების დონის, პროცენტიანი საბანკო განაკვეთების და ა.შ. მსოფლიო დონეზე თანდათან გათანაბრებას.

1870 წლისათვის ბრიტანეთის ეკონომიკური უპირატესობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა გერმანიისა და აშშ-ს ინდუსტრიალიზაციის მზარდი ტემპების გამო. არსებობს მოსაზრება, რომ 1870 წლიდან პირველ მსოფლიო ომამდე საქონლისა და კაპიტალის მიმოქცევამ მანამდე არნახულ მასშტაბებს მიაღწია. იგივე განმეორდა, მოგვიანებით, XX საუკუნის 80-იან წლებშიც. ეკონომიკური ასპექტებით იმდროინდელი მსოფლიო, ერთი შეხედვით, ძალიან ჰგავდა თანამედროვე ტენდენციებით გაჯერებულ რეალობას.

კითხვაზე: რას წარმოადგენს თანამედროვე გლობალიზაცია? სამეცნიერო და პოლიტიკურ წრეებში საერთო აზრი და ერთი პასუხი არ არსებობს, არსებობს უამრავი განმარტება, რომელთგან, საერთო ჯამში ასეთი აზრის გამოტანა შეიძლება: გლობალიზაცია ცვლის არა მარტო მსოფლიოს ეკონომიკურ პროცესებს, არამედ მის სტრუქტურასაც. დღეს ძალას იკრებს კაცობრიობაზე არნახული გავლენის მქონე პროცესი, რომელიც ტრანსკონტინენტური და რეგიონთაშორისი ნაკადების გენერირებას ახდენს, რის შედეგადაც იქმნება გლობალური მასშტაბის ურთიერთ-დამოკიდებულება. რამდენად კარგია ამგვარი უნიფიკაცია და რამდენად შეესაბამება იგი ადამიანური ყოფიერების ფუნდამენტურ ტენდენციებს – სულ სხვა საკითხია.

შეუძლებელია ვისაუბროთ გლობალიზაციის შესახებ და არ აღვნიშნოთ ის მოვლენები, რომლებიც შენ გარშემო ყოველდღიურად მიმდინარეობს. ადამიანებს ხშირად არასწორად ესმით თანამედროვე გლობალიზაციის არსი, რასაც შემდგომ მოსდევს შეხედულებების დაპირისპირება და, ფაქტობრივად, ჯანსაღი დისკუსიის ჩიხში შეყვანა.

დღეს ბევრ ქვეყანაში აქტუალურია ანტიგლობალიზმის იდეა. ვესტფალიის ზავის მიერ დამკვ-

იდრებული ერი-სახელმწიფოების სისტემის ვალიდურობის პრობლემა დღითიდღე უფრო ნათელი ხდება. საკითხი ძალაუნებურად მოითხოვს ინტერდისციპლინარულ მიდგომას, აღსანიშნავია, რომ ანტიგლობალისტური განწყობა, ძირითადად არადასავლური ქვეყნების მოსახლეობაში იგრძნობა, სადაც გლობალიზაცია ვესტერნიზაციად ანუ დასავლეთის გავლენის გაძლიერებად არის აღქმული.

ანტიგლობალისტების აზრით, ტრანსნაციონალური კორპორაციები, რომლებიც რეალურად დასავლური კომპანიებია, უმოწყალოდ ძარცვავენ ქვეყანას, აჩანაგებენ მის რესურსებს, ანგრევენ ნაციონალურ ეკონომიკას და, ფაქტიურად, მონებად აქცევენ ადგილობრივ მოსახლეობას. განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქმება დასავლური მასობრივი კულტურის მოძალება, რომელიც ანგრევს ეროვნულ კულტურას, ტრადიციებსა და მენტალიტეტს, რითაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ეროვნულ იდენტურობას. სწორედ ამ შიშის მიზეზია ნაციონალიზმის აღორძინება მთელ რიგ ქვეყნებში, ხოლო ისლამურ სამყაროში ნოყიერი ნიადაგი შეექმნა ისლამური ფუნდამენტალიზმის გავრცელებას .

XXI საუკუნის გამოწვევებზე ადეკვატური პასუხის გაცემა შეუძლებელია მოვლენათა სწორი გააზრების გარეშე. სწორედ ამიტომ, ეკონომიკა, სოციოლოგია, კომუნიკაციის თეორია, მულტიკულტურალიზმი თუ პოსტმოდერნული ფილოსოფია წარმოადგენს კვლევის იარაღებს, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია გლობალიზაციის ზოგადი არსის გამოკვეთა.

დღეს დიდი განხილვის თემას წარმოადგენს არა მარტო მთლიანად გლობალიზაცია, არამედ ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული გლობალიზაციები ცალ-ცალკე. თითოეული მათგანი ერთი მოვლენის განსხვავებულ განშტოებას წარმოადგენს, მაგრამ ძირი მათ საერთო აქვთ. ამ მხრივ, საინტერესოა ყურადღება გავამახვილოთ გლობალიზაციის კულტურის ასპექტებზე.

გლობალიზაციის რთული პროცესის შესწავლისას აუცილებელია აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მკვლევარი (მაგალითად, პ. ჰირსტი და გ. ტომპსონი) სკეპტიკურად უდგება ამ ცნებას და უარყოფს მის ობიექტურობას, მეცნიერთა უმეტესობა ცდილობს გლობალიზაციის პროცესის სამეცნიერო წარმოდგენების სისტემური და თეორიული დასაბუთების შემუშავებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შენგელია თ. მულტიკულტურიზმი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა და ბიზნესის განმსაზღვრელი დეტერმინანტი, თბ.,, გამომცემლობა „უნივერსალი“ 2015. გვ. 14
2. გირტ ჰოფსტედე; გერტ იან ჰოფსტედე, კულტურები და ორგანიზაციები. გონების პროგრამული უზრუნველყოფა. თბ., 2011, გვ. 40.
3. „საერთაშორისო ბიზნესის სოციოკულტურული გარემო“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული, თსუ, გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელი, თბ., 2011.

ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების მოდელები

ექსპერიმენტული ეკონომიკა ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის

ალექსანდრე სიჭინავა, *პროფესორი*
დალი სეხნიაშვილი, *ასოცირებული პროფესორი*

Experimental Economics for Sustainable Development of the Economy

Alexander schinava, Professor
Dali Sekhniashvili, Associate Professor

Resume

The article presented changes in the basic concepts and ideas on which is based the understanding of the rational choice of economic agents. The article deals with the background of emergence of a new current of economic thought, named «experimental economics». It analyzes the functions of experimenting in economics. The article proposes the substantiation of acknowledgement of experimental economics as the new scientific current. It recognizes that the experimental direction is becoming now the most perspective for the development of economic science.

Keywords: Experimental economics, Laboratory experiments in economics, Theory of rational choice Experimental methods.

საკვანძო სიტყვები: ექსპერიმენტული ეკონომიკა, ლაბორატორიული ექსპერიმენტი ეკონომიკაში, რაციონალური არჩევანის თეორია, ექსპერიმენტული მეთოდები.

* * * * *

თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერება განვითარების სრულიად ახალ ეტაპზე იმყოფება, რომელიც ხასიათდება როგორც შემეცნების მჭიდრო კავშირით საქმიანობის ფასეულობით-მიზნობრივ პარამეტრებთან, ასევე, შემეცნების საშუალებების ექსპლიკაციით.[1] შედეგად, საზოგადოებამ მიიღო სრულიად ახლებური გაგება ეკონომიკური შემეცნების სუბიექტის და ობიექტის, ახალი გაგება ეკონომიკური რეალობისა და რაციონალურობის, ეკონომიკური ცოდნის ობიექტური სფეროს გაფართოება, რაც შემმეცნებელი სუბიექტის მახასიათებლებთან, მის ფასეულობებთან, კულტურულ დეტერმინანტებთან, ცოდნის სოციალურ შემადგენელთანაა მეტად მჭიდროდ დაკავშირებული. რაციონალურობის სტრუქტურაში ჩართული იქნა ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა ეკონომიკური სუბიექტის ფასეულობები და მიზნები.

ეკონომიკური შემეცნების "სუბიექტის" ახლებური გაგება დაკავშირებულია შემმეცნებელი სუბიექტის სოციალურ "კოლექტივისტურ" ბუნებასთან, ეს გარემოება აისახა ადამიანის, როგორც ეკონომიკური აგენტის ახლებურ ინტერპრეტაციაში. პოზიტივისტურ მეთოდოლოგიაში ადამიანი სამეურნეო საქმიანობაში ხელმძღვანელობს რაციონალურობით, სარგებლიანობით, გაცნობიერებული ინტერესით, მოწესრიგებული სამომხმარებლო უპირატესობებით, მოგების მაქსიმიზაციით. ტრადიციული მსოფლმხედველობით, მხოლოდ ასეთი ადამიანი შეიძლება იყოს კონკურენტუნარიანი საბაზრო გარემოში და მხოლოდ ასეთი მიდგომით არის შესაძლებელი აიხსნას ზოგიერთი კანონზომიერება, რაც ეკონომიკური მეცნიერების შესწავლის ობიექტი შეიძლება გახდეს.

თუმცა, თანამედროვე ეკონომიკა არ შეიძლება წარმოდგენილ იქნას როგორც მხოლოდ ატომარული ეკონომიკური სუბიექტების ჰომო ეცონომიცუს ურთიერთქმედების სფერო, რომელთა მიზანია სარგებლიანობის და მოგების მაქსიმიზაცია შეზღუდული რესურსების პირობებში. ჯერ კიდევ 1960-ან წლებში გ. საიმონმა, შეისწავლა რა მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკა, დაასაბუთა, რომ ადამიანები ყოველთვის რაციონალურად კი არა, არამედ შეზღუდული რაციონალურობის ჩარჩოებში მოქმედებენ, რადგან ემპირიულ სინამდვილეში ისინი არა უპირატესი მიზანშეწონილობისა და სარგებლიანობის თეორიული დებულებებით ხელმძღვანელობენ, არამედ სიტუაციურად იქცევიან. შეზღუდული რაციონალურობა დაკავშირებულია არა მარტო გარე რესურსების შეზღუდულობასთან, არამედ შიდა სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების შეზღუდულობასთანაც, მაგალითად, როგორიცაა: კომპეტენტურობა, კულტურა და განათლება, აღქმის და ინფორმაციის გადამუშავების უნარი, მეხსიერების მოცულობა, ადამიანის ინტელექტუალური შესაძლებლობები, კოგნიტური უნარები. ეკონომიკური და სოციოფსიქოლოგიური პარანეტრების ასეთი სინთეზი საშუალებას იძლევა უფრო ფუნქციურად და რეალისტურად იქნას აღწერილი ადამიანების საბაზრო ქცევა. სამეურნეო სუბიექტი ერთდროულად სუბიექტიც არის და ობიექტიც, ვინაიდან იგი როგორც მწარმოებელი, ასევე მომხმარებელიც არის.

1 ექსპლიკაცია (ლათ. Explication – დაზუსტება, განმარტება) — ცნების ან განმარტების დაზუსტება სიმბოლური ლოგიკის საშუალებებით ბუნდოვნების ან ორაზროვნების აღმოფხვრის მიზნით, ან კვლევის ახალი ობიექტის შესაბამისად.

უტილიტარიზმი და რაციონალიზმი არაა ადამიანის ეკონომიკური ქცევის უნივერსალური ფორმულა. ეგოისტური ზრახვებიც კი, იმოქმედოს სარგებლით საკუთარი თავისთვის, არ რეალიზდება პრაქტიკაში ოპტიმალური გადაწტვეტილების მიღებისათვის საჭირო გარე ინსტიტუციური და შიგა პიროვნულ-პროფესიული რესურსების შეზღუდულობის გამო.[2] ჰ. საიმონის შრომები 1978 წელს ნობელის პრემიით აღინიშნა გადაწყვეტილების მიღების თეორიაში ახლებური მიდგომებისათვის.

ცვლილებები, რომელიც მოხდა ეკონომიკური შემეცნების ობიექტის ცნების გაგებაში, არის შემდეგი: ფართოვდება და რთულდება ეკონომიკური მეცნიერების ობიექტური სფერო იმის გამო, რომ მასში ერთვება ახალი ეკონომიკური მოვლენები. ამასთან, საქმე ეხება საგნობრივი სივრცის არა უბრალოდ გაფართოვებას, არამედ რადიკალურად "გაადამიანურებას", რის შედეგადაც ადამიანი რეალურობის ეკონომიკურ სურათში შედის არა როგორც ნივთი, სხვა ეკონომიკურ მოვლენებთან ერთ რიგში მდგომი, არამედ როგორც ახალი რეალობის სისტემაშემქმნელი პრინციპი, როგორც თანამედროვე ცოდნის ახალი კოორდინატების საწყისი.

აღნიშნულის დადასტურებაა ფსიქოლოგი დ. კანემანისათვის ნობელის პრემიის მინიჭება ეკონომიკის დარგში ადამიანის ეკონომიკური ქცევის თეორიის, კერძოდ კი, ახალი მიმართულების — ქცევითი ეკონომიკისა და მასთან დაკავშირებული ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის შემუშავებისათვის. პრემია მინიჭებულ იქნა ეკონომიკის სფეროში მიღწევებისათვის, რადგან დ. კანემანის შრომები გამოდის საკუთარი ფსიქოლოგიური ცოდნის ფარგლებიდან და პასუხობს კითხვაზე, თუ რატომ და როგორ ვცდებით, როდესაც ვაკეთებთ არჩევანს და ვიღებთ გადაწყვეტილებას, მათ შორის ეკონომიკურ და სახელმწიფო დონეებზეც.[3] მეცნიერულმა საზოგადოებამ აღიარა ის ფაქტი, რომ: ეკონომიკა სხვა არაფერია თუ არა მეცნიერება ადამიანების რეალურ სამეურნეო ცხოვრებაში ადამიანური ქცევის შესახებ. თავისი გადაწყვეტილებით ნობელის კომიტეტმა ეკონომიკის სფეროში დაამტკიცა თანამედროვე ეკონომიკური ცოდნის მეთოდოლოგიური საფუძვლების, ფუძემდებლური პოსტულატების გადახედვის აუცილებლობა.

ნობელის პრემიის კიდევ ერთი ლაურეატი, ამერიკელი ეკონომისტი ვ. სმითი რაციონალური არჩევის თეორიას ნორმატიულ თეორიად მოიხსენიებს და, ამავე დროს, იმის ნაცვლად, რომ დაიცვას ტრადიციული თეორია, ან ხაზი გაუსვას ემპირიულ მონაცემებსა და ტრადიციულ თეორიას შორის წინააღმდეგობას, მესამე გზას სთავაზობს საზოგადოებას. ის თვლის, რომ წმინდა სახით რაციონალური არჩევანის თეორია ნორმატიული თეორიაა და საჭიროა ის რამენაირად შერწყმულ იქნას უფრო საიმედო ექსპერიმენტულ მონაცემებთან.[4]

დღეს ნაადრევია იმაზე საუბარი, რომ მეცნიერული საზოგადოება სწრაფ რეაგირებას მოახდენს რაციონალური არჩევანის თეორიაში მიმდინარე ცვლილებებზე, მაგრამ ცხადია, რომ რაციონალური არჩევანის თეორიის ენა სტანდარტული ხდება იმ ეკონომიკური თეორიისათვის, რომლებიც ორიენტირებულია ექსპერიმენტებზე და თუ ცვლილებები აღქმული და გაცნობიერებული იქნება ეკონომისტების უფრო ფართო წრის მიერ, მისი გავლენა გაცილებით მნიშვნელოვანი და არსებითიც გახდება. ამასთან, უკვე მრავალი ეკონომისტი აღიარებს, რომ ექსპერიმენტული მიმართულება ხდება გაცილებით პერსპექტიულია ოცდამეერთე საუკუნის ეკონომიკური მეცნიერების განვითარებისათვის.

ექსპერიმენტული ეკონომიკის მიმართულების გამოყოფა მიუთითებს ეკონომიკაში თეორიული მათემატიკური მოდელების შემუშავებიდან აქცენტების გადატანას თეორიების წინასწარმეტყველების ემპირიული შემოწმებისა და ბაზარზე ინდივიდის რეალურ ქცევასთან მათი თანხვედრის შეფასების მიმართულებით.

დღეს ეკონომიკურ ექსპერიმენტებს მიმართავენ ეკონომიკის მრავალ სფეროში, მაგალითად: ინდივიდუალური ქცევის სფერო, თამაშთა თეორია, ბაზრების თეორია, ინფორმაციის და საზოგადოებრივი სიკეთის ეკონომიკა. ექსპერიმენტულმა ეკონომიკამ მიაღწია მნიშვნელოვან შედეგებს ინდივიდუალური და ჯგუფური ქცევის შესწავლაში და დაასაბუთა ზოგიერთი ეკონომიკური მოდელის უუნარობა.

ნებისმიერი სამეცნიერო თეორია ან კონცეფცია ადამიანის პრაქტიკულ საქმიანობაზე ზემოქმედებისა და მისი გაუმჯობესების შესაძლებლობისათვის არსებობს. ამაშია თეორიისა და ემპირიის შეხების პირველი საფუძველი. მეორე საფუძველი კი, უფრო მეტად ფუნდამენტალური და არსებითია: ვიდრე კვლევები დაიწყება, მათ შორის მეცნიერული კვლევები, მკვლევარი თავიდანვე „ჩაფლულია" ემპირიულ რეალობაში, იგი ამ რეალობაში თითქოს სტიქიურად არსებობს, იგი თავად არის ამ რეალობის ნაწილი და მისი პირველი ემპირიული ფაქტორი.

ამგვარად, შემეცნების სუბიექტის მთავარი პრობლემაა საკუთარი გონების ემპირიული რეალობიდან გამოყოფა, ასევე საკუთარი თავის საკვლევი ობიექტისადმი დაპირისპირებულ სუბიექტად გადაქცევა. განცალკევდება რა ადამიანი კვლევის ობიექტიდან და მიმართავს მასზე საკუთარ შემეცნებით ძალისხმევას, ადამიანი იძენს პირველ ემპირიულ გამოცდილებას, ანუ ისეთი მონაცემებისა და ფაქტების ერთობლიობას, რომლებიც შესაძლოა გახდეს ათვლის წერტილი ემპიურიული შემეცნებისათვის.

ეკონომიკური ექსპერიმენტის მეთოდმა ფართო

2. Саймон Г. Теория принятия решений в экономической теории и науке о поведении // Вехи экономической мысли. Т. 2. Теория фирмы / под общ. ред. В. М. Гальперина. СПб. : Экономическая школа, 2000.

3. Канеман Д. Думай медленно... решай быстро : пер. с англ. М. : АСТ, 2014.

4. Смит В. Экспериментальная экономика. М. : ИРИСЭН ; Мысль, 2008.

გავრცელება ჰპოვა საბჭოთა კავშირში გასული საუკუნის 60-80-ან წწ-ში. სწორედ იმ დროს დაგროვდა მრავალრიცხოვანი თეორიული მასალა ამ მეთოდის გამოყენების შესახებ. როდესაც აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში „სოციალისტური ექსპერიმენტის“ ჩატარებაზე „ვარჯიშობდნენ“, დასავლეთში გასული საუკუნის 60-70-ნი წლებიდან წარმატებით ვითარდებოდა მიმართულება, რომელმაც შემდგომში ექსპერიმენტალური ეკონომიკის სახელი მიიღო.

ექსპერიმენტალური ეკონომიკა არის თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების მიმართულება, რომლის დროსაც ლაბორატორიებში ხელოვნურად შექმნილ ამა თუ იმ სამეურნეო პროცებში იკვლევენ ინდივიდების ქცევის ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს. ექსპერიმენტული ეკონომიკის მეთოდოლოგიის საფუძველია ექსპერიმენტული მეთოდების გამოყენება ეკონომიკური თეორიების და საბაზრო მექანიზმების კვლევების საფუძვლიანობის შემოწმება.

ექსპერიმენტული ეკონომიკა არის ეკონომიკური მეცნიერების მიმართულება, რაც მოწოდებულია კონტროლირებადი ექსპერიმენტის პირობებში შეისწავლოს ადამიანის ქცევა და ტესტირება მოახდინოს ეკონომიკური თეორიების წინასწარმეტყველებისა.

ეკონომიკური ექსპერიმენტი არის „ეკონომიკური მოვლენის ან პროცესის ხელოვნური კვლავწარმოება მისი გაცილებით უფრო კეთილსასურველ პირობებში შესწავლისა და შემდგომი პრაქტიკული ცვლილებების მიზანით“.[5]

ამრიგად, ექსპერიმენტული ეკონომიკა ეკონომიკური ექსპერიმენტის ყველა სახეობიდან, მხოლოდ ლაბორატორიულ საგნობრივ ეკონომიკურ ექსპერიმენტებს იყენებს, რომელთა ჩატარებაში, ორგანიზაციასა და ვერიფიკაციაშიც ამ მიმართულებამ მეტად მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია.

ეკონომიკაში ექსპერიმენტების გამოყენების ფასეულობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი საშუალებას იძლევა მიღებულ იქნას მონაცემები ეკონომიკური სუბიექტების ქცევის შესახებ ლაბორატორიის კონტროლირებად სიტუაციაში, რომლის დროსაც ჩნდება შესაძლებლობაქცევითი რეაქციების მრავალფეროვნებიდან გამოთვლილ იქნას ზუსტად ის ასპექტები, რაც საჭიროა მოცემული ამოცანის გადასაჭრელად. ასევე, ის საშუალებას იძლევა შესწავლილ იქნას სიტუაციები, რომლებიც არასაკმარისად აისახა კონკრეტულ თეორიაში. [6]

როგორც უკვე ავღნიშნეთ ზემოთ, დასავლეთის ეკონომიკურ ლიტერატურაში ექსპერიმენტულ მეთოდს საფუძვლები ჩაუყარეს სამმა დიდმა ეკონომისტმა ვერნონ სმითმა, დანიელ კანემანმა და ამოს ტვერსკიმ. კანემანისა და ტვერსკის „ყველაზე დიდი ღვაწლი მდგომარეობს პერსპექტივების თეორიის შემუშავებაში. ამ ორი მეცნიერის ერთობლივი კვლევების აზრობრივი ღერძი იყო ფუნდამენტური და მრავალწლიანი პროექტი ინდივიდუალური განსჯებისა და ქცევის ნორმატიული სტანდარტებიდან გადახრების შესახებ“.[7]

ვერნონ სმითმა გაგრძელა კვლევა და მასში შეიტანა საკუთარი წვლილი. ესაა: საზოგადოებრივი არჩევანის თეორია, რისკის პირობებში ინდივიდუალური ქცევის თეორია, ფინანსურ ბაზრებზე „საპნის ბუშტების“ კვლევა, რეგულირების თეორია, თამაშთა თეორიის სფეროში ჩატარებბული ექსპერიმენტები და სხვ. ექსპერიმენტული ეკონომიკის სფეროში ჩატარებული კვლევები საინტერესოა არა მარტო ეკონომიკისთვის, არამედ ფსიქოლოგიისთვისაც, ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს დისციპლინათაშორის ეკონომიკურ ექსპერიმენტთან. ეკონომიკური ექსპერიმენტის მიზნი შეიძლება სრულიად განსხვავებული იყოს. უმეტეს შემთხვევებში ისინი მიზნების მიხედვით იყოფა, კერძოდ: სამეცნიერო -კვლევითი, საწარმოო და პედაგოგიური.

შესაბამისად, ეკონომიკური ექსპერიმენტები შესაძლოა დაიყოს საკვლევ (სამეცნიერო), სამეცნიერო-საწარმოო და პედაგოგიურ ექსპერიმენტებად. ბუნებრივია, რომ კვლევითი ეკონომიკური ექსპერიმენტის მიზნები წმინდა მეცნიერული და კვლევითია, სამეცნიერო-საწარმოო ექსპერიმენტში შერწყმულია სამეცნიერო და საწარმოო (სამეურნეო) მიზნები, პედაგოგიური ექსპერიმენტი კი (მაგალითად, საქმანი თამაშის ფორმით) აერთიანებს მეცნიერულ და პედაგოგიურ მიზნებს.

ეკონომიკური ექსპერიმენტებს ყოფენ შემდეგნაირად: ჩართულობით (თანამონაწილეობითი) ეკონომიკურ ექსპერიმენტად და არაჩართულობით (მარტივ, უბრალო) ეკონომიკურ ექსპერიმენტად.

ჩართულობითი (თანამონაწილეობითი) ეკონომიკური ექსპერიმენტები ისე ფართოდ არ არის გავრცელებული, როგორც ანალოგიური სოციოლოგიური ან ფსიქოლოგიური ექსპერიმენტები. შესაძლოა, ეს იმ გარემოებასთან არის დაკავშირებული, რომ ეფექტურობის მოსაზრებებიდან გამომდინარე, ეკონომისტისთვის უფრო ხელსაყრელია შეასრულოს მიუკერძოებელი და ობიექტური დამკვირვებლის როლი, ვიდრე პირადად აქტიურად ჩაერიოს სამეურნეო პროცესებში.

ეკონომიკური ექსპერიმენტების შემდგომი მსხვილი ტიპოლოგია დაკავშირებულია მათ დაყოფასთან იდეალურ ეკონომიკურ ექსპერიმენტებად და საგნობრივ (ნივთობრივ) ეკონომიკურ ექსპერიმენტებად. იდეალური ეკონომიკური ექსპერიმენტები არის ისეთი სახის ექსპერიმენტები, რომლებიც აბსრტაქტული წესით ტარდება - ექსპერიმენტალური მასალის (არ ითვლება ქაღალდზე ან ელექტრონული სახით მისი განივთება და მისთვის საგნობრივი სახის მიცემა) განივთებისა და საგნობრივი სახის მიცე-

5. Нуреев Р.М., Вернон Смит - основоположник экспериментальной экономики. М.: Ирисен Мысль, 2006, გვ. 11

6. Беляева А.Д. Предпосылки возникновения экспериментальной экономики и её признание как научного направления, Санкт-Петербургский гос. Экономический университет, 2010

7. Белянин А. Даниель Канеман и Вернон Смит: экономический анализ человеческого поведения. Вопросы экономики. 2003. №1. С. 11-12

მის გარეშე. მისი მთავარი სახეებია: მათემატიკური ეკონომიკური ექსპერიმენტი; აზრობრივი ეკონომიკური ექსპერიმენტი, ვირტუალური (კომპიუტერული) და სხვა საქმიანი თამაში.

საგნობრივი ეკონომიკური ექსპერიმენტი არის ისეთი სახის ეკონომიკური ექსპერიმენტი, რომელიც რეალურ სამყაროში ტარდება და გამოიყენება მატერიალური არტეფაქტები. საგნობრივი ეკონომიკური ექსპერიმენტები, ისევე, როგორც ეკონომიკური დაკვირვება, შესაძლოა დაიყოს ლაბორატორიულ ექსპერიმენტებად და საველე ექსპერიმენტებად. მათ შორის განსხვავება მეტად მარტივია: ლაბორატორიული ეკონომიკური ექსპერიმენტი ტარდება სპეციალურ ნაგებობაში (ლაბორატორია), საველე კი - ლაბორატორიის გარეთ - საწარმოში, ფირმაში, დარგში და სხვ. ექსპერიმენტების ამ სახეებს აქვთ თავისი უპირატესობები და ნაკლოვანებები.

„ლაბორატორიული ეკონომიკური ექსპერიმენტი საშუალებას იძლევა, რომ ყოველთვის ჩატარდეს ექსპერიმენტული პირობების შედეგების შესწავლა, ხოლო საველე ექსპერიმენტის დროს ობიექტი, რომელიც ექსპერიმენტულ რეჟიმშია ჩაყენებული, იძულებულია ურთიერთქმედება ჰქონდეს ეკონომიკურ პარტნიორებთან, რომლებიც ძველებურად, როგორც ადრე, ისე მოქმედებენ. ამ გარემოებამ შესაძლოა დაამახინჯოს ექსპერიმენტის შედეგები. ლაბორატორიული ეკონომიკური ექსპერიმენტები არის უკვე არსებული და ახლად ჩამოყალიბებული ცოდნის გადაცემისა და ათვისების, უნარ-ჩვევების შეძენის ინსტრუმენტები. ისინი გამოიყენება სწავლებისა და ვარჯიშისათვის, კვლევითი მიზნებისათვის და პრაქტიკული მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისათვის.“[8]

ზემოაღნიშნული ტიპოლოგიის მიხედვით ეკონომიკური ექსპერიმენტის საერთო სქემა შესაძლოა შემდეგი სქემის სახით გამოისახოს:



ლაბორატორიული ეკონომიკური ექსპერიმენტის საპირისპიროდ, საველე ექსპერიმენტები საშუალებას იძლევა ექსპერიმენტი ჩატარდეს განსაზღვრული ეკონომიკური ინსტიტუტის ფარგლებში, მაგალითად, საწარმოში. ბუნებრივია, რომ ასეთი ექსპერიმენტის შედეგებს საკმაოდ დიდი ევრისტიკული მნიშვნელობა ექნება.

დისციპლინათაშორისი ეკონომიკური ექსპერიმენტი არის ისეთი ექსპერიმენტი, რომელიც ტარდება ეკონომიკისა და კიდევ რომელიმე სხვა სოციალური დისციპლინის „შეერთების“ ადგილზე. მისი ამოცანაა ისეთი ექსპერიმენტული შედეგების მიღება, რომლებსაც ეკონომიკისთვისაც და სხვა სოციალური მეცნიერებისთვისაც ექნება მნიშვნელობა.

არსებობს სამი სოციალური მეცნიერება, სადაც ფართოდ გამოიყენება სოციალური ექსპერიმენტი და საკმაოდ ღრმად არის დამუშავებული სოციალური ექსპერიმენტების ჩატარების მეთოდოლოგია, ესენია სოციოლოგია, ფსიქოლოგია და პედაგოგიკა. რამდენადაც საქმე ეხება დისციპლინათაშორის ექსპერიმენტის პერსპექტივებს, ცხადია, რომ ეკონომიკური მეცნიერებისათვის ყველაზე უფრო პერსპექტიული იქნება სწორედ ამ სამ დისციპლინასთან კავშირი.

დისციპლინათაშორის ექსპერიმენტებს სოციოლოგიისა და ეკონომიკის საზღვრებზე ატარებს ეკონომიკური ფსიქოლოგია, ფსიქოლოგიისა და ეკონომიკის საზღვრებზე - ეკონომიკური ფსიქოლოგია, ხოლო ეკონომიკისა და პედაგოგიკის საზღვრებზე - ეკონომიკური პედაგოგიკა.

ეკონომიკურ-სოციოლოგიური ექსპერიმენტი ისეთი ექსპერიმენტია, რომელიც ტარდება ეკონომიკისა და სოციოლოგიის საზღვრებზე. მისი მიზანია სოციოლოგიური და ეკონომიკური ხასიათის ახალი ექსპერიმენტული მონაცემების მიღება.

ეკონომიკურ-ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი არის ისეთი ექსპერიმენტი, რომელიც ტარდება ეკონომიკისა და ფსიქოლოგიის საზღვრებზე. ის გულისხმობს ორივე მეცნიერების - ფსიქოლოგიისა და ეკონომიკის ექსპერიმენტული მეთოდების გამოყენებას. როგორც წესი, ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ როგორც ეკონომიკის, ისე ფსიქოლოგიის სფეროში მიღებულ იქნეს სრულიად ახალი ცოდნა.

ასევე შესაძლოა არსებობდეს ეკონომიკურ-ფსიქოლოგიურ-სოციოლოგიური ექსპერიმენტი. ამის კლასიკური მაგალითია გამოჩენილი ამერიკელი სოციოლოგისა და ფსიქოლოგის ელტომ მეიოს მიერ ჩატარებული ექსპერიმენტები 1924-1925 წლებში ჩიკაგოში მდებარე ქარხანაში „ვესტერნ ელექტრიკი“. მან შეისწავლა სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური ხასიათის მქონე მრავალი ფაქტორის გავლენა მუშაკების შრომის მწარმოებლურობაზე. ასე, რომ შესაძლოა ითქვას, რომ მოცემული ექსპერიმენტები ტარდებოდა, ერთის მხრივ, როგორც ეკონომიკურ-ფსიქოლოგიური, მეორე მხრივ კი- როგორც ეკონომიკურ-სოციოლოგიური.

აღნიშნული, ექსპერიმენტული ეკონომიკის რანგში ჩატარებული ექსპერიმენტების უდიდესი უმრავლესობა, უფრო ეკონომიკურ-ფსიქოლოგიურ ექსპერიმენტებს მიეკუთვნება. შესაძლოა, სწორედ ამითაც არის გამოწვეული ის ფაქტი, რომ ექსპერიმენტულმა ეკონომიკამ ასე გვიან მიიქცია პროფესიონალი ეკონომისტების ყურადღება.

ეკონომიკურ-პედაგოგიური ექსპერიმენტი არის ისეთი ექსპერიმენტი, რომელიც ტარდება ეკონომიკისა და პედაგოგიკის საზღვარზე. ის ორივე მეც-

8. Геронимус Ю. В. Лабораторный экономический эксперимент. Экономико-математический энциклопедический словарь. М., 2003. gv. 232

ნიერების - ეკონომიკისა და პედაგოგიკის ექსპერიმენტულ მეთოდებს გამოიყენებს. როგორც წესი, ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ხელოვნური ლაბორატორიული მოდელირების გზით მსმენელთა ცნობიერებაში ჩაინერგოს გარკვეული ეკონომიკური სიტუაცია: მსმენელებმა თავი უნდა იგრძნონ მოცემული ეკონომიკური ექსპერიმენტის მონაწილეებად. საქმიანი თამაში, რომელიც ტარდება მომავალი ეკონომისტების სწავლებისათვის არის ეკონომიკურ-პედაგოგიური ექსპერიმენტის კლასიკური მაგალითი.

ბუნებრივია, რომ დისციპლინათაშორისი ექსპერიმენტის ზემოაღნიშნული სამი ტიპით არ შემოიფარგლება დისციპლინათაშორისი ეკონომიკური ექსპერიმენტების მთელი მრავალფეროვნება. მაგალითად, შესაძლოა გამოვყოთ შემდეგი ტიპები: ეკონომიკურ-ეკოლოგიური, ეკონომიკურ-დემოგრაფიული, ეკონომიკურ-სამართლებრივი და სხვ ტიპები დისციპლინათაშორისი ექსპერიმენტებისა, რომლებშიც ერთ-ერთია ეკონომიკური მეცნიერება. მაშასადამე, დისციპლინათაშორისი ექსპერიმენტირება მთელი ექსპერიმენტული ეკონომიკისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა.

ცნობილია, რომ დისციპლინათაშორისი კვლევების განვითარებამ ეკონომიკისა და ფსიქოლოგიის გადაკვეთაზე წარმოშვა ქცევითი ეკონომიკა, ხოლო ასეთივე დისციპლინათაშორისმა მიდგომებმა გამოყენებით კვლევებში, საფუძველი დაუდო ექსპერიმენტულ ეკონომიკას. ეკონომიკაში ექსპერიმენტული კვლევების წარმატებები, გასული საუკუნის 70-80-ანი წლებიდან დაწყებული, გამონაკლისი კი არა, უფრო კანონზომიერებაა. ეკონომიკური ექსპერიმენტი, რომელსაც აქამდე ძალიან იშვიათად გამოიყენებდნენ, ამ დროიდან უკვე ეკონომიკური კვლევების სრულფასოვანი მეთოდი გახდა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს მეთოდი ეკონომიკურ მეცნიერებაში ჯერაც არ გამოიყენება სათანადო დოზით.

მიუხედავად ამისა, ექსპერიმენტული ეკონომიკა კვლავ აქტიურად ვითარდება. ეკონომიკურ მეცნიერებაში ექსპერიმენტული მეთოდის გამოყენების პერსპექტიულ გზებს მიეკუთვნება: მიკროეკონომიკურ სიტუაციებში ინდივიდის ეკონომიკური ქცევის ირაციონალური სტანდარტების შემუშავება; სათამაშო ექსპერიმენტირება მისი ყველა ფორმითა და სახით; დისციპლინათაშორისი ეკონომიკური ექსპერიმენტების (ეკონომიკურ-სოციოლოგიური, ეკონომიკურ-ფსიქოლოგიური, ეკონომიკურ-პედაგოგიური და სხვ.) განვითარება; ექსპერიმენტული კვლევების პრინციპების გადატანა ლაბორატორიიდან საველე პირობებში; სამეურნეო სიტუაციების რაოდენობის ზრდა, რომლებიც ექვემდებარება ეკონომიკური ექსპერიმენტის გზით მოდელირებას.

ასე, რომ ეკონომიკური ექსპერიმენტების მეთოდს დიდი მომავალი აქვს. მისადმი დამოკიდებულება აუცილებლად უნდა შეიცვალოს და სწორედ ამაშია მთლიანად ეკონომიკური მეცნიერების პროგრესის და მისი მდგრადი განვითარების გარანტია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Саймон Г. Теория принятия решений в экономической теории и науке о поведении, Вехи экономической мысли. Т. 2. Теория фирмы, под общ. ред. В. М. Гальперина. СПб. : Экономическая школа, 2000;
2. Канеман Д. Думай медленно... решай быстро : пер. с англ. М. : АСТ, 2014;
3. Смит В. Экспериментальная экономика. М.: ИРИСЭН ; Мысль, 2008;
4. Нуреев Р.М., Вернон Смит - основоположник экспериментальной экономики. М.: Ирисен Мысль, 2006;
5. Беляева А.Д. Предпосылки возникновения экспериментальной экономики и её признание как научного направления, Санкт-Петербургский гос. Экономический университет, 2010;
6. Белянин А. Даниель Канеман и Вернон Смит: экономический анализ человеческого поведения. Вопросы экономики. 2003. №1;
7. Геронимус Ю. В. Лабораторный экономический эксперимент. Экономико-математический энциклопедический словарь. М., 2003.

РОЛЬ КОРПОРАЦИЙ В КЛАССИЧЕСКОЙ И СОВРЕМЕННОЙ КОНЦЕПЦИЯХ ЭКОНОМИЧЕСКОГО РАВНОВЕСИЯ

Гладченко А.Ю.
к.э.н., доцент кафедры международной экономики и мировых финансов Днепропетровский национальный университет имени Олеся Гончара

THE ROLE OF CORPORATIONS IN THE CLASSICAL AND THE MODERN CONCEPT OF ECONOMIC EQUILIBRIUM

Gladchenko A.
Ph.D., associate Professor of
international Economics and international Finance
Dnipropetrovs'k national University
named after Oles Gonchar

The article shows the limits of applicability of the models of economic equilibrium within the agrarian and industrial systems of socio-economic relations. The most effective of the existing concept of achieving economic equilibrium based on their application in the implementation of economic practice of economic regulation. Asked to consider the transnationalization as one of the key indicators of achievement of economic equilibrium.

Keywords: model, economic equilibrium, the effectiveness of the concept of regulation. transnationalization.

Резюме

В статье выявлены пределы применимости моделей экономического равновесия в рамках аграрной и индустриальной систем социально-экономических отношений. Определены наиболее эффективные из существующих концепции достижения экономического равновесия на основе их прикладного внедрения в экономическую практику экономического регулирования. Предложено рассматривать транснационализацию как одним из ключевых показателей достижения экономического равновесия.

Ключевые слова: модели, экономическое равновесие, эффективность концепции регулирования. транснационализация.

Актуальность. В период интенсификации новейших эффектов глобализации мирохозяйственных связей те страны, которые демонстрируют экономическое равновесие, меньше страдают от финансовых кризисов, геоэкономических войн, интеграционного давления и других проявлений внешних угроз нестабильности. Однако таких стран очень мало и результаты их экономических решений ведущих к экономическому равновесию скорее можно считать случайностью чем закономерностью, это подтверждается недавними региональными кризисами которые переросли в глобальное явление во время которого лишь не многие страны смогли удержать экономику от дестабилизации. Турбулентное развитие мирового хозяйства и международных экономических отношений свидетельствует, что имеющиеся теоретические разработки по объяснению экономического равновесия не позволяют решить новейшие эмпирические структурные проблемы развития в странах, независимо от степени экономического развития. Но достижение экономического равновесия, актуально как никогда по причинам нарастания взаимозависимости национальных экономик и увеличения амплитуды колебаний различного рода явлений экономической нестабильности. Не стоит забывать, что мир уже сталкивался с такого рода явлениями. В определенный период индустриальная общественно-экономическая формация вытесняя устаревший аграрный строй начала неконтролируемый рост который привел к тому, что в истории называется великой депрессией которая длилась не менее семи лет и сопровождалась тяжелыми потрясениями не только для США, но и большинства стран мира. По нашему мнению современный мир переживает еще одну трансформацию экономической парадигмы которая обусловлена информатизацией и транснационализацией хозяйственной деятельности. Поэтому исследование данной проблематики несет значительный интерес и практическую значимость.

Анализ последних исследований и постановка задачи. История экономической науки свидетельствует, что достаточное количество выдающихся экономистов так или иначе акцентировали внимание в своих трудах на проблемах экономического равновесия, достаточно назвать имена А. Смита [10 с.54], Д. Рикардо [8 с.53], Р. Барра [1 с. 143], Т.Р.Мальтуса [4 с.43-53], Д.Милля [7 с.31], Д. Кейнса [3 с.23], П. Самуельсона [9 с.42], Д. Медоуза [0с.43].

Постановка задачи. Однако следует признать, что категория экономического равновесия в последнее время претерпевает значительные трансформации в современном мировом хозяйстве. Поэтому ключевым аспектом данной проблемы является выявление границ существующих теоретических изысканий в сфере экономического равновесия, и оценка эффективности их использования для современных экономических систем в условиях глобализации.

Результаты исследования. Прежде чем начать

авторский анализ концепций достижения равновесия следует подчеркнуть, что по нашему мнению призма через которую следует отражать существующие концепции и эффективность их применение тип господствующих в определенный отрезок времени социально-экономических отношений, в свое время К. Маркс назвал социально-экономической формацией [5]. Такая точка зрения обусловлена прежде всего тем, что каждая модель в какой-то мере работала в определенной системе экономических отношений и при изменении этих элементов или добавлении новых факторов модель, объясняющую систему уже не могла точно справится со своим назначением. Так, очерчивая релевантные теории в проблематике экономического равновесия, следует подчеркнуть, что первые исследования в этой области появились еще в XVIII веке - в виде модели Ф.Кенэ (1694-1774 гг.). В данной модели экономическое равновесие достигается путем установления обменных процессов между основными классами общества: классом фермеров (производственный класс), классом собственников (дворяне, духовенство, чиновники) и бесплодным классом (ремесленники). Однако несостоятельность своего существования проявилась уже через несколько десятилетий своего существования, модель Кене подверглась серьезной критике. Вместе с этим появление промышленной революции, сопровождавшаяся борьбой трудящихся за свои права во многом изменили общественное сознание и типологию экономической организации того времени. Политические и экономические кризисы XIX века требовали более современных подходов. И они появились в виде моделей экономического равновесия Т.Мальтуса [4 с.34], К.Маркса [5 с.54] и Л. Вальраса [2 с.34]. Так, аргументы, которые сформулировал в своей знаменитой книге «Опыт о законе народонаселения» Т.Мальтус (1798) сводились к выводу о существовании «естественного» закона роста популяции людей, численность которых растет в геометрической прогрессии [4 с.32]. Что же касается производства средств к существованию и жизненного уровня граждан той или иной страны, то рост наблюдается в арифметической прогрессии. В результате различной динамики этих двух процессов возникает незатухающий конфликт за рабочие места, за жилье, и экономические ресурсы. Имея огромную конкуренцию на рынке труда, предприниматели и владельцы всех видов, начинают снижать заработную плату и ухудшать условия труда наемным работникам. Состояние кризиса перманентно растет до тех пор, пока война, социальный взрыв, эпидемия не уменьшат населения.

Следует подчеркнуть, что указанные теоретические разработки относительно форм и методологических акцентов экономического равновесия опирались на существующую в тот промежуток времени систему социально-экономических отношений, которая основана на параметрах аграрной сферы с элементами мелкой промышленности. Что же касается модели Маркса, то она в отличие от перечисленных опирается на то, что движущей силой развития общества является экономика, именно она определяет тип политической организации государства и направление развития страны. В отличие от имеющихся Маркс, таким образом, выделил экономический базис и политическую надстройку. Типы экономических отношений (которые Маркс назвал общественно-экономическими формациями) сменяют друг друга не произвольно, а в определенной последовательности и закономерности. Общественные классы играют у Маркса ту же ведущую роль, что и в Кене. Однако общество и экономика все время находятся в состоянии неравновесия - основные классы в виде пролетариата (наемного труда) и буржуазии (владельцев бизнеса) непрерывно конфликтуют из-за чего возникают между ними непримиримых (антагонистических) противоречий. Стационарного состояния в экономике, согласно Марксу, почти никогда не возникает, поскольку противоречия между трудом и капиталом все время существуют, то обостряясь, переходя в открытые столкновения, то затихая на время принимая латентные формы.Выход из положения Маркс предлагает радикальный - раз рыночную экономику нельзя вылечить от встроенных в нее дефектов, то лучше отказаться от эксплуатации человека человеком и перейти к новой экономической формации - марксизма, где нет противоречий между трудом и капиталом, поскольку это новое бесклассовое и бесконфликтное общество . Однако следует отметить, что какого-либо практического значения для регулирования экономики Маркса модель не имела, так как попытки реализовать на практике положения марксизма закончились в нашей стране и за рубежом неудачно. Другое измерение экономического равновесия, что акцентирует внимание на категориях цены и полезности предложил французский экономист Л.Вальрас (1834-1910). Основатель Лозаннской школы (правопреемником которого впоследствии стал Парето), отверг модель Маркса и заложил в свою модель рыночного равновесия совсем другие принципы. Выходными параметрами модели Вальраса стали не классовые подходы Кене и Маркса, не вопрос политического устройства государства или определения стоимости создаваемого продукта. Вальрас вообще отказывается от категории стоимости как слишком условной величины, а концентрирует внимание на рынках, ценах и полезности. Акцентами теоретического обоснования равновесия ученый выделяет следующие: всегда равновесие на рынках продуктов соответствует равновесию на рынках факторов производства; гарантирует рыночный механизм достижения общего равновесия, и если да, то этот результат единственным или существует несколько наборов цен, которые удовлетворяют этому

результату; если существует единственный вариант равновесия для многих рынков, то оно устойчивым (т.е. случайное отклонение будет вести к возвращению равновесия автоматически) [2].Следует отметить, описанные выше теоретические концепции, Л.Вальраса и К. Маркса объясняющие экономическую равновесие применялись весьма ограниченно, так как прошлый век можно рассматривать как значительное историческое пространство, в пределах которого произошло немало выдающихся изменений, которые повлияли на цивилизационное развитие мировой экономики. Своеобразным катализатором для изменения взглядов на содержание и механизм формирования экономического равновесия мировой экономический кризис, начавшийся в 1929 году и продолжалась до 1939 года [11 с.97-132]. Поэтому 1930-е годы в целом считаются периодом Великой депрессии. Великая депрессия наиболее сильно повлияла на такие страны как: США, Канада, Великобритания, Германия и Франция, но проявилось и в других государствах. В наибольшей степени пострадали промышленные города, в ряде стран практически прекратилось строительство. Из-за сокращения платежеспособного спроса цены на сельскохозяйственную продукцию упали на 40-60%.В этих условиях сформировалась новая экономическая концепция взглядов Дж. М. Кейнса на содержание и управление экономическим равновесием, что в отличие от прошлых акцентировала внимание на государственном регулировании. Основной причиной нарушения экономического равновесия Дж. М. Кейнс считал недостаток совокупного спроса, вызываемое неполной занятостью, поэтому и поставил целью создать модель полной занятости, которая является моделью равновесия. Дж. М. Кейнс рассматривал два варианта своей модели - базовый и расширенный. Базовая макроэкономическая модель рассматривала достижении равновесия в закрытой рыночной экономике без государственного регулирования. Расширенная макроэкономическая модель проявляла условия равновесия открытой рыночной экономики с государственным регулированием. Открытость или закрытость экономики связывалась с существованием внешнего рынка. Экономическое равновесие в кейнсианской модели определяется объемом производства и национального дохода, то есть совокупной предложения равна совокупным расходам или сумме объемов потребления и инвестиций, или совокупном спросу. Уровень занятости при этом будет высоким. Однако на практике мы наблюдаем совершенно иную ситуацию. Вне зависимости от проводимых мероприятий по стабилизации экономики, а как правило эти мероприятия носят одинаковые процедуры (фискальная, монетарная и прочие политики) результаты регулирования значительно отличаются, подтверждения этого представлены на рис.1.



Рис.1. Динамика безработицы по странам как показатель эффективности макроэкономической политики государств [12]

Таким образом по Кейнсу, равновесный объем производства и национального дохода - это такой объем, который обеспечивает общие расходы экономики, достаточные для закупки данного объема продукта. По равновесного объема производства общее количество произведенных товаров, равна общей сумме закупленных товаров (эффективному спросу). Однако базовая модель не учитывает государственных налогов, поэтому допускается, что все сбережения осуществляются домашними хозяйствами, равен национальному доходу, а доход домашних хозяйств равно количеству произведенных товаров [3]. Следует отметить, что именно эта теоретическая концепция стала использоваться успехом вследствие: отвержение принципов оптимизации и методологического индивидуализма в качестве обязательных предпосылок для выведения функций экономических переменных и построения экономических моделей; внесение фундаментальных изменений в экономическую теорию, в результате удалось доказать необходимость активного вмешательства государства в макроэкономическое функционирование рыночного хозяйства. Такое вмешательство наилучшим образом осуществляется при проведении макроэкономической политики, которая воплощается в жизнь на усмотрение правительства в зависимости от состояния экономической конъюнктуры.

Однако как видно из динамики безработицы по странам как показателю эффективности макроэкономической политики государств выше изложенный подход к достижению равновесия изживает себя, так как очевидно что эмпирически корреляции между кейнсианскими инструментами давления на экономику можно наблюдать лишь в краткосрочной перспективе, а в долгосрочной такое регулирование подавляет рынок и вызывает нарастание нестабильности, которое проявляется в снижении деловой активности и несет тяжелые социальные последствия. Так например, постулат Кейнсианства согласно которому при повышении цен устанавливается новый объём производства и потребления называемый новый уровень равновесия, на самом деле означает ухудшения социальных тенденций таких как например уровень сбережений и инвестиций в экономику. Следует отметить

что некоторые страны регулируя экономику на общих принципах кейнсианства, продуцируют значительные средства в развитие корпоративного сектора и сферы общественного взаимодействия системы «корпорация-государство». По нашему мнению именно развитие и поддержание экспансии национальных корпораций и стало новым может и не совсем осознанным инструментом достижения экономического равновесия , а как результат и устойчивого развития (рис.2.)



Рис.2. Систематизация количественных показателей транснационализации по географическому признаку в 2014 г. [12]

Систематизация количественных показателей транснационализации по географическому признаку в 2014 г. свидетельствует что именно представленные страны на сегодня не смотря на внешние и внутренние проблемы демонстрируют стабильность равновесия и качественного роста экономики, и чем больше влияние их ТНК на мировую торговлю тем этот рост устойчивее. Теоретическое обоснование авторской позиции частично присутствует в некоторых классических изысканий в данной проблематике

Так мировой экономический кризис 30-х годах XX в. нанес тяжелый удар по центральной концепции неоклассиков о стихийном рыночном регулировании и равновесии капиталистической экономики, которое отвергает государственное вмешательство. В новых условиях существования крупных монопольных гигантов свободное предпринимательство приводит рыночную экономику к краху. Тем не менее, после второй мировой войны неоклассическая школа начала возрождаться. Представители неоклассиков указывали на противоречия регулирования экономики кейнсианской логике, и настаивали на том, что социалистическая экономика менее эффективна, чем рынок, хотя последний не идеальный, но его лучше регулировать с помощью политического, а не экономического вмешательства.

Виводы. Следует подчеркнуть, что, мировой экономический кризис 30-х годах XX в. нанес тяжелый удар по центральной концепции неоклассиков о стихийном рыночное регулирование и равновесие капиталистической экономики, отвергает государственное вмешательство. В новых условиях существования крупных монопольных гигантов свободное предпринимательство приводит рыночную экономику к краху. Тем не менее, представители неоклассиков указывали на противоречия регулирования экономики кейнсианской логике, и настаивали на том, что социалистическая экономика менее эффективна, чем рынок, хотя последний не идеальный, но его лучше регулировать с помощью политического, а не экономического вмешательства. Однако следует подчеркнуть что в современной системе мирохозяйственных связей именно ТНК имеют значительное влияние на экономическое равновесие и развитие национальных экономик как таковых, к тому же по нашему мнению сам термин равновесие переносится на глобальный уровень. Однако данный тезис нуждается в дальнейшем развитии и обосновании, что и является предметом следующих исследований.

СПИСОК ЛИТЕРАТУРЫ

1. Барр Р. Политическая экономия: пер. с фр. / Р. Барр // Собр. соч. В 2 т. – М.: Междунар. отношения, 1994. – Т. 2. – 749 с.
2. Вальрас Л. Элементы чистой политической экономии. – М. : Изограф, 2000. – 448 с.
3. Кейнс Дж. М. Общая теория занятости, процента и денег. — М.: ГелиосАРВ, 2002. — 352 с.
4. Мальтус Т. Опыт закона о народонаселении [Электронный ресурс] / Т. Мальтус. – Режим доступа: http://demoscope.ru/weekly/knigi/maltus/maltus.html
5. Маркс К. Капитал. Критика политической экономии. Том второй, книга 2: процесс производства капитала. – М. : Политиздат. – 1983. – 3883 с.
6. Медоуз Д., Медоуз Д., Рандерс Й. Пределы роста. 30 лет спустя [Электронный ресурс] / Д. Медоуз. – Режим доступа: http://ecorussia.info/ru/ecopedia/donella-medouz-pre-dely-rosta#paragraph_3503
7. Милль Дж.С. Основы политической экономии: пер. с англ. /Дж.С. Милль // Собр. соч. в 3 т. – М.: Прогресс, 1980. – Т. 2. – 480 с.
8. Рикардо Д. Начала политической экономии и налогового обложения / Д. Риккардо // Собр. соч. в 5 т. – М.: Госполитиздат, 1995. – Т. 1. –360 с.
9. Самуельсон П. Экономика / П. Самуельсон // Собр. соч.: в 2 т. – М.: МГП Алгон ВНИИСИ, 1992. – Т. 2. – 413 с.
10. Смит А. Исследование о природе и причинах богатства народов / А. Смит. – М. : Изд-во «Соцэкгиз», 1962. – 684 с.
11. Bell D. The Coming of Post-Industrial Society. A Venture in Social Forecasting / D. Bell. – N. Y., 1973. – 234 p.
12. Transnational Corporations and Management Division Department of Economic and Social Development// [Електронний ресурс]. - Електрон. дан. – Режим доступу: http://unctc.unctad.org/data/e93iia3.pdf

რისკების მართვა ეკონომიკაში

აკაკი გვარუციძე,
სტუ-ს ასოც. პროფესორი

რეზიუმე

სამეცნიერო სტატიაში „რისკების მართვა ეკონომიკაში“ აღნიშნულია, რომ ეკონომიკა წარმოუდგენელია გარკვეული რისკების გარეშე. ეკონომიკის გლობალიზაციამ კიდევ უფრო გააძლიერა ეკონომიკაში რისკების დადგომის ალბათობა. რისკი არის რაღაცის არ მიღების, მიზნის მიუღწევლობის ან რაღაცის დაკარგვის საშიშროების შემცველი პროცესი. რისკი, როგორც ეკონომიკური პროცესი, არის მოვლენა, რომელიც შეიძლება მოხდეს ან არ მოხდეს.

რისკები მრავალნაირია. იმის მიუხედავად, რომ ყველანაირი რისკი საბოლოო ჯამში ეკონომიკური შედეგით ფასდება, მათ მაინც აჯგუფებენ: პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ბუნებრივ, ტექნოლოგიურ და პიროვნულ რისკებად.

რისკების მართვა წარმოადგენს ერთ-ერთ დინამიურად განვითარებადი სახის პროფესიულ საქმიანობას და დღითიდღე სულ უფრო აქტუალური ხდება. იგი გულისხმობს სავარაუდოდ, რისკის გამოვლენის, რისკის შეფასების, რისკის მართვის მეთოდის შერჩევას და მისი გამოყენებითდმიღებული შედეგის შეფასებას.

რისკები ეკონომიკაში იმართება და რეგულირდება, როგორც სახელმწიფო, ისე ფირმის დონეზე. სახელმწიფო დონეზე მას არეგულირებს ქვეყნის მთავრობა, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდებით. პირდაპირი რეგულირება მჟღავნდება საწარმოთა დოტაციურ დაფინანსებაში, ხოლო არაპირდაპირი საწარმოთა შეღავათიან დაბეგვრაში გადასახადებით.

საკვანძო სიტყვები: რისკები, ინოვაციური, თვითდაზღვევა, დოტაციური, რეგულირება, მართვა, სარისკო სიტუაცია

Risks management in Economics

Akaki Gvarutsidze

Summary

,,Risks management in Economics'' are marked in Scientific article, that innovative the ecomomic is inconceivable without risks. The globalization of the economic has strenghten more the probability of the risks in economics. The risk is the process of not receiving, of inaccessibility of the result or of danger of loss of something. The risk as the economocal process is the event, which must happen or must not happen.

The risks have many forms. Besides, that all the risk in total, is evaluated by economical result, they although are divided into groups: political, economical, naturad, technological and personal risks.

Risks management is the professional activity of one dunamic developed type and day by becomes more actual. It means supposedly the manifestation of the risk, the evalution of risk, the selection of the method of risk management and the evaluation of the result received by its use.

The risks are managed in economics and are regulated, as on the level of State as on level of firm. On State level the Government of the counrty regulates it, as by direct as also by indirect methods. The direct regulate reveals in the subsidized finansing of the enterprises, but undirect methods consist preferential taxation taxes of indirect ebterprises.

Keywords: risks, innovative, sulf insurance, subsides, adjustment, management, risk situation.

შესავალი

თანამედროვე სამეწარმეო საქმიანობა გარკვეული თვალსაზრისით სარისკო ბიზნესია. ეკონიმიკის გლობალიზაციამ კიდევ უფრო გააძლიერა ეკონომიკურ საქმიანობაში სარისკო სიტუაციები. სწორედ ამიტომაა, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეკონომიკაში რისკების მართვის პრობლემებს.

თანამედროვე პირობებში სარისკო სიტუაციების სასწავლო კურსები „რისკმენეჯმენტის“ სახელწოდებით ჩამოყალიბდა.

ადამიანთა არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე ყველაზე გაბედული აღიარება იყო იმის თქმა, რომ მათ შეუძლიათ თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარონ სარისკო სიტუაცია. მართალია, რომ ღმერთი თავისათავად არ იძლევა რეალურად იმის ცოდნას, რა ელოდება მათ საქმიანობას სარისკო სიტუაციიდან გამომდინარე, მაგრამ ადამიანები აღიქვამენ მომავალ მოსალოდნელ არასასურველ სიტუაციებს და სწავლობენ მისი აღკვეთის ღონისძიებების მენეჯმენტს.

განვითარების ყველა ეტაპზე ადამიანთა საქმიანობას თან ახლდა გარკვეული სარისკო სიტუაცია. მათი ნაწილი ადამიანთა არასწორი გადაწყვეტილებების შედეგი იყო, მეორე ნაწილი კი ადამიანისგან დამოუკიდებლად არსებობდა.

რისკი არის რაღაცის არ მიღების, მიზნის მიუღწევლობის ან რაღაცის დაკარგვის საშიშროების შემცველი პროცესი. რისკი, როგორც ეკონომიკური კატეგორია, არის მოვლენა, რომელიც შეიძლება მოხდეს ან არ მოხდეს.

ეკონომიკაში რისკებს წარმოქმნის ფუნდამენტური, კონიუნქტურული და შინაგანი ფაქტორები. ფუნდამენტურ ფაქტორებს მიეკუთვნება კონკრეტული ქვეყნის და აგრეთვე, მსოფლიოს პოლიტი-

კურ-ეკონომიკური მდგომარეობა, კონიუნქტურულ ფაქტორებს – ბაზრის მდგომარეობა, ხოლო შინაგან ფაქტორებს, ვენჩურული ფირმის შინაგანი გარემო.

რისკები მრავალნაირია. იმის მიუხედავად, რომ ყველანაირი რისკი საბოლოო ჯამში, ეკონომიკური შედეგით ფასდება, მათ მაინც აჯგუფებენ. პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ბუნებრივ, ტექნოლოგიურ და პიროვნულ რისკებად.

ძირითადი ნაწილი

რისკების მართვა წარმოადგენს ერთ-ერთ დინამიურად განვითარებადი სახის პროფესიულ საქმიანობას და დღითიდღე სულ უფრო აქტუალური ხდება. იგი მოიცავს სავარაუდოდ, რისკის გამოვლენას, რისკის შეფასებას, რისკის მართვის მეთოდის შერჩევას და მისი გამოყენებით მიღებული შედეგის შეფასებას.

რისკები ეკონომიკაში იმართება და რეგულირდება, როგორც სახელმწიფო ისე ფირმის დონეზე. სახელმწიფო დონეზე მას არეგულირებს ქვეყნის მთავრობა, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდებით. პირდაპირი რეგულირება მჟღავნდება საწარმოთა დოტაციურ დაფინანსებაში, ხოლო არაპირდაპირი საწარმოთა შეღავათიან დაბეგვრაში გადასახადებით.

რისკების მართვის სისტემა მოიცავს:

საკადრო, მატერიალურ-ტექნიკურ, ფინანსურ, ინფორმაციულ, სამართლებრივ აუცილებლობას, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება მართვის ნებისმიერი სისტემის ფუნქციონირება.

რისკის მართვის ობიექტი, სარისკო ინვესტიციები, ეკონომიკური და სოციალური სარისკო ურთიერთობები, რომლებიც რისკის რეალიზაციის პროცესში წარმოიქმნება (ურთიერთობა დამქირავებელს და კრედიტოს შორის, სამეწარმეო სუბიექტებს შორის და სხვა).

მართვის სუბიექტი – ადამიანთა სპეციალური ჯგუფი (სტრუქტურული ქვეგანყოფილება: განყოფილება, რისკის სამსახური ან მენეჯმენტი, ფინანსური მენეჯმენტი და ა.შ.), რომელიც ახორციელებს მართვის ობიექტის ფუნქციონირებას მმართველობით ზემოქმედების სხვადასხვა ხერხებით და მეთოდებით.

მართვის პროცესში მართვის სუბიექტი ეყრდნობა ობიექტურად არსებულ პრინციპებს და სხვადასხვაგვარი მეთოდებით ზემოქმედებს მართვის ობიექტებზე იმისათვის, რომ უზრუნველყოს დასახული მიზნების და ამოცანების შესრულება.

რისკის მართვა, როგორც სისტემა, შედგება ორი ქვეისისტემისაგან: მართვადი ქვესისტემა, რომელიც მოიაზრება მართვის ობიექტად და მმართველი ქვესისტემა, რომელიც წარმოგვიდგება მართვის სუბიექტად. რისკის მართვის სისტემაში მართვის ობიექტს მიეკუთვნება: რისკის დაშვება, კაპიტალის სარისკო ჩადება და რისკის რეალიზაციის პროცესში ეკონომიკური ურთიერთობა ისეთ მეურნე სუბიექტებს შორის, როგორიცაა: მეწარმე და პარტნიორები, კრედიტორი და დებიტორი, დამზღვევი და მზღვეველი, კონკურენტები და ა.შ. რისკის მართვის სისტემაში მართვის სუბიექტად კი მიჩნეულია ადამიანთა სპეციალური ჯგუფი (მეწარმე, ფინანსური მენეჯერი, რისკ-მენეჯერი, დაზღვევს სპეციალისტი და სხვ.), რომელიც სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით ახდენს გავლენას მართვის ამა თუ იმ ობიექტზე.

ბევრ ფირმაში შემოღებულია რისკ-მენეჯერის თანამდებობა, რომლის მოვალეობას წარმოადგენს ამა თუ იმ სახის რისკის შემცირება. რისკ-მენეჯმენტის მმართველობითი ფუნქცია დასახული მიზნის მისაღწევად საჭირო საშუალებებით დროული და კომპლექსური მანიპულირება. აღსანიშნავია, რომ ინოვაციურ საქმიანობაში მნიშვნელოვანია არა რისკების თავიდან აცილება, არამედ მათი მინიმიზაცია, რაც შესაძლებელია შემდეგი ძირითადი მეთოდების გამოყენებით:

რისკების განაწილების მეთოდი გულისხმობს თანაინვესტორთა მოძიებას, რათა მიღწეულ იქნას რისკების შემცირება მათი გადანაწილებით პროექტის მონაწილეობაზე. მხარე, რომელიც პასუხისმგებელია კონკრეტულ რისკზე, კარგად უნდა ერკვეოდეს მის სპეციფიკაში, რათა გონივრულად შეაფასოს და აკონტროლოს იგი. ამასთან, იგი უნდა იყოს ფინანსურად მდგრადი იმისათვის, რომ გაუძლოს რისკების სავარაუდო უარყოფით გავლენას. აღსანიშნავია, რომ რაც უფრო ძლიერია თანაინვესტორთა ჯგუფი, მით ნაკლებია პროექტის შეჩერების ალბათობა ამა თუ იმ გაუთვალისწინებელ გარემოებათა გამო.

დივერსიფიკაციის მეთოდი საშუალებას იძლევა, ინვესტიციათა მრავალფეროვნების ხარჯზე შემცირებულ იქნას პორტფელური რისკები, რაც გულისხმობს ერთ საინვესტიციო პროექტის გაერთიანებას იმ მიზნით, რომ თავიდან იქნას აცილებული ყველა პროექტის მომგებიანობის ერთდროული ცვლილება ერთი და იმავე მიმართულებით. რისკიანი ფინანსური აქტივებისაგან შემდგარი პორტფელები შეიძლება ისეთნაირად იქნას ფორმირებული, რომ თუ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო ერთ-ერთი პროექტი აღმოჩნდება წამგებიანი, სხვების მიერ მიღებულმა მოგებამ კომპანია გაკოტრებისგან გადაარჩინოს. დივერსიფიკაცია გულისხმობს ასევე, პროდუქციის გარკვეულ სახეობაზე მოთხოვნის შემცირებით გამოწვეული რისკის თავიდან აცილების მიზნით ფირმის მიერ სხვადასხვა სახის პროდუქციის წარმოებას;

დაზღვევა, როგორც ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემა, წარმოადგენს რისკის შემცირების ყველაზე გავრცელებულ ფორმას და გულისხმობს რისკის სხვაზე გადაცემას გარკვეული გასამრჯელოს ფასად, რაც ნიშნავს ზარალის განაწილებას სადაზღვევო ურთიერთობების მონაწილეთა შორის. დაზღვევის შემთხვევაში იქმნება სპეციალური სადაზღვევო ფონდი, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა ტიპის ზარალისა თუ დანაკარგის ანაზღაურების მიზნით. მაგალითად, სადაზღვევო კომპანიაში ფიზი-

კური და იურიდიული პირები დებენ თანხებს იმისათვის, რომ რისკით გამოწვეული ზარალის შემთხვევაში დამზღვევმა მიიღოს გარკვეული კომპენსაცია. კერძო სადაზღვევო კომპანია წარმოადგენს კომერციულ საწარმოს. საქონელი, რომლითაც ის ვაჭრობს, საფინანსო დახმარებაა. იმისათვის, რომ შეძლონ ფუნქციონირება, სადაზღვევო კომპანიებმა უნდა დაფარონ საკუთარი დანახარჯები, რომლებიც შედგება სადაზღვევო პოლისების ასანაზღაურებელი თანხების, ადმინისტრაციული დანახარჯები,ს ლიკვიდურობისა და გადასახადებისაგან. სადაზღვევო კომპანიებში დიდ როლს თამაშობენ ის ადამიანები, რომლებიც განსაზღვრავენ სადაზღვევო დანაკარგებისა და პრემიების მოცულობას. მათ აქტუარები ეწოდება. ისინი ადგენენ სადაზღვევო ცხრილებს, სადაც აისახება სხვადასხვა სტიქიური მოვლენის ალბათობა და იყენებენ მათ სადაზღვევო პრემიების დასადგენად. სადაზღვევო აგენტები არიან სადაზღვევო კომპანიების ის თანამშრომლები, რომლებიც წყვეტენ, თუ რომელი რისკები, რა თანხებში უნდა იქნეს დაზღვეული. აღსანიშნავია, რომ დაზღვევა გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა პირთა დიდი რაოდენობა განიცდის ანალოგიურ რისკს.

რისკის დაზღვევასთან ერთად გამოიყენება დაზღვევა, რომელიც გულისხმობს პირდაპირი მზღვეველის მიერ დაზღვეულისაგან სადაზღვევო ხელშეკრულებით აღებული რისკის გარკვეული ნაწილის სხვა მზღვეველისთვის გადაცემას ისე, რომ ამ უკანასკნელს დაზღვეულთან სამართლებრივი ურთიერთობა გააჩნია. გადაზღვევის დროს მაქსიმალურად იზღუდება სადაზღვევო კომპანიის ზარალი და ის გაკოტრებისაგან დაცულია. გადაზღვევის მიზანია რისკების განაწილების გზით დამზღვევის დაბალანსებული პორტფელის შექმნა, სადაზღვევო ოპერაციების ფინანსური მდგომარეობისა და რენტაბელობის უზრუნველყოფა, ზეგავლენა პირდაპირი მზღვეველის გადახდისუნარინობის მაჩვენებელია გაუმჯობესებაზე, ლიკვიდური აქტივების შეთავაზება უშუალოდ მზღვეველისათვის სადაზღვევო შემთხვევების დადგომისას, დანაკარგის სწრაფი რეგულირებისათვის გადაზღვევის გამოყენება მიზანშეწონილია მაშინ, როცა სადაზღვევო კომპანიების რისკის ასაღებად საკმარისი ფინანსური თანხები არ გააჩნიათ. გადაზღვევა რეგულირდება ხელშეკრულების ფორმით. ეს უკანასკნელი წარმოადგენს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც ერთი სადაზღვევო კომპანია - ,,ცედენტი" გადასცემს დასაზღვევად მიღებული რისკის ნაწილს სხვა კომპანიას - ,,ცესიონერს". გადაზღვევის ხელშეკრულება პირდაპირ მზღვეველსა და გადამზღვეველს შორის სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველია, რომელშიც მოცემულია გადაზიდვების წესები და დებულებები.

რეზერვირება, რომლის დროსაც საწარმო ქმნის სპეციალურ ფონდებს (ძირითადად მოგებიდან) საბრუნავი საშუალებების ნაწილის ხარჯზე. იგი წარმოადგენს სარეზერვო ფონდის შექმნის დეცენტრალიზებულ ფორმას სამეურნეო სუბიექტში, ამიტომაც განიხილება, როგორც დანაკარგის დაფარვაზე საშუალებების რეზერვირება და ხშირად თვითდაზღვევას უწოდებენ. რეზერვირების შემთხვევაში აუცილებელია ოპტიმალური მარაგის განსაზღვრა, ხოლო თუ დანაკარგებმა გადააჭარბა დაგროვილ რეზერვს, რაც მოსალოდნელია დაუგეგმავი რისკის პრიობებში, საწარმომ უნდა გამონახოს მათი კომპენსაციისათვის დამატებითი სახსრები.

ჰეჯირება წარმოადგენს ბაზარზე არასასურველი ფასის კონიუნქტურის რისკის შემცირების ეფექტიან საშუალებას. ვადიანი კონტრაქტების დადებით მეწარმე თავს იცავს ბაზარზე ფასების რყევისაგან, რითაც ამცირებს თავისი სამეწარმეო საქმიანობის სავარაუდო შედეგების გაურკვევლობის დონეს.

ლიმიტირება გულისხმობს შეზღუდვის სისტემის გარკვეულ წესებს, რომლებიც გამოიყენება კაპიტალდაბანდებების განსაზღვრის, საქონლის კრედიტში გაყიდვის, სესხის გაცემის და სხვა შემთხვევაში, მისი საშუალებით ხდება ფულადი სახსრების ზღვრული დონის დადგენა.

აღსანიშნავია, რომ რისკის მინიმიზაციის მეთოდების კონკრეტული არჩევანი დამოკიდებულია მეწარმისა და რისკ-მენეჯერის გამოცდილებასა და ინოვაციური ფირმის შესაძლებლობაზე. ხშირად სასურველი შედეგის მისაღებად გამოიყენება არა ერთი, არამედ, რისკების შემცირების მეთოდთა ერთობლიობა ინოვაციური პროექტის განხორციელების ცალკეულ ეტაპზე. რაც, საბოლოო ჯამში, კომპანიის ეფექტიანი განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

დასკვნა

თანამედროვე სამეწარმეო საქმიანობა გარკვეული თვალსაზრისით სარისკო ბიზნესია. ეკონომიკის გლობალიზაციამ კიდევ უფრო გააძლიერება სარისკო სიტუაციები. სწორედ ამიტომაა, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რისკების მენეჯმენტის პრობლემებს.

რისკი, როგორც ეკონომიკური პროცესი არის მოვლენა, რომელიც შეიძლება მოხდეს ან არ მოხდეს. რისკების ნაწილი ადამიანთა სამეურნეო საქმიანობაში არასწორი მოქმედების შედეგი იყო, ხოლო ნაწილი კი მისი ქმედების გარეშე არსებობდა. იმის მიუხედავად, რომ ყველანაირი რისკი საბოლოო ჯამში, ეკონომიკური შედეგით ფასდება, მათ მაინც აჯგუფებენ: პოლიტიკურ, ბუნებრივ, ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ და პიროვნულ რისკებად.

რისკების მართვის ამოცანა დღითიდღე სულ უფრო აქტუალური ხდება მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე.

რისკების მართვის სისტემა მოიცავს:

№ საკადრო, მატერიალურ-ტექნიკურ, ფინანსურ, ინფორმაციულ, სამართლებრივ აუცილებლობას, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება მართვის ნებისმიერი სისტემის ფუნქციონირება.

№ მართვის პროცესში მართვის სუბიექტი ეყრდნობა ობიექტურად არსებულ პრინციპებს და სხვადასხვაგვარი მეთოდებით ზემოქმედებს მართვის ობიექტებზე იმისათვის, რომ უზრუნველყოს დასახული მიზნების და ამოცანების შესრულება.

რისკების მართვა, როგორც სისტემა, შედგება ორი ქვესისტემისაგან: მართვადი ქვესისტემა, რომელიც მოიაზრება მართვის ობიექტად და მმართველი ქვესისტემა, რომელიც წარმოგვიდგება მართვის სუბიექტად.

თანამედროვე სამეწარმეო საქმიანობაში აუცილებელია არა რისკების თავიდან აცილება, არამედ მათი შედეგების მინიმიზაცია, რაც შესაძლებელია შემდეგი ძირითადი მეთოდების გამოყენებით:

№ რისკების განაწილების მეთოდი;

№ დივერსიფიკაციის მეთოდი;

№ დაზღვევა, როგორც ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემა;

№ რეზერვირება;

№ ჰეჯირება;

№ ლიმიტირება.

ეკონომიკურ საქმიანობაში ხშირად სასურველი შედეგის მისაღებად გამოიყენება არა ერთი, არამედ რისკების შემცირების მეთოდთა ერთობლიობა, რაც საბოლოო ჯამში ეკონომიკის ეფექტიანი განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ცაავა გ. აბრამია თ., ცაავა დ. რისკოლოგია. თბ., 2007.
2. ლაზვიაშვილი ნ., ,,რისკმენეჯმენტი" (სახელმძღვანელო), თბ., 2010.
3. ბენიძე ნ., შონია ნ., ბიწაძე ჯ. რისკები და დაზღვევა. თბ., 2010.
4. Пикфорд Д., Управление рисками М., Вершина, 2004, გვ. 6.

ორგანიზაციის კონკურენტული სტრატეგიის ძირითადი სახეები და მათი გავლენა მყარი კონკურენტუნარიანობის მისაღწევად

ირინა ბენია , სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

ეფექტური სტრატეგიის საფუძველს წარმოადგენს მყარი კონკურენტული უპირატესობა, რომელსაც ორგანიზაცია ფლობს, თუკი მისი კლიენტებთან მუშაობის დონე კონკურენტებზე მაღალია და თუკი მას შეუძლია დაძლიოს კონკურენტული ძალების გავლენა. მყარი კონკურენტული უპირეტესობის მიღწევის საშუალებებიდან შესაძლებელია გამოვყოთ ცნობილი სავაჭრო მარკისა და რეპუტაციის არსებობა, საკუთარი ტექნოლოგიის არსებობა, კლიენტთა საუკეთესო მომსახურების ორგანიზება, ახალი პროდუქტის შემუშავებისა და დანერგვის უზრუნველყოფა უფრო მოკლე პერიოდში, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოება, დანაკარგთა დაბალი დონის მიღწევა.

ორგანიზაციის კონკურენტულ სტრატეგიას განვიხილავთ როგორც ბიზნესისა და ინიციატივებისადმი ყველა შესაძლო მიდგომას, რომლებსაც ისინი გამოიყენებენ კლიენტთა მოზიდვისათვის, მყარი კონკურეტუნარიანობის მიღწევის მიზნით ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარებისა და კონკურენტული ბრძოლის წარმოებისათვის. კონკურენციის სტრატეგია გულისხმობს ბაზარზე სიტუაციის ცვლილების შესაბამისად როგორც შეტევითი, ისე თავდაცვითი საქმიანობის განხორციელებას. გარდა ამისა, ფირმის კონკურენტული სტრატეგია ითვალისწინებს სწრაფი რეაგირების მიზნით მოკლევადიან ტაქტიკურ სვლებს და გრძელვადიან საქმიანობას, რომლებზეც დამოკიდებულია ორგანიზაციის კონკურენტული შესაძლებლობები და პოზიციები ბაზარზე.

РЕЗЮМЕ

Основой эффективной стратегаи является устойчивое конкурентное преимущество. Предприятие обладает конкурентным преимуществом, если уровень его работы с клиентами выше, чем у конкурентов, и оно в состоянии противостоять влиянию конкурентных сил. Способы достижения конкурентного преимущества разнообразны. Из всей совокупности можно выделить: наличие хорошо известной торговой марки и репутации, наличие собственной технологии, организация отличного обслуживания клиентов, обеспечение разработки и внедрения нового продукта в более короткие сроки, производство высококачественной продукции, достижение низкого уровня издержек. Стратегию конкуренции организации мы определяем как всевозможные подходы к бизнесу и инициативы, которые она использует для привлечения клиентов, ведения конкурентной борьбы и укрепления своих позиций на рынке в целях достижения устойчивой конкурентоспособности.

Ключевые слова: Конкурентное преимущество, Дифференциация, Товары заменители, Стратегия лидерство, Оборонительные стратегии, Патентование, Высоколиквидные активы.

* * * * * *

ეფექტური სტრატეგიის საფუძველს წარმოადგენს მყარი კონკურენტული უპირატესობა. ორგანიზაცია ფლობს კონკურენტულ უპირატესობას, თუ მისი კლიენტებთან მუშაობის დონე კონკურენტებთან შედარებით უფრო მაღალია და თუკი მას შეუძლია დაძლიოს კონკურენტული ძალების გავლენა.

მყარი კონკურენტული უპირატესობის მიღწევის საშუალებები მეტად მრავალფეროვანია, რომელთაგანაც შესაძლებელია გამოვყოთ: სავაჭრო მარკისა და რეპუტაციის არსებობა, საკუთარი ტექნოლოგიის არსებობა, კლიენტთა საუკეთესო მომსახურების ორგანიზება, მეტოქესთან შედარებით უფრო მოკლე პერიოდში ახალი პროდუქტის შემუშავებისა და დანერგვის უზრუნველყოფა, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოება, დანაკარგთა დაბალი დონის მიღწევა და ა.შ.

ორგანიზაციის კონკურენტულ სტრატეგიას განვსაზღვრავთ, როგორც ბიზნესისა და ინიციატივებისადმი ყველა შესაძლო მიდგომას. იგი გამოიყენება კლიენტთა მოზიდვისათვის, მყარი კონკურეტუნარიანობის მიღწევის მიზნით, ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარებისა და კონკურენტული ბრძოლის წარმოებისათვის.

კონკურენციის სტრატეგია გულისხმობს ბაზარზე სიტუაციის ცვლილების შესაბამისად შეტევითი და თავდაცვითი საქმიანობის განხორციელებას [1, გვ.267]; ფირმის კონკურენტული სტრატეგია ითვალისწინებს ასევე სწრაფი რეაგირების მიზნით მოკლევადიან ტაქტიკურ სვლებს და გრძელვადიან საქმიანობას. [2, გვ.158].

პორტერის [3, გვ.154] მიერ ფორმულირებული კომპანიის კონკურენტული სტრატეგიისადმი ხუთი ძირითადი მიდგომა შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას შემდეგი სქემის მიხედვით (იხ. ნახ. 1)



დანახარჯების მიხედვით ლიდერობის სტრატეგიის ძირითადი მიზანი მდგომარეობს დანახარჯების მიხედვით იმ კონკურენტებზე მყარი უპირატესობის შექმნაში, რომლებიც მომხმარებელს დაბალ ფასებს სთავაზობენ და შემდგომში მათი, როგორც კონკურენტებთან ბრძოლის საფუძვლად გამოყენებით მოიპოვებენ ბაზრის წილს ან საბაზრო ფასებით საქონლის გაყიდვიდან ღებულობენ დამატებით მოგებას [4, გვ.97]. სტრატეგია ორიენტირებულია მთლიანად ბაზარზე. საჭიროა აღინიშნოს, რომ ხარჯების მიხედვით უპირატესობა იძლევა მოგებას იქამდე, სანამ კონკურენტები არ მიიღებენ გადაწყვეტილებას შეამცირონ ფასები და ამის ხარჯზე გაზარდონ გაყიდვების მოცულობა. დანახარჯების მიხედვით უპირატესობის მიღწევისათვის ფირმის საერთო საწარმოო ხარჯები ყველა ფასის მიხედვით უნდა იყოს კონკურენტების დანახარჯებზე ნაკლები. ამ მიზნით ფირმამ უნდა გადადგას შემდეგი ნაბიჯები: კონკურენტებზე უკეთ უნდა შეასრულოს სამუშაო, ეფექტურად განახორციელოს ოპერაციები შიდა ფასების დაწესებისა და იმ ფაქტორების მართვის თვალსაზრისით, რომელიც მათში დანახარჯების დონეს განსაზღვარავს, ოპერაციების გაერთიანების გზით უნდა მოახდინოს ფასების დონის ორგანიზების გამოსწორება.

მიმაჩნია, რომ დანახარჯების მიხედვით ლიდერობის სტრატეგია მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, როცა: გამყიდველებს შორის კონკურენცია ძალიან მაღალია, დარგში წარმოებული პროდუქტი სტანდარტულია და პასუხობს მყიდველთა ყველა მოთხოვნას, მყიდველთა მოზიდვის მიზნით არსებობს პროდუქტის დიფერენციაციის საშუალება, ერთი სახის პროდუქტის ნაცვლად სხვა პროდუქტის შეძენის ხარჯი ბევრად დაბალია, რაც დაბალი ფასის მქონე პროდუქტის თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალებას იძლევა, არსებობს დიდი რიცხვი მყიდველებისა, რომლებიც წარმოადგენენ მნიშვნელოვან ძალას ფასების შემცირებისათვის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დანახარჯების მიხედვით ლიდერობის სტრატეგიამ შესაძლოა მიგვიყვანოს ნეგატიურ შედეგამდე, თუკი იგი ფირმის განვითარების საერთო სტრატეგიაში წამყვანია. მოსალოდნელი შედეგი შეიძლება იყოს კონკურენტთა მიერ საქმიანობის გაუმჯობესება, რადგან ტექნოლოგიური სიახლეები კონკურენტებს საშუალებას აძლევს შეამცირონ დანახარჯები. კონკურენტმა ორგანიზაციებმა შეიძლება მოძებნონ დანახარჯების მიხედვით ლიდერთა სიახლეების კონსერვირების მარტივი და იაფი მეთოდები.

მხოლოდ დაბალ დანახარჯებზე ორიენტაცია შეიცავს რისკს, რომ მყიდველმა შეიძლება შეცვალოს თავისი შეხედულება და მოითხოვოს გაუმჯობესებული ხარისხის საქონელი ახალი მახასიათებლებით [5.გვ.82]. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ დანახარჯების შემცირებაში მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელებამ შეიძლება გამოიწვიოს ფირმის არსებული ტექნოლოგიებისა და მიმდინარე სტრატეგიის ფარგლებში მოქცევა, რაც დაუცველს ხდის მას ახალი ტექნოლოგებისა და მიუხედავად დაბალი ფასისა მზარდი სამომხმარებლო ინტერესების წინაშე.

დიფერენციაციის სტრატეგიები მიმზიდველი ხდება იმის გათვალისწინებით, რომ მყიდველის მოთხოვნის მრავალფეროვნება ვერ კმაყოფილდება სტანდარტული საქონლით [6,გვ.77]. მოცემული სტრატეგიის არსი იმ ერთადერთი გზის მოძიებაში მდგომარეობს, რომელიც მყიდველს მათთვის საჭირო საქონელს შესთავაზებს დამატებითი თვისებებით და მუდმივად შეინარჩუნებს ამ უპირატესობას [1,გვ.305].

წარმატებულ დიფერენციაციას შეუძლია შექმნას დარგში ახალ მოთამაშეთათვის ბარიერები, ასევე ასუსტებს მყიდველის გავლენას, რადგანაც ალტერნატიული გამყიდველების პროდუქცია უფრო მიმზიდველია მათთვის და ფირმას ეხმარება თავიდან აიცილოს საქონელ-სუბსტიტუტების მხრიდან მოსალოდნელი რისკი, რამდენადაც მათი მახასიათებლები და ხარისხი არ შეესაბამება დიფერენცირებულ პროდუქციას. [7,გვ.86].

ოპტიმალური დანახარჯების სტრატეგია ორიენტირებულია მყიდველთათვის მათ ხელთ არსებული ფულით უფრო მეტი ფასეულობის შეძენის შესაძლებლობაზე. სტრატეგიული მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ გახდნენ დაბალი დანახარჯებითა და განმასხვავებელი მხასიათებლებით - „კარგიდან საუკეთესომდე“ საქონლისა და მომსახურების მწარმოებლებლები, შემდეგ კი დანახარჯების მიხედვით უპირატესობის გამოყენებით, შეამცირონ ფასი კონკურენტების მიერ წარმოებული ანალოგიური საქონლის ფასებთან შედარებით [8,გვ.166].

მოცემულ კონკურენტულ მიდგომას ეწოდება ოპტიმალური დანახარჯების სტრატეგია იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში მწარმოებელს გააჩნია კონკურენტთა მიერ ანალოგიური „ხარისხი-მომსახურება-მახასიათებლები-მომხიბვლელობა“ შკალის მიხედვით ერთნაირი პოზიციის მქონე საქონლის წარმოებაზე გაწეულ დანახარჯთა შედარებით საუკეთესო მდგომარეობა [4,გვ.86].

ჩემი მოსაზრებით, ოპტიმალური დანახარჯების სტრატეგია, კონკურენტული მანევრირების თვალსაზრისით, უფრო მიმზიდველია. დაბალი დანახარჯებისა და დიფერენციაციის სტრატეგიებს შორის ბალანსირებით ფირმას შეუძლია გახდეს დაბალი დანახარჯების მქონე სხვადასხვა საქონლის მწარ-

მოებელი იმ მიზნით, რომ დარგში ერთდროულად იყოს ლიდერი დანახარჯების მიხედვით და საუკეთესო საქონლის მწარმოებელი. მოცემული სტრატეგიის რეალიზებისას შეიძლება მიღწეულ იქნას მყარი კონკურენტული უპირატესობა, თუ ისინი უფრო ნაკლებ დანახარჯებს გაწევენ, ვიდრე მოცემული სამუშაოს ნიშის მქონე კონკურენტები, აქვთ ასევე შესაძლებლობა, შესთავაზონ მოცემული სეგმენტის მომხმარებლებს კონკურენტებისგან რაიმე განსხვავებული [9,გვ. 175].

ფოკუსირებული სტრატეგიები გახდება მიმზიდველი მაშინ, როცა დაკმაყოფილდება შემდეგი პირობების უმეტესობა: სეგმენტი უნდა იყოს მეტად დიდი, რათა გახდეს მომგებიანი; სეგმენტს უნდა გააჩნდეს ზრდის პოტენციალი. კომპანიას, რომელიც იყენებს ფოკუსირების სტრატეგიას, გააჩნია საკმარისი რესურსი საქმიანობის გაუმჯობესებისათვის; [10,გვ.204].

ჩემი აზრით, ფოკუსირების სტრატეგია შეიძლება წარმატებით რეალიზებულ იქნას იმ შემთხვევაში, როცა: საწარმოს, რომელიც ბაზრის სხვადასხვა სეგმენზე მუშაობს, არ შეუძლია მყიდველთა სპეციალიზირებული ნიშის მოთხოვნებს უპასუხოს; კონკურენტ ფირმათაგან არცერთი არ ცდილობს მოცემულ სეგმენტზე სპეციალიზირებას; როცა ორგანიზაციას არ გააჩნია საჭირო რესურსი იმისათვის, რომ მოემსახუროს ბაზრის უფრო ფართო წილს; დარგში არის მრავალი სხვადასხვა სეგმენტი, რომელიც საშუალებას აძლევს კომპანიას თავისი შესაძლებლობებისა და კვალიფიკაციის შესაბამისად შეარჩიოს თავისი ნიშა.

ფოკუსირების სტრატეგია ხასიათდება გარკვეული რისკებით; პირველ რიგში, ყოველთვის არსებობს ალბათობა იმისა, რომ კონკურენტები შეძლებენ მიუახლოვდნენ საწარმოს საქმიანობას ვიწრო სეგმენტზე; მეორეც, შესაძლებელია, რომ სამიზნე სეგმენტის მომხმარებელთა მოთხოვნები და უპირატესობები ყოველთვის გავრცელდეს მთლიან ბაზარზე. მომხმარებელთა სეგმენტებს შორის განსხვავებათა აღმოფხვრა სამიზნე ნიშაში შესვლის ბარიერების გავლენას ამცირებს და კონკურენტებს პოტენციურ შესაძლებლობებს უქმნის მომხმარებელთა უპირატესობების დაუფლებისათვის; მესამე, სეგმენტი შეიძლება იმდენად მიმზიდველი გახდეს, რომ საინტერესო იყოს მასში საქმიანობა ახალდამწყები ბევრი კონკურენტისათვის, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს მის მოგებას. ეფექტური შეტევითი სტრატეგია ორგანიზაციებს აძლევს საშუალებას დროის ხანგრძლივ პერიოდში მიიღონ იმაზე მაღალი მოგება, ვიდრე საშუალოდ მიიღება დარგის მიხედვით და უპირატესობის მიღწევისათვის ინვესტიციების, ფულადი სახსრების დაბანდების შესაძლებლობის საშუალებას აძლევს.

უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი კონკურენტული უპირატესობა, რომელსაც ორგანიზაცია აწყმო დროში ფლობს, საბოლოოდ ლიკვიდირებულ იქნება საკმარისი რესურსების მქონე კომპეტენტური მოწინააღმდეგის მიერ. ამიტომ, საწარმოს მიერ მიღწეული კონკურენტული მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით ერთი სტრატეგიული შეტევის განხორციელებას უნდა მოსდევდეს მეორე. კონკურენტის ძლიერი მხარის დაძლევა და მცდელობა, გახდეს მასზე უკეთესი, წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ შეტევით სტრატეგიას. მისი არსი იმ გამოწვევაში მდგომარეობს, რომ მომხმარებელს შესთავაზოს ისეთივე ან უკეთესი საქონელი უფრო დაბალ ფასად [11,გვ.615]. ამან შეიძლება საწარმოს საშუალება მისცეს დაიპყროს ბაზრის წილი, თუ სამიზნე მოწინააღმდეგე კომპანიას არ გააჩნია სერიოზული მიზეზი შეამციროს ფასები და თუ კომპანია შეძლებს მომხმარებელთა დარწმუნებას იმაში, რომ მისი საქონელი ისეთივეა, როგორიც კონკურენტი კომპანიისა [12,გვ.146]. ცხადია, ასეთი სტრატეგია უზრუნველყოფს მოგების ზრდას იმ შემთხვევაში, თუ გაყიდვებიდან მიღებული ამონაგები კომპესირებას მოახდენს ერთეული წარმოებული პროდუქციდან მიღებული შემოსავლის დაბალ დონეს. კოტლერის კვლევებსა და სტრატეგიული ლიდერობის მიღწევისათვის განხორციელებულ შესაძლო ღონისძიებების ანალიზზე დაყრდნობით შესაძლო ექვსი სტრატეგიული იერიში გამოვსახეთ შემდეგი ნახაზის სახით (იხ. ნახ. 2). როგორც კოტლერი აღნიშნავს, ფასების სფეროში აგრესიული გამოწვევების გაძლიერების ერთ-ერთი კლასიკური გზა მდგომარეობს იმაში, რომ პირველ რიგში უნდა მიღწეულ იქნას უპირატესობა დანახარჯების მიხედვით, შემდეგ კი მოწინააღმდეგეს მიაყენოს დარტყმა დაბალი ფასების გამოყენებით [13,გვ.515]. ჩვენი შეხედულებით, ეს გზა ეფექტური იქნება იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაცია-აგრესორს გააჩნია უპირატესობა დანახარჯების სფეროში ან ფლობს მნიშვნელოვან ფინანსურ პოტენციალს. მოწინააღმდეგის ძლიერ მხარეებზე შეტევა შეიძლება განხორციელდეს ასევე შემდეგ ფრონტზე: ანალოგიური სარეკლამო კამპანიის განხორციელება, კონკურენტების ტერიტორიაზე შექმნას ახალი სიმძლავრეები, გამოუშვას საქონლის ახალი მოდელები, რომლებსაც შეეძლებათ შეცვალონ და შეავიწროვონ კონკურენტების მოდელები. არსებობს რამდენიმე ვარიანტი იმისა, რომ წარმატების მიღწევა სუსტი მოწინააღმდეგის ხარჯზე კონკურენტული ბრძოლის განხორციელებით შეიძლება [14,გვ.683]. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი, რომლებიც ხანგრძლივ პერსპექტივაში კონკურენტულ უპირატესობას უზრუნველყოფენ: მომხმარებელთა იმ სეგმენტზე იქნას ყურადღება გამახვილებული, რომლებიც მოწინააღმდეგების მიერ უგულველყოფილია ან არ გააჩნიათ მათი მომსახურების შესაძლებლობა; იმ გეოგრაფიულ რაიონებზე კონცენტრირება, რომლებშიც კონკურენტები ვერ აკონტროლებენ ბაზრის მნიშვნელოვან წილს; იმ კონკურენტების მომხმარებლებთან მუშაობა, რომელთა პროდუქცია არ გამოირჩევა ხარისხის მაღალი დონით; იმ კონკურენტების მომხმარებლებისათვის სპეციალური საქონლის მიყიდვა, რომლებიც ცუდად ემსახურებიან კლიენტებს; ამ შემთხვევა-

ში მარტივად გადმოიბირებენ მოწინააღმდეგეთა მომხმარებლებს, დანერგავენ პროდუქციის მოდიფიცირებულ მოდელებს, რითაც შეავსებენ მთავარ კონკურენტთა პროდუქციის პარამეტრების ხარვეზებს. ზოგჯერ ამ ქმედებებმა შეიძლება მიგვიყვანოს ახალი მზარდი სეგმენტის შექმნამდე; შეეცადოს შეუტიოს იმ კონკურენტებს, რომლებიც იშვიათად ახდენენ თავიანთი პროდუქციის რეკლამირებას და არ გააჩნიათ ცნობილი სავაჭრო მარკა.



5. რამდენიმე ფრონტზე ერთდროული შეტევის განხორციელება

ზოგჯერ საწარმო მიზანმიმართულად იღებს მასშტაბური შეტევის გადაწყვეტილებას და მასში ფართო ფრონტზე სხვადასხვა ქმედებებს (ფასების შემცირება, ბაზარზე ახალი საქონლის შემოტანა, აქტიური რეკლამირება, ფასდაკლება და ა.შ) განახორციელებს [15,გვ.529]. მსგავს შეტევით სტრატეგიას შეუძლია კონკურენტის კალაპოტიდან ამოგდება და მისი ყურადღების უცებ მრავალი მიმართულებით გაფანტვა.

ჩემი შეხედულებით, ფართომასშტაბიან შეტევას წარმატების შანსი გააჩნია მაშინ, როცა შემტევი კომპანია მომხმარებლისთვის მიმზიდველი საქონლის ან მომსახურების შეთავაზებისას ფლობს საკმარის ფინანსურ რესურსს რათა გაუსწროს კონკურენტებს მომხმარებელთა კეთილგანწყობილების მოპოვებაში. ასეთ შემთხვევაში ორგანიზაციას შეუძლია განახორციელოს მასირებული შეტევა ბაზარზე საქონლის წინწამოწევის საშუალებათა დიდი არსენალის გამოყენებით, რათა გადაიბიროს მომხმარებელი შეცვალონ გარკვეულ სავაჭრო მარკაზე საკუთარი დამოკიდებულება.

პარტიზანული (ფარული) შეტევითი სტრატეგია მიზანშეწონილია განახორციელონ პატარა ფირმამიმდევრებმა, ასევე საწარმოებმა, რომლებიც ემსახურებიან საბაზრო ნიშას, რომლებსაც არც რესურსები და არც ხედვა გააჩნიათ, თუ როგორ დაიწყონ ბაზარზე საქმიანობა. პარტიზანული ომი იყენებს პრინციპს „დარტყმა-უკანდახევა“, ირჩევს რა შეტევის ობიექტს იქ და მაშინ, როცა გამარჯვებულს შეუძლია დროებით გამოიყენოს მისთვის მომგებიანი სიტუაცია [16,გვ.148]. პარტიზანული ომის საწარმოებლად რამდენიმე საშუალება არსებობს, მათ შორის უფრო გავრცელებულია შემდეგი: ისეთ მომხმარებელზე შეტევა, რომელთა მოწინააღმდეგის საქონელზე მიჯაჭვულობა სუსტია; მომხმარებელთა იმ ჯგუფზე მიმართული შეტევა, რომელიც ძირითადი კონკურენტების ინტერესებს არ წარმოადგენს; კონკურენტების პოზიციებზე უმნიშვნელო შეტევების განხორციელება ფასების შემცირების სხვადასხვა ტაქტიკის გამოყენებით; ბაზრის იმ სეგმენტზე შეტევა, რომელიც კონკურენტისათვის ფართოა და ამიტომ გააჩნია კონკურენტის რესურსების კონცენტრაციის დაბალი დონე; ოფიციალური ქმედებების განხორციელება, რათა არ მოხდეს კონკურენტების მიერ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის, საპატენტო უფლების დარღვევა, მათ მიერ არაკეთილსინდისიერი სარეკლამო პროცესის განხორციელება იმ შემთხვევებში, როცა მოწინააღმდეგეები იყენებენ ბრძოლის მიუღებელ ტაქტიკასა და არაეთიკურ წესებს, ხოლო სიტუაცია საშუალებას იძლევა წინ აღვუდგეთ მათ; შეეცადოს გააოცოს კონკურენტები ერთი, თუმცა მოქნილი მანევრით ბაზარზე, საქონლის წინ წამოწევით იმ მომხმარებლების გადმობირების მიზნით, რომლებიც, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლებოდა მეტოქე კომპანიის კლიენტები გამხდარიყვნენ [17,გვ.204].

ბაზარზე თავისი პოზიციების დაცვისა და კონკურენტული უპირატესობის შენარჩუნებისათვის ორგანიზაცია იყენებს ასევე თავდაცვით სტრატეგიას. არსებობს რამდენიმე გზა, რომელიც კონკურენტების უპირატესობისაგან თავდაცვის საშუალებას იძლევა. პირველი მიდგომა მდგომარეობს მცდელობაში, ხელი შეეშალოს კონკურენტს შეტევითი ქმედებების დაწყებაში. მოცემული მიდგომა ითვალისწინებს კონკურენტების საბაზრო ნიშის შევსების მიზნით საკუთარი საწარმოო პროდუქციის ნომენკლატურის გაფართოებას, უფრო დაბალი ფასებით კონკურენტების პროდუქციის მახასიათებლების მსგავსი მოდელების მიწოდებას; დილერებთან და დისტრიბუტორებთან ექსკლუზიური ხელშეკრულებების გაფორმებას და მათგან ფასდაკლებების გარანტიის მიღებას, ანალოგიური ტექნოლოგიის პატენტირებას, საუკეთესო მომმარაგებლებთან ექსკლუზიური კონტრაქტების ხელმოწერას, პროდუქტებისა და ტექნოლოგიების შემუშავებაში საკუთარი ნოუ-ჰაუს დაცვას, კონკურენტებთან მომუშავე მომწოდებლების მომსახურებაზე უარის თქმას, კონკურენტების პროდუქციასა და ქმედებებზე მუდმივ კონტროლს [18, გვ.204]. მეორე მიდგომა თავდაცვით სტრატეგიაში შეიძლება იყოს კონკურენტებისათვის იმ ინფორმაციის მიწოდება, რომ მათი საქმიანობა არ დარჩება საპასუხო ქმედების გარეშე და რომ კომპანია მზადაა გადავიდეს შეტევაზე [4,გვ.317]. მსგავსი მესიჯის მიზანია საწარმოს მხრიდან აქტიურ ქმედებათა დაწყების გამოცხადება. მიმაჩნია, რომ მეტოქის ინფორმირება შესაძლო საპასუხო ქმედებების შესახებ

შესაძლებელია: საწარმოს ხელმძღვანელობის მხრიდან საჯარო განცხადების გაკეთებით მათ მიერ ბაზრის წილის არსებითი შენარჩუნების შესახებ; არსებული რეზერვების და მაღალლიკვიდური აქტივების შექმნით ქმედითი ნაბიჯების განხორციელებისათვის; წინასწარ ინფორმაციის გავრცელებით ახალი საქონლის, ტექნოლოგიის, დაგეგმილი საქმიანობის შესახებ; საჯარო განცხადებით კომპანიის სურვილების შესახებ - არ დატოვის უპასუხოდ კონკურენტების ფასისა და გაყიდვების ცვლილებათა პოლიტიკა; სწრაფი კონტრშეტევის განხორციელებით მეტოქის მხრიდან სუსტი დარტყმების წინააღმდეგ კარგად დაცული საწარმოს იმიჯის შესაქმნელად.

ზემოთჩამოთვლილი თავდაცვითი სტრატეგიები წარმატებით შეიძლება გამოიყენონ ბაზრის როგორც ლიდერებმა და საწარმო-პრეტედენტებმა, ისე ბაზარზე კონკრეტულ ნიშაზე კონცენტრირებულმა ორგანიზაციებმა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პ.დოილი. მენეჯმენტი: სტრატეგია და ტაქტიკა, გვ.267. სანქტ-პეტერბურგი, 1999.
2. ო.ანისიმოვი. Порвое управленческое решение: Сущность и пути формирования. გვ.158. მოსკოვი, 2002.
3. ა.პანოვი. სტრატეგიული მენეჯმენტი, გვ.154. მოსკოვი, 2002.
4. რ.კაიერტი. განვითარების სტრატეგიული ალტერნატივები, გვ.97. მოსკოვი, 2003.
5. მ.მესკონი. მენეჯმენტის საფუძვლები, გვ.82. მოსკოვი, 1993.
6. ფ.გუჩერი; დ.კელი. ორგანიზაციის ტრანსფორმირება, გვ.77. მოსკოვი, 2000.
7. თ.კონტი. ხარისხი XXI-ე საუკუნეში: ხარისხის როლი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფისა და მყარი განვითარების საკითხში, გვ.86. მოსკოვი, 2005.
8. დ.მერსერი. Управление в самой преуспевающей корпорации мира. გვ,166. მოსკოვი, 1995.
9. ფ.როჯერსი. ადამიანი-ფირმა-მარკეტინგი, გვ.175. მოსკოვი, 1990.
10. ი.კაცი. ფირმის შიდა დაგეგმარების სისტემა/თეორიის პრობლემები და მართვის პრაქტიკა. გვ.204. 1999
11. ვ.სკინერი. კორპორატიული სტრატეგიის განვითრება, გვ.615. 2004
12. ტ.პეტერსი. კონკურენტულ უპირატესობათა ძიებაში, გვ.146. 2004
13. ფ.კოტლერი. მარკეტინგის საფუძვლები, გვ.515. სანქტ-პეტერბურგი, 2001
14. ა.ტომპსონი. ორგანიზაციული ტრანსფორმაცია, გვ.683. 2003
15. ა.მეისონ. სტრატეგიული მენეჯმენტი: თეორიიდან პრაქტიკამდე, გვ.529. 2004
16. ჰ.მაკკეი. ბ.კარლოფი. გადარჩენა ზვიგენებს შორის. ბიზნეს სტრატეგია, გვ.148 1993.
17. ს.მიკელ. ბაზრის კვლევა, გვ.204. Mც ჩრაწ ᲩᲘᲚᲚ, 2005
18. პ.როდრიგესი. საგამოძიებო ჟურნალისტიკა: ტექნიკა და სტრატეგია. გვ.204. მადრიდი, გამომცემლობა ᲧᲐᲘᲓᲝᲡ. 2006

ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია, ჰოლანდიური დაავადება“ და საქართველო

როზეტა ასათიანი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
სტუ პროფესორი,
თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის
ინსტიტუტის მეცნიერ-კონსულტანტი,
თსუ რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი,
გამომცემლობა „სიახლის“ პრეზიდენტი

Economic security strategy, ` dutch desease~ and georgia

Rozeta Asatiani
Doctor of Economic Sciences,
Professor of GTU

Summary

Even in the most arduous periods of the development of Georgia the problem of economic security was never so urgent as at present. On this most difficult stage of Georgian history the provision of economical security is not first-priority among its target goalposts. Economical safety is the decisive condition of national safety as the condition of realization of national interests. It plays the greatest role in economical order establishment, in stability and in civil society formationin in the country. Depletion of State control to this problem stipulates many negative tendencies, breaks country's economical potential, its culture and threatens the statehood.

The ecuteness of the problem of economical security in Post-Soviet Georgia is, in the first place, conditioned by inadequate economical policy. In spite that as differing from the wrecking processes in the 90ies of the past century, in the subsequent period some positive steps were made with the view of development of market relations, today the social-economic state of the country is yet very grave, the process of economy transformation proceeds in a very complicated and conflicting way; reformation of economy took deformed character, virtual economy has been formed.

The work elucidates indicators of social orientation of economy and their role in provision of economical security, analyses the causes of generation of bitter social background in Georgia and the ways out of deep economical crisis.

KEYWORDS: Inclusive economic growth multiplication effect, "Vicious circles", "Entrapment effect", "Culture of poverty hypothesis", "Structural changes theory", "Dutch Desease", Creative potential, Venture capital.

რეზიუმე

ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემა ნებისმიერ პერიოდში იყო ყურადღების ცენტრში, მაგრამ განსაკუთრებულ აქტუალურობას XXI საუკუნეში იძენს, რასაც მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების მთელი კომპლექსი განაპირობებს. მეტ-ნაკლები სიმწვავით იგი პოსტკომუნისტურ ქვეყნებშიც არსებობს, ამასთან, XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ეკონომიკური სისტემის შეცვლასთან დაკავშირებით, სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში წარმოქმნილმა რადიკალურმა პროცესებმა ეს პრობლემა არა მხოლოდ წინა პლანზე წამოსწია, არამედ ახალი შინაარსიც შესძინა.

ეკონომიკური უსაფრთხოება ეროვნული ინტერესების შემადგენელი ნაწილია და ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების ხარისხის განმაზოგადებელი მაჩვენებელი. იგი უშუალოდაა დაკავშირებული ეკონომიკის სტაბილურ განვითარებასთან, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის პრობლემებთან, იცავს ეროვნულ ეკონომიკას იმ შიდა და გარე ნეგატიური ფაქტორებისგან, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ეკონომიკის მდგრად განვითარებას, რესურსული და ტექნოლოგიური პოტენციალის შენარჩუნებას, აქედან გამომდინარე კი, ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას.

საკვანძო სიტყვები: ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა, მულტიპლიკაციური ეფექტი, „მანკიერი წრე“, კრეატიული პოტენციალი, „ხაფანგის ეფექტი“, „სიღარიბის კულტურის ჰიპოტეზა“, სტრუქტურული გარდაქმნის თეორია, „ჰოლანდიური დაავადება“, ვენჩურული კაპიტალი.

* * * * * *

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (მათ შორის, აშშ-ში) შემუშავებულია ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია, რომელსაც სათანადო ადგილი უჭირავს ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებაში და ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. მისი•ლაიტმოტივია,•ეკონომიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნების საფუძველზე, სოციალურ-ეკონო-

მიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა, ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების დაცვა, საზოგადოების ჰარმონიული განვითარებისათვის ეპოქის შესაბამისი პირობების შექმნა და ა.შ.

ეკონომიკურ უსაფრთხოებას მნიშვნელოვანი როლი აკისრია საბაზრო მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის ოპტიმალური პირობების შექმნაში, ქვეყნის ეკონომიკის ადეკვატური სტრუქტურული პოლიტიკის გატარებაში, ბაზრის სუბიექტებისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობაში, ხელისუფლების მხარდაჭერით ბაზრის სტიქიური ძალების აღკვეთაში, ინვესტიციების მოცულობისა და საინვესტიციო პორტფელის დივერსიფიკაციაში, საინვესტიციო „კლიმატის“ შექმნაში, საკუთრების პლურალიზმის დამკვიდრებაში, ქვეყნის წარმოებრივი, სოციალური და ინტელექტუალური პოტენციალის შენარჩუნება-განვითარებაში და ა.შ.

ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის სოციალური ორიენტაციის უზრუნველყოფა. ამიტომაცაა, რომ იგი სახელმწიფოს ეკონომიკური პრიორიტეტების განმსაზღვრელია და განიხილება მიკრო-, მაკრო-, მეზო- და მეგადონეზე. დღეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია და უდიდეს გავლენას ახდენს თავდაცვით, ეკოლოგიურ, ინფორმაციულ, მეცნიერულ-ტექნოლოგიურ, სოციალურ, სასურსათო, დემოგრაფიულ, იდეოლოგიურ, ინვესტიციურ, საგარეო და ა.შ. უსაფრთხოებებზე და მათთან ერთად ქმნის ეროვნულ უსაფრთხოებას.

ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითად სტრატეგიულ მიმართულებად აღიარებულია კონკურენციული ბაზრის შექმნა და დაცვა, რისთვისაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოქნილი კანონმდებლობის შემუშავებასა და ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარებას, ეკონომიკის პრიორიტეტული დარგების გამოყოფას, მათდამი სახელმწიფოებრივ მხარდაჭერას, ეროვნული ვალუტის სიმყარის უზრუნველყოფას, საკუთრების დაცვასა და ა.შ.

კონკურენციის გარეშე ბაზარი ფიქციაა. უკანასკნელ პერიოდში კონკურენცია გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და გლობალური მასშტაბები შეიძინა. ქვეყნის კონკურენტუნარიანობა, როგორც განვითარების უმნიშვნელოვანესი ინდიკატორი, ეკონომიკური უსაფრთხოების გარანტია და განსაზღვრავს თითოეული ქვეყნის ადგილს მსოფლიო ეკონომიკაში. ქვეყანა რომ კონკურენტუნარიანი იყოს, მან უნდა გაყიდოს საზღვარგარეთ თავისი პროდუქცია საერთაშორისო საბაზრო ქსელის მეშვეობით. ეს არის დიდი სათამაშო ველი, რომელიც თავისებურ კომპასს წარმოადგენს თითოეული ქვეყნისთვის – რა გზას დაადგეს, რომელი დარგები განავითაროს, რა უნდა იყოს მისი ეკონომიკური განვითარების გენერალური სტრატეგია. დღეს აქცენტი კეთდება ისეთ ფასეულობებზე, როგორიც არის ხარისხი, ნოუ-ჰაუ, ბაზრისადმი ახლებური მიდგომა, ახალი სახეობის პროდუქციის შექმნა და ა.შ.

დღეს ქვეყნები კონკურენტულ უპირატესობას ინოვაციებით, მაღალი ტექნოლოგიებით აღწევენ. ისინი აფუძნებენ ახალ სტრატეგიებს, ეუფლებიან წარმოების ეფექტიან მეთოდებს, ინვესტიციებს დებენ ცოდნის განახლებაში და ა.შ. ამიტომაცაა, რომ XXI საუკუნეში სტრუქტურული გარდაქმნების ბირთვს ინოვაციური ეკონომიკის განვითარება წარმოადგენს. დღეს ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების საფუძველი მოძველებული ტექნოლოგიების ახლით შეცვლის უწყვეტი პროცესია, რესურსდამზოგველი ტექნოლოგიების განვითარებაა. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საინფორმაციო ტექნოლოგიები (ITs). მათი განვითარება ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიული მიმართულებაა. ეს პროცესი დიდ გავლენას ახდენს არა მხოლოდ მატერიალური რესურსების, არამედ ინტელექტუალური კაპიტალის ხარისხზე და განაპირობებს ცოდნის ფენომენის წინა პლანზე წამოწევას. XXI საუკუნე ხომ ინოვაციური ეკონომიკის საუკუნეა!

დღეს ტექნოლოგიური ბუმი ტრაექტორიას უცვლის მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას, უდიდესი პოზიტივი შეაქვს მასში, რომლის არგათვალისწინება ჩამორჩენილობის დაუძლევლობას ნიშნავს და საეჭვოს ხდის ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

მეცნიერების მიღწევებზე დაყრდნობით ინოვაციების განვითარება დღეს მსოფლიოში ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანეს რესურსად არის აღიარებული. იგი ვრცელდება არა მხოლოდ ტექნოლოგიებზე, არამედ ყველა ინსტიტუციურ ფორმასა და სტრუქტურაზე. გლობალურ ეკონომიკაში ინოვაციური ეკონომიკის უპირატესმა განვითარებამ მაღალი ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბების საფუძველი შექმნა. გლობალიზაციის პირობებში ინოვაციურმა პროგრესმა მძლავრი ბიძგი მისცა ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას, რომლის გარეშე შეუძლებელია კრეატიული პოტენციალის ყოველმხრივი განვითარება, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა და ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირება.

ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია ითვალისწინებს აგრეთვე საბიუჯეტო-საგადასახადო უფლებამოსილების ოპტიმალურ ტერიტორიულ განაწილებასა და რეგიონების მიხედვით დისკრიმინაციის ლიკვიდაციას, სამამულო წარმოების პროდუქციის გასაღების ბაზრების დაცვას, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და ა.შ.

ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიაში განსაკუთრებული ადგილი საზოგადოების სოციალურ დაცვას უჭირავს. მასში აისახება პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესები და იგი ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნების გარანტია. საზოგადოების სოციალური დაუცველობის შედეგი კი ნარკომანიის ზრდა, კრიმინოგენული სფეროს გაფართოება, სოციალური აფეთქებები, კატასტროფები და სხვა ნეგატიური მოვლენებია.

ეკონომიკურ უსაფრთხოებას დიდი როლი აკის-

რია ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებაში და აისახება ქვეყნის ცხოვრების დონეზე, ეკოლოგიაზე[1*], სამართალწესრიგზე, მეცნიერულ-ტექნოლოგიურ პოტენციალზე, დემოგრაფიულ მდგომარეობაზე, უმუშევრობაზე და ა.შ.

ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან მიმართებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ინსტიტუციური უმუშევრობის პრობლემა. იგი ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა და, ქვეყანაში არსებული სუსტი ინსტიტუტებისა და შრომის ბაზრის მოუქნელი ფუნქციონირებიდან გამომდინარე, ვაკანტური სამუშაო ადგილების აუთვისებლობით (მათი არსებობის შესახებ მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიუწვდომლობის გამო) არის გამოწვეული და, ბუნებრივია, უმეტესწილად სუსტად განვითარებული ქვეყნებისთვისაა დამახასი ათებელი.

განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის მახასიათებელია აგრეთვე ეკონომიკურ თეორიაში საკმაოდ გავრცელებული ტერმინი „მანკიერი წრე“ (“Vიციოის ჩიროლეს”), რომელიც უდიდეს გავლენას ახდენს ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე და მდგომარეობს შემდეგში: ითვლება, რომ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკა, სადაც იწარმოება მხოლოდ არსებობისათვის აუცილებელი საშუალებები, არ ექვემდებარება გარდაქმნას, ვინაიდან დაბალია წარმოების მთლიანი მოცულობა და უმნიშვნელოა სარეზერვო მარაგები. აქედან გამომდინარე, მოხმარების შემდეგ არ არსებობს ნამეტი კაპიტალის დაგროვებისათვის, რომლის გარეშეც ნაკლებად შესაძლებელია წარმოების გადიდება. „მანკიერი წრის“ გასაღები კაპიტალის დაგროვებაა. თუ ქვეყანა შეძლებს თავი დააღწიოს ამ წრეს, მაშინ წარმოიქმნება საწინააღმდეგო პროცესი: როგორც კი დაიწყება კაპიტალის დაგროვება, იზრდება წარმოების მოცულობა, ხოლო შემდეგ იწყებს ზრდას შემოსავლებიც, რომლებიც ქმნის ნამეტს ინვესტირებისა და დაგროვებისათვის.

ამრიგად, ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია უკავშირდება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანებს და ეყრდნობა ქვეყნის განვითარების სოციალურ-ეკონომიკურ მოდელს. ამ უკანასკნელში თუ რამდენად არის ასახული ეროვნული ეკონომიკის ინტერესები, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეკონომიკური უსაფრთხოების როლს ქვეყნის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებაში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება შემდეგი დასკვნის გაკეთება: ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია არის ქვეყნის სტრატეგია მდგრადი და მუდმივად განვითარებადი ეკონომიკით, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის ეკონომიკური მთლიანობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობის განმტკიცებას, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობისათვის სათანადო პირობების შექმნას, რესურსული პოტენციალისა და ინოვაციური ეკონომიკის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე განვითარებას.

ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმების დადგენა შეუძლებელია ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების გარეშე. ამ უკანასკნელში შედის ეკონომიკური საფრთხის რაოდენობრივი განსაზღვრა და მულტიპლიკაციური ეფექტის დადგენა.

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება თუ ეროვნული და არა კომპრადორული ინტერესების მატარებელია, მაშინ მას უდიდესი როლი აკისრია ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნების თვალსაზრისით. იგი მოიცავს რესურსული პოტენციალის, ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის, სოციალური სტაბილურობის, სოციალური კონფლიქტების დაძლევის შესაძლებლობების, უცხოური ვალუტის შეუზღუდავი შემოდინებით გამოწვეული შედეგების შეფასებასა და ა.შ.

თანამედროვე საბაზრო სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება – ახალ თვისებრივ ზრდაზე გადასვლა ეფუძნება იმ კრიტერიუმებს, რომლებიც იძლევა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის თვისებრივ დახასიათებას და აისახება კრებსით ინდექსში – სოციალურ ინდიკატორებში. მასში შედის: შრომის პირობები, განათლების განვითარების დონე, ჯანდაცვისა და ტრანსპორტის მდგომარეობა და ხელმისაწვდომობა, შრომისუნარიანი მოსახლეობის საშუალო წლიური ზრდა, ბავშვთა სიკვდილიანობა, კალორიის მოხმარება, სუფთა წყლის ხელმისაწვდომობა, ენერგიის მოხმარება მოსახლეობის ერთ სულზე, სრული პირადი თავისუფლება, ინფლაციის საშუალი წლიური ნორმა და ა.შ. სოციალური ინდიკატორები ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი მახასიათებლებია და გარკვეული თვალსაზრისით, უკავშირდება „ხაფანგის ეფექტით“ (`Entrapment Effect~) ცნობილ ჰიპოთეზას, რომლის მიხედვით შრომის ბაზარი იყოფა პირველად და მეორეულ ბაზრებად. პირველადი სექტორი ხასიათდება მაღალი ანაზღაურებით, ზრდის პერსპექტივებით, უსაფრთხოებითა და დამატებითი სარგებლობით, მაშინ როდესაც მეორეული სექტორისთვის ნიშანდობლივია ნაკლებანაზღაურებადი სამუშაო ადგილები, არასრული დასაქმება, არასტაბილური და, როგორც წესი, ნაკლებად მიმზიდველი სამუშაო. მეორეული სექტორიდან პირველად სექტორში გადასვლას აფერხებს არა იმდენად მუშაკთა კვალიფიკაციის დონეში განსხვავება, რამდენადაც ინსტიტუციური ბარიერები დისკრიმინაციის ფორმით.

ჰიპოთეზა მდგომარეობს იმაში, რომ მეორეული შრომის ბაზრის პირობები წარმოადგენს მუშაკების მიერ ცუდი შრომის ჩვევების შეძენის მთავარ მიზეზს. „ცუდი“ სამუშაოს მქონე მუშაკები ხდებიან „ცუდი“ მუშაკები. ეს მოვლენა უკუკავშირის დიდი სისტემის მხოლოდ ერთი ასპექტია. მასზე გავლენას ახდენს რიგი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებისა, მათ შორის, ოჯახური მდგომარეობაც. საბოლოო ანგარიშით, ყალიბდება „ხაფანგის ეფექტი“, რომელიც გამომდინარეობს „სიღარიბის კულტურის ჰიპოთეზიდან“ (“ჩულტურე ოფ ؟ოვერტყ Ꞓყპოტჰე-

1 * ამჟამად დასავლეთში ტერმინი – გარემოს დაცვა რაციონალური ბუნებათსარგებლობის ტერმინით შეიცვალა.

სის”).№ამ შემთხვევაში სამთავრობო პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს „კარგი“ სამუშაო ადგილების შექმნას კანონმდებლობით აკრძალული დისკრიმინაციის ნაცვლად, რაც დადებითად აისახება ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე.

ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმებია: ქვეყანაში ეკონომიკის დამანგრეველი პროცესების, სტრუქტურული და ინსტიტუციური დეფორმაციების თავიდან აცილების შესაძლებლობა, ქვეყნის ბუნებრივ-რესურსული და მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოტენციალის გამოყენების დონე, მასშტაბი და ხარისხი№; სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდა, ცხოვრების დონის ამაღლება და ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება, დანაკარგებისა და რისკების მინიმიზაცია, კონკურენტუნარიანი საქონლისა და მომსახურების წარმოების ზრდა, მოსალოდნელი კატასტროფული პროცესების არდაშვება, არაკვლავწარმოებადი ბუნებრივი რესურსების უპირატესი გამოყენებიდან კვლავწარმოებადი ბუნებრივი რესურსების უპირატეს გამოყენებაზე გადასვლის ტექნოლოგიური უზრუნველყოფა და სხვ.

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების დონის მანკიერი მნიშვნელობის დასაშვებ საზღვრებში მოქცევა განაპირობებს ეკონომიკური საფრთხის თავიდან აცილებას, ხოლო გადაჭარბება ეკონომიკური უსაფრთხოების ზღვრულ მნიშვნელობებზე№ ქვეყანაში წარმოქმნის არაორდინარულ სიტუაციას: ზღვრულ სიდიდეებზე მაღალი ფაქტობრივი პარამეტრები დიდი რისკის შემცველია, რომელთა არგათვალისწინებას გამოუსწორებელი შედეგები მოაქვს მოცემული ქვეყნისთვის, იწვევს დიდ სოციალურ-ეკონომიკურ დანაკარგებს.

ეკონომიკური უსაფრთხოება და „ჰოლანდიური დაავადება“

„ჰოლანდიური დაავადების“ (“Dutch Desease”) ფენომენი უკავშირდება ქვეყანაში უცხოური ვალუტის შეუზღუდავ შემოდინებას, გამოწვეულს ბუნებრივი რესურსების ექსპორტის ბუმით. იგი აგრეთვე შეიძლება გამოიწვიოს საერთაშორისო ფინანსური დახმარებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოძალებამ. ქვეყანაში უცხოური ვალუტის მოზღვავების ერთ-ერთი წყარო შეიძლება იყოს ფართომასშტაბიანი პრივატიზაციაც.

სახელწოდება – „ჰოლანდიური დაავადება“ ასოცირდება არაგონივრულად განკარგულ ქვეყნის სიმდიდრესთან და ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოჩნდა XX საუკუნის 60-იანი წლებიდან, როცა ჩრდილოეთის ზღვაში ნიდერლანდის მიერ ბუნებრივი აირის საბადოს აღმოჩენამ გამოიწვია ქვეყნის საექსპორტო შემოსავლების არნახული ზრდა, ეროვნული ვალუტის – გულდენის გამყარება და ტრადიციული ექსპორტის კონკურენტუნარიანობის დაცემა. ამ პერიოდიდან მოყოლებული „ჰოლანდიური დაავადების“ სახელით ცნობილი ეს მოვლენა არაერთი ქვეყნის „თავის ტკივილი“ გახდა და უარყოფითი გავლენა მოახდინა ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე.

„ჰოლანდიური დაავადების“ კლასიკური მოდელი 1982 წელს ჩამოაყალიბეს მ. კორდენმა და პ. ნეარვიმ [1, პპ. 825-848]. მისი შინაარსი შემდეგია: ბუნებრივი რესურსების ექსპორტის ბუმი არღვევს წონასწორობას ამ სექტორს, ტრადიციულ საექსპორტო სექტორსა და არასაექსპორტო სექტორს (მშენებლობა, საცალო ვაჭრობა, სასტუმროები, რესტორნები და ა.შ.) შორის. მართალია, თავდაპირველად ბუნებრივი რესურსების ექსპორტი ზრდის უცხოური ვალუტის შემოდინებას ქვეყანაში და, აქედან გამომდინარე, ქვეყნის შემოსავლებს, მაგრამ მისი გრძელვადიანი ეფექტი საწინააღმდეგოა. საქმე ისაა, რომ შიდა ვალუტის ბაზარზე ბუნებრივი რესურსების ექსპორტიდან მიღებული უცხოური ვალუტა კონვერტირდება ეროვნულ ვალუტაში. თუ ქვეყანაში ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი ფიქსირებულია, მაშინ კონვერტირების ეს პროცესი მოითხოვს ფულის მიწოდების ზრდას, რაც ადგილობრივი ფასების მომატებას იწვევს, ხოლო მცურავი გაცვლითი კურსის პირობებში შიდა სავალუტო ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის წონასწორობის დარღვევა ადგილობრივი ვალუტის გამყარებას გამოიწვევს. ორივე შემთხვევაში გაიზრდება ეროვნული ვალუტის რეალური გაცვლითი კურსი, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის სამომხმარებლო ბაზარზე უცხოური ვალუტის ერთეულით გაცილებით ნაკლები საქონლისა და მომსახურების შეძენა შეიძლება, ვიდრე ეს ადრე იყო შესაძლებელი. ასეთი ვითარება უკუგავლენას ახდენს ტრადიციული ექსპორტის მომგებიანობაზე, ვინაიდან შიდა ფასების ზრდის გამო გაძვირებული საექსპორტო პროდუქცია ნაკლებკონკურენტუნარიანი ხდება საერთაშორისო ბაზარზე, რასაც მოჰყვება ტრადიციულ საექსპორტო სექტორში წარმოების მკვეთრი დაცემა, კაპიტალის და სამუშაო ძალის არასაექსპორტო სექტორში გადანაცვლება (რესურსების გადანაცვლების ეფექტი). გარდა იმისა, რომ ამის შედეგად ტრადიციული საექსპორტო სექტორი ზარალდება, თუ ვერ მოხერხდა არასაექსპორტო სექტორის ინფრასტრუქტურის განვითარება და კადრების გადამზადება, გარდუვალია უმუშევრობის ზრდა და მასთან დაკავშირებული კატაკლიზმები. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თუ ზემოთ განხილული გზით ქვეყანაში მიღებული უცხოური ვალუტა იმპორტის ზრდას მოხმარდება, მაშინ ვალუტის ნაკადების შემოდინება პირდაპირ არ აისახება ფულის მიწოდებაზე, თუმცა, იმპორტის ზღვარგადასული ზრდაც გაუმართლებელია.

საქართველოში „ჰოლანდიურმა დაავადებამ“ თავი იჩინა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობისას, მაგრამ განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ოღონდ კლასიკური მოდელისაგან განსხვავებით, მის წარმომშობ მიზეზებში წინა პლანზე წამოიწია პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და საერთაშორისო დახმარების მოზღვავებამ, აგრეთვე უცხოეთში

მცხოვრები, ან დროებით იქ დასაქმებული ჩვენი თანამემამულეების მიერ ფულადი ტრანსფერების ნაკადებმა და ბოლო დროს საქართველოში უცხოელებზე განხორციელებულმა ფართომასშტაბიანმა პრივატიზაციამ.

ბოლო პერიოდში არა მხოლოდ პოსტინდუსტრიულ, არამედ მრავალ ახალინდუსტირულ ქვეყანაშიც მეცნიერება განიხილება უმნიშვნელოვანეს ნაციონალურ პრიორიტეტად. ამ ქვეყნებმა ორჯერ გაზარდეს თავიანთი ინოვაციური პოტენციალი და უახლოვდებიან ევროპული ქვეყნების შესაბამის მაჩვენებელს. მსგავსი ტენდენცია შეიმჩნევა ჩინეთშიც. ინოვაციურირ ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით, უდიდეს წარმეტებას მიაღწიეს ევროკავშირის ქვეყნებმა, მაგალითად, ირლანდია ჩამორჩენილი ქვეყნიდან იქცა ინოვაციურირ კაპიტალის დაბანდების ერთ-ერთ მიმზიდველ ქვეყანად, რაც დაეტყო კიდეც მის განვითარებას.

ინოვაციური პროცესების სტიმულირებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ვენჩურული დაფინანსების ინსტიტუტიები გახდა. ამჟამად მსოფლიოში, მაღალტექნოლოგიური წარმოების პირველ ათეულში შედიან: ფინეთი, აშშ, შვედეთი, იაპონია, სამხრეთი კორეა, ნიდერლანდი, დიდი ბრიტანეთი, კანადა, ავსტრალია და სინგაპური.

საქართველო ეკონომიკის ინტელექტუალიზაციის დონის მიხედვით, მსოფლიოში ჩამორჩენილი ქვეყნების ჯგუფშია მოქცეული. საქართველოში, რა თქმა უნდა, მისი თავისებურებებიდან გამომდინარე, უნდა განვითარდეს აგრარული სექტორი, რომელიც დღეს რთული პრობლემების წინაშეა. ამისათვის კი, პირველ ყოვლისა, აუცილებელია სახელმწიფოს აქტიული მხარდაჭერა, მათ შორის შიდა ბაზრის დაცვა და პროტექციონისტური პოლიტიკის გატარება, სოფლად ინფრასტრუქტურის განვითარება, შრომითი რესურსების ადგილზე დამაგრება, მწარმოებელთა წახალისება, თევზჭერისა და სატყეო მეურნეობის განვითარება (და არა ტყეების გაჩეხვა და უცხოელებზე გასხვისება), შესაბამისი კადრების მომზადება და ა.შ. ამას თვით ეროვნული ტრადიციები გვკარნახობს. სოფლის მეურნეობის განვითარება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა გახდეს და არა გენერალური სტრატეგია. აგრარულმა სექტორმა უნდა შეძლოს შიდა საწარმოო და სამომხმარებლო მოთხოვნის გარკვრულწილად დაკმაყოფილება. ამას თვით ქვეყნის ერთ-ერთი ეკონომიკური სტრატეგიის – ტურიზმის განვითარებაც გვკარნახობს, რასაც სავსებით ვეთანხმერბით და რის შესახებაც მსჯელობა არა ერთხელ გვქონდა სხვადასხვა პუბლიკაციასა თუ საჯარო გამოსვლაში.

საქართველომ აუცილებელია განსაკურებული ყურადღება მიაქციოს კონკურენტუნარიანობის მოთხოვნებს, შეიგრძნოს მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პულსი. კონკურენტული უპირატესობის მისაღწევად XXI საუკუნე მსოფლიოს სთავაზობს ეკონომიკური განვითარების ახალ მოდელს, რომელშიც „პირველი ვიოლინოს“ როლს ინტელექტუალური კაპიტალი ასრულებს. საქრთველომ აუცილებლად უნდა შექმნას ახალი ინოვაციური სისტემა, ვინაიდან კონკურენციაში წარმატებას აღწევს ის ვინც ქმნის ბაზარს, ე.ი. ვინც ბაზარს სთავაზობს ინოვაციებს. დღეს მსოფლიოში პოპულარულია შემდეგი მოწოდება: „დღევანდელი ინოვაციებით მოაძველეთ თქვენი გუშინდელი პროდუქცია“. ეს თეზა მეტად საგულისხმოა ისეთი პატარა, მაგრამ ჯერ კიდევ დიდი პოტენციალის მქონე ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა.

დღეს საქართველოში „ინოვაციური სურათი“ არასახარბიელოა. მაღალეფექტიან ინოვაციურ განვითარებას მრავალი ფაქტორი უშლის ხელს, სახელდობრ ა). წარმოების დანახარჯებში, მეცნიერულ კვლევებსა და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე გაწეული დანახარჯების გაუთვალისწინებლობა; ბ). ქვეყნის ინტერესებიდან და განვითარების პერსპექტივებიდან გამომდინარე არ არის შემუშავებული მეცნიერულ-ტექნოლოგიური და საინვესტიციო პოლიტიკა; გ). არ არის განსაზღვრული ინოვაციული პოლიტიკის მიმართულებები და პრიორიტეტები; დ). მოქმედი კანონმდებლობა ვერ არეგულირებს ინოვაციურ საქმიანობას, რასაც მრავალ სხვა ფაქტორთნ ერთად კონკურენციული ბაზრის არარსებობა განაპირობებს; ე). ნაკლები ყურადღება ექცევა ინტელექტუალური საკუთრების დაცვასა და ინფორმაციული პოლიტიკის განვითარებას. ამ ფაქტორების გაუთვალისწინებლობა და შესაბამისი ღონისძიებების არგატარება ზიანს აყენებს საქართველოს ეკონომიკურ უსაფრთხოებას.

ეკონომიკური უსაფრთხოება და საქართველო

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში განხორციელებულმა მასშტაბურმა გარდაქმნებმა, ეკონომიკური სისტემის შეცვლასთან ერთად, უდიდესი ცვლილებები გამოიწვია საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში და წინა პლანზე ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემა წამოსწია. ამასთან, ისე აქტუალური ეს პრობლემა, როგორიც დღეს არის, შეიძლება ითქვას, არ ყოფილა ქვეყნის განვითარების ყველაზე რთულ პერიოდშიც კი. დღეს საქართველოს არა აქვს ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამა [2;3]. [illegible] იგი უდიდეს როლს ასრულებს ქვეყანაში ეკონომიკური წესრიგის დამყარებაში, სტაბილურობისა და დამოუკიდებლობის მიღწევა-შენარჩუნებაში, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში. ამ პრობლემისადმი სახელმწიფო რეგულაციის შესუსტება მრავალ ნეგატიურ ტენდენციას განაპირობებს, რომელთა ნეიტრალიზაცია უდიდეს მატერიალურ და ფინანსურ სახსრებს მოითხოვს, არღვევს ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს, მის კულტურას და საფრთხეს უქმნის სახელმწიფოებრიობას.

პოსტსაბჭოთა საქართველოში ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემის სიმწვავეს ისეთი ფაქტორები განაპირობებს, როგორიცაა ქვეყნის ეკონომიკური

განვითარების დონის არაადეკვატური ეკონომიკური პოლიტიკის არსებობა, საკუთრების მრავალფორმიანობის დამკვიდრებით გამოწვეული პროცესებისა და ბიზნესის სხვადასხვა ორგანიზაციული სტრუქტურების ჩამოყალიბების თანმხლები უარყოფილი ეფექტები (მონოპოლიზაციის მაღალი დონე; კერძო საკუთრებისა და მეწარმეობის დაუცველობა; მცირე ბიზნესის განვითარების დაბალი დონე; ეკონომიკის არაკონკურენტუნარიანობა; ეკონომიკის კრიმინალიზაცია; შიდა ინვესტიციური კრიზისი; არასაბაზრო სექტორის განუვითარებლობა; დაბალი საქმიანი აქტიურობა; დაბალკონკურენტიანი სამუშაო ძალა, აქედან გამომდინარე კი, უმუშევრობისა და სიღარიბის კატასტროფული ზრდა; თავისუფლების იდეაშივე ჩაკვლა; ახალ ვითარებაში ეკონომიკის მართვის გამოუცდელობა; ხელისუფლებისადმი საზოგადოების უნდობლობის გაღრმავება და ა.შ.) [1]. ამიტომ ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავებაში დიდი მნიშვნელობა ეკონომიკური საფრთხის რაოდენობრივ განსაზღვრასა და მულტიპლიკაციური ეფექტის დადგენას ენიჭება.

ეკონომიკური უსაფრთხოების შეფასების ხარისხი ეკონომიკურ ინდიკატორებში აისახება, რომლთა შორის მნიშვნელოვანია ეკონომიკის სოციალური ორიენტირებულობის ინდიკატორები.

ეკონომიკის სოციალური ორიენტირებულობის ინდიკატორები აერთიანებს ისეთ მაჩვენებლებს, როგორიც არის: სამომხმარებლო კალათის სტრუქტურის ზღვრული ნორმის განსაზღვრა; საარსებო მინიმუმისა და სამომხმარებლო კალათის თანაფარდობა; მინიმალური ხელფასისა და საარსებო მინიმუმის თანაფარდობა; საარსებო მინიმუმზე დაბალი შემოსავლების მქონე მოსახლეობის წილი მოსახლეობის მთლიან რიცხოვნობაში; პენსიებისა და საარსებო მინიმუმის თანაფარდობაში ცივილიზებული გამოცდილების გათვალისწინება; დაქირავებით დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების წილი მოსახლეობის მთლიან შემოსავლებში; ბუნებრივი კატასტროფებისა და ეკოლოგიური დაბინძურების ზონებში მცხოვრებთა წილი მოსახლეობის მთლიან რიცხოვნობაში; სოციალურ პროგრამებზე გაწეული ხარჯების წილი მთლიან შიდა პროდუქტში; ჯინის კოეფიციენტი (შემოსავლების განაწილებაში უთანაბრობის ხარისხის აგრეგირებული რაოდენობრივი მაჩვენებელი); მოსახლეობის მაღალშემოსავლიან 10%-სა და დაბალშემოსავლიან 10%-ს შორის დასაშვები თანაფარდობის გარღვევის სიდიდე (შემოსავლების დიფერენციაციის დეცილური კოეფიციენტი); შემოსავლებისა და მოხმარების მკვეთრი დიფერენციაცია; მოხმარების საშუალო ნორმის შემცირების საფუძველზე კვების სტურქტურის გაუარესება; სიღარიბის ზრდა იმ პირთა აბსოლუტური და შეფარდებითი გადიდებით, რომელთა შემოსავლები საარსებო მინიმუმზე დაბალია. ამ ჯგუფში ასახვას პოვებს აგრეთვე ცხოვრების დონის და ხარისხის ისეთი ინდიკატორები, როგორიცაა მშპ მოსახლეობის ერთ სულზე, შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების საშუალო წლიური ზრდა, ინფლაციის საშუალო წლიური ნორმა, კალორიის მოხმარება, სუფთა წყლის ხელმისაწვდომობა, ენერგიის მოხმარება მოსახლეობის ერთ სულზე, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, პირადი თავისუფლების დონე და ა.შ.

ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორების ზღვრული მნიშვნელობის მიღებისათვის აუცილებელია განისაზღვროს ქვეყნის ეროვნული ინტერესები, ეკონომიკური უსაფრთხოების ზღვრული სიდიდეები რაოდენობრივი პარამეტრებით, რომელიც ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში ავლებს ზღვარს უსაფრთხო და საშიშ ზონებს შორის. ეკონომიკური უსაფრთხოების მაღალი დონე მიიღწევა მაშინ, როდესაც ინდიკატორთა მთელი სისტემა თავისი მანკიერი მნიშვნელობის დასაშვები საზღვრების ფარგლებშია.

თუ ამ ინდიკატორების ზღვრულ სიდიდეებზე მაღალია ფაქტობრივი პარამეტრები, მაშინ ქვეყანა იმყოფება საშიშ ზონაში, რომლის გაუთვალისწინებლობას მისთვის მძიმე შედეგები მოაქვს, იწვევს დიდ სოციალურ-ეკონომიკურ დანაკარგებს. სახელმწიფო ვალდებულია არ დაუშვას მოსალოდნელი კატასტროფული შედეგები, რომელთა მულტიპლიკაციური ეფექტი მაღალია და დიდ ზემოქმედებას ახდენს დემოგრაფიულ, ეკოლოგიურ, თავდაცვით, მეცნიერულ-ტექნოლოგიურ, ინფორმაციულ და ა.შ. უსაფრთხოებებზე.

მიუხედავად იმისა, რომ 90-იანი წლების პირველი ნახევრის ნგრევითი პროცესებისგან განსხვავებით, შემდგომ პერიოდში საქართველოში გარკვეული პოზიტიური ნაბიჯები გადაიდგა საბაზრო ურთიერთობების განვითარების თვალსაზრისით, დღეს მაინც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა, ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესი მეტად რთულად და წინააღმდეგობრივად მიმდინარეობს. ეკონომიკის რეფორმირებამ დეფორმაციული ხასიათი მიიღო, ჩამოყალიბდა ვირტუალური ეკონომიკა [4].

ეკონომიკის გამოცოცხლებისთვის არსებული შესაძლებლობების გამოყენების საშუალებას არ იძლევა ქვეყნის განვითარების დაბალი დონე, გარედან დახმარებების მიღების გარდუვალობა.

ეკონომიკურ სისტემასთან ერთად შეიცვალა საზოგადოებაც. დარღვეულია თანაცხოვრების ჰარმონია. ეკონომიკურმა რეფორმებმა მოითხოვა არა მარტო ცხოვრების ახალი პირობებისადმი შეგუება, არამედ ეკონომიკური ქცევის შეცვლაც, რისთვისაც მზად არ იყო საქართველო. ეკონომიკის კონვერსიის მოუფიქრებელმა, სხვისი კარნახით განხორციელებამ და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის აუცილებელი ცოდნის მწვავე დეფიციტმა საფრთხის წინაშე დააყენა ქვეყნის ეკონომიკური განვითარება [6]. ეს პრობლემა არ არის მარტო ჩვენი ქვეყნის სატკივარი, იგი გლობალური პრობლემაა და მის „სუსხს“ განსაკუთრებით სუსტად განვითარებული ქვეყნები გრძნობენ.

საქართველოს, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის ეკონომიკურ პოლიტიკაში, კლასიკური

ფორმით ეკონომიკური ზრდის არც ერთი მოდელი არ გამოუყენებია. ეკონომიკის განვითარების დონისა და ეროვნული ინტერესების არაადეკვატური იყო ის უცხოური რეკომენდაციები, რომლებიც საფუძვლად დაედო ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას. საქართველოს წარუმატებლობის მთავარი მიზეზი სწორედ ამაში უნდა ვეძიოთ, ხოლო მისი აღმავლობის საწინდარი გაღატაკებული მკვიდრი მოსახლეობის გადახდისუნარიანობის ამაღლებაშია. ამისათვის კი დროა საქართველოში ეკონომიკური პოლიტიკის მესვეურებმა გაითვალისწინონ მსოფლიოში საკმაოდ აპრობირებული გამოცდილება. „კეინზიანური რევოლუციიდან" მოყოლებული არ არსებობს დღეს განვითარებული ქვეყანა, რომელსაც ეკონომიკის ტრანსფორმაციის პერიოდსა და კრიზისულ სიტუაციაში თავის ეკონომიკურ პოლიტიკაში არ გაეთვალისწინებინა ეკონომიკური ზრდის კეინზიანური მოდელი. საქართველოში კი იგი არ იქნა გამოყენებული. მსოფლიოში ვერ დავასახელებთ ქვეყანას, რომელსაც „ძვირი ფულის" პოლიტიკით დაეღწია თავი ეკონომიკური კრიზისისგან.

არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის გავლენით, საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემა ვერ ჩამოყალიბდა ისეთ მდგრად ინსტიტუტად, რომელიც გაართმევდა თავს ქვეყანაში კაპიტალის ქრონიკულ უკმარისობას და, აქედან გამომდინარე, ეკონომიკური ზრდის დაბალ ტემპებთან დაკავშირებულ პრობლემებს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ლაგის ფაქტორი (ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან დღემდე განვლილი პერიოდი) მოქმედებს, იქნებ ახლა მაინც იყოს შესაძლებელი „კეინზიანური რევოლუციის" პოსტულატების ჩართვა ეროვნულ ეკონომიკურ პოლიტიკაში. გაჭიანურებული ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევის რეალური შესაძლებლობებიც სწორედ ქრისტიანულ ეთიკაზე, ქრისტიანულ ზნეობრივ მოძღვრებაზე აგებულ ამ ჰუმანურ თეორიაშია [8, 296]. რაც შეეხება მონეტარიზმს, რომელიც, ჩვენი აზრით, შორსაა ქრისტიანული ზნეობრივი მოძღვრებიდან, ლომის წილი მიუძღვის ჯერ მსოფლიო ფინანსური, ხოლო შემდეგ, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის წარმოშობაში. ეკონომიკურ პოლიტიკაში გაბატონებულმა ამ მიმართულებამ განიცადა „ინტელექტუალური კოლაფსი [9; 10] და თვით აშშ-ში კითხვის ქვეშ დააყენა ულტრალიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა, რომელმაც XX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში საკმაოდ წარმატებული „ნეოკლასიკური სინთეზის" ადგილი დაიკავა. ამ პერიოდიდან მოყოლებული ეკონომიკურ პოლიტიკაში საბიუჯეტო-საგადასახადო რეგულირების იგნორირებამ და, აქედან გამომდინარე, ფისკალური პოლიტიკის როლის დაკნინებამ, ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში საკრედიტო რეგულატორების შესუსტებამ, წინა პლანზე ფულის ფენომენის წამოწევამ და ფულით ფულის კეთებისთვის მწვანე შუქის მიცემამ გზა გაუხსნა ვირტუალურ ეკონომიკას და სერიოზული პრობლემები წარმოშვა რეალურ სექტორში. ამას მოჰყვა ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელება და ერთობლივი მოთხოვნის დაცემა. მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა მთელი სიგრძე-სიგანით გამოავლინა მონეტარიზმის „მომხიბვლელობა". ცივილიზებული სამყარო ისევ კეინზიანური მოდელისკენ შემობრუნდა, რაც აისახა კიდეც განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში.

საკუთრების მრავალფორმიანობის მიუხედავად, საქართველოში საკუთრების პლურალიზმი ვერ ჩამოყალიბდა. „ველურ№ კაპიტალიზმი სრულიად შეუთავსებელია დემოკრატიულ განვითარებასთან, ამიტომ ასეთ პირობებში, ამ მხრივ თუ არ მოხდა არსებითიცვლილებები, საქართველო დემოკრატიული ვერასდროს გახდება.

საქართველოში ყველაფერი იყიდება, მათ შორის, ბუნებრივი რესურსებიც, ყოველგვარი სამომავლო შესაძლებლობების თუ უარყოფითი გარე ეფექტების გაუთვალისწინებლად, რასაც არაფერი აქვს საერთო ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებასთან. საქართველოში პრივატიზაცია ქვეყნის ხაზინის შევსების მნიშვნელოვან წყაროდ იქცა, ინფლაცია კი შთანთქავს მშპ-ის გარკვეულ ნაწილს. იზრდება უმუშევრობა, ღატაკდება მოსახლეობა (ოფიციალურ უმწეოთა რაოდენობამ 1 მლნ-ს მიაღწია, ამასთან, ამ სტატუსის მიღებაზე კიდევ 600 ათას კაცს აქვს განაცხადი). ბოლო მონაცემებით, დაბალშემოსავლიან ადამიანთა რიცხოვნობამ 2,4 მლნ შეადგინა [8].

საქართველოშო მეწარმეობის დიდი ტრადიციები, არსებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაცია პრივატიზაციისადმი საკუთარ მიდგომას მოითხოვს. საკუთრების განსახელმწიფოებრიობის პროცესში გასათვალისწინებელია ეროვნული ფასეულობები, ეროვნულ თვითმყოფადობაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ინტერესები და ქვეყნის განვითარების თავისებურებები, ბუნებრივია, ევროპის განვითარებული ქვეყნების გამოცდილებაც „ევროპის... მმართველობა და გამგებლობა ქვეყნისა, ევროპის წესი და რიგი" (ილია ჭავჭავაძე).

ეროვნული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების პრობლემა როგორც მსოფლიო, ისე შიდა ბაზრებზე ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი მხარეა, თუმცა, ჯერ კიდევ, არ გადადგმულა პრაქტიკული ნაბიჯები მისი გადაჭრისთვის. საქართველოში მიმდინარე ფსევდორეფორმებმა დასცა სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობა, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა წარმოების განვითარებაზე და კიდევ უფრო გააღრმავა ეკონომიკური კრიზისი.

განუვითარებელი ადგილობრივი წარმოება საქართველოში ვერ აკმაყოფილებს საშინაო ბაზრის მოთხოვნებს, ამიტომ მოსახლეობის დამოკიდებულება იმპორტზე დიდია. ერთობლივი მოთხოვნის უდიდესი ნაწილი იმპორტირებული პროდუქციით კმაყოფილდება. არასახარბიელოა ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაც, რომელშიც ჭარბობს ბუნებრივი

რესურსები და ნედლეული. ბევრი ტრადიციული საქონელი, რომლის საწარმოებლად ქვეყენას აქვს გარკვეული აბსოლუტური და შეფარდებითი უპირატესობა, შემოდის უცხოეთიდან.

გარემოს დაცვა სოციალური მნიშვნელობის პრობლემაა და, აქედან გამომდინარე, სახელმწიფო რეგულაციის მნიშვნელოვანი სფერო. ბიზნესის განვითარების საფუძველზე გარემოს დაბინძურებისა და ბუნებრივი რესურსების სულ უფრო მეტი რაოდენობით წარმოებაში ჩართვის შედეგად იზრდება ექსტერნალიების უარყოფითი გავლენა საზოგადოებრივ განვითარებაზე. იგი პერმანენტული პროცესია, რომელიც მოითხოვს სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას. ეს განსაკუთრებით ეხება განვითარებად ქვეყნებს, სადაც კაპიტალის მიწოდების შეზღუდულობა, ახალი ტექნოლოგიების ხელმიუწვდომლობა, მწირი სამეწარმეო გამოცდილება დიდ როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკის განუვითარებლობაში. ეკონომიკის განვითარების დაბალი დონე აიძულებს ამ ქვეყნებს მოახდინონ მოძველებული ტექნოლოგიების იმპორტი, რომელთა გამოყენების გრძელვადიანი შედეგის შესახებ ინფორმაციასაც კი არ ფლობენ. ამიტომ დაბალი საინვესტიციო შესაძლებლობები, ინტენსიური შრომა მოძველებული ტექნოლოგიების გამოყენებას განაპირობებს. ასეთი ტექნოლოგიები ხელს უწყობს ეკოლოგიური კატასტროფების წარმოქმნას და გარემოს დაბინძურებას.

საქართველოში გარემოს დაბინძურების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი რესურს- და ენერგოტევადი მოძველებული ტექნოლოგიებია. სიტუაციას ამძიმებს ეკოლოგიურად საშიში საქონლის იმპორტი, მათ შორის, ეკოლოგიური საფრთხის გამოვლენის ერთ-ერთ ფორმად არ შეიძლება არ დავასახელოთ ჯანმრთელობისთვის საშიში კვების პროდუქტები, რაც სასურსათო უსაფრთხოებას ეჭვქვეშ აყენებს. ამასთან, დემპინგური ფასებით სურსათის იმპორტი არყევს ეროვნული წარმოების კონკურენტუნარიანობას და აფერხებს სოფლის მეურნეობის განვითარებას, სადაც ამჟამად მშპ-ის მხოლოდ 8% იქმნება.

აუცილებელია დასაშვებ ნორმაში მოექცეს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება ისეთი მომწამვლელი გაზებით, როგორიცაა ნახშირორჟანგის, აზოტისა და გოგირდის ორჟანგის გამონაბოლქვები, წარმოებული მყარი მავნე ნარჩენები, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენები და ა.შ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დაბინძურებისაგან წყლის რესურსების დაცვას, ავტომანქანების ტექნიკური გაუმართაობის აღკვეთას. ავტომანქანების გამონაბოლქვი აირების, კონცეროგენული ფისოვანი ნივთიერებების, აზოტის ორჟანგის მაღალი კონცენტრაცია, რომელიც თბილისში 20-ჯერ აღემატება დასაშვებ ნორმას, ძალზე სახიფათოა ჯანმრთელობისთვის. ბენზინის შემადგენლობაში ტყვიის წილის 60-68%-ია, ხოლო თბილისში 80%-ს აღემატება.

ამრიგად, ეკოლოგიური რეგულირება და, აქედან გამომდინარე, ეკოლოგიური ნორმა ზღვრული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ქვეყნის სოციალური ორიენტაციის მნიშვნელოვანი ფაქტორია. საქართველოში, დღეს ეკოლოგიური წონასწორობა ისეა დარღვეული, რომ თუ სამეურნეო განვითარების თანამედროვე ტენდენციები არ შეიცვალა, მოსალოდნელია ეკოლოგიური კატასტროფები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1 Corden Max W., Nearvy Peter J. Booming Sector and Deindustrialization in a Small open Economy. “The Economic Journal”. Vol. 92, 1982;

2. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია. იხ.: საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. შრომების კრებული. VII ტომი. ნ. ჭითანავას რედაქციით. თბილისი, 2003;

3. ასათიანი რ. საით მიდის საქართველო? სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2014;

4. პაპავა ლ. არატრადიციული ეკონომიკსი. თბილისი, 2011;

5. ასათიანი რ. თანამედროვე ეკონომიკის მცირე ენციკლოპედია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2014;

6. ასათიანი რ. ეკონომიკური რეფორმები საქართველოში: ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან. „მაკრო მიკრო ეკონომიკა“, 2000, №8;

7. Asatiani R. Globalization and Economic Theory. “The Caucasus & Globalization”. Vol. 2 (1), Sweden, 2008;

8. საქართველოს ეკონომიკა. მთავარი რედაქტორი როზეტა ასათიანი. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2012;

9. Krugman P. The Return of Depress on Economics and the Crisis of 2008. New-York, “Norton & company”, 2008;

10. კრუგმანი პ. როგორ მოახერხეს ეკონომისტებმა ყველაფრის არასწორად გაგება. თარგმანი ინგლისურიდან. „საქართველოს ეკონომიკა“, 2009, №10.

11. Колодко Г. Глобализация и сближение уровней экономического развития: от спада кросту в странах с переходной экономикой. “Вопросы экономики”, 2000, №10;

12. ასათიანი რ. XX საუკუნის მსოფლიო ეკონომიკის კონცეპტუალური ანალიზი და საქართველოს ეკონომიკური პორტრეტი. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2015.

13. R. Asatiani. Caucasus and Georgian Economy: Past, Present, Prospects. “The Caucasus Region: Economic and Political Developments”. New York, Nova Science Publishers, Inc., 2011.

ინოვაციური განვითარების სტრატეგიული მოდელების თავისებურებები და მათი კომპარატივისტიკული დახასიათება

ირაკლი ჯანგავაძე
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

გლობალიზაციის თანმდევი პრობლემების გაღრმავების პარალელურად, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ქვეყნის საერთო კონკურენტუნარიანობის ხარისხის განსაზღვრა მსოფლიო ასპარეზზე, რაც თავის მხრივ განისაზღვრება ქვეყნის ეროვნული ინოვაციური სისტემის სტრუქტურის ეფექტურად მუშაობით. სწორედ ინოვაციური სისტემები აძლევს შესაძლებლობას ქვეყანას დაიკავოს განსაზღვრული კონკრეტული ნიშა შრომის დანაწილების საერთაშორისო სისტემაში.

ოცდამეერთე საუკუნემ ნათლად დაგვანახა, რომ მნიშვნელოვანწილად სწორედ ინოვაციური სფეროს განვითარებაში მიღწეული დონე და დინამიზმი ქმნის ეკონომიკური ზრდის მყარ ბაზას.

ყოველ ქვეყანას განსხვავებული ინოვაციური სისტემა გააჩნია, რადგან მის ფორმირებაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს. კერძოდ: ქვეყნის ტერიტორიის ზომა, ბუნებრივი და შრომითი რესურსები, სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარების ისტორიული თავისებურებები და სამეწარმეო საქმიანობის ფორმები. აღნიშნული ფაქტორები ინოვაციური აქტივობის სიჩქარისა და მიმართულებების გრძელვადიანი დეტერმინანტების როლს ასრულებენ.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციები, ეროვნული ინოვაციური სისტემა, ინოვაციური მოდელი, ინოვაციური ინფრასტრუქტურა, გლობალიზაცია, კონკურენტუნარიანობა, ჰაი-ტექი, ჰაი-ჰიუმი, რეგიონი, უნივერსიტეტი, ბიზნესი, სახელმწიფო.

Strategic models of innovative development

Irakli Jangavadze
Doctoral at GTU

Summary

Along with the deepening the role of globalization, countries are becoming more important to determine the degree of competitiveness. Accordingly it is very important to create effective innovative system. It determines the position of the international division of labor system.

The twenty-first century has shown that innovations contributing to economic growth.

Each country has a different system of innovative, there are many causes: The size of the country's territory, natural and labor resources, historical peculiarities of state institutions development and entrepreneurial activities. There are long-term determinants of innovative development.

Keywords: innovations, national innovation system, innovative model, innovative infrastructure, globalization, competitiveness, high-tech, high-hume, region, university, business, state.

ძირითადი ტექსტი

მიუხედავად იმისა, რომ ინოვაციური სისტემები (დეტალების მიხედვით) საკმაოდ ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მათ ასევე გააჩნიათ საერთო მიდგომებიც. ინოვაციური სისტემის ფუნქციონირებისთვის აუცილებელია არსებობდეს განსაზ-ღვრული სტრუქტურა — ურთიერთდაკავშირებული ბლოკების კომპლექსურობა, მთლიანობა.

პირობითად შეგვიძლია გამოვყოთ 5 შემადგენელი ბლოკი: [1]

კრეატიული ბლოკი — უნივერსიტეტები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, სპეციალისტები, სოციალური ქსელები (უზრუნველყოფენ უშუალო კავშირს სხვადასხვა ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტის მკვლევარებს შორის);

ტექნოლოგიების სატრანსფერო ბლოკი — ახალი იდეები, რომლებიც კრეატიული აზროვნების შედეგია, როგორც წესი, დაუყოვნებლივ არ შეიძლება იყოს წარმოდგენილი საწარმოო პროცესში. უმთავრესი პრობლემა, რომელიც სამეცნიერო-ტექნიკური იდეების პრაქტიკულ განხორციელებას უკავშირდება, არის ინფორმაციის ასიმეტრიულობა ინოვაციების გამოყენების მნიშვნელობასთან დაკავშირებით. რაც უფრო რთულადაა მოწყობილი ინოვაციური სტრუქტურა სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის თვალსაზრისით, მით უფრო რთულია მისი მნიშვნელობის გააზრება ინოვაციების ავტორებსა და მისი მართვის შეძენილი უფლების მქონე, ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტებს შორის. შესაბამისად აუცილებელია მედიატორი, შუამავალი, რომელიც დაარწმუნებს მომხმარებელს გამოგონილი ნოვაციის მნიშვნელობასა და ხარისხში. აღნიშნულ ფუნქციას ეფექტურად ასრულებენ პროფესიონალი ექსპერტიზის არაკომერციული ფონდები. დღესდღეობით მსგავსი ტიპის არაკომერციული ფონდები ხელს უწყობენ მძლავრი საშუამავლო რგოლების ფორმირებას, რომლებიც ორმხრივი კონტრაქტების მეშვეობით ახდენენ კრეატიული იდეის ავტორებსა და მომხმარებლებს შორის მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას, გაღრმავებას.

<u>დაფინანსების</u> ბლოკი — კრეატიული იდეის

1 Сургеев В., Алексеенкова Е., Нечаев В. Типология моделей инновационного развития . Ж. „Полития“., М.,2008 , № 4 (51), С. 6-8.

პროდუქტად განივთებისა და მისი მასობრივ წარმოებაში დანერგვისათვის უმნიშვნელოვანესია გარე დაფინანსების წყაროს არსებობა, რომელიც შეიძლება იყოს 3 სახის: საბანკო კრედიტი, ინოვაციური იდეის გაყიდვა, ვენჩურული დაფინანსება;

წარმოების ბლოკი — არსებობს ინოვაციური წარმოების 2 ვარიანტი: 1) საკუთარი საწარმოო პროცესების გადაცემა რომელიმე მძლავრი ფირმისთვის, რაც მეწარმე-ინოვატორს საშუალებას მისცემს გამოიყენოს ო.უილიამსონის მიერ აღნიშნული ვერტიკალური ინტეგრაციის უპირატესობა — თავი აარიდოს მენეჯმენტის განხორ-ციელებასთან დაკავშირებულ ტრანსაქციულ დანახარჯებს; 2) მცირე ბიზნესის შექმნა, რომლის მასშტაბი და ზომა თვისობრივად მინიმალურ ტრანსაქციულ ხარჯებს მოისაზრებს.

კადრების მომზადების ბლოკი — მნიშვნელოვანია, რომ ინოვაციური კადრების მომზადების პროცესს სისტემური ხასიათი ჰქონდეს, რომელიც, თავის მხრივ, უნდა შედგებოდეს რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული ეტაპისგან — კადრების გონივრული და ფრთხილი შერჩევა, მათი ცოდნისა და კომპეტენციის ამაღლებაზე დინამიური ზრუნვა და ა.შ. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტებთან ერთად სამეცნიერო ელიტის მომზადებასა და ფორმირებაში, უდიდეს როლს ასრულებენ ეროვნული საინჟინრო სკოლები.

მსოფლიოში არსებული ეროვნული ინოვაციური სისტემების ანალიზი, საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ ინოვაციური განვითარების შემდეგი საბაზისო მოდელები: „ევროატლანტიკური“ (იგივე ტრადიციული), „აღმოსავლეთაზიური“, „ალტერნატიული“ და „სამმაგი სპირალის“ მოდელები.

ევროატლანტიკური რეგიონის ინოვაციური განვითარების თანამედროვე მოდელი ინოვაციური საქმიანობის სრულ ციკლს მოისაზრებს — ინოვაციური იდეის წარმოშობიდან პროდუქციის მასობრივი გამოშვების (დანერგვის) ეტაპამდე. შესაბამისად, დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეროვნული ინოვაციური სისტემის შემადგენელი ელემენტებია: ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერებები, კვლევები და დამუშავებები, საცდელი ნიმუშების შექმნა, ტესტირება და მათი მასობრივ წარმოებაში დანერგვა. სახელმწიფო უდიდეს ყურადღებას უთმობს ინოვაციური პროექტების დაფინანსების თანამედროვე (ეფექტური) სისტემების ფორმირებას (განსაკუთრებით სახელმწიფო გრანტების გამოყოფას), კომერციალიზაციის ხელშეწყობას, უნივერსიტეტების ბაზაზე სამეცნიერო - კვლევითი პროფილის კომპანიების დაარსებას.

პრაქტიკულად, ევროატლანტიკური მოდელის ძირითად ბირთვს უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების სისტემები ქმნიან. მაგ: დიდ ბრიტანეთში წარმოდგე-ნილია მსოფლიო დონის წამყვანი უნივერსიტეტები (ოქსფორდი, კემბრიჯი, ლონდონის უნივერსიტეტი). ანალოგიური მდგომარეობა შეინიშნება საფრანგეთსა და გერმანიაში, სადაც ეროვნული ინოვაციური სისტემის პრიორიტეტული მიმართულებები კონცენტრირდება უნივერსიტეტების გარშემო.

ინოვაციური საქმიანობის სტიმულირების მიზნით ხორციელდება საკანონმდებლო, საგადასახადო და ფინანსური აქტივობები. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურეს ტექნოპარკებისა და ტექნოპოლისების ინოვაციურმა სტრუქტურებმა.

საფრანგეთის მაგალითზე განვიხილოთ დასავლეთ ევროპის ქვეყნების მიერ ინოვაციების სტიმულირების ძირითადი მეთოდები:[2]

2 Давыденко Е. В. Модели национальных инновационных

ინოვაციური მოდელების კომპარატივისტიკული დახასიათება

კრიტერიუმები	**ევროატლანტიკური მოდელი** (დას.ევროპის ქვეყნები)	**აღმოსავლეთაზიური მოდელი** (ს.კორეა, ჰონგკონგი, ტაივანი)	**ალტერნატიული მოდელი** (ჩილე, ტაილანდი, თურქეთი, იორდანია,პორტუგალია)	**სამმაგი სპირალის მოდელი** (აშშ, ნაწილობრივ ევროპა)
მოდელის ბირთვი	უნივერსიტეტები და კვლევითი ცენტრები	კორპორაციების კვლევითი ლაბორატორიები	უნივერსიტეტები და ტექნოპარკები	მეცნიერება+სახელმწიფო+ბიზნესი (მათ შორის ურთიერთკავშირი)
ინოვაციური ციკლის ეტაპები	სრული ინოვაციური ციკლი	ამოღებულია ფუნდამენტური მეცნიერების რგოლი	პრაქტიკულად ამოღებულია ფუნდამენტ. და გამოყენებითი მეცნიერება	სრული ინოვაციური ციკლი
სახელმწიფოს როლი	ინოვაციური პროექტების დაფინანსება; კომერციალიზაციის ხელშეწყობა; სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა	ტექნოლოგიების მიბაძვაზე ორიენტაცია და ჰაიტეკ პროდუქციის ექსპორტი	ახალი ტექნოლოგიების გადმოღება; კვალიფიციურ საკადრო პოლიტიკაზე ორიენტაცია; პრიორიტეტ. სფეროების გამოყოფა	ტექნ.განვითარებისა და კომერციალიზაციის სტიმულირება
დაფინანსების თავისებურებები	ძირითადად გამოიყენება სახელმწიფო გრანტები	ჭარბობს კერძო სექტორის დანახარჯები	სახელმწ. დანახარჯები ინოვაციური ინფრასტუქტურის შექმნაზე და კადრების მომზადებაზე	კერძო სექტ.+სახელმწ. დანახარჯ.; ვენჩურული კაპიტალის დომინირება
სტიმულირების მეთოდები	საკანონმდებლო (ინტელექტ. საკუთრების), ფინანსური, საგადასახადო	ორგანიზაც. პირობების შექმნა ინოვაციური საქმიანობისთვის	ორგანიზაც. პირობების შექმნა ინოვაციური საქმიანობისთვის	საკანონმდებლო(ინტელექტ. საკუთრების), ფინანსური, საგადასახადო

- ბიზნეს-ინკუბატორების შექმნა;
- მცირე ინოვაციური საწარმოს სტატუსის მინიჭება (აღნიშნულს მიეკუთვნებიან ის მცირე და საშუალო ზომის კომპანიები, რომლებსაც სამრეწველო სექტორში საქმიანობის არაუმეტეს 8 წლიანი გამოცდილება აქვთ და ინოვაციური საქმიანობისას სარგებლობენ რიგი შეღავათებით);
- ვენჩურული (სარისკო) კაპიტალის სახელმწიფო და კერძო ფონდები;
- ერთობლივი საინოვაციო ფონდები;
- შეღავათიანი საგადასახადო კრედიტების გამოყოფა კვლევითი საქმიანობისთვის. (შეღავათის სიდიდე დამოკიდებულია კომპანიის მიერ კვლევებსა და დამუშავებებზე გაწეული დანახარჯების რაოდენობაზე);
- ახალგაზრდა სპეციალისტების ჩართულობა. მსგავს პრაქტიკას აქტიურად მიმართავენ ინოვაციური კომპანიები ახალგაზრდა ნიჭიერი სპეციალისტების მოზიდვის მიზნით.

რაც შეეხება ევროპის მცირე ზომის ქვეყნებს (განსაკუთრებით ჩრდილოეთ ევროპა-შვედეთი, ფინეთი, დანია, შვეიცარია, ნიდერლანდები) განსაკუთრებული აქცენტი კეთდება საუნივერსიტეტო ფუნდამენტური მეცნიერების განვითარებაზე, რომელიც სახელმწიფო მხარდაჭერით ხორციელდება. ასევე, მნიშვნელოვანია ეროვნული სამეცნიერო აკადემიების როლი (მეცნიერების სამეფო აკადემია შვედეთში). გამოყენებითი კვლევები გრანტებისა და მსხვილი ტნკ-ების ერთობლივი პროექტების საფუძველზე ფინანსდება („Shell“ და „Phillips“ ნიდერლანდებში, „Volvo “ და „ Ericsson “ შვედეთში).

ასევე უმნიშვნელოვანესია სილიკონის ველის (აშშ) მსგავსი მაღალტექნოლოგიური რეგიონული პროექტების განხორციელება. მაგ: 1) ენერგეტიკული ველი გრონინგენში (ნიდერლანდები), სადაც ხდება ენერგორენტაბელური ტექნოლოგიებისა და ალტერნატიული ნახშირწყალბადური საწვავის დამუშავება; 2) კომპიუტერული ველი, ლინჩოპინგში (შვედეთი), სადაც თავმოყრილია კვლევითი ინსტიტუტები, ტექნოპარკები, ტელეკომუნიკაციისა და ტექნოლოგიების სფეროში არსებული ვენჩურული ბიზნესი.

აღმოსავლეთაზიური რეგიონის (იაპონია, სამხრეთ კორეა, ჰონგკონგი) ინოვაციური განვითარების მოდელი, არსებითად განსხვავდება ტრადიციულისგან. აღნიშნულ მოდელში პრაქტიკულად არ არსებობს ინოვაციური ციკლის ფუნდამენტური მეცნიერების კომპონენტი, რაც აღმოსავლეთაზიური ქვეყნების პოლიტიკით არის განპირობებული (ტექნოლოგიების გადმოღება, მიბაძვა და მაღალტექნოლოგიური პროდუქციის ექსპორტი). არსებული მოდელის ბირთვს კორპორაციების კვლევითი ლაბორატორიები წარმოადგენს, სადაც ხორციელდება საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავებები. მოცემულ რეგიონში მრავალი კაპიტალტევადი სექტორი ძირითადად განვითარდა მოზიდული პუი-ების, ნოუ-ჰაუსა და ტექნოლოგიური ტრანსფერების ხარჯზე.

აღმოსავლეთაზიური მოდელის კლასიკური წარმომადგენელია იაპონია, სადაც ინოვაციურ პროცესებში სახელმწიფო და საუნივერსიტეტო კვლევითი ლაბორატორიები ნაკლებმნიშვნელოვან როლს ასრულებენ — გამოყენებითი სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავებები ძირითადად ხორციელდება მსხვილი კომპანიების კვლევით ლაბორა-ტორიებში. შედეგად იაპონიაში კვლევებისა და დამუშავებების დაფინანსების უმნიშვნე-ლოვანესი წილი კერძო სექტორზე მოდის.

ნიშანდობლივია, რომ იაპონიის ეროვნული ინოვაციური სისტემის ევოლუცია დაიწყო უცხოეთის მოწინავე ტექნოლოგიებისა და ნოუ-ჰაუს იმპორტის ხარჯზე, რასაც თან დაერთო ადგილობრივი (ინდივიდუალური) დამუშავებები და სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევები.

ობიექტური დამკვირველებლისთვის ნათელია იაპონიის უმაღლესი განათლების სისტემის რიგი ხარვეზები. მაგ.: არ არსებობს ინდივიდუალური კრეატიული განვითარების ხელშემწყობი გარემო პირობები, მაგრამ ამავდროულად უმაღლეს დონეზეა აყვანილი იაპონური კოოპერაციის (თანამშრომლობის) კულტურა, ხოლო მათი მაღალი პასუხისმგებლობის წყალობით, იწარმოება ფართო მოხმარების ისეთი მაღალტექნოლოგიური პროდუქცია, რომელიც პრაქტიკულად მთელს მსოფლიოში უკონკურენტოა.

იაპონიის ეროვნული ინოვაციური სისტემის უმთავრეს თავისებურებას წარმოადგენს ხარისხის ორიენტირი — „high-tech“ სფეროს უმაღლესი ხარისხის პროდუქციის ექსპორტი. გასული საუკუნის შუა პერიოდში იაპონიამ „ფსონი დადო“ გამოყენებითი საინჟინრო შინაარსის მქონე უცხოური პატენტების შეძენაზე, რის შედეგადაც საოცარ წარმატებას მიაღწია პირველად ბიტური ელექტრონიკის, ხოლო შემდგომ მანქანათმშენებლობის სფეროში. შედეგმაც არ დააყოვნა — იაპონურმა წარმოებამ შესამჩნევად აჯობა ამერიკულს, არამარტო მსოფლიო, არამედ მისსავე ადგილობრივ (ამერიკულ) ბაზარზე. ასევე უდიდესი ყურადღება ეთმობა ნახევარგამტარებისა და ნანოტექნოლოგიების კვლევით პროექტებს.

ინოვაციური განვითარების ალტერნატიული მოდელი უპირატესად დამახასიათებელია სასოფლო-სამეურნეო ტიპის ქვეყნებისთვის, რომლებიც არ ფლობენ მნიშვნელოვან პოტენციალს ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერების კუთხით, არ გააჩნიათ კუნკურენტული უპირატესობის განმსაზღვრელი მდიდარი სანედლეულო მარაგები, დამუშავებითი ტექნოლოგიები და ა.შ. მსგავს ქვეყნებში, ან საერთოდ არ არსებობს, ან ძალიან მწირი რაოდენობით არის წარმოდგენილი როგორც ფუნდამენტური და გამოყენებითი სფეროები, ასევე მაღალტექნოლოგიური მიმართულებები.

აღნიშნული ქვეყნები აქცენტს აკეთებენ კადრების მომზადებაზე ეკონომიკის, ფინანსების, მენეჯმენტის, სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის კუთხით. ასევე ყურადღება ეთმობა მსუბუქი მრეწველობის

систем: Зарубежный опыт и адаптация для России. Ж. „Проблемы модернизации и перехода к инновационной экономике“. С 23

ცალკეული სექტორების, კრეატიული და რეკრეაციული ინდუსტრიის განვითარებას.

მაგ.: ჩილე და ტაილანდი ორიენტირებულია პრიორიტეტულ სექტორებში ინოვაციური მენეჯმენტის განვითარებასა და ახალი ტექნოლოგიების გადმოღებაზე (მიბაძვაზე). ჩილეში აღნიშნული საკითხების გადაჭრაზე ზრუნავს ეროვნული ინოვაციური სააგენტო. შექმნილია მაღალტექნოლოგიური პარკები, სადაც ჩართულია სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტები, ზრუნავენ უცხოელი სპეციალისტების მოზიდვაზე და სხვ.

ჩილეში ფუნდამენტური მეცნიერება ვითარდება უნივერსიტეტების მეშვეობით. მთავრობის დიდი მხარდაჭერით სარგებლობენ წამყვანი ეროვნული უნივერსიტეტები, უპირველესად დედაქალაქის უნივერსიტეტი — „სანტიაგო დე ჩილე". უნივერსიტეტებში გენერირებული ინოვაციური იდეების 50%-ის რეალიზაციას, შემდგომში სამეცნიერო კვლევითი ცენტრები ახდენენ.

დაფინანსების უდიდესი წილი გამოიყოფა სახელმწიფოს მხრიდან, ხოლო კერძო სექტორის როლი აღნიშნულ სფეროში საკმაოდ მცირეა. ჩილეს პარლამენტმა განიხილა კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც დაარსდა ინოვაციური ფონდი. მასში აკუმულირებულია როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ასევე ფიზიკური პირების, კერძო კომპანიების, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი თანხები.

ჩილეს საინოვაციო პოლიტიკის მთავარი მიმართულებები თანდათანობით ხდება სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, „high-hume", ასევე ტელეკომუნიკაცია და სატრანს-პორტო კავშირები.

მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარებას თურქეთში. ჯერ კიდევ 1963 წელს ქვეყანაში დაარსდა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საბჭო (TUBITAK), რომელიც პასუხისმგებელია თურქეთის სამეცნიერო-ტექნოლოგიურ განვითარებაზე. 1991 წელს, საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა ტექნოლოგიური განვითარების არასამთავრობო, არაკომერციული ფონდი (TTGV), რომელიც მოწოდებულია გადაჭრას კვლევა-დამუშავებების დაფინანსების საკითხები კერძო სექტორში. TTGV უზრუნველყოფს აღნიშნული სფეროს საბიუჯეტო დაფინანსების 50%-ს, რომელშიც უმთავრესად მოისაზრება ტელეკომუნიკაციისა და ელექტრონიკის სფეროებში ინიცირებული პროექტების დაფინანსება. მოწონებული პროექტების 73% წარმოადგენს მცირე და საშუალო ბიზნესის ინიციატივებს.

ბოლო წლებში, უნივერსიტეტებსა და საწარმოებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, თურქეთში ჩამოყალიბდა 12 ტექნოპარკი და ასევე ტექნოლოგიური განვითარების ზონები. აღნიშნულ ზონებში, მკვლევარებისა და მეწარმეების სტიმულირებისათვის შექმნილია საკანონმდებლო და ფინანსური მხარდაჭერის განსაკუთრებული პირობები, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს შრომის ნაყოფიერების ამაღლებას. მთავარ მიზანს სწორედ ბიზნესსა და უნივერსიტეტებს შორის არსებული დისტანციის შემცირება, მათი დაახლოება წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ თურქეთი შედის იმ ქვეყნების ათეულში, რომელთა სტუდენტები ყველაზე დიდი რაოდენობით არიან წარმოდგენილი აშშ-ის უნივერსიტეტებში. აღნიშნულის პარალელურად თურქეთმა შექმნა დისტანციური სწავლების საკმაოდ ეფექტური სისტემა, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის განათლების დონის გაზრდას.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინოვაციური განვითარების ალტერნატიული მოდელი პრიორიტეტული და ნაკლებხარჯიანია იმ ქვეყნებისთვის, რომელთაც არ ძალუძთ მაღალი სახელმწიფო-ორგანიზაციული ხარჯების გაწევა.

„სამმაგი სპირალის მოდელი" ზემოაღნიშნული მოდელებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება არამარტო სტრუქტურული აგებულებით, არამედ შემადგენელი ელემენტების ურთიერთკავშირითაც. იგი წარმოიშვა ევროატლანტიკური მოდელის საფუძველზე და საუკეთესო განვითარება ჰპოვა აშშ-ში, ასევე ნაწილობრივ დასავლეთ ევროპისა (საფრანგეთი) და სკანდინავიის ქვეყნებშიც, ბრაზილიასა და იაპონიაში (ტექნოპოლისების საფუძველზე).

აღნიშნული მოდელი, რომელსაც 3 სუბიექტი ჰყავს (უნივერსიტეტი, ბიზნესი და სახელმწიფო) აშშ-ის ინოვაციური პოლიტიკის ერთგვარ ფუნდამენტს წარმოადგენს. ავტორები არიან ჰენრი ეცკოვიცი და ლუთ ლეიდესდორფი.[3] უნივერსიტეტი ამუშავებს იდეას, სახელმწიფო ქმნის ნორმატიულ ბაზას, ბიზნესი უზრუნველყოფს რესურსებს.

სამმაგი სპირალის მოდელი ეფუძნება იმ პროგრესულ იდეას, რომ თანამედროვე საზოგადოებაში უნივერსიტეტია ინოვაციური საქმიანობის ძირითადი ბირთვი.

სამრეწველო საწარმოები ტრადიციულ საქმიანობასთან, ანუ პროდუქციის წარმოებასთან ერთად, თავიანთ სტრუქტურულ ერთეულებს უნივერსიტეტების ტექნოპარკებში ქმნიან, რითაც კვლევით ჯგუფებთან უფრო მჭიდრო კონტაქტში შედიან. შესაბამისად მეტი შესაძლებლობა აქვთ კომერციული დანიშნულებით ახალი საქონელი დაამუშავონ და საჭირო თანამშრომლებიც, უმეტესად სტუდენტები, კოვორკინგული მოდელით აქვე ამუშაონ.

„სამმაგი სპირალის" ახალი მოდელი წარმოიშვა ორი ურთიერთგადამკვეთი სპირალის: უნივერსიტეტები - საწარმოები და სახელმწიფო - უნივერსიტეტები გადა-კვეთის შედეგად. იგი აშშ-ში დაიწყო და დღესაც ინოვაციური მეწარმეობის საფუძველია. თუმცა შესაბამისი ინფრასტრუქტურის გარეშე, ამ გამოცდილების კოპირება სხვისთვის შეიძლება არაპერსპექტიული აღმოჩნდეს.[4]

3 Henry Etzkowitz & Loet Leydesdorff (2000), The dynamics of innovation: from National Systems and ''Mode2'' to a Triple Helix of university-industry-government rela-tions, Research Policy, vol 29, pp. 109-123

4 ჯოლია გ; კრეატიული ეკონომიკა და განვითარება. თბ. 2015 სტუ.

აშშ-ის ეროვნული ინოვაციური სისტემის საფუძველს წარმოადგენენ უნივერსიტე-ტები, რომელთაგან უმეტესობა იკავებს წამყვან პოზიციას მსოფლიო რეიტინგში. აშშ-ში დაახლოებით 150 უნივერსიტეტია, რომელთაგან ასევე გამოიყოფა ე.წ. „Ivy League"[5] 8 უნივერსიტეტით – ჰარვარდის, კოლუმბიის, იელის, პრინსტონის, პენსილვანიის, დარტმუთის, ბრაუნის და კორნელის უნივერსიტეტები. ასევე ყურადღებას იმსახურებს მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტი, ბერკლისა და სტენფორდის უნივერსიტეტები.

ბრიტანული გამოცემა „telegraph.co.uk"-ის[6] მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, მსოფლიო უნივერსიტეტების ტოპ 10-დან 6 პოზიცია აშშ-ის უნივერსიტეტებმა დაიკავეს, რაც ხსენებული ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ინოვაციურ კურსზე მეტყველებს. სწორედ აღნიშნული უნივერსიტეტების ბაზაზე ხდება აშშ-ის ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების უდიდესი ნაწილის წარმოება.

აშშ-ის ეროვნული ინოვაციური სისტემის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს შემდეგი — სახელმწიფო ძირითადად ასტიმულირებს მეცნიერებისა და მცირე ბიზნესის ინოვაციურ საქმიანობას (როგორც მეტად დაინტერესებულ, აქტიურ და ეფექტურ სუბიექტებს) და არა საშუალო, ან მსხვილ ბიზნესს.[7]

აშშ-ის ინოვაციურ სისტემას უმეტესად იყენებენ და ანვითარებენ არა ჩინოვნიკები (როგორც ეს მრავალ ქვეყანაში ხდება), არამედ გამომგონებლები, სპეციალისტები და ბიზნესმენები.

ე.წ „ტვინების შემოდინების" მასტიმულირებელი პოლიტიკის წარმოებით, აშშ-ის ინტელექტუალური კაპიტალი ყოველდღიურად იზრდება და სრულყოფილი ხდება. ეროვნული ინოვაციური სისტემის აღნიშნული სტრუქტურით აშშ პრაქტიკულად მსოფლიო არენაზე ცოდნის ეკონომიკის მთავარ ჰეგემონად იქცა.

დასკვნები და რეკომენდაციები

აღნიშნული ქვეყნების ინოვაციური სისტემების გაანალიზების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თანამედროვე პირობებში მსოფლიოს წამყვან ქვეყნებთან წარმატებული კონკურენციის გაწევა პრაქტიკულად შეუძლებელია ეროვნული ინოვაციური სისტემების შექმნის და მუდმივი სრულყოფის გარეშე. უმეტეს ქვეყნებში ინოვაციური მოდელის უმთავრეს, ან ერთ-ერთ მთავარ აქტიორად სახელმწიფო გვევლინება.

წარმატებული ეროვნული ინოვაციური სისტემები შესაძლებელია სტრუქტურუ-ლად მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. მაგ: ისტორიული თავისე-ბურებებიდან გამომდინარე აშშ-ის სისტემა ყველაზე დივერსიფიცირებული და მოქნილია, ხოლო ფინეთის, პირიქით — უმეტესად სტრუქტურირებული. შედეგად ორივე მათგანი ეფექტურია.

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ცალკეული ინსტიტუტების განვითარების დაბალი დონე ყოველთვის არ უშლის ხელს ინოვაციურ პროგრესს. მსგავს ვითარებაში გადამწყვეტია ინოვაციური პოლიტიკის თუ რომელ სტრატეგიას აირჩევს ხელისუფლება.

ნებისმიერი ქვეყნის თანამედროვე ინოვაციური სტრუქტურა მოითხოვს:

- თანმიმდევრულ და გრძელვადიან სახელმწიფო ინოვაციურ პოლიტიკას მკვეთრად ფორმულირებული მიზნებითა და ამოცანებით;
- არსებული ინოვაციური პოტენციალის რაციონალურად გამოყენებას, რაც ინოვაციური ეკონომიკის მშენებლობის მყარ ფუნდამენტს შექმნის;
- კერძო, კვლევით და საგანმანათლებლო სექტორებს შორის მჭიდრო თანამშრომლობას;
- ინოვაციურ-ტექნოლოგიური განვითარებისთვის მნიშვნელოვანი მიმართულებების გამოვლენასა და მხარდაჭერას;
- რაც შეიძლება მეტი ინოვაციური პოტენციალის მქონე ფირმის გამოვლენას და სახელმწიფო მხარდაჭერას;
- ინოვაციების კომერციალიზაციის ხელშემწყობი პროგრამების არსებობას;
- ტნკ-ების უცხოური ინვესტიციების „გონივრულ" მოზიდვას;
- ინტელექტუალური საკუთრების დასაცავად ეფექტური საკანონმდებლო ბაზის შექმნას და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას;
- წარმატებული საერთაშორისო პრაქტიკის სისტემურ შესწავლას, გაანალიზებას და დანერგვას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯოლია გ; კრეატიული ეკონომიკა და განვითარება. თბ. 2015 სტუ.
2. Справка о международном опыте инновационного развития - Министерство экономического развития России. 2011
3. Сургеев В., Алексеенкова Е., Нечаев В. Типология моделей инновационного развития . Ж. „Полития"., М.,2008 , № 4 (51),
4. [https://en.wikipedia.org/wiki/Ivy_League]
5. [http://studinfo.edu.aris.ge/2014/04/07/msoflios-10-sauketeso-universiteti/]
6. „Как работает инновационная система в США" – ж. „политика". 2011, №3. С.59
7. Henry Etzkowitz & Loet Leydesdorff (2000), The dynamics of innovation: from National Systems and ''Mode2'' to a Triple Helix of university-industry-government rela-tions, Research Policy, vol 29, pp. 109-123
8. Давыденко Е. В. Модели национальных инновационных систем: Зарубежный опыт и адаптация для России. Ж. „Проблемы модернизации и перехода к инновационной экономике". С 23

5 [https://en.wikipedia.org/wiki/Ivy_League]

6 [http://studinfo.edu.aris.ge/2014/04/07/msoflios-10-sauketeso-universiteti/]

7 „Как работает инновационная система в США" – ж. „политика". 2011, №3. С.59

გამოწვევები გლობალურ და ადგილობრივ შრომის ბაზარზე

გივი ედიშერიშვილი, სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

ნაშრომში გაშუქებულია, თანამედროვე მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნებისა და მათ შორის საქართველოს შრომის ბაზრის წინაშე მდგარი პრობლემები და გამოწვევები.

ამასთანავე, ნაჩვენებია თუ რა შეიცვალა ადამიანური რესურსების მართვის განვითარების ისტორიული ეტაპების მანძილზე, შრომითი ურთიერთობების დასაბამიდან დღემდე და მოცემულია რეკომენდაციები ამ გამოწვევებისა და პრობლემების მოსაგვარებლად.

Summary

In the article above, according the example of Georgian jobs market, there is a discussion about the problems of global and local human resources management.

Also, we tried to show, the alternations of labour relatonships all over the world, during it's historical evolution.

At the end, the author recommends to state and companies how to solve the problems in HRM.

* * * * * *

მოგეხსენებთ, ადამიანური რესურსების მართვა დღეისათვის არსებულ კომპანიათა საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ელემენტია, რომელმაც ვიდრე იგი თანამედროვე, შედარებით სრულყოფილ სახეს მიიღებდა და სხვადასხვა ორგანიზაციების მართვის თანმდევ ასპექტად იქცეოდა, განვითარების საკმაოდ ვრცელი და ზოგჯერ "მტკივნეული", შრომითი ურთიერთობების არაჰუმანური გზაც განვლო.

გთავაზობთ, მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული მათგანი, რათა თანმიმდევრულად მივიდეთ იმ პრობლემებსა და გამოწვევებამდე, რომელთაც დღეს აქვთ ადგილი შრომით ურთიერთობებში და გარკვეულწილად წინამორბედი მიდგომების გამოძახილითაა განპირობებული.

პირველ ეტაპზე, როცა ადამიანთა შორის გაჩნდა შრომითი ურთიერთობა, მასში დომინირბდა ე.წ. "კლასიკური ტექნოკრატიზმის" მიდგომები, რომლის მიხედვითაც ადამიანი მოიაზრებოდა სამუშაო იარაღად ან მის დანამატად. სამუშაო დღის ხანგრძლივობა კი, მიუხედავად სამუშაო პირობების შეუსაბამობისა, დღევანდელ ნორმასთან, იყო საკმაოდ მცირე. ამიტომ უპირატესობა ენიჭებოდა შედარებით დაბალკვალიფიციურ, დამწყებ მუშახელს, რომელიც თანხმდებოდა ემუშავა, თუნდაც მიზერული ანაზღაურების სანაცვლოდ. რა თქმა უნდა, ასეთ ვითარებაში ყურადღება არ ექცეოდა პერსონალისათვის კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს, მითუმეტეს, რომ მაშინ არ არსებობდა მაღალტექნოლოგიური მანქანადანადგარები და დიდი ცოდნა არც იყო აუცილებელი რომელიმე სამუშაოს შესასრულებლად, ძირითადად მხოლოდ ხელმძღვანელი პირების მითითებების შესრულებაზე კეთდებოდა აქცენტი.

მომდევნო ეტაპზე, კლასიკური ტექნოკრატიზმის უარყოფითი მიდგომები ჩანაცვლდა შედარებით ჰუმანური დამოკიდებულებებით დასაქმებულის მიმართ. კერძოდ კი, დაიწყო თითქმის 20 საათიანი სამუშაო დღის ნორმირება, რაც იმ დროისთვის დიდი გარღვევა იყო შრომით ურთიერთობებში, თუმცა ხელფასის მატებასთან ერთად მკაცრი დისციპლინარული კონტროლიც დაწესდა და შრომის მოტივირების ძირითად საშუალებად მხოლოდ მატერიალური წახალისება თუ მოიაზრებოდა.

ჩვენდა საბედნიეროდ, საზოგადოებრივი კულტურის განვითარების მომდევნო საფეხურებზე, ადამიანის ფაქტორის წინ წამოწევასთან ერთად, ზემოთხსენებული მიდგომები თანდათანობით შეიცვალა უკეთესობისკენ და მივიღეთ თანამედროვე ადამიანური რესურსების მართვის თეორიის შესაბამისი ტენდენციები. ყურადღება გამახვილდა მუშა-ხელის გადამზადებაზე, შრომის მოტივირებაზე, პერსონალის როლზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნაში და სხვა.

თუმცა არც ზემოთ ხსენებული მიდგომაა სრულყოფილი და ისიც გარკვეულ ხარვეზებს შეიცავს. მით უფრო, რომ ადამიანური რესურსების მართვის თეორიის რეალიზაცია პრაქტიკაში, გლობალური მასშტაბით სხვადასხვა ლოკაციებზე სხვადასხვნაირად ხორციელდება, ამა თუ იმ ქვეყნის კულტურული მრავალფეროვნებისა და საზოგადოებრივი მორალის შესაბამისად. მაგალითად: ადამიანური რესურსების მართვა, გარკვეულ გეოგრაფიულ არეალზე მოდელირდა ე.წ. აღმოსავლური ან დასავლური მართვის სტილით. რომელიც უნდა ითქვას, რომ ქართულმა შრომის ბაზარმა უნივერსალურად მოირგო და მსოფლიოში არსებული მართვის სტილთა უმრავლესობიდან მოახდინა გარკვეული მახასიათებლების შეთავსება, რაც თავის მხრივ, ხასიათდება როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი კონტექსტებით, იქნება ეს ვაკანტურ ადგილზე მიღება, სამუშაო ადგილიდან გათაავისუფლების სიმარტივე, კვალიფიკაციის ამაღლებისთვიზ ზრუნვა კომპანიების მხრიდან თუ სხვა.

ზემოთ ხსენებილის გათვალისწინებით, ბუნებრივია, საქართველოს შრომის ბაზარიც დგას გარკვეული გამოწვევებისა თუ პრობლემატიკის წინაშე, რომელ-

იც ჩვენს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური მოვლენების თუ წარსულის მიდგომათა გადმონაშთითაა განპირობებული. ეს კი, ზოგიერთ ორგანიზაციაში განაპირობებს მწარმოებლურობის შემცირებას, კადრების დენადობის ზრდას, მოგების კლებას და სხვა. მაგალითად, დღეისათვის როგორც ლოკალურ, ასევე გლობალურ დონეზეც, მკვეთრად დგას კადრის კვალიფიკაციის პრობლემა, იქნება ეს საჭიროების შემთხვევაში რამდენიმე პროფილის შეთავსებისთვის მზაობა თუ შესაძლებლობა ლიდერის თვისებების გამომჟღავნებისა, რაც საშუალებას მისცემს კადრს, გავლენა მოახდინოს კომპანიის ხანგრძლივ ზრდა-განვითარების პროცესზე.

ასევე მთელ რიგ კომპანიებში მწვავედ დგას მოტივაციის ნაკლებობის პრობლემა, რასაც ზოგიერთ შემთხვევაში მხოლოდ ძველ და თითქოს წარსულის გამოცდილებაში მოტოვებულ, კლასიკური ტექნოკრატიზმის მიდგომამდე (მატერიალური ნახალისებით მოტივირება) მივყავართ, რაც საბოლოო ჯამში რა თქმა უნდა ადამიანური რესურსების სწორი მენეჯმენტის მხრივ ხელშესახებ ეფექტს ვერ იძლევა.

ზოგიერთ საწარმოში კი ძალიან დაბალია პერსონალის შრომის უსაფრთხოების დონე, დგას სოციალური დაცვის პრობლემატიკა და სხვა. ვინაიდან ადამიანებს უწევთ ძველ, საექსპლუატაციო ვადა გასულ მანქანა-დანადგარებთან მუშაობა; ან/და მათთვის შეთავაზებული სადაზღვეო პაკეტები არის მოუხერხებელი, ან ძვირი, რის გამოც პერსონალის დიდ ნაწილს უხდება მასზე უარის თქმა.

საბოლოო ჯამში კი, ყოველივე ზემოთ ხსენებული ამცირებს ორგანიზაციის ეფექტურობას, რაც მის კონკურენტუნარიანობაზე ცუდად აისახება. ბუნებრივია ხარვეზების გამოსასწორებლად აუცილებელია გარკვეული ღონისძიებების გატარება, როგორც სახელმწიფოს, ასევე ორგანიზაციების მხრიდან. კერძოდ კი, ჩემი აზრით საჭიროა:

- ეფექტური სასწავლო პროგრამების შემუშავება, რათა კადრი იყოს მრავალპროფილური და საჭიროების შემთხვევაში შეძლოს მისი კომპეტენციის სფეროსთან დაკავშირებული დავალებების შესრულება;
- კულტურული მრავალფეროვნების ჰარმონიზაცია, მსოფლიოში აღიარებულ, ადამიანური რესურსების მართვის მიდგომებთან, რაც გააუმჯობესებს ამა თუ იმ ორგანიზაციაში არსებულ სამუშაო პირობებს.
- მოხდეს საწარმოო უსაფრთხოების ნორმების შესრულების მონიტორინგი და შესაბამისობაში მოვიდეს მსოფლიოში აღიარებულ სტანდარტებთან და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.შრომითი სამართალი, დ. ძამუკაშვილი, თბილისი 2010;

2.ადამიანური რესურსების მართვის მოდელები, პაიჭაძე ნ. , ჟ."ეკონომიკა და ბიზნესი"' თბილისი 2011, გვ.146-147;

3. https://www.thebalance.com/top-toughest-hr-questions-asked-and-answered-1919031;

4. https://www.shrm.org/hr-today/news/hr-magazine/0316/pages/the-big-issues-facing-hr.aspx;

5. https://www.businesstopia.net/human-resource/challenges-issues-human-resource-management;

6. http://www.humanresourcesmba.net/lists/5-trending-issues-in-human-resources-for-2016/.

შემოწმების ტექნიკური საშუალებები საქართველოს საბაჟო გამშვებ პუნქტებში

თეიმურაზ გორშკოვი, ტექნ.მეც.კანდ
ვახტანგ ბოგველიშვილი, აკად.დოქტორი

რეზიუმე

საბაჟო შემოწმების სფეროში მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენება (რენტგენ-სკანერები და რადიაციული მონიტორინგის სისტემები), რომლებიც წარმოადგენს უსაფრთხოების თანამედროვე კონცეფციის აუცილებელ კომპონენტებს, საშუალებას იძლევა გაზარდოს ქვეყნებს შორის ტვირთების გადაადგილების ინტენსიურობა, საბაჟო შემოწმების ხარისხი, აკრძალული ტვირთების გამოვლენის დონე, მნიშვნელოვნად ამაღლდეს საბაჟო პროცედურების სიჩქარე, გაიზარდოს საბაჟო პუნქტის გამტარუნარიანობა, გამოირიცხოს რიგები. სტატიაში განხილულია საქართველოს საბაჟო გამშვებ პუნქტებში გამოყენებული შემოწმების თანამედროვე ტექნიკური საშუალებები.

საკვანძო სიტყვები: საბაჟო შემოწმება, რენტგენ-სკანერი, რადიაციული მონიტორინგის სისტემა, კონტეინერი, სატრანსპორტო საშუალება.

INSPECTION TOOLS AT BORDER CROSSING POINTS OF GEORGIA

T.Gorshkov,
V.Bogvelishvili

Summary

This article discusses modern technical means of inspection, used at customs checkpoints of Georgia.

ТЕХНИЧЕСКИЕ СРЕДСТВА ПРОВЕРКИ НА ТАМОЖЕННО-ПРОПУСКНЫХ ПУНКТАХ ГРУЗИИ

Горшков Т.,
Богвелишвили В.

Резюме

В статье рассматриваются используемые на таможенных контрольно-пропускных пунктах Грузии современные технические средства инспекционной проверки грузов.

შესავალი

სატრანსპორტო დანახარჯების ოპტიმიზაციის ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებას წარმოადგენს ტვირთები გადაზიდვისთვის კონტეინერების გამოყენება. კონტეინერებით ტვირთების გადაზიდვის დროს, განსაკუთრებით საკონტეინერო მატარებლების შემადგენლობაში, საგარეო ურთიერთობების საქმიანობაში მონაწილეებს აქვთ შესაძლებლობა შეამცირონ სატრანსპორტო და ლოგისტიკური დანახარჯები, აამაღლონ თავისი პროდუქციის კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე. კონტეინერის გამოგონებამ მნიშვნელოვნად გააიოლა საერთაშორისო გადაზიდვები, მაგრამ, იმავდროულად კონტეინერი კონტრაბანდის გადაადგილებისათვის საკმაოდ პოპულარული საშუალება გახდა, რასაც რამოდენიმე მიზეზი განაპირობებს: მათ შორის კონტეინერების დიდი რაოდენობა, რაც ფიზიკურად შეუძლებელს ხდის ყველა მათგანის ფიზიკურ დათვალიერებას საბაჟო სამსახურების მიერ; მათი ხელშეუხებლობა, რადგანაც კონტეინერი გაგზავნიდან მიღებამდე შეიძლება არ გაიხსნას; მათი დიდი მოცულობა, რაც ართულებს მცირე ზომის კონტრაბანდის მიგნებას და სხვ. [1-4].

ძირითადი ნაწილი

საინსპექციო-შესამოწმებელმა კომპლექსებმა თავისი ეფექტურობის დემონსტრირება მოახდინა ტერორიზმთან და კონტრაბანდასთან ბრძოლაში მთელ მსოფლიოში. განვითარებული ქვეყნების ანალოგიურად, აშშ-ს მთავრობისა და ევროკავშირის დახმარებით, საქართველოს საბაჟო საკონტროლო-გამშვები პუნქტები აღჭურვილია თანამედროვე სტაციონარული და მობილური რენტგენ-სკანერებით და სტაციონარული და პორტატული რადიაციული იზოტოპების ამომცნობი მოწყობილობებით. საქართველოს სასაზღვრო გამშვებ პუნქტებში დღეისათვის ვიდეოთვალთვალის 600 კამერაა ამუშავებული.

საინსპექციო-შესამოწმებელი რენტგენ-სკანერი, რომელიც თავის მუშაობაში იყენებს რენტგენის გამოსხივებას, საბაჟო კონტროლის მაღალმწარმოებლური ტექნიკური საშუალებაა და საშუალებას იძლევა გახსნის გარეშე განხორციელდეს კონტეინერების და სატრანსპორტო საშუალებების შემოწმება. კონტროლი ხორციელდება სკანირების შედეგად მიღებული ობიექტის ჩრდილოვანი გამოსახულების ანალიზის საფუძველზე. გამოსახულების ფორმირების მაღალმწარმოებლური სისტემა უზრუნველყოფს კონტეინერის ან ავტომობილის შიგთავსის დეტალური რადიოსკოპური გამოსახულების მიღებას,

რაც საშუალებას იძლევა სწრაფად და საიმედოდ იქნას აღმოჩენილი მათში მყოფი აკრძალული საგნები. ნახ.1-ზე წარმოდგენილია სკანირების შედეგად კონტეინერსა (ა) და სატრანსპორტო საშუალებაში (ბ) აღმოჩენილი სამალავები.

ნახ.1. კონტეინერსა (ა) და სატრანსპორტო საშუალებაში (ბ) აღმოჩენილი სამალავები

ნახ.2. სტაციონარული რენტგენ-სკანერი THSCAN MB1215HS (ა) და რენტგენ-სკანერის მართვის პულტი (ბ)

სტაციონარული საინსპექციო-შესამოწმებელი კომპლექსები დამუშავებულია შემოწმების პროცედურების ოპტიმიზაციისათვის პორტებში, აეროპორტებსა და საბაჟო გამშვებ პუნქტებში. ეს სისტემები გამოიყენება ქვეყანებს შორის საშიში და აკრძალული საგნების გადაზიდვის აღმოსაჩენად, როგორიცაა ასაფეთქებელი და ნარკოტიკული ნივთიერებები, მასიური განადგურების იარაღი და კონტრაბანდა. სტაციონარული საინსპექციო-შესამოწმებელი კომპლექსი საშუალებას იძლევა ასევე ჩატარდეს საბაჟო დეკლარაციების ვერიფიკაცია. მათი გამოყენება ამცირებს სატრანსპორტო საშუალებების და კონტეინერების ხელით შემოწმების აუცილებლობას. სტაციონარული საინსპექციო-შესამოწმებელი კომპლექსი რენტგენ-სკანერები საქართველოს საბაჟო საკონტროლო-გამშვებ პუნქტშია დამონტაჟებული. ნახ.2-ზე წარმოდგენილია სტაციონარული რენტგენ-სკანერის THSCAN MB1215HS შესამოწმებელი ანგარის შიდა ხედი (ა), სადაც ხდება ტვირთის დათვალიერება და რენტგენ-სკანერის მართვის პულტი (ბ).

სატრანსპორტო საშუალებებზე მყოფი კონტეინერების და დიდტვირთიანი ავტომობილების დაჩქარებული შემოწმებისთვის განკუთვნილია მობილური საინსპექციო-დათვალიერების კომპლექსები.

მობილური კომპლექსი წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალებას რომელზეც განლაგებულია რენტგენოსკოპური მოწყობილობა, ავტომობილის კაბინა, ტექნიკური სათავსო და სათავსო ოპერატორებისთვის. კომპლექსის მუშაობის პრინციპი შემდეგია: მობილური საკვლევი შესამოწმებელი კომპლექსი გაივლის შემოწმებას დაქვემდებარებული ობიექტის გვერდით (ავტობუსი, სატვირთო ავტომობილი, მსუბუქი ავტომობილი, კონტეინერი), მისი რენტგენოგრაფიული პორტალი ახორციელებს შესამოწმებელი ობიექტის სკანირებას რენტგენის სხივით. უნიკალური შემღწევი თვისება კომპლექსს საშუალებას აძლევს მოინახოს შენიღბული ტვირთი დატვირთული ფურგონის ცენტრშიც კი. სისტემა გამოირჩევა მაღალი გამტარუნარიანობით (150 ავტომობილამდე საათში), რადგან მძღოლი არ გამოდის სატრანსპორტო საშუალების კაბინიდან და მართავს ავტომობილის მოძრაობას დეტექტორის პორტალის შესაბამისად. ნახ.3-ზე წარმოდგენილია ბათუმის პორტის მობილური რენტგენ-სკანერი THSCAN MT1213LT (ა) და ფოთის და ყულევის პორტების მობილური რენტგენ-სკანერები ZBV AS&E X-RAY (ბ).



ნახ.3. ბათუმის პორტის მობილური რენტგენ-სკანერი THSCAN MT1213LT (ა); ფოთის და ყულევის პორტების მობილური რენტგენ-სკანერი ZBV AS&E X-RAY (ბ)

საქართველოს საბაჟო გამშვები პუნქტები აღჭურვილია რადიაციული იზოტოპების ამომცნობი მოწყობილობებით - მგზავრთა, ტვირთებისა და ტრანსპორტის რადიაციული დეტექტორების სტაციონარული სისტემებით, რომლებიც საქართველოში შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის დახმარებით და რომელთა საშუალებით ხდება სასაზღვრო საბაჟო გამშვებ პუნქტებში რადიაქტიული გამოსხივების გამოვლენა და გამოვლენილი რადიოაქტიური მასალის იდენტიფიკაცია. ნახ.4ა-ზე წარმოდგენილია წითელ ხიდზე, ხოლო ნახ.4ბ-ზე - ბათუმის საზღვაო პორტში დამონტაჟებული რადიაციული დეტექტორების მწარმოებელი ფირმა ORTEC-ის (აშშ) დეტექტორები.

ნახ.4. წითელ ხიდზე (ა) და ბათუმის საზღვაო პორტში დამონტაჟებული რადიაციული დეტექტორები (ბ)

ფოთის პორტში დამონტაჟებულია აღჭურვილობა, რომელიც შეიქმნა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (IAEA) დახმარებით (პროექტი GEO/0/002). ნახ.5ა-ზე წარმოდგენილია ფოთის პორტის სარკინიგზო შესასვლელში, ხოლო ნახ.5ბ-ზე - ფოთის საზღვაო პორტში დამონტაჟებული ბელორუსული კომპანია OLIMASTER-ის დეტექტორები PM 5000.

ნახ.5. ფოთის პორტის სარკინიგზო შესასვლელში (ა) და ფოთის საზღვაო პორტში დამონტაჟებული რადიაციული დეტექტორები (ბ)

საქართველოს საბაჟო საკონტროლო-გამშვები პუნქტები ასევე აღჭურვილია რადიაციული უსაფრთხოების პორტატიული აპარატურით: ფიზიკური პირების, ტვირთების და ტრანსპორტის კონტროლის ამერიკული წარმოების რადიაციული პეიჯერებით ღადიატიონ ჭაგერ ჯუდლუმ 192 (ნახ.6ა), კანადური წარმოების რადიაციული იდენტიფიკატორებით Idენტიფიერ GR-135 UD (ნახ.6ბ), გერმანული წარმოების რადიაციული იდენტიფიკატორებით IdentiFINDER Target (ნახ.6გ), ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს დახმარებით შეძენილი რადიაციული პეიჯერებით PM 1703-01 (Polimaster) (ნახ.6დ) და სხვ.

ნახ.6. რადიაციული უსაფრთხოების პორტატიული აპარატურა

დასკვნა

საქართველოს საბაჟო შემოწმების სფეროში გამოყენებული თანამედროვე ტექნოლოგიები (რენტგენ-სკანერები და რადიაციული მონიტორინგის სისტემები), წარმოადგენს უსაფრთხოების თანამედროვე კონცეფციის აუცილებელ კომპონენტებს და საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად ამაღლდეს საბაჟო შემოწმების ხარისხი და საბაჟო პროცედურების სიჩქარე, გაიზარდოს მეზობელ ქვეყნებთან ტვირთების გადაადგილების ინტენსიურობა, საბაჟო პუნქტის გამტარუნარიანობა, გამოირიცხოს რიგები.

გამოყენული ლიტერატურა:

1. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შესრულება საქართველოში. — თბილისი, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი, 2012, 68 გვ.
2. საბაჟო საქმის სპეციალისტის სახელმძღვანელო. — თბილისი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, 2015, 320 გვ.
3. Покровская В.В. Томоженное дело. – Москва, Юрайт, 2014, 731 с.
4. Waters D. Global Logistics and Distribution Planning. – London, Kogan Page, 2003, 436 p.

ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები – ჰოლისტიკური მარკეტინგის ერთ-ერთი განზომილება თუ მისი არსი?

ნინო დგვეფაძე, *სტუ-ს დოქტორანტი*

რეზიუმე

ბოლო ათწლეულია, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების (IMC) თეორიულ მიმოხილვას და ემპირიულ კვლევებს ახასიათებდა მუდმივი სახეცვლილება და მისი თეორიული კონცეფციის დაზუსტება. აღნიშნულ სტატიაში ვავითარებთ მოსაზრებას, რომ ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები (IMC) წარმოადგენს ბიზნესის და მისი გარემოს ჰოლისტიკურ ხედვას. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს ამ სფეროში არსებული ლიტერატურის მიმოხილვა. ჩვენ წარმოვადგენთ ძირითად დასკვნას, რომ ჰოლისტიკურმა მარკეტინგულმა მოდელმა, რომელიც 4 განზომილებას მოიცავს ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციებთან ერთად, დაკარგა ადექვატურობა და აღარ შეესებამება ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების (IMC) სტრატეგიულ როლს.

ჰოლისტიკური მარკეტინგული მოდელის და მკვლევარების მიერ ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების (IMC) უახლესი განმარტებების კომპარატივისტიკული ანალიზი და შეფასება გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ ინტეგრირებულ მარკეტინგულ კომუნიკაციებს (IMC) თავის მხრივ აქვს ჰოლისტიკური ბუნება და ახასიათებს ე.წ. "ჰოლისტიკური მარკეტინგის" დანარჩენი 3 განზომილების (შიდა მარკეტინგის, ურთიერთობათა მარკეტინგის და ე.წ. პერფომანს მარკეტინგის) ყველა თვისება. დასკვნის სახით, ჩვენ წარმოვაჩენთ საჭიროებას, რომ მოხდეს ჰოლისტიკური მარკეტინგის აღქმის განახლება და ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების (IMC) საზღვრების კიდევ უფრო გაფართოება.

საკვანძო სიტყვები: ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები (IMC), ჰოლისტიკური მარკეტინგი, შიდა მარკეტინგი, ურთიერთობათა მარკეტინგი, პერფომანს მარკეტინგი, ჯვარედინ-ფუნქციური, მონაცემთა ბაზები, მარკეტინგული კომუნიკაციები, კლიენტზე-ცენტრირება, შეხების წერტილები, გარედან-შიგნით მიდგომა.

Integrated Marketing Communications – one of the dimentions of holistic marketing or it's essence?

Nino Dgvepadze
Ph D Student of GTU

Summary

For the last decedas, theorethical commentaries and empirical research on the concept of Integrated Marketing Communications (IMC) have been characterized with its constant development and specification of it as a theorethical construct. In this paper, we advance and elaborate upon the argument that IMC itself implies holistic view of business and its environment. This view is grounded on the intensive literature review. We present the basic assumption that Holistic Marketing model that consists of 4 dimentions including integrated marketing communications has lost adecuacy and doesn't coincide view the strategic role of IMC any more. Comparativistic analyses and evaluation of holistic marketing model and recent definitions of IMC presented by the scholars makes us conclude that IMC itself is in nature holistic and consists of all characteristics of other 3 dimentions (internal marketing, realtionship marketing and performance marketing) of the model. Thus, we expain the need to reconsider the understanding of holistic marketing and open discussion to further widen the boundaries of IMC.

Keywords: Integrated Marketing Communications (IMC), holistic marketing, internal marketing, relationship marketing, perfomance marketing, cross-functional, date base, marketing communications, customer centricity, touch points, outside-in approach.

შესავალი

სხვა მარკეტინგული და კომუნიკაციების თეორიების მსგავსად ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების (IMC) კონცეფციაც მუდმივ სახეცვლილებას და განვითარებას განიცდის. მარკეტინგულ გარემოში მომხდარი ცვლილებების საპასუხოდ, რომელიც პროდუქტების ერთგვაროვნებასთან, კომპანიებს შორის მწვავე კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებასთან, მარკეტინგული კომუნიკაციების ხმაურის გამძაფრებასთან, მედია მულტიპლიკაციასთან, მესიჯის სანდოობის დაქვეითებასთან, გაზრდილ ხარჯებთან და მას-მედია კომუნიკაციის არხების ეფექტურობის კლებასთან, მარკეტინგული კომუნიკაციების სააგენტოების შერწყმასა და შესყ-

იდვებთან, მედია და აუდიტორიის ფრაგმენტაციასთან და ახალი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გაჩენასთან მივყავართ - მარკეტინგის სფეროში მოღვაწე სპეციალისტები სულ უფრო და უფრო აცნობიერებენ ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების პრაქტიკის საჭიროებას. ორგანიზაციები ეძებენ სტრატეგიულ მიდგომებს, რომ მოიპოვონ კონკურენტული უპურატესობა, რომელიც ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების გამოყენებას მოაქვს. სწორედ მარკეტინგულ გარემოში მომხდარი ცვლილებების საფუძველზე წარმოშობილი გამოწვევების გადასალახავად მარკეტინგული კომუნიკაციების მკვლევარები უკვე ათეულობით წელია ავითარებენ ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების კონცეფციას.

აღსანიშნავია, რომ IMC-ის თეორიული კონცეფციის ჩამოყალიბებას ახასიათებს საოცარი თეორიული მრავალფეროვნება, შესაბამისად სახეზეა ერთიდაიგივე ტერმინის კონცეპტუალიზაცია სხვადასხვა საკმაოდ განსხვავებული თეორიული პერსპექტივიდან. დაბრკოლება იმისა, რომ IMC-ი განისაზღვროს ადექვატურად, ნაწილობრივ არის ცნების სწრაფი განვითარების და მისი ორგანიზაციებისა და მეცნიერების მხრიდან სხვადასხვაგვარად გამოყენების პრაქტიკის შედეგი. თავდაპირველად, IMC-ს განსაზღვრებები ფოკუსირებული იყო ოპერაციულ და საკომუნიკაციო ტაქტიკურ საკითხებზე და შემდეგ ეტაპზე ავტორებმა თანდათან გააცნობიერეს უფრო ყოვლისმომცველი და ჰოლისტიკური მიდგომის საჭიროება (6).

ძირითადი ტექსტი

ტერმინი "ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები" ხშირად კავშირდება ისეთ ღირებულებებთან, როგორიცაა "სინერგია", "თანმიმდევრულობა" და "ჰოლიზმი" (1). მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. "ჰოლიზმი" და კომპანიის შიდა და გარე გარემოს ჰოლისტიკური ხედვა ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების თანამედრვე კონცეფციის არსს წარმოადგენს, მარკეტინგის მენეჯმენტის და ბრენდინგის სახელმძღვანელოების აღიარებული ავტორები: ფილიპ კოტლერი და ქევინ ქელერი განსხვავებულ ხედვას აყალიბებენ და ინტეგრირებულ მარკეტინგულ კომუნიკაციებს ჰოლისტიკური მარკეტინგის მხოლოდ ერთ-ერთ განზომილებად მიიჩნევენ (2, a). ავტორების მოსაზრებით, იმ ტენდენციებმა და ძალებმა, რომლებმაც განსაზღვრეს 21-ე საუკუნის პირველი დეკადა ჩამოაყალიბეს ბიზნესის ახალი ღირებულებები და პრაქტიკა ე.წ. ჰოლისტიკური მარკეტინგული კონცეფცია. მათი ხედვით, ის წარმოადგენს მარკეტინგული პროგრამების, პროცესების და აქტივობების განვითარებას, დიზაინს და განხორციელებას, რომელიც ეფუძნება თანამედროვე ბაზრის ურთიერთდაკავშირებულობის აღიარებას. ჰოლისტიკური მარკეტინგი გულისხმობს, რომ ყველაფერი მნიშვნელოვანია მარკეტინგში - და, რომ ინტეგრირებული პერსპექტივა ხშირად გადამწყვეტია. ავტორების მიერ წარმოდგენილი ჰოლისტიკური მარკეტინგის მოდელი 4 ფართო განზომილებას მოიცავს და მათ შორის ერთ-ერთი არის ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები.



გრაფიკი1:

წყარო: ფილიპ კოტლერის და ქევინ კელერის სახელმძღვანელოს მიხედვით (2, ა)

აღნიშნულ სტატიაში ჰოლისტიკური მარკეტინგული მოდელის თითოეული განზომილების დეტალურად განხილვის შემდეგ მოვახდენთ ანალიზს, თუ რამდენად შეესაბამება მარკეტინგის მენეჯმენტის სახელმძღვანელოს ცნობილი ავტორების მოსაზრება ინტეგრირებულ მარკეტინგულ კომუნიკაციების მიმართულებით მოღვაწე მკვლევარების თანამედროვე განმარტებებს და ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების ფართოდგავრცელებულ თეორიულ მოდელს. ქიჩენის და შულცის (1999) მიერ შექმნილი ოთხ დონიანი IMC-ის განვითარების მოდელი (3), მათ ქვეყანათაშორისი კვლევების საფუძველზე შეიმუშავეს. კვლევაში ასობით კომპანია მონაწილეობდა და შესაბამისად, ეს მოდელი ყველაზე უფრო პრაქტიკული და ფართოდ აღიარებული მოდელია IMC-ის მკვლევარებს შორის. ავტორების მიერ შემოთავაზებული IMC-ის დონეებია: მარკეტინგული კომუნიკაციების ტაქტიკური კოორდინაცია, გარედან-შიგნით კომუნიკაციაზე გადასვლა, IT-ს გამოყენებაზე დაფუძნებული კომუნიკაცია და ბოლო დონე, ფინანსური და სტრატეგიული ინტეგრაციის დონე. შულცის და შულცის IMC-ის 4 დონე არის ილუსტრაცია იმისა, თუ რა ეტაპებს გადის ორგანიზაცია ინტეგრაციის მისაღწევად. თუმცა, ავტორები განმარტავენ, რომ ეს დონეები არ არის ხისტი და არც განსაზღვრული ჩარჩოები აქვთ. ორგანიზაციებს შეიძლება ქონდეთ დანერგილი გარკვეული პრაქტიკა, რომელიც სხვადასხვა დონეს კვეთავს. ხოლო, IMC-ის სრულფასოვანი განხორციელებისთვის კომპანიებმა უნდა გამოავლინონ კომპეტენცია ოთხივე დონეზე. იმ შემთხვევაში თუ კომპანია ეცდება 1-ლი დონიდან მე-3-ზე დონეზე ახტომას, ამ შემთხვევაში ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები ინტეგრირებული იქნება ორგანიზაციის

და არა მომხმარებლის პერსპექტივიდან. მხოლოდ მაშინ თუ ბიზნესი მდგრადი ინვესტიციით მიყვება IMC განვითარებას და თანმიმდევრულად გაივლის ყველა დონეს ის მიიღებს რეალურ შედეგს (4).



გრაფიკი № 2: ქიჩენი და შულცის ოთხდონიანი მოდელი (3)

ჰოლისტიკური მარკეტინგის მოდელის თანახმად მისი ერთ-ერთი განზომილებაა ურთიერთობათა მარკეტინგი (2, b). ავტორები ავითარებენ მოსაზრებას, რომ სულ უფრო და უფრო მეტად იკვეთება მარკეტინგის მთავარ მიზნად, რომ შექმნას და ჩამოაყალიბოს მყარი ურთიერთობები იმ ადამიანთა ჯგუფებთან და ორგანიზაციებთან, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გავლენას ახდენენ კომპანიის მარკეტინგული აქტივობების წარმატებაზე. ურთიერთობათა მარკეტინგი მიზნად ისახავს დაამყაროს ორმხრივად სასურველი გრძელვადიანი ურთიერთობები ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან, რომ მოიპოვოს და შეინარჩუნოს საკუთარი ბიზნესი. ურთიერთობათა მარკეტინგის 4 ძირითად მხარეს წარმოადგენენ: კლიენტები, თანაშრომლები, მარკეტინგული პარტნიორები (არხები, მომწოდებლები, დისტრიბუტორები, დილერები, სააგენოტოები), და ფინანსური საზოგადოების წევრები (დამფუძნებლები, ინვესტორები, ანალიტიკოსები). მარკეტერებმა უნდა შექმნან დოვლათი ამ ძირითად მხარეების ჩართულობით და დააბალანსონ დამფუძნებლების უკუგება. ე.წ. დაინტერესებულ მხარეებთან მდგრადი ურთიერთობების დასამყარებლად კი მნიშვნელოვანია მათი შესაძლებლობების, საჭიროებების, მიზნების და სურვილების ზუსტად დადგენა და გააზრება. ურთიერთობათა მარკეტინგის მთავარი მონაპოვარი კი არის ე.წ. "მარკეტინგული ქსელი", რომელიც მოიცავს კომპანიას და მის მხარდამჭერ დაინტერესებულ მხარეებს. "საოპერაციო პრინციპი არის მარტივი: შექმენი ურთიერთობათა ეფექტური ქსელი და მოგება აუცილებლად იქნება" (5). ამიტომაც სულ უფრო და უფრო მეტი კომპანია ირჩევს, რომ ქონდეთ ბრენდები და არა ფიზიკური აქტივები და აქტიურად იყენებენ ქვე-კონტრაქტორად იმ კომპანიებს, რომლებსაც შეუძლიათ მათთვის სასურველი საქმის უფრო ხარისხიანად და იაფად შესრულება, კონცენტრირდებიან რა მათ ძირითად საქმიანობაზე.

ურთიერთობათა მარკეტინგის აღნიშნული განმარტების შემდეგ მნიშვნელოვანია დავაკავშიროთ ის IMC-ის თანამედროვე განმარტებასთან და გავაანალიზოთ მასთან კავშირის ბუნება. IMC-ს კონცეფციის განვითარების ლუსია პორსუს და სხვების (6) კლასიფიკაციის თანახმად IMC-ის თანამედროვე ხედვა არის მისდამი სწორედ "ჯვარედინ-ფუნქციური სტრატეგიული მიდგომა". თომას დუნკანის მიერ 2002 წელს შემუშავებული მოდელი, რომელიც სწორედ ამ ტიპის მიდგომას ეყრდნობა, შეიძლება მივიჩნიოთ IMC-ის თანამედროვე განსაზღვრებად. მისი მოსაზრებით IMC არის „მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის პროცესი, რომელიც მართავს ბრენდის ღირებულებას. [...] ჯვარედინ-ფუნქციური პროცესი მომხმარებლებთან და დაინტერესებულ მხარეებთან მომგებიანი ურთიერთობის შესაქმნელად ყველა იმ მესიჯის სტრატეგიული კონტროლით ან გავლენის მოხდენით, რომელიც იგზავნება ამ ჯგუფებთან მონაცემებზე დაფუძნებული და მიზანმიმართული დიალოგის საწარმოებლად" (7). შესაბამისად, IMC-ის თანამედროვე განმარტება ცალსახად მოიცავს ურთიერთობათა მარკეტინგის წარმოდგენილ მახასიათებელს.

ჰოლისტიკური მარკეტინგული მოდელის თანახმად, კომპანიები, ურთიერთობათა მარკეტინგის ფარგლებში, ინდივიდუალური კლიენტებისთვის აყალიბებენ ცალკეულ შეთავაზებებს, სერვისებს და მესიჯ შეტყობინებებს მათი წარსული შესყიდვების, დემოგრაფიული, ფსიქოგრაფიული მახასიათებლების და მედია და დისტრიბუციის პრეფერენციების მიხედვით. ფოკუსირებას ახდენენ რა ყველაზე მომგებიან კლიენტებზე, პარტნიორებსა და არხებზე, კომპანიები იმოდოვნებენ, რომ მიიღებენ მდგრად განვითარებას, კლიენტის ლოიალურობის ზრდის პარალელურად გაზრდიან თითოეული კლიენტის ხარჯვითი ნაწილის წილს მისი კომპანიის სასიკეთოდ. ისინი აფასებენ თითოეული კლიენტის სასიცოცხლო ღირებულებას და ამის მიხედვით აყალიბებენ საბაზრო შემოთავაზებებს და საფასო პოლიტიკას. სწორედ ამ ტიპის მიდგომას გულისხმობს ტერმინი "კლიენტზე-ცენტრირებული" (customer centricity), რომელიც კოლუმბიის ბიზნეს სკოლის პროფესორმა ლერი სელდენმა (Larry Selden) და მისმა მეუღლემ და საკონსულტაციო ბიზნეს პარტნიორმა იოკო სუგიერა სელდენმა (Yoko Sugiura Selden) ჩამოაყალიბეს (8). ჰოლისტიკური მარკეტინგული მოდელის ავტორების მოსაზრებით, რადგან ახალი კლიენტის მოზიდვა ხუთჯერ უფრო ძვირი ჯდება ვიდრე არსებულის შენარჩუნება, ურთიერთობათა მარკეტინგი, ასევე, ხაზს უსვამს კლიენტთა შენარჩუნებას. კომპანიები ზრდიან ბაზრის წილს სთავაზობენ რა არსებულ კლიენტებს პროდუქტების მრავალფეროვნებას, წვრთნიან თანამშრომლებს ქროს-სელინგში და აფ-

სელინგში. მარკეტინგმა არამარტო უნარიანად უნდა წარმართოს კლიენტთა ურთიერთობის მენეჯმენტი (CRM), არამედ, ასევე, პარტნიორთა ურთიერთობის მენეჯმენტი ე.წ. PRM. შესაბამისად ავტორები ხაზს უსვამენ, რომ ურთიერთობათა მარკეტინგის ფარგლებში კომპანიები აღრმავებენ თავიანთ პარტნიორულ ურთიერთობებს ძირითად მომწოდებლებთან და დისტრიბუტორებთან, განიხილავენ რა მათ, როგორც პარტნიორებს საბოლოო მომხმარებლისთვის ღირებულების შექმნის პროცესში.

აღსანიშნავია, რომ ურთიერთობათა მარკეტინგის ყველა ძირითადი მახასიათებელი, მათ შორის: დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის ჩამოყალიბება და ე.წ. "მარკეტინგული ქსელის" შექმნა მათი შესაძლებლობების, საჭიროებების, მიზნების და სურვილების ზუსტად დადგენის და გააზრების საფუძველზე, ასევე, კლიენტების ფსიქოგრაფიული, გეოგრაფიული და ქცევითი სეგმენტაცია და მათი სასიცოცხლო ღირებულების ანალიზის საშუალებით მათზე მორგებული შეთავაზებების ფორმულირება) ჩვენს მიერ წარმოდგენილი IMC-ის განხორციელების მოდელის (3) მე-2 და მე-3 დონეებს შეგვიძლია მივაკუთვნოთ. IMC-ის პირამიდის მოდელის მე-2 დონეზე ხდება მარკეტინგული კომუნიკაციების სფეროს გაფართოება და უკვე მოიცავს ყველა შესაძლო ე.წ. "შეხების წერტილს". ამ დონეზე "არხი" მისი ჩვეულებრივი გაგებით არ გამოიყენება, არამედ ხდება მისი შესწავლა კლიენტების მხრიდან - ეს ნიშნავს, იმ არხების გამოკვეთას, რომლებსაც კლიენტები და მომხმარებლები ანიჭებენ უპირატესობას და მიაჩნიათ რელევანტურად. ეს პერსპექტივა ეხმარება მარკეტერს, რომ შექმნას და მიაწოდოს რელევანტური მესიჯები, რომლებიც ორგანიზაციას უფრო ეფექტურად დააკავშირებს სამიზნე აუდიტორიასთან. სამიზნე აუდიტორიასთან მათთვის სასურველ შეხების წერტილებში დაკავშირება და ინტერაქცია, შესაბამისად მესიჯის მათი პირობებით მიწოდება და მიღება, განსაზღვრავს IMC-ს ეფექტურობას აღნიშნულ დონეზე. ამ დონეზე ორგანიზაციას მცდელობა უკვე აქვს, რომ გაითვალისწინოს რისი მოსმენა და ნახვა სურთ კლიენტებს და მომხმარებლებს, როდის, სად და რომელი მედია საშუალების მეშვეობით. ეს უკვე წარმოადგენს "გარედან-შიგნით" მიდგომას. ხოლო, ქიჩენის და შულცის IMC-ის პირამიდის მოდელის მე-3 დონეზე წამმართველი სწორედ ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებაა. ამ დონეზე, მნიშვნელობა ენიჭება დაინტერესებულ მხარეებს (ე.წ. stakeholder-ებს), რადგან IT მეტ შესაძლებლობას აძლევს კომპანიას ემპირიული მონაცემების მქონე მონაცემთა ბაზების შექმნითა და მისი მართვით მიიღოს ინფორმაცია, გაანალიზოს და უკეთესად მოახდინოს მომგებიანი და რელევანტური კლიენტების გამოკვეთა. კლიენტების შესახებ სიღრმისეული ცოდნა აძლიერებს კომპანიას, რომ ისინი უფრო ეფექტურად დაკავშირდნენ სამიზნე აუდიტორიასთან მათზე უფრო მეტად მორგებული მესიჯის შექმნით, მათთვის სასურველი შეხების წერტილების (არხების) და უფრო განვითარებული შეფასების ინსტრუმენტების და ტექნიკების გამოყენებით. ყოველივე ეს კი საშუალებას აძლევს მარკეტერს, რომ მოახდინოს კლიენტების ყველაზე მომგებიანი ჯგუფების გამოკვეთა, დადგენა იმისა, თუ რომელი ჯგუფის მხრიდან არის წასვლის რისკი და რომლები გვაძლევენ მომავალში ზრდის პერსპექტივას. სწორედ ამ ეტაპზე, ორგანიზაცია ინარჩუნებს მარტივად ხელმისაწვდომ მონაცემეთა ბაზების წყაროს და ქმნის სეგმენტირებულ ბაზებს. ასევე, ის ეფექტურად ახდენს ამ მონაცემების გამოყენებას ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების დაგეგმვის და განხორციელების ეტაპზე, რომ მომხმარებელთა მონაცემები მომხმარებლის შესახებ ცოდნაში გადაიზარდოს (9). აღსანიშნავია, რომ მე-3 დონე ცილდება საკომუნიკაციო მიქსის მფარველობას ან მხოლოდ მარკეტინგული კვლევის გამოყენებას, რადგან ამ ეტაპზე ბიზნესმა უნდა განახორციელოს მნიშვნელოვანი ინვესტიცია, რომ შექმნას სეგმენტირებული მონაცემთა ბაზები, მოახდინოს ორგანიზაციული რესტრუქტურიზაცია და გახდეს მომხმარებელზე-ცენტრირებული. ასე, რომ მე-3 დონე არის სვლა მომხმარებლის დამოკიდებულებების შეფასებიდან ქცევის გაზომვისკენ და ცალსახად მოიცავს ჰოლისტიკური მარკეტინგული მოდელის ურთიერთობათა მარკეტინგის განზომილების ყველა მახასიათებელს.

ხოლო, ჰოლისტიკური მარკეტინგის მოდელის თანახმად, შიდა მარკეტინგი, როგორც მოდელის ერთ-ერთი განზომილება, გულისხმობს თანამშრომელთა აყვანას, ტრენინგს და მათ მოტივირებას კლიენტთა უკეთესად მომსახურების მიზნით. იგულისხმება, რომ ყველა, განსაკუთრებით კი უმაღლესი რანგის მენეჯმენტი იზიარებს შესაბამის მარკეტინგულ პრინციპებს. გონიერი მარკეტერი აღიარებს, რომ მარკეტინგული აქტივობები კომპანიის შიგნით ისეთივე მნიშვნელოვანია, ან შესაძლებელია უფრო მნიშვნელოვანიც კი, ვიდრე კომპანიის გარეთ არსებულ საზოგადოებაზე გათვლილი ღონისძიებები. არა აქვს აზრი, რომ კომპანიამ გასცეს უმაღლესი ხარისხის მომსახურების დაპირება სანამ კომპანიის თანამშრომლები მზად არ იქნებიან შეასრულონ დაპირება. შიდა მარკეტინგული ორიენტაციის უკეთ წარმოსაჩენად, ჰოლისტიკური მარკეტინგული მოდელის ავტორები ამ სფეროს მკვლევარების შემდეგ ციტატას იყენებენ "მარკეტინგი აღარ არის მხოლოდ ერთი დეპარტამენტის პასუხიმგებლობა - ეს არის მთელი კომპანიის პასუხიმგებლობა, რომელიც მართავს კომპანიის ხედვას, მისიას და სტრატეგიულ დაგეგმარებას" (10). ასეთი ტიპის დეპარტამენტთაშორისი ჰარმონია მიღწევადია, მაშინ, როდესაც მენეჯმენტი ახდენს საკუთარი ხედვის სწორ კომუნიკაციას თუ რა სახის მარკეტინგული ორიენტაცია აქვს კომპანიას და რა ფილოსოფიით უნდა მოემსახურონ კლიენტებს. თუ არ ხდება ამ სახის ურთიერთდამოკიდებულება დეპარტამენტრებს შორის, მარკეტინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ

დაგეგმილ ინტეგრირებულ მარკეტინგულ პროგრამას სერიოზული გამოწვევა ელის წინ. შიდა მარკეტინგის წარმოდგენილი მახასიათებლები მჭიდრო კავშირშია IMC-ის თანამედროვე გააზრებასთან და IMC-ის განხორციელების მე-3 დონესთან. სწორედ ამ დონეზე მნიშვნელოვანი ხდება ჯვარედინ-ფუნქციური ინტეგრაცია და აღიარება იმისა, რომ მესიჯი შეიძლება მომდინარეობდეს ყველა დეპარტამენტიდან და არა მარტო მარკეტინგის დეპარტამენტიდან. კლიაჩკოს თანახმად ინტეგრირებული მარკეტინგული საკომუნიკაციო გეგმის დაგეგმარების და განხორციელების ეტაპზე უმაღლესი რანგის მენეჯმენტი იღებს სრულ პასუხიმგებლობას ინტეგრაციაზე, მათ შორის ორგანიზაციის შიგნით ფუნქციების ინტეგრაციაზე მომხმარებლის საჭიროების მიწოდებასა და დაკმაყოფილებისათვის (11). უმაღლესი რანგის მენეჯმენტი შთააგონებს ყველას "მარკეტინგულ კულტურას" - რომ მარკეტინგი არის ყველას საქმე. ეს მიდგომა კი ისახება კონკრეტულ ბიზნეს პროცესებში, რაც მომხმარებელს და ყველა დაინტერესებულ აუდიტორიას ბიზნეს ოპერაციების ცენტრში აყენებს. დამატებით, უმაღლესი რანგის მენეჯმენტი მენეჯმენტის სტრატეგიულ იარაღად, ინვესტიციად განიხილავს მარკეტინგულ კომუნიკაციას, რომელსაც გრძელვადიანი ბიზნეს შედეგი მოაქვს (12). ქელერის და კოტლერის მიერ შიდა მარკეტინგული ორიენტაციის ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციებისგან გამიჯვნა და ჰოლისტიკური მარკეტინგის ცალკე განზომილებად წარმოჩენა ცალსახად ადასტურებს, რომ ჰოლისტიკური მარკეტინგის მოდელი წინააღმდეგობაში მოდის ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების კონცეფციის თანამედროვე გააზრებასთან. "შიდა მარკეტინგი მოითხოვს ვერტიკალურ გათანაბრებას უმაღლესი რანგის მენეჯმენტთან და ჰორიზონტალურ გათანაბრებას სხვა დეპარტამენტებთან, ისე, რომ ყველა იაზრებს, აფასებს და მხარს უჭერს მარკეტინგულ ძალისხმევას" (2, C)- აცხადებენ სახელმძღვანელოს ავტორები, თუმცა მიჯნავენ მას და ცალკე განყენებულად წარმოაჩენენ შიდა მარკეტინგის სტრატეგიულ როლს.

ჰოლისტიკური მარკეტინგული მოდელის შემდეგი განზომილება - ქმედებებზე დაფუძნებული ე.წ. პერფომანს (Performace) მარკეტინგი, მოითხოვს ბიზნესის და საზოგადოების მარკეტინგული აქტივობების და პროგრამების ფინანსური და არა-ფინანსური უკუგების გააზრებას (2, D). წარმატებული მარკეტერები უკვე კარგა ხანია გაცდნენ მხოლოდ გაყიდვებიდან შემოსული შემოსავლის მაჩვენებლებს და ცდილობენ გაანალიზონ რა მდგომარეობაა საბაზრო წილების მხრივ, რა მაჩვენებელს აღწევს მომხმარებელთა დაკარგვის %, მომხმარებლის კმაყოფილების ინდექსი, პროდუქციის ხარისხის შეფასებისა და სხვ. ისინი, ასევე, ითვალისწინებენ იურიდიულ, ეთიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით ეფექტებს, რაც შეიძლება მოყვეს მათ მარკეტინგულ აქტივობებს და პროგრამებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ორ მიმართულებას: ფინანსურ ანგარიშვალდებულებას და სოციალურად პასუხისმგებელ მარკეტინგს. ე.წ. პერფომანს (performance) მარკეტინგი ცალსახად კავშირდება IMC-ის განვითარების მე-4 დონესთან. მოდელის თანახმად ორგანიზაციები, რომლებიც IMC-ის განხორციელების ამ დონემდე აღწევენ არიან ის ორგანიზაციები, რომლებსაც სრულად ესმით ინტეგრაციის მოთხოვნები და ავლენენ IMC-ის გამოყენების საუკეთესო პრაქტიკას. ამ დონეზე, უმაღლესი მენეჯმენტის მთავარი ამოცანაა რესურსის განაწილება და ორგანიზაციული გამართვა, მათ შესაძლებლობა აქვთ დანერგონ დახურულ-მარყუჟიანი შეფასების სისტემები, რომლებიც მენეჯმენტს საშუალებას მისცემს უფრო სწორად მოახდინონ მარკეტინგულ კომუნიკაციებსა და ინვესტიციიდან ამონაგებს შორის კავშირი. უნარი ორგანიზაციებისა, რომ შეაფასონ, და იმედია მიაღწიონ კლიენტზე დახარჯული ინვესტიციის სასურველ ამონაგებს გვაძლევს დაშვების გაკეთების საშუალებას, რომ ორგანიზაციამ მოახერხა განესაზღვრა და გაეკეთებინა ანალიზი იმისა თუ ვინ არის მისი ყველაზე მომგებიანი სამიზნე აუდიტორია და მისთვის რელევანტური დაინტერესებული მხარეები. გარდა ამისა, ეს, ასევე, გულისხმობს იმას, რომ ორგანიზაციამ შეძლო განესაზღვრა დაინტერესებული მხარეებისთვის რელევანტური და სასურველი შეხების წერტილები, არხები, რომ წარმატებით მოეხდინა მათთან ინტერაქცია, დიალოგი და გარკვეული დონის ურთიერთობის ჩამოყალიბება შინაარსობრივი მესიჯების გაცვლის გზით. პირამიდის აღნიშნულ დონეზე ორგანიზაციები მარკეტინგული კომუნიკაციების მუდმივ მონიტორინგს ახდენენ ROI-ს პერსპექტივიდან. ინფორმაცია, ცოდნა დაკავშირებულია სამიზნე აუდიტორიასთან მიღწეული შედეგების მუდმივ შეფასებასთან (9). ამ ეტაპზე, გრძელვადიანი მომგებიანი ურთიერთობების დამყარება არის IMC-ის მთავარი მიზანი.

ჰოლისტიკური მარკეტინგის მოდელი განსხვავებულ ხედვას გვაწვდის ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების (2, B) განმარტებაზე და ცალსახად ვრწმუნდებით, რომ მოდელის ავტორების მიერ IMC განიხილება, როგორც ტაქტიკური საშუალება. კოტლერის და ქელერის თანახმად ინტეგრირებული მარკეტინგი ხდება მაშინ, როდესაც მარკეტერი მომხმარებლისთვის ღირებულების შექმნის, კომუნიცირების და შეთავაზების გზით ქმნის მარკეტინგულ ღონისძიებებს და აკავშირებს მარკეტინგულ პროგრამებს ერთმანეთს, იმ მიზნით, რომ "მთლიანი არის უფრო მეტი ვიდრე მისი ნაწილების ჯამი". მათი ხედვით, ორი ძირითადი მოტივი არის ის, რომ (1) ბევრი მარკეტინგული ღონისძიება შეიძლება ქმნიდეს, კომუნიკაციას ამყარებდეს და აწვდიდეს ღირებულებას და (2) მარკეტერი თოთოეული ღონისძიების დიზაინისა და განხორციელების ეტაპზე უნდა ითვალისწინებდეს ყველა სხვა ღონისძიებას. ავტორების მოსაზრებით, კომპანიის ყველა სახის კომუნიკაცია უნდა იყოს ინტეგრირებული. "ინტეგრირებული მარკეტინგული სტრატეგიის გამოყენება ნიშნავს იმას, რომ ირჩევ სხვადასხვა საკომუნიკაციო

არხს, რომელიც აძლიერებს და ავსებს ერთამენთს... თითოეულმა მათგანმა უნდა მიიტანოს ბრენდის თანმიმდევრული მესიჯ შეტყობინებები ყოველ კონტაქტზე" (2, C). შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კოტლერისა და ქელერის მიერ წარმოდგენილი IMC-ის განმარტება, რომელიც ჰოლისტიკური მარკეტინგის ერთ-ერთ განზომილებად გვევლინება ურთიერთობათა მარკეტინგის, შიდა მარკეტინგის და ე.წ. პერფორმანს მარკეტინგთან ერთად, საკმაოდ ზედაპირულია და დიდად არ ცილდება წარმოდგენილი IMC-ის პირამიდის მოდელის პირველ დონეს. ამ დონის თანახმად, ამ ეტაპის ფოკუსი არის მარკეტინგული კომუნიკაციების ყველა ელემენტის კოორდინაცია სინერგიისა და თანმიმდევრულობის მისაღწევად. ამ ეტაპზე აქცენტი გაკეთებულია გამავალ კომუნიკაციაზე, რომ მიაღწიოს "ერთხმოვანების და ერთსახოვნების" (ე.წ. one sight, one sound) პრინციპს მთლიან IMC-ი პროგრამაში. შესაბამისად, ამ დონეზე ფოკუსი არის მარკეტინგული კომუნიკაციების ინსტრუმენტების და დისციპლინების (არხების) კოორდინაციაზე, რომელიც მიზნად ისახავს, პირველ რიგში, მკაფიო და თანმიმდევრული მესიჯის გაგზავნას კომუნიკაციის გავლენის მაქსიმიზაციისათვის. საბოლოო მიზანი კი არის მომხმარებლის მიერ ერთიანი და ინტეგრირებული მესიჯის მიღება და აღქმა. თუ ეს სასურველი მიზანი არის მიღწეული, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ამ ეტაპის შედეგი მიღწეულია. ეს პრაქტიკა ცალსახად კავშირშია სახელმძღვანელოს ავტორების მიერ წარმოდგენილ ხედვასთან. თუმცა, ამავე დროს ისინი აღნიშნავენ, რომ კომპანიამ, ასევე, უნდა შეიმუშავოს ინტეგრირებული არხების სტრატეგია. უნდა მოხდეს თითოეული არხის შეფასება მისი პირდაპირი ეფექტით პროდუქტის გაყიდვის ან ბრენდის ღირებულების ზრდის მაჩვენებლის გაზომვის საფუძველზე. ისევე, როგორც უნდა შეფასდეს მისი არაპირდაპირი ეფექტი სხვა შესაძლო არხებთან ინტერაქციის დროს. აღნიშნული კი IMC-ის მოდელის (3) მე-4 დონის პრაქტიკას შეგვიძლია მივაკუთვნოთ, რომელიც IMC-ის მიღებული შედეგის გაზომვას და შეფასებას მოიცავს.

კოტლერის და კელერის მიერ ჰოლისტიკური მარკეტინგული განზომილებების დეტალურად განხილვის შედეგად, ცალსახად ვრწმუნდებით, რომ ავტორების მიერ ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების გააზრებას აკლია სტრატეგიული ხედვა. თანამედროვე ლიტერატურა ინტეგრირებულ მარკეტინგულ კომუნიკაციებს აკავშირებს სამიზნე აუდიტორიის ცხოვრების სტილის, საჭირობების, მოთხოვნების, სურვილების ანალიზთან, მომხმარებლის მონაცემთა ბაზების ეფექტურ მართვასთან და "მომხმარებელზე-ცენტრირებულ" მიდგომასთან, განხორციელებული ქმედებების შედეგების ანალიზთან და შეფასებასთან, ჯვარედინ-ფუნქციურ კომუნიკაციასთან, რაც ავტორების მოსაზრებით არ ახასიათებს ინტეგრირებულ მარკეტინგულ კომუნიკაციებს. აღსანიშნავია, რომ ინტერაქტიულობა არის კონცეფციის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი, რადგან ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები (IMC) ისწრაფვის შექმნას მუდმივი დიალოგი ორგანიზაციას და მის შემადგენლობაში შემავალ მხარეებს შორს, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ მომხმარებლებს, არამედ ყველა დაინტერესებულ მხარეს. მკვლევარები დუნქანი და მორიართი (15) ამტკიცებენ, რომ ინტერაქტიულ კომუნიკაციას კორპორატიულ, მარკეტინგულ და მარკეტინგული კომუნიკაციის დონეზე მივყავართ გრძელვადიან ურთიერთობებამდე და პოზიტიურ გავლენას ახდენს ბრენდის ღირებულებაზე. მათი მოსაზრებით, IMC-ი უნდა იყოს ღრმად სტრატეგიული, ის მიზნად უნდა ისახავდეს გრძლევადიანი მიზნების მიღწევას და მათ განხორციელებას. თუ ტრადიციული მარკეტინგული კომუნიკაციების მთავარი საფუძველი არის მარკეტინგული მიქსი, ამ ახალი პარადიგმის თანახმად, მისი ფუნდამენტი არის მთლიანად ორგანიზაცია. ინტეგრაცია არის კონკურენტული უპირატესობა, რომელსაც შეუძლია ურთიერთობის ოპტიმიზაცია შეტყობინებებს, არხებს და მიმღებებს შორის და არა მხოლოდ მარკეტინგული მიქსის სხვადასხვა ელემენტების კოორდინირება. გავლენა არის ძალიან რელევანტური იმ ფაქტის გამო, რომ მესიჯები შესაძლოა მოდიოდეს ყველა დეპარტამენტიდან და არა მხოლოდ მარკეტინგის დეპარტამენტისგან (6).

IMC-ი მკვლევარების მიერ IMC-ის კონცეფციის განმარტებების და IMC მოდელის ანალიზი ნათლად წარმოაჩენს, რომ ე.წ. "ჰოლისტიკური მარკეტინგის" განზომილებების ერთობლიობა ქმნის სწორედ ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების თანამედროვე გააზრებას, რომელიც არის არა ჰოლისტიკური მარეტინგის ერთ-ერთი ელემენტი, არამედ, კონცეფცია, რომელიც თავის თავში მოიცავს, ჰოლისტიკური მარკეტინგის ყველა განზომილებას, მათ შორის ურთიერთობათა მარკეტინგს, შიდა მარკეტინგს და ე.წ. პერფომანს მარკეტინგს. კოტლერის და ქელერის მიერ IMC-ის განმარტება, ჩვენი მოსაზრებით, განიხილავს IMC-ს, მხოლოდ ტაქტიკურ ე.წ. საოპერაციო დონეს და არ ითვალისწინებს მის სტრატეგიულ როლს კორპორაციულ დონეზე. ჯერი კლიაჩკო, რომელიც თავის ნაშრომში მკვეთრად მიჯნავს IMC-ის განხორციელების საოპერაციო და სტრატეგიულ დონეს, აცხადებს, რომ IMჩ-ს განხორციელება მოიცავს კომპანიის ორივე, საოპერაციო და კორპორაციულ დონეს, ყოველ დონეზე ძირითად სტრატეგიულ და მენეჯერულ საკითხებზე ფოკუსირებით (11). მკვლევარები აღნიშნავენ, რომ IMC-ს განხორციელებისას კორპორაციულ დონეზე, უმაღლესი რანგის მენეჯმენტი ბიზნესის ჰოლისტიკურ ხედვას იყენებს, განსაზღვრავს რა სახის ბიზნესი აქვს მას (რას გააკეთებს და რას არ გააკეთებს), განსაზღვრავს მისიას (კორპორაციულ მიზნებს და ამოცანებს), ხელს უწყობს მომხმარებელზე ორიენტირებული ბიზნეს კულტურის ჩამოყალიბებას მენეჯმენტში, და უძღვება ბრენდის შექმნის სტრატეგიას. უმაღლესი რანგის მენეჯმენტი არის სწორედ საჭე კომპანიისა, რომელიც იცავს ორგანიზაციის

იდენტობას, იმიჯს და რეპუტაციას (13).

დასკვნა

მუხედავად IMC-ის მკვლევარების მიერ ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების სტრატეგიული აღქმისა და მისი ეფექტურობისთვის ბიზნესის ჰოლისტიკური ხედვის საჭიროების აღიარებისა, დისკურსი ჰოლისტიკური მარკეტინგული მოდელის და ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების კონცეფციის შეპირისპირებით ანალიზზე სამეცნიერო წრეში ფართოდ არ გაშლილა. ჩვენ მიერ წარმოდგენილი ჰოლისტიკური მარკეტინგული და ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების მოდელების და განმარტებების კომპარატივისტიკული ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების მუდმივადგანვითარებადმა კონცეფციამ თანამედროვე რეალობაში უკვე შეითავსა ბიზნესის და მისი გარემოს ჰოლისტიკური ხედვა და ჰოლისტიკური მარკეტინგის წარმოდგენილმა მოდელმა ეტაპობრივად დაკარგა აქტუალურობა. შესაბამისად, ჩვენი ხედვით, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები მოიცავს ე.წ. შიდა მარკეტინგის, ურთიერთობათა მარკეტინგის, ე.წ. პერფორმანს მარკეტინგის მიდგომების ერთობლიობას და სცილდება კიდეც მას. IMC-ის კონცეფციის განმარტება ნელ-ნელა გასცდა მარკეტინგულ მიქსს და ბრენდინგის, ლოჯისტიკის, საინფორმაციო სისტემების, დისტრიბუციის, ქსელების, სტრატეგიული ალიანსების და დაინტერესებული მხარეების ე.წ. "stakeholder"-ების მენეჯმენტსაც კი შეეხო. IMC-ის გაფართოებული აღქმის აუცილებლობის მიზეზი გახდა ის, რომ სრული ინტეგრაციის მიღწევა სულ უფრო და უფრო რთულდება თანამედროვე გარემოში და შეიძლება ითქვას, რომ IMC-ის განხორციელების შემდეგ იდეალური IMC და განხორციელებული შედეგი ორი აბსოლუტურად განსხვავებული სამყარო შეიძლება აღმოჩნდეს (14).

ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე შექმნილი წარმოდგენილი ცხრილი აჯამებს იმ ფაქტორებს რაც განასხვავებს კლასიკურ მარკეტინგულ კომუნიკაციას ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციისგან, რაც კიდევ ერთხელ ნათლად წარმოაჩენს ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების მახასიათებლების თანამედროვე აღქმის პირდაპირ კავშირს ე.წ. ჰოლისტიკურ მარკეტინგთან და მის განზომილებებთან.

ტრადიციული მარკეტინგული კომუნიკაცია	ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები
აქცენტირებული შეძენაზე	ორიენტირებული შენარჩუნებაზე, ურთიერთობათა მენეჯმენტზე
მას კომუნიკაცია	ორიენტირებული სეგმენტირებულ კომუნიკაციაზე, მონაცემთა ბაზების მართვაზე
ე.წ. "საფანტით ნასროლი" შეტყობინებები	მიზანმიმართული კომუნიკაცია
პროდუქტზე ორიენტირებული	მომხმარებელზე ცენტრირებული
ერთმხრივი კომუნიკაცია, მონოლოგის რეჟიმი	ორმხრივი კომუნიკაცია, დიალოგი მომხმარებელთან
პროდუქტის თვისებებზე დაფუძნებული მარკეტინგი	მომხმარებლისთვის გადაწყვეტილების შეთავაზებასა და მათ სარგებელზე დაფუძნებული მიდგომა
Hard Sell-ტაქტიკა	Soft Sell- ტაქტიკა
კონტროლირებადი არხები	არაკონტროლირებადი არხების წილის ზრდა (ბაზმარკეტიგი, ვირუსული მარკეტინგი...)
ტრადიციული მარკეტინგული არხები	მარკეტინგის თანამედროვე ინტერაქტიული არხები
დემოგრაფიული სეგმენტაცია და აუდიტორიის ფართოდ დაყოფა	ფსიქო-სოციალური სეგმენტაცია და აუდიტორიის ვიწრო ჯგუფებად დაყოფა
ტრანზაქციაზე ორინტირებული	ურთიერთობაზე ორიენტირებული
პროდუქტზე ორიენტირებული	ბრენდზე და ბრენდის ღირებულების ზრდაზე ორიენტირებული
ფოკუსირებული მომხმარებელზე	ფოკუსირებული ყველა დაინტერესებულ მხარეზე
ერთი დეპარტამენტის ფუნქცია	მთელი ორგანიზაციის ხედვა და ფილოსოფია, ჯვარედინ-ფუნქციური სტრატეგიული მიდგომა
დაბალი ანგარიშვალდებულება მარკეტინგულ დანახარჯებზე	მაღალი ანგარიშვალდებულება

წყარო: ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე შექმნილი ცხრილი

ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები მისი ჰოლისტიკური ბუნებით საკუთარ თავში მოი-

აზრებს მუდმივ სახეცვლილებას და თანამედროვე სამყაროს სწრაფი განვითარებით წარმოშობილი გამოწვევებისთვის მუდმივ მზადყოფნას. შესაბამისად, რაც უფრო ფართოვდება ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების განმარტების აღქმა და მისი სტრატეგიული როლი, მით უფრო რთულდება მისი პრაქტიკაში სრულყოფილად გამოყენების შესაძლებლობა. IMC-ის ჰოლისტიკური ბუნება მკვლევარებს ახალი კვლევებისკენ უბიძგებს და უკეთ წარმოაჩენს იმ როლს, რა როლიც შეიძლება ინტეგრირებულმა მარკეტინგულმა კომუნიკაციებმა შეასრულონ თანამედროვე ბიზნეს მენეჯმენტში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1) Cornelissen, Joep P., and Andrew R. Lock (2000), "Theoretical concept or management fashion: examining the significance of integrated marketing communications", Journal of Advertising Research, 40 (5), 7-15.

2) Philip Kotler, Kevin Lane Keller (2012), "Marketing Management", 14th edition. Pearson Education, pp. XVII 17-24 (a), 20 (b), 21-22 (C), 22 (D).

3) Schults, D.E. & Schults, H.F. (1998) Transitioning marketing communications into the twenty-fisrt century. Journal of Marketing Communications, 4 (1), pp. 9-26.

4) Philip J. Kitchen, Joanne Brignell, Tao Li and Graham Spicket Jones. The Emergance of IMC: A Theoretical Perspective. Journal of Adversiting Research, March, 2004.

5) James C. Anderson, Hakan Hakansson, and Jan Johanson, "Dyadic Business Relationships within a Business Network Context," Journal of Marketing (October 15, 1994), pp. 1–15.

6) Lucija Porcu, Salvador del Bario-Garcia and Philip J. Kitchen (2012). How Integrated Marketing communications (IMC) Works? A theoretical review and an analyses of its main drivers and effects. Communication Y Sociedad, Vol. XXV. No 1 – 313-348.

7) Duncan, Thomas, IMC. Using Advertising and Promotion to Build Brands (International Edition), Mc. Graw Hill, New York, 2002, p. 8.

8) Larry Selden and Yoko S. Selden, "Profitable Customer: The Key to Great Brands," Advertising Age, July 10, 2006, p. S7.

9) Schultz, D.E. and P.J. Kitchen. Communicating Globally: An Integrated Marketing Approach. London Macmillan Press, 2000 in Philip J. Kitchen, Joanne Brignell, Tao Li and Graham Spicket Jones. The Emergance of IMC: A Theoretical Perspective. Journal of Adversiting Research, March, 2004.

10) Christian Homburg, John P. Workman Jr., and Harley Krohmen, "Marketing's Influence within the Firm," Journal of Marketing 63 (January 1999), pp. 1–15.

11) Jarry Kliatchko's article "Reviziting the IMC Construct – a revised definition and four pillars (2008), International Journal of Advertising, 27 (1), pp. 133-160.

12) Schultz, D.E. (2004) Skydiving into the 21st century marketplace with four new parachutes. Presentation at Harte-Hanks Users Conference, New York, 22 June cited in Jarry Kliatchko's article "Reviziting the IMC Construct – a revised definition and four pillars (2008), International Journal of Advertising, 27 (1), pp. 133-160.

13) Kitchen and Schults, 2001 - Kitchen, P. J. and Schultz, D. E. (2001) Raising the Corporate Umbrella: Corporate Communication in the 21st Century. New York: Palgrave Publishing Ltd. in Jarry Kliatchko's article "Reviziting the IMC Construct – a revised definition and four pillars (2008), International Journal of Advertising, 27 (1), pp. 133-160.

14) NRG working paper series understanding the development and diffusion of integrated marketing communications (IMC) a methaphorical perspective, Joep P. Cornelissen Lars Thøger, Christensen Pieter Vijn. January, 2006. NRG Working Paper no. 06-02.

15) Cfr. Duncan, Thomas, Moriarty, Sandra, "A Communication-Based Marketing Model for Managing Relationships", Journal of Marketing, vol. 62, # 2 April, 1998, pp. 1-13.

ბიზნეს-ინჟინერინგი სოფლის მეურნეობაში

ТЕХНОЛОГИЯ МЕМБРАННОЙ ПЕРЕРАБОТКИ МОЛОЧНОЙ СЫВОРОТКИ

Туганова Б.С., ассоциированный профессор, к.т.н
Павлодарский государственный университет имени С. Торайгырова
Республика Казахстан

THE MEMBRANE TECHNOLOGY OF WHEY

Tuganova Bakyt

Annotation

In given article of processing and rational use of secondary dairy raw materials and ecological aspects of given problem are reflected

Аннотация

В данной статье отражены вопросы перспективного использования мембранных технологий при переработке вторичного молочного сырья, в том числе молочной сыворотки.

* * * * *

Современные тенденции развития отечественной молочной промышленности предусматривает рациональное использование всех составных частей молока, для получения молочных продуктов повышенной пищевой и биологической ценности, на основе новых безотходных и экологически безопасных технологий.

Важным аспектом перспективности данной технологии является возможность создания продуктов питания нового поколения, с новыми пищевыми свойствами, поскольку их производство основано на безотходной переработке не только молока, но и сырья других отраслей перерабатывающей промышленности.

В настоящее время почти всех странах с развитой молочной отраслью уделяется огромное значение вопросам переработки и использования вторичного молочного сырья, в т.ч. молочной сыворотки. Этой проблеме уделяется постоянное внимание международной молочной федерацией (ММФ), в том числе на Международных молочных конгрессах.

По данным Агентства по статистике РК в 2015 г производство молока в целом по республике составило - 5067,9 тыс. тонн, из них молокоперерабатывающими предприятиями отрасли произведено - 184078,0 тонн продукции, в том числе сыра и творога. При этом ресурсы молочной сыворотки превышают 1,2 млн. тонн в год, из которого промышленной переработке подвергается только около 16-20 %, остальное сливается в канализацию, водоёмы, несмотря на существующие ограничения вплоть до полного запрета. Эти строгие меры вызваны тем обстоятельством, что при попадании сыворотки в сточные воды нарушается работа канализационных очистных сооружений.

Анализ структуры переработки вторичного молочного сырья показывает, что ежегодно в отраслях АПК Республики Казахстан образуется 25-27 млн. т вторичного молочного сырья, из которых промышленной переработке подвергается только 26-28 %. Обезжиренное молоко и пахта используется для нормализации жирности молочной продукции, а также при производстве продукции кормового и технического назначения

Наибольшей проблемой в молочной отрасли является переработка подсырной и творожной сыворотки, минеральный состав которой включает практически все химические элементы.

По оценкам специалистов, 1 тонна молочной сыворотки, по сложности утилизации на очистных сооружениях, соответствует 100 т бытовых сточных вод. При подаче сыворотки на поля фильтрации происходит разложение белков, лактозы, минеральное засоление почвы и грунтовых.

Таким образом, значительная часть вторичного молочного сырья используется не на пищевые цели. Поэтому расширение ассортимента новых видов молочных продуктов и увеличение их выпуска возможно только при рациональном использовании и безотходной переработки всех составных частей молочного сырья.

Решение проблемы безотходности производства на современном уровне возможно только за счет организации научных программ по разработке технологии переработки вторичных сырьевых ресурсов и производства молочных продуктов нового поколения, обладающих повышенной биологической ценностью, диетическими свойствами и лечебно-профилактической направленностью для функционального питания.

Результаты научных исследований, отечественной и зарубежный опыт показывают, что полное и рациональное использование молочной сыворотки может быть достигнуто только на основе его безотходной промышленной переработки для производства новых видов функциональных пищевых

добавок на основе сывороточных белков, полученных методом ультрафильтрации.

Молочная сыворотка отвечает всем требованиям позитивного питания, служит хорошей основой для создания десертных продуктов, она технологична в переработке, что облегчает получение разных типов продуктов, ее вкус хорошо сочетается со вкусом вводимых компонентов. В сыворотке содержится до 200 различных веществ, в том числе тонкодиспергированный жир, аминокислоты, лактоза, жиро- и водорастворимые витамины, широкий спектр макро- и микроэлементов, ферменты, органические кислоты.

Раздельное использование компонентов молочной сыворотки дает возможность извлекать молочный жир, комплекс белков или их отдельные фракции, лактозу и минеральные соли. Неограниченные возможности при реализации этого направления промышленной переработки молочной сыворотки представляются за счет использования методов молекулярно-ситовой фильтрации: ультрафильтрация, гельфильтрация, ионный обмен, электродиализ и сорбция.

Наиболее перспективной формой реализации данного направления является использование мембранных процессов в молочной промышленности и прежде всего для очистки, концентрирования и разделения жидких пищевых продуктов, в т.ч. молока и вторичного молочного сырья (молочной сыворотки).

Мембранные методы обработки вторичного сырья позволяет по-иному взглянуть на процесс глубокой переработки молока, бережно фракционировать и в полном объеме использовать все его компоненты.

Таким образом, применение мембранных процессов в молочной промышленности дает возможность по-новому взглянуть на традиционные технологии переработки молочного сырья. Технические характеристики мембранного оборудования способствуют снижению себестоимости готовой продукции и повышению ее качества, а технологически грамотное применение данного оборудования открывает перед переработчиками молока новые возможности в совершенствовании технологических процессов и создании новых видов продукции.

В связи с чем, на кафедре «Биотехнология» Павлодарского государственного университета имени С. Торайгырова проводятся поисковые научно – исследовательские работы по разработке научно –обоснованных рецептур, с использованием мембранной технологии производства новых видов пищевых добавок, с использованием ферментов и биопрепаратов, наполнителей растительного происхождения.

Таким образом, создание и внедрение отечественных высококачественных молочных продуктов питания из вторичного молочного сырья соответствующих современным требованиям науки о питании, имеет не только народнохозяйственное, но и экологическое значение, так как оно является одной из мероприятий по охране окружающей среды.

Список использованной литературы

1. Храмцов, А. Г. Рациональное использование обезжиренного молока, пахты и молочной сыворотки : науч.-техн. рекомендации / А. Г. Храмцов, С. В. Василисин. – Ставрополь : [б. и.], 2011. – 105 с.

2. Данные Агентство по статистике РК

3. Храмцов, А. Г. Феномен молочной сыворотки. – СПб. :Профессия, 2011. – 804 с.

სასურსათო უსაფრთხოება საქართველოში: ხელმისაწვდომობის ასპექტები

კახაბერ ციმინტია, პროფესორი

რეზიუმე

მიუხედავად ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში არსებული დადებითი დინამიკისა, სურსათისადმი ხელმისაწვდომობის ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზისას ვლინდება, რომ იგი ძალზე დაბალია. კერძოდ, 2014 წლის მდგომარეობით მოსახლეობის 11,6% სიღარიბის ზღვარს ქვევითაა (რეგისტრირებული სიღარიბე). ე. ი. მათ არა თუ გათვალისწინებულ რაციონალურ ნორმებთან არამედ, მინიმალური სასურსათო კალათის შესაბამისი სურსათისადმი არა აქვთ წვდომა. ამასთანავე აღვნიშნავთ, რომ დღეში 2300 კკალორიის მიღებაზე გათვლილი მინიმალური სასურსათო კალათა არ პასუხობს არსებულ მოთხოვნებს. ჯერ ერთი, იგი ვერ ასახავს 2003 წლის შემდგომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დადებით ასპექტებს, მეორე, როგორც აღვნიშნეთ მიღებული კრიტერიუმებით 1500-2500 კკალორიის დღიური მიღება არასრულყოფილ სიცოცხლისუნარიანობას ახასიათებს. თუმცა, ცნობილია ისიც, რომ 2150 კკალორიის დღიური მიღება FAO-ს მიერ სურსათით უზრუნველყოფის ზღვრული მაჩვენებელია. თუმცა უფრო უპრიანი იქნებოდა, რომ მინიმალური სასურსათო კალათის ღირებულება გათვლილი იყოს ოპტიმალურ სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფაზე, ე.ი. 2500-3500 კკალორიის მიღებაზე დღეში. აღსანიშნავია ისიც, რომ საანალიზო პერიოდში სურსათზე, სასმელსა და თამბაქოს ნაწარმზე საშუალო-თვიური ხარჯები იმდენად მცირეა (63,8 ლარი), რომ იგი ვერანაირად ვერ პასუხობს ოპტიმალური სიცოცხლისუნარიანობის პირობებს. აღსანიშნავია, რომ 2005-2014 წლებში მოსახლეობის საშუალო-თვიური შემოსავალი ერთ სულზე გაიზარდა 2,96-ჯერ, სულზე საშუალო-თვიური ხარჯები კი — 2,61-ჯერ. მაშინ, როცა სურსათზე, სასმელსა და თამბაქოს ნაწარმზე ხარჯები მხოლოდ 1,8-ჯერ, ხოლო საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი — 1,6-ჯერ. სურსათისადმი დაბალი ეკონომიკური ხელმისაწვდომობის წარმოდგენილ მაჩვენებლებს ამყარებს ამ მიმართულებით ხელმისაწვდომობის ინდექსების გათვლებიც.

საკვანძო სიტყვები: სასურსათო უსაფრთხოება. აგრარული სექტორი. სურსათისადმი ხელმისაწვდომობა. სურსათისადმი ხელმისაწვდომობის კოეფიციენტები

Food safety in Georgia: aspects of accessibility

Summary

Despite the positive dynamics during the last fifteen years, while analyzing economic showing of access to food, it seems to be very low. Privately, 11.6% of population is under the poverty line for 2014 (registered poverty). i.e. they have no access to specified rational standards but also to food appropriate with the minimal food basket. At the same time hereby notify that the minimal food basket calculated for intake of 2300 kilocalories per day, doesn't meet the requirements. First of all, it can't reflect positive aspects of the post-2003 social-economic development of the country and the second, as we mentioned according to obtained criteria, 1500-2500 kilo calories daily is characterized for imperfect viability. However, it is also known that intake of 2150 kilocalories per day is a marginal rate of food provision in accordance with FAO. However, it would be better to calculate cost of minimal food basket for provision of optimal viability, i.e. for intake of 2500-3500 kilocalories per day. It should be noted also that average monthly charges for food, drinks and tobacco products in analyzing period is so small (63,8 GEL) that it can't meet the terms of optimal viability. It should be noted that in 2005-2014 average monthly income of population per capita increased by 2,96 times, but average monthly charges per capita by 2,61 times. While expenses for food, drink and tobacco products has increased by 1,8 times but living wage of medium user by 1,6 times. The stated figures of low economic access to food are supported by calculations of accessibility indexes in this field.

* * * * * *

სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის ცხოვრების მისაღები დონისა და ხარისხის მიღწევაში. ცალკეული ინდივიდებისათვის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა გულისხმობს იმ რაოდენობის, ასორტიმენტისა და ხარისხის კვების პროდუქტების წარმოებისა და მოხმარების შესაძლებლობას, რომელიც აუცილებელია ადამიანის განვითარებისა და აქტიური ცხოვრების უზრუნველსაყოფად.

ყველაზე ფართო გაგებით, სასურსათო უსაფრთხოება გულისხმობს ქვეყნის ეკონომიკისა და შესაბამისი ინსტიტუტების უნარს, უზრუნველყოს ეკოლოგიურად წმინდა სურსათის სტაბილური საკ-

მარისობა და ხელმისაწვდომობა, თვითუზრუნველყოფის გარკვეული დონის პირობებში.

FAO-ს სასურსათო უსაფრთხოების კონცეფციაში გამოყოფენ შემდეგ ძირითად პირობებს:

 სასურსათო უსაფრთხოება არ გულისხმობს სრულ თვითუზრუნველყოფას;

№ ქვეყანა უნდა აწარმოებდეს თავისი საჭიროებისათვის საკმარის პროდუქტებს, თუ მას ამ პროდუქტების წარმოებაში შეფარდებითი უპირატესობა გააჩნია;

№ ქვეყანას უნდა გააჩნდეს სურსათის საჭირო რაოდენობის იმპორტისა და სურსათზე მოქალაქეების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა;

№ მთავრობამ უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო სურსათზე ფიზიკური და ეკონომიკური ხელმისაწვდომობა (4; გვ.5).

სასურსათო უსაფრთხოების მიღწეული დონის დახასიათებისათვის იყენებენ სასურსათო უსაფრთხოების ინდიკატორთა მრავალფეროვან სისტემას რომლებშიაც დიფერენცირებულია სურსათის ენერგეტიკული ფასეულობის, პროდუქტების ეკოლოგიურობის ხარისხის, ქვეყნის სურსათით თვითუზრუნველყოფის, იმპორტზე დამოკიდებულებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ადგილობრივი მწარმოებლების დაცვის მაჩვენებლები. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს თანამედროვე გამოწვევებიდან გამომდინარე, სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა და წინა პლანზე გამოდის სურსათისადმი ეკონომიკური ხელმისაწვდომობის პრობლემების შესწავლა. სურსათისადმი ეკონომიკური ხელმისაწვდომობის ანალიზი არა მარტო სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობის განსაზღვრის საშუალებას იძლევა, არამედ აფასებს ქვეყანაში არსებულ სოციალურ სიტუაციას, ავლენს ამ მიმართულებით არსებულ პრობლემებს. ამასთანავე, სურსათის წარმოების მაჩვენებელთა შეფასება შედარებით უფრო ადვილია, ხოლო მოსახლეობის თითოეული ჯგუფისათვის სურსათისადმი ხელმისაწვდომობის განსაზღვრა, არსებული პრობლემების, ხელმისაწვდომობის ამაღლების გზების დასახვა, შედარებით ძნელი.

აღსანიშნავია, რომ FAO-ს მიერ სასურსათო უსაფრთხოების შეფასების მაჩვენებელთა სისტემა შემდეგი ოთხი მიმართულებითაა წარმოდგენილი:

№ პროდუქტების არსებობა (წარმოების მოცულობა, მოსავლიანობა (პროდუქტიულობა), მარაგების დონე, დანაკარგები და ა. შ.);

№ სურსათისადმი ხელმისაწვდომობა (არსებული შემოსავლების პირობებში საჭირო ოდენობით სურსათის შეძენის ეკონომიკური შესაძლებლობა, სურსათის მიწოდების შესაძლებლობა და ა.შ.);

№ სურსათით უზრუნველყოფის სტაბილურობა (საკმარისი რაოდენობის სურსათის არსებობა სხვადასხვა პერიოდში, სურსათის ფასების ცვლილება და ა.შ. რაც განიხილება სტიქიური უბედურებებისა და სოციალური არეულობის პირობებში სურსათის შესაძლო უკმარისობის კონტექსტში);

№ სურსათის მოხმარება (სურსათის ფაქტიური მოხმარების და მოხმარების ფიზიოლოგიურ ნორმებთან შესაბამისობა: კალორიები, ცილები, ცხიმები, მიკროელემენტები და ა. შ.) (5; გვ. 65);

ამასთანავე, ენერგიის მოხმარებიდან გამომდინარე, გამოყოფენ სიცოცხლისუნარიანობის სამ დონეს:

№ ოპტიმალური სიცოცხლისუნარიანობა. დღეში 2500 — 3500 კკალ მიღების პირობებში;

№ არასრულყოფილი სიცოცხლისუნარიანობა. 1500 — 2500 კკალორიის მიღება დღეში;

№ კრიტიკული სიცოცხლისუნარიანობა. 1000 — 1500 კკალორიის მიღება დღეში.

FAO-ს კლასიფიკაციით ის პირები, რომლებიც იღებენ 1520 კკალორიას და ნაკლებს დღეში მიეკუთვნებიან მოშიმშილეთა კატეგორიას. 2150 კკალორიის მიღება დღეში ითვლება შიმშილობის ზღვრად (1; გვ. 47; 2; გვ. 11).

სასურსათო უზრუნველყოფის კონცეფციაში განასხვავებს სასურსათო დეფიციტის სამ ფორმას, რომელიც საფრთხეს უქმნის ეროვნულ სასურსათო უსაფრთხოებას. კერძოდ, შიმშილს, სურსათით ქრონიკულ დაუკმაყოფილებლობას და დაუბალანსებელ კვებას. ამჟამად ყველაზე მეტი მოშიმშილე ცხადია, განვითარებად ქვეყნებში ცხოვრობს, საიდანაც 57 % აზიის, 27% აფრიკის, 11% ლათინური ამერიკის და 5% ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებშია. არსებული პროგნოზებით 2030 წლისთვის მსოფლიოს მოსახლეობა 8 მლრდ-ს გადააჭარბებს. ამ პერიოდისთვის განვითარებულ ქვეყნებში იგი გაიზრდება 13%-ით, განვითარებადში — 82%-ით. კერძოდ, აფრიკაში —160%-ით, ლათინურ ამერიკაში — 77%-ით, აზიაში — 63%-ით. აბსოლუტურ სიდიდეებში ყველაზე მეტად მოსახლეობის რიცხოვნობა გაიზრდება აზიაში (1,89 მლრდ-ით), აფრიკაში (0,97 მლრდ-ით), ლათინურ ამერიკაში (0,33 მლრდ-ით) (3; გვ. 83).

თუ გავითვალისწინებთ, რომ დღეისთვის სურსათის უკმარისობა მისი საჭირო რაოდენობით წარმოების შეუძლებლობით კი არა, მის შესაძენად საჭირო შემოსავლების არ არსებობითაა განპირობებული, ცხადი ხდება, რომ პრობლემა შეიძლება გამწვავდეს, რადგანაც მოსახლეობის ზრდის ტენდენციით გამორჩეული ქვეყნები არ გამოირჩევიან შემოსავლების ზრდითაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თანამედროვე პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქვეყანაში სურსათისადმი ხელმისაწვდომობის პირობების და განსაკუთრებით კი — ეკონომიკური ხელმისაწვდომობის პირობების, ამ მიმართულებით არსებული პრობლემების, გამოწვევებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის საკითხების შესწავლა. შესაბამისად, ჩამოყალიბებულია სურსათისადმი ხელმისაწვდომობის შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც დაკავშირებულია მოსახლეობის შემოსავლებისა და ხარჯების ანალიზთან, ხელმისაწვდომობის კოეფიციენტების განსაზღვრასთან.

ამგვარად, სასურსათო უსაფრთხოება მიღწეულად მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს, როდესაც ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს ექნება რაციონალური ნორმებით გათვალისწინებული სურსათის მოხმარების შესაძლებლობა. სურსათის შესყიდვის შესაძლებლობა კი მოსახლეობის რეალურ შემოსავლებთანაა დაკავშირებული. სხვადასხვა ქვეყნებში კი შემოსავლები მოსახლეობის ჯგუფებს შორის, დასაქმების სფეროებისა და შემოსავლების წყაროების მიხედვით, განსხვავებულადაა დიფერენცირებული.

საქართველში, რომელიც აგრარული ტრადიციების ქვეყანაა და გამოირჩევა აგრარული სექტორის განვითარებისთვის ხელსაყრელი გეოგრაფიული, ბუნებრივ-კლიმატური და შრომითი მონაცემებით, აგროპროდუქციის წარმოების და თვითუზრუნველყოფის პარამეტრებთან ერთად, კვლავაც არასასურველია სურსათისადმი ხელმისაწვდომობის არსებული დონე. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის შემოსავლები არასაკმარისია რეკომენდირებული მინიმალური სასურსათო კალათის შემადგენლობაში შემავალი სურსათის მისაღებად.

ამჟამად საქართველოში მინიმალური სასურსათო კალათის რეკომენდირებული შემადგენლობა შრომისუნარიანი მამაკაცისთვის განსაზღვრულია ,,საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებისა და საარსებო მინიმუმის განსაზღვრისთვის საჭირო სასურსათო კალათის შემადგენლობისა და ნორმატივების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 8 მაისის 111/ნ ბრძანების შესაბამისად და იგი მოიცავს სასურსათო კალათის ისეთ შემადგენლობას, რომლის მიხედვითაც დღე-ღამეში უზრუნველყოფილია 2300 კკალორიის მიღება.

სურსათის მოხმარების ანალიზისას ვლინდება, რომ ქვეყანაში შექმნილია არასრულყოფილი სიცოცხლისუნარიანობისთვის დამახასიათებელი პირობები. კერძოდ, მიღებული სურსათის ენერგეტიკული ფასეულობის ანალიზისას სახეზეა ნეგატიური პარამეტრები. ერთ სულზე კვების პროდუქტების წლიური მინიმალური მოხმარების ნორმისა და ფაქტიური მოხმარების ოფიციალური მონაცემების დისტრიბუცია გვიჩვენებს რომ მათ შორის მთელი რიგი პროდუქტების მიხედვით ნეგატიური დისპროპორციებია.

არსებული მონაცემებით მინიმალური სასურსათო კალათის შესაბამის რაოდენობას მნიშვნელოვნად ჩამორჩება ხორცისა და ხორცის პროდუქტების, თევზისა და თევზის პროდუქტების, ბოსტნეულის, ლობიოს, ხილის, კვერცხის, მოხმარება, ხოლო უმნიშვნელოდ — რძისა და რძის პროდუქტების, ჩაის, ყავისა და კაკაოს. ფიზიოლოგიურ ნორმაზე უკეთესი მაჩვენებლებითაა წარმოდგენილი კარტოფილის, შაქრის, ზეთისა და ცხიმის, მარგარინის, მარილის, ღვინოს მოხმარება. სავარაუდოდ, პურისა და პურპროდუქტების მოხმარების მაჩვენებლები რეალობაში უფრო პოზიტიურია, რადგანაც არსებული მონაცემებით მოსახლეობის რაციონის სტრუქტურაში იგი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს (50%-მდე). რაციონში ასევე ძირითადი წილი მოდის დაბალი ენერგეტიკული ფასეულობის სურსათზე, რომელზეც მომხმარებლის სურსათის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი იხარჯება, მაგრამ მინიმალური ფიზიოლოგიური ნორმის ადეკვატური კალორიების მიღება მაინც ვერ ხერხდება. ცხადია, რომ სახეზეა მოსახლეობისთვის სურსათის საკმარისობისა და ხელმისაწვდომობის დაბალი დონე. შემოსავლების ხარჯებზე უმნიშვნელო მეტობა ადასტურებს, რომ ყველა ინდივიდს როდი აქვს საკმაო რესურსები რათა შეიძინოს მისთვის საჭირო რაოდენობისა და ხარისხის სურსათი.

ცხრილი 1.
საარსებო მინიმუმის, საშუალო-თვიური შემოსავლების და ხარჯების მაჩვენებლები საქართველოში

№	მაჩვენებლები	2005 წელი	2010 წელი	2014 წელი
1	საშუალო–თვიური შემოსავლები ერთ სულზე, ლარი	92,3	178,6	273,1
2	საშუალო-თვიური ხარჯები ერთ სულზე, ლარი	101,8	170,0	265,4
3	სურსათზე, სასმელსა და თამბაქოს ნაწარმზე საშუალო-თვიური ხარჯები ერთ სულზე, ლარი	35,6	46,4	63,8
4	საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმ თვეში, ლარი (დეკემბერი)	87,1	132,5	141,2
5	სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი (რეგისტრირებული სიღარიბე)	-	9,7	11,6

ოფიციალური სტატისტიკით, მიუხედავად ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში არსებული დადებითი დინამიკისა, სურსათისადმი ხელმისაწვდომობის ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზისას ვლინდება, რომ იგი ძალზე დაბალია. კერძოდ, 2014 წლის მდგომარეობით მოსახლეობის 11,6% სიღარიბის ზღვარს ქვევითაა (რეგისტრირებული სიღარიბე). ე. ი. მათ არა თუ გათვალისწინებულ რაციონალურ ნორმებთან არამედ, მინიმალური სასურსათო კალათის შესაბამისი სურსათისადმი არა აქვთ წვდომა. ამასთანავე აღვნიშნავთ, რომ დღეში 2300 კკალორიის მიღებაზე გათვლილი მინიმალური სასურსათო კალათა არ პასუხობს არსებულ მოთხოვნებს. ჯერ ერთი, იგი ვერ ასახავს 2003 წლის შემდგომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დადებით ასპექტებს, მეორე, როგორც აღვნიშნეთ მიღებული კრიტერიუმებით 1500-2500 კკალორიის დღიური მიღება არასრულყოფილ სიცოცხლისუნარიანობას

ახასიათებს. თუმცა, ცნობილია ისიც, რომ 2150 კალორიის დღიური მიღება FAO-ს მიერ სურსათით უზრუნველყოფის ზღვრული მაჩვენებელია. თუმცა უფრო უპრიანი იქნებოდა, რომ მინიმალური სასურსათო კალათის ღირებულება გათვლილი იყოს ოპტიმალურ სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფაზე, ე.ი. 2500-3500 კკალორიის მიღებაზე დღეში. აღსანიშნავია ისიც, რომ საანალიზო პერიოდში სურსათზე, სასმელსა და თამბაქოს ნაწარმზე საშუალო-თვიური ხარჯები იმდენად მცირეა (63,8 ლარი), რომ იგი ვერანაირად ვერ პასუხობს ოპტიმალური სიცოცხლისუნარიანობის პირობებს. აღსანიშნავია, რომ 2005-2014 წლებში მოსახლეობის საშუალო-თვიური შემოსავალი ერთ სულზე გაიზარდა 2,96-ჯერ, სულზე საშუალო-თვიური ხარჯები კი — 2,61-ჯერ. მაშინ, როცა სურსათზე, სასმელსა და თამბაქოს ნაწარმზე ხარჯები მხოლოდ 1,8-ჯერ, ხოლო საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი — 1,6-ჯერ. სურსათისადმი დაბალი ეკონომიკური ხელმისაწვდომობის წარმოდგენილ მაჩვენებლებს ამყარებს ამ მიმართულებით ხელმისაწვდომობის ინდექსების გათვლებიც.

კერძოდ, მიღებულია, რომ სურსათისადმი ხელმისაწვდომომობის შეფასება მოხდეს კოეფიციენტების (ზოგადი და კერძო) საშუალებით, რომელიც იანგარიშება ფორმულით:

ხელმ. = შემოსავლები მოსახლეობის ერთ სულზე : სასურსათო კალათის (გასაშუალოებული მაჩვენებელი) ღირებულება.

ამასთან, ხდება ქვედა (შიმშილობის საზღვარი და კრიზისულად მიიჩნევა 2150 კკალორიის დღიური მიღება) და ზედა (კვების რაციონის სამედიცინო ნორმებით გათვალისწინებული კალათის ღირებულება) (2; გვ. 14-15).

ვენი აზრით, აღნიშნული სახით გათვლილი კოეფიციენტები ბოლომდე ვერ ასახავენ რეალობას, რადგანაც მოსახლეობის შემოსავლების მხოლოდ ნაწილის მიმართვა ხდება სურსათის შესაძენად. აქედან გამომდინარე მრიცხველში მთლიანი შემოსავლის გამოყენება ილუზორულად ამაღლებს ხელმისაწვდომობის მაჩვენებელს. აღნიშნულის გათვალისწინებით, უფრო მისაღებად მიგვაჩნია მოსახლეობის მიერ სურსათზე გაწეული ხარჯებისა და საარსებო მინიმუმის მაჩვენებლის გამოყენება (საშუალო მომხმარებლის ან შრომისუნარიანი მამაკაცის). მით უმეტეს, რომ აღნიშნული მაჩვენებლების გაანგარიშება ხდება სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ და ამდენად, მარტივადაა ხელმისაწვდომი.

საბოლოოდ, ხელმისაწვდომობის კოეფიციენტის გათვლა ჩვენს მიერ შემდეგი სახითაა წარმოდგენილი: ხელმ. = სურსათზე საშუალო–თვიური ხარჯები (ლარი) : საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი თვეში (ლარი) X 0,7. წარმოდგენილ გაანგარიშებაში საარსებო მინიმუმის ღირებულების 0.7-ზე გამრავლება გამოწვეულია, იმით, რომ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ საარსებო მინიმუმის გაანგარიშების მეთოდიკის მიხედვით მინიმალური სასურსათო კალათის ღირებულება იყოფა 0,7-ზე (საარსებო მინიმუმის ღირებულებაში სასურსათო ხარჯების წილი განსაზღვრულია 70 %-ით, შესაბამისად არასასურსათო — 30 %-ით).

ამგვარად, ჩვენი გაანგარიშების შესაბამისად სურსათისადმი ხელმისაწვდომობის კოეფიციენტის მნიშვნელობა სხვადასხვა პერიოდისთვის იქნება:

ხელმ.2005წ. = 35,6 : 87,1 X 0,7 = 0,29
ხელმ.2010წ. = 46,4 : 132,5 X 0,7 = 0,25
ხელმ.2014წ. = 63,8 : 141,2 X 0,7 = 0,65

ამგვარად, არსებული მონაცემები და განხორციელებული გათვლები ადასტურებენ, რომ საქართველოში სურსათისადმი დაბალი ეკონომიკური ხელმისაწვდომობაა, რომელიც განპირობებულია ასევე დაბალი შემოსავლებით. მიუხედავად ბოლო 15 წლის მანძილზე ზრდის დადებითი დინამიკისა, იგი მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი სიღარიბის დაძლევისა და მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის არსებითი გაუმჯობესებისათვის.

სურსათისადმი მოსახლეობის ეკონომიკური ხელმისაწვდომობის სასურველი დონის უზრუნველყოფის ვექტორი სიღარიბის დაძლევაზე გადის. განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მცირე ბიზნესის, მათ შორის წვრილი სასოფლო-სამეურნეო მწარმოებელების, წახალისების ღონისძიებები. ამავდროულად, სასურსათო უსაფრთხოების მისაღები პარამეტრების უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი ამოცანების დასახვა:

იმპორტშემცვლელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების განვითარების პროგრამის შემუშავება-განხორციელება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მეცხოველეობის პროდუქციის, კვერცხის, ბოსტნეულის, ხილის, კარტოფილის, ჩაის, თევზის წარმოების არსებული პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება. რაც გაზრდის მოხმარებისა და თვითუზრუნველყოფის პარამეტრებს და მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლების, სესაბამისად სურსათისადმი ხელმისაწვდომობის მაჩვენებლებს;

№ აგრარული სექტორის ოპტიმალური დარგობრივი სტრუქტურის ფორმირებისადმი ხელშეწყობა;

№ აგრარულ სექტორში შრომის მწარმოებლურობის მინიმუმ 2-ჯერ მაინც ამაღლება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კოლუაშვილი პ. საქართველოს სასურსათო უშიშროება: რეალობა და პროგნოზები. თბ., 2004.
2. მოდებაძე ნ., გარაყანიძე ზ. სასურსათო უსაფრთხოების ზოგიერთი პრობლემა საქართველოში. თბ., 1998.
3. Давидянц Д., Продовольственная безопасность и комерческие структуры (в условиях Российских реформ). М., 1999.
4. Курбанова Г. Обзор продоволственной безопасности в Евразийском регионе. М., 2013.
5. Шагайда Н., Узун В. Продовольственная безопасность: проблемы оценки. «Вопросы Экономики». 2015, № 5.

1968 Tet Offensive: An Intelligence Failure?

David Chkhetiani, *PhD Student*

1968 „ტეტ“-ის შეტევა: იყო თუ არა დაზვერვის ფიასკოს შედეგი?

დავით ჩხეტიანი, *დოქტორანტი*

რეზიუმე

1968 წლის 31 იანვარს ჩრდილო ვიეტნამისა და ვიეტ-კონგის ერთობლივმა ძალებმა 80 ათასამდე მებრძოლით წამოიწყეს „ტეტ“-ის შეტევა (სახელი გამომდინარეობდა ბუდისტური კალენდრის ახალი წლის დასახელებიდან „ტეტ“) სამხრეთ ვიეტნამის 100-ზე მეტ დასახლებულ პუნქტზე კოორდინირებული იერიშების სახით. მართალია ა.შ.შ. და სამხრეთ ვიეტნამის ძალებმა მოახერხეს კომუნისტთა შეტევების აღკვეთა, მაგრამ მოვლენათა გაშუქებამ შოკში ჩააგდო ამერიკული საზოგადოება და კიდევ უფრო შეამცირა მათი მხარდაჭერა ომისადმი. მიუხედავად მძიმე დანაკარგებისა ჩრდილო ვიეტნამმა მოიპოვა სტრატეგიული გამარჯვება რადგანაც ამ ოპერაციამ ფაქტიურად გარდამტეხი როლი შეიტანა ვიეტნამის ომში და მონიშნა ამერიკის როგორც უშუალოდ ომიდან, ასევე რეგიონიდან გამოსვლის პროცესის დასაწყისი.

ბრძოლის შემდგომ წარმოიშვა სერიოზული კითხვები თუ რატომ არ მოხერხდა „ტეტ“-ის მზადებების დროული აღმოჩენა და ნიშნავდა თუ არა ეს ა.შ.შ.-ს სადაზვერვო ძალისხმევის სრულ ფიასკოს. ნაშრომი გაანალიზებს მოვლენებს, რომლებიც წინ უსწრებდა თავდასხმას, რათა დაადგინოს, იყო თუ არა მოულოდნელობის ეფექტი დაზვერვის, თუ უფრო მეტად უმაღლესი სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელობის ბრალი, რამაც გამოიწვია მოვლენათა ამგვარი განვითარება.

Summary

In January 31, 1968, some 80,000 North Vietnamese and Viet Cong forces launched the Tet Offensive (named for the lunar new year holiday called Tet), a coordinated series of attacks on more than 100 cities and towns in South Vietnam. Though U.S. and South Vietnamese forces managed to hold off the Communist attacks, news coverage of the offensive shocked the American public and further eroded support for the war. Despite heavy casualties, North Vietnam achieved a strategic victory, as the attacks marked a turning point in the Vietnam War and the beginning of the American withdrawal from the war and region.

In aftermath of the battle serious questions arose how did the preparations of the offensive of such scale remained undetected and if the surprise of the "Tet" meant a total failure of the US joint intelligence efforts. This essay will analyze the events that preceded the offensive in order to determine whether the initial surprise that accompanied the attacks was a failure of Intelligence from the US and allied side or the deficiency occurred on the highest echelons of leadership, which led to the known events.

Introduction:

The Tet Offensive (named so after the Chinese Lunar New Year holiday), was a main element of Hanoi's 1967-1968 winter/spring campaign and one of the most significant battles during the US presence in Vietnam. It started on 30 January, when the Viet Cong and People's Army of Vietnam (PAVN - North Vietnam) conducted a massive attack countrywide against the Army of the Republic of Vietnam (ARVN – South Vietnam) and the forces of US Military Assistance Command in Vietnam(MACV). Offensive consisted of series of surprise attacks against military and civilian objectives all over the South Vietnam. It was initiated by the attacks on border regions (central Vietnam) and in the areas of responsibilities (Corps Tactical Zone - CTZ) of the First and the Second Corps. The following morning the main thrust came throughout the country with supposedly above 80,000 combined Viet Cong and PAVN forces assaulting over 100 cities including the majority of the provincial capitals and the capital city of Saigon. The commencing assaults caught the ARVN and the US troops on ground by surprise, which resulted in temporary gain of control over number of cities by the North Vietnamese troops. However they were soon thrown back by fast responding American war machine and in couple weeks, full control over all objectives (except of the former imperial capital Hue, battle for which lasted about 26 days) was reestablished. The offensive ended with a critical defeat of the PAVN units and near annihilation of Viet Cong. "There were 4,000 Americans killed or wounded, and between 4,000 and 8,000 casualties for the ARVN. The Communists lost between 40,000 and 50,000 killed in action. Their Viet Cong infrastructure was destroyed."[1] Much

1 US Army Intelligence Centre, "Uncertain Oracle: Some Intelligence Failures Revisited", Fort Huachuca history files: 12

sever were the casualties throughout the civilian population of the South Vietnam. Especially brutal was so called Hue Massacre, where during the 26 days of occupation almost 6,000 civilians were executed by the PAVN and Viet Cong death squads. "The victims included soldiers, civil servants, merchants, clergymen, school teachers, intellectuals and foreigners."[2] Most of them were shot, bludgeoned to death or simply buried alive.

Despite the fact that North Vietnams effort was defeated, it had shocking effect on the US government and public because of the misperception that North Vietnam, due to previous defeats, was incapable of launching an attack of such scale. Thus, the events imprinted the turning point of the war by the military defeat of the North Vietnam's offensive, but at the same time by their psychological and political victory. "The turning point marked American acknowledgement that a victory in Vietnam was no longer worth the cost."[3] The US government has lost the most decisive battle not on South Vietnam's battlefields, but back home, with its own public opinion. From that moment on, United States started to deescalate their efforts in Vietnam followed by final withdrawal.

This essay will analyze the events that preceded the offensive in order to determine whether the initial surprise that accompanied the attacks was a failure of Intelligence from the US and allied side or not. It will argue that actually the US military and intelligence services on ground succeeded in collecting and disseminating the intelligence and as a result the MACV leadership was well aware of the coming attack through the intelligence provided warnings and indicators. The deficiency that occurred was not of the intelligence but of the highest echelons of leadership, especially the political one, with fusion and understanding of the obtained information and finally with the decision making and drawing the right conclusions from it. "All the intelligence was there, and all of it was briefed and discussed, but it was the senior decision-making officers — the users of the intelligence — who did not act in the right way, based on what they knew but would not believe."[4] Those were the crucial factors that made it possible for the North Vietnamese and the Viet Cong to surprise Americans by the massive attacks. To prove this argument, after the introduction the essay will give a brief historical background and show a general situation before the attack took place, including Hanoi's plans. Than in the main body it will introduce the organization and structure of the US intelligence system in South Vietnam. In order to show that there was sufficient information to anticipate the imminent attack, the essay then will follow up with the factual evidence of the indicators and warnings obtained through the collected intelligence. Finally it will conclude in summing up the essay and the arguments presented.

Historical background:

At the beginning of 1968 the situation in Vietnam was very complex. Conflict, which was escalating for several years continuously, looked like as stalemate and North Vietnam's efforts seemed to be checked. "Despite large-scale offensive operations — intended to destroy South Vietnamese and American military units and to establish full control over the southern population — the VC/NVA were making no headway in their war efforts."[5] But in no better position were the ARVN and the US forces because of inability to conduct a decisive blow to the adversary.

"The conflict resembled an American style boxing match between a lightweight and a blindfolded heavyweight. The Communist Vietnamese lightweight danced nimbly around the ring, unseen by his opponent, while he could deliver quick jabs, and an occasional one-two combination, he was ever wary of the risk that his powerful adversary would find, corner, and attack him."[6]

Hanoi was aware that the enemy could not be defeated simply through the war of attrition. The United States, on the other hand, was spending great efforts with little success, because the enemy could always elude him to the North Vietnam and other sanctuaries, and was frustrated that no decisive victory was visible in the close future. "More important, a situation had arisen where both sides were fighting indecisively, entrenched in a war of attrition."[7] Both of them were facing the dilemma of how to defeat the adversary.

"By mid-1967, the party leaders in Hanoi decided that something had to be done to break the bloody stalemate."[8] They knew that the US military was just getting warmed up, and soon the Communist North and Viet Cong would have no forces left to continue fight if they didn't change the tactics. It was seen as a weakness of Americans, that in their role of advisers and mentors they had to rely on the South Vietnam government and its troops. So this weakness had to be exploited by the new strategy. In summer 1967 the 13th Plenum gathered in Hanoi to discuss the situation. "The Plenum decided, after debating the issue through the month of June, that the time was right for the initiation of the General Offensive/General Uprising."9 The plan considered to conduct massive attacks on the South Vietnam's military and government structures by using the Viet Cong and PAVN, then followed by the general public uprising. The attacks were supposed to topple the political and military foundations of the Saigon regime, followed by the establishment of the coalition government with South Vietnams Communist Lao Dong Party taking

http://huachuca.army.mil/files/History_UncertainOracle.pdf (accessed February 5,2015)

2 James H Willbanks, *The Tet Offensive: a Concise History*,(New York: Columbia University Press, 2007), 55

3 Ronnie E Ford, *Tet 1968: Understanding the Surprise*, (London: Frank Cass, 1995), 1

4 Thomas L. Cubbage II, "Comments on James J. Wirtz's: The Tet Offensive: Intelligence Failure in War" *Conflict Quarterly*, summer 1993, 77

5 Cubbage,79

6 Stephen M Goldfein, "Why Tet Offensive? Sun Tzu Knows the Answer" (report document f, US War College, 1994), 1

7 Ford, 55

8 Willbanks, 9

9 Ford, 70

the lead. Such events would convince Americans that the war was impossible to win, force them to sit at the negotiations table together with North, and simply withdraw from the war if there was nobody left to support. By October 1967 most of the issues regarding the plan were worked out and the Resolution 14, an official order of General Offensive General Uprising (Tong Cong Kich/Tong Khoi Nghia – TCK/TKN) was issued. "Attacks were to be carried out mainly against the City of Saigon and Upper Mekong Delta provinces."10 General Giap, who actually opposed the plan, was tasked to conduct the military planning. He came up with the three phase plan. Initially, the preparatory phase considered rural attacks in the border regions to draw the forces away from populated areas. During the first phase, conventional attacks with large number of regular units were to be commenced in the Highlands (central Vietnam) and alongside the DMZ. Simultaneously with those attacks, other units had to infiltrate into the urban areas and get everything ready for the next phase. The second phase considered General Offensive and the General Uprising to start through the coordinated attacks within the cities targeting the Southern government structures and military installations. While conducting those attacks, a political battle was to be thought as well. "An appeal would go out to the Southern people to join the General Uprising."[11] The fight was to be brought in concurrency with the diplomatic efforts, calling for negotiations and creating the coalition government in the South. In the final third phase the second wave of reinforcements were supposed to follow from the North, concentrating against the US military, forcing the Americans to negotiate.

Soon after publication of the resolution the plans were in motion, troops and logistics on the way, and all preparatory works to start the offensive in development. By mid-January of 1968 the Communist build-up of forces was complete, and they stood ready for their offensive.[12]

US Intelligence Structure in South Vietnam:

Before discussing the intelligence activities and collected information, in order to see whether the MACV and the Saigon regime had sufficient data to anticipate the coming offensive, the essay will look at the intelligence structure and its organization in the South Vietnam. It will also consider if all various intelligence agencies, operating on ground, were really acting coherent with the unity of effort.

"Very little information has been found on the exact configuration of US intelligence agencies in Vietnam outside of MACV J-2."[13] It is widely known fact that besides the MACV's own intelligence efforts, there were: CIA (Central Intelligence Agency), DIA (DoD's Defence Intelligence Agency), Military Intelligence and other structures operating in the country. Furthermore, there were the US Pacific Command's and domestic intelligence assets also present in South Vietnam. That all made a large array of intelligence efforts operating simultaneously, which from the first sight should mean that the Allied Forces, fighting against the Communist North, were well served of critical intelligence. However that was not the case. All those assets were not consolidated under the MACV and there was no effective fusion of the gathered Intelligence. "General Westmorland did not control all the intelligence assets available nor did he receive full intelligence support from the CIA, DIA, the Army Communications Agency, CINPAC, and the military Intelligence Agencies."[14] Of course there was a formal cooperation between those organisations and they were exchanging the information, but without the unity of effort, which would have served the common goals. The fusion of all efforts was necessary to depict a solid common operational picture for the fighting force. As it was directly involved in the operations, MACV J-2 would have been a perfect place for such cooperation. "This arrangement would have provided a more complete intelligence picture to Westmorland and Washington."[15] Unfortunately, no such unification of efforts occurred.

More effective were the MACV J-2 subordinated intelligence assets, which successfully incorporated within their organisation the South Vietnam's military intelligence structures. "The ultimate result was a Combined Intelligence Centre (CICV) with separate components responsible for prisoner and rallier interrogations (CMIC), captured document exploitation (CDEC), captured material exploitation (CMED), and intelligence production."16 These structures were further split into subsections effectively covering the whole theatre of operations and providing timely and ample data at all echelons. Furthermore, on the tactical level there were the Tactical Operations Centres instituted with effective incorporation of the intelligence assets, which excessively improved the intelligence evaluation, synchronization and dissemination processes. Even better off were the operational level headquarters. "The component elements of CICV were eventually replicated at the headquarters of each of the four CTZ."[17] That enabled to reduce the intelligence cycle times to minimum and to channel the critical information on both directions: bottom-up and top-down. Thus CICV could depict relevant common operational picture for the MACV and commanders on ground, but it lacked the CIA and the DIA contributions for common intelligence effort, which would have definitely painted more potent intelligence picture. "For whatever reason – stovepiping information, institutional biases, or otherwise – research indicates that MACV lacked valuable intelligence sources in its fight against the

10 Ibid., 79

11 Ford, 93

12 Andrew Wiest, *Esential Histories: The Vietnam War* 1956-1975, (Osprey Publishing, Oxford 2002), 41

13 Charles A P Turner, "American Leadership and Decision-making Failure in the Tet Offensive" (Master Thesis, US Army CGSC, 2003), 43

14 William C Westmorland, *A soldier Reports*,(New York: Doubleday, 1976), 415

15 Turner, 51

16 John R. Johnson, Richard P. Joyce, Paul C. Nagle, Aristotelis D. Stathacopoulos, Roswell B. Wing, James L. Jones, *Analysis of Tactical Intelligence Experience in Southeast Asia*, (General research Corporation, McLean, 1976), 89

17 Ibid., 91

North Vietnamese and the Viet Cong."[18] There is no solid evidence of what was the reasoning behind the top echelon decisions for not establishing such interagency joint intelligence structure on the basis of CICV. Having such could have better contributed to the fight against the Communists by uniting and coordinating all intelligence efforts and providing the fusion of collected intelligence enabling more sound decision-making process. One was for certain: "General Westmorland did not have control of all or access to all intelligence assets in his theatre of operations as other commanders directed forces that were not permanently based in Vietnam."[19] In other words, he was supposed to be the overall commander, directing the whole intelligence cycle and efforts, and other commanders or civilian executives supporting him by providing personnel, assets and collection management. Unfortunately, to general Westmorland's disappointment, Washington did not share that sentiment. Not only he had no control over all intelligence assets available in the theatre, but also he had to share his resources with other agencies, what was straining his limited capabilities even more.

Collected Intelligence and Warnings:

In analysing how the North has managed to surprise Americans, the essay will try to look at the series of events, enemy activities and intelligence collected, which if fused properly together, could have depicted a very accurate picture of the coming days. There were the warnings and information of different nature acquired through different means. First the essay will list the general indicators, than the CDEC provided warnings through the obtained documents, and finally the information collected by the other intelligence sources.

The first PAVN attacks in preparation of Tet offensive came already during the late autumn of 1967. The attacks mainly took place in the northern regions of the South Vietnam especially in border areas. Those were the first actual indicators of coming offensive. The attacks had dual purpose. "They were designed to draw American troops away from populated areas, and provided an opportunity to rehearse coordinated operations between troops of the People's Army of Vietnam and Viet Cong guerrillas."[20] At the same time those attacks made possible to screen the movement of supplies and equipment to the attack positions and the infiltration of large numbers of personnel from North Vietnam, Laos and Cambodia. The most important out of those initial attacks probably was the attack on Marine base at Khe Sanh, where the North Vietnamese had accumulated up to 30,000 troops. "The primary divisions assigned to the front were 304 and 325C Divisions. The 320 and 324B Divisions would support the operation."[21] Worth mentioning, that 304 and 320 were the elite divisions, which were formed and participated in the First Indochina War against the French. They had better equipment and training than the regular divisions. Using large numbers of PAVN troops, especially the elite divisions, should have rung alarm bells for the MACV command indicating that Hanoi was engaging in decisive actions. Unfortunately the events were misinterpreted by Westmorland, due to his nightmare of possible repetition of French fiasco at Dien Bien Phu, who believed at the moment that the enemy's whole effort was directed against Khe Sanh. The attack on the Marine base served its purpose well to divert all American attention to the support of the Marine regiment stationed there. "While Westmorland was fixated on Khe Sanh, fifteen Viet Cong battalions, totalling approximately 6,000 troops, positioned themselves in and around Saigon."[22] However the movement of those troops didn't remain completely unnoticed to the US intelligence assets. All the information was indicating that, with high probability, a major offensive was about to start sometime around the Tet celebrations. The intelligence branch has timely brought up General Westmorland's attention to the developing situation, in regard of which he tried to warn the political leadership both in Washington and Saigon. "He began lobbying with the Saigon government for cancelation of the normal Tet truce."[23] This attempt itself speaks for the fact that the intelligence did not fail in producing the warning, however listed above circumstances were not the only indicators forewarning about the imminent attack.

General Indicators:

Before going into the details whether the intelligence was properly utilised or not, it has to be mentioned that there were multiple general indicators on hand, analysing of which could have made possible to anticipate the future developments. The factual history of Vietnam itself should have been the first and foremost indicator for the Americans to be on alert while negotiating truce with the communist North. Throughout the centuries it showed how the Vietnamese had always been using unconventional tactics of breaking the truces in the sake of surprise attacks. Such tactics played decisive role in 1789, when the Vietnamese defeated the Chinese invaders, attacking them likewise on the eve of the Tet. Not very long ago in 1944 the Vietnamese attacked the French troops on the Christmas Eve during the truce. The 1960 attack on South Vietnam's military installations at Tay Ninh took place also during the Tet truce. Finally, there were the multiple truce violations of previous year's Tet celebration and also of the latest Christmas and New Year's truces. About 338 incidents of violation were accounted for during the most recent Tet truce only.[24] All those facts were well known to the MACV leadership, which should have driven them to the conclusion that no truce could be trusted with the North Vietnam's regime, particularly when it was preceded by large number of warnings about the major offensive.

A solid indirect indicator was provided by the North

18 Turner, 52
19 Turner, 52
20 Willbanks, 15
21 Gordon L Rottman, *Khe Sanh 1967-68: Marines Battle for Vietnam's Vital Hilltop Base*, (Osprey Publishing, Oxford 2005), 8
22 Turner,11
23 Ibid, 11
24 Don Oberdorfer, *Tet! the Turning Point in the Vietnam War* (New York: Avon Books, 1971), 134

Vietnam's regime in September 1967. The political struggle, which took place between the opposers and the supporters of war, ended with the victory of Hawks, and was followed by mass arrests of the Doves. More than 200 party officials and politburo members were incarcerated in this purge including the acting chief of intelligence service and other high ranking military officers. "They had all been arrested for 'heretical thoughts' and opposition to the war."[25] Purge should not have remained unnoticed to the South Vietnam's and the MACV leadership, and logical conclusions should have been made that some major hostilities were about to follow those events, since the war faction has won the supremacy.

As another warning of the major developments should have served the fact that by summer 1967 Hanoi called most of their major diplomats and ambassadors back home, to convey the directives regarding the coming offensive. "Such unusual diplomatic activity should have aroused someone's suspicion, but no one appears to have seriously questioned the moves."[26] The movement was picked up by the US intelligence services, however was misinterpreted by the political leadership. At first sight insignificant matter, which had falsely created hopes of peace in the circles of American diplomats, caused the confusion. Arriving to Hanoi the Vietnam's envoys were avoiding airplane connections with the stops in China, and because latter was consistently opposing to any compromise with Americans and Saigon, this fact was received as a will of Hanoi to negotiate peace settlement.[27]

A very significant development, which should have indicated on further escalation, was the signing of the military aid agreement between Hanoi and the Soviet Union in September. The agreement was making it possible to supply the North with modern equipment and weaponry. However details of the agreement were not known by that moment and it was impossible to anticipate to what extent it could influence the warfighting at the tactical level. "In the absence of information about the actual terms of the agreement, the intelligence community could only speculate about the types of Soviet-supplied weapons that might soon emerge on the battlefield."[28] Futile discussions about the possible composition and sophistication of the weaponry to be supplied were instigated instead of reaching simpler conclusion: such agreement would certainly be followed by major combat operations.

A revealing evidence of Hanoi's intents was the similarity to 1789 Tet surprise attack on Chinese. Just like centuries back, in 1968 the Communist Regime announced the celebration of Tet festivities one day earlier than usual.[29] This indicator should have been picked up and appropriately interpreted specifically by the South Vietnam's intelligence. Unfortunately it remained either completely unnoticed, or not much attention was paid to it. If there were no other indicators, even just this single fact, because of the historical similarity, should have alerted the MACV about the impending hostilities.

Finally, the most direct warning of the coming major offensive was provided by the number of premature attacks in the central and northern parts of the South Vietnam on early morning of January [30]. "Major attacks started to erupt at about 01:35, and by 05:00 the province capitals of Pleiku, Khanh Hoa, Darlac and Quang Tri were all under heavy attack."[30] Everything indicated that it was not only the Viet Cong participating in the attacks but also a large number of PAVN regular units. The tactics have also changed. This time, they did not just attack and try to disengage immediately avoiding the fire superiority of the US troops, but instead were pressing as much as they could, utilising artillery and even armour assets freshly provided by the Soviet Block, and standing the ground when being counter-attacked. Such developments should have been especially alerting for the MACV command indicating that the North was engaging in decisive effort. However the whole attention of General Westmorland was focused on the fact that he finally could engage the enemy on his own terms and destroy it without costly and complicated 'hide and seek' games in the jungles. He must have felt that finally he was winning the initiative and presumably disregarded any other considerations by that moment.

Each of listed above facts taken separately would not have indicated probably on any significant development of situation and would not have sounded as alarm signal for the MACV command. However merged together, all those facts were drawing an implicit picture of some major events to take place shortly after, which required immediate reaction.

SDEC Documents:

Much more revealing was the information provided by the MACV own intelligence assets through the captured documents. Number of them were obtained and processed by the CDEC which directly indicated about the coming attack. "In March 1967 in III corps Tactical Zone (CTZ), the ARVN captured a document from NVA CT-5 division which provided a very basic summary of the offensive to be conducted in Saigon."[31] Similar plan of the attack on the South Vietnam's capital was captured a bit earlier from the Viet Cong units. Both plans, indicating on an attack on Saigon, should have been distressing for the MACV and the South Vietnam government, but information was dismissed as untrustworthy. Third document indicating the Tet offensive came to the hands of the ARVN in October 1967. It was the resolution 13 of the Communist Plenum in Hanoi. But instead of focusing on the part of the document discussing the military plans, which called for 'major offensive to achieve a quick victory,' the MACV leadership's attention was centred on the part discussing the American domestic support of the war and coming US presidential

25 Ford, 95
26 Turner, 19
27 Ford, 71
28 James J Wirtz, *The Tet Offensive: Intelligence Failure in War*, (New York: Cornell University Press, 1991), 151
29 Oberdorfer, 88
30 Wirtz, 219
31 Ibid, 153

elections with possible outcomes.[32]

More evidence was captured during the battles around Dak To in November 1967. The MACV intelligence assets obtained the Communist Western Highlands Front Party Committee directives for the 1967-1968 Winter-Spring campaign calling for large scale attacks throughout all CTZs in order to inflict massive casualties to the US forces and seize the territory. It stated: "Destroy a significant portion of US troop strength, force the enemy to dispatch as many as possible of its mobile forces to the Western Highlands, destroy and disperse the bulk of puppet forces."[33] Directive considered attacks to be simultaneous and coordinated as one single major offensive. However this critical intelligence information, which should have served as another alarm indicator, was also downplayed by the MACV command in its significance.

Top secret documents were obtained in the same month in Long An province. Those were the instructions of infiltration of the city of Saigon by large numbers of the Viet Cong in order to subsequently overthrow the government. Of outmost interest should have been the part of document that insisted on completion of positioning the agents by all means not later than the end of January 1968. This document should have had provided the US and South Vietnam leadership with the rough timeframe of the enemy attack and the scale of its effort.

At the same period another significant document was acquired by the US 101 Airborne Division soldiers in Quang Tin province. The document was directly calling for the final effort to overthrow the Saigon government and defeat the Americans by attacking in the urban areas. "Central Headquarters concludes that the time has come for a direct revolution and that the opportunity for a general revolution and general uprising is within reach."[34] This document pretty much revealed Hanoi's plans regarding the coming offensive, however it was deemed also untrustworthy by the MACV leadership. The fact, that the document was captured from the low to mid-level communist cadre, had led to the mistrust. It was hard to believe that: "a cadre member at this level having access to, or possession of, an order that would have come directly from Hanoi's politburo."[35]

On January 4th one more documented proof of the offensive was obtained. The US troops captured the combat order for the Pleiku province, with the detailed instructions for the preparations of Tet.

All documents mentioned above were accordingly processed by the CDEC and the information passed forward for the consideration of the MACV command.

Other sources:

Warnings about the coming offensive were provided by other intelligence sources as well. SIGINT (Signal Intelligence) played a significant role in detecting the movements of PAVN troops, on the Ho Chi Minh trail, going into positions around the Khe Sanh in November of 1967. After having acquired initial information through SIGINT, the air and ground surveillance assets were commited to observe the enemy movements. "6,315 trucks were sighted along the Ho Chi Minh trail during December, up from 3,823 sightings in November."[36] Obtained numbers were unprecedented before. Such record increase in movement of troops and materials should have been received as a clear sign of escalation.

As another important intelligence source served the CMIC interrogations. In January 1968 a defector interrogated directly indicated about the preparatory attacks in the Highlands and about the following major offensive on the Eve of Tet celebrations. Due to Westmorland's fixation on the battle of Khe Sanh, MACV again missed opportunity to properly utilise gained information. As mentioned above, he felt it more convenient to fight the enemy where he dominated the battlefield. "His analysis dismissed the possibility of the NV and Viet Cong attacking elsewhere or throughout the South Vietnam."[37] He tended to believe that the main offensive would occur at Khe Sanh and nowhere else, repeating the events of Dien Bien Puh.

More intelligence was acquired through the Saigon's security apparatus. Multiple warnings of the coming attacks were obtained through the prisoner interrogations. Of immense significance probably were the tapes obtained on the January 28th by the police forces in Qui Nohn province, which were supposed to be aired after the Capture of the local radio station. The tapes in advance were proclaiming the seizure of major South Vietnamese cities by the communist North and Viet Kong efforts, pressing the US to negotiate and accept a coalition government.[38] There could not be more direct indicator of the coming events but again the information was underplayed.

Not all the evidence of the imminent attack was brought to display in the section above. By utilising the whole spectrum of intelligence capabilities even more warnings were received. The captured documents, the prisoner interrogations, the defectors, the allied agents and the enemy activity all provided accurate information regarding the Communist North's intents for the coming Tet celebrations.[39] It was not even a puzzle any more, which needed to be put together, but a broad picture, at some point almost in detail, with only little portions of it yet unclear. The intelligence branch had provided a very credible warning, at some level even including the exact times and locations of the impending attack. "Although Americans received an ever-increasing amount of detailed information about the targets, tactics, and even timing of the Tet attacks, they generally downplayed the threat posed against urban areas, government installations, ARVN units and U.S. facilities."[40] Only a simple step was left as next, which should have been made by

32 Turner, 19
33 Ford, 87
34 Oberdorfer, 136
35 Ford, 100
36 Wirtz, 180
37 Turner, 26
38 Oberdorfer, 139
39 Wirtz, 180
40 Ibid., 222

the MACV command and the political leadership in Washington. That was to proper understand the intelligence obtained and plan respectively to counter the Hanoi's intents.

Conclusion:

In previous sections the essay has displayed the structure of the intelligence branch in South Vietnam and the flaws that existed in it. It was a mistake to run the intelligence operations separately by the different agencies. Even within the service the effort was not unified between the MACV J-2 and Army's other assets operating in the South East Asia. There was no synchronisation of intelligence efforts and no proper fusion of the collected information. However, those issues had no significant influence on the events of the Tet Offensive. They were not the main causes of the initial lame reaction of the allied forces on the massive attacks in the South Vietnam. The intelligence community did its best, and failed by no means, to provide the timely warning. It was the leadership failure to derive the right conclusions from the presented information and act accordingly.

The first problem was in the MACV command itself. One is for sure, that Westmorland was well aware of the coming major offensive as a part of Mao's final phase of war. He was not just sure about the exact timing. "At this time, General Westmorland put the odds at six to four that the communists would attack before Tet, and his intelligence officer, General Davidson, put the same odds that the big offensive would come after the Tet holidays."[41] However, to be a good intelligence analyst, and a good user of intelligence, one must share the fantasy of the opposition. Westmorland failed to do so. He could not imagine that his opponent would risk everything: weapons, equipment and the most important - the lives of hundreds of thousands of his soldiers in a move that had some major chances to fail.

"Despite all the theories that can be hatched to explain why Generals Westmoreland, Davidson, and others, would not, or could not, believe that a series of coordinated attacks on the cities was a serious part of Hanoi's Winter-Spring Offensive of 1967-68, the truth of the matter is that no one really believed that the planners in Hanoi were that stupid."[42] Presumably Westmorland just could not believe in the scale of the attack and Hanoi's attempt of general uprising throughout the urban areas. Furthermore he could not believe that not the US military would be the primary target in the days to come, but the Southern government structures and more vulnerable ARVN units. He felt more comfortable to confront the conventional attacks conducted by the PAVN regular units, against which he could exercise the whole superiority of the American military, and to easily measure the success by accounting for destroyed enemy units. "To him the threat was not the South Vietnamese popular uprising but Communist military aggression against South Vietnam."[43] All commanders should remember a simple advice that Stalin gave to his generals during the WWII: "An intelligence hypothesis may become your hobby-horse on which you will ride into a self-made trap."[44] It was such a trap where Westmorland appeared by overthinking the enemy. He made a mistake which is quite frequent in the intelligence community. In an attempt of setting himself in the mind of the enemy commander to anticipate his plans, he came up to such conclusions, that he wanted the enemy to reach, and to such moves that he favoured them to commit.

Even more sever was the reluctance of Washington to plan for the further escalation. Westmorland tried really hard to cancel the Tet truce, which served as solid evidence that he was aware of the coming attack. In order to achieve this, he even approached the South Vietnam's president Thieu, without informing his political leadership about it. "His efforts resulted in a reduction of the proposed cease fire to 36 hours in South Vietnam and a complete cancellation of the truce in I Corps where something was apparently brewing."[45] However those actions of Westmorland infuriated the Johnson Administration, which had just recently announced the restrictions on Bombings of Hanoi and Haiphong, as an attempt to show some good will regarding so called "Trinh Initiative", the most recent politico-diplomatic part of Hanoi's strategy to fight while negotiating. Washington assumed that the truce cancelation would send the wrong signal to Hanoi. "In late January, senior members of the Johnson Administration pressured Westmorland not only to honour but not to reduce the duration of Tet cease fire."46 Westmorland knowing that Washington was misled by the faulty negotiations tactics of the North had even attempted to warn the political leadership about the impending offensive. In late December 1967 during the communications with Washington he stated that the enemy was planning decisive actions and that Hanoi was just about to "undertake an intensified countrywide effort, perhaps a maximum effort, over a short period of time."[47] Unfortunately the Johnson Administration, due to the wishful thinking of ending the war as soon as possible through the negotiations with the Communist North, was reluctant to listen to any advice of further escalation.

The essay has accounted for the multidimensional intelligence efforts committed by the United States in the South Vietnam. The wide array of the collected information, warnings and indicators, obtained by the various intelligence assets, were listed. The essay has exposed that the MACV was in possession of all required information that clearly indicated on the impending Tet Offensive. All the evidence presented has proved that it was not the failure of intelligence to provide the timely warning but that of the US military and Political leadership that failed to act accordingly and to counter Communist efforts effectively before and during the initial phases of the Tet Offensive.

41 Ford, 103
42 Cubbage, 76
43 Ford, 101
44 Cubbage, 77
45 Ford, 103
46 Wirtz, 196
47 Oberdorfer,138

Bibliography:

1. Cubbage, L Thomas II. "Comments on James J. Wirtz's. The Tet Offensive: Intelligence Failure in War", Conflict Quarterly, summer (1993)

2. Ford, E Ronnie. Tet 1968: Understanding the Surprise, London: Frank Cass, 1995.

3. Goldfein M Stephen. "Why Tet Offensive? Sun Tzu Knows the Answer" (report document, US War College, 1994)

4. Johnson, R John, Joyce P Richard, Nagle C Paul, Stathacopoulos D Aristotelis, Wing B Roswell, and James L. Jones, Analysis of Tactical Intelligence Experience in Southeast Asia, McLean: General research Corporation, 1976.

5. Oberdorfer, Don. Tet! The Turning Point in the Vietnam War, New York: Avon Books, 1971.

6. Rottman, L Gordon. Khe Sanh 1967-68: Marines Battle for Vietnam's Vital Hilltop Base, Oxford: Osprey Publishing, 2005.

7. Turner, A P Charles. "American Leadership and decision-making failure in the Tet Offensive" (Master Thesis for the US Army CGSC, 2003)

8. US Army Intelligence Centre, "Uncertain Oracle: Some Intelligence Failures Revisited", Fort Huachuca history files: http://huachuca.army.mil/files/History_UncertainOracle.pdf (accessed February 5,2015)

9. Westmorland William C, A soldier Reports, New York: Doubleday, 1976.

10. Wiest Andrew, Esential Histories: The Vietnam War 1956-1975, Oxford: Osprey Publishing, 2002.

11. Willbanks, H James. The Tet Offensive: a Concise History, (Columbia University Press, New York, 2007)

12. Wirtz, J James. The Tet Offensive: Intelligence Failure in War, New York: Cornell University Press, 1991.

სტრატეგიის სამხედრო განსაზღვრებები და სტრატეგიის ჩამოყალიბების ნიმუში

გოგი ცხოვრებაძე,*ისტორიის დოქტორი*

...და ერთი ბოლო გაფრთხილება თქვენ,
რომლებიც სტრატეგიული დაგეგმვის კარიერას იწყებთ.
მას შემდეგ, რაც ყველა გეგმას სრულყოფთ, ყველა გზას
გამოიკვლევთ და ყველა ალბათობას განიხილავთ, ბოლო
კითხვა დაუსვით საკუთარ თავს: „ხომ არაფერი გამოგრჩა?

ფილიპ კროული
„სტრატეგის მცირე კატეხიზმო“

რეზიუმე

სტატიაში განხილულია სამხედრო სტრატეგიის განსაზღვრებები სამხედრო სტრატეგებისა და ანალიტიკოსების მიერ. წარმოდგენილია თანამედროვე, დიდი სტრატეგიის ჩამოყალიბების ნიმუში, ასევე, საქართველოს სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტების ფუნქციური დატვირთვა და მნიშვნელობა.

Military definitions of strategy and sample of its establishment

SUMMARY

Presented article comprises military definitions of strategy which are discussed by military strategists and analysts. We present contemporary great strategy establishment sample, also functional role end their importance of Georgian strategic planning documentations.

* * * * *

სტრატეგიის განსაზღვრება ადვილი არ არის, ამავე დროს, ამის გაკეთება აუცილებელია. პრობლემის ერთ-ერთი ნაწილი მხოლოდ ისაა, რომ წლების მანძილზე მისი განსაზღვრებები მუდმივად იცვლებოდა. სიტყვას სამხედრო წარმოშობა აქვს და კლასიკური თეორია მას განიხილავს, როგორც მხოლოდ ომისთვის დამახასიათებელ მოვლენას — როგორ გამოიყენებს გენერალიტეტი მის დაქვემდებარებაში არსებულ ძალებს ომის მოსაგებად. კლასიკური გაგებით, სტრატეგია წარმოადგენდა ბრძოლის ველზე მომგებიან პოზიციამდე მისასვლელ სამხედრო მანევრს, მაშინ როდესაც ტაქტიკა გამოიყენებოდა თავად ბრძოლის დროს. ამ ტერმინის სუფთა სამხედრო გაგებამ ადგილი დაუთმო მის უფრო ფართო განმარტებას. შედეგად მივიღეთ შემდეგი სამი განმარტება:

1) სტრატეგია ზოგადად მოითხოვს, რომ მისი ხელოვნება მოიცავდეს არა მარტო ტრადიციულ სამხედრო მოცემულობას, არამედ ეროვნული ძალაუფლების სხვა მოცემულობებსაც, კერძოდ, პოლიტიკას და ეკონომიკას;

2) სიტყვის გამოყენების ზრდას შედეგად მოჰყვა ის, რომ სიტყვა ფართოდ გახდა გამოყენებადი სამხედრო მოქმედებების მიღმა და ამჟამად გამოიყენება ადამიანური საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, რომელიც მოიცავს ბიზნესს, მედიცინას, სპორტს და სხვას;

3) კონცეფციის სახეცვლილების გამო სამხედროები იძულებულნი გახდნენ შემოეტანათ ახალი ტერმინი — ოპერაციები ანუ ოპერატიული ხელოვნება, რათა აღეწერათ მაღალი დონის სამხედრო ხელოვნება, რომელსაც ერთ დროს სტრატეგია ერქვა.

სტრატეგიის თანამედროვე განმარტება მოიცავს არა მარტო სამხედრო, არამედ ეროვნული ხელისუფლების არასამხედრო მოცემულობებს და ერთნაირად გამოიყენება, როგორც მშვიდობის, ასევე ომის დროს.

რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ასეთ მნიშვნელოვან ტერმინს არ გააჩნია შეთანხმებული განმარტება თვით ეროვნული უსაფრთხოების დონეზეც კი. სამხედროებს გააჩნიათ დამტკიცებული განმარტება, მაგრამ ის მიუღებელია ეროვნული უსაფრთხოების პროფესიონალებისთვის. ამის შედეგად, ყველა, ვინც სტრატეგიის შესახებ წერს, გრძნობს აუცილებლობას, რომ არსებული მრავალრიცხოვანი განმარტებებიდან ჩამოაყალიბოს სტრატეგიის მისთვის მისაღები განმარტება. ამჟამად გაგაცნობთ და მიმოვიხილავთ არსებულ მრავალფეროვნებას.

კლაუზევიცის აზრით: «სტრატეგია არის ბრძოლების გამოყენება ომის მიზნების მისაღწევად. ამის გამო სტრატეგმა უნდა განსაზღვროს მთელი ოპერატიული მხარის მიზანი, რომელიც სრულ თანხმობაში იქნება ომის არსთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ სტრატეგი შეიმუშავებს ომის გეგმას, რომლის მიზანი განსაზღვრავს მოქმედებების მთელ მწყობრს, რომლის განზრახვაც მისი მიზნის მიღწევაა: იგი, ფაქტიურად აყალიბებს ინდივიდუალურ კამპანიებს და მის თანახმად ჩამოყალიბდება ცალკეულ ბრძოლებზე» (Carl von Clausewitz, On War, Michael Howard and Peter Paret, eds./trans., Princeton, NJ: Princeton University Press, 1976, p. 177.) რამდენადაც ეს

კლასიკური განმარტებაა, იმდენად იგი არადამაკმაყოფილებელია — მხოლოდ სამხედრო საკითხებს ეხება და ისიც ოპერატიულ დონეზე უფრო მეტად, ვიდრე სტრატეგიულ დონეზე. ის რაც ჩამოაყალიბა კლაუზევიცმა ნამდვილად წარმოადგენს თეატრის ან კამპანიის სტრატეგიას. როგორც თანამედროვე იტყოდა - იმის გამო, რომ ეს კლაუზევიცმა თქვა, არ ნიშნავს რომ იგი მართალია, მაგრამ იმის გამო, რომ ეს კლაუზევიცმა თქვა, მოსაზრება აუცილებლად უნდა იქნას განხილული.

ანტუან ჟომინის, კარლ ფონ კლაუზევიცის თანამედროვეს, საფრანგეთის არმიის გენერალს, საკუთარი მოსაზრება და განსაზღვრება აქვს:

«სტრატეგია არის რუკაზე ომის წარმოების ხელოვნება და მოიცავს ომის მოქმედების მთელ თეატრს. დიდი ტაქტიკა არის, ადგილმდებარეობის მიხედვით ჯარების გაშლა ბრძოლის ველზე, მათი ბრძოლაში ჩართვა და ბრძოლის მართვა ადგილმდებარეობის გამოყენებით, რუკაზე დაგეგმვის შესაბამისად. ოპერაციები შეიძლება გაიშალოს 10-12 მილის ფართობის ველზე. ლოჯისტიკა მოიცავს საშუალებებს, რომლებიც უზრუნველყოფს სტრატეგიული და ტაქტიკური გეგმების შესრულებას. სტრატეგია წყვეტს, სად იმოქმედოს; ლოჯისტიკას ადგილამდე მიჰყავს ჯარები, დიდ ტაქტიკა კი წყვეტს ჯარების გამოყენებას და განხორციელების მანერას». (Antoine Henri Baron de Jomini, The Art of War, G. H. Mendell and W. P. Craighill, trans., 1862, reprint, The West Point Military Library Series, Thomas E. Griess and Jay Luvass, eds., Westport, Connecticut: Greenwood Press, 1971, p. 62.) ეს განმარტებაც სამხედროა და თეტრის დონეს არ სცილდება.

აშშ - ის სამოქალაქო ომის დროს მოქმედ ამერიკელ სამხედროს, ჰენრი ლიი სკოტს საინტერესო განმარტება აქვს, რომელიც ძირითადად ჟომინის კონცეფციიდან გამომდინარეობს «..კამპანიის გეგმის შეთანხმების ხელოვნება, რომელიც მოიცავს საბოლოო მიზნის მიღწევით განსაზღვრულ სამხედრო ოპერაციების სისტემას, მოწინააღმდეგის ხასიათს, ქვეყნის ბუნებას და რესურსებს, შეტევისა და თავდაცვის საშუალებებს» (Henry Lee Scott, Military Dictionary: Comprising Technical Definitions; Information on Raising and Keeping Troops; Actual Service, including Makeshifts and Improved Materiel; and Law, Government, Regulation, and Administration Relating to Land Forces, 1861, reprint, The West Point Military Library series, Thomas E. Griess and Jay Luvass, eds., Westport, Connecticut: Greenwood Press, 1968, p. 574.) ამ განმარტებას აქვს ყველა ის მოცემულობა, რომელიც ჩვენ გვჭირდება და განაცხადებს მათ ისეთი თანამიმდევრობით, რომელიც კონცეპტუალურად გაცილებით უფრო რთულია ვიდრე ჟომინის მოსაზრება. მიუხედავად იმისა, რომ სკოტი აყალიბებს კლასიკურ ნიმუშს, სტრატეგიის განსაზღვრება დაჰყავს მხოლოდ სამხედრო განზომილებამდე და ზღუდავს მას საომარი მოქმედებების თეატრით.

ამ საკითხისადმი ბრიტანელ სამხედრო ისტორიკოსს, ბაზილ ლიდელ ჰარტს, უნიკალური მიდგომა აქვს. მისთვის სტრატეგის კონცეფცია გაცილებით ფართოა, ვიდრე მხოლოდ სამხედრო მოცემულობა და მოიცავს არასამხედრო საკითხებსაც. ამის გამო, მისი განსაზღვრება შედარებით უფრო თანამედროვეა. ლიდელ ჰარტმა სტრატეგია განსაზღვრა როგორც «პოლიტიკური მიზნების მისაღწევად სამხედრო საშუალებების განაწილება და გამოყენება,» ასევე «სტრატეგიის წარმატება უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია მიზნებისა და საშუალებების სწორ გათვლასა და კორდინაციაზე. მიზანი გაწონასწორებული უნდა იყოს საერთო შესაძლებლობებით და შესაძლებლობები გამოიყენებოდეს შუალედური მიზნების მისაღწევად, რომელიც საბოლოო ჯამში ემსახურება უმაღლესი მიზნის მიღწევას იმგვარად, რომ ის შეესაბამება შუალედური მიზნების ღირებულებებსა და საჭიროებებს — თუნდაც ამ მიზნის მიღწევას წვლილის შემტანი ხასიათი ჰქონდეს. გადაჭარბება შესაძლოა ისევე საზიანო იყოს, როგორც ნაკლოვანება.» ავტორი აქ მხოლოდ სამხედრო სტრატეგიაზე საუბრობს, რომ სტრატეგიას გააჩნია მეტ- ნაკლებად იგივე, მაგრამ განსხვავდება დიდ სტრატეგიის უფრო ფართო კონცეფციისგან.

რამდენადაც ტაქტიკა არის სტარტეგიის გამოყენება შედარებით დაბალ დონეზე, იმდენად, სტრატეგია არის «დიდი სტრატეგიის» გამოყენება შედარებით დაბალ დონეზე, მაშინ როდესაც «დიდი სტარტეგია» პრაქტიკულად პოლიტიკის სინონიმია, რომელიც წარმართავს ომს და განსხვავდება უფრო ფუნდამენტური პოლიტიკისგან, რომელიც მართავს ომის მიზნებს. ტერმინი «დიდ სტრატეგია» ემსახურება «აღმასრულებელი პოლიტიკის» მნიშვნელობის შემოტანას. დიდ სტრატეგიის დანიშნულებაა ერის ან ერთა ჯგუფის ხელთ არსებული ყველა რესურსის გამოყენება ომის პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, რომელებსაც განსაზღვრავს ფუნდამენტური პოლიტიკა.

ლიდელ ჰარტი ასევე აღნიშნავს, რომ დიდმა სტრატეგიამ უნდა გამოთვალოს და განავითაროს როგორც ეკონომიკური, ასევე ადამინური რესურსები, რათა შეინარჩუნოს საბრძოლო სამსახურები. მნიშვნელოვანია მორალური ძალის განვითარება, რათა გამოიკვეთოს ერის საბრძოლო ნება, რომლის განვითარებას ხშირად არანაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე კონკრეტული ძალაუფლების ფლობას. დიდმა სტრატეგიამ უნდა უზრუნველყოს ძალის მოწესრიგებული განაწილება, როგორც სამსახურებს შორის, ასევე, სამსახურებსა და ინდუსტრიას შორის. საბრძოლო ძალა დიდი სტრატეგიის მხოლოდ ერთ-ერთი შემადგენელია, დიდმა სტრატეგიამ მხედველობაში უნდა მიიღოს ფინასური, დიპლომატიური, კომერციული და ეთიკური ზემოქმედების საშუალებების განავითარება, რათა დაასუსტოს მოწინააღმდეგის ნება. რამდენადაც სტრატეგიის ჰორიზონტი ომით შემოიფარგლება, ხოლო დიდი სტრატეგია ძირითადად კონცენტრირდება მშვიდობაზე, რათა თავიდან ავიცილოთ ის სამწუხარო მდგომარეობა,

რომელიც თან ახლავს ხოლმე ომის შემდეგ დამყარებულ მშვიდობას (. Basil H. Liddell Hart, Strategy, 2nd Edition, 1954, reprint, New York: Frederick A. Praeger, 1967, p. 335).

თანამედროვე სტრატეგი ქოლინ გრეი გვთავაზობს შედარებით ფართო განსაზღვრებას «სრატეგიაში მე ვგულისხმობ ძალის გამოყენებას ან ძალის გამოყენების მუქარას პოლიტიკური მიზნების მისაღწევად» (. Collin S. Gray, Modern Strategy, New York: Oxford University Press, 1999, p. 17). ეს განსაზღვრებაც გარკვეულწილად შეზღუდულია, რადგან სტრატეგია დაჰყავს ძალის გამოყენებამდე და ამდენად, ერთმანეთში ურევს ომისა და სტრატეგიის განსაზღვრებას.

გაერთიანებულ ენციკლოპედიაში, ამერიკელ სამხედროებს, გააჩნიათ სტრატეგიის შემდეგი განსაზღვრება: «ეროვნული ძალაუფლების ყველა სახელოს შეთანხმებული მოქმედება, განვითარებისა და გამოყენების ხელოვნება, მეცნიერება თეატრის, ეროვნული, ან მრავალეროვნული მიზნების მისაღწევად.» სამწუხაროდ, ამ განსაზღვრებით სტრატეგია მოიაზრება, როგორც ეროვნული უსაფრთხოების ფუნქცია, თუმცა, არსებული განსაზღვრება გაცილებით უკეთესია ვიდრე ადრეული განმარტებები, რადგან ის მაინც ფართოა, რომელშიც "ინტეგრირებულია ეროვნული და სამხედრო ამოცანები (მიზნები), ეროვნული პოლიტიკა და სამხედრო კონცეფციები (ხერხი) ეროვნული რესურსები, სამხედრო ძალები და მომარაგება (საშუალება)». ეს არის წმინდა სახით «როგორც» განსაზღვრება, უკეთეს შემთხვევაში კი კავშირის განსაზღვრა ამოცანასა და მეთოდს (ხერხი) შორის, მეთოდზე აქცენტირებით. განმარტება არ განიხილავს საშუალებების განვითარების აუცილებლობას და ასევე არ განიხილავს სამხედრო ამოცანების განვითარების აუცილებლობას ეროვნული მიზნების მისაღწევად. ტერმინის შემდგომი ენციკლოპედიური განმარტება გადადის აშშ - ის ეროვნული სამხედრო სტრატეგიის ფორმალურ დოკუმენტში. (United States Department of Defense, The Joint Staff, Joint Publication 1-02, DOD Dictionary of Military and Associated Terms, hereafter Joint Pub 1-02, available from www.dtic.mil/doctrine/jel/new_pubs/jp1_02.pdf, 507, 357; United States Department of Defense, The Joint Staff, Joint Doctrine Encyclopedia, available from www.dtic.mil/doctrine/joint_military_encyclopedia/htm, pp. 731, 542).

აშშ-ის ომის კოლეჯი სტრატეგიას ორგვარად განსაზღვრავს: «კონცეპტუალურად ჩვენ განვსაზღვრავთ სტრატეგიას, როგორც ურთიერთობებს მიზნებს, ხერხებს და საშუალებებს შორის.» ალტერნატიულად, «ფართო მნიშვნელობით, სტრატეგიული ხელოვნება არის მიზნების, ხერხების და საშუალებების გონივრული ჩამოყალიბება, მათი კოორდინაცია და გამოყენება.» მეორე განმარტება ნამდვილად ახლოს დგას დიდი სტრატეგიული ხელოვნების განსაზღვრებასთან, მაგრამ თუ მას ჩამოვაცილებთ სიტყვას «საშუალების» შემდეგ ის იქნება ისეთივე, როგორც პირველი განსაზღვრება (Robert H. Dorff, "A Primer in Strategy Development" in U.S. Army War College Guide Strategy, Joseph R. Cerami and James F. Holcomb, Jr., eds., Carlisle Barracks, PA: Strategic Studies Institute, 2001, p. 11; Richard A. Chilcoat, "Strategic Art: The New Discipline for 21st Century Strategists" in U.S. Army War College Guide to Strategy, Joseph R. Cerami and James F. Holcomb, Jr., eds., Carlisle Barracks, PA: Strategic Studies Institute, 2001, p. 205).

სტრატეგია ძირითადად სვამს სამ კითხვას. რისი გაკეთება მინდა ? რა მაქვს ან რისი მიღწევა შემიძლია ამის გასაკეთებლად, რა არის საუკეთესო საშუალება ამისათვის რისი გაკეთებაც მინდა? შესაბამისად, არ შეიძლება, არ დავეთანხმოთ ომის კოლეჯის განმარტებას, რომ სტრატეგია შეიძლება განვიხილოთ, როგორც ურთიერთობა მიზანს, ხერხსა და საშუალებებს შორის. ურთიერთობები ამ მოცემულობებს შორის არც ისე მარტივია, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. სტრატეგიამ სამივე მოცემულობა უნდა განიხილოს. სტრატეგია პრობლემის გადაჭრის პროცესია. მაგალითად: მიზანი, რომელიც ყალიბდება სხვადასხვა ცვლადებისგან და მომდინარეობს სხვადასხვა პროცესებიდან, აყალიბებს სტრატეგიის საწყისს ბაზას. როცა გვსურს ამ მიზნის მიღწევა, მაშინ ვიწყებთ აუცილებელი საშუალებების განსააზღვრას სტრატეგიული ხელოვნების ერთ-ერთი ტრადიციული მეთოდის გამოცდით — ძალათა დაგეგმვითა და განვითარებით. თუ უკვე ცნობილია მიზანი და მისი მიღწევის საშუალებები, მაშინ ვირჩევთ მიღწევის შესაძლო გზას. სამხედროები ხშირად ამგვარად აღწერენ სტრატეგიას-ურთიერთობას მიზანსა და საშუალებებს შორის და განსაკუთრებით უთანაბრებენ სტარტეგიას ხერხთან ან სულ ცოტა, გადაჰყავთ სტრატეგია გზის (ხერხის) განსაზღვრაში. ეს იყო ტრადიციული მიდგომა ისეთი კლსიკოსებისთვის, როგორებიც არიან ჟომინი და ლიდელ ჰარტი, რომლებიც ზედმეტი ყოყმანის გარეშე განიხილავდნენ სტრატეგიას როგორც ხერხს.

როგორც უკვე ითქვა, სტრატეგია ხელოვნებაა და მისი შემუშავება კი - მეცნიერება. ამდენად იგი მოითხოვს გარკვეული პრინციპების დაცვას, ტერმინების გაგებას დისციპლინირებულ, მაგრამ შემოქმედებით მიდგომას ანალიზისა და აზროვნების დროს. სტრატეგიის ჩამოყალიბება ვითარდება გარკვეულ დროსა და სივრცეში ადამიანების მიერ. ზოგადი მითითებები, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ სტრატეგიის ჩამოყალიბების დროს არ არის მკაცრად დადგენილი მათემატიკური ფორმულები. მიუხედავად ამისა, მითითებები გვთავაზობენ მიდგომას სტრატეგიის სირთულეების გადასაწყვეტად და განსაზღვრულია სტრატეგებისთვის, რომლებიც ცდილობენ მიაღწიონ სტრატეგიის ერთიანობას, უწყვეტობას და შეთანხმებას, რომელსაც თავის მხრივ ეწევიან პოლიტიკოსები ეროვნული უსაფრთხოებისა და სამხედრო სტრატეგიის შემუშავების, განვითარებისა და აღსრულების დროს.

ყოველივე ამის საილუსტრაციოდ სქემის სახით

გთავაზობთ სტრატეგიის ჩამოყალიბების ერთ-ერთ ნიმუშს გარკვეული განსჯისა და განხილვისთვის, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს დიდ ეროვნულ სტრატეგიას, ამავე დროს ავხსნათ მასში ჩადებული თითოეული სეგმენტის მნიშვნელობა და აუცილებლობა. ამავე დროს მოკლედ განვიხილოთ საქართველოში არსებული თითქმის ყველა სტრატეგიული დოკუმენტის როლი, მნიშვნელობა და ფუნქცია.

ეროვნული მიზნები

ეროვნული მიზნები მთელი პროცესის საწყისი წერტილია. მუდმივი ღირებულებები და შეხედულებები, რომლებიც ეროვნული მიზნების ნაწილია, წარმოადგენს სამართლებრივ, ფილოსოფიურ და მორალურ საფუძველს სისტემის შემუშავებისთვის. ეროვნული მიზნების თვალსაზრისით — ქვეყნის შიდა და საგარეო საჭიროებების გათვალისწინებით — ერები აყალიბებენ მუდმივმოქმედ ეროვნულ ინტერესებს. სტრატეგი კი პერიოდულად უნდა განიხილავდეს ამ საკითხებს სტრატეგიის ჩამოყალიბების სხვადასხვა დონეზე, რისკების და შეფასების გათვალისწინებით.

დასხმისგან თავდაცვა, ეროვნული ღირებულებების განმტკიცება, სტაბილური საერთაშორისო გარემო და ეკონომიკური კეთილდღეობა. ეს ინტერესები გახდება ეროვნული სტრატეგიის საფუძველი, კერძოდ ეროვნული უსაფრთხოება, ეკონომიკური აღორძინების განვითარება და ეროვნული ღირებულებების განმტკიცება. მთავრობები, ძირითადად მოძრაობენ ამ ინტერესების ფარგლებში, თუმცა, შიდა ან საგარეო ფაქტორების გათვალისწინებით შესაძლებელია მოხდეს პრიორიტეტების გამოყოფა და მასზე კონცენტრაცია. მაგალითად, თუ კარტერის ადმინისტრაციისათვის პრიორიტეტი იყო ადამიანის უფლებები, რეიგანის ადმინისტრაციისათვის პრიორიტეტი გახდა ეროვნული უსაფრთხოება, კლინტონის ადმინისტრაციამ კი უპირატესობა მიანიჭა ეკონომიკურ აღორძინებას; ზოგადად, უპირატესობა უსაფრთხოებას ენიჭება. თანამედროვე მსოფლიოში ძალიან ბევრია არასახელმწიფო მოთამაშე, რომელთაც გააჩნიათ წვდომის სურვილი მასობრივი განადგურების იარაღზე. ასეთ პირობებში ფიზიკური უსაფრთხოება მოითხოვს ძალისხმევას დემოკრატიული ღირებულებების გამტკიცებისა და გლობალური ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით.



სტრატეგიული ხედვის განხორციელების საქმეში. ეროვნული სტრატეგიის საშუალებებია ეროვნული ძალაუფლების სხვადასხვა სახელოების შესწავლა. საშინაო და საგარეო გარემოცვა, ისევე, როგორც მთავრობის სტრატეგიული ხედვა წარმოადგენს მთავარ პირობას ეროვნული ძალაუფლების გამოყენებისათვის ეროვნული ინტერესების მიღწევის საქმეში.

პოლიტიკა

ეროვნული სტრატეგიის დონეზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით მთავრობები აყალიბებენ ეროვნულ პოლიტიკას მისი ფართო მნიშვნელობით, სადაც განსაზღვრავენ ქვეყნის ადგილს მსოფლიოსა და რეგიონში ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით. პოლიტიკა ამოსავალი წერტილია სტრატეგიის ჩამოსაყალიბებლად ეროვნულ დონეზე. იგი გაცხადებულია სხვადასხვა სახის და დონის ეროვნულ დოკუმენტებში, იქნება ეს ეროვნული სტრატეგია, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, თუ ეროვნული სამხედრო სტრატეგია. შესაძებელია არსებობდეს მისი გამოვლინების სხვა ფორმებიც ჩამოყალიბებული შესაბამის კონცეფციებში.

სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტები საქართველოში

ჩვენთან სახელმწიფო სტრატეგიული დაგეგმვა შესაბამის კანონს ეყრდნობა. ეს დოკუმენტია "კანონი თავდაცვის დაგეგმვის შესახებ", (www.nsc.mod.gov.ge. საქართველოს კანონი-„ თავდაცვის დაგეგმვის შესახებ"), რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2006 წლის აპრილში მიიღო. კანონი ადგენს თავდაცვის დაგეგმვის ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც ხდება საქართველოს ქმედითი თავდაცვისთვის აუცილებელი სტრატეგიული დაგეგმვის მოთხოვნების ჩამოყალიბება და პასუხისმგებლობების განაწილება ეროვნული ხელისუფლების სხვადასხვა, მონაწილე სახელოებს შორის.

ყველა სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავებისას თავდაცვის სამინისტრო უწყებათაშორის დონეზე ხელმძღვანელობს თავდაცვის დაგეგმვის შესახებ არსებული კანონით. კერძოდ, კანონი განსაზღვრავს თავდაცვის სამინისტროს შიდა და სტრატეგიულ დოკუმენტებს, რომელთაც თავდაცვის დაგეგმვის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ. (მოდ.გოვ.გე. თავდაცვის სამინისტროს ვებ გვერდი, თავდაცვის პოლიტიკა - სტრატეგიული და თავდაცვის სამინისტროს დაგეგვის დოკუმენტები) ეს დოკუმენტებია:

სტრატეგიული დონის დაგეგმვის დოკუმენტები:

- ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია;
- საფრთხეების შეფასების დოკუმენტი;
- ეროვნული სამხედრო სტრატეგია.

თავდაცვის სამინისტროს დაგეგმვის დოკუმენტები:

- მინისტრის ხედვა;
- თავდაცვის განვითარების პროგრამები;
- წლიური პროგრამები;
- ოპერატიული გეგმები, კონცეფციები და დოქტრინები.

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია პირველად 2005 წელს დამტკიცდა პარლამენტისა და პრეზიდენტის მიერ. ის განსაზღვრავს ეროვნულ ღირებულებებს და ინტერესებს, საფრთხეებს, რისკებსა და გამოწვევებს; ადგენს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს; განსაზღვრავს ქვეყნის საგარეო, სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტებს.

საფრთხეების შეფასების დოკუმენტი

ეს დოკუმენტი აფასებს სახელმწიფოს წინაშე არსებულ საფრთხეებს, ადგენს საფრთხეების წარმოშობის ალბათობის დონეებს და განსაზღვრავს საშინაო და საგარეო საფრთხეებიდან გამომდინარე შესაძლო შედეგების ხარისხს. დოკუმენტი ასახავს საქარველოს ეროვნული უსაფრთხოების წინაშე არსებულ სხვადასხვა სახის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო და საინფორმაციო საფრთხეებს. საფრთხეების შეფასების დოკუმენტი მოიცავს იმ დასკვნებს, რომლებიც ეფუძნება შეიარაღებული ძალების სტრუქტურის მოკლე და გრძელვადიან შემუშავებას.

ეროვნული სამხედრო სტრატეგია

2005 წლის ნოემბერში საქარველოს პრეზიდენტმა დაამტკიცა საქართველოს პირველი სამხედრო სტრატეგია. ის მხარს უჭერს და ახორციელებს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას, განსაზღვრავს სამხედრო მიზნებს, ამოცანებსა და მოთხოვნებს, აგრეთვე, საქმიანობის სფეროებს და უზრუნველყოფს ოპერატიული დაგეგმვის ხელმძღვანელობას. სტრატეგია ადგენს შეიარაღებული ძალების სტრუქტურას და განსაზღვრავს მის შესაძლებლობებს. ის ასევე განსაზღვრავს ქვეყნის თავდაცვის ძირითად პრინციპებს და სამხედრო მიზნებს.

თავდაცვის დაგეგმვის უწყებრივი დოკუმენტები: მინისტრის ხედვა (მიზნები და ამოცანები)

მინისტრის ხედვა წარმოადგენს სახელმძღვანელო დოკუმენტს თავდაცვის დაგეგმვის ყველა დოკუმენტის განვითარების პროცესში. ის ადგენს ყოველწლიურ მიზნებსა და ამოცანებს თავდაცვის სამინისტროში განსახორციელებელი მოქმედებისათვის. ეს მიზნები, ისევე, როგორც თავად ხედვა, გამომდინარეობს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციისა და ეროვნული სამხედრო სტრატეგიიდან და ქმნის თავდაცვის დაგეგმისათვის საჭირო მიდგომებს.

თავდაცვის განვითარების პროგრამები (საშუალებები, რესურსები)

თავდაცვის დაგეგმვის შესახებ კანონის მიხედვით, თავდაცვის სამინისტრო გამოსცემს თავდაცვის დაგაგემისვისთვის აუცილებელ შიდა პოლიტიკასა და პროცედურებს. დაგეგმვის, პროგრამირებისა და ბიუჯეტირების სისტემა მოიცავს სახსრების (რესურსების) განაწილების ფართო სპექტრს. სამივე ფაზას ერთმანეთთან აკავშირებს ყოველწლიური "თავდაცვის დაგეგმვის სახელმძღვანელო". დოკუმენტი განსაზღვრავს თავდაცვის სამინისტროს პრიორიტეტებს რესურსების განაწილებისათვის, აწესრიგებს ნაკლოვანებების შეფასებას და უზრუნველყოფს რესურსების დაგეგმვის უწყვეტობას. სახელმძღვანელოს მიზანია ხელი შეუწყოს თავდაცვის მოკლე (2 წლიანი პერიოდი) და საშუალოვადიანი (4-5 წლიანი პერიოდი) დაგეგმვის სისტემის დამკვიდრებას საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებულ ძალებში, რათა უზრუნველყოს სტრატეგიულ დონეზე რესურსების მართვის ეფექტური და გამჭვირვალე სისტემის განვითარება.

ყოველწლიური პროგრამები (რესურსების განაწილება)

ყოველწლიური პროგრამები თავდაცვის ბიუეჯეტის შექმნის საფუძველია. იგი მტკიცდება თავდაცვის მინისტრის მიერ და შესათანხმებლად წარედგინება ფინანსთა სამინისტროს. პროგრამები ითვალისწინებს მომავალი წლის ბიუჯეტის შედგენისათვის აუცილებელ გეგმებს. ეს გეგმები ასახავს ძირითადი პროგრამის რესურსების განაწილებას თითოეული პროგრამის ფარგლებში.

ოპერატიული გეგმები, კონცეფციები და დოქტრინები (მიღწევის გზები და ხერხები)

დოქტრინები გამომდინარეობს ეროვნული სამხედრო სტრატეგიიდან და წარმოადგენს სამხედრო ძალების მოქმედების ფუძემდებლური პრინციპების გამოხატულებას, რომლითაც სამხედროები ხელმძღვანელობენ დასახული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად. დოქტრინები, თავის მხრივ წარმოადგენს საფუძველს ოპერატიული დაგეგმვის პროცესისათვის, რომლის შედეგია ოპერატიული გეგმები, სადაც გათვალისწინებულია შეიარაღებული ძალების გამოყენება ომის, კონფლიქტის ან საგანგებო, ბუნებრივი კატასტროფების დროს. ეს დოკუმენტები უზრუნველყოფს ყოველდღიური დაგეგმვის უწყვეტობას და სამხედრო მოქმედებების მართვის, კონტროლისა და კოორდინირების შიდა ინსტიტუციური საშუალებებია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენს მიზანს არ წარმოადგენდა რაიმე განსაკუთრებული გვეთქვა სტრატეგიის განმარტებებზე, ის ზოგადად მიმოვიხილეთ. ასევე წარმოვადგინეთ სტრატეგიის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ფართოდ გამოყენებადი ნიმუში და აქედან გამომდინარე განვმარტეთ, როგორც საშინაო, ისე საგარეო გარემოცვის ტენდენციები და მოქმედი ძალები. მოკლედ განვიხილეთ სტრატეგიული დონის, ისე უწყებრივი დოკუმენტების რაობა და როლი, მათი ფუნქციური დატვირთვა და მნიშვნელობა საქართველოს მაგალითზე, რათა მკითხველისათვის მეტ-ნაკლებად გასაგები ყოფილიყო ეროვნულ დონეზე დასმული სტრატეგიის მთავარი პრობლემის - მიზნების ,ხერხებისა და საშუალებების ერთიანობისა და უწყვეტობის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელსაც ჩვენს მიერ მომავალშიც ექნება გაგრძელება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. www.nsc.mod.gov.ge. საქართველოს კანონი-„ თავდაცვის დაგეგმვის შესახებ“
2. იქვე, ერონული უსაფრთხოების კონცეფცია, ეროვნული სამხედრო სტრატეგია, საფრთხეების შეფასების დოკუმენტი და სხვა სტრატეგიული და უწყებრივი დოკუმენტები.
3. საქართველოს კანონი - ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კორდინაციის წესის შესახებ. თბ. 2015.
4. ალექსანდრე მჭედლიშვილი, ეროვნული უსაფრთხოების სისტემის შექმნის პრინციპები. ჟ. „სტრატეგიული კვლევა“ N 2, თბ. 2009.
5. გიორგი გოგაშვილი, ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ფორმულირების დასავლური გამოცდილება და ქართული რეალობა. ჟ. „სტრატეგიული კვლევა“ N 2, თბ. 2009.
6. Carl von Clausewitz, On War, Michael Howard and Peter Paret, eds./trans., Princeton, NJ: Princeton University Press, 1976, p. 177
7. Antoine Henri Baron de Jomini, The Art of War, G. H. Mendell and W. P. Craighill, trans., 1862, reprint, The West Point Military Library Series, Thomas E. Griess and Jay Luvass, eds., Westport, Connecticut: Greenwood Press, 1971, p. 62
8. (Henry Lee Scott, Military Dictionary: Comprising Technical Definitions; Information on Raising and Keeping Troops; Actual Service, including Makeshifts and Improved Materiel; and Law, Government, Regulation, and Administration Relating to Land Forces, 1861, reprint, The West Point Military Library series, Thomas E. Griess and Jay Luvass, eds., Westport, Connecticut: Greenwood Press, 1968, p. 574.
9. Basil H. Liddell Hart, Strategy, 2nd Edition, 1954, reprint, New York: Frederick A. Praeger, 1967, p. 335
10. Collin S. Gray, Modern Strategy, New York: Oxford University Press, 1999, p. 17
11. United States Department of Defense, The Joint Staff, Joint Publication 1-02, DOD Dictionary of Military and Associated Terms, hereafter Joint Pub 1-02, available from www.dtic.mil/doctrine/jel/new_pubs/jp1_02.pdf, 507, 357; United States Department of Defense, The Joint Staff, Joint Doctrine Encyclopedia, available from www.dtic.mil/doctrine/joint_military_encyclopedia/htm, pp. 731, 542
12. Robert H. Dorff, “A Primer in Strategy Development” in U.S. Army War College Guide Strategy, Joseph R. Cerami and James F. Holcomb, Jr., eds., Carlisle Barracks, PA: Strategic Studies Institute, 2001, p. 11; Richard A. Chilcoat, “Strategic Art: The New Discipline for 21st Century Strategists” in U.S. Army War College Guide to Strategy, Joseph R. Cerami and James F. Holcomb, Jr., eds., Carlisle Barracks, PA: Strategic Studies Institute, 2001, p. 205

სოციალური უზრუნველყოფის სისტემა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში და მისი შედარებითი ანალიზი კოსოვოსთან

თემურ არბოლიშვილი, *დოქტორანტი*

რეზიუმე

ცხინვალისა და სოხუმის სეპარატისტული ადმინისტრაციების მხრიდან ხშირია საუბრები იმის შესახებ, რომ რადგან კოსოვო გახდა დამოუკიდებელი, მათაც აქვთ ამის უფლება. თუმცა იმაზე არაფერს ამბობენ, როგორ ვითარდება დამოუკიდებელი კოსოვო და როგორ ვითარდებიან ისინი. შესაბამისად, ძალზედ საინტერესო იქნებოდა გაგვეკეთებინა სოციალური სისტემების შედარებითი ანალიზი კოსოვოსა და ამ ორ ქართულ რეგიონს შორის ე.წ. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. ეს სერიოზული გზავნილი იქნებოდა ამ რეგიონების მოსახლეობისათვის. ისინი კარგად დაინახავენ, რა მიიღეს მათ რუსეთთან ინტეგრაციით და რა მიიღო კოსოვომ ევროპასთან ინტეგრაციით. საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა კი ევროპულ სივრცეში ცხოვრებას ნიშნავს. ჩვენ ამჯერად შევეხებით სოციალურ დაცვის სისტემას კოსოვოში მისი დამოუკიდებლობის შემდგომ პერიოდში. მომავალში კი გავაანალიზებთ სოციალური დაცვის მექანიზმებს აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში და გავაკეთებთ მათ შედარებით ანალიზს. ნაშრომიდან კარგად დავინახავთ, რომ კოსოვოს მიერ არჩეული გზა ორიენტირებულია საკუთარი მოქალაქეების კეთილდღეობაზე. კოსოვოს კანონმდებლობა ჰარმონიაში მოდის ევროპის შესაბამის კანონმდებლობასთან, რაც ხელს უწყობს კოსოვოს არა მხოლოდ პოლიტიკურ, არამედ სოციალურ და ეკონომიკურ ინტეგრირებას ევროპაში, რაც საბოლოოდ მიზნად ისახავს რეგიონის სრულ ევროპეიზაციას და მის სრულყოფილ დამოუკიდებლობას.

საკვანძო სიტყვები: კონფლიქტი, კოსოვო, აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, სოციალური პოლიტიკა

Social Security System in Abkhazia and Tskhinvali Regions and their Comparative Analysis with Kosovo

Temur Arbolishvili, PhD Student

Summary

The research conducted by us has shown that there is a cardinal difference between the social security systems of independently existing Kosovo on the one hand and Abkhazia and South Ossetia on the other hand. While Kosovo spends solid resources for social protection and healthcare of its citizens, funding these resources from its budget, Abkhazia and South Ossetia, practically do not spend anything in the given direction. Their expenses are so low that there is no point in reflected them in figures. These two (Georgian) regions are completely dependent on Russia, both politically and economically and socially. They receive millions of rubles of annual dotation from Russia, and it in fact does not get to local population at all. Due to the aforementioned, the issue of strictest control of funds has been raised multiple times, in Russia, Tskhinvali and Sokhumi, although, without any results. It is apparent that the given amounts are being misused through corruption and nothing gets to Tskhinvali and Sokhumi citizens from Moscow. Accordingly, Abkhazian and South Ossetian citizens are forced to make corruptive deals and receive (purchase) Russian passports for getting registration in one of Russian regions and start receiving Russian pension like Russian citizens do (for example age, disabled, war veteran and other category pensions). For example, in Tskhinvali very popular is the so called "Shakhtior pension" (meaning miner's pension), for receiving of which Ossetians pay solid bribes.

Both these regions are tied to Russia in healthcare sphere also. In local hospitals (which are solely state owned – there is no private healthcare or private insurance in neither regions) citizens receive only first aide. It is impossible to go through x-ray examination or even to have cesarean section. That is why they go to bordering Russian cities for access to healthcare, which is quite expensive for them. Due to that, majority of Abkhazian and Ossetian patients receives medical aide in Georgia, including the most complicated and most expensive surgeries and everything is completely free of charge for them. This became possible after the launch of the Referral Healthcare Law in Georgia. Despite the fact that Sokhumi and Tskhinvali administrations categorically fight against such actions by means of stricter legislation and actions by intelligence services. Population is still oriented at adequate Georgian healthcare and accordingly local authorities are not able to oppose them.

Thus, the road chosen by Kosovo is completely aimed at the wellbeing of its citizens, which cannot be said about the so called administrations of Abkhazia and so called South Ossetia, the main ideology of which is the thesis – we will agree to anything just being with Russia and without Georgia.

Keywords: conflict, Kosovo, Abkhazia, South Ossetia, social policy

თანამედროვე მსოფლიოში სოციალური პრობლემატიკა მზარდი აქტუალობით გამოირჩევა. სოციალური პოლიტიკა სულ უფრო მეტად მნიშვნელოვან ადგილს სიღარიბესთან ბრძოლა ნებისმიერი ქვეყნისთვის მუდმივად თანმხლები პროცესია. მართალია, დაბალ- და მაღალგანვითარებულ ქვეყნებში სიღარიბე ერთნაირად არ გამოიხატება და არც ერთნაირი მასშტაბები აქვს, მაგრამ მისი სრული აღმოფხვრა თვით ყველაზე მაღალი სოციალური თანასწორობის მქონე ქვეყნებშიც კი ვერ მოხერხდა.

ამ ფონზე განსაკუთრებით საინტერესოა ის სოციალური მოდელები, რომლებიც ფუნქციონირებენ თვითგამოცხადებულ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის (ცხინვალის რეგიონი) რესპუბლიკებში. საინტერესოა იმდენად, რამდენადაც საქართველოს ეს რეგიონები ფაქტობრივად ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ და მათზე ხორციელდება აღნიშნული სახელმწიფოს „მფარველობა“ როგორც პოლიტიკური, ისე - სოციალურ-ეკონომიკური მიმართულებით.

შესაძლოა დაიბადოს კითხვა: რა კავშირია სოციალურ უზრუნველყოფასა და ტერიტორიულ მთლიანობას შორის? კავშირი პირდაპირია. დღეს რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ფაქტობრივად მოქმედებს რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობა, ან ადგილობრივი კანონები, რომლებიც გადმოწერილია რუსეთის შესაბამისი ნორმატიული აქტებიდან. საქართველო სთავაზობს ამ ორ რეგიონს საქართველოსთან ინტეგრაციას სხვადასხვა პირობებით (ძირითადად პოლიტიკური კონტექსტით). თუმცა ჯერ-ჯერობით საუბარი არსად არაა სოციალურ და ეკონომიკურ შეთავაზებებზე, რომელმაც უნდა დაინტერესოს ამ ორი რეგიონის მოსახლეობა ქართულ სახელმწიფოში ინტეგრაციაში. ყველასათვის ნათელია, რომ საქართველოს მომავალი მჭიდროდაა დაკავშირებული ევროსივრცესთან, გაფორმდა ევროპასთან ასოცირების ყოვლისმომცველი ხელშეკრულება. ეს დოკუმენტი საქართველოს სოციალური სისტემის ევროსტანდარტების შექმნისკენ უბიძგებს. ამ რეგიონებში კი სულ სხვა (რუსული) სტანდარტები მოქმედებენ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, აფხაზებმა და ოსებმა ნათლად დაინახონ, თუ როგორი შეიძლება იყოს მათი სოციალური უსაფრთხოება საქართველოსთან ინტეგრაციის შემთხვევაში.

ცხინვალისა და სოხუმის ადმინისტრაციების მხრიდან ხშირია საუბრები იმის შესახებ, რომ რადგან კოსოვო გახდა დამოუკიდებელი, მათაც აქვთ ამის უფლება. თუმცა იმაზე არაფერს ამბობენ, როგორ ვითარდება დამოუკიდებელი კოსოვო და როგორ ვითარდებიან ისინი. შესაბამისად, ძალზედ საინტერესო იქნებოდა გაგვეკეთებინა სოციალური სისტემების შედარებითი ანალიზი კოსოვოსა და ამ ორ ქართულ რეგიონს შორის ე.წ. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. ეს სერიოზული გზავნილი იქნებოდა ამ რეგიონის მოსახლეობისათვის. ისინი კარგად დაინახავენ, რა მიიღეს მათ რუსეთთან ინტეგრაციით და რა მიიღო კოსოვომ ევროპასთან ინტეგრაციით. საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა უახლოეს პერსპექტივაში ევროპულ სივრცეში ცხოვრებას ნიშნავს.

ჩვენი ნაშრომი საჭიროა დავყავით ორ ნაწილად, კერძოდ: პირველ ნაწილში ვისაუბრეთ კოსოვოს სოციალური დაცვის სისტემაზე [1. გვ.308312], ამ ნაწილში კი გავაანალიზებთ სოციალური დაცვის მექანიზმებს აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში. დასკვნითი ნაწილში მოვახდენთ კოსოვოსა და ამ ორი ოკუპირებული ქართული რეგიონების სოციალური სისტემების შედარებით ანალიზს.

ე.წ. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, აფხაზეთმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ეკონომიკური წინსვლის კუთხით, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი და მოსახლეობა კვლავ სიღარიბეში ცხოვრობს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ წინსვლას, ძირითადად, არა აფხაზური ეკონომიკა, არამაედ რუსეთიდან შემომავალი ფინანსური სახსრები განაპირობებდა. კერძოდ, 2005 წლიდან მოყოლებული დღემდე „დახმარებამ“ 17 მლრდ რუბლს გადააჭარბა (USD500 მლნ). განსაკუთრებულად ეს ნაკადები 2010-2013 წლებში შეინიშნებოდა და 11.9 მლრდ რუბლი (USD340 მლნ) შეადგინა [2. გვ 19]; 2014-2016 წლებში კი დამატებით 3 მლრდ რუბლის "დახმარებაზე“ რუსეთის პრემიერმა დ. მედვედევმა ხელი უკვე მოაწერა.

საინტერესოა, რომ აღნიშნული თანხების უდიდესი ნაწილი სესხის სახეს ატარებს და რუსეთის მხრიდან გონივრულ ნაბიჯს წარმოადგენს, რადაგნაც ამ თანხების დაბრუნების მოთხოვნის შემთხვევაში, აფხაზეთი გამოუვალ მდგომარეობაში ვარდება და მთლიანად მასზე ხდება დამოკიდებული კიდევ უფრო მეტად, ვიდრე დღეს. ეს მომავალი კი სულ მალე, მომდევნო 2016 წლიდან დგება, როდესაც აფხაზეთს გეგმით ვალების დაბრუნების პირველი ეტაპი ეწყება.

ბიუჯეტის მონაცემები კი შემდეგია: 2010 წელს მან 3.875 მლრდ რუბლი (დაახლოებით USD114 მლნ) შეადგინა, საიდანაც 1.935 მლნ რუსული (USD60 მლნ) დახმარება გახლდათ (ცნობისათვის, საქართველოს ბიუჯეტი 2011 წელს — $3.6 მლრდ-ია, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო)[3. გვ 41-42].

ე.წ. აფხაზეთის მთავრობის გაანგარიშებით, 2011 წელს მშპ — USD 700 მილიონს, ხოლო მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით კი — USD2995 შეადგენდა, რაც ანალოგიური პერიოდისათვის თითქმის საქართველოს (მშპ მოსახლეობის ერთ სულზე) მაჩვენებლის იდენტურია (USD 3230, საქსტატი)[4]. ხოლო, თავად მშპ სტრუქტურა კი შემდეგია: მშენებლობა- 34.4%, ვაჭრობა და კვების სფერი — 20.5%, წარმოება — 9.5%, სოფლის მეურნეობა — 7.5% და სხვ. სხვადასხვა სფეროებში დასაქმებულთა გადანაწილება, სფეროების მიხედვით კი შემდეგია: განათლება — 18.2%; ჯანდაცვა — 17.9%; მშენებლობა — 7.4%; ვაჭრობა — 7.3% და სხვ.

დე-ფაქტო რეგიონში, მათივე მონაცემებით, საშუალო ხელფასი 2011 წელს 6900 რუბლს (USD

200) შეადგენდა (საქართველოში იგივე პერიოდში — დაახლოებით USD 400, საქსტატი). საბაზისო პენსია ᲣᲨD20 ფარგლებშია, თუმცა კონკრეტულ შემთხვევებში, მას ერთვის შემდეგი დანამატები: ე.წ. „სამამულო ომში“ მონაწილეთა — თითქმის USD 100; ე,წ, „სამამულო ომში“ დაღუპულთა ოჯახების — ᲣᲨD130 ფარგლებში; I, II და III ჯგუფის ინვალიდების — დაახლოებით ᲣᲨD150; 1992-1993 წლების ომში დაინვალიდებულთა — დაახლოებით USD160. დამატებით, აფხაზეთის მოსახლეობის დიდ ნაწილს (აწ უკვე, გარდა ქართველებისა) რუსული პასპორტები გააჩნიათ, რომლითაც ყოველთვიურად საშუალოდ USD 300 მიღებაა შესაძლებელი [5. გვ 6].

250 ათასიან რეგიონში, სადაც შრომისუნარიანად მიჩნეულია 142 ათასი ადამიანი, დასაქმებულთა რაოდენობა 40 ათასს არ აღემატება, საიდანაც 26 ათასი სახელმწიფო სექტორშია დასაქმებული (აფხაზური მონაცემებით). სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, უმუშევრობის დონე აფხაზეთში — 67%-ია! [5. გვ 13] რაც სოციალურ ფონს უკიდურესად დაძაბულს ხდის და სწორედ ეს გახლდათ წელს ე.წ. აფხაზეთის მთავრობის რევოლუციური გზით გადაყენების ოფიციალური საფუძველიც.

- ტურიზმი, როგორც აფხაზური ეკონომიკის წარმმართველი ძალა

აფხაზი ექსპერტების აზრით, აფხაზეთის ეკონომიკის ლოკომოტივი -ტურიზმია, რომელიც თითქმის მთლიანად წლის მესამე კვარტალში ფორმირდება. რუსული და აფხაზური საინფორმაციო წყაროების თანახმად, აფხაზეთს ყოველწლიურად მილიონობით ტურისტი სტუმრობს, კერძოდ 2013 წელს ნაკადმა 3.3 მილიონ ადამიანს გადააჭარბა, რაც ასეთი მცირე ტერიტორიისათვის საკმაოდ შთამბეჭდავი მაჩვენებელია [6. გვ 98] (რეალობა რომ იყოს!), ცნობისათვის, საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტის თანახმად, 2013 წელს ქვეყნას 4.4 მილიონი ტურისტი ესტუმრა (რაც ასევე ეჭვს იწვევს შესაბამისი დარგის ექსპერტებში)[7. გვ 53-55].

სინამდვილეში ტურიზმი, სხვა სფეროების უფრო მეტად ჩამორჩენილობის ფონზე, მართლაც ეკონომიკის გამწევი ძალაა, თუმცა მას მრავალი მინუსიც აქვს: სეზონურობა, პოლიტიკური არასტაბილურობის გავლენა, რუსი ტურისტების დაბალი ფინანსური შესაძლებლობებისა და აფხაზეთში მაღალი ფასების დისბალანსი და ა.შ. რომელიც აფხაზური ეკონომიკის საკმაოდ მყიფე რეალობას განაპირობებს.

დამატებით, აფხაზური ტურიზმის უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც ჩავარდნის ალბათობას მომდევნო წლებში შეიძლება განაპირობებდეს ყირიმის მიერთება რუსეთის ფედერაციის მიერ. მოგეხსენებათ, ყირიმიც, აფხაზეთის მსგავსად, ტურიზმზე ორიენტირებული რეგიონია და ექსპერტების მოსაზრებით, რუსეთის მთავრობა პირდაპირ თუ ირიბად ეცდება არამხოლოდ აფხაზეთის, არამედ უკვე ყირიმის „დატვირთვასაც“, რაც „ექსტრემალური დასვენების“ მოყვარულთა ახალ გადანაწილებას გამოიწვევს.

- საგარეო ვაჭრობის ძირითადი მახასიათებლები

ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა აფხაზეთის საგარეო სავაჭრო ბალანსიც, ძირითადად, იმპორტის ხარჯზე, როგორც პროცენტულ, ასევე აბსოლუტურ მაჩვენებლებში. ე.წ. აფხაზეთის საბაჟო კომიტეტის მონაცემებით 2013 წელს აფხაზეთის სავაჭრო ბრუნვამ თითქმის — 18 მილიარდი რუსული რუბლი შეადგინა (დაახლოებით USD 530 მლნ), რაც წინა წლის მაჩვენებელს მთელი 1.5 მილიარდი რუბლით (დაახლოებით USD44 მლნ) ანუ 9.6%-ით აღემატება. მათ შორის:

№ ექსპორტი — 2.7 მლრდ რუბლი (6.1%-იანი ზრდა წინა წელთან შედარებით);

№ იმპორტი — 15.3 მლრდ რუბლი (10.2%-იანი ზრდა წინა წელთან შედარებით) [8. გვ 17].

2001 წელს ნაჩვენები, სულ რაღაც 919 მლნ სავაჭრო ბრუნვის კოლოსალური — 20-ჯერადი ზრდის მიუხედავად, აფხაზეთის სავაჭრო ბრუნვის ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობიდან ნათლად ჩანს, რომ ის მომხმარებლური ტიპის ეკონომიკადაა ჩამოყალიბებული: 2013 წელს იმპორტი 5.5-ჯერ აღემატებოდა ექსპორტს.

უფრო დეტალური დაკვირვებისას ნათელია, რომ აფხაზური ექსპორტი ძირითადად აგროსამრეწველო კომპლექსის ხარჯზე ფუნქციონირებს (88%), მცირეა გადამამუშავებელი სექტორის წილი (12%). აფხაზური ექსპორტის 3/5 ღვინისა და სპირტიანი სასმელების ბიზნესს უკავშირდება, რომელიც თავის მხრივ იაფფასიანი მოლდავური და რუსული ღვინომასალებისგან და სპირტისგან მზადდება. ციტრუსების ექსპორტს, რომლითაც აფხაზეთი დღემდე განთქმულია, მთლიანი ექსპორტის 22% უჭირავს. ამ ორ ძირითად სავაჭრო პროდუქტს 5%-ანი მაჩვენებლით მეთევზეობა და 3-3%-იანი მაჩვენებლებით ქვიშის, ქვანახშირის და ჯართის ექსპორტი მოსდევს, თუმცა აფხაზეთში ეს რესურსები მილევადია და სავარაუდოდ, მომდევნო წლების ექსპორტში კიდევ უფრო მცირე წონას დაიკავებენ, მით უმეტეს, რომ ქ. სოჭში მასშტაბური სამშენებლო სამუშაოები 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადასთან დაკავშირებით დასრულებულია და სამშენებლო მასალების მოთხოვნაც მინიმუმამდეა დასული [9. გვ 10].

რაც შეეხება აფხაზეთში იმპორტირებულ პროდუქციას, ის ბევრად მრავალფეროვანია და შემდეგი პროდუქტებისგან შედგება: კვების პროდუქტები (19%), საწვავი და საპოხი მასალები (16%), სამშენებლო მასალები (16%), ავტოსატრანსპორტო საშუალებები (11%), მანქანა-დანადგარები (9%) და სხვა[10. გვ 151].

ე.წ. აფხაზეთის ოფიციალური მონაცემების თანახმად, მისი ძირითადი სავაჭრო პარტნიორები არიან: რუსეთი (62%) და თურქეთი (14%). ამასთან რუსეთთან გაჭრილია როგორც სახმელეთო (საავტომობილო და რკინიგზის), ასევე საზღვაო გზები, ხოლო თურქეთთან მხოლოდ საზღვაო. რაც შეეხება აფხაზური ექსპორტის გასაღების ბაზრებს, ესენია:

რუსეთი (85%) და თურქეთი (15%). მართალია, ზემომოცემული რიცხვები არ ასახავს ზუსტ რეალობას, კორუფციისა და იატაქვეშა ეკონომიკის ზემაღალი მაჩვენებლების ფონზე, თუმცა, მიახლოებით სურათს იძლევა [11. გვ 21].

- გალის რაიონი, როგორც ეკონომიკური ჰაბი

ზემომოცემულ სტატისტიკაში არსად არ არის გათვალისწინებული ქართულ-აფხაზური — ტრანს-ინგურული სავაჭრო ურთიერთობები, რომლის ძირითადი მამოძრავებელი ძალა გალის რაიონი და მისი მოსახლეობაა.

გამომდინარე იქიდან, რომ ე.წ. აფხაზეთის პრეზიდენტის 2007 წლის ბრძანებით ყველანაირი ეკონომიკური ურთიერთობები საქართველოსთან ითვლება უკანონოდ (უსაფრთხოების მიზნით), ყველა სავაჭრო პროდუქტი, რომელიც საქართველოს მხრიდან გადადის აფხაზეთში — ითვლება კონტრაბანდად.

თავის მხრივ, არც საქართველოს აქვს გარკვეული ასეთი ტიპის ურთიერთობის ცალსახად განმსაზღვრელი კანონიერი ჩარჩოები: ერთის მხრივ, საქონლის გადაადგილება დანარჩენი საქართველოდან აფხაზეთში, ითვლება შიდა საქონელბრუნვად, ხოლო, მეორე მხრივ, 2008 წელს მიღებული „კანონი ოკუპირებული რეგიონების შესახებ“, ყველა სახის ეკონომიკურ ურთიერთობას, მათ შორის, სავაჭროს აფხაზეთის ტერიტორიაზე — მიიჩნევს უკანონოდ (თუმცა, არის გარკვეული გამონაკლისებიც).

ექსპერტთა დაკვირვებებით, ქართულ-აფხაზური ვაჭრობა მდინარე ენგურზე არსებული 1 ოფიციალური (მთავარი ხიდი მდ. ენგურზე) და 3 არაოფიციალური გზით ხორციელდება, კერძოდ:

№ ენგურის ხიდი — გადაადგილდება საქონლის 80% და მოსახლეობის 75%;

№ ე.წ. ზედა ზონა — გადაადგილდება მოსახლეობისა და საქონლის 5%-ზე ნაკლები;

№ ე.წ ქვედა ზონა — გადაადგილდება საქონლის 15% და მოსახლეობის 20% [12. გვ 43].

ქართულ-აფხაზური ვაჭრობა ქ. გალის გავლით მოიაზრებს არამხოლოდ ქართული, არამედ საქართველოში იმპორტირებული პროდუქციით ვაჭრობასაც [13. გვ 27-28]. კერძოდ, წარმოშობის ადგილები შემდეგია:

№ საკვები პროდუქტები. კარტოფილი — საქართველო (ახალციხე, წალკა, ახალქალაქი), თურქეთი; სტაფილო — სომხეთი; კიტრი — საქართველო (ქუთაისი, წყალტუბო, მარნეული); მწვანილი — საქართველო (სამტრედია, ქუთაისი); საქონლის ხორცი, გაყინული — ბრაზილია; ღორის ხორცი, გაყინული — არგენტინა და ა.შ.

№ ტექნიკა, ავეჯი და სხვა არასასურსათო პროდუქტების შეძენა კი, საქართველოში, ძირითადად, საბითუმო ბაზრებში (თბილისი, ქუთაისი და ზუგდიდი) და ტექნიკის სპეციალიზებულ მაღაზიებში ხორციელდება (წარმოშობის ადგილი საქართველო და მთელი მსოფლიო). აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოდან შესული საქონლის 80% სოხუმისა და გაგრის ბაზრებისთვისაა განკუთვნილი და მხოლოდ 20% რჩება გალის ტერიტორიაზე, რაც, რა თქმა უნდა, მოთხოვნა- მიწოდების საფუძველზე ყალიბდება.

ზემოხსენებული პოლიტიკური და საკანონმდებლო შეზღუდვები მძიმე დარტყმას აყენებს და დემოტივირებს ქართულ-აფხაზურ ეკონომიკურ ურთიერთობებს. შედეგად, განსაკუთრებით მძიმეს ხდის ამ ურთიერთობებში ჩართული, ძირითადად გალში მცხოვრები ეთნიკური ქართველების საქმიანობას, რომელთაც სხვა შემოსავლის წყარო, ფაქტობრივად, არ გააჩნიათ (ე.წ. აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის თანახმად, გალის რაიონი 97%-ით სოფლის მეურნეობაზეა დამოკიდებული, 2%-ით- ინდუსტრიაზე და 1%-ით- ტურიზმზე), გარდა საქართლოს მთავრობისგან დანიშნული თვეში 45 ლარიანი „დახმარებისა“[14. გვ 41].

- საქართველოსთან ურთიერთობები ჯანდაცვის სფეროში

ბოლო წლების მანძილზე სულ უფრო ვითარდება კომუნიკაცია საქართველოსთან ჯანდაცვის სფეროში. იმის მიუხედავად, რომ ამას აფხაზეთის ადგილობრივი ხელისუფლება სიტყვით ეწინააღმდეგება, რეალურად საქმით ხელს არ უშლის. ამის ნათელი მაგალითია სულ უფრო მეტად მზარდი მოქალაქეების რაოდენობა საქართველოში სამედიცინო დახმარების მიღების სურვილით. ბოლო მონაცემებით, 2015 წელს 400-მდე აფხაზეთის მოქალაქემ მიიღო სამედიცინო მომსახურება ზუგდიდის, ქუთაისისა და თბილისის სხვადასხვა კლინიკაში რეფერალური ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, რომლის მიხედვითაც აფხაზეთიდან გადმოსულ ადამიანებს ეძლევათ საშუალება უფასოდ მიიღონ მაღალხარისხიანი სამედიცინო მომსახურება (მათ შორის ძვირადღირებული ოპერაციების სახით). აღნიშნულ მომსახურებას იღებენ არა მხოლოდ გალის რაიონში მცხოვრები ეთნიკურად ქართველები, არამედ აფხაზეთის სხვა ქალაქების მაცხოვრებელი არაქართველი პაციენტები.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მძიმე სოციალური ფონის მიუხედავად, დე-ფაქტო აფხაზეთი ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ეკონომიკურად მნიშვნელოვნად მოძლიერდა (შედარებით). თუმცა, პარალელურად იზრდება რუსეთზე დამოკიდებულებაც, რადგანაც სწორედ ის განსაზღვრავს ამ ზრდის ძირითად ფაქტორებს.

მიუხედავად აფხაზური ეკონომიკის მცირე მასშტაბებისა და იმისა, რომ მის ნამდვილ აღორძინებას რუსეთის ეკონომიკა წესით და რიგით მარტივად უნდა გამკლავებოდა — მაღალმა კორუფციულმა მაჩვენებლებმა, კლანურმა გადანაწილებებმა და მართვაში გამოუცდელობამ, სულ სხვა რეალობა განაპირობა.

ტრანს-ინგურულ ეკონომიკურ ურთიერთობებს უდიდესი პოტენციალი აქვს და ავტორის აზრით, შესაძლებელია თითქმის მთლიანად ჩაანაცვლოს რუსულ-თურქული სავაჭრო გავლენა რეგიონში. ამიტომ, საქართველოს მთავრობამ ამ მიმართულებას

მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი.

აქ აუცილებელია მოკლედ აღვნიშნოთ ე.წ. სამხრეთ ოსეთის შესახებაც. ჩვენს ნაშრომში ამ რეგიონზე მხოლოდ მცირედის საუბარი მოგვიწევს, ვინაიდან პრაქტიკულად არ არსებოსბ სტატისტიკური მონაცემები სამხრეთ ოსეთში არსებული სოციალური დაცვის სისტემისა და ჯანდაცვის სფეროს ირგვლივ.

ძმური, მეგობრული შეთავაზებების მიუხედავად, აფხაზებსა და ოსებს საქართველოს საზღვრებში ცხოვრება არ სურთ. საკუთარი პრობლემების მოგვარებისა და ქვეყნის განვითარების კუთხით, მათ „მფარველი“ რუსეთის იმედი უფრო აქვს. თუმცა არსებობს სფერო, რომელიც ოსებს და აფხაზებს ქართული მხარის მიერ გაწვდილ ხელზე საპასუხოდ ხელის გამოწოდებას აიძულებს.

ძალიან საინტერესოა, თუ რას წერს ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ მასმედია საქართველოსთან ურთიერთობის შესახებ. ამ მასალებში კარგად ჩანს, ცხინვალის რეგიონში არსებული სოციალური მდგომარეობა:

„მოსახლეობის ჯანმრთელობა - ეს არის ფუნდამენტი, რომლის გარეშეც ქვეყნის განვითარება, ფაქტობრივად, შეუძლებელია. თანამედროვე სახელმწიფოს და საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებლად ჯანდაცვის თანამედროვე სისტემა მოიაზრება, რომელიც მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების საჭიროების დაკმაყოფილების საშუალებას იძლევა. ომის შედგომი პერიოდი ჩვენს ქვეყანაში მრავალი პრობლემით ხასიათდებოდა, მაგრამ ყველაზე მეტად ის ფინანსური დისციპლინის დარღვევით გამოიხატა. განსაკუთრებით მწვავეა მდგომარეობა ჯანდაცვის სფეროში: სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებები არ არის აღჭურვილი შესაბამისი ტექნიკით და აპარატურით, კომუნიკაციის საშუალებებით, არსებობს კვალიფიციური კადრების დეფიციტი, არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია შენობა-ნაგებობებიც. ის სამკურანლო დაწესებულებები, რომელიც ამ მომენტში სამხრეთ ოსეთის დედაქალაქში ფუნქციონირებს, არ არის იმ მდგომარეობაში, რომ მოსახლეობას კვალიფიციური სამედიცინო მომსახურება გაუწიოს, მას თანამედროვე ტექნიკური მოწყობილობა და კაპიტალური რემონტი სჭირდება. შექმნილი მდგომარეობა აიძულებს რესპუბლიკის ბევრ მაცხოვრებელს, გაიყვანონ ავადმყოფი ნათესავები მეზობელ საქართველოში სამკურნალოდ. ეს საკითხი სახრეთ ოსეთში საკამათო საგანს წარმოადგენს, რომელსაც პოლიტიკური ხასიათი აქვს“ [15. გვ 2].

ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი ლეონიდ თიბილოვი სიტუაციიდან გამოსავალს ეძებს და როგორც ყოველთვის, იმედის მზერას რუსეთისკენ მიმართავს. ჯერ კიდევ 2015 წლის ივლისში მან მსგავსი პრაქტიკის შეწყვეტის აუცილებლობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მოსახლეობას კვალიფიციური მკურნალობის მიღება რუსეთის სამედიცინო დაწესებულებებშიც შეუძლიათ. ამისთვის სპეციალური განკარგულებაც კი გამოსცა და საგარეო საქმეთა სამინისტროს ისეთი მექანიზმის შემუშავება დაავალა, რომელიც რუსეთში ავადმყოფების დროული გადაყვანის პრობლემას მოხსნიდა. მისი თქმით, რუსეთის მიერ აღიარებულ კავკასიური სახელმწიფოს განვითარებისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს სწორედ რუსეთის ფედერაციასთან მჭიდრო კავშირები წარმოადგენს.

თვითაღიარებული რესპუბლიკის მასმედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 2015-2017 წლის პერიოდისთვის რუსეთის ინვესტიციებმა სამხრეთ ოსეთის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებისთვის 9 მილიარდი რუბლი უნდა შეადგინოს, რომელთა უმრავლესობა სწორედ ჯანდაცვის სისტემის რეაბილიტაციას მოხმარდება [16. გვ 1].

მანამდე კი მოსახლეობის უმრავლესობას ქართული სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული რეფერალური პროგრამით სარგებლობა უწევს. ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორებზე მაცხოვრებელ ჩვენს მოქალაქეებს, თუნდაც ოკუპაციის პირობებში, თბილისის სხვადასხვა კლინიკებსა და საავადმყოფოებში ემსახურებიან. ისინი სახელმწიფოსგან არამარტო სამედიცინო დახმარებას, არამედ სათანადო ყურადღებას, მზრუნველობასა და ფინანსურ მხარდაჭერას იღებენ. პროექტის განხორციელებაში წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაცია არის ჩართული. მოქალაქეების საქართველოს ტერიტორიაზე გადმოყვანას სწორედ ეს საერთაშორისო ორგანიზაცია უზრუნველყოფს. არსებობს პირდაპირი კავშირებიც თბილისში მოქმედ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, რაც მოსახლეობის ნდობით არის განპირობებული. აღნიშნული ადმინისტრაციის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური თავის საქმიანობას ორი ძირითადი მიმართულებით აწარმოებს. პირველი - ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ყოველწლიური ერთჯერადი ფინანსური დახმარება. აღნიშნული დახმარების მიღება დევნილთა შემდეგ კატეგორიებს შეუძლიათ, რომელთაც საკუთარი სახლები 2008 წლის ომის შედეგად დატოვეს და

მეორე მიმართულება - ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეთა დახმარება და მათი სტაციონალური მკურნალობის დაფინანსება. (ოპერაციები და ა.შ.). სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია გადასცემს საქართველოს რეინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის აპარატს დასკვნას ფინანსური დახმარების აუცილებლობის შესახებ. დადებითი პასუხის შემთხვევაში დოკუმენტები ეგზავნება ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტროს. უწყება რთავს პაციენტს რეფერალურ პროგრამაში, რომელიც გულისხმობს დაფინანსებას 15 000 ლარის ოდენობით.

პროექტში ჩართულია წითელი ჯვარი, რომლის საშუალებით თბილისში ავადმყოფების ევაკუაცია ხერხდება. თუ პაციენტი მძიმეა, მას რეანიმაციული ღონისძიება სჭირდება, მაშინ ის ჯანდაცვის სამინისტროს უკავშირდება, რომელიც კონკრეტულ ნეი-

ტრალურ ტერიტორიაზე რეანომობილის გაგზავნას უზრუნველყოფს. იყო შემთხვევები, როდესაც ჩვენი რეანომობილი ცხინვალის საავადმყოფოშიც შევიდა, იმიტომ, რომ პაციენტი უმძიმეს მდგომარეობაში იყო და მისი გადმოყვანა არ შეიძლებოდა. რეანომობილი პაციენტს იმ კლინიკაში ათავსებს, რომელიც მის მისაღებად მზად იქნება. შესაძლოა, კლინიკაში ადგილი არ იყოს. ემერჯენსი ხშირად არის გადატვირთული, სხვა მიზეზი არ არსებობს, ჩვენ ყველა კლინიკასთან ვართ შეთანხმებულები. თუმცა პაციენტის სიმძიმიდან გამომდინარე, გამოსავალს მაინც ვპოულობთ. არის შემთხვევები, როდესაც პაციენტს მართვითი სუნთქვა ესაჭიროება და დრო მეტს არ ითმენს. ასეთ შემთხვევებში, კლინიკა ვალდებულია, მიიღოს და შესაბამისი დახმარებაც აღმოუჩინოს.

დასკვნა

ერთის მხრივ დამოუკიდებლად არსებულ კოსოვოსა და მეორეს მხრივ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სოციალური დაცვის სისტემებს შორის კარდინალური განსხვავებაა. მაშინ როდესდაც კოსოვო სოლიდურ რესურსებს ხარჯავს საკუთარი მოქალაქეების სოციალურ დაცვაზე და ჯანმრთელობაზე და ამ რესურსებს აფინანსებს საკუთარი ბიუჯეტიდან, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, პრაქტიკულად არაფერს ხარჯავენ ამ მიმართულებით. მათი დანახარჯი იმდენად მცირეა, რომ მისი ციფრებით გადმოცემა აზრს კარგავს. ეს ორი (საქართველოს) რეგიონი მთლიანად მიბმულია რუსეთზე როგორც ეკონომიკურადდა პოლიტიკურად, ისე სოციალურად. რუსეთიდან იღებს დოტაციასყოველწლიურად ასობით მილიონი რუბლის სახით, რომელიც მოსახლეობამდე პრაქტიკულად არ მიდი. ამის გამო არაერთხელ დაისვა თანხების მაღალი დონის კონტყროლზე აყვანის საკითხი როგორც რუსეთში, ისე ცხინვალსა და სოხუმში, თუმცა უშედეგოდ. ნათელია, რომ აღნიშნული თანხები იკარგება კორუფციული გზებით და მოსკოვიდან ცხინვალის და სოხუმის მოქალაქეებამდე არაფერი მიდის. შესაბამისად, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოქალაქეები იძულებულნი არიან კორუფციული გარიგებების გზით აიღონ (შეიძინონ) რუსული პასპორტები რუსეთის რომელიმე რეგიონში კორუფციული გზით ჩაწერის საშუალებით და შესაბამისად, მსგავსად რუსეთის მოქალაქეებისა, მიიღონ რუსული პენსია (მათ შორის ასაკობრივი, ინვალიდობის, ომის ვეტერანობის და სხვა). მაგალითად ცხინვალში ძალიან პოპულარობით სარგებლობს ე.წ. „შახტიორის პენსია“ (ანუ მეშახტეების), რომლის გაკეთებაშიც ოსები სოლიდურ თანხებს იხდიან. ეს ორივე რეგიონი ასევე ჯანდაცვის სფეროთიც მივმულია რუსეთზე. ადგილობრივ საავადმყოფოებში (რომელიც მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებაა - არც ერთ რეგიონში არ არსებობს კერძო ჯანდაცვა და კერძო დაზღვევა) მოქალაქეები ღებულობენ მხოლოდ პირველად დახმარებას. იქ შეუძლებელია რენდგენის გადაღება და საკეისრო წესით მშობიარობაც კი. ამიტომ ისინი მიემგზავრებიან რუსეთის მოსაზღვრე ქალაქებში სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად. აღნიშნული დახმარება კი მათ საკმაოდ ძვირი უჯდებათ. ამიტომაა, რომ აფხაზი და ოსი პაციენტების უმრავლესობა მაინც საქართველოში ღებულობს სამედიცინო დახმარებას, მათ შორის ურთულესი და უძვირესი ოპერაციების ჩათვლით, და ამ დახმარებაში ისინი არაფერს არ იხდის. ესა ხდება საქართველოში მოქმედი რეფერალური ჯანდაცვის კანონის ამოქმედების ემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ სოხუმისა და ცხინვალის ადმინისტრაციები ადგილობრივი გამკაცრებული კანონმდებლობისა და უსაფრთხოების სამსახურების დახმარებით ამას კატეგორიულად ებრძვიან, მოსახლეობა მაინც ორიენტირებულია სრულყოფილ ქართულ ჯანდაცვაზე და შესაბამისად ხელისუფლებას ძალა არ ჰყოფნის, მოსახლეობას შეეწინააღმდეგოს.

დასკვნის სახით ვიტყვით, რომ კოსოვოს მიერ არჩეული გზა სრულიად ორიენტირებულია საკუთარი მოქალაქეების კეთილდღეობაზე, რასაც ვერ ვიტყვით აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციებზე, რომელთა მთავარ იდეოლოგიას წარმოადგენს თეზა - ყველაფერზე წავალთ, ოღონდ რუსეთთან ერთად და საქართველოს გარეშე.

გამოყენებული ლიტერატურა:

[1] ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“. №1-2, 2016

[2] http://lenta.ru/news/2014/01/10/help/

[3] http://www.mof.ge/4625

[4]http://geostat.ge/?action=page&p_id=148&lang=geo

[5]http://ecsocman.hse.ru/data/2011/02/22/1214890259/Tuzhba.pdf;%20http://agrba-timyr.livejournal.com/42525.html;%20http://www.abkhaziya.org/server-articles/article-52d306ef46b0e2a0e-aab9af8e59077da.html

[6] http://www.regnum.ru/news/fd-abroad/abxazia/1809949.html

[7]http://www.regnum.ru/news/fd-abroad/abxazia/1809949.html

[8] http://customsra.org/itogi2013.php

[9] http://www.tppra.org/ru/abhaziya-obshchie-dannye

[10] http://fondabkhazia.com/republic/business/#3 (ukanasknelad gadamowmebulia 05/09/2015)

[11] http://www.ved.gov.ru/exportcountries/ab/about_ab/eco_ab/ (ukanasknelad gadamowmebulia 23/01/2016)

[12] http://www.international-alert.org/sites/default/files/Caucasus_TransInguri_EconRelationsRegulation_EN_2013.pdf (ukanasknelad gadamowmebulia 23/01/206)

[13] ავტორის მიხედვით, წლიური ბრუნვა შეადგენს დაახლოებით USD5-7 მლნ., ხოლო ქალბატონ ხათუნა შატიბას (აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი) — 2 მილიარდ რუსულ რუბლს (ᲣშD60 მლნ.).

[14] http://www.tppra.org/ru/abhaziya-obshchie-dannye (ukanasknelad gadamowmebulia 23/01/2016)

[15] გაზეთი „იუჟნაია ოსეტია“. 27.02.20015

[16] გაზეთი :იუჟნაია ოსეტია“. 11.10.2015

მოლდოვა 1917-1940 წლებში

ვახტანგ შამუგია, სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

მოლდოვა ეს არის პოსტსაბჭოთა რესპუბლიკა, რომელმაც დამოუკიდებლობა 1991 წელს მოიპოვა. ისევე როგორც სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებს, მათ შორის საქართველოს, მემკვიდრეობით მასაც ეთნო-პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები ერგო. ამან ქვეყნის სოციალ-პოლიტიკური განვითარება მნიშვნელოვნად შეაფერხა. 1990-იან წლების დასაწყისში, მოლდოვის მეამბოხე რეგიონში, დნესტრისპირეთში, მოვლენები დრამატული სცენარით განვთარდა. იგი მეტწილად რუსულენოვანი მოსახლეობით იყო დასახლებული. მათ კი ჰქონდათ შიში იმისა, რომ კიშინიოვი კვლავ რუმინეთის შემადგენლობაში აღმოჩნდებოდა, რაც მათთვის, რიგი შიშებისა და მიზეზეზების გამო მიუღებელი იყო. პოლიტიკური დაპირისპირება საბრძოლო მოქმედებებში მალევე გადაიზარდა. მას თან ახლდა მსხვერპლი და ნგრევა. პოლიტოლოგები თუ ისტორიკოსები დღემდე მიიჩნევენ, რომ მეოცე საუკუნის დასასრულს წარმოქმილ კონფლიქტს საფუძველი ამავე საუკუნის დასაწყისში ჩაეყარა, მაშინ როდესაც რუსეთის იმპერია დაიშალა და მასში შემალი ერების ნაწილმა, მათ შორის მოლდოველებმაც, დამოუკიდებლობა მოიპოვეს. მოვლენები სწრაფი და მოულოდნელი სცენარით წარიმართა. 1917-1940 წლებში, ბესარაბიაში განვითარებულმა პროცესებმა, მიგრაციულმა, სოციალ-პოლიტიკურმა თუ სხვა ფაქტორებმა მომავალში ჰპოვეს ასახვა .

Summary

Moldova 1917-1940

Moldova is a post soviet country. He restored independence in 1991, as other soviet republics did. Country received the problems caused by ethnic and political conflicts. It slowed down the process developing of the state. In early 1990-ies, tensed situation overgrow in to a bloody and terrible conflict. Most of Transnisterians were afraid that Moldavian authorities ‘d decide to reunion with Romania, as it had happened in 1917 and the Russian speaker citizens will became persons without rights. Politicians and historians are thinking that the conflict was caused by things which happened in the beginning of the last century. They mean events which had happened in Moldova during 1917-1940-ies. This is period when This country became free from Russian empire and than became a part of Romania . The processes which developed in this years , migration, socio-political changes and the other factors reflected in the future.

1917 წლის თებერვლის სახელმწიფო გადატრიალების შედეგად, რუსეთის იმპერიამ არსებობა შეწყვიტა. იმპერატორმა ნიკოლოზ II ძალაუფლება დაჰკარგა. მმართველობა დროებითი მმრთველობის ხელში გადავიდა. მოლდოვაში ორხელისუფლებიანობა დამყარდა. ერთ მხარეს იყო მუშათა და ჯარისკაცთა მირ შექმნილი საბჭოები, მეორე მხარეს კი - ადგილობრივი დროებითი მთავრობის წარმომადგენლები. (Ист.Респ.Молд. 2000: გვ.167)

ამავე პერიოდში, ჩამოყალიბებას იწყებს „მოლდოვას ეროვნულ განმანთავისუფლებელი მოძრაობა. 1917 წლის 2 აპრილს მოლდოვას ნაციონალური პარტია“ შეიქმნა. მას მიემხრო პოლიტიკური პარტია, რომელიც მოლდოველ სამხედროთაგან იკო დაომპლექტებული. მათი ხედვები ბევრ რამეში ემთხვეოდა. კერძოდ, მოლდოვის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნა რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში, ბესარაბიიდან, ქვეყნის ცენტრალურ ორგანოებში ეთნიკურად მოლდაველი წარმომადგენლების გაგზავნა, სასამართლოებში, ეკლესიებსა თუ სკოლებში მოლდოვური ენის დანერგვა და აშ. ამ პოლიტიკური ძალის ბევრი ლიდერი სწორებას რუმინეთზე აკეთებდა, თუმცარიგით მოსახლეობას ეს იდეა ნაკლებად მოსწონდათ, რადგანაც არ ენდობოდნენ იქ არსებულ მონარქიულ წყობას და არც რუმინელ გლეხთა სოციალური სტატუსი და მდგომარეობა იყო მათთვის სამაგალითო. ადგილობრივი ინტელიგენციის წინააღმდეგობის შედეგად მათ ვერც „მოლდოვური ენის“ ტერმინის „რუმინული ენით“ ჩანაცვლება შესძლეს. (Ист.Респ.Молд. 2000: გვ.175) პეტერპურგში კი მოვლენები სწრაფად ვითარდებოდა და 1917 წელს ძლაუფლება ხელში ბოლშევიკებმა ჩაიგდეს.

1917 წელის 27 ნოემბერს ჩამოყალიბდა ახალი პოლიტიკური ძალა „spatul ceri“ (ქართ. სამხარეო საბჭო) მასში სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების, ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების, ეროვნული ორგანიზაციის წევრები შედიოდნენ. გამ ათ კაციანი კვოტა მდინარე დნესტრის მარცხენა სანაპიროზე მცხოვრებ მოლდაველთათვის გამოიყო . (Стати В. 2002: გვ 270) მათი ერთ-ერთი უმთავრესი და საერთო მიზანი, რეგიონში საბჭოთა მმართველობის დამყარების თავიდან აცილება იყო. აღსანიშნავია, როვ თავად „spatul ceris“ შიგნით, წევრთა პოზიციები ერთმანეთისაგან რადიკალურად იყო განსხვავებული. ნაწილი პრორუსული ორიენტაციის მქობე იყო, ნაწილი, პრორუსული, ხოლო ნაწილი კი დამოუკიდებელი და დემოკრატიული მოლდოვური სახელმწიფოს შექმნის იდეებს ქადაგებდა. (Ист.Респ. Молд. 2000: გვ181)

მოლდოვაში, ისევე როგორც რუსეთის შემადგენ-

ლობაში შემავალ სხვა რეგიონებში, დაიწყო საბჭოების ჩამოყალიბება-განვითარება-გაძლიერების პროცესი. ისინი აშკარად პრობოლშევისტურ პოლიტიკას ატარებდნენ. მათ პოპულარიზაციას რეგიონში არსებული მძიმე სოციალ-პოლიტიკური ხელს დიდად უწყობდა (Ист.Респ.Молд. 2000:გვ.181)

1917 წლის 2 დეკემბერს „spatul cerim" განაცხადი მოლდოვის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის შესახებ გააკეთა. (Ист.Респ.Молд. 2000:გვ.182) ამ პოლიტიკური ძალის ლიდერების მნიშვნელოვანი ნაწილი სულ უფრო აშკარად ავლენდნენ საკუთარ პრორუმინულ პოზიციას. ბესარაბიაში სიტუაცია სულ უფრო რთულდებოდა. ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები და გლეხები მდიდარ მემამულეებსა და სამხედრო საწყობებს ძარცვავდნენ. „სპატულ ცერიმ", რომელსაც თითქმის აღარ გააჩნდა საშინაო მხარდაჭერა, დახმარებისათვის საგარეო ძალებს, კერძოდ კი მეზობელი რუმინეთის კანდიდატურის განხილვა დაიწყო. (Ист.Респ.Молд. 2000:გვ.183) ამას პრობოლშევიკურ ძალთა პროტესტი მოჰყვა. რაც შეეხება რიგით ბესარაბიელებს, მათი აზრით არავინ დაინტერესებულა.

1917 წლის დეკემბრის ბოლოს „spatul cerim" რუმინეთს ჯარების შეყვანა ოფიციალურად სთხოვა. ამ გადაწყვეტილებამ შიდაპარტიული დაპირისპირება გამოიწვია. მისი რიგები დატოვეს სოციალისტური პოლიტიკური ძალების წარმომადგენლებმა. ამ გადაწყვეტილებას მხარი არც მოლდოველ სამხედროთა დიდმა ნაწილმა დაუჭირა. (Ист.Респ.Молд. 2000:გვ.184)

1918 წლის დასაწყისისათვის, ბესარაბიაში სიტუაციას პრობოლშევიკური ძალები აკონტროლებენ. ეს აშკარად არ შედიოდა რუმინეთის ინტერესებში, რომლის პირველ მსოფლიო ომში ჩაბმის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი სწორედ ამ ტერიტორიის დაკავება იყო. 1918 წლის 6 იანვარს მისმა ჯარებმა მდინარე პრუტი გადალახეს და მოლდოვის ტერიტორიაზე რამდენიმე მიმართულებიდან შევიდნენ. ოფიციალური მიზეზი, იქ გაბატონებული ანარქიის წინააღმდეგ ბრძოლა იყო. მოწინააღმდეგე ძალებმა კოსნოლიდაცია ვერ მოახერხეს. 13 ივნისს რუმინელებმა კიშინოვი დაიკავეს. (Ист.Респ.Молд. 2000:გვ.187)

24 იანვარს „spatul cerim" მოლდოვის დემოკრატიული რესპუბლიკის დეკლარაცია მიიღო.

1918 წლის 9 მარტს საბჭოთა ხელისუფლებასა და რუმინულ მხარეს შორის ხელშეკრულება დაიდო. მის თანახმადათ ამ უკანასკნელს თავისი ჯარები ბესარაბიის ტერიტრიიდან ორი თვის ვადაში უნდა გაეყვანათ, თუმცა ანტიბოლშევიკური ძალების მიერ საბჭოური ჯარების მდინარე დნესტრის მარცხენა ნაპირზე გადადევნის შემდეგ, რუმინელებმა შეთანხმების შესრულებაზე უარი თქვეს. (Ист.Респ. Молд. 2000:გვ.187)

1918 წლის 27 მარტს „spatul cerim ხმატა უმრავლესობით (86 მომხრე, 3 წინააღმდეგი, 36 თავი შეიკავა, 13 დეპუტატი კი საერთოდ არ დაესწრო კენჭის ყრის პროცესს) ბესარაბიის რუმინეთთან შეერთების შესახებ მიიღო გადაწყვეტილება..(Ист.Респ.Молд. 2000:გვ.188) აღსანიშნავია, რომ ეს გადაწყვეტილება ევროპისა და ამერიკის მიერ არ იქნა ცნობილი და მოლდოვის ტერიტორიას მდინარე დნესტრსა და პრუტს შორის ისინი რუმინეთის ნაწილად არ განიხილავდნენ. საბჭოთა კავშირი კი ბესარაბიაში რუმინულ ჯართა ყოფნას თავისი მიწების ოკუპაციად აფასებდა. (Стати В. 2002: გვ. 351)

ბესარაბიელთა ნაწილი არ ურიგდებოდა შექმნილ ვითარებას და რუმინული ჯარების მოლდოვის ტერიტორიაზე ყოფნას ოკუპაციად აფასებდნენ. მათ ზურგს ბოლშევიკები უმაგრებდნენ, ხვდებოდნენ რა, რომ მათი სახით იყო ძალა რომელიც მათ მომავალში ამ ტერიტორიის გაკონტროლებაში დაეხმარებოდა. სოციალისტთა ძირითად დასაყრდენ ძალას პროლეტარიატის წარმომადგენლები წარმოადგენდნენ.

მოლდოვის ტერიტორიაზე რამდენიმე ფართომასშტაბიანი გამოსვლა მოეწყო 1919, 1924 და 1928 წლებში, თუმცა ყველა მათგანი წარუმატებლად დასრულდა. მუშათა გაფიცვებმა და გლეხთა გამოსვლებმა სისტემატიური ხასიათი მიიღო. (Ист.Респ. Молд. 2000:გვ.198)

მოლდოვეთის ტერიტორიაზე რთული სოციალ-პოლიტიკური ვითარება შეიქმნა. თუ კი 1925 წლისათვის, მის ტერიტორიაზე რუმინეთში არსებული სამრეწველო ობიექტების 6.6% იყო, 1930- იანი წლებისათვის ეს მაჩვენებელი 1.7% დავიდა. მუშათა 8/5% უმუშევარი იყო, დიდი იყო უკმაყოფილება სასოფლო-სამეურნეო სექტორშიც. (Стати В. 2002: გვ. 319) ყელაფერი ეს კი ბოლშევიკურ ძალებს ნოყიერ ნიადაგს უქმნიდა სამოქმედოდ, რადგანაც ისინი სწორედ მუშათა და გლეხთა უფლებების დაცვის იდეებს ქადაგებდნენ.

მდინარე დნესტრის მარცხენა სანაპიროზე მოვლენები განსხვავებულად განვითარდა. 1918 წელს ბესარაბიაში რუმინული ჯარების შესვლის შემდეგ პრობოლშევიკურ ძალთა დიდმა ნაწილმა მოლდოვა დატოვა. იმავე წლის 13 მარტს ოდესის საბჭოთა რესპუბლიკა შეიქმნა, რომელმაც დნესტრისპირეთის მნიშვნელოვანი ტერიტორია მოიცვა.

1924 წლის 12 ოქტომბერს მდინარე დნესტრისა და საბჭოთა უკრაინას შორის არსებულ ტერიტორიაზე მოლდოვეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შეიქმნა. მის ტერიტორიაზე 545 500 ადამიანი ცხოვრობდა. ფართობი 8 100 კმ-კვადრატს შეადგენდა. დედაქალაქი 1929 წლიდან ტირასპოლში იყო. (სტატი 335) 1926 წლის საერთო საკავშირო აღწერის თანახმად, მასსრ მოსახლეთა 48,5% უკრაინელი იყო, 30,1% მოლდოველი, რუსი 8,5%. აღსანიშნავია, რომ 1939 წლის აღწერის თანახმად რესპუბლიკის მოქალაქეთა პროცენტული რაოდენობა შემდეგნაირი იყო: მოლდოველები - 28.5%, უკრაინელები - 50.7%, რუსები 10.2%, ებრაელები კი 6.2%/. (http://www.pmr21.info/article.php?art=105) 1920 წლამდე მიიჩნეოდა, რომ მოლდოველები რუმინული ერის განშტოება იყო. მართლაც, რუმინული და მოლდოვური ენები თითქმის იდენტურია. თუმცა არსანიშნავია,

რომ ამ უკანასკნელზე სლავური მოდგმის ხალხთან მეზობლობამ დიდი გავლენა იქონია. ეს მას რუმინულისაგან მცირედით მაგრამ მაინც განასხვავებს. (Charles King, 2000: გვ. 3) ცენტრალური ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა ადგილობრივი მასსრ მცხოვრები მოლდაველებისათვის შთაეგონებინა, რომ ისინი ცალკე ეთნოსის წარმომადგენლები იყვნენ და რუმინელებთან საერთო არაფერი ჰქონდათ. (Charles King, 2000: გვ. 4)

მდინარე დნესტრის მარჯვენა ნაპირზე მცხოვრებ მოლდოველთა რიგებში ხდებოდა სლავოფობური განწყობების კულტივირება. თავის მხრივ, მათ „მარცხენანაპირელ“ თანამემამულეებში საბჭოთა ხელისუფლება ანტირუმინულ იდეებს ქადაგებდა. ცდილობდნენ მათთვის უცხო და საძულველი გამხდარიყო ყველაფერი რაც რომანული კულტურის ნაწილი იყო. ბურჟუაზიულ და მტრულ ელემენტად მიიჩნეოდა ლათინური დამწერლობაც კი. (Стати В. 2002: გვ. 342)

საგულისხმოა, რომ ცხოვრების დონით მოლდოვეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მაცხოვრებლები შედარებით მაღალ დონეზე იყვნენ, (მაგ. 1930 -იანი წლების ბოლოსათვის, მასსრ ტერიტორიაზე 2 500 - მდე სხვადასხვა სიდიდის საწარმო იყო, რომლებშიც ათიათასობით ადამიანი იყო დასაქმებული. (Ист.Респ.Молд. 2000: გვ.210) მოსკოვი ადგილობრივთა სოც.უზრუნველყოფაზე 1939 წლისათვის 3,3 მლნ. რუბლს ხარჯავდა. (Волкова А.З. Кисько И.И გვ.137) ვიდრე მდინარე დნესტრსა და პრუტს შორის ტერიტორიაზე, რუმინეთის დაქვემდებარებაში მცხოვრები მოლდაველები. ამის მიზეზი იყო ის, რომ საბჭოთა კავშირის მესვეურები მასსრ-საგან ერთგვარ სანიმუშო სუბიექტს ჰქმნიდნენ, რათა მდინარე დნესტრის მეორე ნაპირზე მყოფ მოლდაველებში საბჭოეთისადმი სიმპათიები გაეღვივებინათ და მოეპოვებინათ მათი მხარდაჭერა, რომელიც შესაბამის მომენტში მათ ამ ტერიტორიის დაკავების საქმეს გაუადვილებდა.

„ შესაბამისი მომენტი“ 1930-იანი წლების ბოლოს დადგა. 1933 წელს გერმანიის სათავეში მოსულმა ნაციონალ-სოციალისტებმა, ადოლფ ჰიტლერის მეთაურობით, ათასწლოვანი რეიხის შექმნა განიზრახეს და დიდი დაპყრობითი ომებისათვის დაიწყეს მზადება. პირველი იერიშის მიტანა პოლონეთზე უნდა განხორციელებულიყო. ბერლინში ხვდებოდნენ, რომ იმ ეტაპზე ამ განზრახვის შესრულების წარმატების მთავარი გარანტი საბჭოთა კავშირის ნეიტრალიტეტი იყო. სწორედ ამიტომ გერმანელთა ინიციატივით 1939 წლის 23 აგვისტოს ბერლინსა და მოსკოვს შორის ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ, ე.წ. „მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი“. გაფორმდა. ამ ხელშეკრულების ე.წ. „საიდუმლო დამატების“ მე-3 პუნქტში ვკითხულობთ:

„ რაც შეეხება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას, საბჭოთა კავშირი ხაზს უსვამს თავის ინტერესს ბესარაბიის მიმართ. თავის მხრივ გერმანული მხარე აცხადებს, რომ აღიშნულ რეგიონში მას არანაირი პოლიტიკური დაინტერესება არ გააჩნია“ (http://sunapse.ru/rushistory/Documents/Document6_8.html) აღსანშნავია, რომ 1939 წელს, რუმინეთი ფაშისტური გერმანიის მოკავშირე ხდება. (Стати В. 2002: გვ. 352) როგორც ჩანს, მიუხედავად ამისა, გერმანიამ მისი არც თუ ისე ძლიერი მოკავშირის ინტერესები დაუფიქრებლად შესწირა მსხვერპლად საბჭოთა კავშირთან ურთიერთობების რეგულირებას.

საბჭოთა კავშირი მდინარე დნესტრსა და პრუტს შორის ასებული ტერიტორიის დაკარგვის ფაქტს არ ურიგდებოდა. 1940 წლის 27 ივნისს კრემლმა ბუქარესტს გაუგზავნა ნოტა, რომელშიც კატეგორიულად მოითხოვდა, რომ რუმინულ არმიას ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის ტერიტორია ოთხ დღეში უნდა დაეტოვებინა . 3 ივლისს სსრკ-სა და რუმინეთის სახელმწიფო საზღვარი მდინარე პრუტზე გაივლო. რუმინულ ჯართან ერთად მოლდოვეთის ტერიტორია ათობით ათასმა მოქალაქემ, ძირითადად ადმინისტრაციების თანამშრომლებმა, მეწარმეებმა, სასულიერო პირებმა, ინტელიგენციის წარმომადგენლებმა და უბრალოდ იმ ხალხმა რომელსაც საბჭოთა კავშირში ცხოვრების პერსპექტივა არ ხიბლავდა დატოვა. (Стати В. 2002: გვ. 357)

1940 წლის 2 აგვისტოს სსრკ უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებით, შეიქმნა მოლდოვეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელიც იმავე დღეს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იქნა მიღებული. (Ист.Респ.Молд. 2000: გვ.223) იმავე სხდომაზე დაკმაყოფილებულ იქნა „ბესარაბიელ და მოლდოვის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელთა თხოვნა გაერთიანების შესახებ“. მასსრ მსსრ შემადგენლობაში შევიდა. (Статий В. 2002: გვ. 358)

მოლდოვეთის საჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკას, კრემლის გადაწყვეტილებით ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოეჭრა. ბესარაბიის კუთვნილი აკერმანის, იზმაილოვისა და ხოტინის ოლქების დიდი ნაწილი უკრაინის საბჭოტა სოციალისტურ რესპუბლიკას გადაეცა. მასსრ შემადგენლობაში მხოლოდ ტირასპოლის, გრიგორიოპოლის, ბენდერის, დუბოსარის, კამენსკის, რიბნიცისა და სლობოძეისკის ოლქები დატოვეს, დანარჩენები აგრეთვე უკრაინის სსრ-ს შემადგენლობაში შევიდა. საზღვრის ფორმირების პროცესი 1940 წლის ნოემბრისათვის დასრულდა. (Ист.Респ.Молд. 2000: გვ. 223)

მსსრ უმაღლესი საბჭო 1941 წელს აირჩა. 226 დეპუტატთაგან 56% მოლდოველი, 22%-უკრაინელი, 17%-რუსი, ხოლო 5% სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელი იყო. (Ист.Респ.Молд. 2000: გვ.224) მოლდოვას ინტეგრაციის პროცესი სსრკ-ს შემადგენლობაში 1941 წელს, უმაღლესი საბჭოს არჩევით დასრულდა.

1917-1940 წლებში განვითარებული პროცესების შედეგად, მდინარე დნესტრის მარცხენა სანაპიროსა და ზოგადად მსსრ ტერიტორიაზე არსებული დემოგრაფიული მდგომარეობა შეიცვალა. გაიზარდა რუსულენოვანი მოსახლეობის ხვედრითი წილი .

მოლდოვის ტერიტორიის რუმინული ჯარების მიერ დაკავება, ბუქარესტის კავშირი ფაშისტურ გერმანიასთან და რუმინელთა და მოლდოველთა ახლო ურთიერთობები ეს ის ფაქტორია, რომელსაც გარე ძალები დღესაც ეფექტურად იყენებენ დნესტრის პირეთის მეამბოხე რეგიონში მაცხოვრებელი პირებისათვის ცრუ საფრთხეების შესაქმნელად. სწორედ ეს იყო მთავარი შიში, რომელიც 1990-იან წლებში იქცა კონფლიქტის მიზეზი, რამეთუ ადგილობრივ რუსულენოვან მოსახლეობას შთააგონეს, რომ კიშინიოვი მოლდოვის „ფაშისტურ რუმინეთთან" მიერთებასა და მათ ასიმილირებას გეგმავდა. როგორც დრომ აჩვენა, არც მოლდოველ და არც რუმინელ პოლიტიკოსებს მსგავსი იდეები არ ჰქონიათ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Ист.Респ.Молд. История Приднестровской молдовской республики.Министерство просвешения приднестровской молдавской республики, приднестровского гос.Университета им. Т.Г. Шевченко. Тираспол 2000
2. Стати В. Стати В. История Молдовы. Кишинёв, 2002;
3. Charles King, The Moldovans Stanford University, California , 2000.;
4. Волкова А.З. Кисько И.И. Создание приднестровской молдавской республики ; г.бендеры 2010г;
5. http://www.pmr21.info/article.php?art=105 (nanaxia 20/05/2016)
6. http://sunapse.ru/rushistory/Documents/Document6_8.html (nanaxia 20/05/2016)

საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების კონსტიტუციურობის შემოწმება და საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები

ნინო ნიშნიანიძე, *სამართლის დოქტორი*

Check of the Constitutionality of Normative Legal Acts of Georgian State Authorities and the Powers of the Constitutional Court

Nino Nishnianidze
Doctor of Law

Summary

Constitutional control, as an independent direction of the Government activities in Georgia is implemented by the Constitutional Court, the competence of which is defined by the Constitution, the Organic Law on "Constitutional Court", the Law of Georgia on "Constitutional Legal Proceedings" and the Regulations of the Constitutional Court of Georgia. After recognition of a legal act or a part of it as unconstitutional by the Constitutional Court, no legal act shall be issued/adopted if it contains the same provisions, which is declared unconstitutional. The acts of the Constitutional Court - decision, judgement, protocol records - are final and failure to comply with those is punishable: they must be immediately enforced after publication if otherwise is not established by these acts.

According to the legal nature of the Constitutional Court, recognition of any law or any other normative act as unconstitutional by it does not mean the suspension of the decisions and judgments issued earlier on the basis of that act, but it causes only the suspension of its enforcement in compliance with the rules established by the legislation.

The Constitutional Court has no authority to discuss the compliance of the whole law or other legal act with the Constitution, if the claimant or the author of the application requires recognizing unconstitutional only the part of the law or the other legal act. We think this is a drawback of current legislation, which should be solved in the way of development of a new optimal constitutional model.

საკონსტიტუციო კონტროლს, როგორც სახელმწიფო საქმიანობის დამოუკიდებელ მიმართულებას საქართველოში ახორციელებს საკონსტიტუციო სასამართლო, რომლის კომპეტენცია განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, "საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონით, "საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონის და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის საფუძველზე. კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინებით საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს შემდეგი საკითხები:

საქართველოს კონსტიტუციასთან კონსტიტუციური შეთანხმების, საქართველოს კანონების, საქართველოს პარლამენტის ნორმატიული დადგენილებების, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების, საქართველოს კონტიტუციის ამოქმედებამდე, შესაბამისობის ორგანოთა მიერ მიღებული/გამოცემული ნორმატიული აქტების, აგრეთვე საქართველოს საკანონმდებლო აქტებისა და საქართველოს პარლამენტის დადგენილებების მიღების, ხელმოწერის, გამოცემა - გამოქვეყნებისა შესაბამისობის საკითხი. 2004 წლის 25 ნოემბრის ორგანული კანონით გაიზარდა საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია და მას დაემატა საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმების უფლებამოსილება[1]... საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოჩამოთვლილ კომპეტენციასთან მიმართებაში კონსტიტუციური სარჩელის შემტანის უფლებამოსილება გააჩნიათ, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობას და საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, ხოლო მოპასუხეს წარმოადგენს ის ორგანო, რომლის ნორმატიული აქტის გამოცა რის შეტანილი კონსტიტუციური სარჩელი. თუ კონსტიტუციური სარჩელი ეხება საქართველოს კონსტიტუციის ამოქმედებამდე მიღებულ, გამოცემულ ნორმატიულ აქტს, ამ შემთხვევაში მოპასუხედ გვევლინება ამ აქტის მიმღებლის, გამომცემლის უფლებამონაცვლე ორგანო. ამ ორგანოს არარსებობისას კი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოპასუხეს საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს მთავრობა, აფხაზეთის ან აჭარის ა/რ-ის წარმომადგენლობითი ორგანოები წარმოადგენს, აღნიშნული საკანონმდებლო რეგულაცია გათვალისწინებული იქნა საქართველოს 2004 წლის 25 ნოემბრის „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში, რითაც ცვლილებები და დამატებები იქნა შეტნილი, 2002 წლის 12 თებერვალს მიღებულ და მოქმედ „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ"

1 ...საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წ.; "საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, 1996 წ.; ს/კ "საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ". 1996 წ.

საქართველოს ორგანულ კანონში,[2] ამ შემთხვევაში კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობას, საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონით აგრეთვე განსაზღვრულია კონსტიტუციური სასამართლოს პლენუმისა და კოლეგიის განსჯადი საკითხები, ხოლო ასეთი საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას მიკუთვნებული ზემოჩამოთვლილი საკითხები კონსტიტუციური სასამართლოს პლენუმისა და კოლეგიის განსჯად საკითხებს წარმოადგენს, მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის განსჯად საკითხებს წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებათა ან შეთანხმებათა კონსტიტუციურობის საკითხის შემოწმება.

საკონსტიტუციო სასამართლოში საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა ან მათ ცალკეულ დებულებათა კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური უფლება აქვთ საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობას და საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, ხოლო კონსტიტუციური წარდგინების შეტანისა მხოლოდ – საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, ასეთი რეგულაცია ახალი რედაქციით 2004 წლის 25 ნოემბრის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონით[3] ჩამოყალიბდა, კონსტიტუციური წარდგინება შეიტანება იმ საერთაშორისო ხელშეკრულებისა, თუ შეთანხმების ან მათ ცალკეული დებულებათა კონსტიტუციურობის თაობაზე, რომლებიც ექვემდებარება რატიფიცირებას.

კონსტიტუციური წარდგინების შეტანა შეიძლება მათ რატიფიცირებამდე ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა საქართველოს 2002 წლის 12 თებერვლის .“საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე.

კონსტიტუციური სარჩელის შეტანა დასასვებია მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებისა, თუ შეთანხმების ან მათ ცალკეული დებულებათა კონსტიტუციურობის თაობაზე იმ შემთხვევაში თუ:

ა) რატიფიცირებული საერთასორისო ხელშეკრულებისა თუ შეთანხმების ან მათ ცალკეულ დებულებათა დენონსირებაზე ან გაუქმებაზე საქართველოს პარლამენტის მიერ უარის თქმიდან 30 დღის ვადაში. ამ შემთხვევაში მოპასუხეა საქართველოს პარლამენტი;

ბ) რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებისა თუ შეთანხმების ან მათ ცალკეულ დებულებათა დენონსირების ან გაუქმების საკითხის საქართველოს პარლამენტის წინაშე დასმიდან არაუადრეს 31-ე და არაუგვიანეს მე-60 დღისა, თუ პარლამენტმა 30 დღეში არ გადაწყვიტა საკითხი;

გ) თუ საერთაშორისო ხელშეკრულება ან შეთანხმება არ ექვემდებარება რატიფიცირებას (პუნქტი დაემატა საქართველოს 2002 წლის 12 თებერვლის ორგანული კანონით კონსტიტუციური სარჩელის შეტანა ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულებების, შეთანხმების ან მათ ცალკეულ დებულებათა კონსტიტუციასთან შესაბამისობის შესახებ, რომლებიც რატიფიცირებულია საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი შემადგენლობის უფლებამოსილების ცნობამდე, შეიძლება მათი რატიფიცირების შემდეგაც. ამ შემთხვევაში საკონსტიტუციო სარჩელის შეტანა შიძლება საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი შემადგენლობის უფლებამოსილების ცნობიდან სამი თვის ვადაში.

საქართველოს პარლამენტში ხელშეკრულების დენონსირების საკითხის განხილვა აჩერებს ამ ვადას აღნიშნული ცვლილება განხორციელდა საქართველოს 2002 წლის 12 თებერვლის ორგანული კანონით).

დასახელებულ საკითხებზე კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება, აგრევე საერთო სასამართლო კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების თუ შეთანხმებების ან მათი ცალკეული ნაწილების არაკონსტიტუციურად ცნობა იწვევს არაკონსტიტუციურად ცნობილი საერთაშორისო ხელშეკრულების თუ შეთანხმების ან მათი ცალკეული ნაწილების საქართველოსათვის ბათილად ცნობას, ხოლო კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე საერთაშორისო ხელშეკრულების თუ შეთანხმების ან მათი ცალკეული ნაწილების არაკონსტიტუციურად ცნობა იწვევს არაკონსტიტუციურად ცნობილი საერთაშორისო ხელშეკრულების თუ შეთანხმების რატიფიცირების დაუშვებლობას (საქართველოს 2002 წლის 12 თებერვლის ორგანული კანონით[4] – საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს გენერალური პროკურორის, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარისა და საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის საკითხი;

საკონსტიტუციო სასამართლოში აღნიშნული პირების საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის შესახებ დასკვნების მისაღებად კონსტიტუციური წარდგინების, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონითა და “იმპიჩმენტის” შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესის საფუძველზე კონსტიტუციური სარჩელის უფლება აქვს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. ამ საკითხზე დასკვნის მომზადებისას საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია მოიწვიოს

2 “საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონში ცვლილებებისა და დამატების შესახებ, 2002 წლის 12 თებერვალი, 2004 წლის 25 ნოემბერი

3 “საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონში ცვლილებებისა და დამატების შესახებ, 2002 წლის 12 თებერვალი, 2004 წლის 25 ნოემბერი

4 “საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონში ცვლილებებისა და დამატების შესახებ, 2002 წლის 12 თებერვალი, 2004 წლის 25 ნოემბერი

შესაბამისი თანამდებობის პირები, ხოლო გათვალისწინებულ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლო დაადგენს საქართველოს კონსტიტუციის 63-ე და 64-ე მუხლებით გათვალისწინებულ კონსტიტუციურობას.

- დავა "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ", კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე (დაემატა საქართველოს 2004 წლის 25 ნოემბრის ორგანული კანონით);

გათვალისწინებულ შემთხვევებში საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ: საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობას, საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს, ხოლო მოპასუხეა ის ორგანო/თანამდებობის პირი, რომელმაც მოსარჩელე სუბიექტთა აზრით დაარღვია "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონი (მუხლი დაემატა საქართველოს 2004 წლის 25 ნოემბრის ორგანული კანონით). თუ საკონსტიტუციო სასამართლო გამწესრიგებელ სხდომაზე დაადგენს, რომ სადავო ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლების საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ცნობილია არაკონსტიტუციურად, გამოაქვს განჩინება საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობისა და სადაო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ (დაემატა საქართველოს 2004 წლის 25 ნოემბრის ორგანული კანონით.[5] საქართველოს კონსტიტუციასთან "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან, კონსტიტუციურ შეთანხმებასთან, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან და საქართველოს კანონებთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესაბამისობის კანონით (დაემატა საქართველოს 2004 წლის 25 ნოემბრის ორგანული კანონით[6]

აღნიშნულ საკითხზე დავის შემთხვევაში კონსტიტუციური წარდგინების შეტანის უფლებამოსილება გააჩნია საქართველოს პარლამენტს დადგენილებით, ამავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქართველოს პარლამენტის კონსტიტუციური წარდგინების განსახილველად მიღება იწვევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი ნორმატიული აქტის მოქმედების შეჩერებას საქმეზე, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე (მუხლი დაემატა საქართველოს 2004 წლის 25 ნოემბრის ორგანული კანონით[7]

გათვალისწინებულ შემთხვევებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის საქართველოს კონსტიტუციასთან "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან, კონსტიტუციურ შეთანხმებასთან, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან და საქართველოს კანონებთან შეუსაბამობის დადასტურება იწვევს სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან (დაემატა საქართველოს 2004 წლის 25 ნოემბრის ორგანული კანონით[8] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია განიხილავს:

- დავას სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის თაობაზე;
- მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხს;
- დავას რეფერენდუმისა და არჩევნების კონსტიტუციურობის შესახებ;
- საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან მიმართებით მიღებული ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხს;
- საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის, ამ უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს;
- საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია დავას სახელმწიფო კომპეტენციის შესახებ განიხილავს კონსტიტუციური სარჩელის შეტანის საფუძველზე, რომლის შეტანის უფლებამოსილება გააჩნიათ საქართველოს პრესიდენტს, თუ იგი მიიჩნევს, რომ დარღვეულია მისი კომპეტენცია ან დაირღვა სახელმწიფო ორგანოთა კონსტიტუციური უფლებამოსილების ფარგლები, საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს თუ მიაჩნია, რომ დარღვეულია საქართველოს პარლამენტის ან სხვა სახელმწიფო ორგანოს კონსტიტუციური უფლებამოსილების ფარგლები, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლში ჩამოთვლილ სახელმწიფო ორგანოებს, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ დარღვეულია მათი კონსტიტუციური უფლებემოსილების ფარგლები. ხოლო მოპასუხეა ის სახელმწიფო ორგანო, რომლის ნორმატიულმა აქტმაც მოსარჩელე სუბიექტის აზრით გამოიწვია მისი კონსტიტუციური უფლებამოსილების დარღვევა (შეიცვალა 2002 წლის 12 თებერვლის ორგანული კანონით).

კომპეტენციის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების მიღებისთანავე საკონსტიტუციო საასამართლო სარჩელის ან წარდგინების ასლს გადაუგზავნის საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობას, საქართველოს პარლამენტს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით ირგანოებს, თუ ასლის ჩაბარებიდან 15 დღის ვადაში

5 "საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონში ცვლილებებისა და დამატების შესახებ, 2002 წლის 12 თებერვალი, 2004 წლის 25 ნოემბერი

6

7

8 "საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონში ცვლილებებისა და დამატების შესახებ, 2002 წლის 12 თებერვალი, 2004 წლის 25 ნოემბერი

მოპასუხეთაგან რომელიმე მათგანიო განაცხადებს, რომ კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების დაკმაყოფილება გამოიწვევს მისი უფლებამოსილების ფარგლების დარღვევას, საკონსტიტუციო სასამართლოს ეკისრება განმცხადებლის საქმეში, მხარის ჩაბმის ვალდებულება (ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა (საქართველოს 2004 წლის 25 ნოემბრის ორგანული კანონით).

გათვალისწინებულ საკითხებზე კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს კომპეტენციის დამრღვევი ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად ცნობას მისი ამოქმედებიდან (შეიცვალა 2002 წლის 12 თებერვლის ორგანული კანონით).

– მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებათა შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლებამოსილება გააჩნია საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის წევრთა ერთ მეხუთედს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს წაემომადგენლობით ორგანოებს.

გათვალისწინებულ შემთხვევებში მოპასუხეა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება და მისი მარეგისტრირებელი ორგანო (შეიცვალა 2002 წლის 12 თებერვლის ორგანული კანონით).

ამ შემთხვევაში კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების რეგისტრაციის აქტის გაუქმებას (შეიცვალა 2002 წლის 12 თებერვლის ორგანული კანონით).

– საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია განიხილავს დავას რეფერენდუმის ან არჩევნების კონსტიტუციურობის შესახებ.

ამ შემთხვევაში კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ შემდეგ სუბიექტებს:

ა) საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, თუ საქართველოს პრეზიდენტმა საკუთარი ინიციატივით ან ამომრჩეველთა მოთხოვნით დანიშნა, ან საქართველოს პარლამენტის მოთხოვნის მიუხედავად არ დანიშნა რეფერენდუმი. აქ მოპასუხეა საქართველოს პრეზიდენტი.

კონსტიტუციური სარჩელის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 15 დღეს საქართველოს კონსტიტუციის 74-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ვადის გასვლიდან, ან რეფერენდუმის დანიშვნის თარიღიდან;

ბ) საქართველოს სახალხო დამცველს, თუ ამომრჩეველთა მოთხოვნის მიუხედავად არ დაინიშნა რეფერენდუმს;

გ) საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, საქართველოს სახალხო დამცველს, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ რეფერენდუმის ჩატარება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 74-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნებს. ამ შემთხვევაშიც მოპასუხეა საქართველოს პრეზიდენტი.

კონსტიტუციური სარჩელის ვადა ამ შემთხვევაშიც არ უნდა აღემატებოდეს 15 დღეს საქართველოს კონსტიტუციის 74-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ვადის გასვლიდან, ან რეფერენდუმის დანიშვნის თარიღიდან;.

დ) საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს სახალხო დამცველს, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ რეფერენდუმ ჩატარებულია საქართველოს კონსტიტუციის 74-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით (დაემატა 2002 წლის 12 თებერვლის ორგანული კანონით).

გათვალისწინებულ შემთხვევაში საკონსტიტუციო სარჩელის შეტანის ვადა არ უნდა აღემატებოდეს შვიდ დღეს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეფერენდუმის შედეგების გამოქვეყნების მომენტიდან (2002 წლის 12 თებერვლის ორგანული კანონით).

საკონსტიტუციო სასამართლოში არჩევნების კონსტიტუციურობის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლებამოსილება გააჩნიათ:

ა) საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, საქართველოს სახალხო დამცველს, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები დაინიშნა საქართველოს კონსტიტუციის 70-ე მუხლის მე-7 პუნქტის, მე-10 პუნქტის, ან/და 76-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით, ან არ დაინიშნა ამავე მოთხოვნათა მიუხედავად.

ამ შემთხვევაში მოპასუხეა საქართველოს პარლამენტი (ვადამდელი არჩევნების დანიშვნისას) ან საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია;

ბ) საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები გაიმართა საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის ან 70-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოპასუხეა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია;

გ) საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, საქართველოს სახალხო დამცველს, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ საქართველოს პარლამენტის საერთო ან ხელახალი არჩევნები, ან არჩევნები პარლამენის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გამო დაინიშნა საქართველოს კონსტიტუციის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის, მე-5 პუნქტის, ან/და 73-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით, ან არ დაინიშნა ამავე მოთხოვნათა მიუხედავად, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტს, თუ იგი მიიჩნევს, რომ საქართველოს პარლამენტის ხელახალი არჩევნები, ან არჩევნები პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გამო დაინიშნა საქართველოს კონსტიტუციის 50-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით, ან არ დაინიშნა ამავე მოთხოვნათა მიუხედავად.

მოცემულ შემთხვევაში მოპასუხეა საქართველოს პრეზიდენტი (საერთო არჩევნების დანიშვნისას), ან საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (ხე-

ლახალი არჩევნების ან პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გამო არჩევნების დანიშვნისას);

დ) საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის წევრთა არა ნაკლებ ერთ მეხუთედს, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ საქართველოს პარლამენტის არჩევნები გაიმართა საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის, 49-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების ან/და 50-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით. ამ შემთხვევაში მოპასუხეა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია;

ე) საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, საქართველოს სახალხო დამცველს, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნები დაინიშნა საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის ან/და 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით ან არ დაინიშნა ამავე მოთხოვნათა მიუხედავად. აღნიშნულ შემთხვევაში მოპასუხეა შესაბამისი საოლქო-საარჩევნო კომისია ან/და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია;

ვ) საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნები გაიმართა საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის ან/და 28-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით.

კონსტიტუციური სარჩელი აღნიშნული არჩევნების გამართვის კონსტიტუციურობის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოში შეიძლება შეტანილი იქნას შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან სამი დღის ვადაში (მუხლი ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა 2002 წლის 12 თებერვლის ორგანული კანონით).[9]

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გათვალისწინებულ საკითხზე კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს რეფერენდუმზე გასატან საკითხზე რეფერენდუმის გამართვის აკრძალვას, დანიშნული რეფერენდუმის გაუქმებას. ამ რეფერენდუმის დანიშვნის დავალდებულებას, დანიშნული არჩევნების გაუქმებას, ან არჩევნების დანიშვნის დავალდებულებას, არჩევნების ან რეფერენდუმის შედეგების მთლიანად ან ნაწილობრივ (ცალკეულ საარჩევნო ოლქებში, ან საარჩევნო უბნებში) ბათილად ცნობას (ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა საქართველოს 2002 წლის 12 თებერვლის ორგანული კანონით).

– საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან მიმართებით მიღებული ნორმატიული აქტების ან მისი ცალკეული ნორმების კონსტიტუციურობის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ:

ა) საქართველოს მოქალაქეებს, საქართველოში მცხოვრებ სხვა ფიზიკურ პირებს და საქართველოს იურიდიულ პირებს, თუ მათ მიაჩნიათ, რომ დარღვეულია ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული მათი უფლებანი და თავისუფლებანი.

ბ) საქართველოს სახალხო დამცველს, თუ მას მიაჩნია, რომ დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი.

გათვალისწინებულ შემთხვევებში მოპასუხეა ის ორგანო, თანამდებობის პირი, რომლის აქტმაც მოსარჩელის აზრით გამოიწვია საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით აღიარებული ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევა (მუხლი ჩამოყალიბდა ასეთი რედაქციით საქართველოს 2002 წლის 12 თებერვლის ორგანული კანონით).

გათვალისწინებულ საკითხებზე ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურობის დადასტურება იწვევს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის, ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობას, საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან (ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა საქართველოს 2002 წლის 12 თებერვლის ორგანული კანონით).

– საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების საკითხი ამ მიმართებით პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ: საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, აგრეთვე იმ მოქალაქეს, ვისი, როგორც პარლამენტის წევრის, უფლებამოსილება არ ცნო ან ვადამდე შეწყვიტა საქართველოს პარლამენტმა. აქ მოპასუხეა საქართველოს პარლამენტი (შეიცვალა საქართველოს 2002 წლის 12 თებერვლის ორგანული კანონით), ხოლო კონსტიტუციური სარჩელის შეტანის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ორ კვირას, საქართველოს პარლამენტის შესაბამისი გადაწყვეტილების ამოქმედებიდან (შეიცვალა საქართველოს 2002 წლის 12 თებერვლის ორგანული კანონით). გათვალისწინებულ საკითხზე კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს:

ა) შესაბამისი დადგენილების ძალადაკარგულად ცნობას, მისი ძალაში შესვლის მომენტიდან და პარლამენტის წევრის უფლებამოსილების აღდგენას, თუ პარლამენტმა მას ვადამდე შეუწყვიტა უფლებამოსილება;

ბ) შესაბამისი დადგენილების ძალადაკარგულად ცნობას, მისი ძალაში შესვლის მომენტიდან და მოქალაქის, როგორც პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობას, თუ პარლამენტმა არ ცნო მისი უფლებამოსილება;

გ) შესაბამისი დადგენილების ძლადაკარგულად ცნობას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტდან და პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას, თუ მას პარლამენტმა ვადამდე არ შეუწყვიტა უფლებამოსილება;

9 1. საქართველოს კონსტიტუცია; 2.კანონმდებლობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ. თბილისი, 2005 წ. 155 გვ.; 3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი, თბ.1996 წ.

დ) იმ დადგენილების ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტდან, რომლითაც პარლამენტმა ცნო პარლამენტის წევრის უფლებამოსილება (ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა საქართველოს 2002 წლის 12 თებერვლის ორგანული კანონით).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების განხილვის ვადები განსაზღვრულია კანონმდებლობით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განსახილველად მირებიდან. განსაკუთრებულ შემთხვევებში სარჩელის განხილვის ვადის გაგრძელების უფლებამოსილება, დავის საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე გააჩნია საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებული სარჩელის განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 17 დღეს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანიდან.

საკონსტიტუციო სასამართლოში საქართველოს პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს — საკრებულოს, გამგებლის, მერის არჩევნების, აგრეთვე რეფერენდუმის დანიშვნის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებული კონსტიტუციური სარჩელის განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განსახილველად მიღებიდან. განსაკუთრებულ შემთხვევაში, სარჩელის განხილვის ვადის გაგრძელების უფლებამოსილება გააჩნია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაა — თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დასკვნის, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, რათის კანონი, ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას, მთლიანად ან ნაწილობრივ მიჩნეული იქნეს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს.

საქმის განხილვა განახლდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყეტის შემდეგ (პუნქტად ჩამოყალიბდა საქართველოს 2002 წლის 12 თებერვლის ორგანული კანონით).

საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური წარდგინების შეტანის უფლებამოსილება აქვს საქმის განმხილველ სასამართლოს. ასეთ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო საქმეს განიხილავს წარდგინების ავტორისა და იმ ორგანოს დაუსწრებლად, რომლის აქტიც უნდა გახდეს დავის საგანი (შეიცვალა საქართველოს 2002 წლის 12 თებერვლის ორგანული კანონით).

საკონსტიტუციო სასამართლო თავისი შემდეგი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში, – საქართველოს კონსტიტუციასთან კონსტიტუციური შეთანხმების, საქართველოს კანონების, საქართველოს პარლამენტის ნორმატიული დადგენილებების, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების, საქართველოს კონტიტუციის ამოქმედებამდე, შესაბამისობის ორგანოთა მიერ მიღებული/გამოცემული ნორმატიული აქტების, აგრეთვე საქართველოს საკანონმდებლო აქტებისა და საქართველოს პარლამენტის დადგენილებების მიღების/ხელმოწერის, გამოცემა/გამოქვეყნებისა და შესაბამისობის საკითხის გარკვევისას აგრეთვე, სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის, რეფერენდუმის ან არჩევნების კონსტიტუციურობის დავის არსებობისას, საერთაშორისო ხელშეკრულებებათა ან შეთანხმებათა, ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის დადგენისას ამოწმებს:

ა) კონსტიტუციასთან მისი შინაარსის შესაბამისობას, რომლის დროსაც მხედველობაში იღებს სადაო ნორმის არამარტო სიტყვასიტყვით მნიშვნელობას, არამედ მასში გამოხატულ ნამდვილ აზრსა და მისი გამოყენების პრაქტიკას, აგრეთვე შესაბამისი კონსტიტუციური ნორმის ახსნას;

ბ) არკვევს დაცულია, თუ არა საქართველოს საკანონმდებლო აქტისა და საქართველოს პარლამენტის დადგენილების მიღების/გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების კონსტიტუციით დადგენილი წესი.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ არ შეიძლება ისეთი სამართლებრივი აქტის მიღება/გამოცემა, რომელიც შეიცავს იგივე შინაარსის ნორმებს, რომლების არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი.

საკონსტიტუციო სასამართლოს აქტები: გადაწყვეტილება, განჩინება, საოქმო ჩანაწერი საბოლოოა და მისი შეუსრულებლობა კანონდასჯადია და ისინი გამოქვეყნების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა ასრულდეს, თუ ამ აქტებით სხვა რამ არაა დადგენილი.

საკონსტიტუციო სასამართლოს იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე მის მიერ ცნობილი კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე ადრე გამოტანილი გადაწყვეტილებებისა და განაჩენების გადაწყვეტილების შეჩერებას, იწვევს მხოლოდ მათი აღსრულების შეჩერებას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკონსტიტუციო სასამართლოს არ გააჩნია უფლებამოსილება იმსჯელოს მთლიანად კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობაზე, თუ მოსარჩელე ან წარდგინების ავტორი ითხოვს კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის მხოლოდ რომელიმე ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას. ეს მიგვაჩნია დღეისათვის მოქმედი კანონმდებლობის ხარვეზად, რომელიც გადასაჭრელია

საკონსტიტუციო ახალი, ოპტიმალური მოდელის შემუშავების გზით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წ.
2. "საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, 1996 წ.
3. ს/კ "საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ". 1996 წ.
4. ვოლფგანგ გაული, კონსტიტუციის მიღება და შემუშავება საქართველოში, ქ. თბილისი, 2002წ. 455 გვ.
5. საქართველოს კონსტიტუცია. კანონმდებლობა საქაერთველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ. თბილისი, 2005 წ. 155 გვ.
6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი, თბ.1996 წ.
7. ო. მელქაძე, ბ. დვალი. სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში. თბილისი, 2000 წ.
8. ჰერმან შვარცი. კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში. თბილისი, "აირის საქართველო", 2003 წ.
9. Garlicki, leszek. "The influence of American Ideas on the Development of Constitutionalism in Poland and Eastern Europe". In Constitutionalism and Human Rights: America, Poland and France, editied by Kenneth Thompson and J.R.Ludwikowski, University Press of America, .
10. Gionea, V. "Decisions of the Constitutional court and Theier Effects". In the role of the Constitutional Court in the Constitutional of the rule of law. Strasbourg: Council of Europe Press, 1994.
11. გერმანიის კონსტიტუცია, 1949 წ.
12. Баглай М.В. Слово о конституционном правосудии. Закон и право. 2002. № 2.
13. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები. ,,ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი" თბ., 2005 წ.
14. "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონი. 1996 წ.
15. საქართველოს ორგანული კანონი "საქართველოს მოქალაქეობის შესახებ", 1993 წ.

საგადასახადო საიდუმლოების ზოგიერთი ასპექტი საჯარო მმართველობაში

გენო მორჩილაძე, *სტუ-ს დოქტორანტი*

რეზიუმე

თანამედროვე ქართულ საგადასახადო სამართალში საგადასახადო საიდუმლოება აქტუალური განსჯის საგანადაა ქცეული. ზოგადად, საგადასახადო საიდუმლოება ახალი ინსტიტუტია ქართულ კანონმდებლობაში, სწორედ ეს არის ის ძირითადი ფაქტორი, რამაც მიიპყრო კანონმდებლის ყურადღება, ეს ინსტიტუტი მოითხოვს დამუშავებას და მიღებული კანონების სწორად გამოყენებას.

ეკონომიკის თანამედროვე განვითარების პირობებში, აქტუალობას იძენენ კითხვები, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფოს ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან და მის საგადასახადო სფეროს უსაფრთხოებასთან. ქვეყნის საგადასახადო საიდუმლოებების დაცვას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, ქვეყნის სოციალურ ეკონომიკური მექანიზმისათვის. პრაქტიკულად ყველა ქმედით უნარიანი მოქალაქე არის გადასახადის გადამხდელი. ამიტომაც სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა ამ სფეროში უზრუნველყოს სუბიექტის სამართლებრივი უსაფრთხოება, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ საფინანსო ურთიერთობებში. ხოლო საკითხები კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის შესახებ მჭიდროდ არის დაკავშირებული საგადასახადო საიდუმლოების ინსტიტუტთან.

საგადასახადო საიდუმლოება თავისი არსით არის ინფორმაცია შეზღუდული წვდომის, სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ამ სახის ინფორმაციის წვდომაზე ვრცელდება კანონი.

ხშირად ესმება ხაზი, იმ გარემოებას, რომელიც შეიცავს საგადასახადო საიდუმლოებას, შეიძლება ჩამოყალიბებულ იქნას სხვადასხვა სამართლებრივი ურთიერთობებით. ინფორმაციის მოძიების, მიღების, შენახვის, გავრცელების, დაცვის და აგრეთვე პასუხისმგებლობის, ინფორმაციის განთქმისა და მისი არაკანონიერი გამოყენების შესახებ. რაც შეეხება საგადასახადო საიდუმლოების ინსტიტუტს, მას განსაზღვრავენ როგორც კომპლექსურს, რომელიც თავის თავში შეიცავს არამარტო საგადასახადო ნორმებს არამედ საინფორმაციო ადმინისტრაციულ, სისხლის სამართლებრივ და სხვა სამართლებრივ დარგებს.

საკვანძო სიტყვები; საგადასახადო საიდუმლოება, გადასახადის გადამხდელი, სახელმწიფო შესყიდვა, საგადასახადო ომბუცმენის ინსტიტუტი.

Some aspects of tax secrecy in Public Administration

Summary

In modern Georgian Tax Law Tax secrecy is turned as actual judgment subject. In general, the tax secrecy is a new institution in Georgian legislation; this is a major factor that drew the attention of the legislature, this institute requires development and use applied laws properly.

In condition of modern development of economy, acute questions relating to the financial safety and security of its tax system. Tax secrecy has special meaning to the country's socio-economic mechanism. Virtually all citizens are capable of effective taxpayer. That is why the state is one of the priorities in this field to ensure the legal security of the subjects participating in financial relations. The questions about confidential information are closely related to the tax secrecy institute.

Tax secrecy is inherently limited with information access, in other words, this kind of access to the information covered by the law.

Often attributed the fact that present tax secrecy, which can be formulated as a variety of legal relations. Information retrieval, receipt, storage, distribution, and protection as well as responsibility, and the illicit use of the information betray. As for the tax secrecy institution, define it as a complex, which in itself contains not only tax standards but also information in the administrative, criminal and other legal fields.

* * * * * *

,,საიდუმლოების" ცნების კანონმდებლობით განსაზღვრა, თუნდაც საკონსტიტუციო დონეზე კონცეპტუალურად მნიშვნელოვანი პრობლემაა.

საკანონმდებლო თვალსაზრისით ,,საიდუმლოება'' სოციალურ სამართლებრივი რეალობაა, რაც ინფორმაციის შენახვისადმი წვდომასა და გარკვეული კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენებას გულისხმობს. საიდუმლოების შესახებ კანონის დარღვევის შემთხვევაში ბუნებრივია, გათვალისწინებული უნდა იყოს სათანადო სამართლებრივი პასუხისმგებლობა. [1]

საგადასახადო ინფორმაცია - ეს არის გამორჩეული სახის ინფორმაცია, რომელიც განსაზღვრულია უშუალოდ საგადასახადო მიზნების განხორციელებისათვის, ამიტომ ინფორმაცია, რომელსაც განკარგავენ საგადასახადო ორგანოები, შეიცავს არა მხოლოდ ეკონომიურ ინფორმაციას არამედ გადასახადის გადამხდელის პერსონალურ მონაცე-

მებს, ინფორმაციას საგადასახადო აგენტებზე და იმ პირებზე, რომელსაც შეხება ქონდა გადასახადის გადახდასთან და ხვდებიან საგადასახადო კანონის პერსონალური დაცვის ქვეშ.

თანამედროვე ქართულ საგადასახადო სამართალში საგადასახადო საიდუმლოება აქტუალური განსჯის საგანადაა ქცეული. ბოლო დროს საქართველოს მთავრობა ხშირად ახდენს პარლამენტში ახალი კანონპროექტების ინიცირებას ამ კუთხით, რაც უფრო მეტად აქტუალურს ხდის საგადასახადო საიდუმლოებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის საკითხებს. აღნიშნული პრობლემის აქტუალურობა მხოლოდ ამ გარემოებებით არ განისაზღვრება. ზოგადად, საგადასახადო საიდუმლოება ახალი ინსტიტუტია ქართულ კანონმდებლობაში, სწორედ ეს არის ის ძირითადი ფაქტორი, რამაც მიიპყრო კანონმდებლის ყურადღება, ეს ინსტიტუტი მოითხოვს დამუშავებას და მიღებული კანონების სწორად გამოყენებას.

ხშირად ისმის კითხვა იმის თაობაზე, უნდა ქონდეს თუ არა ყველა სამინისტროს წვდომა საგადასახადო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციაზე. მოქმედი კანონმდებლობით, ინფორმაცია მეწარმის შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომია მხოლოდ მისი სამართლებრივი ფორმის, მისამართის, დამფუძნებლების და სხვა მონაცემები, რომელიც ასახულია საჯარო რეესტრის ბაზაში. სხვა ნებისმიერი ტიპის ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია საწარმოს სასაქონლო-ფინანსურ ოპერაციებთან, წარმოების პროცესთან, ურთიერთობებთან სხვა საწარმოებთან, საგადასახადო ორგანოებთან, დაკისრებულ სანქციებთან არის საიდუმლო და მათი მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში და სპეციალური პროცედურების დაცვით. ცხადია, ამ ნორმის ამოცანაა დაიცვას მეწარმეობის დამოუკიდებლობა გარეშე ჩარევებისაგან და უზრუნველყოს ჯანსაღი კონკურენცია.

მთავრობის განცხადებით, როდესაც ზემოთ აღნიშნული საკითხის საკანონმდებლო ცვლილებაზე იყო საუბარი, კანონპროექტი, რომლის მიღებასაც აპირებდნენ მიზნად ისახავდა დაბალშემოსავლიანი სოციალური ჯგუფის: დევნილებისა და იძულებით გადაადგილებული პირების იდენტიფიკაციას მათთვის სოციალური დახმარების გასაწევად. (2014 წლის 9 იანვრის აღნიშნული კანონპროექტი დევნილთა და განსახლების სამინისტრომ წარუდგინა პარლამენტს განსახილველად)

მიგვაჩნია, რომ ეს პოზიცია არ შეესაბამება თვით კანონპროექტის შინაარსს, რომლის თანახმადაც ყველა საჯარო დაწესებლებას ექნება წვდომა მეწარმის საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა მონაცემზე, კერძოდ, თუკი დასახვეწია დევნილთა და იძულებით გადადგილებულ პირთა სოციალური დახმარების სისტემა, მაშინ ცვლილება უნდა განხორციელებულიყო იმ სამართლებრივ აქტებში, რომელიც უშუალოდ არეგულირებს ამ დახმარების გაცემას. მაგალითად, ამ შემთხვევაში, ბუნდოვანია გარემოს დაცვის, სასჯელაღსრულების თუ სხვა სამინისტროების ფუნქცია.

გარდა იმისა, რომ ზოგადად კანონპროექტის მიღება ეწინააღმდეგება მეწარმეობის თავისუფლებისა და ჯანსაღი ბიზნესგარემოს იდეებს, შეიძლება პროგნოზირება სახელწმფო შესყიდვებთან დაკავშირებულ პრობლემებზე, კერძოდ: მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვის დროს შემსყიდველი ორგანიზაცია მიმწოდებელ საწარმოსა თუ პირს შეარჩევს ჯერ შეთავაზებული ფასის, შემდეგ ტექნიკური დოკუმენტაციის (ინფორმაცია საქონლის ან მომსახურების შესახებ) და ბოლოს საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. როგორც ვხედავთ, შესყიდვის განხორციელების დროს მომწოდებლის შერჩევა უმთავრესად დამოკიდებულია ფასსა და შესყიდვის ობიექტზე, რაც შეეხება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, მასში იგულისხმება ზოგადი ინფორმაცია საწარმოს შესახებ - დამფუძნებლები, სამართლებრივი ფორმა, სარეგისტრაციო მონაცემები, დავალიანება და სხვა ისეთი ინფორმაცია, რომელიც საჯაროა. [2]

ჩვენი დაკვირვებით, შესყიდვების შესახებ კანონმდებლობა ამომწურავად არ აკონკრეტებს, თუ რა საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს საწარმომ, რომ ტენდერში გამარჯვებულად ჩაითვალოს, მაგრამ ადგენს, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციამ ასეთი დოკუმენტების რაც შეიძლება მინიმალური რაოდენობა უნდა მოითხოვოს.

პრაქტიკის შესაბამისად, იმ საწარმოებს, რომლებმაც წარმატებით გაიარეს ფასებისა და ტექნიკური პირობების შერჩევის ეტაპი, როგორც წესი თხოვენ წამოადგინონ ცნობა, რომლის თანახმადაც მათ მიმართ არ მიმდინარეობს ისეთი პროცედურები, რომელიც შეუძლებელს გახდიდა სატენდერო პირობებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. დანარჩენი დოკუმენტაცია ისედაც საჯაროა და მათი მოპოვება შესაძლებელია ინტერნეტით. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველ ორგანიზაციას წვდომა ექნება ტენდერში მონაწილე საწარმოს ისეთ ინფორმაციასთან, რომელიც დაკავშირებულია მის ურთიერთობებთან სხვა საწარმოებთან, საგადასახადო ორგანოებთან, წარსულში საგადასახადო სანქციებთან და ა.შ., სატენდერო კომისიებს გაუჭირდებათ და დროში გაიწელება საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, რაც საზიანოა როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის ნორმალური ფუნქციონირებისათვის, ასევე საწარმოთა საქმიანობისთვის. ამასთან, საგადასახადო საიდუმლოებაზე შეუზღუდავი წვდომა წარმოშობს შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან ამ ცნობების ბოროტად გამოყენების რისკს, მოახდინონ არასასურველი საწარმოების დისკვალიფიკაცია ტენდერიდან, რაც კორუფციასთან იქნება დაკავშირებული.

მოკლედ, რომ ვთქვათ, საიდუმლო ინფორმაციის პოტენციურ მიმღებთა სია ისედაც საკმაოდ გრძელია, რაც უფრო მეტს აქვს წვდომა ამ სახის ინფორმაციაზე მით უფრო მეტია ინფორმაციის გაჟონვის რისკები.

ეკონომიკის თანამედროვე განვითარების პირობებში, აქტუალობას იძენს კითხვები, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფოს ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან და მის საგადასახადო სფეროს უსაფრთხოებასთან. ქვეყნის საგადასახადო საიდუმლოებების დაცვას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, ქვეყნის სოციალურ ეკონომიკური მექანიზმისათვის. პრაქტიკულად ყველა ქმედით უნარიანი მოქალაქე არის გადასახადის გადამხდელი. ამიტომაც სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა ამ სფეროში უზრუნველყოს სუბიექტის სამართლებრივი უსაფრთხოება, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ საფინანსო ურთიერთობებში. ხოლო საკითხები კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის შესახებ მჭიდროდ არის დაკავშირებული საგადასახადო საიდუმლოების ინსტიტუტთან. ამ დასკვნის გაკეთების საფუძველს გვაძლევს მოქმედი საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლი. [3]

აქედან გამომდინარე გარკვეულ პირობებში ერთიდაიგივე ეკონომიური ინფორმაცია ერთ დროულად ხვდება რამდენიმე სხვადასხვა სამართლებრივი რეჟიმის იურისდიქციის ქვეშ.

ხშირად ესმება ხაზი, იმ გარემოებას, რომელიც შეიცავს საგადასახადო საიდუმლოებას, შეიძლება ჩამოყალიბებულ იქნეს სხვადასხვა სამართლებრივი ურთიერთობებით. ინფორმაციის მოძიების, მიღების, შენახვის, გავრცელების, დაცვის და აგრეთვე პასუხისმგებლობის, ინფორმაციის გათქმისა და მისი არაკანონიერი გამოყენების შესახებ. რაც შეეხება საგადასახადო საიდუმლოების ინსტიტუტს, მას განსაზღვრავენ როგორც კომპლექსურს ის შეიცავს არა მარტო საგადასახადო ნორმებს არამედ საინფორმაციო ადმინისტრაციულ, სისხლის სამართლებრივ და სხვა სამართლებრივ დარგებს.

ნდობის ხარისხი მოქალაქეებსა და სახელმწიფოს შორის, რომელიც ხელს უწყობს გადასახადების სწორ გამოთვლას, არსებითად არის დამოკიდებული იმაზე, თუ შემდგომში, როგორ განკარგავს სახელწიფო ინფორმაციას, რომელიც მან მიიღო საგადასახადო დაბეგვრის განხორციელების პროცესში. ინფორმაციის მოცულობა, რომელიც განეკუთვნება საგადასახადო საიდუმლოებას, კანონმდებლის მიერ განსაზღვრულია გამორიცხვის მეთოდით.

ასე, რომ საგადასახადო საიდუმლოება წარმოადგენს, კომპლექსურ სამართლებრივ ინსტიტუტს, ესე იგი რეგულირდება, სხვადასხვა სამართლებრივი ნორმებით და აღნიშნული გარემოება, ნახულობს თავის ანარეკლს, კერძოდ მაშინ, როდესაც საგადასახადო საიდუმლოება ამავდროულად არის სამსახურეობრივი საიდუმლოება.

იქედან გამომდინარე, რომ საგადასახადო საიდუმლოება არის ინფორმაცია სხვადასხვა ხასიათის, შეიძლება შევადაროთ ისეთ სახის კონფიდენციალურ ინფორმაციას, როგორიც არის პერსონალური ინფორმაცია და კომერციული საიდუმლოება.

საგადასახადო საიდუმლოების სამართლებრივი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ის უზრუნველყოფს გადასახადის გადამხდელთა უფლებების დაცვას, რომელიც განსაზღვრულია კანონმდებლობით, როგორც ,,კანონი საგადასახადო საიდუმლოების შესახებ'', რომელიც ხასგასმით აღნიშნავს მის განსაკუთრებულ სტატუსს კონფენდენტებთან მიმართებაში.

აქედან გამომდინარე, საგადასახადო საიდუმლოება არის იმაზე მეტად მნიშვნელოვანი ინსტიტუტია, ვიდრე წარმოგვედგინა. მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოებში ახორციელებენ ეკონომიკურ პოლიტიკას, (რუსეთი, ყაზახეთი და ა.შ.) [5] [6] რომელიც მიმართულია არა მარტო ეკონომიკური ზრდისკენ არამედ ბიუჯეტის შევსებისკენაც. ამისათვის საჭიროება მოითხოვდა მეწარმეების სტიმულირებას და ქვეყნის შიგნით გამართული საგადასახადო კოდექსის არსებობას. ერთ-ერთი იმ ძირითად ინსტიტუტთაგანი, რომელიც ძალიან დიდ როლს თამაშობს არა მარტო მეწარმეების სტიმულირებაზე არამედ უფრო მეტად განამტკიცებს ქვეყნის შიგნით არსებულ დემოკრატიულობას, ადამიანის უფლებებისა და ვალდებულებების დაცვას, მათ შესახებ არსებული ინფორმაციის დაცულობას და გაუმჟღავნებლობას, მათ ფინანსურ ურთიერთობებს და სხვა ძალიან ბევრ უფლებებსა და მოვალეობებს არის ახლად დანერგილი ინსტიტუტი საქართველოს საგადასახადო სისტემაში, კერძოდ ,,საგადასახადო საიდუმლოება". მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო საიდუმლოება, როგორც ინსტიტუტი არის ახალ ჩამოყალიბებული საქართველოს საგადასახადო სამართლის სისტემაში, ძალიან დიდ როლს თამაშობს თითოეული მოქალაქის ცხოვრებაში, რომლებსაც აქვთ ურთიერთობა საგადასახადო ორგანოებთან. მოცემული ნორმატიული აქტებიდან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოდ, რომ ფიზიკური ან იურიდიული პირები, რომლებსაც ურთიერთობა აქვთ საგადასახადო ორგანოებთან დარწმუნებულები უნდა იყვნენ იმაში, რომ ინფორმაციას, რომელსაც ისინი გადაცემენ საგადასახადო ორგანოებს არ გამჟღავნდება და მათ კონკურენტუნარიანობას საფრთხე არ შეექმნება ბაზარზე.

გარდა ზემოთქმულისა, ჩვენი ყურადღება გვინდა მივაპყროთ ერთ მნიშვნელოვან ასპექტზე. ესაა, სახელმწიფოსა და გადამხდელს შორის შემქმნილი საგადასახადო დავების შემთხვევაში ომბუდსმენის ინსტიტუტის როლის განსაზღვრა.

მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო ბაზა შემდგომ დახვეწას მოითხოვს, საგადასახადო საიდუმლოების დაცვის აქტუალობა საქართველოს სინამდვილეში სახეზეა. მოქმედი კანონმდებლობით ამ მიმართულებით დარღვევების განხილვა და კანონიერების დაცვა ევალება სასამართლოს, რომელსაც შეუძლია მიმართოს დაზარალებულმა მხარემ სამართლიანობის აღდგენისა და მეწარმეთა უფლებების დასაცავად. ასევე ხელეწიფება მიმართოს ბიზნეს ომბუცმენს.

მიუხედავად იმისა, რომ ომბუდსმენს მხოლოდ

რეკომენდაციებს გაცემს კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, მას თავისი ავტორიტეტით შეუძლია გარკვეული გავლენის მოხდენა მცირე მეწარმეებისა და ფედერალური სააგენტოების ურთიერთობებზე.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად საგადასახადო ომბუდსმენი ზედამხედველობას უწევს საქართველოს ტერიტორიაზე გადასახადის გადამხდელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, ავლენს მათი დარღვევის ფაქტებს და ხელს უწყობს დარღვეული უფლებების აღდგენას. [4]

ჩვენ გვინდა იმედი გამოვთქვათ, რომ ქვეყანაში მიმდინარე კანონიერების განმტკიცებისა და დემოკრატიზაციის ყოველდღიურობის მიღმა არ დარჩება ჩვენს მიერ განხილული საკითხიც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ, 19.02.2015 www.matsne.gov.ge (2015 წლის 23 ნოემბრის მონაცემებით)
2. საქართველოს კანონი ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", 20.04.2005 www.matsne.gov.ge (2015 წლის 24 ნოემბრის მონაცემებით)
3. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, www.matsne.gov.ge (2015 წლის 22 ნოემბრის მონაცემებით)
4. ი. გაბისონია. საგადასახადო სამართალი გადასახადის გადამხდელის უფლებების დაცვის მექანიზმები, თბილისი, 2013 წელი,
5. http://law.edu.ru/book/book.asp?bookID=128743 (2015 წლის 20 ნოემბრის მონაცემებით)
6. http://mitkova.su/nalogovaya_tajna_o_partnerax_po_biznesu/ (2015 წლის 25 ნოემბრის მონაცემებით)

ისლამური სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიული მახასიათებლები

დავით სუჯაშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

ნაშრომში ავტორის მიერ განხილულია „ისლამური სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიული მახასიათებლები“. მოცემულია „ისლამური სახელმწიფოს“ საშინაო და საგარეაო პოლიტიკის მიზნები, რამაც შეძრა მსოფლიოში სტაბილურობის განცდა და გამოიწვია მის მიერ კონტროლირებადი რეგიონებიდან დევნილთა უდიდესი ნაკადების გადინება ჯერ მეზობელ ქვეყნებში, ხოლო ბოლო პერიოდში ევროპის ტერიტორიაზე. სადაც, ლტოლვილთა არაორგანიზებული ბანაკებით და საზღვრებზე ქაოტური გადაადგილებით ისარგებლა და ლტოლვილთა საფარქვეშ არაერთი ტერორისტული უჯრედი აამოქმედა. შესაბამისად, მკვეთრად გაიზარდა ტერორისტული შეტევების საფრთხე ევროპის ტერიტოროაზე.

Historic Features of Formation and Development of Islamic State

Summary

The author discusses the ,,Historic Features of Formation and Development of Islamic State'', shows foreign and domestic policy goals of ,,Islamic State'' which shocked the world with a sense of stability and led to the largest outflow of refugees from controlled regions at first to neighboring countries and more recently to Europe, where unorganized refugee camps and chaotic movement in borders cause the rise up of a number of terrorist cells, acting under the cover of refugees. Accordingly, the threat of terrorist attacks in Europe increased dramatically.

* * * * * *

როდესაც ვსაუბრობთ ტერორზე და მის სპეციფიკაზე თანამედროვეობის ყველაზე მძლავრ გამოვლინებათ შეიძლება მივიჩნიოთ ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფო“, რომელსაც სხვა ტერორისტული ჯგუფებისა და ორგანიზაციებისგან განსხვავებით ამოძრავებს შარიათის კანონებზე დაფუძნებული სახელმწიფოს შექმნა. პირველად ისტორიაში, აღნიშნულმა ორგანიზაციამ შეძლო, სირია-ერაყის ტერიტორიაზე, საკუთარი თვითგამოცხადებული სახელმწიფოს შექმნა და ტერორის მმართველობის დანერგვა.

„ისლამური სახელმწიფო“, როგორც ორგანიზაცია, 2002 წელს შექმნილი ჯგუფის „თავიდ ვა ალ-ჯიჰადის“ ფესვებზე აღმოცენდა, რომელიც აშშ-ის ჯარების ერაყის ტერიტორიაზე შესვლის შემდეგ იორდანელმა აბუ მუსაბ ალ ზარქავიმ ჩამოაყალიბა. წლების განმავლობაში ჯგუფმა ტრანსფორმაცია განიცადა და 2006 წელს ზარქავის გარდაცვალების შემდეგ, „ერაყის ისლამურ სახელმწიფოდ“ ჩამოყალიბდა. თავისი არსებობის მანძილზე, დაჯგუფება, რომელიც შემდგომში „ისლამურ სახელმწიფოდ“ ტრანსფორმირდა, იყო „ალ ქაიდას“ რიგითი, არაფრით გამორჩეული დანაყოფი - ''Jama'at al-Tawhid wa al-jihad'' (მონოთეიზმის და ჯიჰადის ჯამაათი), რომელიც აწარმოებდა კლასიკურ ტერორისტულ თავდასხმებს ერაყის შიიტურ მოსახლეობაზე, სამთავრობო შეიარაღებულ ძალებზე და სხვა სამთავრობო ობიექტებზე. ორგანიზაციის მოქმედების ასეთი ტაქტიკა არ ემსახურებოდა რაიმე პოლიტიკური შედეგის მიღწევას, არამედ გათვლილი იყო ქაოსსა და ნგრევაზე. სიტუაცია შეიცვალა 2010 წელს, როდესაც ციხეებიდან გათავისუფლებული სადამ ჰუსეინის არმიის ყოფილი სამხედრო მაღალჩინოსნები შეუერთდნენ „ერაყის ისლამურ სახელმწიფოს“. აღსანიშნავია, რომ იმ დროისათვის, ერაყის ტერიტორიაზე მოქმედი „ისლამური სახელმწიფო“-ს ლიდერებიდან ცოცხალი იყო მხოლოდ რვა პირი. სადამ ჰუსეინის სამხედრო მაღალჩინოსნებმა ისარგებლეს შექმნილი ვითარებით და დროის საკმაოდ მოკლე პერიოდში დაიკავეს ტერორისტული ორგანიზაციის იერარქიაში წამყვანი უმაღლესი და საველე მეთაურების პოზიციები. [1]

თანამედროვე პირობებში, „ისლამური სახელმწიფო“ გამოირჩევა კარგად ორგანიზებული მართვის სტილით როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო და ლოგისტიკურ სექტორებში. „ისლამური სახელნწიფოს“ მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე აქტიურად მიმდინარეობს მოქმედი ბიზნესების მართვა ტერორისტების მიერ. 2010 წელს „ISIS“-ს შეუერთდა, ერაყის სამხედრო სპეცდანიშნულების ძალების ყოფილი მეთაური, პოლკოვნიკი ჰაჯი ბაქრი. მან მოკლე ვადებში და საკმაოდ ხისტად მოახერხა ერაყის ტერიტორიაზე მოქმედი სხვადასხვა რაზმების თავისი კონტროლის ქვეშ მოქცევა და მათი ტაქტიკური გადაჯგუფება. შეიქმნა მართვის ერთიანი სტრუქტურა და შტაბი, რომელიც საველე მეთაურების საბჭოს („შურა“) ფუნქციებს ითავსებს. „შურა“-ს უმრავლესობაში სადამ ჰუსეინის ყოფილი სამხედრო მაღალჩინოსნები შედიან, ხოლო ჰაჯი ბაქრის ლობირებით, „ისლამური სახელმწიფო“-ს ახალ ხელმძღვანელად, 2010 წლის 16 მაისს გავიდა აბუ ბაქრ ალ ბაღდადის კანდიდატურა, რომელიც იმ დრისთვის დაჯგუფების ერთ-ერთ განშტოებას ხელმძღვანელობდა. 1971 წელს დაბადებული აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი, რომლის ნამდვილი სახელია - იბრაჰიმ

იბნ ავვად იბნ იბრაჰიმ იბნ ალი იბნ მუჰამმად ალ-ბადრი ალ-სამმარაი, ასევე ცნობილია როგორც აბუ დუ'ა ან ჰალიფ იბრაჰიმი. ალ-ბაღდადის აქვს მიღებული ისლამური თეოლოგიის სამეცნიერო ხარისხები ბაღდადის უნივერსიტეტში. წარმომავლობით იგი არის ბოუ ბადრის კლანიდან, რომელიც თავის მხრივ არის სამარრული აბუ აბასსის კლანის განშტოება, რომელიც წარმოიშვა იმამ ალ ჰასან ბინ ალისგან. ყოველივე ეს ნიშნავს, რომ აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის წინაპრები მო დიან ქურეიშის ტომებიდან, რაც არის ერთ-ერთი წინაპირობა იმისათვის, რომ პიროვნება ჯიჰადისტურ დაჯგუფებაში გახდეს ემირი. ერაყში აშშ ჯარების შესვლის შემდეგ, 2003 წელს, ალ-ბაღდადიმ მიიღო მონაწილეობა ტერორისტული ჯგუფის ჩამოყალიბებაში, რომელშიც შარიათის კომიტეტს ხელმძღვანელობდა. 2004 წლის თებერვალში იგი დაკავებულ იქნა აშშ სპეცსამსახურების მიერ და იზოლირებული იქნა კემპ ბუკკაში, თუმცა შეწყალების კომიტეტის მიერ 2004 წლის დეკემბერში გათავისუფლდა პატიმრობიდან. [2]

ამჟამად „ისლამური სახელმწიფო"-ს ხელმძღვანელობა 100%-ით ერაყელებისაგან შედგება. „შურა"-ს შემადგენლობა მერყეობს 8-დან 13 წევრამდე. „ისლამურ სახელმწიფო"-ს ხელმძღვანელობის პირდაპირ დაქვემდებარებაში შეიქმნა სპეციალური სტრუქტურა, რომელიც დაკავდა საიდუმლო მკვლელობებისა და მასობრივი ხოცვა-ჟლეტის ორგანიზებით. მას სათავეში ჩაუდგა ერაყის არმიის ყოფილი პოლკოვნიკი აბუ საფვან ალ რიფაი. სტრუქტურის მიზანია თავის კონტროლირებად ტერიტორიაზე დისიდენტების, დეზერტირებისა და იმ ადგილობრივი ლიდერების ლიკვიდაცია, რომლებიც „ისლამურ სახელმწიფო"-ს საფრთხეს უქმნიან. [3]

„ისლამური სახელმწიფო"-ს უმთავრესი დეკლარირებული მიზანია დამოუკიდებელი ქვეყნის, ე.წ. ისლამური სახალიფოს ჩამოყალიბება, სადაც ერთადერთი უზენაესი კანონი ისლამური სამართალი ანუ შარიათი იქნება. „ისლამურ სახელმწიფოს" აქვს სამი ძირითადი სტრატეგიული მიზანი: გაფართოება და სახელმწიფოს ჩამოყალიბება; რეგიონული ექსპანსია; ტერორიზმის გლობალური მასშტაბით ექსპორტი და გავრცელება. „ისლამური სახელმწიფო"-ს მიზნები რადიკალურად განსხვავდება მსოფლიოში აქამდე არსებული ტერორისტული ჯგუფების იდეოლოგიისგან - სახელმწიფოს შექმნის იდეა არც ერთ ტერორისტულ სამხედრო დაჯგუფებას, მათ შორის „ალ ქაიდას", არ ჰქონია. თუ აქამდე მოქმედი ტერორისტული ჯგუფები ცალკეული ტერაქტების მოწყობით შემოიფარგლებოდნენ და ფარულად ოპერირებდნენ, „ისლამური სახელმწიფო" არ მალავს თავის განზრახვას მსოფლიო მასშტაბით აწარმოოს გლობალური ჯიჰადი. „ისლამური სახელმწიფო"-ს უახლოეს გეგმებშია სახალიფოს საზღვრები დღევანდელი ლიბანის, იორდანიისა და პალესტინის ტერიტორიაზე გაიტანოს, ეს ტერიტორიები მთლიანად ემირს დაუმორჩილოს და შემდეგ ეტაპზე კონტროლი დაამყაროს თურქეთზე, ირანზე და თურქმენეთზე, ხოლო საბოლოოდ კიდევ უფრო გააფართოვოს ხალიფატის საზღვრები და მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც (ესპანეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპა, კავკასია, ჩრდილო აფრიკა, ინდოეთი, შუა აზია და ახლო აღმოსავლეთი) დაამყაროს ისლამური მმართველობა. [4]

პრაგმატულმა და დაუნდობელმა სამხედროებმა, რომლებიც აპრიორში სულაც არ იყვნენ რადიკალი ისლამისტები, რაციონალურად ისარგებლეს რელიგიური ფაქტორით და მოქნილად გამოიყენეს იგი, როგორც მთავარი მიზნის მისაღწევად აუცილებელი იდეოლოგიური საფარი. მათი მთავარი მიზანი კი სირიის, ერაყისა და იორდანიის ტერიტორიაზე რელიგიურად და ეთნიკურად მონოთეისტური სახელმწიფოს ჩამოყალიბება და ბუნებრივი წიაღისეულის ხელში ჩაგდებაა. „ისლამური სახელმწიფო"-ს ახალი ხელმძღვანელობის ნაბიჯებმა დაუყოვნებლივ გამოიწვია შედეგები. კარგად ორგანიზებული „მენეჯმენტის" შედეგად, „ისლამური სახელმწიფო"-ს მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე დაუყოვნებლივ ჩნდება ახალი ტერიტორიული მართვის ორგანოები, კანონის ძალას იღებს შარიათის ერთიანი, უნიფიცირებული ქცევის წესები, ხოლო სხვა სარწმუნოების, არალოიალური ან ურჩი მოსახლეობა - ქურთები, ქრისტიანები, შიიტები და კონკურენტი ბანდფორმირებები, რომლებიც არ ემორჩილებიან ახალ წესებს, ფიზიკურად ნადგურდებიან. დაპყრობილ ტერიტორიებზე მდებარე ობიექტები დაუყოვნებლივ ამუშავდა ახალი მმართველი ძალის კონტროლქვეშ. [5]

2014 წელი ხდება გარდამტეხი „ისლამური სახელმწიფოსთვის". ქალაქ მოსულისა და ერაყის რვა პროვინციის დაკავებით, მას საშუალება მიეცა გადაქცეულიყო მსოფლიოში ყველაზე მდიდარ ტერორისტულ ორგანიზაციად. 2014-15 წლებში, „ისლამური სახელმწიფოს" საერთო ბიუჯეტის მხოლოდ 5%-10% მოდიოდა გარე შემოწირულობებზე, ხოლო დანარჩენი თანხები - ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ეკონომიკური საქმიანობიდან შედიოდა. იგულისხმება მოპოვებული ნავთობის გადამუშავება და შავ ბაზარზე გაყიდვა, დარჩენილი მოსახლეობიდან გადასახადების აკრეფა, კონტრაბანდა და სხვა სახის არალეგალური „ფულის გათეთრება". ოკუპირებულ ტერიტორიებზე დარჩენილი ქრისტიანი, ქურთი და შიიტი მოსახლეობა, რომელიც გადაურჩა მასობრივ განადგურებას, ხშირ შემთხვევაში იყიდება მონების ბაზარზე, რაც რადიკალების კიდევ ერთ შემოსავლის წყაროდ იქცა. 2014 წლის ივნისში, „ISIS"-მა ერაყის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე მნიშვნელოვანი საკვანძო ქალაქი მოსული აიღო და თავისი შეტევები ბაღდადის მიმართულებით გააძლიერა. 2014 წლის ივნისის ბოლოსთვის, დაჯგუფებამ დამატებით რამდენიმე ქალაქი დაიკავა. კოალიციის მხრიდან მასიური შეტევების დაწყებამდე, „ისლამური სახელმწიფო" 40.000 კვადრატულ კილომეტრამდე ტერიტორიას აკონტროლებდა. ერაყში - მოსულს, თიქრითს, ფალუჯას და ა.შ., ხოლო

სირიაში - ალეპოს პროვინციის ნაწილს, რაქქას და მდინარე ევფრატის ჩრდილო-აღმოსავლეთ ტერიტორიებს იქ არსებული ნავთობის საბადოებით, კაშხლებით, ჰიდრო ელექტროსადგურებით და სასაზღვრო გამშვები პუნქტებით. [6]

2014 წლის ნოემბერში, ოფიციალურად გამოცხადდა, რომ „ისლამური სახელმწიფო"-ს ტერიტორიაზე დაგემილია საკუთარი ფულის ერთეულის - დინარის შემოღება, რომელიც ჩამოიჭრება ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოსგან. [7]

სხვადასხვა მონაცემებით, „ისლამური სახელმწიფო"-ს კონტროლქვეშ მდებარე ტერიტორიაზე დაახლოებით რვა მილიონი ადამიანამდე იმყოფება. აღნიშნულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობას, დაჯგუფების წევრები შარიათის წესებით მართავენ, რომლის მიხედვითაც, მრავალი მოთხოვნიდან ერთ-ერთი მთავარია -ყველა არა მუსლიმმა გადაიხადოს გადასახადი ან მიიღოს ისლამი თავის რელიგიად, მოწინააღმდეგებს საქვეყნოდ აწამებენ და სჯიან სიკვდილით. [8]

„ისლამური სახელმწიფო"-ს სისასტიკემ, გამოიწვია მის მიერ კონტროლირებადი რეგიონებიდან დევნილთა უდიდესი ნაკადების გადინება ჯერ მეზობელ ქვეყნებში, ხოლო ბოლო პერიოდში ევროპის ტერიტორიაზეც. სადაც, ლტოლვილთა არაორგანიზებული ბანაკებით და საზღვრებზე ქაოტური გადაადგილებით ისარგებლა „ისლამურმა სახელმწიფომ" და ლტოლვილთა საფარქვეშ არაერთი ტერორისტული უჯრედი აამოქმედა. შესაბამისად, მკვეთრად გაიზარდა ტერორისტული შეტევების საფრთხე ევროპის ტერიტოროაზე. [9]

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://iliauni.edu.ge/uploads/other/13/13226.pdf „თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი" N8. სიმონ გურეშიძე. ისლამური სახელმწიფო (ერაყი-სირია-ცენტრალური აზია-საქართველო) გვ.38

https://eurasiacenter.org/publications/ISIS_Briefing_Colin_Tucker.pdf The Islamic StateOrigins, Goals, and Future Implications. The Eurasia Center. Colin Tucker13, 07, 2014. gv.2-4

http://www.brookings.edu/~/media/research/files/papers/2015/03/ideology-of-islamic-state-bunzel/the-ideology-of-the-islamic-state.pdf From Paper State to

Caliphate: The Ideology of the Islamic State. Cole Bunzel. gv.13-17

http://www.brookings.edu/~/media/Research/Files/Reports/2014/11/profiling-islamic-state-lister/en_whos_who.pdf?la=en Islamic State Senior Leadership: Who is who

2. http://www.bbc.com/news/world-middle-east-27801676 Profile: Abu Bakr al-Baghdadi. 15.05.2015

http://www.businessinsider.com/abu-bakr-al-baghdadi-declassified-iraq-prison-file-2015-2 Here is the Army's declassified Iraq prison file on the leader of ISIS. Hunter Walker. 18, 02, 2015

3. http://www.understandingwar.org/sites/default/files/ISIS_Governance.pdf MIDDLE EAST SECURITY REPORT 22. ISIS Governance in Syria. Charles C. Caris & Samuel Reynolds. gv. 14-20

http://indianexpress.com/article/world/world-news/top-isis-leaders-arrested-on-abu-bakr-al-baghdadis-orders-media-report/ Top ISIS leaders arrested on Abu Bakr al-Baghdadi's orders: Media report.

4. https://eurasiacenter.org/publications/ISIS_Briefing_Colin_Tucker.pdf The Islamic State Origins, Goals, and Future Implications. Colin Tucker 13, 07, 2014. gv.4

http://icct.nl/wp-content/uploads/2016/03/ICCT-Gartenstein-Ross-IS-Global-Propaganda-Strategy-March2016.pdf ICCT Research Paper. March 2016 The Islamic State's Global Propaganda Strategy. Daveed Gartenstein-Ros, Nathaniel Barr, Bridget Moreng gv.21

http://www.mirror.co.uk/news/world-news/isis-unveils-chilling-new-map-6224227 ISIS unveils chilling new map of Europe as it plans for world domination by 2020.

5. http://www.zeit.de/feature/islamic-state-is-caliphate The Business of the Caliph

04, 12, 2014.

http://www.telegraph.co.uk/news/worldnews/islamic-state/11657918/Why-business-is-booming-under-Islamic-State-one-year-on.html Why business is booming under Islamic State on e year on. 08, 06, 2015

6. http://www.brookings.edu/~/media/Research/Files/Reports/2014/11/profiling%20islamic%20state%20lister/en_web_lister.pdf Proling the Islamic State. Charles Lister. gv. 11-15

7. https://www.theguardian.com/world/2014/nov/14/isis-gold-silver-copper-islamic-dinar-coins THE GUARDIAN. Isis to mint own Islamic dinar coins in gold, silver and copper 14.11.2014

8. http://indefenseofchristians.org/wp-content/uploads/2016/03/Genocide-report.pdf Genocide against Christians in the Middle East gv 79

http://www.ohchr.org/Documents/HRBodies/HRCouncil/CoISyria/A_HRC_32_CRP.2_en.pdf "They came to destroy": ISIS Crimes Against the Yazidis*

gv.5

9. http://www.reuters.com/article/us-mideast-crisis-fighters-idUSKCN0Z21ST CIA director says Islamic State still serious threat. 16, 06, 2016.

http://www.reuters.com/article/us-europe-threats-survey-idUSKCN0YZ2GV Europeans view Islamic State as top threat: survey. 13, 06, 2016

http://www.cnas.org/sites/default/files/publications-pdf/CNASReport-ISIS-Final.pdf DEFEATING THE ISLAMIC STATE. Ilan Goldenberg, Nicholas A. Heras, and Paul Scharre gv.43

ბიზნეს-ინჟინერინგი მასობრივ კომუნიკაციებში

სოციალური კომერციის განვითარების ტენდენციები

ალექსანდრე ედიბერიძე,
დავით ნოზაძე

რეზიუმე

ელექტრონული კომერციისა და სოციალური მედიის მიერ მიღწეულმა პროგრესმა გამოიწვია ახალი მიმართულების — სოციალური კომერციის შექმნა. აღნიშნული მიმართულება წარმოადგენს მომავალი დეკადის გამოწვევას და იმყოფება ფორმირების ეტაპზე.

სტატიაში განხილულია ელექტრონული ბიზნესის ახალი მიმართულების — სოციალური კომერციის გამოყენების ტენდენციები. ვინაიდან ეს სფერო წარმოადგენს ახალ თანამედროვე მიმართულებას, რომელიც მთელ მსოფლიოში ინტენსიურად ვითარდება 2010 წლიდან.

განხილულია ასევე სოციალური კომერციის წარმატებული მაგალითი - Facebook კომერციის წარმატებული დანერგვა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

სოციალური კომერციის განვითარების მიმართულებით შეიძლება გამოყოფილ იქნას სამი ეტაპი: ადრეული, გარდამავალი და ჩამოყალიბების ეტაპი.

მიუხედავად იმისა რომ სოციალური ქსელები მთელ მსოფლიოში სწრაფად ვითარდება, სხვადასხვა ქვეყნებში სოციალური კომერცია განვითარების სხვადასხვა ეტაპზე იმყოფება. ამ თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ საქართველო იმყოფება განვითარების გარდამავალ ეტაპზე და 2016 წლის ივნისიდან დაიწყო ახალი ტექნოლოგიების ათვისება და შემდეგ ეტაპზე გადასვლა.

საკვანძო სიტყვები: სოციალური კომერცია, განვითარების ეტაპები, ელექტრონული კომერცია, პერსპექტივები.

Summary

Progress reached by e-commerce and social media has created new direction – social commerce. This direction is a challenge for future decade and is just forming.

In following article is discussed new direction of e-business – trends of development of social commerce. since this field is modern trend, which is intensively developed all around the world since 2010.

There is also discussed successful example of social commerce – introduction of Facebook commerce (F-commerce) in daily life.

Development of Social commerce can be outlined in to tree stage: Earlier, Transitional and Forming stages.

Despite the fact that social media is growing quite fast across the world, social commerce is on the different development stages in different countries. By this point of view Georgia is on the Earlier and Transitional stages and since June 2016 has started mastering new technologies and moving to next stage – to Forming stage.

* * * * *

სოციალური კომერცია წარმოადგენს ელექტრონული კომერციის თანამედროვე ფორმას და არის ახალი იდეა XXI საუკუნის ელექტრონული კომერციისათვის. ჟურნალ today.com-ის განმარტებით სოციალური კომერცია არის ელექტრონული კომერცია, რომელიც მოიცავს სოციალური მედიისა და ონლაინ მედიის გამოყენებას, რაც ხელს უწყობს სოციალური ურთიერთქმედებას, რომელიც თავის მხრივ ზრდის პროდუქციისა და მომსახურების ონლაინ გაყიდვას.

სოციალური კომერცია არის ელექტრონული კომერციის განვითარების მეოთხე ეტაპი. თავისმხრივ ელექტრონული კომერცია წარმოადგენს პრდუქციისა და მომსახურების ყიდვა გაყიდვის პროცესს ელექტრონული სისტემების მეშვეობით, როგორიცაა ინტერნეტ და სხვა ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებები. ელექტრონული კომერცია მოიცავს ყიდა-გაყიდვის პროცესის სრულ ციკლს, მომსახურების/პროდუქტის შემუშავების, მარკეტინგის, გაყიდვის, მიწოდების, ანგარიშსწორებისა და მხარდაჭერის ჩათვლით.

თანამედროვე ელექტრონული კომერცია მოიცავს ყველაფერს დაუყოვნებლივი მოხმარების ციფრული ქონთენთის ყიდვიდან დაწყებული ტრადიციული

საქონლისა და მომსახურების ყიდვით დამთავრებული.

ელექტრონული კომერციის კლასიფიკაცია შეიძლება შემდეგ მიმართულებებად:

- ფიზიკური საქონლით ვაჭრობა
- ციფრული საქონლითა და ონლაინ მომსახურებით ვაჭრობა
- საბაზრო ონლაინ სერვისები
- მობილური კომერცია

ელექტრონული კომერციის განვითარების პროცესში შეგვიძლია გამოვყოთ 4 მნიშვნელოვანი ეტაპი, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ამ სფეროს განვითარებაში.

- პირველადი განვითარების ეტაპი
- ინტერნეტის განვითარების ადრეული ეტაპი
- ინტერნეტის განვითარების ინტენსიური ეტაპი
- სოციალური ქსელების განვითარების ეტაპი
- პირველადი განვითარების ეტაპი

ელექტრონული კომერციის განვითარების პირველად ეტაპად შეიძლება ჩაითვალის პერიოდი პირველი კომპიუტერული ქსელების გაჩენიდან, ინტერნეტის შექმნამდე.

ინტერნეტის განვითარების ადრეული ეტაპი

ინტერნეტის სწრაფმა განვითარებამ და პოპულარიზაციამ ხელი შეუწყო ელექტრონული კომერციის სწრაფ განვითარებას. 1989 წელს CERN (European Organization for Nuclear Research) -ში ტიმ ბერნს ლიმ ჩამოაყალიბა იდეა ვებ-ის (www – World Wide Web-ის შექმნის შესახებ. XX საუკუნის 90-იანი წლები გარდამტეხი აღმოჩნდა ელექტრონული კომერციის განითარებაში.

ინტერნეტის განვითარების ინტენსიური ეტაპი

სწორედ XXI საუკუნის დასაწყისიდან ხსნიან კომპანიები და ორგანიაციები საკუთარ ვებ გვერდებსა და საიტებს.

სოციალური ქსელების განვითარების ეტაპი — სოციალური კომერცია

როგორც ცნობილმა სოციალური მედიის მკვლევარმა Ze Zook-მა თქვა, „არა აქვს მნიშვნელობა, იქნება თუ არა კომპანია სოციალურ მედიაში, მათი მომხმარებლები უკვე იქ არიან და აქტიურად განიხილავენ ამ კომპანიას". სოციალური ქსელების პოპულარობის ზრდასთან ერთად 2010 წლიდან იზრდება სოციალური ქსელების როლი კომპანიების ყოველდღიურობაშიც. კომპანიებმა დაიწყეს სოციალური მედიის გამოყენება, როგორც რეკლამის განსათავსებლად ასევე გაყიდვებისთვისაც. დღეს უკვე ყველა წამყვან კომპანიას აქვს თავისი გვერდი სოციალურ ქსელში (Facebook-ზე Twitter-ზე Instagram-ზე Youtube-ზე და ა.შ). 2010 წლიდან იწყება ელექტორნული კომერციის ახალი ეტაპი – სოციალური კომერცია.

სოციალური კომერცია, როგორც ტერმინი პირველად 2005 წლეს იქნა გამოყენებული კომპანია Yahoo-ს მიერ. ამ ტერმინით Yahoo-მ დაახასიათეს გარკვეული ონლაინ კოლაბორაციის საშუალებები სავაჭრო სიების, რეიტინგების, შეფასებების, განხილვების და სხვა მომხმარებლების მიერ შექმნილი ქონთენთის გაზიარება პროდუქციის ინფორმაციისა და რჩევების შესახებ მომხმარებლებს შორის. ამ ტერმინის აქტირად გამოყენება დაიწყო 2007 წლიდან. როდესაც დაიწყო Facebook-ის – სოციალურ მედია არხის კომერციული დანიშნულებით გამოყენება, Facebook-ზე დაიწყო ვირტუალური საჩუქრების ვირტუალურ სამყაროში გაყიდვა. სწორედ ამ პროცესმა შეუწყო ხელი სოციალური კომერციის იმ ფორმით ჩამოყალიბებას როგორითაც მას ვიცნობთ დღეს ჩვენ. Facebook-ის, როგორც პირველი სოციალური სავაჭრო ცენტის წარმოქმნამ წაახალისა სხვა კომპანიებიც, სოციალური ქსელების მეშვებით შეერჩიათ მიზნობრივი აუდიტორია და გაეყიდათ პროდუქტი.

B2C – Business to Consumer მოდელის სიძლიერემ ევოლუციური ცვლილებები გამოიწვია მარკეტინგში. სხვადასხვა სოციალურ ქსელებში (Facebook, Youtube, Twitter, Instagram) საკუთარი აზრისა და რჩევების გაზიარებით მომხლმარებლები უშუალოდ ჩაერთენ პროდუქტის წარმოების, ყიდვის და გაყიდვის პროცესში. შედეგად კომპანიები უფრო ყურადღებიანი გახდნენ მომხმარებლის მოთხოვნების მიმართ.

Booz & Company-ს მიერ 2010 წელს ჩატარებული კვლევის მონაცემებით მომხმარებლები მზად არიან იმისთვის, რომ შეიძინონ პროდუქტი სოციალური მედიის საშუალებით. კვლევაში გამოიკითხეს მომხმარებლები რომლებმაც ბოლო ერთი თვის განმავლობაში მინიმუმ 1 საათი მაინც გაატარეს სოციალურ ქსელში და რომელებმაც 1 წლის განმავლობაში მინიმუმ 1 ნივთი მაინც შეიძინეს ონლაინ. კვლევის შედეგებით მომხმარებლების 27% ისურვებდა პროდუქტის შეძენა სოციალური მედიის საშუალებით. 10%-ზე მეტი მიიჩნევს რომ ეს იქნებოდა პროდუქციის შეძენის დამათებითი საშუალება. ხოლო 73% უარს ამბობენ სოციაური ქსელებით პროდუქტის შეძენაზე. ასეთი პოზიცია დაკავშირებულია უსაფრთხოებასა და კონფედენციალურობასთან. ამ კუთხით უკვე დაიწყეს მუშაობა წამყვანმა სოციალურმა ქსელებმა. 2010 წელს როდესაც Booz & Company-მ კვლევა ჩაატარა სოციალური ქსელების მომხმარებლების რაოდენობა 970 მილიონს შეადგენდა. 2016 წლისთვის ამ მონაცემმა 2,13 მილიარდს მიაღწია და ტენდეცნიის მიხედვით 2018 წელს 2,44 მილიარდს მიაღწევს.

სოციალური ქსელების მომხმარებლების ზრდასთან ერთად იზერდებოდა სოციალური კომერციის შემოსავალიც. თუ 2011 წელს მსოფლიოს მასშტაბით შემოსავალი შეადგენდა 5 მილიარდ დოლარს, 2015 წელს შემოსავალმა შეადგინა 30 მილიარდი დოლარი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სოციალური კომერციის კუთხით ლიდერობს აშშ. 2015 წელს 30 მილიარდიანი შემოსავლიდან დაახლოებით

14 მილიარდზე მეტი მოვიდა აშშ-ზე. 2011 წლიდან 2015 წლის ჩათვლით მხოლოდ აშშ-ში სოციალური კომერციის შემოსავალმა გადააჭარბა 32 მილიარდ დოლარს. ამ პერიოდში აშშ-ში სოციალური კომერციის შემოსავალი საშუალოდ 6,4 მილიარდი დოლარით იზრდებოდა ყოველწლიურად.

აშშ-ში სოციალური მედიით შეკვეთების 85% ხორციელდებოდა Facebook-დან, შეკვეთის საშუალო ღირებულება შეადგენდა 55 დოლარს. მიუხედავად ამისა აშშ-ში Facebook არის მეოთხე ადგილზე შეკვეთის საშუალო ღირებულების კუთხით. ამ მხრივ აშშ-ში 2015 წელს მონაცემებით ხუთეული ასე გამოიყურება: Polyvore – $66,75, Instagram – $65,00, Pinterest – $58,95, Facebook – $55,00 Reddit – $52,95.

მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ში შეკვეთის საშუალო ღირებულებით Facebook იმყოფება მხოლოდ მეოთხე ადგილზე, შეკვეთების რაოდენობით ის მაინც ლიდერია მსოფლიო ბაზარზე. პროგრესმა უბრალოდ Facebook გვერდის საშუალებით გაყიდვიდან, Facebook-თან ერთად გაყიდვის მთელი ეკოსისტემამდე მიაღწია. Facebook-ის პლატფორმა იძლევა: პროდუქციის Facebook გვერდიდან გაყიდვის საშუალებას. IOS და Android ოპერაციულ სისტემებზე მომუშავე მოწყობილობებისთვის ელექტრონული მაღაზიის დამატების საშუალებას. მომხმარებელს აქვს საშუალება შეიძინოს პროდუქცია Facebook-დან გაუსვლელად.

Facebook არ ზღუდავს ბიზნეს აქტივობას, რის გამოც Facebook-ის საშუალებით იყიდება მრავალი ტიპის პროდუქტი. Facebook მაღაზიის (F-store) გახსნიდან 1 საათში 1000-ზე მეტი ბავშვის ჰიგიენური საშუალება გაიყიდა. ASOS გახდა ევროპაში პირველი კომპანია, რომელმიც სრულიად იყო ინტეგრირებული Facebook მაღაზიასთან. Delta Airlines-მა მომხმარებლებს საშუალება მისცა დაჯავშნათ ბილეთები Facebook-დან, ყოველგვარი სხვა საიტზე გადასვლის და სირთულეების გარეშე. Facebook-მა შექმნა საკუთარი სავალდებულო ვალუტა Facebook Credits, რომელიც გამოიყენებოდა Facebook-ზე თამაშებში და სხვა აპლიკაციებში. Warner Brathers-მა გამოიყენა ეს სისტემა ფილმების გაქირავებაში. Facebook-ის მომხმარებლებს პირდაპირ საიტიდან გაუსვლელად შეუძლიათ უყურონ ფილმებს 30 Facebook Credits-ად.

Facebook-enabled websites ტრადიციული საიტებისა და ელექტრონული კომერციის საიტებისთვის ინტეგრაციას ახდენს Facebook-თან, რათა შესთავაზონ მომხმარებელს სხვადასხვა ინსტრუნემტები Facebook-ზე პროდუქტის მოძიებისა და შეძენისათვის. TripAdvisor.com მომხმარებელს საშუალებას აძლევს ნახონ მათი მეგობრების მოგზაურობისას მიღებული გამოცდილება და რეკომენდაციები, ეს სისტემა ეხმარება მომხმარებლებს მოგზაურობის დაგეგმვაში და ტურის შეძენაში.

Facebook კომერცია გაცილებით შორს წავიდა, ვიდრე უბრალოდ Facebook გვერდზე პროდუქციის და ფიზიკური მაღასიიზ მითითებაა. დღეს Facebook ბიზნესს სთავაზობს მრავალ ინსტრუმენტს პროდუქციის გასაყიდად. ბიზნესს შეუძლია მომხმარებლები შეარჩიოს სხვადასხვა კრიტერიუმებით (ტერიტორიული მდებარეობა, ასაკობრივი ჯგუფი, სქესი, ინტერესები და ა.შ) და შემდეგ მისთვის სასურველ მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია საკუთარ პროდუქტზე.

მიზეზი რის გამოც Facebook იქცა სოციალური კომერციის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ პლატფორმად არის შემდეგი:

(2016 წლის მონაცემებით)

- ✓ მსოფლიოს მასშტაბით Facebook-ს ყავს 1,6 მილიარდი აქტიური მომხმარებელი ყოველთვიურად (Facebook-ს უფრო მეტი მომხმარებელი ყავს ვიდრე Twitter-ს Whatsapp-ს და Instagram-ს ერთად);
- ✓ 4,5 მილიარდი მოწონება (like) გენერირდება ყოველ დღე;
- ✓ 1.09 მომხმარებელი შედის Facebook-ზე ყოველდღე;
- ✓ Facebook-ს 1,51 მილიარდი აქტიურმი მობილური მომხმარებელი ყავს;
- ✓ საშუალოდ მოწონების და გაზიარების ღილაკები გამოიყენება 10 მილიონზე მეტ ვებსაიტზე ყოველდღე;
- ✓ Facebook-ისთვის დათმობილი საშუალო დრო შეადგენს 20 წუთს ყოველ ვიზიტზე;
- ✓ 18-24 წლის მომხმარებლების 50% შედის Facebook-ზე გაღვიძებისთანავე.

ყველა ამ მონაცემების გათვალისწინებით Facebook წარმოადგენს საუკეთესო გზას პროდუქციის გასაყიდად.

2015 წლისთვის წამყვანმა სოციალურმა ქსელებმა საკუთარ პლატფორმაზე დაიწყეს ელექტრონული მაღაზიის დამატება, საიდანაც მომხმარებელს სოციალური ქსელის საიტის დაუტოვებლად შეუძლია სასურველი პროდუქტისა და მომსახურების შეძენა.

სოციალური კომერციის განვითარების მიმართულებით შეიძლება გამოყოფილ იქნას სამი ეტაპი: ადრეული, გარდამავალი და ჩამოყალიბების ეტაპი.

ადრეულ ეტაპად შეიძლება მივიჩნიოთ პერიოდი, როდესაც მცირე კომპანიები საკუთარ პროდუქტს მომხმარებლებს სოციალური ქსელი საშუალებით სთავაზობდნენ. ამ ეტაპზე გამყიდველი სოციალურ ქსელში აქვეყნებს საკუთარი პროდუქტის სურათს ან ვიდეოს და უთითებს იმ ფიზიკური მაღაზიის მისამართს და საკონტაქტო ტელეფონს, სადაც მომხმარებელი მივა და ხელზე შეიძენს პროდუქტს ან ტელეფონით განახორციელებს შეკვეთას.

გარდამავალ ეტაპად შეგვიძლია მივიჩნიოთ ჰაიპერლინკების და გაზიარების ფუნქციის დამატება. მცირე ბიზნესი და მომხმარებლები ვინც პროდუქტს ყიდიდენ, საკუთარ პროდუქტს ათავსებდნენ ელექტრონული მაღაზიის (amazon.com ebay.com და სხვ.) საიტზე და შემდეგ ამ საიტის ლინკს აზიარებდნენ სოციალურ ქსელში, ან სოციალური ქსელის საკუთარ გვერდზე აზიარებდნენ პროდუქტის სურათს, რომელსაც თან ურთავდნენ ჰაიპერლინკს.

ამ ფორმით მომხმარებელს შეეძლო ელექტრონულად პროდუქციის შეძენა, თუმცა ამისთვის ხდებოდა მისი გადამისამართება ელექტრონული მაღაზიის საიტზე.

ჩამოყალიბების ეტაპად შეგვიძლია მივიჩნიოთ ელექტრონული მაღაზიის ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან. სხვადასხვა წამყვანმა და ცნობილმა სოციალურმა ქსელებმა კომპანიებს საშუალება მისცეს პირდაპირ მათ პლატფორმაზე აეწყოთ ელექტრონული მაღაზია. შედეგად მომხმარებელი პროდუქციის ელექტრონულად შეძენისას აღარ ტოვებს სოციალური ქსელის საიტს. პირდაპირ საიტის დაუტოვებლად ახდენს სასურველი პროდუქტის შერჩევას, შეძენას, გადახდას და მისამართის მითითებას სადაც სურს შეკვეთის მიღება. იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი იძენს ციფრულ პროდუქციას მას შეუძლია გადახდის შემდეგ პირდაპირ ჩამოტვირთოს შეძენილი პროდუქტი და ფიზიკური პროდუქტის შემთხვევაში ხდება მისი ფოსტით მიტანა.

მიუხედავად იმისა რომ სოციალური ქსელები მთელ მსოფლიოში სწრაფად ვითარდება, სხვადასხვა ქვეყნებში სოციალური კომერცია განვითარების სხვადასხვა ეტაპზე იმყოფება.

სოციალური კომერციის თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ საქართველო იმყოფება განვითარების ადრეულ და გარდამავალ ეტაპზე და 2016 წლის ივნისიდან დაიწყო ახალი ტექნოლოგიების ათვისება და ჩამოყალიბების ეტაპზე გადასვლა. 2015-2016 წლებში საქართველოში ყველაზე პოპულარული სოციალური ქსელები არის Facebook და Instagram. 2016 წლის მაისიდან ორივე სოციალურმა ქსელმა გახსნა წვდომა მათ პლატფორმაზე საქართველოდან ელექტრონული მაღაზიის დამატებაზე. საქართველოში ყველა წარმატებულ კომპანიას აქვს საკუთარი Facebook გვერდი. მიუხედავად ამისა არცერთ მათგანს ჯერ არ გაუხსნია ელექტრონული მაღაზია Facebook-ის პლატფორმაზე. რაც შეეხება Instagram-ს ქართულმა კომპანიებმა უკვე დაიწყეს მის პლატფორმაზე ელექტრონული მაღაზიის დამატება.

Instagram-ს აქვს თავისი უპირატესობა Facebook-თან შედარებით. მიუხედავად იმისა რომ მისი მომხმარებლების ბაზა Facebook მომხმარებლების ბაზაზე მცირეა, აშშ-ში Instagram-ზე შეკვეთების საშუალო ღირებულება 18%-ით უფრო მაღალია. Instagram-ის პლატფორმა ფოტო ან ვიდეო ქონთენთის დამატების საშუალებას იძლევა. Instagram-ზე მომხმარებელი საკუთარ ველში ერთ ნახვაზე ნახულობს ერთ სურათს ან ვიდეოს. ამ პრინციპის წყალობით რეკლამა 100%-ით მიდის მომხმარებლამდე. ვიზუალური ქონთენთი არის Instagram-ის კიდევ ერთი დიდი უპირატესობა, როდესაც საქმე ეხება სოციალური მედიის პოსტებს. პოსტები, რომლებიც სურათს შეიცავენ 650%-ით უფრო მაღალი დაინტერესება აქვთ ვიდრე ტექსტურ პოსტებს. ასევე Instagram-ის უპირატესობას წარმოადგენს #hashtag. მარტივი განმარტებით #hashtag წარმოადგენს ეტიეკეტს, რომელიც ეხმარება მომხმარებელს მარტივად მიაგნოს მისთვის სასურველ ქონთენთსა და პროდუქტს. მონაცემების მიხედვით ნიკე-ის შესახებ დაწერილია 46701819 პოსტი. #hashtag-ის სისტემამ გამოიწვია ბრენდების პოპულარობის და ცნობადობის გაზრდა. ასევე გაამარტივა სასურველი ბრენდის, პოსტის, პროდუქტის, მოძიება და შეძენა. Instagram-ს დამატებული აქვს ღილაკი shop now, რომლის მეშვეობითაც მომხმარებელს შეუძლია შეიძინოს პროდუქტი ელექტრონული მაღაზიიდან. ღილაკი shop now მომხმარებელს კონვერტირებას უკეთებს იმ ელექტრონული მაღაზიის საიტზე საიდანაც იყიდება შესაბამისი პროდუქტი.

სოციალური ქსელები დიდ ნაბიჯებს დგამენ სოციალური კომერციის განვითარებისათვის. მიუხედავად იმისა რომ 2015 წლისთვის სოციალური კომერციის შემოსავალი ელექტრონული კომერციის შემოსავლის მხოლოდ 5%-ს შეადგენა, სოციალური კომერცია მაინც რჩება ათწლეულის გამოწვევად და სწრაფად მზარდ სფეროდ. მომავალი ათწლეულის განმავლობაში B2C გაყიდვების უმეტესობა მოხდება სოციალურ ქსელში. შეიცვლება ურთიერთობის ფორმა კომპანიასა და მომხმარებელს შორის. მომხმარებლების ძირითადი ნაწილი თავმოყრილი იქნება სოციალურ ქსელში და ურთიერთობის ძირითადი გარემოც გახდება სოციალური ქსელი.

აქედან გამომდინარე, კომპანიებმა მაქსიმალურად უნდა აითვისონ და განავითარონ სოციალური ქსელების სერვისები, იმისთვის რომ გაუძლონ კონკურენციას და მომზადებული შეხვდნენ მომავალს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოში ელექრონული კომერციის განვითარების პრობლემები — მ.ნიკოლაშვილი, თბილისი, 2014წ. სადოქტორო დისერტაცია

2. E-commerce: Business, Technology, Society. Third edition – Kenneth C. Laudon, Carol Guercio Traver, Prentice-Hall, Inc. Upper Saddle River, NJ, USA ©2006

გამოყენებული ლინკები:

1. https://bitly.com/blog/facebook-messenger-instagram-ads-and-social/
2. https://zephoria.com/top-15-valuable-facebook-statistics/
3. http://www.adweek.com/socialtimes/social-commerce-stats-trends/500895

Challenges in Mobile Electronic Commerce

Tinatin Mshvidobadze
Gori State Teaching University(Georgia)

რეზიუმე

უკაბელო ქსელის ტექნოლოგიის მიღწევები და ხელის ტერმინალების მომხმარებელთა რაოდენობის მუდმივი ზრდა, მობილურ მომხმარებლებს პერსონალური მომსახურების იდეალურ საშუალებას სთავაზობს, და ასევე, სწრაფ განვითარებას მობილური ელექტრონული კომერციის (MEC). სტატიაში განვიხილავთ ელექტრონული კომერციის ოპერაციების გამოწვევებს, მათ შორის დიზაინის ახალ ბიზნეს მოდელებს, პროგრამებსა და მომსახურებას. ონლაინ ოპერაციებმა მობილური მოწყობილობების დახმარებით უნდა უზრუნველყოს მაღალი უსაფრთხოება. მობილური კომერცია არის ელექტრონული კომერცია შესრულებული მობილური მოწყობილობების გამოყენებით. იმისათვის, რომ მომხმარებლის ინფორმაცია იყოს დაცული, უნდა იქნას უზრუნველყოფილი მაღალი დონის უსაფრთხოება.

Summary

Advances in wireless network technology and the continuously increasing number of users of hand held terminals make the latter an ideal channel for offering personalized services to mobile users and give pace to the rapid development of Mobile Electronic Commerce (MEC). In this paper, we discuss challenges in electronic commerce transactions including designing new business models, applications and services. Online transactions using mobile devices must ensure high security for user credentials.. M-Commerce is the electronic commerce performed using mobile devices. Since user credentials to be kept secret, a high level of security should be ensured.

Keywords: Mobile Computing, Electronic Commerce, Business Models, Transactions.

As a mobile e-commerce transaction we define any type of transaction of an economic value that is conducted trough a mobile terminal that uses a wireless telecommunications network for communication with the e-commerce infrastructure. Mobile Electronic Commerce (MEC) refers to e-commerce activities relying solely or partially on mobile e-commerce transactions. MEC operates partially in a different environment than E-Commerce conducted in fixed Internet, due to the special characteristics and constraints of mobile terminals and wireless networks and the context, situations and circumstances in which people use their hand-held terminals. MEC has a number of business, technical and legal implications that are different from e-commerce in the fixed Internet setting. Most notably, location-based products and services is a completely new business, technical, and legal area that is typical of MEC[1].

Wireless Application Protocol (WAP) on one hand and TCP/IP+HTTP supporting mobile handsets like the Nokia 9000 Communicator on the other hand. WAP was developed by the Wap forum founded in 1997, aiming to develop the wireless Internet-like standards for digital wireless telecom networks. WAP can be understood as a kind of thin Web due to its simple Wireless Markup Language (WML) and simple browsers for the language, as well as a special protocol stack (WAP stack) that suits better to the wireless environment than the standard TCP/IP+HTTP stack.

WAP plays an important role in MEC by optimizing Internet standards for the constraints of the wireless environment and hand held terminals and thus bridging the gap between Internet and mobile world. Thus, it opens, at least in theory, also the existing e-commerce infrastructure in Internet for mobile handset users. Furthermore, WAP creates new business opportunities for players in the field, like device and infrastructure manufacturers, content and service providers, and for Mobile Network Operators. The latter can play a more active role and become more profitable and competitive while providing contents either solely in WML or both in HTML and WML[2].

M-Commerce Architecture

The M-Commerce architecture is 3 tier architecture and mainly consists of following components as indicated in Fig 1.

1. Front end (client): The mobile device or the piece of software running on the mobile device.
2. Middleware (server): It is the software server running business logic of the system.
3. Back end (database): The back end mainly comprised of database servers.



Fig 1: The M-Commerce Architecture

The M-Commerce architecture depicts different entities involved in 3 tiers and their functionalities. The cell phones are the client devices and used to access different

services to the users. It provides the interface for the customers and serves as the front end for interaction. The base stations will route and forward the signal to intended destination. The SMS Gateway/WAP gateway supports either text or internet based communication.

Wireless Communications.

The necessary networking infrastructure for wireless mobile computing in general combines various wireless networks including cellular, wireless LAN, private and public radio, satellite services, and paging. In wireless networks, digital signals are modulated into electro-magnetic carriers that propagate through space with about at the speed of light. The carriers used are radio waves or infrared light. In wireless telecom networks, the carrier frequencies used are around 900 MHz (European GSM), 1.8 GHz (GSM in America, DECT in Europe). 2.4 GHz and 5.8 GHz are also allocated for wireless networks .

As compared with wire line networks, wireless radio communications add new challenges:

C-autonomy. The handsets in the wireless radio networks are normally not always communicating with the network infrastructure, i.e. they are unreachable. There are numerous reasons for this behavior that can be described under Communication-autonomy

Bandwidth restrictions and network topology: In the case of many wireless networks, such as in cellular or satellite networks, communication channels have much less transfer capacity than wire line network. Further, the protocol overhead (headers) requires certain amount of the channel capacity, as in any network. Therefore, the available nominal transfer capacity of a channel is used rather inefficiently. E.g. GSM network offers typically 9.6 or 14.4 kbits/s transfer capacity for both downlink and uplink directions for the application data over CSD, although the nominal capacity of a logical channel used is ca 30 kbits/s.

The wireless IP network over GSM infrastructure, GPRS will offer basically a variable capacity up to 172 kbits/s. In practice, it is expected that the transfer capacity remains around 100 kbits/s. UMTS has the promise to provide 2 Mbits/s for both uplink and downlink in a connection. Wireless LANs offer then 1- 10 Mbits/s.

Variant bandwidth and bursty traffic: Currently, multi-network terminals are emerging that can use several networks to communicate. Typical forerunners are the dual-band devices that are able to use 900 MHz and 1.8 GHz GSM networks. Soon, there will be products that are able to also use WLANs and possibly Bluetooth, 2000), together with GSM, GPRS and soon also UMTS network infrastructure.

Variant Tariffs: For some networks (e.g., in cellular telephones), network access is charged per connection-time, while for others (e.g., in packet radio), it is charged per message (packet). In the WAP environment there is a larger variety of tariffs, e.g. session-based, transaction-based, connection time-based while in Mobile E-Commerce the range of tariffs is even wider[3].

Distinctive Features of MEC Applications and Services

MEC applications take advantage of mobile communications to offer to consumers and businesses additional benefits as opposed to traditional e-commerce applications.

Location-awareness. In mobile computing, knowledge of the physical location of a user at any particular moment is central to offering relevant services. The location of a mobile device is available to the mobile network operator but it can also be found using sensor devices or technologies such as the Global Positioning System (GPS)[4].

Adaptivity: Mobile e-commerce applications should be adapted to the environment of their clients. Adaptability is possible along various dimensions including the type of the device in use, the currently available communication bandwidth as well as location and time.

Ubiquity: Mobile communications enhance electronic commerce by making electronic commerce services and applications available anywhere and at anytime. Through hand-held devices such as mobile phones, users can be reached at anytime, independent of their location.

Personalization: The information, services and applications available in the Internet today are enormous. It is thus important that the user receives information that is of relevance.

Broadcasting. Some wireless infrastructures, such as cellular architectures and satellite networks, support broadcasting of data to all mobile users inside a specific geographical region.

Business Models in Mobile E-Commerce.

There are many definitions of a business model. We use the definition by, where a business model is defined as:

- An architecture for Product, Service and Information Flows,
- A description of Business Actors and their Roles,
- A description of Potential Benefits of the various Business Actors,
- A description of the Sources of Revenue.

A business model by itself is not enough to provide an understanding of how the model contributes in realising the business mission and objectives.

The above definition can form the basis of a detailed analysis of the business models emerging in MEC. However, this is outside the scope of this paper, therefore we will concentrate on some of the above issues starting from a description of the main players in the Mobile Business Value chain who are:

- technology platform vendors that offer operating systems, e.g., Windows CE and Palm OS, as well as micro browsers, e.g., Phone.com,
- infrastructure and equipment vendors that provide the network infrastructure, e.g., Nokia, application platform vendors who offer middleware and standards,
- application developers,
- content providers and aggregators,
- mobile portal providers for application aggregation,
- mobile network operators,
- mobile service providers that offer added value ser-

vices, and handset vendors and retailers.

A business should take into account its core competence before adopting a new business model. Thus, the Mobile Network Operators (MNO) have a competitive advantage over other players in the field as they already have a billing relationship with the customer, they maintain customer's personal data and they can easily identify the customer's geographic location. It is therefore natural for operators to adopt new business models that exploit these advantages and enter new markets and provide new services in order to increase their profits[5].

M- Commerce: Risks, Security and Payment Methods.

A Mobile Payment is defined as a payment for product or services between two parties for which a mobile device plays a key role in the realization of payment. In an M-Payment activity a mobile phone is used by the payer in one or more steps during banking or financial transactions. The ubiquity of cell phones together with the convenience it offers suggests that mobile payments will constitute an increasing proportion of electronic payments.

Mobile applications can be either be mobile web or native. Security issues in mobile web applications closely resemble those of traditional web applications because of homogeneity in underlying development technologies and protocols [6]

Features of M-Commerce.

Following are some unique features of M-commerce.

a. Ubiquity: Here services are offered irrespective of users geographic location.

b. Immediacy: This feature is closely related to ubiquity where real time a ailment of services is offered for genuine user.eg: stock market data.

c. Localization: Positioning technologies such as GPS offers goods and services specific to customer location.

d. Instant Connectivity: Constant online facility connected with the network avoiding dial up or boot up procedure.

e. proactive functionality: This feature ensures that the right information(relevant) at right time and place. Services like opt in advertising enables the user choices and preferences frequently[7].

M-Payment Life cycle.

Payment transaction in a mobile environment is very similar to a typical payment card transactions shown in Fig 2. It differs in the transport of payment detail involved i.e. wireless device using WAP/HTML based browser.



Fig 2: M-Payment life Cycle

Mobile payment lifecycle has the following main steps.

1. Registration: Customer opens an account with payment service provider for payment service through a particular payment method.

2. Transaction: Transaction mainly comprised of following four important steps.

a) The desire of a customer is generated using a SMS or pressing a mobile phone button.

b) The content provider forwards the request to the payment service provider.

c) Payment service provider then requests a trusted third party to authenticate and authorize the customer.

d) Payment service provider informs content provider about the status of the authentication and authorization. If successful authentication of the customer is performed, content provider will deliver the requested goods.

3. Payment settlement: This operation can take place during real time, prepaid or post-paid mode.

A real time payment involves the exchange of some form of electronic currency, for example payment settlement directly through a bank account. In prepaid type of settlement customers pay in advance using smart cards or electronic wallets. In post pay mode the payment service provider sends billing information to the trusted third party, which sends the bills to customers, receives money back, and then sends the revenue to payment service provider.

Wireless Public Key Infrastructure (WPKI) BasedD M-Commerce Security System.

Public key cryptography technique is used as backbone for the WPKI to provide security in m-commerce. The entire certificate management life cycle activities starting from certification creation, generation, storing, distribution and revocation of public key certificate is supported by an WPKI architecture. [8].

WAP is the key entity in a wireless environment for connecting the internet. WTLS is the lighter version of TLS and it is suitable for wireless environment. For the secure connection and communication between service providers SSL is used. For high efficiency the system adopts enhanced certificate verification method which

reduces the load of resource constrained devices.

Because of Mobile Computing or Mobile networks, M-Commerce has become reality today. The support of large number of cellular network service providers with competing speed made user to use his mobile device as a transacting module rather than simply using it for making calls. Following are some of the merits and demerits of M-commerce.

Advantages of M-Commerce .

1. Convenience: Just a few clicks on the device serve user purpose.
2. Flexible accessibility: User can be accessible through mobile devices and through various messengers.
3. Easy connectivity: As long as network is available the device can be in action.
4. Personalization: Since the device belongs to a specific user, it provides personalization to its user.
5. Time efficient: Critical transaction can be possible to execute with in a very short span of time.

Disadvantages of M-Commerce

1. Technological constraints of mobile devices may limit file size to be processed.
2. User interface may not be friendly to operate.
3. Limitation over the number of characters to be used on SMS.

Conclusion

Mobile E-Commerce is a challenging area as it creates opportunities for many players in the field, like Mobile Network Operators or Content and Service providers. MEC is a dynamically changing area and so are the applications and requirements due to the many interdependencies with user needs, wireless technology and legislation. It is thus essential that related business and legal issues are resolved and follow advances in technology. At the moment there is a small number of applications and content available, the WAP phones are not widely available and the call set-up time is too long.

Because of Mobile Computing or Mobile networks, M-Commerce has become reality today. The support of large number of cellular network service providers with competing speed made user to use his mobile device as a transacting module rather than simply using it for making calls.

References

1.Durlacher Research Ltd. “Mobile Commerce Report”. Feb. 2000. Available at www.durlacher.com

2.E. Pitoura and G. Samaras. “Data Management for Mobile Computing”. Kluwer Academic Publishers, 1998.

3. E.K. Wesel, Wireless Multimedia Communications, Networking Video, Voice and Data. Addison-Wesley, 1998.

4.J. Tang, J. Veijalainen, “On E-Commerce Transaction Protocols that support Atomicity Based Dispute Handling with Untrustworthy Players”. Paper accepted to 3rd Intl. Conference on Telecommunications and Electronic Commerce (ICTEC 2000),Dallas, TX, USA, Nov. 16-19, 2000.

5..P. Timmers. “Electronic Commerce: Strategies and Models for B2B Trading”, Wiley, 1999.

6.Anurag Kumar jain and Devendra Shanbhaug, “ Addressing Security and Privacy Risks Mobile applications”, IEEE Computer society, 2012.

7.Feng Tian et al., “ Application and Research of Mobile E-commerce security based on WPKI”, IEEE International Conference on Information Assurance and Security, 2009.

ბიზნეს-ინჟინერინგი გეოდეზიაში

ალპური ტიპის კვარცის ძარღვები

ნოდარ ფოფორაძე, პროფესორი
ოლღა სესკურია, აკადემიური დოქტორი
ნათია ინანაშვილი, დოქტორანტი

რეზიუმე

წარმოდგენილ ნაშრომში აღწერილი და გამოკვლეულია კავკასიონის ნაოჭა სისტემის ქვედა- და შუაიურული ფიქლებრივი ტერიგენული ფორმაციის სხვადასხვა სიმძლავრისა და სიგრძის, გამკვეთი კვარცის ჰიდროთერმული ძარღვები. ისინი სხვადასხვა მიმართულებით კვეთს შემცველ ქანებს, იკვეთება ერთმანეთით და ხშირად, რძისებრ თეთრი მონომინერალური კვარცის აგრეგატებითაა წარმოდგენილი.

კვარცის ძარღვები გენეტურად ალპური ტიპის ძარღვებს მიეკუთვნება. ძარღვების აგებულება ისევე, როგორც ქიმიური და მინერალური შედგენილობა, უმთავრესად, ერთგვაროვანია. ისინი, ძირითადად, დაბალტემპერატურულ პირობებში წარმოიქმნება და დაკავშირებულია დაბალტემპერატურულ რეგიონულ მეტამორფიზმთან. ჰიდროთერმები, თავის მხრივ, ზემოქმედებს ტერიგენული ფორმაციის ქანებზე, თუმცა მეტამორ-ფიზმის დაბალი ტემპერატურის, მცირე შეღწევადობისა და სუსტი გეოქიმიური აქტივობის გამო, ზემოქმედება დაბალია, ამიტომ ალპური ტიპის ჰიდროთერმული კვარცის ძარღვები, გამადნების თვალსაზრისით, უმეტეს შემთხვევაში, სტერილურია.

კვარცის აგრეგატების უმეტესობა სხვადასხვა ფორმისა და ზომის გაზურ-თხევად ჩანართებს შეიცავს, რომლებიც კვარც-ძარღვული წარმონაქმნების მახასიათებლებია და განსაზღვრავს მეტამორფიზმის წარმოშობის პირობებს.

საკვანძო სიტყვები: კვარცი, მონოკრისტალი, გენერაცია, კვარცის დრუზა, ჰიდროტერმული ძარღვი.

Summary

The present work is on the description and research of hydrothermal quartz veins of various thickness and length from the Lower- and Middle Jurassic schistose-terrigenous formation of the Greater Caucasus Folded System; they cross the country rocks in various directions, cross each other and often they are represented by milky white monogene quarts aggregates.

Genetically quartz veins belong to Alpine type ones; the structure, chemical and mineralogical compositions of the rocks are generally homogenous; they are generally formed in the low-temperature conditions and is usually associated with the low-temperature regional metamorphism. Hydrotherms, in their turn, effect the rocks of terrigenous formation, though due to the low temperature of metamorphism, low grade of penetration and weak geochemical activity the effect is feeble and so the Alpine type hydrothermal quartz veins, from the viewpoint of mineralization, in most cases are sterile.

Most of the quartz aggregates contain gas and liquid inclusions of various forms and sizes that are peculiarities of the quartz-vein formations and define the conditions of metamorphism origin.

Keywords: quartz, monogene, generation, quartz druse, hydrothermal vein.

* * * * * *

პირიქითა ალაზნის ხეობის, ისევე როგორც მთელი კავკასიონის ნაოჭა სისტემის [1], ქვედა- და შუაიურული ფიქლებრივი ტერიგენული ფორმაციის ნალექები წარმოდგენილია სხვადასხვა სისქის თიხაფიქლების, ასპიდური ფიქლების, ქვიშაქვებისა და ალევროლითების არაერთგვაროვანი ნაპრალოვნების მქონე ფენებით [2,3,4], რომლებშიც ფართოდაა განვითარებული განსხვავებული სიმძლავრისა და სიგრძის კვარცის ძარღვები (სურ. 1).

„

სურ. 1. ჰიდროთერმული კვარცის ურთიერთგადამკვეთი ძარღვები

ფიქლებრივი ტერიგენული ფორმაციის ერთიან ჭრილში დომინირებს თიხაფიქლები, შედარებით ცოტაა ალევროლითები და ქვიშაქვები, რომლებშიც განვითარებულ ჰიდროთერმულ კვარცის ძარღვებში არსებული მინერალები გაუმჭვირვალე, მკვრივი, უხეშმარცვლოვანი, თითქმის ყოველთვის რძისებრ თეთრი ფერის კვარცის აგრეგატებითაა წარმოდგენილი. უმეტეს შემთხვევაში, იგი მთლიანად ავსებს ნაპრალებს, სადაც ზოგჯერ მცირე ზომის ბუდეებსა და სიცარიელეებში გვხვდება ცალკეული კარგად განვითარებული მიკროკრისტალები და დრუზები. ისინი თითქმის მთლიანად გამ-ჭვირვალე მთის ბროლისა და რაუხტოპაზის კრისტალური ფორმებითაა წარმო-დგე-ნილი.

ბუნებრივ გაშიშვლებებზე ვიზუალურად თვალნათლივ დაიკვირვება კვარცის ძარღვების გადამკვეთი სისტემები. ისინი რამდენიმე გენერაციისაა, მაგრამ ერთგვა-როვანი, თითქმის მონომინერალური (სურ. 2).

სურ. 2. ერთგვაროვანი თითქმის მონომინერალური ძარღვი

ძარღვები ერთმანეთს სხვადასხვა მიმართულებით კვეთს. მათი გავრცელება, მართალია, ფიქლებრიობისა და შრეებრიობის მიმართულებასაც ემთხვევა, მაგრამ, ძირითადად, გამკვეთი სხეულებითაა (ძარღვებით) წარმოდგენილი ნაპრალებისა და ბზარების გასწვრივ (სურ. 3).

სურ. 3. კვარცის გამკვეთი სხეულები

კვარცის ძარღვებსა და შემცველ ქანებს მიკროსკოპულ (AMSKOPE PZ300T-3M) კვლევასთან ერთად რენტგენოფაზური (DRON3) და რენტგენოფლუორესცენტული (XRD EDX 3600R) კვლევებიც ჩაუტარდა, რომელთა შედეგები საინტერესოა, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გამოსაკვლევი და დასაზუსტებელი. წინა ნაშრომების მიხედვით [5,6], ქვედა- და შუაიურული ფიქლებრივი ტერიგენული ფორმაციის ნალე-ქები, რიგი პარამეტრებისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, შეილგაზის შემ-ცველობის თვალსაზრისით, შესაძლოა პერსპექტიული გახდეს.

კვარცის ძარღვები, ჩვენი თვალსაზრისით, გენეტურად ,,ალპური ძარღვების“ ტიპს უახლოვდება. ისინი ქვიშაქვების მეტამორფიზმსა და ტექტონიკური ზემოქმედებით გამოწვეულ დაფიქლებასა და ნაპრალოვნებასთანაა დაკავშირებული. მათი სხეულის ფორმა მრავალფეროვანია და დამოკიდებულია შემცველი ქანების ნაპრალოვნებასა და შედგენილობაზე, სხეულების უმეტესობა ძარღვული სწორი ან არა-სწორი ლინზისებრია, ძარღვის სიგრძე მერყეობს ერთეული სანტიმეტრიდან ათეულ მეტრამდე. ამ ტიპის ძარღვები გვხვდება კავკასიონის ნაოჭა სისტემის მთავარი ქედის ყაზბეგ-ლაგოდეხის, ჩხალთა-ლაილისა და გაგრაჯავის ზონების ფიქლებრივი ტერიგენული ფორმაციის მთელ გამოსავლებში. ძარღვების აგებულება, ძირითადად, ერთგვაროვანია, ზოგჯერ შეიმჩნევა შემცველი ქანების რელიქტები (სურ. 4), ერთგვაროვანია ასევე მათი ქიმიური და მინერალური შედგენილობაც.

ქვიშაქვებსა და ალევროლითებში განვითარებული სხვადასხვა ზომის ბუნებრივი ბზარები და ნაპრალები გვევლინება როგორც ალპური ტიპის ძარღვების წარმოქმნისათვის ხელსაყრელი გარემო, ისინი ჰიდროთერმების მოძრაობისა და ამომყვანი არხის ფუნქციასაც ასრულებს.

სურ. 4. შემცველი ქანის რელიქტები კვარცის ძარღვში

ალპური ტიპის ძარღვის კვარცის მინერალწარმოქმნის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წნევასთან და ტემპერატურასთან ერთად წარმოადგენს გეოლოგიური გარემო, კერძოდ, კვარცის წარმომქმნელი

გეოლოგიური სხეულის მინერალური და ქიმიური შედგენილობა, ტექტონიკური პირობები, ჩაჟონილი წყლის ტემპერატურა, გეოქიმიური აქტიურობა და სხვ. კვარცის ძარღვების ჩამოყალიბებისა და მათი ფორმირების მოდელი, არსებული ლიტერატურული მონაცემებისა და ჩვენი კვლევების საფუძველზე, მარტივად შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: იურულ და ცარცულ სისტემაში, ტერიგენული ფორმაციის ფიქლებრივი ქანების შრეების დაძირვის სტადიაზე, რომელ-საც თან სდევს დიაგენეზისის, კატაგენეზისისა და გარკვეულ სიღრმეზე მეტამორფიზმის პროცესიც, დედა ქანებში მიმდინარეობს მეტამორფოგენული (დაახლოებით, 7-12 კილომეტრზე) ფლუიდების ფორმირება, რომელთა წყლების (ხსნარების) ძირითად წყაროს, ჩაჟონილ წყლებთან ერთად წარმოადგენს ქანების წყალშემცველი მინერალების (თიხები, ქარსები, ჟანგეულები) დეჰიდრატაციისა და დაშლისას გამოყოფილი (გამოწვილული) წყალი [7]. შემცველ ქანებში (არგილითები, თიხაფიქლები, ქვიშაქვები) გაწყლოვანების პროცესში მიმდინარე ქიმიური და იონოგაცვლითი რეაქციებით ჩამოყალიბდა მეტამორფოგენული ფლუიდები, რომელთა ქიმიური შედგენილობაც მთლიანად დამოკიდებულია დედაქანის ქიმიურ და მინერალოგიურ შედგენილობაზე.

ალპური ტიპის ძარღვის კვარცები, ძირითადად, დაბალტემპერატურულ პირობებში წარმოიქმნება. ისინი დაკავშირებულია დაბალტემპერატურული რეგიონული მეტამორფიზმის შედეგად წარმოქმნილ ჰიდროთერმულ მინერალიზაციასთან ზედაპირული ჩაჟონილი წყლების მონაწილეობით. ჰიდროთერმები, თავის მხრივ, ზემოქმედებს ტერიგენული ფორმაციის ქანებზე, თუმცა მეტამორფიზმის დაბალი ტემპერატურის, მცირე შეღწევადობისა და სუსტი გეოქიმიური აქტივობის გამო, ზემოქმედება დაბა-ლია, ამიტომ შემცველ ქანეში განვითარებულ ალპური ტიპის ჰიდროთერმული კვარცის ძარღვებში, უმთავრესად კვარცის გამოკრისტალება ხორციელდება.

რ. ახლედიანმა [8] ხდესწყლისა და შოდას უბნებში ალპური ტიპის კვარცის ძარღვებში სამი მთავარი გენერაციის კვარცი გამოყო. პირველი გენერაციის კვარცი, რომლის რძისებრ-თეთრი ფერის აგრეგატები (ადგილ-ადგილ გამჭვირვალე) მარცვლისებრი და მასიური ტექსტურითაა წარმოდგენილი. ამ ტიპის კვარცითაა შევსებული ძარღვების უმეტესობა. ასეთი კვარცები შედარებით მცირე ზომის თანაბარ-მარცვლოვანი კრისტალებითა და აგრეგატებითაა წარმოდგენილი. ისინი მატრიცაში ქმნის დაგროვების ცალკეულ უბნებს და მიუთითებს ადრეული სტადიის კვარცის კრისტალების ზრდის მაღალ სიჩქარეზე. აქვე გვხვდება შედარებით მცირედ წაგრძელებული კვარცის აგრეგატები, რომელთა წაგრძელება განვითარებულია ხსნარების მოძრაობის მიმართულების თანხვდენილად. ისინი ნაწილობრივ ან მთლიანად ავსებს ძარღვაკებისა და ძარღვების სიცარიელეებს. ისინი პირველი გენერაციის ბოლო ეტაპზეა განვითარებული.

კვარცის მეორე გენერაცია წარმოდგენილია წაგრძელებული, ხშირად პარალელური კვარცის კრისტალური აგრეგატებით, რომელთა სიგრძე დამოკიდებულია მინერალწარმომქმნელი პროცესის ინტენსიობაზე. რომელთა თანადროულად ხშირად უწვრილესი ქლორიტების გამოკრისტალება ხორციელდება. მათი შენაზარდები კვარცს მომწვანო ელფერს აძლევს.

კვარცის მესამე გენერაცია სხვადასხვა ხარისხის გამჭვირვალე კვარცის დრუზებსა და ჯაგრისებს ქმნის.

ალპური ტიპის ძარღვები წარმოადგენს ჰიდროთერმული ძარღვების განსაკუთრებულ სახესხვაობას. მათ მიეკუთვნება კვარცის გამონაყოფები მეტამორფულ ქანებში ლინზისებრ და სხვა ფორმის ნაპრალებსა და ბზარებში, რომლებიც შემცველი ქანე-ბის მიმართებისადმი ხშირად თითქმის მართობულად არის ორიენტირებული. მათთვის დამახასიათებელია შემცველი ქანების მსგავსი შედგენილობის მინერალებით შევსება. ალპური ძარღვებისათვის ტიპურ მინერალებს წარმოადგენს: კვარცი (ხშირად მთის ბროლის სახით დიდ სიცარიელეებში), ადულარი (მინდვრის შპატი), ალბიტი, ქლორიტები, ეპიდოტი, რუტილი, ტიტანიტი, ანატაზი, ბრუკიტი, ჰემატიტი, იშვიათად ცეოლითების ჯგუფის ზოგიერთი მინერალი. ალპური ძარღვები, ერთ შემთხვევაში, გენეტურად არ უკავშირდება ამოფრქვეულ ქანებს, ხოლო სხვა შემთხვევაში, ზოგჯერ ადგილი აქვს მაგმურ კერებთან სიახლოვეს, მაგრამ პირდაპირი ურთიერთკავშირი მათ შორის მაინც არ შეიმჩნევა. სავარაუდოა, რომ ალპური ძარღვების წარმოშობა უკავშირდება შემცველი ქანების ქანმაშენი მინერალების კომპონენტების გამოტუტვის პროცესებს და მათ გამოკრისტალებას ნაპრალების არსებულ სიცარიელეებში. ამ პროცესების ერთობლიობას ლატერალურ-სეკრეციული მინერალწარმოქმნა ეწოდება. ალპური ტიპის ძარღვებს ხშირად უკავშირდება მთის ბროლის შემცველი მეტნაკლებად მსხვილი სიცარიელეები, რომელთა კედლების ზედაპირები დაფარულია კრისტალთა დრუზებით ან ჯაგრისებით.

ალპური ტიპის მთის ბროლის შემცველ ძარღვებს სამრეწველო მნიშვნელობა გააჩნია და ხშირად წარმოადგენს პიეზოოპტიკური კვარცის ნედლეულის წყაროს.

როგორც ცნობილია, თიხაფიქლები და არგილიტები, ჩვეულებრივ, გამოირჩევა განსაკუთრებით დაბალი შეღწევადობით, თუმცა ტექტონიკური ზემოქმედება განაპირობებს მათში ბზარებისა და რღვევების განვითარებას სხვადასხვა მიმართულებით, ხოლო ქანში ბუნებრივი ბზარები გვევლინება, როგორც ფლუიდების ფილტრაციის არხები. ბზარებს რეალურად შეუძლია გაზარდოს მაღალი წნევის ქვეშ მყოფი ფლუიდების გამტარებლობა, რომლებიც ჰიფსომეტრულად ზედა ჰორიზონტებში გადაადგილდება. სწორედ მათში ვითარდება ალპური ძარღვები, ხშირად შრეობრიობისა და ფიქლებრიობის მართობულად. გარდაქმნა, ძირითადად, გამოხატულია მინ-

ერალოგიური და სტრუქტურული ნიშნების თავისებურებებით, რაც დამოკიდებულია შემცველი ქანების პოსტდიაგენეტური ცვლილებების ხარისხზე, ბუნებრივი ბზარების სისტემაზე, მათ ორიენტირებასა და სიხშირეზე, ფლუიდების აქტიურობაზე, ფლუიდისმომყვანი არხების რაობასა და მათი შეღწევადობის ხარისხზე. ალპური ძარღვების ინფორმაციულობა განაპირობებს დანალექი ქანების პოსტდიაგენეტური გარდაქმნების ხარისხის, კომპონენტების მობილიზებისა და გადანაწილების დადგენას. ზოგჯერ ალპური ტიპის ძარღვის კვარცები გვევლინება მადნეული სხეულების სიახლოვისა და, განსაკუთრებით, ოქროსშემცველი ზონების პერსპექტიულობის ინდიკატორად, ისინი ხშირად კატაკლაზირებული და დაფიქლებულია [9].

კატაკლაზირებული და დაფიქლებული კვარცი, თავის მხრივ, შეიცავს ინფორმაციას სტრესული პროცესების გავლენაზე, რასაც ადგილი ჰქონდა გეოლოგიური პროცესის დროს. დაფიქლებული კვარცის ფლუიდგაჯერებულობა ხშირად ტექტონიკური პროცესების მარკერია.

ქვიშაქვებისა და არგილიტების შრეები ხშირად მოიცავს ბუნებრივ ბზარებს, რომლებიც ქმნის ფილტრაციის არხებს, აერთიანებს ფორებს ქანის მატრიცასა და მოცულობით სივრცეში.

ალპური ძარღვების კვარცის უმეტესობა სხვადასხვა ფორმისა და ზომის გაზურ-თხევად ჩანართებს შეიცავს, რომელთა შედგენილობა ძირითადად მსგავსია. მთავარ კომპონენტებს წარმოადგენს წყალი და ნახშირმჟავა, ხოლო მცირე რაოდენობით გვხვდება ნახშირწყალბადები, მეტაკოლოიდები, კარბონატები, რომლებიც კვარცძარღვული წარმონაქმნების მახასიათებლებია და განსაზღვრავს მეტამორფიზმის პირობებსაც. ალპური ტიპის ძარღვის კვარცების ტიპომორფული თავისებურებები განსხვავდება შემდეგი თერმობაროგეოქიმიური ნიშნებით: გაზურ-თხევადი ჩანართების ფორმითა და ზომით, აგრეგატულ-ფაზური შედგენილობით, მათი ჰომოგენიზაციის ტემპერატურით, დეკრიპტოგრამის კონფიგურაციით, ფლუიდგაჯერების სიდიდით, ჩანართების გაზური კომპონენტის თანაფარდობით [10].

ლიტერატურული მონაცემებით [10], კავკასიონის ნაოჭა სისტემის ალპური ძარღვების რძისებრ-თეთრი კვარცების გაზურთხევადი ჩანართები ჰომოგენიზაცი-ის ტემპერატურის ფართო ინტერვალით ხასიათდება. ძარღვების ძირითადი ნაწილის (40-60%) გაზურ-თხევადი ჩანართების ჰომოგენიზაციის ტემპერატურაა 110-160^{0}C, შემდეგი ნაწილის (30-50%) გაზურ-თხევადი ჩანართების ჰომოგენიზაციის ტემპერატურაა 160-260^{0}C, შედარებით მცირე ნაწილი (3-5%) 260-310^{0}C და 330-350^{0}C-ზე განიცდის ჰომოგენიზაციას. ტემპერატურის მატება, ყოველ ერთ კილომეტრ სიღრმეზე ქვედა და შუა იურული ფიქლებრივი ტერიგენული ფორმაციის ნალექებში, შეადგენს 25-30^{0}C.

ვთვლით, რომ ალპური ტიპის ძარღვის კვარცის წარმოქმნის ტემპერატურა შეესაბამება შემცველი ქანების მეტამორფიზმის ტემპერატურას. ეს მტკიცდება იმით, რომ ალპური ძარღვისა და შემცველი ქვიშაქვების მეტამორფიზმის პროცესში ახლად წარმოქმნილი კვარცის დეკრიპტომეტრული მახასიათებლები, როგორც წესი, იდენტურია [11].

ალპური ძარღვის კვარცები შეიცავს ინფორმაციას შემცველი ქანების გარდაქმნის სისტემის შესახებ. გაზის გამოყოფის ტემპერატურული პარამეტრების მსგავსება ფლუიდური ჩანართების დეკრიპტაციისას [11], შეიძლება აიხსნას კვარცის ძარღვისა და რეგენერაციული კვარცის ცემენტაციის წარმოქმნის ერთიანი ბუნებით ქვიშაქვების ღრმა კატაგენეზისისას კვარცის მარცვლების გახსნისას.

ფიქლებრივი ტერიგენული ფორმაციის ქანებმა განიცადა კატაგენეზისის პროცესი; სიღრმის მატებასთან ერთად მათი გარდაქმნის ინტენსივობაც იზრდება და ზოგჯერ კატაგენეზისის დონე მეტაგენეზისის ელემენტებსაც იძენს [12], შესაბამისად, ტერიგენული ქანების შემადგენელი მინერალების გადაკრისტალების ხარისხი ჭრილში იზრდება ზევიდან ქვევით. კატაგენეზისის საწყის ეტაპზე ტერიგენული ფორმაციის ქანებში ჩნდება ჰიდროქარსი და ქლორიტი, უფრო ღრმა კატაგენეტური ცვლილებები ვლინდება წვრილქერცლოვანი სერიციტის წარმოქმნით, რომელიც გადადის მუსკოვიტში, ბაცი ქლორიტის გაჩენით და აგრეგატული კვარცის გამოყოფით [5]. ტემპერატურის ზრდასთან ერთად ქვიშაქვების კვარცის ხარჯზე წარმოიქმნება ალპური კვარცის ძარღვები, რომლებიც მაღალი ჰიდროსტატიკური წნევის ზეგავლენით ქანებში არსებული ბუნებრივი ბზარებისა და ნაპრალების გასწვრივ გადაადგილდება, ძირითადად, აღმავალი მიმართულებით. ბზარები და ნაპრალები მინერალიზებულია, თუმცა სასარგებლო კომპონენტებისგან უმეტეს შემთხვევაში სტერილურია.

პოლარიზაციული მიკროსკოპით (Amscope PZ 600TC-8) შესწავლილია როგორც კვარცის ძარღვების, ასევე შემცველი ქანების ნიმუშები, რომლებიც, ძირითადად, თიხაფიქლებითა და მეტაქვიშაქვებითაა წარმოდგენილი. შემცველ ქანებსა და კვარცის ძარღვებზე მარილმჟავა ერთეული შემთხვევის გარდა, პრაქტიკულად, არ რეაგირებს. შლიფებში ხშირად შეიმჩნევა სხვადასხვა მიმართულებით განვითარებული მიკრობზარების გაჩენა.

კვარცის ძარღვის პოლირებული ზედაპირი (სურ. 5), სადაც ანალიზების ჩატარების ადგილებია ნაჩვენები.

კვარცის ძარღვები მიკროსკოპში მცირე გადიდებაზე, ძირითადად, მონომინერალური კვარცითაა წარმოდგენილი, რომელსაც აქვს შუბისებრი, მოზაიკური სტრუქტურა, ახასიათებს ზოლებრიობა, იშვიათად, კვარც-მინდვრისშპატიანი და კვარც-კალციტიანი ძარღვებიც ფიქსირდება.



სურ. 5. კვარცის ძარღვის (ნიმუში №226) ზედაპირი, სადაც ანალიზებია ჩატარებული

(ნომერი ნიმუშზე ოვალურ ჩარჩოში მიუთითებს შლიფის დამზადების ადგილს; მრგვალ ჩარჩოში – რენტგენოფლუორესცენტული ანალიზის ჩატარების წერტილებს; ხოლო ოთხკუთხედ ჩარჩოში – რენტგენოფაზური ანალიზის ჩატარების წერტილებს.)

შლიფში (№226/1) კვარცს ბლოკისებური აგებულება აქვს, ძარღვის შიდა ნაწილი უფრო სუფთაა, დაბზარული, ბზარებში რკინის ჟანგია. ახასიათებს ტალღოვანი ჩაქრობა [სურ. 6].



სურ. 6. კვარცის აგრეგატები პოლარიზაციული მიკროსკოპით

კვარცის ძარღვების შემცველი (№227/1) ნიმუშის პოლირებულ ზედაპირზე თვალნათლივ დაიკვირვება კვარცის სხვადასხვა სიმძლავრისა და სიგრძის გამონაყოფები, ზოგიც ისოლება (სურ. 7). მათგან დამზადებულ შლიფებში კვარცის სხვადასხვა გენერაციის აგრეგატები ფიქსირდება.



სურ. 7. კვარცის ძარღვის (ნიმუში №227) ზედაპირი, სადაც ანალიზებია ჩატარებული

შლიფი (№227/1) წარმოადგენს ქვიშაქვაში განვითარებულ კვარცის ძარღვებს, დიდ ძარღვში გვხვდება შუბისებრი სტრუქტურის პლაგიოკლაზები. კვარცი რამდენიმე გენერაციისაა, არის წვრილმარცვლოვანი, შედარებით იზომეტრული ფორმის, მცირე ზომის თანაბარმარცვლოვანი, რომლებიც მატრიცაში ქმნის დაგროვების ცალკეულ უბნებს და მიუთითებს ადრეული სტადიის კვარცის კრისტალების ზრდის მაღალ სიჩქარეზე პირველი გენერაციისას. წვრილმარცვლოვანი კვარცის ზალბანდებში ხშირად დაიკვირვება შემდეგი გენერაციის კვარცის შედარებით წაგრძელებული კრისტალები (სურ. 8), რომლებიც ზოგჯერ ისოლება. მათი წარმოშობის პროცესის მიმართულება განაპირობებს კვარცის აგრეგატების ზოლოვნებას, ზოგჯერ სვეტოვნებას, მოზაიკურობას.

ხშირად, ერთ შლიფში დაიკვირვება პირველი და მეორე გენერაციის კვარცები და, მათ შორის, გარდამავალი ფაზები, გადასვლა დანდათანობითია.



სურ. 8. კვარცის წვრილმარცვლოვანი, თანაბარმარცვლოვანი აგრეგატების გადასვლა

მეორე გენერაციის წაგრძელებულ აგრეგატებში

შლიფის ზოგიერთ უბანზე თვალნათლივ დაიკვირვება მეორე გენერაციის კვარცის წაგრძელებული აგრეგატების (კრისტალების) შუაშრე პირველი გენერაციის მარცვლოვანი კვარცების გამონაყოფებს შორის (სურ. 9). კვარცებს ახასიათებს მომწვანო პლეოქროული შეფერვა, რაც შესაძლებელია გამოწვეული იყოს კვარცის კრისტალების წახნაგებზე ილიტის, ქლორიტის ან რკინის ჰიდროჟანგების წვრილდისპერსული მასის ნაფიფქებით ან მინატმასნებით.



სურ. 9. მეორე გენერაციის კვარცის წაგრძელებული აგრეგატების შუაშრე პირველი გენერაციის მარცვლოვანი კვარცების გამონაყოფებს შორის

კვარცის შედარებით დიდი ზომის აგრეგტებზე შეინიშნება დეფექტები, ბზარები და ფორები, რომლებიც ხშირად რელიქტური მასალითაა ამოვსებული.

რენტგენოფლუორესცენტული (EDX 6000B – Skayray XRF) მეთოდით კვარცის ძარღვებთან ერთად შესწავლილია შემცველი ქანებისა და კონტაქტური უბნების ნიმუშები. ანალიზი ჩატარდა ნიმუშების გაპრიალებულ ზედაპირზე რამდენიმე წერტილში, ძირითად ქანმაშენ ელემენტებთან (Si, Ti, Al, Fe, Mg, Mn, Ca, K) ერთად განისაზღვრა 21 ელემენტის (V, Cr, Co, Ni, Cu, Zn, As, Zr, Sr, Nb, Mo, As, Cd, Sn, Sb, W, Au, Pb, Ba, P, S) შემცველობა, თუმცა ამ ეტაპზე

აღნიშვნის ღირსია ნიკელის, თუთიის, ცირკონიუმის, ვერცხლის, სტიბიუმისა და ტყვიის მცირედ ამაღლებული შემცველობები, დანარჩენი ელემენტები, პრაქტიკულად, არ ფიქსირდება.

საკვლევი კვარცის ძარღვის ნიმუშებსა და შემცველ ქანებს მინერალური ფაზების რაობისა და მათი რაოდენობის დაზუსტების მიზნით, პეტროგრაფიული აღწერების პარალელურად ჩაუტარდა რენტგენოფაზური (DRON-3) ანალიზი. კვარცის ძარღვის ნიმუშში თვალნათლივ ფიქსირდება მონომინერალური კვარცის (95%) პიკები (სურ. 10), იშვიათად, Ca-Na მინდვრის შპატები. შემცველ ქანებში კი - კვარცი, Ca-Na მინდვრის შპატები, F Fe-Mg ქლორიტები, ხოლო ქარსები - კვალის დონეზე (სურ. 15).



სურ. 10. ა - კვარცის ძარღვისა (№227/1) და ბ - კვარცის ძარღვისა და შემცველი ქანის კონტაქტის ნიმუშების (№227/4) რენტგენოგრამა

კავკასიონის ნაოჭა სისტემის პირიქითა ალაზნის ხეობის ქვედა და შუა იურული ფიქლებრივი ტერიგენული ფორმაციის ნალექების ალპური ტიპის ძარღვის კვარცები ძირითადად დაკავშირებულია დაბალტემპერატურული რეგიონული მეტამორფიზმის შედეგად წარმოქმნილ ჰიდროთერმულ მინერალიზაციასთან, ზედაპირული ჩაჟონილი წყლების მონაწილეობით. გამადნების თვალსაზრისით, ისინი სტერილურია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Гамкрелидзе И.П. Вновь о тектоническом расчленении территории Грузии. Тр. ГИН АН Грузии, Нов. сер. вып. 115. 2000, ст. 204-208;
2. Топчишвили М.В., Ломинадзе Т.А. и др. Стратиграфия юрских отложений Грузии. Трудынов. сер. вып. 122, Тбилиси. 2006, 449 с.;
3. Чихрадзе Г.А. Литология юрских и меловых отложений южного склона Большого Кавказа. Тбилиси. 1981, 41 с.;
4. Гаврилов Ю.О. Динамика формирования юрского терригенного комплекса Большого Кавказа. 2004. 310 с.;
5. ფოფორაძე ნ., ახვლედიანი ი., შეყრილაძე ი., სესკურია ო. ყაზბეგ-ომალოს რეგიონის ქვედა- და შუაიურული ფიქლებრივი ტერიგენული ნალექების თავისებურებანი, საერთაშორისო სამეცნ. ჟურნ. "ინტელექტუალი", №30, 2015, გვ. 175-187;
6. Shekriladze I., Poporadze N., Zviadaze U.Shales of Georgia: Shale gas mining context. Georgian National Academy of Sciences. Bulletin vol.7, no. 1, Tbilsi 2013, pp 69-78;
7. Хэнор Д. С. Гидротермальные флюиды осадочного генезиса. Кн. «Геохимия гидротермальных месторождений». Москва, 1982, ст. 122-147;
8. Ахвледиани Р.А. Минералогия жил альпиского типаместорождений Хдесцкали и Шода. Тбилиси, Мецниереба, 1972, 74 с.;
9. Грановская Н. В., Кобзарева Ж. С. Условия постседиментационных преобразований рифейских отложений Башкирского антиклинория по термобарогеохимическим данным.YII Всероссийское литологическое совещение. 2013, ст. 249-252.;
10. Ярошевич В. З., Аревадзе Д. В., Чхаидзе Ц.Ш. Разработать и внедрить комплекс термобарогеохимических методов пойска скрытых кварцего-жильных тел в верховьях бассейна р. Риони. Тбилиси, 1989 (рукопись).;
11. Кобзарева Ж. С. Минерального-термобарогеохимические особенности жильного кварца в рифейских осадочных комплексах Авзяно-Белорецкого золотнорудного района. Автореферат. 2007. 25 с.;
12. ბენიძე გ. ორგანული ნახშირბადის განაწილება და პოსტდიაგენეტური გარდაქმნების თავისებურებანი ალაზანგაღმა კახეთის ქვედა-შუაიურულ ფიქლებრივ ტერიგენულ ნალექებში. შრომათა კრებული. 2009. გვ. 170-178.

ნავთობპროდუქტების დანაკარგების შემცირების ეკოლოგიურ - ეკონომიკური ასპექტები მათი შენახვის პროცესში

გურამ მიქაძე, სტუ-ს პროფესორი
ხათუნა მღებრიშვილი,

რეზიუმე

განხილულია: ნავთობპროდუქტების დანაკარგთა სახეები, მათი წარმოქმნის მიზეზები შენახვის სხვადასხვა მეთოდების გამოყენების შემთხვევებში; შესაბამისი სტანდარტებით დადგენილი წესები და მოთხოვნები ნავთობპროდუქტების სწორი შენახვისა და მათი რაციონალური გამოყენების შესახებ; ნავთობპროდუქტების ფიზიკური და ქიმიური თვისებების (ხარისხის) შეცვლის (გაუარესების) მიზეზები; დანაკარგებთან ბრძოლის, მათ მიერ გამოწვეული დიდი მატერიალური ზარალის , გარემოს (ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის, ჰიდროსფეროს) მნიშვნელოვანი გაჭუჭყიანების, ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზეგავლენის საკითხები და ყოველივე ამით განპირობებული ფრიად არასასურველი შედეგები. მოტანილია ღონისძიებათა ჩამონათვალი, რომელთა პრაქტიკული რეალიზაცია, გარკვეულწილად, ხელს შეუწყობს აღნიშნულ, უაღრესად არასასურველ შედეგთა აღმოფხვრას ან ნაწილობრივ მაინც შემცირებას.

SUMMARY

Guram Mikadze,
Khatuna Mgebrishvili

Environmental and economic aspects of the reduction of losses during storage of petroleum products

Considered: Species of losses of petroleum products, their causes in the application of various methods of storage; The rules and requirements of proper storage of petroleum products and their rational use; Reasons for change (deterioration) physical and chemical properties (qualities) of petroleum products; Questions: Loss control; Great material damage caused by them; Significant contamination of the environment (air, soil, hydrosphere); Negative impact on human health and results caused by these risk factors; The list of activities the implementation of which will contribute, if not to the extent eradication, then at least to the partial reduction of the above – noted very undesirable consequences .

პლანეტა დედამიწაზე ორი განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე თხევადი ნივთიერებაა: წყალი და ნავთობი. წყალმა, სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, დასაბამი მისცა სიცოცხლის წარმოშობას, ნავთობმა კი ერთ-ერთი ფრიად მნიშვნეროლი შეასრულა სახალხო მეურნეობის მრავალი დარგის (მათ შორის თანამედროვე ტრანსპორტის) შექმნასა და განვითარებაში. ისევე როგორც უწყლოდ წარმოუდგენელია სიცოცხლე, ნავთობპროდუქტების გარეშეც შეუძლებელია ადამიანის მრავალმხრივი მოღვაწეობისათვის აუცილებლად საჭირო ბევრი საქმიანობის შესრულება. ამიტომ ნავთობპროდუქტების მთელი „სასიცოცხლო ციკლის“ (დაზვერვა; მოპოვება; გადამუშავება; ტრანსპორტირება; მიღება; შენახვა; გაცემა; გამოყენება; რეგენერაცია) ერთერთ საპასუხისმგებლო ეტაპზე - შენახვის პროცესში - დანაკარგთა შემცირებას, უდაოდ, დიდი სახალხო - სამეურნეო მნიშვნელობა აქვს...ეს დანაკარგები მრავალმხრივ (მათ შორის დიდ ეკოლოგიურ და ეკონომიკურ) ზიანს აყენებს კაცობრიობას. ნავთობპროდუქტების დანაკარგებთან ბრძოლის ღონისძიებათა წარმატებითი განხორციელებისათვის აუცილებელია მათი წარმოშობის მიზეზებისა და შესაძლო შემცირებათა მეთოდების ზუსტი ცოდნა... და სწორედ ამიტომ წინამდებარე ნაშრომის აქტუალურობა ეჭვს არ იწვევს.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფრიად სასარგებლო წიაღისეული - ნავთობი - ადვილად აალებადი, სპეციფიკური სუნის მქონე სითხე - შედგება განსხვავებული მოლეკულური მასის მქონე ნახშირწყალბადებისა და სხვა ორგანული ნივთიერებებისაგან. მისგან ენერგეტიკული დანადგარებისათვის განკუთვნილი საწვავ- შემზეთი მასალების; გამხსნელების; ქიმიურ მრეწველობაში ფართოდ გამოყენებული ნედლეულის მიღების მიზნით ახდენენ ნავთობის გადამუშავებას. მსოფლიოს საწვავ-ენერგეტიკულ ბალანსში ნავთობს წამყვანი ადგილი უჭირავს. ნავთობპროდუქტების წილი 2010 წელს მსოფლიოში გამოყენებული ენერგორესურსების საერთო (მთლიანი) რაოდენობის 33,6% -ს შეადგენდა. ამერიკის შეერთებული შტატების ენერგო ინფორმაციის ადმინისტრაციის მონაცემების მიხედვით 2011 წელს მსოფლიო დღე-ღამეში დაახლოებით 87421 მილიონ ბარელ ნავთობს მოიხმარდა.

ნავთობი ძვირფასი, საუკეთესო წყაროა ისეთი მნიშვნელოვანი პროდუქტების მისაღებად, როგორიცაა: სინთეტიკური კაუჩუკი და ბოჭკოები; პლასტმასები; პლასტიფიკატორები; საღებავები; სხვა-

დასხვა მედიკამენტები; ხელოვნური პარფიუმერიის საგნები; ცილოვანი ნივთიერებები და სხვა მრავალი.

ნავთობის უნიკალურობას განაპირობებს მისი თვისებების შესანიშნავი კომბინაცია: ენერგიის მაღალი სიმკვრივე (30 % - ით მეტი მაღალ-ხარისხიან ნახშირებთან შედარებით), - განპირობებული დიდი თბოუნარიანობით (1 კგ ნავთობის თბოუნარიანობა 1,3 კგ ანტრაციტის ან 3 კგ მურა ნახშირის თბოუნარიანობის ექვივალენტურია); ნავთობის მოპოვების თვითღირებულობა დაახლოებით ექვსჯერ ნაკლებია ვიდრე ნახშირის მოპოვებისა; ნავთობის ტრანსპორტირება მნიშნელოვნად ადვილი და მოსახერხებელია ვიდრე მყარი ან აიროვანი საწვავისა; ნავთობის წვის შედეგად არ წარმოიქმნება ნაცარი.

ნავთობის საბადოების შემცირება, ნავთობ-პროდუქტებზე ფასების ზრდა, გარემოს ეკოლოგიური დაცვა ნავთობის მავნე ზეგავლენისაგან და სხვა ამგვარი ფაქტორერები კიდევ ერთხელ ადასტურებენ ნავთობპრპდუქტების მომჭირნედ, ეკონომიურად, რაციონალურად გამოყენების აუცილებლობას და წინამდებარე ნაშრომში განსახილვილ საკითხთა აქტუალურობას: დანაკარგების შემცირების პრობლემაც ხომ, უდავოდ, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, როგორც ეკოლოგიური, ისევე ეკონომიკური თვალსაზრისით (ასპექტით). დიდი ხნის განმავლობაში ადამიანი ნავთობს იყენებდა ისეთი სახით, როგორითაც მას პოულობდა ბუნებაში. მოიხმარდა მას: როგორც განათების საშუალებას; კოცონის გასაჩაღებლად; სამკურნალო მიზნებისათვის. ცნობილი ვენეციელი მოგზაური მარკო პოლო, რომელმაც კავკასია 700 წლის წინათ მოინახულა, წერდა: „საქართველოს საზღვართან არის ზეთის დიდი რაოდენობის წყარო... მისი ჭამა არ შეიძლება, მაგრამ შესაძლებელია მისი დაწვა და გამოყენება, აქლემების სხეულზე წასმა, რომლებსაც აწუხებთ სხვადასხვა დაავადებები. შორეული ადგილებიდან მოდიან ამ ზეთისათვის, მიაქვთ და იყენებენ მთელ ქვეყანაში საწვავად“.

პირველი სასარგებლო პროდუქტი, რომელიც ადამიანმა მიიღო ნავთობის გადამუშავების წესების შემუშავების შემდეგ (XIX საუკუნის ოციან წლებში) იყო ნავთი. ცეცხლსაშიში, აქროლადი ბენზინი კი წარმოიშობოდა როგორც წარმოების ნარჩენი. აფეთქების საშიშროების გამო მისი გამოყენება შეუძლებელი იყო... ამ სახიფათო და მაშინ ყოვლად უვარგისი სითხის სალიკვიდაციო სამუშაოები ბევრ სიძნელეს უქმნიდა ნავთობმწარმოებლებს. ბენზინს მრავალი წლის განმავლობაში წვავდნენ ორმოებში, გაჰქონდათ შორს ზღვაში და იქ ღვრიდნენ... თავისუფლდებოდნენ მისგან როგორც შეეძლოთ ...

მხოლოდ თხევადი საწვავით მომუშავე შიგაწვის ძრავების და მათ ბაზაზე შექმნილი საავტომობილო ტრანსპორტის განვითარებამ დაუდო ზღვარი ბენზინის განადგურებას. თბური ძრავებისათვის ბენზინის (როგორც აორთქლების კარგი უნარის მქონე საწვავის) გამოყენებისა და პირველი კარბურატორის შექმნის იდეა გერმანელ ავტოკონსტრუქტორს გოტლიბ დაიმლერსა და მის კომპანიონს ვილჰელმ მაიბახს ეკუთვნის, რაც მათ XIX საუკუნის ოთხმოციან წლებში განახორციელეს. მაშინ ნავთობის გადამუშავების შედეგად სამი პროდუქტი მიიღებოდა: ზეთი, რომელიც სარკინიგზო ტრანსპორტზე და საზღვაო თბომავლებზე გამოიყენებოდა; ნავთი მოიხმარებოდა ლამპებში განათებისათვის და ბენზინი, რომელიც აფთიაქებში იყიდებოდა როგორც გამასუფთავებელი საშუალება.

ბენზინით მომუშავე პირველი ძრავები ააგეს გამოჩენილმა გერმანელმა გამომგონებლებმა გოტლიბ დაიმლერმა 1883 წელს და კარლ ბენცმა - 1884 წელს.

ძრავთმშენებლობასა და ნავთობგადამამუშავებელ მრეწველობას, რომელიც შიგაწვის ძრავებისა და მობილური მანქანების საწვავ-შემზეთი მასალების ძირითადი მიმწოდებელია, მათი განვითარების მთელი ისტორიის განმავლობაში მჭიდრო ურთიერთკავშირი აქვთ: ძრავთმშენებლობა მნიშვნელოვან წილად განსაზღვრავს ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების ძირითად ტენდენციებს, საწვავ-შემზეთი მასალები კი, თავის მხრივ, გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს ძრავთმშენებლობას.

ასხვავებენ ნავთობპროდუქტთა შემდეგი სახის დანაკარგებს :

- რაოდენობრივს, რომელსაც ძირითადად იწვევს გაჟონვა და დაღვრა ;
- ხარისხობრივ - რაოდენობრივს (რაოდენობრივი დანაკარები დარჩენილი ნავთობპროდუქტის ხარისხის გაუარესებით აორთქლების გამო);
- ხარისხობრივს ნავთობპროდუქტების ხარისხის გაუარესება მათი დაუშვებელი ურთიერთშერევის გამო).

ნავთობპროდუქტებს ინახავენ სტაციონარულ რეზერვუარებში, კასრებში.

ბიდონებში და სხვა ტარაში. თარის ამა თუ იმ სახის შერჩევა დამოკიდებულია ნავთობპროდუქტების ხარჯზე, ადგილობრივ პირობებზე, სხვა მრავალ ფაქტორზე.

ნავთობპროდუქტების შენახვისათვის განკუთვნილი შენობები და რეზერვუ- არები შეიძლება იყოს : მიწისზედა (როცა რეზერვუარი ან საწყობის იატაკი მიმდებარე ტერიტორიის ზედაპირის დონეზე ან მასზე მაღლაა); ნახევრად მიწისქვეშა (როცა საწყობი ან რეზერვუარი ჩაღრმავებულია მიწაში თავისი სიმაღლის არანაკლებ ნახევარზე, რეზერვუარში სითხის უმაღლესი დონე კი მიმდებარე ზედაპირიდან 2 მეტრზე მაღლა არაა) და მიწისქვეშა (როცა რეზერვუარში სითხის უმაღლესი დონე მიმდებარე ტერიტორიის ზედაპირზე არანაკლებ 0,2 მეტრით ქვევითაა).

ნავთობპროდუქტების მიწისქვეშა შენახვა უფრო ხელსაყრელია. მიწისქვეშა საწყობებს სჭირდებათ შედარებით მცირე ფართობი. ისინი უფრო ნაკლებად ცეცხლსაშიში და უფრო იაფია ექსპლუატაციისას. მიწისქვეშა საწყობებში და რეზერვუარებში

საწვავის ჩასხმა ძირითადად თვითდინებით წარმოებს. მიწისქვეშა შენახვის ყველაზე მნიშვნელოვანი უპირატესობაა აორთქლებით გამოწვეული დანაკარგების სიმცირე და ამასთან დაკავშირებული საწვავ-შემზეთი მასალების ხარისხის ნაკლებად გაუარესება იმის გამო, რომ ტემპერატურის ცვალებადობა მიწისქვეშა საცავებში, როგორც წესი, უმნიშ-ვნელოა და ნავთობპროდუქტები დაცულია მზის სხივებისა და ატმოსფერული ნალექების უშუალო ზემოქმედებისაგან.

საწვავ - შემზეთი მასალების (სშმ) დიდი რაოდენობა იკარგება მათი არასწორი, არარაციონალური გამოყენების გამო.

ნავთობპროდუქტების შესანახად განკუთვნილი სათავსები ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ მინიმუმამდე იქნეს შემცირებული ამ პროდუქტთა სპეციფიკური

თვისებების გაუარესების ალბათობა. ლითონის ტევადობათა შიგა ზედაპირები დაფარული უნდა იყოს ანტიკოროზიული თვისებების მქონე ნივთიერების საჭირო სისქის შრით. შენახვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით აუცილებელია პროდუქტის თვისებათა გათვალისწინება; კერძოდ, არ შეიძლება საავიაციო ბენზინის შენახვა მცურავი ტიპის სახურავიან ტევადობაში, სხვა ბენზინებისათვის კი ეს ხელსაყრელია. მცურავი ტიპის სახურავთა ნაცვლად შესაძლებელია პონტონების გამოყენება.

ნავთობპროდუქტის ყველა სახეობისათვის შესაბამისი რეზერვუარის გამოყენებაა საჭირო ; ამასთან გამორიცხული უნდა იქნეს პროდუქტში მტვრის, თოვლის და სხვ. მოხვედრის ალბათობა . ყველა ტევადობა უნდა მომზადდეს ექსპლუატაციის წესების შესაბამისად ნავთობპროდუქტის კონკრეტული სახეობისათვის; რეგულარულად უნდა ჩატარდეს პროფილაქტიკური დათვა-ლიერება და აუცილებელი პროცედურები ტემპერატურული რეჟიმის, ტენიანობის , სპეციფიკურ მოთხოვნათა მკაცრი დაცვით, რაც უზრუნველყოფს, შესაძლებლობის ფარგლებში, პროდუქტთა თვისებების შენარჩუნებას და განაპირობებს სახანძრო უსაფრთხოების საჭირო დონის დაცვას - ეს კი უაღრესად მნიშვნელოვანია ნავთობპროდუქტებთან მუშაობის დროს.

ცვლილებები (აორთქლება, ფისების, ნალექების, მექანიკურ გამბინძუ-რებელთა წარმოქმნა და ა.შ.), რომლებსაც განიცდიან ნავთობპროდუქტები, სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, დამოკიდებულია მათ თვისებებზეც. აორთქლებას უფრო მეტად განიცდის დუღილის უფრო დაბალი ტემპერატურის (მსუბუქი ფრაქციების) მქონე ბენზინი, ვიდრე დიზელის საწვავი, კიდევ უფრო ნაკლებად ორთქლდება ზეთები.

ფისებისა და ნალექთა წარმოქმნაზე მოქმედი რთული ფიზიკურ-ქიმიური პროცესები დამოკიდებულია გარემო პირობებზე, ტემპერატურაზე, შენახვის ხანგრძლივობაზე, რეზერვუარის შევსების სისრულეზე, ლითონთან ურთი-ერთქმედებაზე. საწვავში ფისოვან ნივთიერებათა ზრდით ძრავას ეკონომიურ-ეკოლოგიური მაჩვენებლები უარესდება; იზრდება: ზეთის ამოწვის, ძრავას ნაწილების ცვეთის, ავარიისა და სხვა არასასურველ მოვლენათა წარმოქმნის ალბათობა.

წყალი და ნავთობი ჭეშმარიტად უნიკალური ნივთიერებებია... აუცილებლად გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მათი ურთიერთშერევა უაღრესად ცუდ გავლენას ახდენს ამ ორივე უძვირფასეს სითხეზე...

ბიოსფეროში ყველაზე უფრო მეტად გავრცელებული ქიმიური ნაერთი - წყალბადის ოქსიდი - (Ჩ 2 Ჰ) - უსუნო, უგემო და უფერო სითხე (სქელ ფენებში ან აპარატურით დაკვირვებისას - მოცისფრო) აუცილებელია ყველა ცნობილი ცოცხალი ორგანიზმისათვის. ბუნებრივ პირობებში წყალში სხვადასხვა რაოდენობით ყოველთვის გახსნილია მარილები, აირები და ორგანული ნივთიერებები. გახსნილ ნივთიერებათა რაოდენობა ერთ ლიტრ წყალში შეადგენს: მტკნარ წყლებში - 1 გრამამდე; მინერალურ წყლებში 1 — 6 გრამს; მლაშე წყლებში კი გახსნილ ნივთიერებათა რაოდენობა 6 გრამს აღემატება. წყალს მიწიერ პირობებში შეუძლია არსებობა სამივე აგრეგატულ მდგომა-რეობაში:

მყარ, თხევად და აიროვან მდგომარეობაში. წყლის სიმკვრივე (კგ/მ3) 0 0 C ტემპერატურის დროს შეადგენს 999,87; 3,98 0 C დროს - 1000,00; ყინულის სიმკვრივე 0 0 ᲩᲰ ტემპერატურაზე არის 916,8; დნობის ტემპერატურა - 0 0 C. დუღილის ტემპერატურა ნორმალური ატმოსფერული წნევის დროს - 100 0 C.

წყალმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დედამიწის გეოლოგიურ ისტორიაში, სიცოცხლის წარმოშობაში, ფიზიკური და ქიმიური გარემოს წარმოქმნაში. იგი დიდ გავლენას ახდენს კლიმატზე და ამინდზე.

არცერთი ნივთიერება არ გამოიყენება ისე მრავალმხრივად და ფართოდ როგორც წყალი. წყალი არის ქიმიური რეაგენტი: ჟანგბადის, წყალბადის, ტუტეების, აზოტმჟავას, სპირტების, ალდეჰიდების, ჩამქრალი კირის და სხვა მრავალ უმნიშვნელოვანეს ქიმიურ პროდუქტთა წარმოების პროცესში . წყალი არის აუცილებელი კომპონენტი შემკვრელ (მჭიდა) ნივთიერებათა (ცემენტის, თაბაშირის, კირის და ა.შ.) შეკვრისა და გამყარების პროცესში; წყალი გამოიყენება, როგორც ტექნოლოგიური კომპონენტი ხარშვის, გახსნის, განზავების, კრისტალიზაციისა და სხვა მრავალ საწარმოო პროცესში. წყალი ასრულებს: ენერგოგადამტანის (ჰიდროენერგეტიკა); სითბოსგადამტანის (ორთქლით და წყლით გათბობა, წყლით გაგრილება); მუშა სხეულის როლს (ორთქლის მანქანებში, ტურბინებში); იხმარება სიმძლავრის გადასაცემად (მანქანების ჰიდროაძვრა); საქშენების მეშვეობით დიდი წნევით მიწოდებული წყლით ახდენენ გრუნტებისა და ქანების გამორეცხვას (ჰიდრომექანიზაცია).ნახევრადგამტარებისა და განსაკუთრებით სუფთა ნივთიერებათა დამზადე-ბისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება წყლის მომზადებისა

და წყლის სათანადოდ გაწმენდის სამუშაოებს.

წყლის უნიკალური - შეუცვლელი როლი ყოფა - ცხოვრებაში ყველასათვისაა ცნობილი. წყალი ადამიანის ორგანიზმის მასის დაახლოებით 70 % - ს შეადგენს. 20% და მეტი წყლის დაკარგვა ადამიანის დაღუპვას იწვევს. ცხადია, რომ ნივთიერებათა ცვლისა და სხვა პროცესების მიმდინარეობის შედეგად გამოყოფილი სითხის რაოდენობა აუცილებელია შეივსოს წყლის სათანადო რაოდენობით. სუფთა ბუნებრივი წყლის სწორი გამოყენება მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს ორგანიზმში აუცილებელ სასიცოცხლო და იმუნურ რეაქციათა ოპტიმალურად წარმართვას. ბევრი ქვეყანა და მსოფლიოს ზოგიერთი დიდი ქალაქი, საქართველოსაგან განსხვავებით, მოკლებულია შესაძლებლობას ბუნებრივი სუფთა სასმელი წყლით უზრუნველყოს თავისი მოსახლეობა. ქ.მოსკოვის მრავალმილიონიანი მოსახლეობა 24 საათის განმავ-ლობაში მარაგდება ცივი და ცხელი წყლით, მაგრამ ბინათა უმრავლესობას, მართალია შესაბამისად დამუშავებული, მაგრამ მაინც მეორეული (საკანა-ლიზაციო ქსელში გატარებული) წყალი მიეწოდება, რომლის სასმელად გამოყენება, ბუნებრივია, არა სასიამოვნოა.

წყლის არა საკმარისი რაოდენობით სმის შემთხვევაში შეიძლება : ორგანიზმის მიერ მიღებული საკვების გადამუშავებული ნარჩენები დაგროვდეს უჯრედებსა და სისხძარღვებში; წარმოიქმნას სხვადასხვა დაავადებები. საკმარისი რაოდენობით სუფთა წყლის მიღება: ხელს უწყობს ორგანიზმის თვითგაწმენდას; კანთან და ცენტრალურ ნერვულ სისტემასთან ერთად არეგულირებს სხეულის ტემპერატურას; ამცირებს კუჭ-ნაწლავში ბაქტერიების რაოდენობას.

წყლის მრავალი ანომალური თვისების მიუხედავად ადამიანმა სწორედ იგი გამოიყენა ეტალონად: ტემპერატურის; მასის (წონის); სითბოს რაოდენობის; ადგილმდებარეობის სიმაღლის გასაზომად.

წყალი ნავთობპროდუქტებში შეიძლება მოხვდეს გარემოდან ატმოსფერული ნალექების სახით; ჰაერში არსებული ტენის კონდენსაციის შედეგად; წყალი არსებითად აუარესებს ნავთობპროდუქტთა თვისებებს. იზრდება: საწვავის სიბლანტე, კოროზიულობა, შემღვრევის ტემპერატურა; უარესდება: აორთქლებადობა, გაფრქვევა, წვის პროცესი, ძრავის მუშაობის დამახასიათებელი პარამეტრები. ზამთარში წყლის გაყინვის შედეგად წარმოიქმნება კრისტალები, რაც აუარესებს საწვავის მიწოდების პირობებს. წყალი განსაკუთრებულად ცუდ გავლენას ახდენს მისართების შემცველ ძრავას ზეთზე : წყლის მცირე შემცველობაც (0,1 - 0,2 %) კი 40 — 50 % - მდე ამცირებს მისართების გამოყენების ეფექტურობას, ძირითადად, ამ უკანასკნელთა დალექვის გამო. ზეთების ფიზიკურ - ქიმიური თვისებები განუწყვეტლივ უარესდება ექსპლუატაციის პროცესში, განსაკუთრებით თბური ძრავების მუშაობის დროს. ეს განპირობებულია ზეთებში მექანიკური და უხსნადი ნივთიერებების დაგროვებით, ჟანგვითი პროცესების მიმდინარეობით და სხვ.

გარდა ნამუშევარი აირებისა, ბენზინით მომუშავე ძრავები გარემოს აჭუჭყიანებენ კარტერის აირებით (როცა გამოყენებული არაა კარტერის ჩაკეტილი ვენტილაცია). ბენზინით მომუშავე ძრავას კარტერში შევსების ტაქტის გარდა წნევა მნიშვნელოვნად ნაკლებია ვიდრე ცილინდრებში. ამიტომ ხდება საწვავ-ჰაერის ნარევისა და ნამუშევარი აირების ნაწილის გაპარვა წვის კამერიდან კარტერში, სადაც ისინი შეერევიან ზეთისა და ცივი ძრავას კედლებიდან ჩამორეცხილი საწვავის ორთქლს. კარტერის აირები ათხევადებს ზეთს, ხელს უწყობს წყლის ორთქლის კონდენსაციას, ზეთის დაძველებას, გაბინძურებას, მისი მჟავიანობის ამაღლებას. ზეთის თვისებების დასაშვებ დონეზე მეტად გაუარესებისა და ამით გამოწვეულ მოსალოდნელ არასასურველ შედეგთა გამორიცხვის მიზნით ნამუშევარ ზეთს პერიოდულად ცვლიან ახლით ექსპლუატაციის წესებით დადგენილ ვადებში.

...ნავთობპროდუქტთა დანაკარგების გამომწვევ მრავალრიცხოვან ფაქ-ტორთაგან ძირითადია: მათი თვისებები; მოპოვება - გადამუშავების მეთოდები; ტრანსპორტირების; მიღების; შენახვის; გაცემის; გამოყენების; რეგენერაციის წესები და მეთოდები.

დანაკარგთა სიდიდეზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნავთობ-პროდუქტის აორთქლების უნარი. აორთქლება ფაზური გადასვლის ერთ-ერთი სახეობაა, როცა ნივთიერება თხევადი მდგომარეობიდან გადადის ორთქლი-სებურ ან აიროვან მდგომარეობაში. განუწყვეტელ ქაოსურ მოძრაობაში მყოფი დიდი კინეტიკური ენერგიის მქონე მოლეკულები, აღმოჩნდებიან რა სითხის ზედაპირთან, ძლევენ მეზობელი მოლეკულების მიზიდულობის ძალებს და ამოდიან სითხიდან. აგრეგატული მდგომარეობის ნებისმიერი შეცვლა ხდება გარემო პირობების შეცვლის გამო.

აორთქლების პროცესი დამოკიდებულია მოლეკულათა თბური მოძრაობის ინტენსიურობაზე: რაც უფრო სწრაფად მოძრაობენ მოლეკულები მით უფრო ჩქარა ხდება აორთქლება. გავლენას ახდენს აორთქლების ზედაპირსის სიდიდე და სხვ.

ასხვავებენ საწვავის აორთქლების ორ სახეს — სტატიკურს და დინამიკურს. სტატიკურს უწოდებენ აორთქლებას უძრავი ზედაპირიდან უძრავ ჰაერში; დინამიკურს - საწვავის წვეთების აორთქლებას ჰაერის ნაკადში. საწვავის აორთქლებას სითბოს მიწოდების გარეშე თან ახლავს მისი (საწვავის) ტემპერატურის შემცირება, რომელიც საწვავის აორთქლების სითბოს პროპორცი-ულია.

აორთქლებით გამოწვეული ნავთობპროდუქტების დანაკარგების შემცირე-ბისათვის აუცილებელია :

- რეზერვუარის (სახურავის) სრული ჰერმეტიზაცია:
- სათანადო წნევის მუდმივობის დაცვა რეზერვუარში;
- რეზერვუარიდან სხვა ტევადობაში მსუბუქი საწვავის გადაჭირხვნათა რაოდენობის მინიმუმამდე შემცირება. ამ ოპერაციის შესრულება მხოლოდ

უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში (სასურველია ღამით);

- რეზრვუარის მაქსიმალური (დასაშვებ ზღვრებში) შევსება;
- რეზერვუარის გარე ზედაპირის შეღებვა სხივების ამრეკლავი ემალით ან საღებავით;
- რეზერვუართა ზედაპირების თბოიზოლ-აციის გამოყენება.

შენახვის პროცესში ნავთობპროდუქტების დანაკარგთა წარმოშობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია რეზერვუარის ეგრეთწოდებული „მცირე სუნთქვა“ და „დიდი სუნთქვა“. სუნთქვაში იგულისხმება პროცესი, რომლის დროსაც რეზერვუარის აიროვანი სივრციდან ატმოსფეროში გამოდის ჰაერისა და საწვავის ორთქლის ნარევი ან პირიქით - ჰაერი ატმოსფეროდან რეზერვუარში შედის. თუ ეს პროცესი ხდება ტემპერატურის (რეზერვუარში ნავთობპროდუქტის მოცულობის) ან ატმოსფერული წნევის ცვალებადობის გამო, მას (ამ პროცესს) უწოდებენ მცირე სუნთქვას, ხოლო თუ პროცესი განპირობებულია რეზერვუარში საწვავის ჩასხმით (მიღებით) ან რეზერვუარიდან საწვავის გაცემით მაშინ ამბობენ, რომ ადგილი აქვს დიდ სუნთქვას. გამოდის, რომ რეზერვუარი თითქოს „ჩაისუნთქავს“ ჰაერს და „ამოისუნთქავს“ ჰაერს ნავთობპროდუქტის ორთქლთან ერთად.

სხვა სიტყვებით: დღისით, როცა უფრო თბილა, რეზერვუარის აიროვან სივრცეში არსებული ჰაერი და ნავთობპროდუქტის ორთქლიც თბება მზის რადიაციისა და გარემო ჰაერის ტემპერატურის მატების გამო. აირი (ჰაერისა და საწვავის ორთქლის ნარევი) გათბობის შედეგად ფართოვდება, წნევა იზრდება. ღოცა წნევის სიდიდე მიაღწევს გარკვეულ მნიშვნელობას სპეციალური (სასუნთქი) სარქველი იღება: ჰაერისა და ორთქლის ნარევის ნაწილი გამოდის რეზერვუარიდან, რითაც გამოირიცხება უკანასკნელის გახეთქვის საშიშროება;

ღამით ტემპერატურის შემცირების გამო ჰაერი რეზერვუარში იკუმშება, ბენზინის ორთქლი კონდენსირდება (სითხედ გადაიქცევა) , წნევა რეზერვუარში ატმოსფერულზე ნაკლები ხდება, სარქველი ავტომატურად იღება: ჰაერი გარედან შედის რეზერვუარში - წნევა რეზერვუარის შიგნით და გარეთ წონასწორდება, რითაც გამოირიცხება რეზერვუარის სახურავის ჩაღუნვის საშიშროება.

გარემოს ტემპერატურის ცვალებადობით გამოწვეული „მცირე სუნთქვა“ დიდ დანაკარგებს იწვევს. 1000 ტონა ბენზინის შენახვისას ერთი წლის განმავლობაში იკარგება დაახლოებით 10—13 ტონა ბენზინი. სწორედ ამიტომაა საჭირო აუცილებელ ღონისძიებათა გატარება ბენზინი გახურების ალბათობის გამორიცხვისათვის.

მიწისქვეშა რეზერვუარებში ბენზინს უფრო მცირე და (სტაბილური) მდგრადი ტემპერატურა აქვს, ვიდრე მიწისზედა და ნახევრად მიწისქვეშა რეზერვუარებში. ამიტომ ბენზინის დანაკარგები მიწისქვეშა რეზერვუარებში დაახლოებით სამჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე მიწისზედა რეზერვუარებში. როცა შეუძლებელია მიწისზედა რეზერვუარების დაცვა მზის სხივებისაგან საჭიროა მათი შეღებვა ნათელი ფერებით. თეთრი ფერით შეღებილი რეზერვუარი უფრო ნაკლებად ცხელდება მზის სხივებით, ვიდრე შავი ფერით შეღებილი. კარგ შედეგებს იძლევა რეზერვუართა გაგრილება წყლით: მცირე სუნთქვით გამოწ-ვეული დანაკარგები სამჯერ და უფრო მეტად მცირდება.

აორთქლებით გამოწვეული დანაკარგები დამოკიდებულია რეზერვუარის შევსების ხარისხზეც: რაც უფრო ნაკლები ბენზინი ინახება რეზერვუარში მით უფრო მეტი იქნება აორთქლებით გამოწვეული დანაკარგები; თუმცა აუცილიბელია იმის გათვალისწინებაც, რომ საწვავის თბური გაფართოების, ხანძარსაწინააღმდეგო და სხვა მოსაზრებათა გამო არ შეიძლება რეზერვუართა მთლიანი შევსება. რეზერვუართაშეუვსებელი მოცულობის მნიშვნელობა, სხვა ფაქტორებთან ერთად , დამოკიდებულია ნავთობპროდუქტის მოცულობითი გაფართოების კოეფიციენტზე, რომელიც, თავის მხრივ, სიმკვრივის ფუნქციაა: რაც უფრო მეტია სიმკვრივე მით უფრო ნაკლებია მოცულობითი გაფართოების კოეფიციენტი.

დანაკარგთა მნიშვნელობაზე გარკვეულ გავლენას ახდენს ნავთობპროდუქ-ტის აორთქლების ზედაპირის სიდიდე. შენახვის პროცესში აორთქლებით გამოწვეული დანაკარგი აორთქლების ზედაპირის მატების შესაბამისად იზრდება. ამიტომ ბენზინის ერთი და იგივე რაოდენობის შენახვა ერთ დიდ ტევადობაში უფრო რაციონალურია, ვიდრე რამოდენიმეში.

უაღრესად მნიშვნელოვან დანაკარგებს იწვევს დიდი სუნთქვა. ნავთობპროდუქტის გაცემის შემდეგ რეზერვუარში რჩება საწვავის ორთქლით გაჯერებული ჰაერი. ამ რეზერვუარში ჩასხმული საწვავი ნავთობპროდუქტის ორთქლით გაჯერებულ ჰაერს გამოდევნის ატმოსფეროში . რეზერვუარში 1000 ტონა ბენზინის ჩასხმისას ატმოსფეროში გამოიდევნება დაახლოებით 1300 კუბური მეტრის მქონე ჰაერი, რომელიც შეიცავს დაახლოებით 500 — 700 კილოგრამ ბენზინს. ამ შემთხვევაში გამოდის, რომ რეზერვუარის ბენზინით მხოლოდ ერთი შევსების („ამოსუნთქვის“) დროს დიდი სუნთქვის გამო დაიკარგება 500 — 700 კილოგრამი ბენზინი. საწვავის ყოველი არასაჭირო გადასხმა მნიშვნელოვნად ზრდის დიდი სუნთქვით გამოწვეულ დანაკარგებს.

... საწვავ - შემზეთ მასალათაგან ქვემოთაც ხშირად იქნება მოხსენიებული ბენზინი... ცხადია, ყველა ნავთობპროდუქტი ძვირფასია, ყოველ მათგანს თავისი გამოყენების სფერო აქვს და ზოგჯერ შეუცვლელიც არის... დასახელება „ბენზინი“ კი იმიტომ არის ხშირად გამოყენებული, რომ მისი თვისებები საკმაოდ სრულად ასახავს ნავთობპროდუქტთა ძირითად თვისებებს და ამასთან ერთად მან ფართო გამოყენება ჰპოვა სახმელეთო, საჰაერო და წყლის ტრანსპორტის მთავარი ენერგეტიკული დანადგარების- შიგაწვის ძრავებისათვის. ბენზინი ნავთო-

ბის მსუბუქი ფრაქციების სხვადასხვა სტრუქტურის მქონე ნახშირწყალბადების ნარევია დუღილის ტემპერატურით 30 — 205 0 ჩ . მისი სიმკვრივეა 700 -780 კგ/მ3. საავტომობილო და საავიაციო ბენზინის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია ჰაერში არის 100 მგ/მ3.

ბენზინს ღებულობენ უშუალოდ ნავთობისა და ბუნებრივი აირისაგან, ან თერ მული ან კიდევ კატალიზური კრეკინგის შედეგად. იგი უფერო ან მოყვითალო ფერის ადვილად აორთქლებადი საწვავი სითხეა. ეთილირებულ ბენზინს, ჩვეულებრივ აძლევენ ნარინჯისფერ-მოწითელო, ლურჯ ან მწვანე ფერს. ბენზინი წყალში პრაქტიკულად არახსნადი, მკვეთრი სპეციფიკური სუნის მქონე ნივთიერებაა. შაწვავის თხევადი მდგომარეობიდან ორთქლისებურში გადასვლის სიჩქარე და სისრულე მისი ქიმიური შედგენილობისგანაცაა დამოკიდებული . მნიშვნელოვანია ტემპერატურული ზღვრები , რომელშიაც ხდება ცალკეულ ფრაქციათა ამოდუღება. ბენზინში დაახლოებით (მასის მიხედით) არის: 86% - მდე ნახშირბადი, 14% - მდე - წყალბადი, უმნიშვნელო რაოდენობით შეიძლება იყოს ჟანგბადი, აზოტი, გოგირდი და სხვ. საწვავის ქიმიური შედგენილობა, მისი ფიზიკურ-ქიმიური და საექსპლუატაციო თვისებები დამოკიდებულია არა მხოლოდ საწყისი ნედლეულის ბუნებისაგან, არამედ წარმოების ტექნოლოგიისგანაც.

დანაკარგთა სიდიდეზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნავთობ-პროდუქტის ნაჯერი ორთქლის წნევა (ძველი სახელწოდებაა ნაჯერი ორთქლის დრეკადობა) - სითხესთან წონასწორობაში მყოფი ორთქლის წნევა მოცემული ტემპერატურის დროს. ეს პარამეტრიც ენერგეტიკული დანადგარებისათვის განკუთვნილი საწვავების არა მხოლოდ აორთქლებადობის მაჩვენებელია, არამედ იგი გავლენას ახდენს, აგრეთვე, ძრავების ამუშავების თვისებებზე, ნაწვისა და ორთქლის საცობთა წარმოქმნაზე, ცეცხლსაშიშროებაზე.

დუღილის დაბალი ტემპერატურისა და მაშასადამე ადვილად აორთქლებადი ნახშირწყალბადების შემცველ საწვავს ნაჯერი ორთქლის მაღალი წნევა აქვს. ნაჯერი ორთქლის წნევის ზრდით ადვილდება ცივი ძრავას ამუშავება, რადგან ამ დროს აირო-ვან მდგომარეობაში გადადის და იწვის საწვავის მხოლოდ ადვილად აორთქლებადი ფრაქციები. ამასთანავე საწვავის ნაჯერი ორთქლის წნევის ზრდა განაპირობებს დანაკარგთა მატებას საწვავის შენახვისა და ტრანსპორტირების დროს. რაც უფრო მსუბუქია ბენზინი მით უფრო მეტია აორთქლებით გამოწვეული დანაკარგები როგორც მცირე, ისე დიდი სუნთქვის დროს. აღნიშნულის გათვალისწინებით ცდილობენ, შეძლებისდაგვარად, საწვავის ნაჯერი ორთქლის წნევის გარკვეულ (ოპტიმალურ) ზღვრებში შენარჩუნებას.

ნავთობპროდუქტების აორთქლებას გარემოს გაჭუჭყიანების რეგლამენტი- რებულ წყაროდ თვლიან, გარემოს გაჭუჭყიანების არარეგლამენტირებულ წყაროებად კი მიჩნეულია:

- ნავთობპროდუქტთა გაჟონვა : რეზერვუართა ჩამკეტი არმატურის;

გადამჭირხნი ტუმბოების; მილსადენების; ჩასასხმელ მოწყობილობათა არასათანადოდ შემჭიდროებული ადგილებიდან ;

- რეზერვუარის აიროვანი სივრცის ვენტილაცია ;
- ნავთობპროდუქტთა შემცველი ჩამდინარე წყლები;
- რეზერვუართა და ცისტერნების გადამეტებული შევსება;
- რეზერვუართა და კომუნიკაციების კოროზიული რღვევის შედეგად გამოწვეული ავარიული სიტუაციები .

ნავთობპროდუქტებით გარემოს გაჭუჭყიანების ხარისხი, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, დამოკიდებულია მათი შენახვის ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფილობისა და ორგანიზაციისაგან; შესანახი პროდუქციის თვისებებისა და რაოდენობისაგან; შენახვის მეთოდისა და პირობებისაგან; დამცველი და სასუნთქი აპარატურის წესივრული ფუნქციონირებისა და სხვა ფაქტორებისაგან.

ნიადაგისა და წყალსატევების გაჭუჭყიანებას იწვევს ნავთობპროდუქტების შემცველი ჩამდინარე წყლები. განსაკუთრებით ცუდ გავლენას ახდენს წყალ-სატევების ნავთობპროდუქტებით გაჭუჭყიანება თევზებზე ქვირითის დაყრის დროს: ნავთობ-პროდუქტები გადაეკვრება (ფარავს) ქვირითს, უკანასკნელი ილექება ფსკერზე და იღუპება. საბოლოო ანგარიშით ეს განაპირობებს მოცემულ რაიონში თევზთა ნაწილობრივ ან მთლიანად განადგურებას. ნიადაგში ნავთობპროდუქტის მოხვედრა იწვევს მასში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების (ბაქტერიათა თვითგაწმინდის უნარის, მეტაბოლიზმის) სხვაგვარად (არაჩვეულებრივად) მიმდინარეობას. ნიადაგზე, რომელზეც ნავთობპროდუქტი დაიღვარა, ბალახი მრავალი წლის განმავლობაში არ იზრდება. ბუნებრივ პირობებში ნავთობპროდუქტების მავნე გავლენის განეიტრალებას მრავალი წელი სჭირდება... საზოგადოდაც ხომ ნიადაგი წლების განმავლობაში იქმნება, მისი განადგურება კი მომენტალურად შეიძლება მოხდეს, მაგალითად, მეწყერის შემთხვევაში, რაც, ხშირად ისევ, ადამიანის ბუნებისადმი დაუდევარი მოპყრობის შედეგად (ხე-ტყის გაჩეხვისა და მცენარეების ფესვთა სისტემის განადგურების გამო) ხდება .

ნავთობპროდუქტებით გაჭუჭყიანება განსაკუთრებულად დიდ უარყოფით გავლენას ახდეს გარემოზე და თვით ადამიანზე. საწვავისა და ზეთის ყველა სახეობა ამა თუ იმ ხარისხით ტოქსიკურია. მომწამლავი ზემოქმედების ინტენსიურობა დამოკიდებულია: თვით პროდუქტის თვისებებისაგან, მისი კონ-ცენტრაციისაგან, ზემოქმედების ხანგრძლივობისაგან, ადამიანის ორგანიზმში შეღწევის გზებისაგან, გარემოს პირობებისაგან, რომელშიც მიმდინარეობს მუშაობა და ადამიანის ორგანიზმის ინდივიდუალური თავისებურებებისაგან.

საწვავი და ზეთი შეიძლება მოხვდნენ ორ-

განიზმში სასუნთქი გზებით, კანის საფარის, საკვებ-მომნელებელი ორგანოების და თვალების ლორწოვანი გარსის გავლით. ძალიან საშიშია საწვავისა და ზეთის მოხვედრა სასუნთქი გზებით. ფილტვების ალვეოლების მიმდებარე კაპილარული ძარღვებით ისინი შეიწოვება სისხლში. ფილტვებს შეწოვის დიდი უნარი აქვთ. ფილტვების ალვეოლათა რიცხვი 300 — 400 მილიონს აღწევს. მათი ფართობი (ფილტვების სასუნთქი ზედაპირი) კი დაახლოებით 90 - 100 მ2 - ს შეადგენს.

ანსხვავებენ მოწამვლის ორ სახეობას: მწვავეს, როცა იგი ხდება მომწამ-ლავი ნივთიერების მოქმედების დაწყებიდან რამოდენიმე წამის, წუთის ან საათის განმავლობაში და ქრონიკულს - როცა მოწამლვა ვითარდება ადამიანის ორგანიზმზე ტოქსიკური ნივთიერების მცირე დოზების ხანგრძლივი, სისტემა-ტური ზემოქმედების შედეგად..

ატმოსფერული ჰაერი ჯანმრთელობისათვის საშიში არაა თუ მასში ბენ-ზინის ორთქლის რაოდენობა არ აღემატება 0,3 მგ - ს ერთ ლიტრ ჰაერზე. ჰაერის არახანგრძლივი ჩასუნთქვა, რომელშიც ბენზინის ორთქლის კონცენ-ტრაციაა 5 — 10 მგ/ლ იწვევს მწვავე მოწამვლას: იწყება თავის ტკივილი, უსიამოვნო შეგრძნება ყელში, ხველება, ცხვირისა და თვალების ლორწოვანი გარსის გაღიზიანება. ბენზინის ორთქლის 35 — 40 მგ/ლ კონცენტრაცია საშიშია ადამიანის სიცოცხლისათვის. უფრო მაღალი კონცენტრაცია იწვევს მყისიერ მოწამვლას - გრძნობის (აზროვნების) სწრაფად დაკარგვას და სიკვდილს.

ნავთისა და დიზელის საწვავის ორთქლის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციაა 0,3 მგ ერთ ლიტრ ჰაერში. ნავთისა და დიზელის საწვავის ხანგრძლივი მოქმედება იწვევს კანის საფარის მწვავე და ქრონიკულ დაავადებას (დერმატიტს, ეგზემას). ნავთისა და დიზელის საწვავის ორთქლი უფრო ძლიერ აღიზიანებს ლორწოვან გარსს და უფრო მეტად წამლავს ორგანიზმს ვიდრე ბენზინის ორთქლი. მაგრამ იმის გამო, რომ ეს საწვავები შედარებით უფრო სუსტად ორთქლდებიან, მათი მოქმედებით გამოწვეული უარყოფითი მოვლენები უფრო იშვიათად ხდება.

ზეთები ადამიანის ჯანმრთელობისათვის რეალურ საფრთხეს ჰქნიან, როცა მათ შედგენილობაშია მსუბუქი ნახშირწყალბადები (ბენზინი, ბენზოლი) ან, როცა შესაძლებელია ზეთის ნისლის ან ორთქლის წარმოქმნა (გაცხელებისას, გაფრქვევისას). ზეთში გოგირდის შემცველობისას იქმნება პირობები გოგირდ-წყალბადის წარმოქმნისა, რომელიც იწვევს მოწამვლას გრძნობის მყისიერი დაკარგვით. ზეთების ტოქსიკურობა გამომჟღავნდება მათი მოხვედრისას სხეულის შიშველ ნაწილებზე და ზეთით გაჟღენთილი ტანსაცმლით ხანგრძლივი მუშაობისას.

საწვავების, ზეთების, სპეციალური (გამაგრილებელი, საამორტიზაციო, სამუ-ხრუჭო) სითხეების, მათი ორთქლის გავლენის ხარისხი ადამიანის ორგანიზმზე და გარემოზე დამოკიდებულია ატმოსფერულ ჰაერში, წყალში თუ ნიადაგში მათ კონცენტრაციაზე, ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და ინდივიდუალ-ურ განსაკუთრებულობებზე ...

ნავთობპროდუქტების - ჭეშმარიტად უაღრესად დიდი მნიშვნელობის მქონე ნივთიერების - დანაკარგების შემცირების საკითხებს სათანადო ყურადღება ეთმობა მსოფლიოს ბევრ მოწინავე ქვეყანაში ... თუმცა ჩვენს დედაქალაქში იყო პრეცენდენტი, როცა არც თუ ისე მცირე ტევადობის (25მ3) რეზერვუარში ბენზინს „ინახავდნენ“ ისე, როგორც ამას არ გააკეთებდა რაციონალურად მოაზროვნე (და რა თქმა უნდა მცოდნე) ადამიანი... კერძოდ ზემოაღნიშნულ რეზერვუარს არ გააჩნდა არც სასუნთქი და არც რაიმე სახის სხვა დამცველი მოწყობილობა... ეს არა მხოლოდ „შენახვის“ უყაირათო „მეთოდია“, არამედ... ეს იგივეა ჩაასხა თავღია კასრში ბენზინი და დაელოდო როდის აორთქლდება იგი მთლიანად... ძალიან რბილად რომ ითქვას, ეს დანაშაული თუ არა დიდი უპასუხისმგებლობა და სიბეცეა. ასეთ პიროვნებებს არ შეიძლება მიენდოთ ისეთი საპასუხისმგებლო და უმნიშვნელოვანესი საქმე როგორიცაა ნავთობ-პროდუქტების შენახვა .

და კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტი : ავტომობილების საწვავ - შემზეთი მასალებით გასაწყობი სადგურების (ა.გ.ს.) გარკვეული ნაწილის თანამშრომლები უგულვებელყოფენ მოთხოვნას, რომლის შესაბამისადაც სანამ დიზელის საწვავი ჩაისხმება თვითაალებადი ძრავით აღჭურვილი ავტომობილის ავზში აუცილებელია დიზელის საწვავი მინიმუმ ათი დღის განმავლობაში განიცდიდეს ბუნებრივ დალექვას ა.გ.ს. - ის რეზერვუარში. ამასთან, დიზელის საწვავის აღება უნდა ხდებოდეს ტივტივათი(მცურავი ტიპის საწვავ-მიმღებით) აღჭურვილი მილით, რეზერვუარსა და საწვავის გასაცემ სვეტს შორის კი განთავსებული უნდა იქნეს დამატებითი ფილტრი.

დიზელის საწვავის განსაკუთრებული სისუფთავის უზრუნველყოფისადმი ასეთი დიდი მოთხოვნილება იმითაა გამოწვეული, რომ თვითაალებადი ძრავას საწვავმიმწოდებელ აპარატურაში გამოყენებულია პრეცეზიული (ზეზუსტი) წყვილები მცირე (1,5 — 2მკმ) ღრეჩოებით. ამიტომ სავსებით დაუშვებელია მითითებულზე უფრო დიდი ზომის მექანიკური მინარევების არსებობა - ზემოაღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა კი იწვევს ფრიად არასასურველ მოვლენებს.

ხანძარსაწინააღმდეგო თვალსაზრისით ნავთობ-პროდუქტები განსაკუთრე- ბითსაშიში ნივთიერებებია. ჩარკვეულ პირობებში მოსალოდნელია მათი აფეთქება. ხანძარ საწინააღმდეგო პირობების უზრუნველყოფა ერთ-ერთი უმნიშვნელოვა-ნესი ფაქტორია. ცეცხლთან დაუდევარი ქცევა და ხანძარ-საწინააღმდეგო პირობების დაუცველობა საწვავ-შემზეთი მასალების გამოყენების სამსახურის მუშაკთა ყველაზე დიდი და ბოროტი სამსახურებრივი დანაშაულია, რაც ისჯება სახელმწიფო კანონმდებლობის მთელი სამკაცრით.

ნავთობპროდუქტთა ორთქლი ჰაერთან წარმოქმნის ფეთქებად ნარევს, თვით ნავთობპროდუქტი კი

შეიძლება აალდეს ღია ალთან შეხებით ან თვითაალ-ების ტემპერატურაზე მაღალ ტემპერატურამდე გათბობით.

ბენზინის ორთქლის აფეთქება ხდება ნებისმიერ ტემპერატურაზე თუ მისი შემცველობა ჰაერში 1,1 — 6,0 % - ს შეადგენს.

ხანძარსახიფათო თვალსაზრისით ყველა ნავთობ-პროდუქტი 4 კლასად იყოფა:

I კლასი - აფეთქების ტემპერატურა 280C - ზე ქვემოთ;

II კლასი - აფეთქების ტემპერატურა 280C - დან 450ჩ - მდე;

III კლასი - აფეთქების ტემპერატურა 450C - დან 1200C - მდე;

IV კლასი - აფეთქების ტემპერატურა 1200C - ზე ზევით.

საავტომობილო ბენზინი I კლასს მიეკუთვნება, ზეთები და პლასტიკური საცხები მასალები კი - IV კლასს.

საავტომობილო ცისტერნა, რომლიდანაც ხდება ნავთობპროდუქტის ჩასხმა რეზერვუარში, საიმედოდ უნდა იყოს დამიწებული; დამიწების გარეშე ბენზინის ჩამოსხმა ცისტერნიდან არ შეიძლება. შლანგებისა და საწვავის რაოდენობის დონის განსაზღვრისათ-ვის საჭირო ხელსაწყოების ბუნიკები დამზადებუ-ლი უნდა იქნეს ისეთი მასალებისაგან, რომლებიც ნაპერწკალწარმოქმნის თვალსაზრისით სახიფათო არაა. ხანძრის გაჩენისა და შესაძლო აფეთქების თვალსაზრისით განსაკუთრებით საშიშია სტატი-კური ელექტრობის წარმოშობა: ნავთობპროდუქტებ-ის ტრანსპორტირებისას (წნევით ან ჩვეულებრივი დინების შემთხვევაში), როცა ნავთობპროდუქტის მოძრაობის სიჩქარე აღემატება 0,9 მ/წმ, ხახუნის, გაფრქვევის ან მყარ სხეულზე დაჯახების შედეგად საწვავში წარმოიქმნება და გროვდება უარყოფითი ელექტრული მუხტი, მილსადენის ლითონის კედლე-ბზე კი - დადებითი მუხტი. თუ ლითონის მილი მი-წისაგან იზოლირებულია, მოძრაობის შეწყვეტისას ხდება ნაპერწკლური განმუხტვა, რაც შეიძლება გახდეს ხანძრის წარმოქმნის ან აფეთქების მიზეზი. აღნიშნული მოვლენის თავიდან აცილების მიზნით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ლითონის ნაწილე-ბიდან დადებითი მუხტის მიწაზე გადაცემა, რაც დამიწებით ხორციელდება.

არმატურისა და მილსადენების შეერთებათა ჰერ-მეტულობა (საწვავის გამოჟონვის შეუძლებლობა), სასუნთქი და ალის ჩამხშობი სარქვლების წესივრულ მდგომარეობაში ყოფნის აუცილებლობა განპირობე-ბულია არა მხოლოდ ეკოლოგიურ-ეკონომიკური, არამედ ხანძარსაწინააღმდეგო თვალსაზ-რისითაც.

ნავთობპროდუქტების დანაკარგებით გამოწვეუ-ლი ფრიად არასასურველი ძირითადი შედეგების: ეკოლოგიური სიტუაციის მნიშვნელოვანი გაუარე-სებისა და დიდი ეკონომიკური ზარალის შემცირებ-ის მიზნით აუცილებელია განსაკუთრებული სიმ-კაცრით იქნეს დაცული შესაბამისი სტანდარტებით დადგენილი წესები და მოთხოვნები მათი (ნავთობ-პროდუქტების) მთელი „ სასიცოცხლო ციკლის“ განმავლობაში მათ შორის , ბუნებრივია, ერთ-ერთი მეტად საპასუხისმგებლო ეტაპის - შენახვის პროცესშიც. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რეზერვუარებისა და მათი ტექნიკური (აღჭურვილობის) მოწყობილობის (აღკაზმულობის) მდგომარეობას, აგრეთვე, ელვისა და სტატიკური ელექტრობისაგან დამცველ საშუალებებს. დროუ-ლად უნდა სრულდებოდეს სარეგლამენტო სამ-უშაოები. ყოველთვის წესივრულ მდგომარეობაში უნდა იყოს რეზერვუართა ჩამკეტ-სარეგულირებელი მოწყობილობა, საკონტროლო-საზომი ხელსაწყოე-ბი, ტუმბოები, სახშობები, გამოქრევის ონკანები, კომპენსატორები, მიმღებ-გასაცემი მოწყობილობე-ბი, ჰერმენტულობის უზრუნველმყოფელი , ნავ-თობპროდუქტებისადმი მდგრადობის თვისების მქონე შუასადებები (ლიუკებისა და სხვა ელემენტთა განთავსების ადგილებში).

აორთქლებისა და მაშასადამე ნახშირწყალბადებ-ით გარემოს გაჭუჭყიანების შემცირების ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა ნავთობპროდუქ-ტების შენ-ახვა ინერტული გაზების ქვეშ - გაზების შეყვანა რეზერვუარის აიროვან სივრცეში. დამცველ გაზად რეზერვუართა პარკის ექსპლუატაციის კონკრეტუ-ლი პირობების გათვალისწინებით შეიძლება გამოყენ-ებულ იქნეს: ბუნებრივი აირი, ნავთობპროდუქტების გადამუშავების თანმხლები გაწმენდილი გაზი, ინერ-ტული გაზი - აზოტი, ნახშირბადის დიოქსიდი, კვამ-ლის შეკუმშული აირები. დამცველი გაზებისადმი წაყენებულიძირითადი მოთხოვნაა შესანახ ნავთობ-პროდუქტზე მავნე ზეგავლენის ალბათობის სრული გამორიცხვა.

ნახშირწყალბადების დანაკარგთა შემცირება შეიძლება მიღწეულ იქნეს მათი დაჭერით ორთქლ-ჰაერის ნარევისაგან რეზერვუართა მცირე და დიდი სუნთქვების პროცესში აბსორბციულ-ადსორბციული და ეჟექციური პრინციპების გამოყენებით მომუშავე სპეციალურ დანადგართა გამოყენებით.

აირგაწონასწორებული სისტემის ეფექტურობა ეფუძვნება ერთი და იგივე საწვავისათვის გამოყენ-ებული რეზერვუარების ჯგუფის აიროვანი ზონების გაერთიანებას (შეერთებას) მილსადენებით. როცა დროში ერთმანეთს ემთხვევა ერთი რეზერვუარი-დან (ან რეზერვუართა ჯგუფიდან) საწვავის გაცე-მისა და მეორე რეზერვუარში (ან რეზერვუართა ჯგუფში) საწვავის ჩასხმის (მიღების) ოპერაციები ხდება ორთქლ-ჰაერის ნარევის გადანაწილება რეზ-ერვუარებს შორის ატმოსფეროში გამოსვლის გამორ-იცხვით.

მიწისზედა ფოლადის რეზერვუარებისათვის სა-გრძობ ეფექტს იძლევა მათი ზედაპირების სითბოსა და მზის სხივების ამრეკლი საშუალებებით შეღ-ებვა, რითაც მცირდება : მზის რადიაციის გავლე-ნა, რეზერვუარის აიროვანი სივრცის ტემპეტემ-პერატურული ამპლიტუდის რხევები, აორთქლებით გამოწვეული დანა-კარგები.

სპეციალური სორბენტების, ბიოპრეპარატების,

ბოლო წლებში შემუშა ვებული მეთოდებით შესაძლებელი ხდება საგრძნობი შედეგის მიღწევა.

მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკის გავითარების თანამედროვე ეტაპზე, სამწუხაროდ, შეუძლებელია გარემოს გაჭუჭყიანების მთლიანი გამორიცხვა არა მხოლოდ ნავთობპროდუქტების, არამედ სხვა მრავალი ფაქტორის ნეგატიური ზეგავლენისაგან, ადამიანს შეუძლია და იგი ვალდებულია მომავალი თაობების წინაშე აუცილებლად გააკეთოს ყველაფერი ის, რაც საჭიროა გარემოს ნორმალური ბუნებრივ-კლიმატური პირობებისა და თვით კაცობრიობის არსებობის შენარჩუნებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.ჯ.იოსებიძე, გ.მიქაძე, გ.აბრამიშვილი, ა.ჩხეიძე, თ.აფაქიძე, ხ.მღებრიშვილი. ავტომობილების ეკოლოგიურობის საფუძვლები. თბილისი. „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“. 2009. გვ.160

2.გ.მიქაძე, ჯ.იოსებიძე, ა.ჩხეიძე. საავტომობილო საწვავ-შემზეთი მასალების გამოყენების სამსახური. „ტექნიკური უნივერსიტეტი.“ 1998. გვ.92.

3. Интернет-портал. Хранение нефтепродуктов,защита окружающей среды

ბიზნეს-ინჟინერინგი განათლებაში

სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება ტესტების საშუალებით

სოფიკო ჯაადე, *დოქტორანტი*

რეზიუმე

სტატიაში მოცემულია სწავლის შედეგების მიღწევის პერიოდული შემოწმების (კონტროლის) მნიშვნელობა და მიზნები, განმარტებულია შეფასების საშუალებების ძირითადი ფუნქციები. მოკლედ არის აღწერილი კანონმდებლობით დადგენილი, აგრეთვე, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მიღებული შემოწმების ფორმები და საშუალებები (მეთოდები). განსაკუთრებული ყურადღება არის გამახვილებული ტესტებსა და ტესტირების პროცესებზე, განხილულია ფსიქოლოგიური და პედაგოგიური ტესტები, მათი მიზნები, თავისებურებები და განსხვავებები შექმნისა და გამოყენების პროცესებში. სტატიაში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია პედაგოგიურ ტესტებზე, ჩამოყალიბებულია ზოგადად ტესტირებისა და კერძოდ, პედაგოგიური ტესტების ძირითადი ჯგუფების: დახურული და ღია დავალებების მქონე ტესტების დადებითი და უარყოფითი მხარეები. მნიშვნელოვანია, რომ სტატიაში მოცემულია შეფასების შედეგებზე ტესტირების ნაკლოვანებების ნეგატიური გავლენის შემცირების გზები. სტატიაში განხილულია, აგრეთვე, ტესტების წარდგენის ფორმები, ჩამოყალიბებულია ტესტების ფორმირებისა და წარდგენის კომპიუტერიზებული ფორმის უპირატესობები.

Summary

The article presents the meaning and purpose of periodic examination (control) of learning outcomes and defines main functions and tools of the evaluation. Briefly are described the relevant legislation, as well as the forms and tools (methods) of evaluation accepted at Georgian Technical University.

Particular attention is given to the tests and testing processes. The article observes the goals and features of psychological and educational tests, distinguishes differences in their designing and application processes. The article mainly focuses on the educational tests, pros and cons of general testing as well as of educational tests is discussed. It is important that the ways to reduce the negative effects of testing are discussed.

The article deals with the forms of tests, defines advantages and benefits of computerized testing.

* * * * * *

სტუდენტთა სწავლის დადგენილი შედეგების მიღწევასა და სასწავლო პროცესის სრულყოფის პროცესებში მნიშვნელოვანი როლი აქვს მიღებული ცოდნისა და განვითარებული უნარ-ჩვევების პერიოდულ შემოწმებას. შემოწმების მთავარი ელემენტი არის მაკონტროლებელი ფუნქცია, რომელიც ძირითადად გულისხმობს სტუდენტების ცოდნისა და უნარ-ჩვევების კონტროლს, მომზადების საბაზო დონის მიღწევისა და სასწავლო კურსის შინაარსის აუცილებელი მინიმუმის დაუფლების ხარისხის განსაზღვრას. აღნიშნული კონტროლის შედეგებს, განათლების მიზნების შესაბამისად მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების გარდა, აქვს სწავლების, განვითარების, აღმზრდელობითი და, აგრეთვე, სასწავლო პროცესების მართვის ფუნქციებიც. შესაბამისად, ასეთი სახის კონტროლი ლიტერატურაში შემდეგნაირად არის განმარტებული - „კონტროლი არის პედაგოგის პრაქტიკული საქმიანობის მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომლის საშუალებით შესაძლებელია სწავლების გამოყენებული მეთოდების უპირატესობებისა და ნაკლოვანებების გამოვლენა, ურთიერთკავშირის დადგენა სწავლების დაგეგმილ, რეალიზებულ და მიღწეულ დონეებს შორის, სტუდენტის მიღწევების შეფასება, მის ცოდნასა და უნარ-ჩვევებში არსებული ხარვეზების გამოვლენა, პედაგოგთა მუშაობის ეფექტიანობის განსაზღვრა (მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების მიზნით) და ა. შ.“. აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე შეფასების საშუალებებს (მეთოდებს) უნდა ჰქონდეს შემდეგი ძირითადი ფუნქციები: [1-3]

- შეფასების ფუნქცია გულისხმობს კონტროლის კრიტერიუმების განსაზღვრას, შესაფასებელი ცოდნის, უნარ-ჩვევების სისრულისა და ათვისების დონის შედარებას დადგენილ მოთხოვნებთან;
- სწავლების ფუნქცია მდგომარეობს შემდეგში: პასუხის სისწორის დადასტურების შემთხვევაში სტუდენტი, ჩვეულებრივ, იმახსოვრებს მას, რაც ხელს უწყობს მიღებული ცოდნის განმტკიცებასა და სათანადო უნარ-ჩვევების ფორმირებას. არასწორი ან არასრული პასუხის დროს, პედაგოგს ან კონტროლის განმახორციელებელ ტექნიკურ მოწყობილობას შეუძლია დასვას დამატებითი კითხვები, რაც სტუდენტს საშუალებას მისცემს გამოასწოროს შეცდომა, ხოლო მაკონტროლირებელს - განსაზღვროს ცოდნის ან არცოდნის ხარისხი;
- კორექტირების ფუნქცია პედაგოგს საშუ-

ალებას აძლევს შეუსაბამობის დროს უკარნახოს სწორი პასუხი ან დამატებითი კითხვებით დაეხმაროს სტუდენტს სათანადო პასუხის მოძებნაში. შეუსაბამობის, არცოდნის ან შეცდომის დროული აღმოჩენა და მისი კორექცია არ დაუშვებს სტუდენტების ცოდნაში ისეთი ხარვეზების წარმოქმნას, რომელიც შემდგომში ხელს შეუშლის კონკრეტული საგნის ან მასთან დაკავშირებული საგნების სხვა თემების ათვისებას;

- სტიმულირების ფუნქცია ხელს უწყობს სტუდენტებში ცოდნის მიღებისა და სათანადო უნარ-ჩვევების განვითარების მაღალ მოტივაციას იმ შემთხვევაში, თუ ისინი გააცნობიერებენ სწავლების პროცესის კონტროლის დიდ მნიშვნელობას და დარწმუნებულები იქნებიან საკუთარ ძალებში;
- განვითარების ფუნქცია. სხვადასხვა სახის კონტროლის გამოყენების დროს სტუდენტს უვითარდება შიდა თვითშეფასების, მიღებული ცოდნის ზეპირი და წერილობითი ფორმით გადმოცემის უნარი. ამასთან ერთად, კონტროლი ანვითარებს საჭირო ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიებისა და დამუშავების კომპეტენტურობას.

არსებული კანონმდებლობის თანახმად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შეფასების ფორმებია შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასება.[1] საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გამოიყენება შეფასების (კონტროლის) სამი ფორმა: ა) მიმდინარე (ყოველკვირეული შუალედური) შეფასება, ბ) შუალედური (თემატური) გამოცდა და გ) დასკვნითი გამოცდა. მიმდინარე შეფასების მიზანია ერთი კონკრეტული ამოცანის ან თემის შესწავლის შედეგად მიღებული ცოდნის შემოწმება. იგი სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ხელს უწყობს სტუდენტს აუცილებელი ცოდნის მიღებაში, შესაბამისი უნარების განვითარებაში, აკონტროლებს თითოეული სტუდენტის განვითარების დინამიკას და იძლევა სწავლის ხარისხის გაუმჯობესების საშუალებას. იგივე მიზანი აქვს შუალედურ გამოცდას, რომელიც უზრუნველყოფს საგნის გარკვეული, რამდენიმე თემისაგან შედგენილი ნაწილის გავლის შედეგად მიღებული ცოდნის დონისა და კომპეტენტურობების გამოვლენას. დასკვნითი გამოცდით მოწმდება სასწავლო დისციპლინის სრული ათვისებისა და შესაბამისი კომპეტენტურობების განვითარების ხარისხი. მისი მიზანია განსაზღვროს მიაღწია თუ არა სტუდენტმა დასახულ სწავლის შედეგს.

აღნიშნული შეფასებების პროცესებში, სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ტესტი, ესე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, აუდიოვიზუალური ნაწარმოების წარმოდგენა, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, კაზუსის ამოხსნა და სხვ.[2]

ზემოაღნიშნული მეთოდებიდან პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა სახის ტესტები. ზოგადი განმარტებით ტესტი არის „სტანდარტიზებული, დროში შეზღუდული გამოცდა (შემოწმება) ინდივიდუალური რაოდენობრივი და ხარისხობრივი განსხვავებების დადგენის მიზნით“. მიზნებისა და შინაარსის მიხედვით ტესტები იყოფა შემდეგ ძირითადი სახეებად: [2]

- ინტელექტის ტესტები. მათი საშუალებით იზომება ადამიანის შემეცნებითი პროცესებისა და აზროვნების განვითარების დონე;
- პიროვნული ტესტები (კითხვარები). მათი საშუალებით დგინდება, თუ როგორ რეაგირებს პიროვნება ყოველდღიურ სიტუაციაზე და როგორ შეიძლება მოიქცეს იგი კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციაში;
- უნარების ტესტები. ისინი იძლევიან კონკრეტული უნარის განვითარების დონის დადგენისა და, აგრეთვე, სხვადასხვა საქმიანობის დაუფლების შესაძლებლობების შეფასების საშუალებას;
- მიღწევათა ტესტები. ამ ტესტებით ხდება ინდივიდის მიერ სწავლების შედეგად კონკრეტული ცოდნის, უნარისა და ჩვევების განვითარების შეფასება.

ტესტების სახეთა ზემოთ მოცემულ ჩამონათვალში საჭიროა გამოვყოთ პედაგოგიური ინსტრუმენტი ფსიქოლოგიურისაგან, რომელთაც განსხვავებული მიზნები აქვთ. პედაგოგიური ტესტები გათვალისწინებულია სწავლის შედეგად მიღწეული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების დონის გამოსავლენად, ხოლო ფსიქოლოგიური - მიმართულია ცხოვრების მანძილზე მიღებული პიროვნული თვისებების გამოვლენაზე. შესაბამისად, განსხვავებულია ამ ორი ტიპის ტესტების აგებისა და დამუშავების პრინციპები. ინტელექტისა და პიროვნული ტესტები მიეკუთვნებიან ფსიქოლოგიურ ინსტრუმენტებს, ხოლო უნარებისა და მიღწევების ტესტები - პედაგოგიურს. უნარების ტესტი შედგება ზოგადი ინტელექტის ტესტებისგან, შესაძლებლობების კომპლექსური ბატარეებისაგან და სპეციალური შესაძლებლობების ტესტებისაგან. ისინი სწავლების ეფექტიანობას ზომავენ არაკონტროლირებად და უცნობ პირობებში. აღნიშნული ტესტებისგან განსხვავებით, შესაძლებლობების ტესტები სწავლების ეფექტიანობას ზომავენ ნაწილობრივ ცნობილ და კონტროლირებად გარემოში. ამიტომ, პედაგოგიური მიზნებისათვის ძირითადად გამოიყენება შესაძლებლობების ტესტები. მათი საშუალებით ხდება განათლების სხვადასხვა საფეხურზე სწავლის შედეგების შემოწმება, პროგრამებისა და სასწავლო პროცესის ეფექტიანობის გაზომვა და სხვ.

ლიტერატურაში პედაგოგიური ტესტი შემდეგნაირად არის განმარტებული: „პედაგოგიური ტესტი არის განსაზღვრული საგნობრივი შინაარსის ზრდადი სირთულის სპეციფიკური ფორმის დავალება-

1 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის № 3 ბრძანება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 11, ქვეპუნქტი „ი“.

2 იგივე ბრძანება, მუხლი 1[1], ქვეპუნქტი „ლ“.

თა სისტემა, სტუდენტთა მომზადების სტრუქტურისა და დონის ობიექტური შეფასებისთვის დროის შეზღუდულ პერიოდში“. განმარტებაში, ფაქტობრივად, მოცემულია ასეთი ტესტის ძირითადი მახასიათებლები. კერძოდ, ტესტის ყველა დავალება უნდა ეკუთვნოდეს ერთ კონკრეტულ საგანს და დალაგებული იყოს სირთულის ზრდის მიხედვით. ამასთან, დავალებებს შორის უნდა იყოს გარკვეული კავშირი და თითოეული დავალება ისე იყოს შედგენილი, რომ მან მიიღოს ჭეშმარიტი ან მცდარი მნიშვნელობა გაცემული პასუხის შესაბამისად. ზოგადად ტესტების და, კერძოდ, პედაგოგიური ტესტების შედგენისა და მათი მახასიათებლების დადგენის საკითხები განხილულია მითითებულ ლიტერატურაში და ამ საკითხებზე არ შევჩერდებით. [2, 4, 5]

გარკვეული ნაკლოვანებების მიუხედავად ტესტირებას აქვს მთელი რიგი უპირატესობები შეფასების სხვა მეთოდებთან შედარებით. იგი სრულ შესაბამისობაშია თანამედროვე პედაგოგიურ კონცეფციებთან, იძლევა დროის რაციონალურად გამოყენების, სტუდენტებთან სწრაფი უკუკავშირის დამყარებისა და სასწავლო მასალის ათვისების შედეგების განსაზღვრის საშუალებას, ყურადღებას ამახვილებს მიღებული ცოდნის ხარვეზების გამოვლენასა და შესაბამისი კორექტივების შეტანაზე. სატესტო კონტროლი უზრუნველყოფს სტუდენტების მთელი ჯგუფის ცოდნის შემოწმებას და ამაღლებს მათ მოტივაციას. მნიშვნელოვანია, რომ თუ ტესტირების პროცესი სწორად ჩატარდება, მისი შედეგები და ობიექტურობა არ არის დამოკიდებული თუ ვინ ატარებს მას. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ტესტების საშუალებით სტუდენტების ცოდნის შეფასების შედეგები შესაძლებელია მოიცავდეს სისტემატურ ცდომილებას. არის სტუდენტთა კატეგორია, რომელთა ცოდნის შემოწმება ტესტების საშუალებით არ იძლევა ობიექტურ შედეგს მათი ფსიქიკური თავისებურებების გამო. ასეთ კატეგორიას მიეკუთვნებიან ე. წ. „მძიმედ მოაზროვნე“ ადამიანები, რომელთაც უჭირთ სწრაფად აზროვნება და ადამიანები, რომლებიც განიცდიან შიშს ტესტირების პროცესის მიმართ. ასეთი შემთხვევების არსებობის ალბათობა ძალზე მცირეა, რადგან თანამედროვე პირობებში ტესტირება იმდენად გავრცელებულია, რომ ბავშვები უკვე სკოლიდან ეჩვევიან ამ პროცესებს.

პედაგოგიური ტესტირების პრაქტიკაში გამოიყენება სატესტო დავალებების ოთხი ძირითადი ჯგუფი:

- რამდენიმე სავარაუდო პასუხიდან ერთი სწორი პასუხის არჩევა (დახურული ფორმა);
- პასუხის თავისუფალი ფორმულირება (ღია ფორმა);
- შესაბამისობის დადგენა;
- სწორი თანმიმდევრობის დადგენა.

სატესტო დავალებების ფორმის შერჩევა დამოკიდებულია კონტროლის მიზანზე, შესამოწმებელი მასალის შინაარსზე და ტესტის წარდგენის ფორმაზე (ბლანკური თუ კომპიუტერული). ყველაზე მეტად გავრცელებულია ტესტები დავალებების დახურული და ღია ფორმებით. განსაკუთრებით პოპულარულია დავალებების დახურული ფორმა (ერთი სწორი პასუხის შერჩევა რამდენიმე შეთავაზებული ვარიანტისაგან). აღნიშნული ტესტებით ცოდნის შეფასების მთავარი ღირსებაა შედეგების სწრაფი დამუშავების შესაძლებლობა და ამ პროცესის ავტომატიზაციის სიმარტივე. მაგრამ ასეთ მიდგომას აქვს ნაკლოვანებებიც. მისი ძირითადი ნაკლია სწორი პასუხის შემთხვევით გამოცნობის შესაძლებლობა. სხვა ნაკლოვანებებიდან აღსანიშნავია:

- სწავლების მიზნების შესაძლო ცვლილება: საყოველთაო, სრულ ტესტირებაზე გადასვლის შემთხვევაში სტუდენტების მიზანი შესაძლებელია გახდეს დადებითი შეფასების მიღება და არა საგნის შესწავლა;
- სასწავლო დისციპლინის შინაარსის ასახვის სირთულე: არსებობს საგნები, რომელთა შინაარსი ვერ აისახება ტესტების სისტემის საშუალებით. გარდა ამისა, კონკრეტული საგნის ზოგიერთი ნაწილი მარტივად შეფასდება ტესტების გამოყენებით, ხოლო სხვა ნაწილების შეფასება დაკავშირებულია გარკვეულ სირთულეებთან. ასეთ შემთხვევებში საჭიროა სპეციალური, ლოგიკური აზროვნებისა და მსჯელობის უნარის შემოწმების ტესტების გამოყენება;
- პედაგოგთა კვალიფიკაციის დონის შემცირება: მზა ტესტების გამოყენება მნიშვნელოვნად ამარტივებს პედაგოგის საქმიანობას, არ მოითხოვს შემოქმედებით აქტივობას. ტესტების გამოყენება ანთავისუფლებს პედაგოგს რუტინული სამუშაოს დიდი ნაწილისგან, მას აქვს მეტი თავისუფალი დრო და ა. შ. მაგრამ, იქმნება სხვა პრობლემები, კერძოდ, პროფესიული კვალიფიკაციის დონის შენარჩუნების სირთულე. სატესტო დავალებების შემოწმება ხდება ავტომატურ რეჟიმში და არ მოითხოვს არავითარ პროფესიულ დატვირთვას. ამასთან, ტესტებმა შესაძლებელია მოიცვას სასწავლო დისციპლინის მხოლოდ ნაწილი და, შესაბამისად, პედაგოგი თუ არ გამოიყენებს სპეციალურ და დამატებით საშუალებებს პროფესიული განვითარებისთვის, აუცილებლად დაიწყება მისი კვალიფიკაციის დონის შემცირების პროცესი.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზებით გამოწვეული უარყოფითი შედეგები შესაძლებელია მნიშვნელოვნად შემცირდეს ტესტების სწორად შედგენითა და ადმინისტრირებით, მათი პერიოდული განახლებით და შედგენასა და განახლებაში პედაგოგთა აქტიური მონაწილეობით. რაც შეეხება ძირითად ნაკლს, სწორი პასუხის შემთხვევით გამოცნობის შესაძლებლობას, მისი ალბათობა შესაძლებელია შემცირდეს შემდეგი ღონისძიებებით: ა) თითოეული დავალებისთვის არანაკლებ ოთხი პასუხის მითითებით, ბ) ტესტში ერთი და იგივე დავალების სხვადასხვა ვარიანტის ჩაწერითა და პასუხების შემდგომი ანალიზით და გ) ტესტის შესრულების დროის შეზღუდვით. მეტად მნიშვნელოვანია დავალების პასუხ-

ების სწორი შერჩევა. პასუხები არ უნდა უშვებდეს ორაზროვან განმარტებას და არ უნდა იყოს ნაწილობრივ სწორი. ყოველი არასწორი პასუხი უნდა იყოს დავალების პირობის ადეკვატური, მიახლოვებული სწორ პასუხთან და, შესაბამისად,. მიმზიდველი შერჩევისთვის. ტესტის გამოცდის დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს სტუდენტების მიერ პასუხების არჩევის სიხშირეზე. თუ რომელიმე პასუხს არ ირჩევს არც ერთი ე. წ. „სუსტი“ სტუდენტი, ეს პასუხი არ „მუშაობს“ და ამცირებს გაზომვების სიზუსტეს. საჭიროა მისი გადამუშავება, რათა იგი გახდეს უფრო მიმზიდველი.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებებისგან ნაწილობრივ თავისუფალია ტესტები დავალებების ღია ფორმებით. ასეთი ტესტების გამოყენების დროს სწორი პასუხის შემთხვევით გამოცნობის შესაძლებლობა გამორიცხულია, რადგან პასუხი უნდა ჩაიწეროს ხელით (ან აიკრიფოს კალავიატურაზე) მისთვის გამოყოფილ სპეციალურ ადგილზე. არსებობს ღია ფორმის დავალებების მქონე ტესტების ორი ტიპი. პირველი - გულისხმობს ჩასაწერი სიმბოლოების რაოდენობისა და სახის შეზღუდვას. ასეთი მიდგომა გამორიცხავს პასუხების დიდ მოცულობასა და ორაზროვნებას, რაც იძლევა დავალების შესრულების სისწორის ცალსახად განსაზღვრისა და, ამავე დროს, პასუხების შემოწმების ავტომატიზაციის საშუალებას. ღია ფორმის დავალებების მქონე ტესტების მეორე ტიპი სტუდენტს აძლევს პასუხის თავისუფალი კონსტრუირების საშუალებას მოცულობისა და შინაარსის მკაცრი შეზღუდვის გარეშე: მას შეუძლია დავალების პირობის თანახმად წარმოადგინოს ამოცანის სრული ამოხსნა, დაასაბუთოს მიღებული შედეგები, დაწეროს მცირე ზომის ნაშრომი და სხვ. პასუხების ანალიზისთვის მიზანშეწონილია ტესტის შედგენის დროს შემუშავდეს დავალებათა შესრულების სისწორის განსაზღვრის კრიტერიუმები. ამ შემთხვევაში კრიტერიუმები არ გულისხმობს პასუხების ზუსტ ნიმუშებს. საჭიროა ჩამოყალიბდეს გარკვეული აუცილებელი პირობები, რომელთა შესრულების შემთხვევაში პასუხი ჩაითვლება სწორად. ასეთი ტიპის ტესტების შედეგების დამუშავების ავტომატიზაცია შეუძლებელია, შედეგების ანალიზი ხდება ექსპერტების მიერ.

შეფასების შედეგების სიზუსტე მნიშვნელოვნად ამაღლდება თუ გამოვიყენებთ ორივე სახის, როგორც ღია, ასევე, დახურული ფორმის დავალებების მქონე ტესტებს. შესაძლებელია, აგრეთვე, კომბინირებული ტესტების გამოყენება: ტესტებში ჩართული იქნება როგორც ღია, ასევე, პირველი ან მეორე ტიპის დახურული ფორმის ერთი ან რამდენიმე დავალება. მაგრამ ასეთ შემთხვევაში პრაქტიკულად შეუძლებელია ტესტის შესრულების ოპტიმალური დროის განსაზღვრა, რაც ტესტის ადმინისტრირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პარამეტრს წარმოადგენს.

პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება ტესტის წარდგენის ბლანკური ფორმა (ანუ ქაღალდის ვერსია). წარდგენის ასეთი ფორმით ტესტირება გულისხმობს მონაწილეთათვის ნაცნობ და ჩვეულ პროცესს, ასევე, მინიმალურ ტექნიკურ აღჭურვილობას, რაც მის დადებით მხარეებად შეიძლება ჩაითვალოს. მაგრამ, ამავე დროს, აშკარაა ასეთი მიდგომის ნაკლოვანებები: ქაღალდზე მოცემული დიდი მოცულობის ინფორმაცია, პროცესის ადმინისტრირების, შედეგების დამუშავების და ანალიზის სირთულე და შრომატევადობა და ა. შ. აღნიშნული ნაკლოვანებების ნეგატიური გავლენის მნიშვნელოვანი შემცირება და ტესტირების ეფექტიანობის ამაღლება შესაძლებელია კომპიუტერის გამოყენებით. ტესტირების პროცესებში კომპიუტერის გამოყენება გულისხმობს ტესტების კომპიუტერიზებული ვერსიების ფორმირებას, ტესტირების პროცესის ადმინისტრირებას, ტესტირებულთა ქულათა ათვლას, შედეგების ინტერპრეტაციასა და ტესტირებულთა რანჟირებას.

ტესტების ფორმირებისა და ტესტირების პროცესის ადმინისტრირების კომპიუტერიზებულ ვერსიას აქვს შემდეგი უპირატესობები:

- სატესტო დავალებები წარმოდგენილია მონაცემთა ბაზის სახით და მარტივია მათი ცვლილება და განახლება ტესტირების მიზნისა და სასწავლო კურსის შინაარსის მიხედვით;
- სატესტო დავალებების მიმდევრობის გენერირება ხდება ავტომატურად და იგი არ არის მუდმივი. ამიტომ, მათი დამახსოვრება ტესტირებულთათვის პრაქტიკულად შეუძლებელია. ეს გარემოება მინიმუმადე ამცირებს სატესტო მაგალითების პასუხების გავრცელების („გასვლის“) შესაძლებლობას;
- მარტივდება ტესტირების ადმინისტრირების პროცესი. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ არ არის საჭირო სატესტო ბუკლეტები და საპასუხო ფურცლები;
- ხდება არა მარტო სწორი პასუხების რაოდენობის ავტომატური ათვლა, არამედ მათი ფორმირება მონაცემთა ბაზაში და შედეგების ინტერპრეტაცია ნორმატიული ჯგუფების მიხედვით;
- მონაცემთა ბაზის არსებობა შედეგების ნებისმიერი სახითა და განუსაზღვრელი პერიოდით შენახვისა და გამოყენების საშუალებას იძლევა. თავიდან არის აცილებული დიდი რაოდენობის საპასუხო ფურცლების დამუშავებისა და არქივირების პროცედურა;
- მარტივად არის შესაძლებელი მონაცემთა ბაზაში სასურველი პიროვნების მოძებნა როგორც კონკრეტული კომპეტენტურობის დონის, ასევე, სხვა პარამეტრების მიხედვით.

პრაქტიკულად უკვე არსებობს ტესტების შექმნისა და ტესტირების პროცესის ჩატარების სხვადასხვა სირთულისა და შესაძლებლობების კომპიუტერული პროგრამები. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მუდმივად ხდება მათი განვითარება და სრულყოფა. ამჟამად, სულ უფრო ფართოდ ვრცელდება ე. წ. „კომპიუტერული ადაპტირებული ტესტირება“. ეს მეთოდი გულისხმობს კომპიუტერის საშუალებით ტესტირების ისეთ პროცესს, როდესაც, შემდგომი დავალების წარდგენა დამოკიდებულია ტესტირებუ-

ლის პასუხზე წინა დავალებაზე. თუ იგი დავალებებზე სწორად პასუხობს, ყოველი შემდეგი დავალება უფრო რთულია, ხოლო, შეცდომის შემთხვევაში შემდეგი დავალება იქნება შედარებით ნაკლები სირთულის. ამრიგად, ასეთი სახის „ადაპტირებული“ ტესტი ორიენტირებულია ტესტირებულის მომზადების დონეზე და უფრო ზუსტად აფასებს მიღებულ ცოდნას. ამ დროს მონაცემთა ბაზაში დავალებები განაწილებული უნდა იყოს ჯგუფებად სირთულის მიხედვით და თითოეული ჯგუფის დავალებებს მინიჭებული ჰქონდეს შესაბამისი წონა. შესაბამისად, იცვლება და რთულდება შედეგების ათვლისა და რანჟირების სისტემა, მაგრამ ეს პრობლემა შედარებით მარტივად შეიძლება გადაიჭრას კომპიუტერის საშუალებით. [2, 6]

ზემოაღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინებით შესაძლებელია გაკეთდეს შემდეგი დასკვნა: ტესტების საშუალებით სტუდენტის ცოდნის შეფასებას მაღალი ეფექტიანობა აქვს შუალედური გამოცდების დროს, განსაკუთრებით, მიმდინარე (ყოველკვირეული შუალედური) შეფასებისას. რაც შეეხება დასკვნით გამოცდას, საკუთარი აზრის სწორად და გასაგებად ჩამოყალიბების, წერის კულტურისა და გამართული საუბრის უნარის განვითარებისთვის, მიზანშეწონილია ტესტებთან ერთად გამოყენებული იქნეს შეფასების სხვა კომპონენტები და მეთოდები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პაიჭაძე ნ., ჩოხელი ე., ფარესაშვილი ნ. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი. თბილისი: სიტყვა, 2011, 280 გვ.
2. Самылкина Н. Н. Современные средства оценивания результатов обучения. – Москва: БИНОМ. Лаборатория знаний, 2007, 172 с.
3. Dessler Gary. Human Resource Management. 9th ed. Florida International University, NJ: Pearson/Prentice-Hall, 2004, 799 pages.
4. ჯააძე ს. „ცოდნის შეფასების ტესტის შექმნისა და მისი მახასიათებლების დადგენის ზოგიერთი საკითხი“, ჟურნალი „საქართველოს საინჟინრო სიახლენი“, თბილისი, სტუ: 2014, № 1, გვ. 99-103.
5. ნონიკაშვილი მ. „პროფესიული შერჩევის პროცესში გამოყენებული ტესტების სანდოობა“. ჟურნალი „მართვის ავტომატიზებული სისტემები“, თბილისი, სტუ, 2014, № 1(17), გვ. 141-144.
6. Элизбарашвили Э. Н., Ломадзе И. З., Размадзе М. Т. „Новая программа для создания и проведения компьютерного тестирования в ВУЗ-ах“. Тбилиси, ГТУ, Труды, 2008, № 1, с. 84-87.

ბიზნეს-ინჟინერინგი საბანკო საქმეში

საქართველოს კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკისთვის დამახასითებელი თავისებურებები

დავითი პიტიურიშვილი, *დოქტორანტი*

რეზიუმე

დღესდღეობით საქართველოს კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკა ყურადღების ცენტრშია, რადგან იგი წარმოადგენს ბანკის საკრედიტო საქმიანობის მიზნების, სტრატეგიის, პრიორიტეტების, მართვის სტანდარტებისა და ზოგადი პრინციპების განმსაზღვრელ დოკუმენტს.

სტატიაში საუბარია, კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკის არსზე და პრინციპეზე. განხილულია, ქართულ რეალობაში არსებული საკრედიტო პროდუქტები და მათი მნიშვნელობა. შაუბარია ასევე ქართული კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკისთვის დამახასიათებელ თავისებურებებზე. დასკვნის სახით მოცემულია რჩევები, კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკის სრულყოფისთვის.

საკვანძო სიტყვები: დაბრუნებადობა, ვადიანობა, ფასიანობა, მიზნობრიობა, უზრუნველყოფა

Summary

The characteristic features of credit policy in Georgian commercial banks

Nowadays the policy of Georgian commercial banks is in the spotlight, because it is the bank's credit business objectives, strategies, priorities, management standards and general principles of making document.

In the article there is written about the credit policy and the principles of the Commercial banking, also there is written about the credit which nowadays exist in Georgian reality and what is their meaning. It also emphasizes the characteristic features of credit policies in Georgian commercial banks. Finally, there are some tips for improving the credit policy in Georgian commercial banking sectors.

Keywords: returnable, terminable, valuable, purpose, secure

კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკის არსი

საბანკო სისტემა შესაძლებელია იყოს, როგორც ერთი, ისე ორსაფეხურიანი. ერთასაფეხურიანი საბანკო სისტემის დროს ყველა საკრედიტო-საანგარიშსწორებო მომსახურება ერთ იერარქიულ საფეხურზე იმყოფება, მსგავსი სისტემა ძრითადად დამახასიათებელია სუსტად განვითარებული ეკონომიკური სტრუქტურის ქვეყნებისთვის, ტოტალიტარული მართვის ქვეყნებისთვის, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ქვეყნებისთვის და სხვ.

რაც შეეხება ორსაფეხურიან საბანკო სისტემას, ის აგებულია ბანკებს შორის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ურთიერთობაზე. ვერტიკალური ურთიერთობა ითვალისწინებს ცენტრალური ბანკის და დაქვემდებარებულ რგოლებს შორის ურთიერთობას, ხოლო ჰორიზონტალური ურთიერთობები - კომერციულ ბანკებს შორის ურთიერთობას.

საკრედიტო პოლიტიკა წარმოადგენს ბანკის საკრედიტო საქმიანობის მიზნების, სტრატეგიის, პრიორიტეტების, მართვის სტანდარტებისა და ზოგადი პრინციპების განმსაზღვრელ დოკუმენტს. კომერციული ბანკები მმართელობითი ორგანოებისგან, საკრედიტო პოლიტიკის შემუშავებამდე მოითხოვენ საკრედიტო მიზნების ფორმულირებასა და განსაზღვრას, რათა დადგინდეს შეესაბამება, თუ არა მოცემული მიზნები, ბანკის მიზნებს, რადგან ნებისმიერი ქვეყნისთვის ფულად საკრედიტო პლიტიკა მაკროეკონომიკური რეგულირების ნაწილს წარმოადგენს. ბანკის საკრედიტო საქმიანობის მიზანია საკრედიტო რისკების გონივრულ მართვისა და საკრედიტო პორტფელის მოცულობისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების მაქსიმიზაციის მეშვეობით, მაღალი და სტაბილური შემოსავლების უზრუნველყოფა და ბანკის ღირებულების გაზრდა.

საკრედიტო პოლიტიკის განახლება ხდება წელიწადში ერთხელ. ამ დროს შედის რიგი კორექტირებები, რომელიც დგინდებასაბაზრო კონიუნქტურის ცვლილებების გათვალისწინებით, იმისათვის, რომ მოხდეს დაკრედიტების საქმიანობის განვითარება და საბანკო ბაზარზე განხორციელებული ცვლილებების ასახვა. ზოგადად ამ ცვლილებებზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას, რომლებიც შესაძლებელია დავყოთ ორ ნაწილად:

1. მაკროფაქტორები - ისეთი ფაქტორები, რომლებზე გავლენის მოხდენაც არ შეუძლია კომერ-

ციულ ბანკს. მაგ. კონკურენტი კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკა, მსოფლიო ფინანსურ ბაზარზე არსებული მდგომარეობა და სხვ.

2. მიკროფაქტორები - ისეთი ფაქტორები, რომლებზე გავლენის მოხდენაც შეუძლია კომერციულ ბანკს, რაც მას შესაძლებლობას აძლევს დახვეწოს თავისი საკრედიტო პოლიტიკა. მაგ. ბანკის რესურსების უზრუნველყოფა, ბანკის საპროცენტო პოლიტიკა და სხვ.

საკრედიტო პოლიტიკაში აუცილებელია, გაერთიანებული იყოს ბანკში მიღებული დაკრედიტების საერთო სტრატეგია და დირექტივები, თუმცა ის ასევე მოიცავს, როგორც საკრედიტო ლიმიტებს, ისე დაკრედიტების ცალკეულ წესებს, რომლებიც ეფუძნება ქართულ კანონმდებლობას, საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნებს და საკრედიტო სტრუქტურის სტანდარტებს.

კომერიცული ბანკების საკრედიტო პოლიტიკის შემუშავება ხდება უმაღლესი მენეჯმენტის, აღმასრულებელი ორგანოს, ან საკრედიტო კომიტეტის მიერ და ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო.

კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკა ესაა საკრედიტო სტრატეგიებისა და ტაქტიკების ერთობლიობა, რომლიც განსაზღვრავს ბანკის ძირითად პრონციპებს, პრიორიტეტებსა და მიზნებს საკრედიტო ბაზარზე. იგი აწესებს საკრედიტო საქმიანობის საფუძვლებს, ხოლო საკრედიტო საქმიანობის დანარჩენი დოკუმენტები ამ უკანასკნელის რეალიზაციის პრაქტიკულ მექანიზმებს

დაკრედიტების ძირითადი პრინციპები

დაკრედიტების ძირითადი პრინციპებს მიეკუთვნება:

- დაბრუნებადობა
- ვადიანობა
- ფასიანობა
- მიზნობრიობა
- უზრუნველყოფა

უპირველესყოვლისა კრედიტის წამყვან კანონს წარმოადგენს ,,სახსრების დაბრუნებითობის კანონი'', რომელიც მიიღწევა დაკრედიტების მექანიზმის საშუალებით და გულისხმობს გასესხებული სახსრების დროულად დაბრუნებას, ამ უკანასკნელს კი სავსებით პასუხობს ვადიანობის პრინციპი, იგი განსაზღვრავს კრედიტის გამოყენების დროით საზღვრებს და მისი დაბრუნების კონკრეტულ ვადებს. აღნიშნული პირობის დარღვევა ბანკისთვის წარმოადგენს საფუძველს, რომ მსესხებლის მიმართ გამოიყეებული იქნეს სხვადასხვა სანქციები. სასიხოცხლოდ მნიშვნელოვანია, ასევეფასიანობის პრინციპი, რაც ნიშნავსრომ მსესხებელმა ბანკს უნდა დაუბრუნოს არა მარტო კრედიტის თანხა არამედ მისი გამოყენებისთვის გარკვეული საზღაური - რომელსაც სარგებელი ეწოდება. ბანკის მხრიდან დიდი ყურადღება ეთმობა მიზნობრიობის პრინციპს, რომელიცვრცელდება მის მრავალსახეობაზე. ბანკი კრედიტს გასცემს განსაზღვრული მიზნისათვის და თვალყურს ადევნებს მის მიზნობრივ გამოყენებას, რადგან კლიენტს არ აქვს უფლება მისი არამიზნობრივად გამოყენებისა, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი იტოვებს უფლებას გამოიყენოს მსესხებლის მიმართ მკაცრი ეკონომიკური სანქციები. ხშირად, მაგრამ არა ყოველთვის ბანკი იყენებს უზრუნველყოფის პრინციპს. იგიაუცილებელია ბანკის აქტივების გარანტიის შენარჩუნებისთვის, რადგან მათი ძირითადი ნაწილი ნასესხები სახსრებისგან შედგება. კრედიტის უზრუნველყოფის როლში შეიძლება გამოვიდეს მსესხებლის ნებისმიერი მატერიალური ფასეულობა, როგორც უძრავ-მოძრავი ქონება, ასევე ფასიანი ქაღალდები. თუ მსესხებელი თავის ვალდებულებას დაარღვევს, უზრუნველყოფაში მიღებული ქონება გადადის ბანკის საკუთრებაში და ეს უკანასკნელი მისი რეალიზაციის საშუალებით ინაზღაურებს კრედიტის დაუბრუნებლობით მიყენებულ ზარალს.

დაკრედიტების ყველა პრინციპი მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. მაგ. მიზნობრიობის პრინციპის არასწორმა შესრულებამ შეიძლება მიგვიყვანოს კრედიტის გამოყენებამდე არარაციონალური მიმართულებით. ნაკლოვანებები დაკრედიტების უზრუნველყოფის პრინციპის რეალიზაციაში გაართულებენ ვადიანობის პრინციპის შესრულებას და საბოლოო ჯამში, თუ არ მოხერხდება შეთანხმება გამოვიყენებთ უზრუნველყოფის პრონციპის, რათა მოხდეს გაცემული თანხის დაუბრუნებლობით მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

საქართველოს კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკა

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს იწყება არსებული ეკონომიკური სისტემის, საბაზრო ეკონომიკით შეცვლა, რამაც თავისთავად ცხადია გამოიწვია ამ სისტემისთვის დამახასიათებელი კომერციული საბანკო სისტემის ფორმირება. აღნიშნული პროცესი შეეხო საქართველოსაც, სადაც განსაკუთრებული ადგილი ეთმობა საკრედიტო ორგანიზაციებს. მიღებულ იქნა კანონი ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკის საქმიანობის შესახებ. ამ კანონის საშუალებით ქვეყნის ტერიტორიაზე ბანკებს მიეცათ თანაბარ პირობებში ფუნქციონირების საშუალებას.

XXI საუკუნის დასაწყისისთვის საქართველოს საბანკო სიტემა შემდეგნაირად გამოიყურებოდა: 1)საქართელოს ეროვნული ბანკი; 2)კომერციული ბანკები; 3)სპეციალიზირებული საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები.

დღესდღეობით საქართველოს საკრედიტო სისტემის ახალისტრუქტურა შეესაბამება საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნილებებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თავის დროზე მას რიგი ნაკლოვანებები გააჩნდა, რომლის ნაწილიც დღემდე მოგვდევს. ნულის ეტაპზე იქმნებოდა სუსტი საფინანსო ინსტიტუტები, რის გამოც კლიენტეები ვერ იღებდნენ ხარისხიან მოსმახურებას, ისინი ძირითადად იძლეოდნენ მოკ-

ლევადიან კრედიტებს, რადგან ქვეყნის კომერციულ ბანკებს არ გააჩნდათ გრძელვადიანი საინვესტიციო რესურსები. შემდეგში ბანკების შერწყმამ უზრუნველყო ამ უკანასკნელი პრობლემის მოგვარება.

საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობას არეგულირებს საქართველოს კონსტიტუცია და ორგანული კანონი საქართელოს ეროვნული ბანკის შესახებ. მთავარი ფუნქცია მონეტარულ ნაწილში ფასების და ბაზრის სტაბილიზაციაა, რაც ანტიინფლაციური პოლიტიკის წარმართვასთან, ჭარბწარმოებასთან, ან ხარჯების ზრდასთან არის დაკავშირებული. ამ უკანასკელის შესარბილებლად კი გამოიყენება ფულადსაკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტები და/ან სააღრიცხვო განაკვეთების აწევა. სააღრიცხვო განაკვეთების გაძვირება იწვევს საკრედიტო რესურსების ფასის გაძვირებას და შეაბამისად დეპოზიტების გაზრდას. კომერციული კრედიტის გაძვირება ამცირებს სამეწარმეო საქმიანობას, მაგრამ ზრდის დეპოზიტების მიმზიდველობას. შესაბამისად, გარკვეული პერიოდის შემდეგ დეპოზიტების მიმზიდველობის გაზრდით, ხდება თავისუფალი ფულადი სახსრების საბანკო არხებში გადადინება, რაც მოთხოვნის შემცირების წინაპირობა ხდება.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ პირველი ინსტრუმენტის გამოყენება მიმოქცევაში ფულის მასის გასაზრდელად კომერციული ბანკების ხელთ არსებული ფასიანი ქაღალდების შესყიდვას გულისხმობს, ხოლო მიმოქცევაში ფულის მასის შესამცირებლად - ეროვნული ბანკის ხელთ არსებული ფასიანი ქაღალდების კომერციული ბანკებისათვის მიყიდვა. ასეთი ღონისძიებები პრაქტიკულად გამორიცხულია, რადგან არ არსებობს ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზარი. მეორე ინსტრუმენტიც, დღევანდელ პირობებში მცირე ეფექტიანია, ვინაიდან ფულის მასის დიდი ოდენობა ბანკებს გარეთ მიმოიქცევა, დასახვეწია დეპოზიტების დაზღვევის სისტემა.

სადისკონტო პოლიტიკის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია საკრედიტო რესურსებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირება, რაც ხელს შეუწყობს შიდასაკრედიტო ბაზარზე მოთხოვნის გაზრდას და ფართო ინექციებს ეროვნული ეკონომიკაში. ბანკთაშორის საკრედიტო რესურსების ბირჟაზე საპროცენტო განაკვეთების შემცირება შესაძლებლობას მისცემს საკრედიტო ინსტიტუტებს შედარებით იაფად შეიძინონ დამატებითი, რეზერვები სესხების სახით, მაგრამ ესეც პრაქტიკულად გამორიცხულია, რადგან საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებს „ძვირი ფულის“ პოლიტიკას. მიმდინარე ეტაპზე ეროვნულმა ბანკმა საპროცენტო განაკვეთების შესამცირებლად საკრედიტო რესურსების დეფიციტის შევსებით შეიძლება უფრო გააღრმავოს ეკონომიკური კრიზისი.

საქართველოს საკრედიტო ბაზარზე, არსებობს შემდეგი სახის საკრედიტო პროდქტები:

- სამომხმარებლო სესხი - მას მომხმარებელი იღებს პირადი მოხმარებისთვის, გარკვეული საქონლის, ან მომსახურების შესაძენად. სამომხმარებლო სესხი აირის კრედიტი და როგორც წესი მოკლევადიანია, რის გამოც სხვა სესხებთან შედარებით ყველაზე ძვირია. საპროცენტო განაკვეთს განსაზღვრავს სესხის ვადა, მოცულობა და მსესხებლის შემოსავალი.
- იპოთეკური სესხი - იპოთეკური სესხი არის უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი გრძელვადიანი მიზნობრივი კრედიტი, რომლის მეშვეობით შეგიძლიათ შეიძინოთ, ააშენოთ ან გაარემონტოთ უძრავი ქონება - ბინა, აგარაკი, მიწის ნაკვეთი.

იპოთეკური კრედიტის უძრავი ქონებით უზრუნველყოფა გულისხმობს, რომ სესხის მოქმედების პერიოდში თქვენს მიერ აღებული სასესხო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ბანკს უფლება აქვს მოახდინოს უზრუნველყოფაში არსებული უძრავი ქონების რეალიზაცია.

- ავტოსესხი - მისი საშუალებით მომხმარებელს შეუძია შეიძინოს მისთვის სასურველი, როგორც ახალი, ისე მეორადი ავტომობილი. როგორც წესი, ავტომობილი წარმოადგენს კრედიტის უზრუნველყოფის საშუალებას, მანამ, სანამ მისი დაფარვა არ მოხდება ბოლომდე. შესაძლებელია, ასევე ავტომობილის ნაცვლად უზრუნველყოფაში წარმოვადგინოთ უძრავი ქონებაც.

- განვადება - ეს არის სამომხმარებლო ტიპის სესხი რომელსაც მომხმარებელი იღებს ბანკიდან მაღაზიაში/სავაჭრო ობიექტში კონკრეტული საქონლის ან მომსახურების შესაძენად.განვადების გაფორმება შესაძლებელია მომენტალურად, უშუალოდ მაღაზიაში და/ან სავაჭრო ობიექტში.

- ოვერდრაფტი - იგი წარმოადგენს მოკლევადიან სესხს, რომელიც დაიშვება მომხმარებლის საბარათე ანგარიშზე. მას მეცამეტე ხელფასსაც უწოდებენ და ირთვება ხელფასის შესაბამისად. ოვერდრაფტის ვადა, როგორც წესი არის 1 წელი და ყოველთვიურად ჩარიცხული ხელფასიდან მხოდლოდ დარიცხული პროცენტი იჭრება, ხოლო ძირი ვადის ბოლოს იფარება. ის ძალიან გავს საკრედიტო ბარათს, თუმცა განსხვავდება იმით, რომ ჩვეულებრივ, მიბმულია ხელფასზე, საშეღავათო პერიოდი კი ათვისებულ თანხაზე არ მოქმედებს.
- საკრედიტო ბარათი - იგი არის ორი საბანკო პროდუქტის - პლასტიკური ბარათისა და სამომხმარებლო სესხის სინთეზი. საკრედიტო ბარათი მომხმარებელს საშუალებას აძლევს სავაჭრო ობიექტში საბანკო კრედიტით შეიძინოს საქონელი ან მომსახურება, ასევე ინტერნეტით, და/ან ბანკომატის მეშვეობით

გაანაღდოს თანხა.

საკრედიტო ლიმიტი, ანუ სესხის მაქსიმალური ოდენობა, რომელიც ინდივიდუალურია, მომხმარებლის საკრედიტო ისტორიისა და მისი შემოსავლების გათვალისწინებით განისაზღვრება.შესაძლოა საკრედიტო ლიმიტის გაზრდაც.უმეტეს საკრედიტო ბარათზე მოქმედებს ე.წ. საშეღავათო პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დავალიანების სრულად დაფარვის შემთხვევაში ათვისებულ თანხას არ ერიცხება პროცენტი.

საქართველოს საკრედიტო ბაზარზე, არსებული საკრედიტო პროდუქტების შედარება

ბანკი	სესხი სტიპი	საპროცენტო განაკვეთი	ს ე ს ხ ი ს თანხა	ს ე ს ხ ი ს ვადა
ლიბერთი ბანკი	სამომხმარებლო სესხი	16% - 24%	50,000 ლარამდე	84 თვემდე
ფინკა ბანკი	სამომხმარებლო სესხი	ინდივიდუალური	100-60 000 ლარამდე	3 - 60 თვე
თიბისი ბანკი	იპოთეკური სესხი	10.25% ლარი / 10.5-12.5% დოლარში	2000 - 500,000$ / 400,000 ლარამდე	6-180 თვე
პროკრედიტ ბანკი	იპოთეკური სესხი	12-17% ლარი / 11-15.5% €/$	5000-150000 ლარი/$/€	6-180 თვე
ლიბერთი ბანკი	იპოთეკური სესხი	10.25-24% ლარი / 15-24% $	5,000 - 300,000 ლარამდე (ექვ. დოლარში)	6-180 თვემდე
კორ სტანდარტ-ბანკი	იპოთეკური სესხი	7.7-18% ლარი / 12%-18% დოლარში	მაქს. 400,000 ლარი (ექვ. დოლარში)	6-120 თვე
ლიბერთი ბანკი	ავტოსესხი	15% - დან	2,000 - 100,000 ლარამდე	6 - 72 თვე
ბანკი რესპუბლიკა	ავტოსესხი	ახალი - 15-16% $-ში (18-20% ლარი), ძველი - 16-20%(20-23%)	2,000 - 60,000 $	3 - 72 თვე

ცხრილში მოცემულია, მხოლოდ რამდენიმე კომერციული ბანკის შესახებ ინფორმაცია. ცხადია სრული ინფორმაციის დაწერა რთულია, რადგან საკმაოდ ბევრი კომერციული ბანკი და შესაბამისად ბევრი საბანკო პროდუქტია ქართულ საბანკო ბაზარზე. თუმცა აღსანიშნავია, რომ კონკურენცია საბოლოვო ჯამში ხელს უწყობს, საპროცენტო განაკვეთების დარეგულირებას.

დასკვნა

დასკვნის სახით შესაძლებელია ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქართული კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკა ერთი შეხედვით სრულყოფილად გვეჩვენება, აუცილებელია მისი დახვეწა, რადგან საპროცენტო განაკვეთები საქართველოში სხვა ქვეყნებთან შედარებით მაინც ძალიან მაღალია. ეს ყოველივე კი რათქმა უნდა უარყოფითად აისახება როგორც თითოეული ადამიანის, ასევე მთელი ეკონომიკის განვითარებაზე. მაღალი საპროცენტო განაკვეთების პირობებში ბიზნესს უჭირს შეინარჩუნოს რენტაბელობა, ხოლო მომხმარებელს გაზარდოს მოხმარება. გარდა ამისა, ვერ ვითარდება ფინანსური სისტემისა და მთლიანად ეკონომიკის ბევრი სფერო, რომელთა ფუნქციონირება ასეთი საპროცენტო განაკვეთების პირობებში შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირება, რათა მოხდეს საფინანსო სექტორისა და მთლიანად ეკონომიკის განვითარება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. გოგოხია საბანკო საქმე თბ., 2007.
2. ვ. მოსიაშვილი ფ. ლომიძე ფ. ქოქოსაძე, საბანკო საქმე თბ., 2009.
3. კოვზანაძე ი. საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბ., 2001.
4. რ.ბერიძე საბანკო მენეჯმენტი. თბ., 2005
5. www.gks.ru;
6. www.nbg.gov.ge
7. www.businesscafe.ge
8. http://sesxebi.ge/avto-sesxi.php
9. http://sab.ge/ge/useful-info/articles/118-sakredito-produktebi

ინფლაციის მიზეზები, ტემპები, სახეები და გაღრმავების ეტაპები პოსტკომუნისტურ საქართველოში – 1990-იანი წლების დასაწყისში

დემნა კვარაცხელია, *ასოცირებული პროფესორი*

რეზიუმე

სტატიაში გაანალიზებულია საქართველოში, 1990-იანი წლების დასაწყისში, ფასების მკვეთრი ზრდის ძირითადი მიზეზები.

დასაბუთებულია, რომ დამოუკიდებელ საქართველოში ერთდროულად გამოვლინდა, როგორც მოთხოვნის ინფლაცია, აგრეთვე დანახარჯების ინფლაციაც. ინფლაციის გაღრმავებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა უცხოეთიდან იმპორტირებულმა ინფლაციამ, რომელიც მისი გამომწვევი მიზეზებისაგან დამოკიდებულებით, ხან მოთხოვნის ინფლაციის სახეს ღებულობდა, ხან კი დანახარჯების ინფლაციისას.

მოთხოვნის ინფლაცია ჩვენთან ძირითადად გამოწვეული იყო ფულის ჭარბი ემისიით.

ერთობლივი მიწოდების შემცირებით განპირობებული ინფლაცია საქართველოში გამოიწვია: არსებული სამეურნეო კავშირების მოშლით გამოწვეულმა ერთობლივი მიწოდების შემცირებამ, დასაქმებულთა შრომის მწარმოებლურობის შემცირებამ, კრიმინოგენური სიტუაციის გაუარესებით გაპირობებულმა ერთობლივი მიწოდების შემცირებამ და ა. შ.

დანახარჯების ინფლაციის წარმოქმნაში და განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სათბობ-ენერგეტიკული რესურსებისა და სხვა ნედლეულის იმპორტის გაძვირებამ, რაც გამოწვეული იყო მათ მწარმოებელ ქვეყნებში (ძირითადად ყოფილ სსრკ რესპუბლიკებში) ფასების ლიბერალიზაციით.

ამგვარად, ინფლაცია საქართველოში გამოწვეული იყო მიზეზების მთელი რიგით. ამასთან, მისი გამკაცრება და ჰიპერინფლაციაში გადაზრდა ძირითადად გაპირობებული იყო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად და შეღავათიანი კრედიტების გასაცემად განხორციელებული ფულის ჭარბი, უკონტროლო ემისიით და ინფლაციური მოლოდინით განპირობებული ფულის მიმოქცევის სიჩქარის გადიდებით.

საკვანძო სიტყვები: ინფლაცია, მოთხოვნის ინფლაცია, დანახარჯების ინფლაცია, ჰიპერინფლაცია, ინფლაციური მოლოდინი, ფულზე მოთხოვნა, ფულის მიწოდება, ფულის ემისია, ბიუჯეტის დეფიციტი.

Inflation causes, rates, types and aggravation stages in post-communist Georgia in early 1990-ies

Summary

The article offers analysis of the key reasons of dramatic growth of prices in early 1990-ies in Georgia.

It is argued that in independent Georgia, both, the demand inflation and costs' inflation occurred simultaneously. Inflation imported from abroad has plaid particular role in aggravation of inflation, which, depending on its causes, sometimes was in a form of demand inflation and sometimes – the costs' inflation.

Demand inflation in our country was mostly caused by excessive currency emission.

Inflation from reduction of aggregate supply was caused in Georgia: supply reduction caused by destruction of the existing economic links, reduction of labor productivity of the employed, reduction of aggregate supply caused by worsening of criminal situation etc.

Prices liberalization in countries (mostly the republics of former USSR) producing of the fuel and energy resources and other raw materials caused increase of their import prices that has resulted in creation and development of the costs inflation

Thus, inflation in Georgia was conditioned by the entire set of causes. In addition, their aggravation lead to hyperinflation was basically caused by excessive, uncontrolled currency emissions for financing of the budget deficiency and granting of the favorable credits, as well as increasing of the money circulation conditioned by inflation expectations.

* * * * * *

პოსტკომუნისტურ საქართველოში, 1990-იანი წლების დასაწყისში, მთელი რიგი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების გავლენით, განსაკუთრებული სიმწვავით გამოვლინდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ეკონომიკისათვის 80—იანი წლების მეორე ნახევარში დამახასიათებელი უარყოფითი მოვლენები. პროდუქციის წარმოების რეალური მოცულობის შემცირებასთან ერთად განსაკუთრებული საშიში ხასიათი შეიძინა ინფლაციამ. 80—იანი წლების დასაწყისიდან ცენტრალიზებული გეგმური ეკონომიკის შინაგანმა წინააღმდეგობებმა განაპირობეს ეკონომიკური სტაგნაცია და ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელება. მიუხედავად ამისა, ადგილი ჰქონდა მთავრობის დანახარჯების გადიდებას, რამაც განაპირობა

ბიუჯეტის დეფიციტის წარმოშობა და მისი ფულის ემისიის გზით დაფინანსება. ფიქსირებული ფასების არსებობის პირობებში ფულის ჭარბმა ემისიამ გამოიწვია ინფლაციის ჩახშობა.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ფასების ლიბერალიზაციამ განაპირობა ჩახშობილი ინფლაციის გადაყვანა ღიაში. ამავე დროს პოლიტიკური და კრიმინოგენური ვითარების გამწვავებამ, ტრადიციული სამეურნეო კავშირების რღვევამ, ეკონომიკურმა ბლოკადამ, სტრუქტურული რეფორმების პროცესებმა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სხვა ობიექტურმა და სუბიექტურმა სიძნელეებმა განაპირობა ეკონომიკური დაცემის გაღრმავება და საგადასახადო დისციპლინის მოშლა [1, გვ. 13]. მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 1990 წლიდან 1994 წლამდე დაახლოებით 4—ჯერ შემცირდა (2, ცხრ.: A1), რამაც გამოიწვია სახელმწიფოს შემოსავლების კატასტროფული შემცირება. მშპ—ში სახელმწიფო შემოსავლების წილი, 1991 წლის 30%—დან, 1992 წელს 10,2%—მდე დაეცა. ამ პირობებში მთავრობის დანახარჯების გადიდებამ (ძირითადად მემკვიდრეობით მიღებული სოციალური გარანტიების უზრუნველსაყოფად) გამოიწვია ბიუჯეტის დეფიციტის მკვეთრი ამაღლება, მან 1993—წელს თავის მაქსიმალურ მნიშვნელობას მიაღწია და შეადგინა 73%, 1991 წლის 6,1%—ის საწინააღმდეგოდ [3, ცხ. A9]. საბიუჯეტო დეფიციტის ემისიური კრედიტებით დაფარვამ და შეღავათიანი კრედიტების შეუზღუდავი მოცულობით გაცემის პრაქტიკის ფართოდ გავრცელებამ, კიდევ უფრო გააძლიერა ფულის გაუფასურების ყოფილი საბჭოთა კავშირიდან მემკვიდრეობით მიღებული პროცესი და ინფლაცია კიდევ უფრო გააღრმავა. 1993 წლის მეორე ნახევრიდან იგი ჰიპერინფლაციაში გადაიზარდა.

საქართველოს ეროვნული მეურნეობა უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა რუსეთის მხრიდან განხორციელებული ეკონომიკური ბლოკადის შედეგად, რომლის ერთ—ერთი შემადგენელი ნაწილი იყო ანგარიშსწორების ბლოკირება, ანუ რუსეთის ცენტრალური ბანკიდან რუსული რუბლის საბანკო ნიშნების მოწოდების შეწყვეტა და ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების საკორესპონდენტო ანგარიშებზე ოვერდრაფტების გახსნისა და გაზრდის შესაძლებლობების მოსპობა. ამის გამო ქვეყანაში შეიქმნა ნაღდი ფულის დეფიციტი, რომლის აღმოსაფხვრელად საქართველოს მთავრობამ, მზარდი ინფლაციური პროცესების პირობებში, 1993 წლის 5 აპრილს მიმოქცევაში შემოიღო ეროვნული ბანკის კუპონები [1, გვ. 39]. ყველა სამანეთო ანგარიში ავტომატურად გადაყვანილ იქნა საკუპონე ანგარიშებზე. მიუხედავად იმისა, რომ 1993 წლის აგვისტოში მთავრობის დადგენილებით, კუპონი ერთადერთ საგადასახდელო საშუალებად გამოცხადდა, მან მაინც ვერ შეძლო გამხდარიყო ნამდვილი ფული, აღნიშნული დადგენილების ცხოვრებაში განუხორციელებლობის გამო. კუპონის გამოყენება შეიზღუდა მხოლოდ მთავრობის მიერ კონტროლირებადი გარიგებებით, ხოლო საბაზრო გარიგებები ხორციელდებოდა რუსული რუბლისა და აშშ—ის დოლარის მეშვეობით.

კუპონის მსყიდველობითი უნარიანობა აგრეთვე მიშვნელოვნად შეამცირა იმ დამატებითმა ემისიებმა, რომლებიც მისი შემოღებისთანავე განხორციელდა. საქართველოს მთავრობა, საგადასახადო ბაზის ნგრევისა და კუპონის გაუფასურების კვალდაკვალ, სულ უფრო მეტი მოცულობის თანხების ემისიას ახდენდა თავისი ფინანსური ვალდებულებების შესრულებისათვის აუცილებელი განსაზღვრული მსყიდველობითი უნარის თანხის მისაღებად, რამაც უმოკლეს პერიოდში ინფლაციის გამკაცრება გამოიწვია. კერძოდ, 1993 წლის სექტემბრიდან 1994 წლის ოქტომბრამდე ინფლაციის ტემპი თვეში საშუალოდ 50%—ს აჭარბებდა, რამაც უკიდურესად დამანგრეველი ზემოქმედება მოახდინა ქვეყნის ეკონომიკაზე.

,,კუპონის ერაში" ეროვნული ბანკის მხრიდან ფულადი მასის მიწოდების გაკონტროლებას ხელს უშლიდა უცხოური ვალუტების თავისუფალი მიმოქცევა, კომერციული ბანკების საქმიანობისადმი სუსტი კონტროლი, შემოსავლების შემცირების პირობებში მთავრობის დანახარჯების გადიდება, შეღავათიანი, იაფი კრედიტების ეკონომიკის რეალურ სექტორზე ზემოქმედების შესახებ მცდარი წარმოდგენა, რომლის თანახმადაც იაფი ფული, მიუხედავად ეკონომიკაში არსებული განუკითხაობისა და ანარქიისა, თითქოსდა ხელს შეუწყობდა ინვესტიციური საქმიანობის წახალისებას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში არ ითვალისწინებდნენ იმ ფაქტს, რომ საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი საკანონმდებლო ბაზისა და ინფრასტრუქტურის არარსებობისას, აგრეთვე პროდუქციის წარმოების რეალური მოცულობის მკვეთრი დაცემის, ინფლაციის გაღრმავებისა და ანგარიშსწორების სისტემის მოუწესრიგებლობის პირობებში, შეღავათიანი, იაფი კრედიტების გაცემა კიდევ უფრო გააღრმავებდა ეკონომიკურ კრიზისს და გამოიწვევდა ინფლაციის გაძლიერებას.

უცხოური კონვერტირებადი ვალუტების თანასწორუფლებიანი მიმოქცევის პირობებში კუპონის კატასტროფულმა გაუფასურებამ, მისი მიმოქცევის სფერო შეზღუდა, რის გამოც მისი წილი გარიგებათა საერთო მოცულობაში მინიმუმამდე დაეცა, რაც თავის მხრივ ხელს უწყობდა კუპონში გამოხატულ რეალურ ფულად ნარჩენზე მოთხოვნის შემცირებას და მის შემდგომ გაუფასურებას. აღინიშნებოდა კუპონების სახით არსებული ფულის რეალური მოცულობის კატასტროფული ვარდნა. 1993 წლის ზაფხულში განხორციელებულმა კუპონის დიდი მოცულობით ემისიამ გამოიწვია M2 ფულის (ბანკებს გარეთ მიმოქცევაში არსებული კუპონებისა და ბანკებში საკუპონე ანგარიშებზე არსებული თანხების) დოლარებში გამოხატული ღირებულების დროებითი ზრდა: თუკი 1992 წლის დეკემბერში მიმოქცევაში მყოფი 71,6 მილიარდი რუსული რუბლის დოლარებში გამოხატული ღირებულება შეადგენდა 173 მილიონ დოლარს, 1993 წლის ივლისში კი მიმოქცევაში მყოფი

347,2 მილიარდი კუპონის დოლარებში გამოხატული ღირებულება შეადგენდა 352 მილიონ დოლარს; მაგრამ კუპონის უკონტროლო ემისიამ 1993 წლის დეკემბერში უკვე ,,გამოკვება" ინფლაცია, რამაც რეალურ ფულზე მოთხოვნის შემცირება და ფულის მიმოქცევის სიჩქარის შემდგომი გადიდება გამოიწვია: M2 ფულის დოლარებში გამოხატული ღირებულება 1993 წლის დეკემბერში დაეცა 18 მილიონ აშშ—ის დოლარამდე (იხ. ცხ.: 1). მიმოქცევაში მყოფი ფულის რეალური ღირებულების ამგვარი მკვეთრი დაცემა გაპირობებულია სამეურნეო გარიგებათა საერთო მოცულობაში კუპონის მეშვეობით განხორციელებულ გარიგებათა წილის მკვეთრი შემცირებით [4, გვ. 9].

M_2 ფულის ნომინალური და რეალური მნიშვნელობები 1991-95 წლებში. ცხრ.: 1.

თვე	ნომინალური M_2 (მილრდ.მანეთი, ან კუპონი)	M_2(აშშ$)	M_2 (აშშ$) ერთ სულ მოსახლეზე
1991 წელი, დეკემბერი	12,9 (მან.)	7 588 000 000	1378
1992 წელი, დეკემბერი	71,6 (მან.)	173 000 000	32
1993 წელი, ივლისი	347,2 (კუპ.)	352 000 000	64
1993 წელი, დეკემბერი	1834 (კუპ.)	18 000 000	3,26
1994 წელი, დეკემბერი	37609 (კუპ.)	26 000 000	4,74
1995 წელი, მარტი	31740 (კუპ.)	24 000 000	4,44
1995 წელი, ივნისი	36761 (კუპ.)	28 000 000	5,14
1995 წელი, სექტემბერი	48132 (კუპ.)	37 000 000	6,73

წყარო: ტასისის ევროპული საექსპერტო სამსახური, საქართველოს ეკონომიკის მიმართულებები. საწყისი მიმოხილვა. 1995 წლის დეკემბერი.

ამგვარად, კუპონის მკვეთრი გაუფასურება, ანუ კუპონებში გამოხატული ფასების საერთო დონის ამაღლება, განპირობებული იყო მისი უკონტროლო ემისიით და მისი, როგორც ერთადერთი კანონიერი საგადასახდელო—საანგარიშსწორებო საშუალების სტატუსის განუმტკიცებლობით, რამაც მოსახლეობაში გამოიწვია მისადმი უნდობლობა. შესაბამისად ყველა მის სწრაფ მოშორებას ცდილობდა, რაც ხელს უწყობდა მის შემდგომ გაუფასურებას და ფასების დონის შემდგომ ამაღლებას.

საერთოდ საქართველოში აღინიშნა ფასების დონის რამდენიმე ეტაპად ამაღლება. 1991—92 წლებში ინფლაცია ძირითადად გაპირობებული იყო ფასების ლიბერალიზაციით, ხოლო 1993—94 წლებში კი ფულის ჭარბი ემისიით და ინფლაციური მოლოდინით გამოწვეული ფულის მიმოქცევის სიჩქარის მკვეთრი ამაღლებით. ეკონომიკის სამინისტროს მონაცემების თანახმად, სამომხმარებლო საქონელზე ფასები და ტარიფები საშუალოდ გაიზარდა 1992 წელს 25—ჯერ, 1993 წელს 92—ჯერ, 1994 წელს 120—ჯერ, ხოლო 1995—წელს 57%—ით [1, გვ. 15].

1992 წელს მოხდა ფასების რამდენიმე ეტაპობრივი ლიბერალიზაცია. წლის დასაწყისიდან, ქვეყანაში განხორციელებული ფასების რეფორმის შედეგად სამომხმარებლო დანიშნულების საქონლისა და მომსახურეობის დაახლოებით 90%—ის საცალო ფასები და საწარმოო—ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის 95%—ის ფასები განთავისუფლდა სახელმწიფოს ადმინისტრაციული კონტროლისაგან. მარტ—აპრილში ხორცისა და ხორცის პროდუქტების, კარტოფილისა და ზოგიერთი სხვა სასურსათო საქონლების, აგრეთვე მედიკამენტების, საწვავის, ელექტროენერგიისა და ტრანსპორტის სახელმწიფო ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა. ხოლო, ამავე წლის ივნისში ლიბერალიზებულ იქნა ამ საქონელთა უმეტესობის ფასები. სახელმწიფომ კონტროლქვეშ დაიტოვა მხოლოდ ფქვილის, პურის, ელექტროენერგიისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის ფასები, რომლებიც აგრეთვე მნიშვნელოვნად იქნა გადიდებული 1992 წლის ბოლოსათვის [1, გვ. 48].

ფასების ლიბერალიზაციის შედეგად, 1992 წლის მარტში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ფასები 9—ჯერ გაიზარდა.

ფასების საერთო დონის შემდგომი მკვეთრი ამაღლება აღინიშნა 1993 წლის შემოდგომაზე, რაც დაკავშირებულია კუპონის მიმოქცევაში შემოღების შემდგომ, მისი უკონტროლო ემისიით, რის გამოც ფასების ზრდამ 1993 წლის სექტემბერში 50%—იან ზღვარს გადააჭარბა. ე.ი. ინფლაცია გადაიზარდა ჰიპერინფლაციაში. 1993 წლის ბოლო ოთხი თვის განმავლობაში ინფლაციის ტემპი მერყეობდა 50—137%—ის ფარგლებში [1, გვ. 48].

ჰიპერინფლაციური პროცესი აღინიშნებოდა 1994 წლის ივნისამდე. მართალია, 1993 წლის ბოლოსა და 1994 წლის დასაწყისში იყო მცდელობები ფულად—საკრედიტო პოლიტიკის გასამკაცრებლად, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა, რადგანაც იმ პერიოდში სახელმწიფო დანახარჯებისა და შესაბამისად ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების ერთადერთ წყაროს ეროვნული ბანკის სესხები შეადგენდა, თანაც გრძელდებოდა ცალკეული დარგების დასაფინანსებლად შეღავათიანი კრედიტების გულუხვი გაცემა.

ფასების დონე მნიშვნელოვნად ამაღლდა 1994 წლის III-კვარტალშიც, კერძოდ, აგვისტო-სექტემბრის თვეებში, რაც ძირითადად დაკავშირებულია სტაბილიზაციის ეკონომიკური პროგრამის დაწყებასთან, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა სახელმწიფოს ადმინისტრაციული კონტროლის ქვეშ არსებული საქონლების ფასების შემდგომი ზრდა და მათი მიახლოება რეალურ საბაზრო ფასთან.

სტაბილიზაციის პროგრამის ამოქმედების შემდეგ, 1994 წლის მეოთხე კვარტალში ადგილი ჰქონდა ფასების დონის შემცირებას. ასე მაგალითად, თუკი სამომხმარებლო ფასების ინდექსმა სექტემბერში წინა თვის მიმართ შეადგინა 310%, ოქტომბერში უკვე შეადგენდა 91,7%—ს, ხოლო დეკემბერში კი - 92%—ს (იხ. ცხრ. 2).

ფასების ინდექსი 1994-95 წლებში, ცხრ.: 2

	წლები (თვეები)	სამომხმარებლო ფასების ინდექსი (%-წინა თვის მიმართ)	სამომხმარებლო ფასების ინდექსი (%-წინა წლის დეკემბერთან)
1994			
1.	იანვარი	251,3	251,3
2.	თებერვალი	134,6	338,8
3.	მარტი	151,4	512,0
4.	აპრილი	183,0	937,0
5.	მაისი	143,3	1342,7
6.	ივნისი	95,0	1275,6
7.	ივლისი	106,1	1353,4
8.	აგვისტო	170.7	2310,3
9.	სექტემბერი	310.9	7182,7
10.	ოქტომბერი	91,7	6586,5
11.	ნოემბერი	101,5	6685,3
12.	დეკემბერი	91,9	6143,8
1995			
1.	იანვარი	113,1	113,1
2.	თებერვალი	100,8	114,0
3.	მარტი	96,8	110,4
4.	აპრილი	99,0	109,3
5.	მაისი	105,2	114,9
6.	ივნისი	98,9	113,7
7.	ივლისი	100,8	114,6
8.	აგვისტო	103,3	118,4
9.	სექტემბერი	104,1	123,2
10.	ოქტომბერი	123,4	152,0
11.	ნოემბერი	100,1	152,2
12.	დეკემბერი	103,4	157,4

წყარო: საქართველოს სსდ

ინფლაციის ტემპის შემცირება გაგრძელდა მომდევნო პერიოდშიც, რაც განპირობებულია შედარებით მკაცრი ფულად—საკრედიტო და ბიუჯეტურ—საგადასახადო პოლიტიკის განხორციელებით. კუპონში გამოხატული ფასების დონე 1995 წლის ოქტომბრის წინა ცხრა თვის განმავლობაში გაიზარდა მხოლოდ 23%—ით.

1995 წლის ოქტომბერში ეროვნული ვალუტის ლარის მიმოქცევაში შემოღებამ და ერთადერთ კანონიერ საგადასახდელო საშუალებად გამოცხადებამ, საწყის ეტაპზე გამოიწვია ზოგიერთი სახის პროდუქციაზე ფასების მკვეთრი ზრდა და შესაბამისად ფასების საერთო დონის ამაღლება. როგორც აღნიშნული ცხრილის მე-2 სვეტის მონაცემებიდან ჩანს, 1995 წლის ოქტომბერში ლარებში გამოხატულმა სამომხმარებლო ფასების ინდექსმა წინა თვის მიმართ შეადგინა 123,4%, მაგრამ მომდევნო თვეებში სიტუაცია გამოსწორდა და ნოემბერ—დეკემბერში სამომხმარებლო ფასების ინდექსმა შესაბამისად შეადგინა 100,1 და 103,4 პროცენტი.

ლარის შემოღებისთანავე ფასების საერთო დონის ამაღლება გამოიწვია ფულის გამოცვლასთან დაკავშირებულმა ინფლაციურმა მოლოდინმა და ეროვნული ვალუტისადმი კუპონის ,,ერაში" ნდობის შერყევამ. ყველა ის სამეურნეო გარიგებანი, რომლებიც ხორციელდებოდა რუსული რუბლის მეშვეობით და დოლარებში განსახორციელებელ სამეურნეო გარიგებათა მნიშვნელოვანი ნაწილიც, ლარის მიმოქცევის სფეროში მოექცა. ამ პროცესმა გამოიწვია მოსახლეობის განკარგულებაში რუსულ რუბლებში არსებული დანაზოგების ძირითადი ნაწილის ლარებში გადახურდავება, რამაც საწყის ეტაპზე განაპირობა ლარებში არსებული ფულადი მასის მეტობა სასაქონლო მასასთან შედარებით და გამოიწვია ფასების მომატება, რადგანაც ეროვნული ვალუტისადმი მემკვიდრეობით მიღებული უნდობლობის გამო ლარების მთელი მასა მოექცა სამეურნეო გარიგებათა სფეროში: ცხადია, რომ ეროვნული ვალუტისადმი ნდობის გამტკიცებამდე ლარებს ხელზე დიდხანს არავინ გააჩერებდა.

დამოუკიდებელ საქართველოში ერთდროულად გამოვლინდა, როგორც მოთხოვნის ინფლაცია, აგრეთვე დანახარჯების ინფლაციაც. ინფლაციის გაღრმავებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა უცხოეთიდან იმპორტირებულმა ინფლაციამ, რომელიც მისი გამომწვევი მიზეზებისაგან დამოკიდებულებით, ხან მოთხოვნის ინფლაციის სახეს ღებულობდა, ხან კი დანახარჯების ინფლაციისას.

მოთხოვნის ინფლაცია ჩვენთან ძირითადად გამოწვეული იყო ფულის ჭარბი ემისიით. ფული ჭარბი ემისიის არხებს წარმოადგენდა:

1. შემოსავლების შემცირების პირობებში სახელმწიფოს მზარდი დანახარჯების დასაფინანსებლად ბიუჯეტური ემისია. ე.ი. მთავრობა ხარჯავდა მეტ თანხას, ვიდრე ბანკებში აქტივზე ჰქონდა. აქტივზე მყოფ თანხებზე დანახარჯების გადამეტება ბანკებში ტარდებოდა წითელი ხაზით. 1995 წლის 14 ივლისიდან ბიუჯეტის ყველა ანგარიში გადატანილ იქნა ეროვნულ ბანკში და მთავრობას ჩამოერთვა აქტივზე მყოფ თანხებზე მეტის დახარჯვის უფლება.

2. ეროვნული ბანკის ემისია, რომელსაც იგი მიმართავდა სხვადასხვა მიზნებისათვის, განსაკუთრებით კი შეღავათიანი კრედიტების გასაცემად.

3. ყოფილი სახელმწიფო კომერციული ბანკების

ავტომატური ოვერდრაფტი, რაც ამ ბანკებს საშუალებას აძლევდა გაესესხებინათ უფრო მეტი თანხა, ვიდრე აქტივზე გააჩნდათ. ეს კი ხელს უწყობდა ინფლაციის გაძლიერებას. 1994 წლის პირველი ოქტომბრიდან კომერციული ბანკები გადავიდნენ საკორესპონდენტო ანგარიშებით მუშაობის რეჟიმზე.

4. საპენსიო ფონდის ხაზით ემისია, რომელიც ხორციელდებოდა ბიუჯეტური ემისიის ანალოგიურად.

5. კავშირგაბმულობის სამინისტროს ემისია, რომელსაც იგი ახდენდა უცხოეთიდან, ძირითადად ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან, უნაღდო ანგარიშსწორების სახით, გადმორიცხული თანხების განაღდების გზით.

ზემოთ აღნიშნული ემისიები იწვევდა უნაღდო ანგარიშსწორების მოცულობის მკვეთრ ზრდას და უნაღდო ფულის შეღწევას ნაღდი ფულის ბრუნვის სფეროში, რადგან ეროვნული ბანკი იძულებული იყო, ეროვნული მეურნეობის ყველა სფეროში უნაღდო ფულის შეღწევის გაადვილების მიზნით, მოეხდინა ნაღდი ფულის ემისია. უმთავრესი კი ის არის, რომ ემისიის ზემოთ აღნიშნული სახეები ხელს უწყობდა უნაღდო და ნაღდი ანგარიშსწორებების ერთობლივი მოცულობის მკვეთრ გადიდებას და შესაბამისად ფასების საერთო დონის ამაღლებას.

ერთობლივი მიწოდების შემცირებით განპირობებული ინფლაცია საქართველოში გამოიწვია:

1. ენერგორესურსებზე და სხვა ნედლეულზე ფასების ამაღლებამ.
2. არსებული სამეურნეო კავშირების მოშლით გამოწვეულმა ერთობლივი მიწოდების შემცირებამ.
3. დასაქმებულთა შრომის მწარმოებლურობის შემცირებამ.
4. კრიმინოგენური სიტუაციის გაუარესებით გაპირობებულმა ერთობლივი მიწოდების შემცირებამ.
5. კონკურენციული გარემოს არარსებობამ.

დანახარჯების ინფლაციის წარმოქმნაში და განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სათბობ—ენერგეტიკული რესურსებისა და სხვა ნედლეულის იმპორტის გაძვირებამ, რაც გამოწვეული იყო მათ მწარმოებელ ქვეყნებში (ძირითადად ყოფილ სსრკ რესპუბლიკებში) ფასების ლიბერალიზაციით. იმპორტულ ნედლეულზე ფასების ამაღლებამ გამოიწვია მათი მეშვეობით წარმოებული პროდუქციის გაძვირება. ამიტომ დანახარჯების ინფლაციის მიზეზს, ამ შემთხვევაში, წარმოადგენს ნედლეულის შემოტანის მეშვეობით იმპორტირებული ინფლაცია.

ამგვარად, ინფლაცია საქართველოში გამოწვეული იყო მიზეზების მთელი რიგით, მაგრამ მისი გამკაცრება და ჰიპერინფლაციაში გადაზრდა ძირითადად გაპირობებული იყო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად და შეღავათიანი კრედიტების გასაცემად განხორციელებული ფულის ჭარბი, უკონტროლო ემისიით და ინფლაციური მოლოდინით განპირობებული ფულის მიმოქცევის სიჩქარის გადიდებით.

საქართველოს მაგალითი კიდევ ერთხელ ადასტურებს საყოველთაოდ აღიარებულ მონეტარისტულ თვალსაზრის, რომლის თანახმადაც ინფლაცია, განსაკუთრებით კი ჰიპერინფლაცია, ფულადი მოვლენაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1996-2000 წლების ინდიკატური გეგმა. საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო. თბ., 1996წ.
2. ტასისის ევროპული საექსპერტო სამსახური. საქართველოს ეკონომიკის მიმართულებები. კვარტალური მიმოხილვა, პირველი კვარტალი, 1997წ.
3. ტასისის ევროპული საექსპერტო სამსახური. საქართველოს ეკონომიკის მიმართულებები. კვარტალური მიმოხილვა, მეორე კვარტალი, თბ., 1997წ.
4. ტასისის ევროპული საექსპერტო სამსახური. საქართველოს ეკონომიკის მიმართულებები. საწყისი მიმოხილვა, მეოთხე კვარტალი, თბ., 1995წ.

საადგილმამულო ბანკის საკრედიტო ოპერაციები

რამაზ ოთინაშვილი, *პროფესორი*
შალვა კუტუბიძე, *დოქტორანტი*

რეზიუმე

სტატიაში „საადგილმამულო ბანკის საკრედიტო ოპერაციები“ აღნიშნულია, რომ თბილისის საადგილმამულო ბანკი საკრედიტო ოპერაციებს თავიდანვე საბანკო საქმის ცოდნით და სიფრთხილით აწარმოებდა. სასესხო ოპერაციების წარმოებისათვის 80-იანი წლებიდან მეტად ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. ბანკს შეეძლო განუსაზღვრელი ოდენობით გაეცა სესხი როგორც სოფლის, ისე ქალაქის მამულებზე. მაგრამ საადგილმამულო ბანკების სასესხო ოპერაციებს დიდი სიძნელეები შეექმნა 1882-1885 წლებში. რუსეთის საკრედიტო სისტემის კრიზისს თან დაემთხვა საქართველოში ადგილობრივი ხასიათის გართულებები, რამაც საგრძნობლად დასცა გირავნობის ფურცლების ფასი და შეამცირა მოთხოვნა საადგილმამულო კრედიტზე. მთავარი მიზეზი მაინც საყოველთაო სესხი იმალებოდა. საქმეთა საყოველთაო შეყოვნებაში, კომერციულ და სავაჭრო ბრუნვათა საყოველთაო გაღარიბებაში, ფულის ბაზრის სიმწირეში, რომელმაც თავი იჩინა არა მარტო რუსეთში, არამედ ყველგან ევროპაში.

თბილისის საადგილმამულო ბანკის საკრედიტო მოღვაწეობა გამოცოცხლდა 80-იანი წლების დასასრულს, რაც უმთავრესად გამოწვეული იყო გირავნობის ფურცლების კარგი კურსით ბირჟაზე, რომელიც 97%-ზე ქვევით არ ჩამოსულა, ხოლო 1889 წელს 99%-ს მიაღწია. 90-იანი წლებიდან საადგილმამულო ბანკის სასესხო ოპერაციები კიდევ უფრო სწრაფად იზრდებოდა. თბილისის გარდა ბანკი სესხს აძლევდა ბაქოს და ბათუმს.

მოყვანილია გრძელვადიანი და მოკლევადიანი კაპიტალის მოძრაობის საყურადღებო სტატისტიკა თბილისის საადგილმამულო ბანკში ასევე ცალკე ცხრილის სახითაა მოცემული ბანკში დაგირავებული მამულების საჯარო ვაჭრობითჩგაყიდვა ვალის გადაუხდელობისათვის 1875-1905 წლებში.

საკვანძო სიტყვები: ბანკი, საკრედიტო, ოპერაციები, სესხი, კაპიტალი, სტატისტიკა.

Credit operations of the estate bank

Ramaz Otinashvili – Professor of GTU
Shalva Kutubidze – Doctorant of GTU

Summary

In the article “Credit operations of the estate bank” it is stated that estate bank of Tbilisi managed its operations with caution and knowledge of the business.

In the 80-s, there were very good conditions for loan operations. The bank could grant an unlimited loan to village and city estates. But estate bank had hardships in 1882-1885. There was Russian credit system crisis and local complication of matters in Georgia, which dropped the price of deposit papers and reduced demand on estate credits. But the real reason of that was global crisis that affected not only Russia, but the whole Europe.

The activities of Georgian estate bank became more alive at the end of the 80-s, which was mainly caused by good price of deposit papers. They never dropped below 97%, and in 1899 became 99%. From the 90-s, credit operations of the estate bank were growing increasingly faster. Besides Tbilisi, the bank was giving loans to Batumi and Baku.

There is displayed short and long term capital flow statistic in Tbilisi estate bank, and there is a separate table that shows estates that were sold in auction for not paying the loans in 1875-1905 years.

Keywords: bank, credit, operations, loan, capital, statistic.

* * * * *

თბილისის საადგილმამულო ბანკი, რომელიც გრძელვადიანი კრედიტის ერთად-ერთი დაწესებულება იყო, ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით, საკრედიტო ოპერაციებს თავიდანვე საბანკო საქმის ცოდნით და სიფრთხილით აწარმოებდა. 1881 წლამდე ბანკის საკრედიტო ოპერაციების არეალი თბილისის გუბერნიის ტერიტორიით განისაზღვრებოდა. მაგრამ დიდი იყო მოთხოვნილება სასესხო კაპიტალზე და იგი განუხრელად იზრდებოდა. თუმცა მის აღმასვლას დრო და დრო შემაფერხებელი გარემოებებიც სდევდა თან. ფინანსური შეზუდულობის გამო, ბანკს არ შეეძლო არა თუ მთლიანად, ნაწილობრივ მაინც დაეკმაყოფილებინა სესხის მსურველთა მოთხოვნილება.

ბანკის არსებობის მთელ პერიოდში 1881 წლის 1 იანვრამდე გაიცა გრძელვადიანი სესხი: სოფლის მამულებზე 229 სესხი, 945 800 მან. ქალაქის მამულებზე 114 სესხი — 1470500 მან.[1] ზემოთ მოყვანილი

1 იქვე, ფურ. 57

მონაცემები ნათლად მიგვანიშნებს განახლებული წესდების მნიშვნელობაზე. 1881 საანგარიშო წელს ბანკმა მიიღო წმინდა მოგება 72 298 მან. რომელიც სჭარბობს ცალკე აღებულ ყველა წინა წლების მოგებას.

თბილისის საადგილმამულო ბანკის სასესხო ოპერაციების წარმოებისათვის 80-იანი წლებიდან მეტად ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. ბანკს შეეძლო განუსაზღვრელი ოდენობით გაეცა სესხი როგორც სოფლის, ისე ქალაქის მამულებზე. მაგრამ საადგილმამულო ბანკების სასესხო ოპერაციებს დიდი სიძნელეები შეექმნა 1882-1885 წწ. როგორც ი. ჭავჭავაძე აღნიშნავდა, რუსეთის საკრედიტო სისტემის კრიზისს თან დაემთხვა საქართველოში ადგილობრივი ხასიათის მთელი რიგი გართულებები, რამაც საგრძნობლად დასცა გირავნობის ფურცლების ფასი და შეამცირა მოთხოვნა საადგილმამულო კრედიტზე. ჯერ კიდევ 1882 წელს გავრცელდა ხმები ამიერკავკასიის სამეფისნაცვლოს გაუქმებისა და რიგი ადმინისტრაციული გარდაქმნების შესახებ თბილისში, რამაც დაახლოებით 20%-ით შეამცირა თბილისში მამულების ფასი. [2]

მეტად მცირე აღმოჩნდა საადგილმამულო კრედიტისათვის 80-იანი წლები. 1884 საანგარიშო წელს ბანკის მთელი შემოსავალი, რაც ბანკის მმართველების ხარჯების ზევით დარჩა 102524 მან. მასზე დამატებით 3259 მან და 80 კაპ. თავისუფალი საზოგადოებრივი კაპიტალიდან, რაც ზედამხედველი კომიტეტის განკარგულებაში იყო და ექსტრაორდინალური კაპიტალის 1172 მან და 83 კაპ. გაღებულ იქნა ბანკზე დარჩენილი მამულების გაყიდვით მიღებული ზარალის დასაფარავად. [3]

რა იყო მიზეზი იმისა, რომ 80-იანი წლების დასაწყისში ამდენი მამულები დარჩა ბანკზე, მათი მაღალი დაფასება, თუ რომელიმე სხვა გარემოება? შესაძლებელია დასაგირავერბელი მამულების გადამეტებულ დაფასებასაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ მთავარი მიზეზი თუ ერთადერთი არა, როგორც აღნიშნავდა ილია ჭავჭავაძე, - იმალება საყოველთაო კრიზისში, საქმეთა საყოველთაო შეყოვნებაში, კომერციულ და სავაჭრო ბრუნვათა საყოველთაო გაღარიბებაში, ფულის ბაზრის გაღარიბებაში, რომელიც თითქმის 1882 წლის დამლევს დაიწყო, სულ უფრო ძლიერდებოდა 1883 -1884 წლებში და რომელმაც თავი იჩინა არა მარტო რუსეთში, არამედ ყველგან ევროპაში. რუსეთისა და ევროპის უაღრესად სოლიდური ფირმების დაუძლურებამ, რაც უაკანასკნელ დროს გამოჩნდა, რამდენიმე კომერციული ბანკის უძლურება, იპოთეკური კრედიტის ზოგიერთი დაწესებულების შეფერხება უმეტეს წილად ამ საყოველთაო კრიზისის შედეგია, მას რაღაც პანიკის ქვეშ ჰყავს დღესაც ყველა.

ამ კრიზისმა თავი იჩინა თითქმის ყველგან ამიერკავკასიაში, რომლის გასაღებისა და სავაჭრო ბრუნვის მთავარ ბაზარს უკანასკნელ დრომდე თბილისი წარმოადგენდა. ამის ნათელი დადასტურებაა თბილისელთა საყოველთაო ჩივილი საქმეების დაყოვნებაზე, ვაჭრობის შეწყვეტასა და ფულის უქონლობაზე, ფასების დაცემაზე და სხვა. მაგრამ ამ საყოველთაო კრიზისს თბილისის მიმართ დაემატა ადგილობრივი მიზეზებიც, რომელთაც შეარყიეს მისი ხელსაყრელი მდგომარეობა, რომელიც როგორც აღმოჩნდა, სრულიად შემთხვევითი გარემოებით იყო განსაზღვრული, მაგალითად მასში და გარე უბნებში განალგებული ჯარების სიუხვით, მეფისნაცვლისა და მისი კარის ყოფნით, მრავალრიცხოვანი დაწესებულებისა და შტატების თანხლებით, ტრანზიტით, რომელსაც მარტო თბილისში 28 კანტორა ჰქონდა ზღვისაკენ მოსახერხებელი გზების არსებობით, რის შედეგადაც თბილისი აუცილებლად ითვლება მხარეში შეემოსაყვანი და მხარიდან გასატანი საქონლის ერთადერთ გამანაწილებელ პუნქტად და სხვა. ცხადია, რომ თბილისის ასეთი მდგომარეობის დროს, თუნდაც ერთ, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე რკინიგზის გაყვანას, რაც მას შუალედ სადგურად გადააქცევდა, საბოლოოდ შეეძლო მისი კეთილდღეობისათვის ნიადაგის გამოცლა...

ბანკის არსებობის 10 წლის განმავლობაში — 1885 წ. იანვრისათვის — თბილისის საადგილმამულო ბანკს საჯარო ვაჭრობით გაუყიდია 130 მამული, რაც გირაოში მიღებული მამულების 15.,7 %-ს შეადგენდა. [4]

თბილისის საადგილმამულო ბანკის საკრედიტო მოღვაწეობა განსაკუთრებული წარმატებით აღინიშნა 80-იანი წლების დასასრულს. ეს უმთავრესად გამოწვეული იყო გირავნობის ფურცლების კარგი კურსით ბირჟაზე, რომელიც 97%-ზე ქვევით არ ჩამოსულა, ხოლო 1889 წელს 99%-ს მიაღწია. ეს მოასწავებდა საადგილმამულო კრედიტის დაიაფებას, ხელსაყრელს ხდიდა ბანკიდან სესხის აღებას. ზრდიდა ბანკის ნდობას მსესხებელთა შორის. 1888 წელს სოფლად და ქალაქად 675400 მან. რაოდენობის გრძელვადიანი სესხი გაიცა. 1889 წელს — 1806700 მან. ე.ი. წინა წელთან შედარებით 1 131300 მან. მეტი.5 ამრიგად, თბილისის საადგილმამულო ბანკის გამგეობამ, რომელსაც საფინანსო-ეკონომიკური საქმეების დიდი ცოდნით და მონდომებით ხელმძღვანელობდა ილია ჭავჭავაძე, 80-იანი წლების სიძნელეთა პირობებში... შეეძლო ბოლომდე დაეცვა საბანკო პოლიტიკის პირობების ურყევობა და ეხსნა ეს მეტად საჭირო საკრედიტო დაწესებულება სრული დაცემისა და გაკოტრებისაგან.

90-იანი წლებიდან საადგილმამულო ბანკის სასესხო ოპერაციები სწრაფად იზრდება. 1892 საანგარიშო წელს გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხი როგორც ქალაქის, ისე სოფლის მამულებზე გაიცა 4 267450 მან ოდენობით.6 ასეთი დიდი ოდე-

2 საქართველოს ცსია, ფონ. 394, საქ. 9655, ფურ. 1,2

3 ცსიალ, ფონ. 583, აღწ.2, საქ. 1178, ფურ. 1,2

4 ცსიალ, ფონ. 583, აღწ.2, საქ. 1178, ფურ. 3,4,5

5 საქართველოს ცსია, ფონ. 394, საქ. 325, ფურ 1

6 საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა,

ნობის სესხის გაცემა შესაძლებელი გახდა კრედიტის გაიაფებით, რაც გამოწვეული იყო შესაძლებლობით, სესხი გაეცათ ნაცვლად 6%-ისა 5%-იანი გირავნობის ფურცლებით, პროცენტის შემცირებით, რასაც იხდიდნენ მსესხებელი ბანკის მმართველობისა და სხვა ხარჯებისათვის. 5%-იანი გირავნობის ფურცლების მაღალი კურსით, რომელიც სულ მაღლა იწევდა და წლის დამლევს რამდენადმე კიდევაც გადააჭარბა მის ნომინალურ ღირებულებას ბირჟის კარგი მდგომარეობით, რაც კეთილსასურველად მოქმედებდა 5%-იანი გირავნობის ფურცლების სწრაფ რეალიზაციაზე, რაც შესაძლებლობას იძლეოდა, ბანკს შეუყოვნებლად დაეკმაყოფილებინა მსესხებლები ნაღდი ფულით.

თბილისის გარდა ბანკი სესხს აძლევდა ბაქოს და ბათუმს. 1890 წელს თბილისში დაარსდა სახელმწიფო სათავადაზნაურო ბანკის განყოფილება, რომლის მოქმედების სფეროში მხოლოდ სოფლის მამულები შედიოდა. ამავე დროს, იგი უფრო იაფ კრედიტს იძლეოდა, ვიდრე თბილისის საადგილმამულო ბანკი. ქართველმა თავადაზნაურობამ არ დააყოვნა ამ ბანკში დაეგირავებინა მამულები. 1890 წლიდან 1900 წლამდე სახელმწიფო სათავადაზნაურო ბანკში თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მიერ დაგირავებული იქნა 362 მამული, 5 265600 მან.[7] თბილისის საადგილმამულო ბანკს 1890 წლიდან ძლიერი კონკურენტი გაუჩნდა სახელმწიფო სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის სახით.

მიუხედავად ამისა, თბილისის საადგილმამულო ბანკი წარმატებით აწარმოებდა სასესხო ოპერაციებს სოფლად გრძელვადიანი კრედიტის მიწოდების საქმეში. 1893 წლიდან 1901 წლის 1 იანვრამდე გაცემული 4 170 850 მანეთისა.[8]

თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობა არ კმაყოფილდებოდა საბანკო კრედიტით, იგი კერძო პირებთანაც აგირავებდა თავის მამულებს. სოფლად კრედიტი შედიოდა სხვადასხვა გზით და ყველა ისინი ერთად უზარმაზარ ვალად აწვა სოფლის მამულებს, რაც მემამულური მიწათმფლობელობის რღვევას იწვევდა.

თავადაზნაურობა დიდ მოთხოვნას აყენებდა მოკლევადიან სესხზე. ეს იმით აიხსნებოდა, რომ მოკლევადიანი სესხი ნაღდი ფულის სახით გაიცემოდა. ამასთან, უფრო ნაკლებ სარგებელს იხდიდნენ, ვიდრე გრძელვადიან სესხში მოკლევადიანი სესხი გაიცემოდა ვენახის, ბაღების, სხვა კულტურულ მეურნეობათა გირაოდ, რომელიც უნდა დაებრუნებინათ 3 წლის განმავლობაში. 1875 წლიდან 1903 წლამდე, სულ გაცემულ იქნა მოკლევადიანი სესხი 4 717092 მანეთის 9 ოდენობით. თბილისის საადგილმამულო ბანკის დამახასიათებელი ნიშანი ის იყო, რომ მან სოფლის მამულებზე გაცილები|თ ნაკლები სესხი გასცა, ვიდრე ქალაქის მამულებზე. ეს უმთავრესად იმით აიხსნებოდა, რომ სოფლის მამულების უმეტესი რაოდენობა გაუმიჯნავი იყო და იგი არა მარტო კრედიტისათვის, არამედ არავითარი დადებითი გარიგების საგანი არ შეიძლებოდა ყოფილიყო.

ქალაქის მამულებზე თბილისის საადგილმამულო ბანკს 1887 გაცემული ჰქონდა 3 445 600 მან სესხი. ათი წლის შემდეგ, ე.ი. 1896 წლის 1 იანვრისათვის გაცემული ჰქონდა 12 514 238 მანეთის გრძელვადიანი სესხი, ე.ი. ათი წლის განმავლობაში თითქმის ერთი-ოთხად გაიზარდა.[10] შემდეგ კიდევ უფრო იზრდება გრძელვადიანი სესხის გაცემა ქალაქის მამულებზე *იხ.ცხრილი 1). თბილისის ბანკს განსაკუთრებული ფართო სასესხო ოპერაციები გაუწევია 1900-1904 წლებში, როდესაც გასცა 3 241 სესხი 28 701 მანეთის ოდენობით. მაშინ, როცა წინა 25 წლის განამვლობაში გაუცია 6747 სესხი 40 142 664 მანეთის რაოდენობით.[11] აღსანიშნავია ისიც, რომ ქალაქის მამულებზე გაცემული სესხის დიდი რაოდენობა მოდიოდა თბილისზე და ბაქოზე.

ფინანსთა სამინისტროს რევიზიის შედეგებიდან ჩანს, რომ თბილისის ბანკს, მოქმედების დაწყებიდან 1895 წლამდე, დარჩენილი ჰქონია 117 მამული, რომლისგან უნახავს ზარალი 545 911 მანეთი. აქედან სოფლის მამულზე უზარალნია 65 672 მანეთი. როგორც მონაცემებიდან ჩანს, უმეტესი წილი ზარალისა ქალაქის მამულებზე მოდიოდა.

90-იანი წლებიდან თავადაზნაურობა აღებული სესხის გადახდისუნარიანობას ვერ იჩენდა და მამულების მნიშვნელოვანი რაოდენობა საჯარო ვაჭრობით იყიდებოდა, როგორც ილია ჭავჭავაძე წერდა: ,,კრედიტი — ორპირი მახვილია, ეგ იმაზედ არის დამოკიდებული, კრედიტს ვინ როგორ იმსახურებს, ვინ როგორ გამოიყენებს. თუ კაცი კრედიტს წარმოების გასაძლიერებლად არ მოიხმარებს, იგი კაცის დამღუპველია. ის კრედიტი კი, რომელიც იხმარება წარმოების გასაძლიერებლად, ერთი იმისთნა ეკონომიური ძალთაგანია, ერთი იმისთანა წყაროა საზოგადო სიმდიდრისა, ურომლისოდაც კეთილდღეობა საზოგადეობისა ძნელად იგულისხმება".[12]

თბილისის საადგილმამულო ბანკში დაგირავებული მამულების საჯარო ვაჭრობითჩგაყიდვა ვალის გადაუხდელობისათვის 1875-1905 წ.წ.

4241/5

7 საქართველოს ცსია, ფონ. 414 აღწ. 2, , საქ. 3, ფურ 33.

8 საქართველოს ცსია, ფონ. 394, საქ. 325, ფურ 25.

9 საქართველოს ცსია, ფონ. 394, აღწ.1, საქ.10074.ფურ8.

10 საქართველოს ცსია, ფონ. 394, საქ.აღწ. 1, 1448, ფურ 19

11 საქართველოს ცსია, ფონ. 394, აღწ.1, საქ.1440, ფურ 37.

12 ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 7, თბ., 1956, გვ. 328

თბილისის საადგილმამულო ბანკს ზარალი მოსდიოდა არა მარტო ბანკზე დარჩენილი მამულებისაგან, რომელსაც შემდეგ ფარავდა მოგებიდან, რითაც მცირდებოდა მოგების ის ნაწილი, რომელიც საზოგადოებრივი საჭიროებისთვის უნდა გადადებულიყო, არამედ, აგრეთვე, ბანკის მმართველობის ზოგიერთი წევრის დანაშაულებრივი ქმედებით, თბილისის საადგილმამულო ბანკის კრებებზე დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ,,ბაქოს სააგენტოს საქმემ". ეს საქმე შემდეგში მდგომარეობდა: გამგეობის წევრმა პავლე ყიფიანმა, სააგენტოს მმართველმა 25 856 მანეთი ბანკის ფული მიითვისა და საზღვარგარეთ მიიმალა. ბოროტმოქმედება ყვალგან შესაძლებელია და ამიტომ ამგვარი გარემოება ჩვეულებრივ მიმართებას იღებს ხოლმე, მაგრამ თბილისის ბანკს განსაკუთრებული ხასიათი ჰქონდა, რომელიც განსაკუთრებულ ამბად ხდიდა მასში მომხდარ ბოროტებას.

1896 წლისათვის რუსეთის იმპერიაში გრძელვადიანი სესხის 36 დაწესებულება იყო. ამ რიცხვში ჩართულია ქალაქის საკრედიტო საზოგადოებანი და ქუთაისისა და თბილისის საადგილმამულო ბანკები. ყველაამ დაწესებულებას 1896 წლისათვის გამოშვებული ჰქონდა გირავნობის ფურცლები 1 628 მილიონი მანეთის.13 ეს იმას ნიშნავდა, რომ 1896 წლისათვის რუსეთის მიწათმფლობელობას და ქალაქების მამულებს უზარმაზარი ვალი ედო — ერთი მილიარდ ექვსასი მილიონი მანეთის ოდენობის. ე.ი. თავისუფალი ფულის, ანუ მოძრავი ქონების პატრონებმა რომელთაც თავიანთი ფულის სარგებლით, კუპონების კრეჭით ცხოვრება ისურვეს, თავიანთი ფული, მილიარდ ექვსასი მილიონი მანეთი ასესხეს იმათ, ვისაც უძრავი ქონება ჰქონდათ და ფული კი სჭირდებოდათ.

დასკვნა

გირავნობის ფურცლების ფასის რხევა ბირჟაზე, ისევე, როგორც სხვა ფასიანი ქაღალდების კურსის რხევა, დამოკიდებულია მიწოდების და მოთხოვნის ფარდობაზე. სამრეწველო აღმავლობის დროს მათი ფასი მკვეთრად მაღლდება, კრიზისის დროს კი ეცემა. გირავნობის ფურცლების ფასების დაცემას იწვევდა არა მარტო ეკონომიური, არამედ პოლიტიკური შერყეობებიც.

80-ან წლებში რუსეთში ადგილი ჰქონდა მძლავრ ეკონომიკურ რყევებს, რასაც არ შეიძლებოდა უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა გირავნობის ფურცლების ფასების რხევებზე. ამ პერიოდში თბილისის საადგილმამულო ბანკის საკრედიტო ფინანსური მდგომარეობის დაქვეითების მთავარი მიზეზი იყო საყოფაცხოვრებო კრიზისი, საქმეთა საყოველთაო შეყოვნება, კომერციული და სავაჭრო ბრუნვათა საყოველთაო გაღარიბება, ფულის ბაზრის გაღარიბება, რაც არყევდა ხალხის ნდობას ბანკებისა და მისი ოპერაციებისადმი.

90-იანი წლების დასაწყისში რუსეთის ბაზარზე აღინიშნა თავისუფალი კაპიტალის სიუხვე, რამაც გამოიწვია კრედიტის გაიაფება. სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებებმა კრედიტის გაიაფების მიზნით სახელმწიფო პროცენტიანი ქაღალდების კონვენსია მოახდინეს, ყოველივე ამის შედეგად, კერძო ბინების გირავნობის ფურცლებზე გაიზარდა მოთხოვნილება, რადგან კერძო ბანკები ფულის პატრონებს უხდიდნენ 5-6% სარგებელს წინააღმდეგ 4% სარგებლისა, რომელსაც იხდიდა სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებები. ასეთ ვითარებაში არ შეიძლებოდა საადგილმამულო ბანკებს არ დაესვათ საკითხი კრედიტის გაიაფების შესახებ. თბილისის საადგილმამულო ბანკის საგანგებო კრების შუამდგომლობა კონვერსიის თაობაზე, ფინანსთა სამინისტრომ დააკმაყოფილა.

13 ჟურ. ,,მოამბე", 1896, გნ. 5

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ცსია, ფონდი 214, საქ. 3366, ფურც. 14
2. საქართველოს ცსია, ფონ. 394. აღწ 1, საქ 1448. ფურ. 6
3. ცისაღ. ფონ 583, აღწ. 2, საქ. 1180, ფურ. 17
4. გაზ. ,,დროება", 1874, №434
5. გაზ. "ივერია" 1887, № 39
6. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, 4241/5
7. კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, თბ., 1949, გვ. 494
8. ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 7, თბ., 1956, გვ. 328
9. აკაკი ბაქრაძე, ილია ჭავჭავაძე, თბ., 1984, გვ. 129-131.
10. ჟურ. ,,მოამბე", 1896, გნ. 5

საბანკო რისკების შეფასების მოდელები

***ცაავა გიორგი**, სტუ-ს პროფესორი,*
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი
***თეა ჰასრათოვი**, სტუ-ს დოქტორანტი*

რეზიუმე

სტატიაში განხილულიასაბანკო რისკ-მენეჯ-მენტის სფეროში საბანკო რისკების მართვის სისტემის მოდერნიზაციის დიაგონალური სისტემა და საკრედიტო რისკების შეფასების ცნობილი მოდელები, როგორებიცაა: ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესირის ე. ალტმანის მოდელი; ამერიკელი მეცნიერის რ. ჩესერის მოდელი; საფრანგეთის ბანკის მიერ შემუშავებული მოდელი; ამერიკელი მეცნიერის უ. ბივერის მოდელი; რუსი მეცნიერის ს.ნ. ბაბუშკინის მიერ შეთავაზებული საწარმოს საკრედიტო რეიტინგის შეფასების მეთოდიკა; ამერიკელი ეკონომისტის დ. დიურინის ფიზიკური პირიებს კრედიტუნარიანობის შეფასების სკორინგული მეთიდი. აღნიშნულია, რომ საბანკო საქმიანობის სპეციფიკის ძალისხმევით საბანკო მენეჯმენტში წინა პლანზე, ბანკისათვის საკუთარი დანაზოგების მიმნდობი კლიენტების ინტერესების დაცვისა და თვით ბანკის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, რისკების ეფექტიანი მართვის საკითხებია წამოწეული. შესწავლილია, რომ რისკის მართვის პროცესი ბანკში განსაკუთრებული სისტემაა და მისი საქმიანობის მაღალი რენტაბელობის უზრუნველყოფა, სარისკო გარემოებების დადგომის გაფრთხილება, საბანკო ოპერაციების განხორციელება რისკის თავიდან აცილებისადმი ღონისძიებების გატარების შესაძლებლობას ითვალისწინებს.

საკვანძო სიტყვები: რისკ-მენეჯმენტი; ინვესტიციის ლიკვიდობის რისკი; რისკიანი საწარმო; რისკიანი პორტფელი; რისკისა და შემოსავლიანობის თანაფარდობა.

Valuation models and banking risksthe modernization process in the system of its management

Summary

Study of the known methodologies for assessing credit risks, such as: Model proffesoru Niu-Iorkskogo University E. Altman; R.Chessera model of American Scientists; model developed by the French Central Bank; model American scientist W. Beaver; assessment methodology the credit rating of the company proposed by Russian scientist S. Babushkin; scoring method for assessing the creditworthiness of an individual proposed by American economist J. Dyurina. The banking risk management is able to respond adequately to increase the risk of losses by improving the existing management system, as well as the introduction of fundamentally new forms of banking risk management system .

Keywords: Risk-management;Investment liguidity risk; Venture company; Risk portfolio; risk / return rate off.

შესავალი

საბანკო რისკების მართვის ეფექტიანი სისტემის ფორმირება (სრმს) და მისი სტრატეგიული მოდერნიზაცია გლობალიზაციისა და ფინანსური კრიზისის პირობებში ქვეყნის საბანკო სისტემის ევოლუციის კანონზომიერ ეტაპს წარმოადგენს. აღნიშნული პროცესი ქვეყნის საბანკო სექტორისა და ცალცალკე თითოეული ბანკის განვითარების საერთო სტრატეგიის განუყოფელი შემადგენელი ნაწილის სახით უნდა იქნეს განხილული.

მოცემულ სტატიაში მართვის სისტემის ორგანიზაციის საფუძვლებისა და მისი უწყვეტად მოდერნიზაციის საჭიროების მომცველი მეცნიერულ-თეორიული დებულებების საბანკო პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობა და მოზანშეწონილებაა განხილული. საბანკო რისკების მართვის სფეროში სამამულო ბანკების განვითარების ახალ ეტაპზე მათი სტრუქტურული და ფუნქციონალური სპეციფიკის გათვალისწინებით ასეთი მუშაობის თეორიული დასაბუთება და პრაქტიკული განხორციელება ევოლუციური, პროგრამულ-მიზნობრივი, მრავალდონიან და სარესურსო-ფაქტორულ მიდგომებს, სტრატეგიული მართვის, დაგეგმვის, რისკ-მენეჯმენტის თეორიების შეთანხმებულ გამოყენებას მოითხოვს.

ძირითადი ტექსტი

საბანკო რისკების მართვის სისტემაში საერთო ეკონომიკურ კანონებზე დაფუძნებული მოდერნიზაციის პროცესი, სისტემაში საბანკო რისკების მართვის მექანიზმის ელემენტების შეტანით უნდა იქნეს შევსებული. იგი მოიცავს არსებული ვერტიკალურ-ჰორიზონტალური სისტემის გარდაქმნას ბანკების საქმიანობის რისკების მართვისადმი მაქსიმალურად ადაპტირებულ დიაგონალურ სისტემაში, რაც კომპლექსში ბანკებისა და მათი კლიენტების დანაკარგების რისკისაგან დაცულობას ამაღლებს .

ის, რომ საბანკო რისკები ეფექტურად უნდა იქნეს მართული, თეორეტიკოს- ეკონომისტებისა (გრანატუროვი, 2002; კორობოვა, 2005; ლავრუშინი, 2008; სევრუკი, 2007) და ბანკირები-პრაქტიკოსების (კანაევი, 2007; კისელევი, 2007; მოშენსკი, 2008; ტოსუნიანი, 2002) მხრიდან დიდი ხნის წინ გახდა ამაღლებული ყურადღების საგანი. საბანკო რისკების მართვა - სპეციფიკური საქმიანობაა, რომელიც საბანკო ოპერაციების მრავალასპექტობასთან, ასევე თითოეული ცალკე ბანკის ინდივიდუალობასთან და მის კორპორაციულ კულტურასთან არის დაკავშირებული (გუკოვა, 2008; რიკოვა, 2007; პრონსკაია, 2010), (1 - 6).

რისკების მართვა მთლიანად საბანკო საქმიანობის ერთიან კომპლექსში მჭიდროდაა ჩაწვნილი. ბანკის როგორც რთული ორგანიზმის ყველა კომპონენტები მისი მთავარი მიზნის - მაქსიმალური მოგების მიღების მიღწევაზეა დაქვემდებარებული, რის ხარჯზეც ბანკის ღირებულების, მისი აქციების, რეიტინგის, ფინანსური მდგრადობის ზრდის უზრუნველყოფა ხორციელდება. თუმცა აღნიშნული მიზანი შეიძლებაიმ პირობებშიც იქნეს მიღწეული, რომ ბანკში ადგილი აქვს:

- რისკის პროგნოზირებას, ანუ შესაძლო ზარალის, დანაკარგების, კრიზისული სიტუაციების, რისკის მატერიალიზაციის ალბათობისა და მოსალოდნელი დანაკარგების მათი რაოდენობრივ გამოსახულებაში მოცულობის შესაძლო წყაროების განსაზღვრას ან გამოვლენას;
- რისკების მინიმიზაციის, მათი გაფრთხილების, ნეიტრალიზაციისათვის ღონისძლებების ფართე კომპლექსის განხორციელებას;
- შედეგიანი შიდა კონტროლის არსებობას, რომელიც ბანკის კორპორაციული კულტურის რაბგსია აყვანილი;
- ბანკის უმაღლესი ხელმღვანელებისა და რიგითი თანამშრომლების დაინტრერსება, ვალდებულება და პასუხისმგებლობა ყოველდღიურ საბანკო პრაქტიკაში რისკების მართვის ქმედითი მექანიზმების დამუშავებასა და დანერგვაში.

საბანკო რისკების მართვის სისტემა (სრმს) რიგორც სისტემა რისკ-მენეჯმენტის სფეროში ბანკის მიერ მიზნის მიღწევის სტრატეგიაზე და ტაქტიკაზე უნდა იქნეს დაფუძნებული. ბანკის სტრატეგია რისკების მართვისას შეიძლება წარმოდგენილი იქნეს როგორც ბანკის მთავარი მიზნის მიღწევაზე ძალისხმების კონცენტრაცია, მაგრამ უფრო კონკრეტული მიზნის მეშვეობით, რომელიც საშუალებებისა და მეთოდების გამოყენებაში მდგომარეობს. ამასთან ტაქტიკა თავისთავად კონკრეტულ სიტუაციებში ბანკის თანამშრომლების პრაქტიკულ ქმედებებს, ბანკის ხელმძღვანელობის მიერ საბანკო ოპერაციების განხორციელებასთან მიმართებაში ოპტიმალური გადფაწყვეტილებების არჩევას და რეალიზაციას უნდა წარმოადგენდეს, რომლებშიც რისკის ელემენტი არსებობს.

საბანკო რისკების მართვის სისტემაში (სრმს) მართვის ობიექტად გამოდიან ბანკსა როგორც კრედიტორს და მსესხებელს (არსებული რესურსების განთავსების სფერო) შორის ბანკის მიერ კაპიტალის დაბანდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, აგრეთვე ბანკსა და ინვესტორს შორის (ბანკის მიერ რესურსების აკუმუაცია) ეკონომიკური ურთიერთობები.მართვის სუბიექტს წარმოადგენს ბანკის უმაღლესი ხელმძღვანელობა და სპეციალისტების ჯგუფი, რომლებიც საკუთარი ქმედებებით მართვის ობიექტის ფუნქციონირებას ახორციელებენ.

ჩვენ მიგვაჩნია შესაძლებლად ვამტკიცოთ, რომ მმართველობითი გადაწყვეტილება თავისთავსი საბანკო ოპერაციის განხორციელების წინმსწრებად ჩატარებული კვლევის ეტაპებზე ინტეგრაციული ჯამის ფოკუსირებას ახორციელებს, ამიტომ მენეჯერის ვალდებულებებში უნდა შედიოდეს ისეთი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის მოძიება, რომლის დროსაც ბანკი რისკის მინიმალური დონისას მაქსიმალურ შემოსავალს მიიღებს.

დასკვნა

საბანკო რისკების მართვის ორგანიზაციაში აღნიშნული პრობლემები და საბანკო რისკების მართვის დიაგონალური სისტემის (სრმს) მოდერნიზაციისა და შექმნის გზით მათი გადაწყვეტის შეთავაზებული ხერხები შემდეგი სახის დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა:

1. შესწავლილია საბანკო საკრედიტო რისკების შეფასების ცნობილი მეთოდოლოგიები, როგორებიცაა: ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესირისე. ალტმანის მოდელი; ამერიკელი მეცნიერის რ. ჩესერის მოდელი; საფრანგეთის ბანკის მიერ შემუშავებული მოდელი; ამერიკელი მეცნიერის უ. ბივერის მოდელი; რუსი მეცნიერის ს.ნ. ბაბუშკინის მიერ შეთავაზებული საწარმოს საკრედიტო რეიტინგის შეფასების მეთოდიკა; ამერიკელი ეკონომისტის დ. დიურანის ფიზიკური პირის კრედიტუნარიანობის შეფასების სკოროინგული მეთოდი.
2. საბანკო რისკ-მენეჯმენტს მართვის არსებული სისტემის სრულყოფას, ასევე საბანკო რისკების მართვის სისტემის (სრმს) პრინციპულად ახალი ფორმების დანერგვას,მომძლავრებულ რისკებზე ადექვატურირეაგირებაშეუძლია და შეთავაზებულიარისკის რეგულირების პრიორიტეტული მეთოდები, როგორებიცაა: ზარალის გადაფარვაზე რეზერვების შექმნა; საკუთარი კაპიტალის გაზრდა დანაკარგების გადაფარვის შემთხვევისათვის; რისკის დონის გათვალისწინებით მარჟის სხვადასხვა ტიპების სკალების გამოყენება და სხვები.
3. საბანკო რისკების მართვის სისტემის (სრმს) მოდერნიზაციის პროცესში,ბანკის საქმიანობის ვერტიკალური რეგულირებისა და ჰორიზონტალური თვითორგანიზაციის შეხამების მეშვეობით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Воронин Ю.М. – Управление банковскими рисками. – Москва, 2007.
2. Гукова А.В., Вишенин Д.А.– Финансовые аспекты формирования инвестиционного капитала предприятия // Финансы и кредит, 2008, № 8.
   – С. 43 – 46.
3. ცაავა გ. - ბანკის მსესხებელი იურიდიული პირის კრედიტუნარიანობისა და საბანკო საკრედიტო რისკის შეფასების მეთოდოლოგია. - თბილისი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეთოდურ-პრაქტიკული ჟურნალი „გადასახადები“, ოქტომბერი №20, 2005. - გვ. 8 — 31.
4. ცაავა გ., აბრამია თ., ცაავა დ. - რისკოლოგია - ფინანსური და საბანკო საკრედიტო რისკების მენეჯმენტი, სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა „აფხ. მეცნ. აკადემია“ 2007. — 567 გვ.

ბიზნეს-ინჟინერინგი ტურიზმში

მსოფლიო ტურიზმის განვითარების ტენდენციები

***ნანი მამფორია**, ასოც. პროფესორი*
***ნინო ლეთანძე**, დოქტორანტი*

რეზიუმე

მეოცე საუკუნის ბოლოს, სისტემაში – ,,საზოგადოება-ბუნებრივი გარემო", მოხდა გარდატეხა და ბუნებათმოსარგებლეთა ორიენტაცია შეცვალა საქმიანობის ისეთმა სფერომ, რომელიც არ უკავშირდება ბუნებრივი რესურსების მოპოვებას და გადამუშავებას. ერთ-ერთ ასეთ სფეროს წარმოადგენს ტურიზმი. ამ საქმიანობის განხორციელება ნიშნავს, რომ ბუნებრივი გარემოს გამოყენების სტრატეგია ეფუძნება ბუნებისა და საზოგადოების მოწესრიგებულ ურთიერთობებს და ლანდშაფტზე ნებისმიერი მიზანმიმართული ზემოქმედების შედეგების პროგნოზირებას.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, საერთაშორისო ტურიზმი, დღევანდელი მსოფლიო, ორგანიზაცია, ეკონომიკური განვითარება, პროცენტული მაჩვენებელი.

Summary

At the end of the twentieth century, society and natural environment ,, system "was a turning point and the orientation of human activities in such areas, which is not related to natural resource extraction and processing. One of the areas of tourism. These activities mean that the strategy is based on the nature and use of the natural environment and landscape of relationships regulated by any meaningful impact prediction.

Keywords: tourism, international tourism, today's world, organization, economic development, the percentage.

* * * * *

ტურისტული საქმიანობის განვითარება ნიშნავს, რომ თანამედროვე პირობებში საზოგადოების ცხოვრების რიტმის ზრდამ აქტუალური გახადა ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის პრობლემის მხარდაჭერა. მოცემული პრობლემა თავს იჩენს ყველგან და მისი გადაჭრა დამოკიდებულია მრავალრიცხოვან ფაქტორებზე, რომლებიც ზემოქმედებენ განსხვავებული საზოგადოებრივი სტრუქტურის რეგულირების მექანიზმზე.

ტურიზმი წარმოადგენს ეკონომიკის ერთ-ერთ საინტერესო და დინამიურად განვითარებად დარგს.

ტურიზმის განვითარებამ, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე, აუცილებელი გახადა განისაზღვროს ტურიზმის ცნება, მისი როლი მსოფლიო მეურნეობაში და ცალკეული ქვეყნების ეკონომიკაში, გამოვლინდეს ტურიზმის განვითარების ტენდენციები და კანონზომიერებები.

სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები შეეცადნენ ტურიზმის ზუსტი დახასიათების დადგენას. ეკონომიკურ მეცნიერებაში გაჩნდა ისეთი ცნებები, როგორიცაა ,,ტურიზმი", ,,ტურიზმის ინდუსტრია", ,,საერთაშორისო ტურიზმი", ,,მსოფლიო ტურიზმი", ,,ტურისტული ბაზრის აგენტები" და ა. შ. ამ კატეგორიათა განსაზღვრება ხშირად იდენტურია, რამეთუ განსხვავება მდგომარეობს ცალკეული ქვეყნების ტურიზმის სპეციფიკაში. სხვათაშორის, ტურისტული ტერმინების სწორი ინტერპრეტაცია მნიშვნელოვანია ტურიზმში მიმდინარე პროცესების გარკვევისთვის.

,,ხშირად ტურიზმი ითვლებოდა ტრანსპორტით გადაზიდვების ან ვაჭრობის ნაწილად. მხოლოდ 1937 წელს, ეროვნული ლიგის საბჭომ, შემოიტანა ,,საერთაშორისო ტურიზმის" ცნება, რომელიც გულისხმობდა პიროვნებას შემდეგი მახასიათებლებით: გადაადგილება, განსაზღვრული ადგილის მონახულება შრომისა და შრომითი გამომუშავების გარეშე. ამის საფუძველზე ჩამოყალიბდა სპეციფიკური ტურისტული ტერმინოლოგია.

მიუხედავად იმისა, რომ ვ. ხუნციკერისა და კ. კრაპფის ,,ტურიზმის გენერალური თეორია" იძლევა ტურიზმის სავსებით ამომწურავ განმარტებას: ,,ურთიერთობებისა და მოვლენების ერთობლიობა, რომელიც წარმოდგენილია, როგორც რეზულტატი ადამიანების გადაადგილების და საცხოვრებელი ადგილის გარეთ ყოფნის, მანამდე, სანამ იქ მიიღებენ მუდმივ საცხოვრებელს და შემოსავალს", გრძელდება განმარტების ოპტიმალური ვარიანტის ძიება.

თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერება ტურიზმს განიხილავს, როგორც რთულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას. ,,ტურიზმი განიხილება, როგორც დიდი ეკონომიკური სისტემა ცალკეული ქვეყნების სახალხო მეურნეობის ელ-

ემენტებს შორის მრავალფეროვანი კავშირებით, ასევე, ეროვნული ეკონომიკის მსოფლიო ეკონომიკასთან კავშირით." (ვ. ი. აზარი).

მრავალი ქვეყნის ტურიზმის კანონის მიხედვით - ტურიზმი წარმოადგენს სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტულ დარგს. პრიორიტეტის წყაროს წარმოადგენს არა იმდენად დარგის პოტენციურად მაღალი შემოსავლიანობა რეგიონული და ფედერალური ბიუჯეტებისათვის, არამედ თავად საქმიანობის არსი, რომელიც მიმართულია დასვენების, როგორც მოქალაქეების კონსტიტუციური უფლების უზრუნველყოფისათვის, როგორც შვებულების შედეგიანად გამოყენების საშუალება; ერის გაჯანსაღებისა და ტურიზმის გზით მოსახლეობის დეპოპულაციის პროცესების შეწყვეტის საშუალება.

გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) გაკეთებული პროგნოზის მიხედვით (Tourism 2021 Vision), დადგენილია, XXI საუკუნის ტურიზმის სახეების ყველაზე პერსპექტიული მიმართულებები. მასზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2020 წლისათვის, ტურიზმის ერთ-ერთი პოპულარული სახე იქნება ეკოლოგიური ტურიზმი. მისი მიზანია ადამიანის სულიერი და ფიზიკური ძალების აღდგენა ბუნებრივ გარემოში დასვენების დროს და ბუნებასთან ურთიერთობის კულტურის ამაღლება, ბუნებრივ გარემოში ქცევის ეთიკური ნორმების გამომუშავება. ასევე, პროგნოზებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ პრიორიტეტული მიმართულებები გახდება: საკრუიზო, კულტურულ-შემეცნებითი, საკონგრესო, საკონფერენციო, საქმიანი და სათავგადასავლო ტურიზმი.

თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო ტურიზმი უდიდეს როლს ასრულებს მსოფლიო ეკონომიკაში, მისი განვითარების დინამიკისა და ტენდენციების განსაზღვრაში.

XXI საუკუნის ტურიზმი არის თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი უმსხვილესი, მაღალშემოსავლიანი და ერთ-ერთი ყველაზე დინამიურად განვითარებადი დარგი.

XXI საუკუნის პირველ ათწლეულში, მაშინ, როდესაც 2008-2009 წწ. მწვავე ეკონომიკურმა კრიზისმა გადაუარა მსოფლიოს, 2014 წლის დასასრულისათვის მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის 2015 წლის მაისის მონაცემებით დაფიქსირდა 1133 მილიონი საერთაშორისო ტურისტი, რაც 4,2%-ით მეტია 2013 წლის მაჩვენებლებზე. ტურიზმიდან შემოსული შემოსავლები შესაბამისად გაიზარდა 5,7%-ით (1197 მილიარდი აშშ დოლარი 2013 წელს. 1245 მილიარდი აშშ დოლარი 2014 წ.).

საერთაშორისო ტურისტთა 53%-ის (600,4 მილიონი) მოგზაურობის მიზანია დასვენება - შვებულება, 27%-ის მეგობრებისა და ახლობლების მონახულება, 4%-ის მიზანია ბიზნეს-ურთიერთობები, ხოლო 6%-ის მიზანი უცნობია. ნახევარზე მეტი ტურისტი მოგზაურობს საჰაერო ტრანსპორტით -54%, 39%- ავტოტრანსპორტით და 7%-რკინიგზით, ხოლო 5% ანიჭებს უპირატესობას წყლის ტრანსპორტს.

ევროპა - დღევანდელი მსოფლიო ტურიზმის ლიდერია. 2014 წლისათვის ევროპის ხვედრითი წილი შეადგენს 51,4%. რეგიონში ტურისტების შემოსვლა და აქედან მიღებული შემოსავლები 2014 წლის ბოლო კვარტალში გაიზარდა. ტურისტების შემოსვლა წლის განმავლობაში დაფიქსირდა - 581,8 მილიონი, ხოლო მათგან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა - 508,9 მილიარდი აშშ დოლარი. (მაშინ, როცა 2013 წელს ევროპაში შემოვიდა 566 მილიონი ტურისტი და შემოსავალმა შეადგინა 491 მილიარდი აშშ დოლარი).

2014 წლის მონაცემებით, აზიაწყნარი ოკეანის რეგიონში შეინიშნება საერთაშორისო ტურისტული ნაკადების გაზრდა (263,3 მილიონი ტურისტი 2014 წელს, 249,8 მილიონი - 2013წელს). 2014 წელს ზრდა დაფიქსრდა 5,4%-ით.

ამერიკა. (ჩრდილოეთი, სამხრეთი, ცენტრალური და კარიბის კუნძულები). 2014 წელს ამ რეგიონს 181 მილიონი ტურისტი სტუმრობდა, რაც მსოფლიო ბაზრის 16% -ს შეადგენს. შემოსავლებმა შესაბამისად შეადგინა 274 მილიარდი აშშ დოლარი. რეგიონში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს აშშ, კარიბი და სამხრეთ ამერიკა.

აფრიკის ხვედრითი წილი მსოფლიო ტურისტულ ბიზნესში დაბალია. აფრიკის უზარმაზარ კონტინენტზე შიდა ტურიზმი საკმაოდ კარგად არის განვითარებული. 2014 წლის მონაცემებით საერთაშორისო ტურისთა რიცხვმა 55,7 მილიონი შეადგინა. ბაზრის წილის წლიური ზრდა 4,9% შეადგენს. ეს აფრიკისთვის ძალზე კარგი მაჩვენებელია.

მიუხედავად ახლო აღმოსავლეთში წლების მანძილზე არსებული და ამჟამად მიმდინარე კონფლიქტებისა (სირია, ისრაელი, პალესტინა), 2013-2014 წლებში ტურისტების შემოსავლების მაჩვენებლები მაღალია. 2014 წელს შუა აღმოსავლეთის რეგიონში შემოსავლები გაიზარდა 49,3 მილიარდამდე. შემოსული იყო 51 მილიონი ტურისტი.

მსოფლიოს 10 წამყვანი საერთაშორისო ტურისტების მიმღები ქვეყნების რეიტინგის შეფასება ხდება ორი მოცემულობის საფუძველზე:

მსოფლიოს პირველი ათეული ქვეყანა შემოსული საერთაშორისო ტურისტების რაოდენობის მიხედვით და საერთაშორისო ტურიზმით მიღებული შემოსავლების მიხედვით.

საერთაშორისო ტურისტების უმრავლესობა თავის რეგიონში მოგზაურობს. ტურისტების დიდი ნაწილი კონცენტრირებულია ევროპის განვითარებულ ქვეყნებში, აგრეთვე ამერიკასა და აზია/წყნარი ოკეანის რეგიონში. მოსახლეობის შემოსავლების ზრდამ და ეკონომიკის სწრაფმა

განვითარებამ მსოფლიოს ისეთ რეგიონებში, როგორიცაა ჩრდილო-აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია, აგრეთვე ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპა, ახლო აღმოსავლეთი და სამხრეთ ამერიკა, გამოიწვია ტურისტთა დიდი ნაკადების გადაადგილება აღნიშნულ რეგიონებში.

აფრიკის რეგიონში ტურიზმის განვითარების ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორი აფრიკული ტურისტული პროდუქტის შედარებით მაღალი ფასებითა და ინფრასტრუქტურისა და მომსახურების შედარებით დაბალი დონით აიხსნება. გარდა ამისა, გარკვეულად უარყოფით როლს თამაშობს ზოგიერთი რეგიონის არასტაბილურობა. აფრიკის ტურიზმის ძირითადი წილი მის ჩრდილოეთ ნაწილზე მოდის.

საერთაშორისო ტურიზმზე გაწეული ხარჯების მიხედვით 2014 წლის მაჩვენებლებით ჩინეთმა გაასწრო აშშ-ს, საფრანგეთს, გერმანიას.

საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაცია ემყარება რა ბოლო წლების ტურიზმის განვითარების ტენდენციებს, გვთავაზობს ტურიზმის განვითარების შორს მიმავალ პერსპექტიულ გეგმას 2020 წლისათვის, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ აღმოსავლეთ აზია/წყნარი ოკეანის რეგიონი, სამხრეთ აზია, ახლო აღმოსავლეთი და აფრიკის რეგიონი უზრუნველყოფს საერთაშორისო ტურისტული ნაკადების ყოველწლიური ზრდის დინამიკას 5%-ით, მაშინ, როცა მსოფლიოში საშუალოდ ყოველწლიური მოსალოდნელი ზრდის ტემპი სავარაუდოდ 4,1% იქნება. ევროპისა და ამერიკის მაჩვენებლები უფრო მოკრძალებულად გამოიყურება. ევროპაში შემოსული საერთაშორისო ტურისტთა პროცენტული მაჩვენებელი უდიდესი იქნება მსოფლიოში, თუმცა საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციის პროგნოზით, 1995 წლის (60%) მაჩვენებელი შემცირდება 46%-მდე. საერთაშორისო ტურისტების მიმღები რეგიონები 2020 წლისთვის ასე განაწილდება: ევროპა (717), აღმოსავლეთ აზია/წყნარი ოკეანის რეგიონი (397), ამერიკა (282). შემდეგ კი აფრიკა, ახლო აღმოსავლეთი და სამხრეთ აზია.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის 2015 წლის საერთაშორისო ტურიზმის სტატისტიკური მონაცემები ტურისტული რეგიონების მიხედვით ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორი ტემპით ვითარდება აღნიშნული დარგი XX1 საუკუნის პირველ ათწლეულში, რამდენად სერიოზულია ტურიზმის როლი მსოფლიოს თითოეული რეგიონისა და ქვეყნის შემოსავლების ფორმირებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Белоногов А. Г. Формирование системы обеспечения економической безопасности сферы туризма. Санкт-Петербург. 2010. 25 стр.
2. Биржаков М. Б. Введение в туризм. Издательский дом „Герда”, 2000. – 192 стр.
3. Рлоткина Н. П. Классификационные признаки туристских рисков Дальневосточный федеральный университет, г. Владивосток. 2012.
4. Гергишан А.К. Формирование стратегии безопасности развития дестинации оздоровительного туризма. Санкт-петербург 2011г
5. http://lawtheses.com/pravovoe-obespechenie-bezopasnosti-turizma-po-rossiyskomu-zakonodatelstvu
6. http://www.wttc.org/eng/Tourism_Research/Tourism_Economic_Research/

ფულის ტრიალი რუსთაველის ეპოქის საქართველოში

თეა მაისურაძე, დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია XII საუკუნის ფულის ტრიალის ძირითადი მომენტები და ამისათვის გამოყენებულია რუსთაველის პოემა. უწინარეს ყოვლისა აღნიშნულია, რომ რუსთაველის ეპოქაში საქართველოს გააჩნია ფულის რეგლამენტირებული სისტემა. ფეოდალური სახელმწიფო თვითონ ჭრის ფულს, განსაზღვრავს ლითონს, რომლისგანაც უნდა მოიჭრას ფული, აწესებს ფულის ერთეულს, ფასებს მაშტაბს, განსაზღვრავს წმინდა ლითონისა და ლიგატურის წონას. ყურადღება გამახვილებულია XI საუკუნისა და XII საუკუნის პირველ ნახევრის ფულის ტრიალის ზოგიერთ მოვლებაზე. კერძოდ დეტალურად არის ახსნილი დავით აღმაშენებლის მიერ გატარებული სამონეტო რეფორმა, რომელაც საქართველო ეკონომიკურად ააყვავა.

* * * * * *

ფული არის ღირებულების საყოველთაო ეკვივალენტი ყველა საქონლისათვის. იგი საქონელია, მაგრამ განსაკუთრებული საქონელი, საქონელთა საქონელი, რომელიც გამოიყენება ყველა დანარჩენი საქონლის ღირებულების გასაზომად. ფულის როლში შეიძლება გამოვიდეს ყველაფერი, რასაც ფულის ფუნქციის შესრულება შეუძლია. ამიტომ ფულის არსში გარკვევისათვის გვჭირდება ისეთი ფულის ფუნქციის ცოდნა როგორც არის ფული როგორც მიმოქცევის საშუალება .

პროცესი რომელიც მიმდინარეობს საქონლის ფულად გადაქცევისა და ფულის საქონლად გადაქცევისას, როდესაც ფული მყიდველის ხელიდან გადადის გამყიდველის ხელში და ასე განუწყვეტლად იმყოფება ბრუნვაში, შეიძლება იწოდოს როგორც ფულის მიმოქცევა, ასევე ფულის ბრუნვა. ჩვენ კი ამ პროცესს მოვიხსენიბთ როგორც ფულის ,,ტრიალი". ამით პატივს მივაგებთ გამოჩენილ მეცნიერ ნიკოლოზ ქოიავას და მისი კვლევებზე დაყრდნობით განვიხილავთ ფულის ტრიალს რუსთაველის ეპოქის საქართველოში.

თავდაპირველად უნდა ავღნიშნოთ, რომ ფულს საქართველოში ძველად საფასე ეწოდებოდა, XV ს.-დან — ფლური. ფულს ჭრიდნენ ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის ლითონისგან და შესაბამისად, მოჭრილ მონეტებს სხვადასხვა დასახელება ჰქონდა: ოქრო, ვერცხლი, სპილენძი ან მასალის ფერის მიხედვით: წითელი, თეთრი და შავი. გარდა ამისა, სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელწოდების მონეტებიც არსებობდა. ცნობილი არ არის რუსთაველის ეპოქის დროინდელი არცერთი ქართული ოქროს მონეტა, არც პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება მისი არსებობის შესახებ, უცხოური ოქროს ფულების ამსახველი ტერმინები კი შემონახულია წერილობით ძეგლებში .

ცნობილი მკვლევარი ნიკოლოზ ქოიავა ამახვილებს ყურადღებას შოთა რუსთაველის პოემა ,,ვეფხისტყაოსანზე". რადგანაც ეს უკანასკნელი გამოქვეყნდა XII-XIII საუკუნის მიჯნაზე. ჩვენს ვხვდებით უაღრესად საინტერესო მოვლენებს საქართველოს ფულის ტრიალის დარგში. პოემაში მოხსენიებული ტერმინები საშუალებას გვაძლევს წარმოდგენა შეგვქემნას XII-XIII საუკუნეში საქართველოში არსებული ფულის რეგლამენტირებულ სისტემაზე .

ის ასაბუთებს იმ ფაქტს, რომ არცერთ საკანონმდებლო აქტს, რომელიც ეხებოდა ფულის რეგლამენტაციას ჩვენამდე არ მოუღწევია და სწორედ ამიტომ დაგვრჩა ვიმსჯელოთ მხოლოდ მონეტებისა და წერილობითი ძეგლების შესწავლის საფუძველზე.

ერთ-ერთი უცხოური ოქროს ფულის აღმნიშვნელი ტერმინი "პერპერა" მოხსენიებულია "ვეფხისტყაოსანში":

"უხვად გასცემს საბოძვარსა, საჭურჭლესა ანაკიდსა,

პერპერასა დაფანტულსა ზედა სცვეთდეს, ვითა ხიდსა".

მკვლევარი თ. დონდუა პერპერას ადარებს (დრაჰკანი პერპერა, პერპერატი, პელპელი) ბიზანტიური ოქროს მონეტას ჰიპერპირონს, ჩაღრმავებული ფორმის, რომლის მოჭრაც უკავშირდება ალექსი I კომნენოსის (1081-1118 წწ.) დაახლ. 1082 წლის სამონეტო რეფორმას. ეს ტერმინი უაღრესად გავარვარებულს ნიშნავს და გაწმენდილ ოქროს შეესაბამება, ქართულ წყაროებში — სიგელებში, აღაპებში, ანდერძებში მოიხსენიება XI ს.-ის 80-90-იანი წლების შემდეგ .

ამრიგად სწორედ ეს უკანასკნელი ტრიალებდა მაშინდელ საქართველოში სხვა ფულებთან ერთად, როგორიცაა:

— "ვეფხისტყაოსანში" მოხსენიებული ოქროს ფულის აღმნიშვნელი სხვა ტერმინი- "დრაჰკანი":

"ხარაჯი დასდვეს, შეჰკვეთეს დრაჰკანი ასჯერ ასია";

"შესამოსელი შემოსეს დრაჰკნისა ბევრ-ათასისა".

ბიზანტიური ოქროს ფული დრაჰკანი (მოხდა ოქროს მონეტის ტერმინის ნატურალიზაცია – დარეჰაკან, ე.ი. დარიოსის) საქართველოში შემოვიდა XI ს.-ში, მოქმედებდა XII-XIII ს.ს.-შიც, აღინიშნებოდა ტერმინებით: დრაჰკანი კოსტანტინატი, დრაჰკანი დუკატი, დრაჰკანი ბოტინატი, ბიზანტიის კეისრების სახელების მიხედვით, მოხსენიებულია ქართულ წყაროებში.

რუსთაველის ეპოქის საქართველოში ოქროს ფულს აღნიშნავდნენ სხვა ტერმინითაც — "წითელი". "ვეფხისტყაოსანში" ეს ტერმინი ორჯერაა მოხსენ-

ებული:

"ასიათასი წითელი შენ ქრთამად შეიწირეო";

"სამოცი ლიტრა წითელი აწონით, არ ნაკლულითა".

ქართულ მწერლობაში კი ეს ტერმინი მხოლოდ ერთხელ გვხვდება, ჟამთააღმწერლის თხზულების მიხედვით, ქართველმა მეომრებმა „წითლითა ოქროთა განტენეს უნაგირნი, კურტანნი და ხმლების ქარქაშებიო".

პოემაში ოქროს ფულის დასახელებული ტერმინების გარდა, მოხსენიებულია ოქროც:

"ქრთამი შენ გქონდეს შენია, შენი ოქრო შენვე დაგრჩეს".

ცნობილია, რომ საქართველოში V ს.-დან დავით აღმაშენებლამდე ვერცხლის საფასე — არაბული ვერცხლის დირჰემი ანუ დრამა მოქმედებდა, დავით აღმაშენებელმა კი სპილენძის ნიშნები შემოიღო და მას შემდეგ, თამარ მეფისა და ლაშაგიორგის დროს ვერცხლის საფასე არ მოჭრილა. ამის შესახებ ცნობებს გვაწვდის თ. ლომოური.

რუსთაველის ეპოქაში დრამა ეწოდებოდა სპილენძის წესიერი ჭედის მონეტებს და დრაჰკანთან და პერპერასთან შედარებით მცირე ღირებულების ფულს აღნიშნავდა (წესიერ მონეტას ჰქონდა ერთნაირი წონა და მოყვანილობა, აღებმიცემობის დროს გადიოდა თვლით, არაწესიერი კი - წონით). ერთი დრაჰკანი უდრიდა ათ-თორმეტ დრამას.

"ვეფხისტყაოსანში" ტერმინი დრამა ფულის მნიშვნელობით ხუთჯერ გვხვდება. მათგან სამჯერ ფულის უკნინეს ერთეულს აღნიშნავს:

"ჩემია მკვიდრი მამული, არ მივცემ არცა დრამასა";

"უხვად გასცეს საბოძვარი, მარგალიტი, ვითა დრამა".

XI ს.-დან საქართველოში შემოდის ვერცხლის ფულისთვის ტერმინი თეთრი, მოხსენიებულია სიგელებში და საისტორიო თხზულებებში, მაგრამ "ვეფხისტყაოსანში" ეს ტერმინი არ გვხვდება.

მონეტაზე გამოყვანილი სახეები და ზედწერილები გვაძლევს მრავალ მნიშვნელოვან ცნობას: მონეტის მომჭრელისა და სახელმწიფოს დასახელებას, თარიღებს და ა.შ. ამ მხრივ საყურადღებოა თამარ მეფის დროს უწესოდ მოჭრილი სპილენძის მონეტა, რომელიც მიხ. ბარათაშვილის კოლექციაში შედიოდა. მონეტის შუბლზე გამოსახულია ხუთი ნახევარწრისგან შემდგარ ფიგურიან ჩარჩოში მოთავსებული სამი ასომთავრული ნიშანი "თრდ" (სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით: თამარი—დავითი, თამარ დედოფალი ან თამარ დიდი), წარწერის ზემოთ მომცრო ჯვარია. მონეტის ზურგზე, მთელ არეზე გაბნეულია მსხვილი წერტილები.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული მონეტის ზურგის გამოსახულების სიმბოლიკა გაშიფრული არ არის. საქართველოში სხვადასხვა დროს არსებული არაწესიერი მონეტები, ე.წ. ფიგურიანი ცალები თევზის, ნალის, ფრინველის და სხვათა ფორმით, აგრეთვე უძველესი ადგილობრივი თუ უცხოური მონეტის ნიმუშები ხარის, ლომის, ბუს, ელვის, ცეცხლისა და სხვათა გამოსახულებით, სამეცნიერო ლიტერატურაში დაკავშირებულია ადგილობრივ ღვთაებებთან. აღნიშნულის გათვალისწინებით, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ჩვენთვის საინტერესო მონეტის სიმბოლიკა მითოლოგიურია მისი დაწინწკლული ზურგის ვეფხვის ტყავთან მსგავსების გამო. რწმენა—წარმოდგენებით, ვეფხვის ტყავი ნაყოფიერების ქალღვთაების სიმბოლოა, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს ქალღვთაების რჩეულის, მონადირის // მეფის, ქურუმის სამოსელს.

უფრო კონკრეტულად კი – გამოსახულებას მითოლოგიურთან ერთად ისტორიული ახსნაც მოეძებნება. კერძოდ, მონეტის დაწინწკლული ზურგი წარმოადგენს ერთის მხრივ, თამარ მეფის, როგორც ნაყოფიერების ქალღვთაების სიმბოლოს, რის გამოც, სავარაუდოა, რომ მონეტა მოიჭრა თამარ მეფის ორსულობის ან მემკვიდრის გაჩენის აღსანიშნავად, რაც აადვილებს მონეტის დათარიღებასა და შუბლის გამოსახულების"თრდ"-ს წაკითხვას მხოლოდ ასე — თამარი-დავითი (თამარ მეფემ მემკვიდრე მხოლოდ დავით სოსლანზე დაქორწინების შემდეგ გააჩინა), მეორეს მხრივ, თამარ მეფის, როგორც ნაყოფიერების ქალღვთაებისა და დავით სოსლანის, როგორც ქალღვთაების რჩეულის ერთიან (მთლიან) სიმბოლოს,

მსგავსად "ვეფხისტყაოსნის" მთავარი გმირის ტარიელის ვეფხისტყავის სამოსელის სიმბოლოსი, რომელშიც გაერთიანებულია ნესტანდარეჯანისა და ტარიელის სახეები. იმდენად, რამდენადაც სამ მოვლენას: თამარ მეფისა და დავით სოსლანის ქორწინება – მემკვიდრის გაჩენას, მონეტის მოჭრასა და "ვეფხისტყაოსნის" შექმნას აკავშირებთ საერთო სიმბოლო და ისტორიული მონაკვეთი, ვვარაუდობთ, რომ მონეტის შექმნის ფარული მიზანი იყო "ვეფხისტყაოსნის" შექმნის აღნიშვნა და შესაბამისად, მისი ავტორის დიდება.

ამრიგად, ერთი უწესოდ მოჭრილი სპილენძის მონეტა ისეთ საიდუმლო ცნობას შეიცავს, რაც მატიანეებში არ არის მოცემული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფ. ბროდელი - ყოველდღიურობის სტრუქტურა, თავი 7,,,ფული"
2. ნ. ქოიავა, ფულის ტრიალი რუსთაველის ეპოქის საქართველოში., 89-110 გვ., 1938 წ.;
3. გ. დუნდუა, საქართველოს სამონეტო განძები, თბ., 1979
4. ნ. ჯავახიშვილი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონები, თბ., 1998
5. თ. ლომოური, ფულის მიმოქცევის ისტორიისათვის შუა საუკუნეების საქართველოში, რედ. თ. ქუთელია, თბ., 2005

ტურიზმის პერსპექტივები საქართველოში, როგორც სასტუმრო ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი

ქეთევან ქაჯაია, სტუ-ს ასისტენტ-პროფესორი

რეზიუმე

ტურიზმის განვითარება საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. სექტორის წახალისების მიზნით ქვეყანა ინვესტორებს სხვადასხვა სტიმულს სთავაზობს. მათ შორისაა, სასტუმროებში ინვესტირების ინიციატივა და თავისუფალი ტურისტული ზონები.

მიუხედავად მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა, საქართველოში ტურიზმის სექტორი ზრდას სწრაფი ტემპებით განაგრძობს. პროგნოზები საკმაოდ ოპტიმისტურია. სწორედ მათი მიხედვით ტურიზმის სექტორში როგორც დასაქმებულთა რაოდენობა, ასევე ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები ზრდას მომავალ წლებშიც განაგრძობს.

ქვეყანაში ტურიზმის განვითარება პირდაპირ უკავშირდება სასტუმრო ინდუსტრიის განვითარებას. სასტუმრო მომსახურების სფეროს ინდუსტრიალიზაციის შედეგად შეიქმნა მსხვილი, ტექნიკურად და ტექნოლოგიურად კარგად აღჭურვილი სასტუმრო კომპლექსები, კორპორაციები, ქსელები, რომლებიც აერთიანებენ ათასობით სასტუმროს მთელ მსოფლიოში.

ამ ფაქტორების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ასევე მზარდია სასტუმრო ბიზნესი, რადგან იგი დიდწილად ტურიზმის განვითარებაზეა მიბმული და მის წარმატებებს უცვლელად იმეორებს.

საკვანძო სიტყვები: სასტუმრო საქმე, ტურიზმი, თავისუფალი ტურისტული ზონები, „აწარმოე საქართველოში“, ვიზიტორები, ინვესტიცია, რეგიონული განვითარება

Tourism perspectives in Georgia, like promotional factor for hotel business development

Ketevan Kajaia

Summary

The tourism development is one of the important priority of the economy of Georgia. In order to promote the sector, the state offers to investors different stimuli including initiative to invest in hotels and free tourism zones.

In spite of world economic crisis, the tourism sector in Georgia increases with fast paces. Prognosis are quite optimistic. Exactly according to them, the quantity of employed people in tourism sector and also the revenues acquired out of tourism branch continue rise though the subsequent years.

Tourism development in the country is directly connected to the hotel industry development. As of hotel service field industrialization was created large hotel complexes, corporations, networks, which are technically equipped quite good and they unite the thousands of hotels throughout the world.

Foreseeing these factors, it can be said, that there is also increasing the hotel business, as it is highly bounded to the tourism development and also repeats its success.

Keywords: Hotel business, tourism, free tourism zone, “produce in Georgia”, visitors, investment, regional development.

ტურიზმი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტად არის მიჩნეული. თუ გადავხედავთ საქართველოს ბუნებას, წარსულს, კულტურას და სხვა ღისშესანიშნაობებს, ვნახავთ, რომ ეს არჩევანი ძალიან ბუნებრივია. ტურიზმი ადამიანის ნებაყოფლობითი, თავისუფალი, დროებითი გადაადგილებაა საცხოვრებელი ადგილიდან დასვენების, გაჯანსაღების და სხვა მიზნით. ტურიზმისა და საკურორტო საქმიანობა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით ტურიზმისა და კურორტების შესახებ.

21-ე საუკუნის დასაწყისისათვის მსოფლიო კულტურასა და ეკონომიკაში ტურიზმი მდგრადი განვითარების დარგად ჩამოყალიბდა, რომელმაც განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა გლობალურ ეკონომიკურ სტრუქტურაში. იმისათვის, რომ ტურიზმმა ეკონომიკური მოგება მოუტანოს ქალაქს, მისი განვითარება უნდა ატარებდეს მდგრად ხასიათს და ამავე დროს თავისი ბუნებით უნდა იყოს დამზოგავი. ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს განსახლების სისტემის, დასახლებათა ტრადიციულ არქიტექტურას და ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას.

პარალელურად ტურიზმის განვითარებას სჭირდება გარკვეული ინფრასტრუქტურული კომპონენტების არსებობა, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნება უმნიშვნელო განვითარებაზე საუბარიც კი. ეს არის მიღებისა და მომსახურების ინფრასტრუქტურა - დაბინავებისა და კვების ადგილები; სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და მომსახურება, ადგილობრივი საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურა - წყალმომარაგება, ელექტროგაყვანილობა, კომუნიკაცია, კანალიზაცია და მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა; ასევე, მოგზაურობების ორგანიზება - ტუროპერატორები, ტურაგენტები და გიდები;

საზოგადოდ ცნობილია, რომ საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური მრავალფეროვნებიდან დიდი

ტურისტული პოტენციალი გააჩნია. ამ ტურისტულ შესაძლებლობებს განსაზღვრავს: 1. შავი ზღვის სანაპირო ზოლი, რომლის სიგრძე 318 კმ.-ია. იგი წარმოადგენს მასობრივი ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ ძირითად საფუძველს. 2. დიდი და მცირე კავკასიონის მთაგრეხილები. დიდი კავკასიონი გადაჭიმულია შავიდან კასპიის ზღვამდე და სიგრძით 1500კმ-ს აღწევს. საქართველოს მთები უაღრესად ხელსაყრელია სამთო-სათხილამურო ტურიზმისა და ალპინიზმის განვითარებისათვის. 3. კურორტები: ქვეყანაში 102 კურორტი და კარგი საკურორტო პერსპექტივების მქონე 182 საკურორტო ადგილია.

მსოფლიო ტურიზმისა და მოგზაურობის საკონსულოს მონაცემებით,საერთაშორისო ტურიზმზე მოდის მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქტის 10%; კერძო მომსახურების 10,9%; მსოფლიო ინვესტიციების 11,8%; ტურისტების მიერ უცხო ქვეყანაში მოგზაურობისას იხარჯება 600 მილიარდზე მეტი აშშ დოლარი;

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატური პირობები, ქვეყნის ბუნების მრავალფეროვნება, ისტორიული და კულტურული ძეგლები მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს ტურიზმის განვითარებისათვის. რისი გამოხატულებაცაა ის, რომ 1988 წლის მონაცემებით ქვეყანაში ჩამოდიოდა 4 მლნ-ზე მეტი ტურისტი და დამსვენებელი. ცნობილი მოვლენების გამო საქართველოში 1990 წლიდან დაიწყო ტურისტული ინდუსტრიის ვარდნის პროცესი. მისი რეაბილიტაცია ძალიან გვიან, 12-13 წლის შემდეგ დაიწყო.

ქვეყანაში ტურიზმის განვითარება პირდაპირ უკავშირდება სასტუმრო ინდუსტრიის განვითარებას. სასტუმრო მომსახურების სფეროს ინდუსტრიალიზაციის შედეგად შეიქმნა მსხვილი, ტექნიკურად და ტექნოლოგიურად კარგად აღჭურვილი სასტუმრო კომპლექსები, კორპორაციები, ქსელები, რომლებიც აერთიანებენ ათასობით სასტუმროს მთელ მსოფლიოში. ისინი უზრუნველყოფენ წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის მაღალ დონეს, ტურისტული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრებასა და გავრცელებას. მცირე, ე.წ. საოჯახო სასტუმროებმა, ტურისტული ბაზრის „მეორე პლანზე“ გადაინაცვლა და დაიკავა თავისი მოცულობისა და პოტენციალის შესაბამისი მარკეტინგული ნიში. სერიოზული ევოლუციური ცვლილებები განიცადა არა მხოლოდ სასტუმროთა მართვის პრინციპებმა და მეთოდებმა, არამედ, თვით სასტუმრო პროდუქტმაც. იგი გახდა მაღალტექნოლოგიური და მომხმარებელზე სრულად ორიენტირებული. თანამედროვე სასტუმრო საწარმოები მკაცრი კონკურენციის პირობებში ფუნქციონირებენ. კონკურენციას კიდევ უფრო ამწვავებს ახალი კომპანიების გამოჩენა, ბაზრის სეგმენტაციის პროგრესული მარკეტინგული სტრატეგიების გამოყენება. კომპანიების გაერთიანება აძლევთ მათ მთელ რიგ უპირატესობებს - საბაზრო წილის გაზრდის, ახალი სეგმენტების მოპოვების, მარკეტინგული დანახარჯების შემცირების, კორპორაციული პროგრამების შემუშავების, სასტუმრო პროდუქტების წინ წაწევისა და კადრების მომზადების საშუალებას.

თანამედროვე სასტუმრო — ტურისტთა განთავსების კოლექტიური საშუალებაა ერთიანი ხელმძღვანელობით, ნომრების განსაზღვრული რაოდენობით, დაჯგუფებული კატეგორიებად მომსახურების სპექტრის, დონისა და სასტუმროს მოწყობილობის შესაბამისად. 6 უნდა აღინიშნოს, რომ სასტუმროთა საქმიანობით მრავალი სუბიექტი - ფიზიკური და იურიდიული პირები, სახემწიფოცაა დაინტერესებული.

ვიდრე სასტუმროების თემას გავაგრძელებთ, უნდა შევეხოთ ტურისტული ნაკადების საკითხს. ტურიზმის დეპარტამენტის ინფორმაციით, წელს საქართველოში 5 თვეში საერთაშორისო მოგზაურთა და ტურისტების რეკორდული რაოდენობა დაფიქსირდა.

2016 წლის მაისის თვის მონაცემებით, საქართველოს 522,359 საერთაშორისო მოგზაური ეწვია, ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 14,9%-ია.

მაისის თვის მაჩვენებლებით იმ უცხოელი მოგზაურების, ანუ ტურისტების რიცხვმა, რომლებმაც 24 საათი და მეტი დაჰყვეს საქართველოში, 204,714 შეადგინა. ზრდა +24.3%-ია.

2016 წლის მაისი — ყველაზე მეტი ვიზიტი კვლავ თურქეთიდან (+6.8%), აზერბაიჯანიდან (+18.6%), სომხეთიდან (+3.9%), რუსეთიდან (+18.7%) და უკრაინიდან (+30.9%) განხორციელდა.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, მაისში გამოირჩეული იყო ლატვია +64%, პოლონეთი +30%, გერმანია +29% და ლიტვა +21%. განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა შემდეგი ქვეყნებიდან: ინდოეთი +319%, ირანი +300%, ისრაელი +122%, ომანი +149% და საუდის არაბეთი +85%.

საერთაშორისო მოგზაურების ზრდა დაფიქსირდა 5 თვის მონაცემებითაც, საერთაშორისო მოგზაურების ჯამურმა რაოდენობამ 2,119,275 შეადგინა, ზრდა კი +15.3%-ია. ტურისტული ვიზიტების რაოდენობამ 782,814 შეადგინა, რაც +18.8%-ით მეტია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემზე.

2016 წლის იანვარი-მაისის პერიოდში ყველაზე მეტი ვიზიტი აზერბაიჯანიდან (+22%), თურქეთიდან (+6.6%), სომხეთიდან (+2.8%), რუსეთიდან (+19.6%) და უკრაინიდან (+23.8%) განხორციელდა.

პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარ-მაისში აღსანიშნავი იყო ლატვია +35%, იტალია +22%, პოლონეთი +15% და საფრანგეთი +10%. განსაკუთრებული ზრდა ფიქსირდება შემდეგი ქვეყნებიდან: ირანი (+361%), ინდოეთი +(335%), ომანი (+329%), ისრაელი (+113%), არაბთა გაერთიანებული საამიროები (+69%), ბელორუსი

(+46%), უზბეკეთი (+41%), ყაზახეთი (+25%) და მოლდოვა (+22%).

2015 წლის ჯამური მონაცემებით, უცხოური ტურიზმიდან შემოსავალი საქართველოში შეადგენდა 1.94 მილიარდ დოლარს (ზრდა +8.3), რაც 149 მილიონით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

ტურიზმის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 2015 წლის ჯამური მონაცემებით შეადგენს 6.7%-ს. ზრდა წინა წელთან შედარებით +16.2%-ია.

2015 წლის მაისის თვეში დაფიქსირდა საერთაშორისო შემოსვლების რეკორდული მაჩვენებელი. რეკორდულია ასევე 2016 წლის 5 თვის ჯამური მონაცემიც.

2016 წელს ხუთი თვის საერთაშორისო შემოსვლების ჯამურმა მაჩვენებელმა პირველად გადააჭარბა ორ მილიონ ვიზიტს.

არა მარტო შარშან და წელს, ზოგადად, საერთაშორისო მოგზაურების რიცხვის მკვეთრი ზრდა საქართველოშიც აღინიშნება. ზრდის ტემპის თვალსაზრისით საქართველო ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა. მაგალითად, 2011 წელს უცხოელთა რაოდენობამ 2 822 363 შეადგინა, რაც 39%-იან ზრდას წარმოადგენს, წინა წელთან შედარებით. 2012 წელს უცხოელ მოგზაურთა რაოდენობა 56% გაიზარდა და 4 389 256 მიაღწია, ხოლო 2013 წლის მონაცემებით ტურისტების რაოდენობა, წინა წელთან შედარებით გაიზარდა 60%-ით. წლევანდელი ხუთი თვის მონაცემები კი თითქმის იგივეა, რაც 2011 წლის მაჩვენებლები. რაკი ზაფხული წინ არის, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს მაჩვენებელი შესაძლებელია გასამმაგდეს კიდეც.

ამ სტატისტიკის საფუძველზე, საქართველოს ტურიზმის სექტორის ზრდის ტემპი ბოლო წლებში უსწრებს მსოფლიო ტურიზმის ზრდის მაჩვენებელს. ეს ფაქტი დასტურდება მსოფლიო მოგზაურთა შორის საქართველოში ჩამოსულთა წილის შეფასებით. მაგალითად, მთლიან საერთაშორისო მოგზაურთა შორის საქართველოს სტუმართა წილი 2007 წლიდან 2012 წლამდე 0.12%-დან 0.29%-მდე გაიზარდა.

სტატისტიკა აჩვენებს, რომ საერთაშორისო მოგზაურების უდიდესი ნაწილი ივლისსა და აგვისტოში სტუმრობს საქართველოს. თურქეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი მოგზაურთა რაოდენობის მხრივ პირველ სამეულს წარმოადგენს. ამ ქვეყნებზე საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების დაახლოებით 76% მოდის.

ოფიციალური ინფორმაციით, 2016 წლის ორი თვის მონაცემებით, წინა წელთან შედარებით საქართველოში 16-პროცენტით მეტი საერთაშორისო ვიზიტორი შემოვიდა. ტურიზმის წილი მთლიან შიდა პროდუქტში შეადგენს 7%-ს, ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებული დასაქმების წილი საერთო სამუშაო ადგილების რიცხვის დაახლოებით 11 %-ს უტოლდება. 2014 წელს ქვეყნის ეკონომიკაში ტურიზმის სფეროდან შემოსული თანხა 1.8 მილიარდ დოლარს გაუტოლდა, 2015 წლის პირველი სამი კვარტლის მონაცემებით კი ტურისტული მომსახურებების ექსპორტის ჯამურმა ღირებულებამ 1.5 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. 2009-2014 წლების შუალედში ტურიზმის ექსპორტის საშუალო ყოველწლიური ზრდის მაჩვენებელი 27%-ს შეადგენდა. შესაბამისად, ტურიზმი ცალსახად წარმოადგენს საქართველოში უცხოური ვალუტის შემოდინების მნიშვნელოვან წყაროს.

საქსტატის მონაცემებით, შარშან ყველაზე მეტი ვიზიტორი თბილისს ჰყავდა, 24%, მეორე ადგილზეა იმერეთი, 21%, მესამეზე - აჭარა, 10%, შემდეგ კახეთი, სვანეთი და ა.შ.

სასტუმროების ბაზარზე ამჟამად აჭარის ზღვისპირა რეგიონი და თბილისი დომინირებს. სულ საქართველოს ტერიტორიაზე 1051 განთავსების საშუალებაა 34 751 საწოლი ადგილით. საწოლების რაოდენობის მხრივ პირველ ადგილზე აჭარის რეგიონია. მათი რაოდენობის 63% სასტუმროებზე მოდის. შემდეგ არის სასტუმრო სახლები (16%) და საოჯახო სასტუმროები (16%).

როგორც უძრავი ქონების მართვის სერვისების კომპანია „კოლიერსის" კვლევაშია აღნიშნული, ბათუმში სასტუმროს ვიზიტორთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა 2009 წლიდან მოყოლებული. კვლევის თანახმად, ბათუმში საცხოვრებელი ერთეულის რაოდენობა 2013 წელთან შედარებით, შარშან 29-ით გაიზარდა, ოთახების - 873-ით, საწოლების კი - 1 772-ით. „დატვირთვის მხრივ ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა ადგილობრივი მაღალი და საშუალო კლასის სასტუმროები (54%), საერთაშორისო სასტუმროები კი 40%-ით. საშუალო დღიური ფასით ყველაზე ძვირი საერთაშორისო მაღალი კლასის სასტუმროებია - 139 დოლარი, ადგილობრივი მაღალი და საშუალო კლასის სასტუმროების საშუალო დღიური ფასი კი 90 დოლარს შეადგენს, რაც ალბათ საერთაშორისო სასტუმროების მაღალი ფასით არის განპირობებული", - ნათქვამია "კოლიერსის" კვლევაში.

კვლევის თანახმად, 2014 წელს წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, თბილისში საცხოვრებელი ერთეულების რაოდენობა 17-ით, ოთახების - 555-ით, საწოლების კი 1 385-ით გაიზარდა. 2015 წელს თბილისში ხუთი სასტუმროს მშენებლობა დასრულდა, რომელმაც მიწოდება 484 ოთახით გაზარდა. "თბილისში ყველაზე მეტად დატვირთული საერთაშორისო საშუალო კლასის ბრენდული სასტუმროებია (75%), რომელსაც მოსდევს საერთაშორისო მაღალი კლასის ბრენდები - 74%. საშუალო დღიური ფასის მაჩვენებელი კი პირიქით არის - ლიდერობს საერთაშორისო მაღალი კლასის სასტუმროები (203 დოლარი), საერთაშორისო საშუალო კლასის სასტუმროებში კი ეს მაჩვენებელი 127 დოლარია", - აღნიშნულია კვლევაში.

კვლევის თანახმად, საქართველოში ვიზიტორთა დაახლოებით 60% სასტუმროს ტიპის საცხოვრებელსა და დაქირავებულ ბინაში ჩერდება. საერთო ჯამში, უცხოელი ვიზიტორების 43% სასტუმროებს ამჯობინებს, 34% - კერძო სახლებში ან მეგობარ-

ნათესავებთან რჩება.

2015 წლის დასაწყისისთვის, საქართველოში 777 სასტუმრო და 14 400 სასტუმრო ნომერი იყო. უახლოეს წლებში ბათუმში რამდენიმე ახალი: დიდი და საშუალო ზომის სასტუმროების გახსნა იგეგმება. თბილისის 170 სასტუმროში 7 ათასი საწოლია. მომავალ 3 წელიწადში თბილისში ახალი სასტუმროები აშენებდა, სადაც 1000 საწოლი იქნება. დედაქალაქში ფუნქციონირებს და უახლოეს მომავალში დაგეგმილია ისეთი ბრენდი სასტუმრების გახსნა, როგორიცაა: Rixos, Millenium Hotel, Park Inn, Rooms Hotel Tbilisi, InterContinental da Hilton Garden Inn. baTumSi ki - Kempinski, Holiday Inn, Hilton, Swiss Hotel, Babylon Tower, Cubic Tower and Gazelli,Turkish association Mersin Tourism.

ამის მიუხედავად, როგორც დედაქალაქის მერი აცხადებს, თბილისს მომავალ წელს ექნება 4 ათასი სასტუმრო ოთახის დეფიციტი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სასტუმროების ბიზნესი კიდევ უფროა გააქტიურდება და არა მხოლოდ თბილისსა და აჭარაში. ამ მხრივ საგრძნობი გამოცოცხლებაა რეგიონებში, საკურორტო ზონებში.

თუმცა სასტუმრო ბიზნესი რეგიონებში არსებულ პრობლემებზე საუბრისას აცხადებს, რომ ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს მათი მთავარი მოთხოვნა. ისინი სახელმწიფოს სეზონური გადასახადის დაწესებას სთხოვენ. სასტუმროებს, რომლებიც საქართველოს რეგიონებში მდებარეობს და ტურისტული სეზონიდან გამომდინარე მუშაობა 2-3 თვე აქვთ სახელმწიფოსთვის ქონებისა და მოგების გადასახადის გადახდა 12 თვის მანძილზე უწევთ. სასტუმროებისა და რესტორნების ფედერაციის დამფუძნებლის შალვა ალავერდაშვილის თქმით, რეგიონებში დაწესებული საგადასახადო სისტემა კურორტებს ინვესტორებისთვის არამიმზიდველს ხდის. პრობლემას წარმოადგენს კომუნალური გადასახადებიც და გართულებული ბიუროკრატიული მექანიზმიც.

"იმის გარდა, რომ სეზონურობიდან გამომდინარე გადასახადს კომპანია იხდის 12 თვე, მიუხედავად იმისა, რომ მუშაობა არის მხოლოდ 2-3 თვე, პრობლემაა კომუნალური გადასახადებიც. აბსოლუტურად არარენტაბელურია სეზონურ ადგილებში გესტჰაუზების და სასტუმროების გახსნა. ინვესტორისთვის საქართველოს სეზონური რეგიონები არამომხიბლავი ხდება. რეგულაციების მიხედვით საქართველო ერთ-ერთი ცუდი ადგილია სასტუმრო ბიზნესის დასაწყებად. საგადასახადო სისტემის გარდა საკმაოდ რთულია რეგიონებში შეძენილი საკვების გაფორმება, საკმაოდ რთული ადმინისტრაციული პროცედურებია, რომელიც ბიზნესს ხელს უშლის.

რეგიონებში სახელმწიფო ინვესტორს მარკეტინგულ ღონისძიებებსაც კი არ სთავაზობს. ინვესტორი დგება დილემის წინაშე — ჩავიდეს ქვეყანაში, რომელსაც ცნობადობა დიდი არ აქვს, უნდა დახარჯოს ფული ინფრასტრუქტურაში და შემდეგ რამდენიმე მილიონი უნდა დახარჯოს იმავე რეგიონის მარკეტინგულ ღონისძიებებში. სწორედ ამიტომ საქართველოს რეგიონები არც ერთი ინვესტორისთვის მიმზიდველი არ არის", — შალვა ალავერდაშვილი.

სასტუმრო ინდუსტრიის შემდგომი განვითარების მიზნით, მთავრობის გადაწყვეტილებით, რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის პროგრამის „აწარმოე საქართველოში" ფარგლებში ახალი კომპონენტი „უმასპინძლე საქართველოში" ამოქმედდა. პროგრამის მონაწილეებს შეეძლებათ, ისარგებლონ ახალი სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების კომპონენტით, შესაბამისად, წამოიწყონ საკუთარი ბიზნესი, მოიზიდონ მეტი დამსვენებელი, შექმნან სამუშაო ადგილები და ხელი შეუწყონ რეგიონის განვითარებას.

როგორც საქართველოს მთავრობაში განმარტავენ, აღნიშნული კომპონენტის დახმარებით, იმ კომპანიებს, რომელთაც უნდათ სასტუმროების განვითარება, შეეძლებათ, მიიღონ სახელმწიფოს მხრიდან კომერციულ ბანკში აღებული სესხის პროცენტის თანადაფინანსება პირველი ორი წლის განმავლობაში, ასევე თანაუზრუნველყოფა სესხის 50%-ის ოდენობით.

აღნიშნული მექანიზმი მეწარმისთვის შესაძლებელს ხდის, ისარგებლოს ბიზნესისთვის აუცილებელი შეღავათიანი საკრედიტო რესურსით და ბანკების მხრიდან უზრუნველყოფის ნაწილში ამცირებს პროექტის შეფასების რისკებს, რითაც მეწარმეს უფრო უადვილებს კომერციული ბანკის სესხის მიღების პროცესს.

პროგრამის ფარგლებში დაინტერესებულ მეწარმეს შეუძლია საქართველოს ნებისმიერ რეგიონში, თბილისისა და ბათუმის გარდა ააშენოს ახალი სასტუმრო, მოახდინოს არსებული ინფრასტრუქტურის გაფართოვება/გადაიარაღება, ასევე, გააფორმოს ფრენჩაიზინგის ხელშეკრულება სასტუმროს საერთაშორისო ოპერატორთან და შემოიყვანოს უცხოური ბრენდი ქართულ ბაზარზე. სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების კომპონენტი რეგიონული მეწარმეებისათვის ხელმისაწვდომს ხდის ფინანსებსა და საკონსულტაციო მომსახურებას და ამასთანავე ემსახურება საერთაშორისო ბრენდების გამოცდილების დანერგვას.

ტურიზმის სააგენტოს მონაცემებით, ტურიზმის წილი მთლიან შიდა პროდუქტში, 2015 წლის ჯამური მონაცემებით, შეადგენს 6.7 %-ს, რაც ნიშნავს, რომ ზრდა, წინა წელთან შედარებით, +16.2%-ია. 2016 წელს ხუთი თვის საერთაშორისო შემოსვლების ჯამურმა მაჩვენებელმა პირველად გადააჭარბა ორ მილიონ ვიზიტს.

ვიზიტორების 73% რჩება ღამისთევით, ხოლო სასტუმროს მომსახურებით სარგებლობს ვიზიტორთა - 26.3%. დღეისათვის თბილისში ვიზიტორთა საშუალო მაჩვენებლის (წლის განმავლობაში - 3160260 ვიზიტორი) სასტუმროების მომსახურებით სარგებლობს (3160260 x 26,3%) — 831150 ვიზიტორი. აქედან „მიჩელინის ვარსკვლავების" სტანდარტით გათვალისწინებული, თბილისის 5* და 4* სასტუმ-

როების კლასში, ძირითადად, თავსდებიან ე.წ. „საქმიანი“ (ბიზნესის და საკონფერენციო) ტურიზმის ხაზით ჩამოსული ტურისტები. აღნიშნული ტურისტების კატეგორიის წელიწადში საშუალო რაოდენობა შეადგენს - 66500 ტურისტს.

პრაქტიკამ აჩვენა, რომ ტურისტების ყველაზე დიდი მოთხოვნა სწორედ საშუალო დონის სასტუმროებზე მოდის. თუმცა, ამ მხრივ საქართველოში დიდი არჩევანი ნამდვილად არ არის.

უძრავი ქონების მართვის სერვისების კომპანია “კოლიერს ინტერნეიშენელის” კვლევების მიხედვით, საქართველოში სასტუმროების ბიზნესის თვალსაზრისით ასეთი მდგომარეობაა: 16,786 სასტუმრო ოთახი და 39,108 საწოლი. ოთახების მიწოდებით ლიდერი ქალაქებია: თბილისი - 21% და ბათუმი - 15%. 2015 წლის ბოლომდე კი ოთახების მიწოდება 2,635 ერთეულით გაიზრდება. კომპანიის ინფორმაციით, თბილისში ეკონომკლასის სასტუმროების საერთაშორისო ბრენდები წარმოდგენილი არ არის. ბაზარზე ამ სეგმენტის მხოლოდ ადგილობრივი სასტუმროებია და თბილისს ამ სეგმენტში ბაზრის დაახლოებით 38% უკავია.

როგორც უძრავი ქონების მართვის სერვისების კომპანია „კოლიერს ინტერნეიშენალის” წარმომადგენელი, ზაზა ბაიაძე აცხადებს, სასტუმროების ნაწილში ყველაზე დიდი მოთხოვნა სამვარსკვლავიან და ე.წ. ბაჯეტ, ანუ ეკონომკლასის სასტუმროებზე მოდის. კომპანია შენობას იმ პარამეტრებით აშენებს, რაც ბაზარზე კონკრეტული ოპერატორის შემოსაყვანად არის საჭირო. შემდეგ მართვაში გადასცემს საერთაშორისო ოპერატორებს, რომლებიც ევროპასა და ამერიკაში სამვარსკვლავიან სასტუმროებს მართავენ. აქამდე ჩვენთან სამვარსკვლავიანი სასტუმროები არ იყო, მხოლოდ ძვირადღირებული და საოჯახო ტიპის სასტუმროები მოქმედებდნენ.

4-5-ვარსკვლავიან სასტუმროში გაჩერების სურვილი ტურისტების დიდ ნაწილს არ აქვს. ისინი საშუალო დონის სასტუმროებს ეძებენ, რისი ნაკლებობაც ქვეყანაში ნამდვილად არის. გაცილებით დიდი მოთხოვნაა ბაჯეტ ტიპის სასტუმროებზე. ბოლო ერთი წელია, რაც შესაბამისი საინვესტიციო ჯგუფები ამ კუთხით აქტიურად მუშაობენ. ქვეყანაში სამვარსკვლავიანი სასტუმროების მშენებლობები საკმაოდ წარმატებულად მიმდინარეობს, ზოგი უკვე დასრულების ფაზაშია, ზოგიც ახლა დაიწყო. ვფიქრობ, 2016 წლის ბოლომდე ამ ტიპის საკმაოდ ბევრი სასტუმროს მშენებლობა დასრულებული და ექსპლუატაციაში შესული იქნება, რაც ტურიზმის განვითარებას ხელს კიდევ უფრო შეუწყობს.

ხუთვარსკვლავიანი სასტუმროები ყველა ქვეყანაში რაოდენობრივად ჩამოუვარდება სამვარსკვლავიანს. 5-ვარსკვლავიანი სასტუმროებით ტურისტების მხოლოდ მცირე ნაწილი სარგებლობს. ვერ ვიტყვით, რომ მხოლოდ ტურიზმზეა ორიენტირებული ასეთი ტიპის სასტუმროები, ისინი მეტწილად ბიზნეს და სახელწმიფო დელეგაციების შეხვედრებისთვის არის გათვლილი. რაც შეეხება ბაჯეტებს და სამვარსკვლავიან სასტუმროებს, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად არის განვითარებული ტურიზმი. შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულწილად ტურიზმის განვითარებამ, უფრო ზუსტად ტურისტული ნაკადის ზრდამ, ბოლო 5-6 წლის განმავლობაში საგრძნობლად გაუსწრო ინფრასტრუქტურულ განვითარებას ამ სფეროში. ტურისტების 70-80% საშუალო დონის მომხმარებელზე მოდის, რომელსაც თანხის გადახდა ხუთვარსკვლავიანში არ სურს და უპირატესობას სამვარსკვლავიან სასტუმროს ანიჭებს. აგვისტოს ომის შემდეგ ეს სფერო მეტ-ნაკლებად განვითარდა. საქართველოში მეტი ვიზიტორი ჩამოდის. შესაბამისად, მეტი ნომერია საჭირო. თუმცა, საშუალო კლასის სასტუმროს არარსებობა ტურისტს იძულებულს ხდის, რომ დაბალი კლასის სასტუმროში წავიდეს ან პირიქით, მაღალი კლასის და იმაზე მეტი გადაიხადოს, ვიდრე სურს.

„უფრო რთული სიტუაციაა რეგიონებში. რიგ ტურისტულ ადგილებში სამვარსკვლავიანი კი არა, შეიძლება საოჯახო ტიპის სასტუმროც არ იყოს. უძრავი ქონების ეს სეგმენტი ასათვისებელია. ტურიზმის თვალსაზრისით, მეტ-ნაკლებად კახეთია განვითარებული. უხეში გათვლებით, 10-დან 7 ტურისტი ჯერ კახეთში მიდის და შემდეგ სხვა ადგილებში. კახეთი საბაზისო პაკეტივით არის ტურისტებისთვის. ამან გამოიწვია ამ რეგიონის განვითარება. ზოგადად ბაჯეტ ტიპის სასტუმრო ქვეყანას აკლია. ეს მომგებიანი ბიზნესია და საჭიროა მისი განვითარება. ყველაფერს სახელმწიფოს ვერ მოთხოვ. მართალია, ჩავარდნილი რეგიონი უნდა წაახალისო, თუმცა მიმაჩნია, რომ კახეთი, ყაზბეგი და სვანეთი ამას აღარ საჭიროებს. იქ ეს სფერო საკმაოდ განვითარებულია“, აცხადებს ზაზა ბაიაძე.

როგორც საქსტატის ინფორმაციაშია, 2014 წლის ოთხი კვარტლის მონაცემებით, სასტუმროების და რესტორნების სექტორის ბრუნვის მოცულობამ 730.1 მლნ. ლარი შეადგინა, რაც ბიზნეს სექტორის ბრუნვის 1.6%-ს შეადგენს. 2013 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 787.4 მლნ. ლარს გაუტოლდა. 2014 წლის ოთხი კვარტლის მონაცემებით სასტუმროების და რესტორნების სექტორის გამოშვება 718.6 მლნ. ლარს გაუტოლდა, რაც ბიზნეს სექტორის გამოშვების 3%-ს შეადგენს. 2015 წლისთვის ბრუნვის მოცულობამ თითქმის მილიარდ ლარს მიაღწია, რაც მკვეთრად აღემატება 2014 წლის მონაცემებს. წინასწარი ინფორმაციით, ეს მაჩვენებელი წლის ბოლოსთვის კიდევ უფრო მაღალი იქნება.

ხელისუფლება ცდილობს, გარკვეული ნაბიჯები გადადგას სასტუმროს ბიზნესის წასახალისებლად. როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი მიიჩნევს, პროგრამის — “აწარმოე საქართველოში” ახალი კომპონენტი — “უმასპინძლე საქართველოში” სასტუმროების ინდუსტრიის განვითარებას შეუწყობს ხელს. აღნიშნული კომპონენტის დახმარებით იმ კომპანიებს, ბიზნესმენებს, რომლებსაც უნდათ სასტუმროების ბიზნესის განვითარება, შესაძლებლობა

ექნებათ, რომ სახელმწიფოს მხრიდან კომერციულ ბანკში აღებული სესხის პროცენტის თანადაფინანსება მიიღონ პირველი ორი წლის განმავლობაში, ასევე თანაუზრუნველყოფა სესხის 50%-ის ოდენობით.

"მინდა აღვნიშნო, რომ ეს კომპონენტი ეხება არა მხოლოდ ახალ სასტუმროებს, არამედ იმათაც, რომლებიც დღეს უკვე არსებობს, თუმცა უნდათ გაფართოება. შესაბამისად, ეს იძლევა იმის შესაძლებობას, რომ დღეს არსებულმა ბიზნესმოთამაშეებმა ასევე გააფართოონ და გაზარდონ თავიანთი ბიზნესი", — განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

მისივე თქმით, პროექტის თანახმად სახელმწიფო ხელს შეუწყობს ასევე საერთაშორისო ბრენდის შემოსვლას და იმ ფრენჩაიზის გადასახადს, რომელიც საერთაშორისო ბრენდის შემოსვლას მოჰყვება ხოლმე პირველი ორი წლის განმავლობაში გარკვეული ლიმიტის ფარგლებში დაფინანსებით. როგორც დიმიტრი ქუმსიშვილმა აღნიშნა, დღეს ტურიზმი 180 000-ზე მეტ სამუშაო ადგილს ქმნის.

„ეს არის მილიარდ რვაასი მილიონის შემოსავალი ჩვენი ქვეყნის საგადასახდელო ბალანსში. ჩვენი სტრატეგიის მიხედვით, იმისთვის, რომ ჩვენ ხუთ მილიარდ ხუთასი მილიონს მივაღწიოთ საგადამხდელო ბალანსში შემოსავალს და 330 000 ადამიანზე მეტი გვყავდეს დასაქმებული ტურიზმის დარგში, ამისთვის ასეთი წამახალისებელი პროგრამები შეიქმნება და ხელი შეეწყობა ტურიზმის განვითარებას", — განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა. მისივე თქმით, აღნიშნული კომპონენტი არ ვრცელდება ბათუმთან და ქუთაისთან მიმართებაში.

„ერადერთი ბათუმი არის, სადაც ჩვენ დიდი მოთხოვნა გვაქვს ტურიზმის განვითარების და შესაბამისად, ამ მიმართულებით ჩვენ მიწოდებაც გვაქვს და მოთხოვნაც. იგივე სიტუაციაა თბილისში. რაც შეეხება ყველა დანარჩენ მიმართულებას, აქ პროექტი ჩვეულებრივად იმუშავებს", — განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

თვალსაჩინოა, რომ ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ზოგადად ბაზრის ლიბერალიზაციისათვის. აღნიშნული ქმედებების შედეგად ფრენებისა და მგზავრების რიცხვი მკვეთრად გაიზარდა. ამჟამად საქართველოს ბაზარზე რამდენიმე მსხვილი ავიაკომპანია ოპერირებს: Georgian Airways, Turkish Airlines, Lufthansa, BMI, Czech Airlines, China Southern Airlines, Qatar Airways, Alitalia, AZAl, Air Baltic, LOT, Air Astana, Belavia, Ukraine International Airlines, Aerosvit, Estonian Air, Pegasus, Fly Dubai, Fly Georgia და სხვა.

ტურიზმის განვითარება საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. სექტორის წახალისების მიზნით ქვეყანა ინვესტორებს სხვადასხვა სტიმულს სთავაზობს. მათ შორისაა სასტუმროებში ინვესტირების ინიციატივა და თავისუფალი ტურისტული ზონები.

მიუხედავად მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა, საქართველოში ტურიზმის სექტორი ზრდას სწრაფი ტემპებით განაგრძობს. პროგნოზები საკმაოდ ოპტიმისტურია. სწორედ მათი მიხედვით ტურიზმის სექტორში როგორც დასაქმებულთა რაოდენობა, ასევე ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები ზრდას მომავალ წლებშიც განაგრძობს.

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ასევე მზარდია სასტუმრო ბიზნესი, რადგან იგი დიდწილად ტურიზმის განვითარებაზეა მიბმული და მის წარმატებებს უცვლელად იმეორებს.

ტურიზმის პერსპექტივები საქართველოში, როგორც სასტუმრო ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კონსტანტინე აბულაძე, სასტუმრო საქმის საფუძვლები, 2008 წელი
2. გიორგი რაჯებაშვილი, ტურიზმის განვითარება საქართველოში, 2012 წელი
3. საქსტატის მონაცემები,

ბიზნეს-ინჟინერინგი ენერგეტიკაში

ენერგოდაზოგვის მართვის საერთაშორისო გამოცდილება და მისი დანერგვის პერსპექტივები საქართველოში

დავით ჯაფარიძე, *სტუ-ს პროფესორი*
ნინო გიორგიშვილი, *სტუ-ს ასისტენტ პროფროფესორი*
ირაკლი ბიჭიაშვილი, *სტუ-ს დოქტორანტი*

რეზიუმე

სტატიაში გაანალიზებულია ენერგოდაზოგვის მართვის უცხოური გამოცდილება. მეცნიერული კვლევის საფუძველზე დადგენილია, რომ მსოფლიოს თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში სახელმწიფო პოლიტიკის დონეზეა აყვანილი ენერგოდაზოგვის პრობლემის გადაწყვეტა. ამ ქვეყნებში მიღებულია ენერგოდაზოგვის ეროვნული კანონები, შემუშავებულია ენერგოდაზოგვის სტრატეგიული გეგმები და მათი განხორციელების გრძელვადიანი სახელმწიფო პროგრამები. ევროპაში მოქმედებს ენერგოდაზოგვის სპეციალური სტანდარტი ENEN1601. ენერგოდაზოგვის მართვის სრულყოფილად განხორციელების მიზნით ენერგოდაზოგვის მართვა ხორციელდება მეცნიერულ დონეზე ჩამოყალიბებული ბიზნეს მოდელით. პირველი რიგის ამოცანად მიჩნეულია ენერგოდაზოგვის მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევა სახალხო მეურნეობის სტრუქტურული გადაწყობით. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიების ერთიან კომპლექსში და სისტემურად განხორციელების შედეგად ამ ქვეყნებში ენერგორესურსების მოხმარებაში მნიშვნელოვანი ეკონომიაა მიღწეული. ენერგომოხმარების ზრდის ტემპი მკვეთრად აღემატება მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპს.

საქართველოში ენერგოდაზოგვის მიმართულებით ჩატარებული მუშაობის მეცნიერული ანალიზით გამოირკვა, რომ ქვეყანაში ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაწყვეტას არ ექცევა სათანადო ყურადღება.დღემდე არ არის მიღებული ენერგოდაზოგვის შესახებ ეროვნული კანონი, არ არის დანერგილი შენობების ენერგოსერთიფიცირების სისტემა, თითქმის არაფერი არ არის გაკეთებული ენერგოდაზოგვის სპეციალური ევროსტანდარტის ENEN1601 მოთხოვნებისა და ევროპარლამენტის დირექტივების შესასრულებლად.რაც მთავარია, ენერგოდაზოგვის პრობლემების გადასაწყვეტად არ არის ჩამოყალიბებული ენერგოდაზოგვის მართვის ერთიანი კომპლექსური სისტემა და მას არ აქვს მიცემული გეგმაზომიერი ხასიათი.აღნიშნულით არის განპირობებული ის ფაქტი, რომ საქართველოში ენერგორესურსების მოხმარების ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად აღემატება მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპს, იმპორტირებული ენერგორესურსების ხვედრითი წილი ენერგორესურსების მოხმარებაში 70%-ს აჭარბებს.

საქართველოში ენერგოდაზოგვაში არსებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით სტატიაში შემოთავაზებულია პრაქტიკული რეკომენდაციები, რომელთა განხორციელება შესაძლებლობას მისცემს ქვეყანას 5-10 წელიწადში მნიშვნელოვნად შეამციროს ენერგორესურსების მოხმარება და მიაღწიოს ენერგორესურსების იმპორტის შემცირებას, მინიმუმ 30%-ით და აამაღლოს ენერგოუსაფრთხოება.

საკვანძო სიტყვები: ენერგოდაზოგვა; ენერგოტევადობა; მთლიანი შიდა პროდუქტი (მ.შ.პ); ენერგორესურსი; იმპორტი.

International experience of energy saving management and its Georgian perspectives

D. Japaridze
N. Giorgishvili
I. Bichiashvili

SUMMARY

In the article international experience in energy saving management is analyzed. Based on the scientific research, it is exposed that, almost in every developed country, energy saving problem-solving is handled according to the state policy. In these countries special national law has been adopted regarding the problem, state programs have been developed for effective implementation of long-term strategic plans. Energy saving special standard EN16001is published in Europe. In order to fully manage energy saving problem to process is managed according to scientifically established business model. As a result, such countries have achieved considerable results in energy resources consumption reduction. Energy resources consumption growth rate is significantly higher than the GDP growth rate.

Based on the studies held regarding energy saving in Georgia it was revealed, that mentioned problem is not treated deservedly. National law of energy saving is not still adopted, buildings' Energy Certification System is not set yet and almost nothing is done to meet EN16001 Euro Standard and Euro Parliament directive needs. That is why in Georgia energy resources consumption rate remarkably exceeds GDP growth rate and level of imported energy resources in total energy consumption is more than 70%.

In order to solve energy saving problems in Georgia special recommendations are proposed in the article, which will help Georgia considerably decrease energy consump-

tion, reduce level of imported energy resources by up to 30% and as a result raise level of energy safety of the country.

* * * * * *

ენერგოდაზოგვა წარმოადგენს მსოფლიო ენერგეტიკული პოლიტიკის ერთ-ერთ საკვანძო მიმართულებას. განვითარებულ ქვეყნებში ენერგეტიკულ საკითხებში უმაღლეს პრიორიტეტად მიჩნეულია მომხმარებლების მიერ ენერგიის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება-ენერგოდაზოგვა.[6,8,9]

ენერგოდაზოგვის მსოფლიო გამოცდილების ანალიზი და განზოგადება, გვიჩვენებს, რომ ყველაზე მეტი განვითარება ამ საკითხებმა მიიღეს აშშ-ი, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების ენერგოეფექტურობის ამაღლებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სკანდინავიის ქვეყნების გამოცდილება.[6,8] ამ მხრივ ყველაზე განვითარებული ქვეყანა დანიაა, რომელმაც 30 წლის განმავლობაში მთლიანი შიდა პროდუქტის მუდმივი ზრდის პირობებში ენერგიის მოხმარება შეინარჩუნა 1980 წლის დონეზე. ამ შედეგებს დანიამ მიაღწია ენერგოდაზოგვაში მთელი რიგი სტრატეგიული მიმართულებების რეალიზაციით. ქვეყანაში სახელმწიფო პოლიტიკურ დონეზეა გადაწყვეტილი ენერგიის მოხმარების შეზღუდვის ამოცანა. შექმნილია ერთიანი ენერგოდაზოგვის ქსელი. ყოველწლიურად ხდება სამშენებლო ნორმების გადახედვა. დანერგილია ენერგომოხმარების აუდიტი და სერთიფიცირების სისტემა. დიდი ყურადღება ექცევა მოსახლეობის ენერგოდაზოგვის სულისკვეთებით აღზრდას.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ ევროკავშირის დირექტივები შეტანილია ენერგოდაზოგვის არსებულ ეროვნულ კანონში (ნორმები). გერმანია წარმოადგენს ქვეყანას, რომელიც ძალზე აქტიურად იყენებს ენერგოდაზოგვის თანამედროვე ტექნოლოგიებს და ენერგიის ალტერნატიულ წყაროებს. ამ მხრივ საგულისხმოა ქ. ბერლინის გამოცდილება ენერგომატარებლებზე გააკეთოს ეკონომია ენერგიის ალტერნატიული წყაროების ხარჯზე. კერძო ინვესტორებს მიეცეთ საშუალება საზოგადოებრივი შენობების სახურავებზე განალაგონ 100000 m^2 -მდე მზის ბატარეები და მიღებული ენერგია მიაწოდონ ქალაქის ქსელს. 2007 წლიდან ბერლინის ადმინისტრაციავალდებულია საკუთარი საჭიროებებისათვის შეისყიდოს ისეთი ავტომანქანები, რომელთაც ბენზინის მოხმარება 100 კმ გარბენზე არ გადააჭარბებს 6,5 ლიტრს. ეს ზღვარი ამჟამად დაყვანილია 5 ლიტრამდე,კომპიუტერების და სხვა ელექტრონული ხელსაწყოების შესყიდვისას თავიანთი არჩევანი შეაჩერონ ელექტროენერგიის ყველაზე ნაკლებ მომხმარებელზე. გერმანიის, პოლონეთის, ლიტვის, ლატვიის და ბელარუსის ენერგოდაზოგვის პრობლემებზე მომუშავე ცნობილი მეცნიერები [6,7,13] პრობლემის გადაწყვეტის უმთავრეს პირობად თვლიან შენობების ენერგოეფექტურობის ამარლებისადმი კომპლექსურ მიდგომას. კომპლექსურმა მიდგომამ უნდა მოიცვას კარგად ცნობილი მყარი განვითარების სამი პრინციპი: ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ასპექტები.

დიდ ყურადღებას იმსახურებს ენერგოდაზოგვის აშშ-ს, იაპონიის, ჩინეთის, ნორვეგიის, ავსტრიის, შვეციის გამოცდილება.[9]

აშშ-ში 1997 წლიდან მოქმედებს ეროვნული პროგრამა: „მილიონი მზის სახურავი“. ამჟამად ასეთი სახურავები დამონტაჟებულია ათეულობით მილიონ სახლზე. ამ პროგრამის განხორციელებამ დიდი განვითარება ჰპოვა საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებზე.

იაპონიაში 1979 წლიდან მოქმედებს კანონი ენერგოდაზოგვის შესახებ. პირველ ეტაპზე ეს კანონი ეხებოდა სამრეწველო საწარმოებს. 2003 წლიდან ეს კანონი გაფართოვდა. ამჟამად მისი მოქმედება გავრცელებულია სხვა მსხვილ ენერგომომხმარებელ ობიექტებზე- დიდი საოფისე შენობები, უნივერმაღები, სასტუმროები და საავადმყოფოები. ნებისმიერი ორგანიზაცია რომელიც არ ასრულებს კანონის მოთხოვნებს ექვემდებარება მსხვილ დაჯარიმებას. იაპონიის მთავრობამ ყველა დიდი ენერგომომხმარებელი ობიექტის წინაშე დასვა ამოცანა დანერგონ სპეციალური ენერგოდამზოგი სისტემა და ამ გზით მიღწეულ იქნას ენერგორესურსების ეკონომია ქვეყნის საერთო წარმოების 3%-მდე.

ჩინეთის მთავრობის მიერ დასმულია ამოცანა ენერგოდანახარჯები მთლიან შიდა პროდუქტზე უახლოეს მომავალში შემცირდეს 30 %-ით. ანალოგიური ამოცანაა დასმული მსხვილი ენერგომომხმარებელი ობიექტების მიმართაც.

ნორვეგიაში ბევრი წლებია რეალიზდება განათლების პროგრამა ენერგოეფექტურობის ამაღლებასა და მისი რეალიზაციის უნარჩვევების ჩამოყალიბებაზე იმ პირთათვის, რომლებიც პასუხისმგებლები არიან შენობების ექსპლუატაციაში ენერგოეფექტურობის ამაღლებასა და ტექნოლოგიების განვითარებაზე.

ავსტრიაში არის შექმნილი სპეციალური ორგანო, რომელიც დახმარებას უწევს ორგანიზაციებს ენერგოდაზოგვის და ენერგოეფექტურობის საკითხების გადაწყვეტაში. ავსტრიის მთელი საზოგადოება აქტიურად უჭერს მხარს ენერგოდაზოგვითი ღონისძიებების გატარებას. პრობლემისადმი ასეთი მიდგომით ქვეყანამ მიაღწია ენერგორესურსების ეკონომიის ისეთ დონეს, რომ მისი გამოცდილება გახდა საერთაშორისოდ აღიარებული.

შვეციაში აწყობილია ენერგორესურსების გამოყენების კონტროლის მკაფიო სისტემა, სადაც ჯერ კიდევ 70-იან წლებში იქნა მიღებული ენერგოდაზოგვის პირველი პროგრამა. ამ პროგრამის დანერგვა ასახულია ენერგომომხმარებლებისათვის აუცილებელ დეკლარაციებში. ენერგორესურსების გამოყენებაზე შემუშავებულია შენობების ენერგოპასპორტები, საქონლის და კვების პროდუქტების მარკირება.

გარდა ამისა საჯარო მოხელეები აქტიურად იყენებენ ეკონომიკური სტიმულირების ფორმებს ალტერნატიული და არატრადიციული ენერგიის წყაროების გამოყენებაზე. სახელმწიფოს მიერ ხორციელდება სუფსიდირება ძველი შენობების რეკონსტრუქციაზე. გაადვილებულია ნებართვების მიღება ქარის ელექტროსადგურების მშენებლობაზე. პრაქტიკაში ფართოდ არის დანერგილი მართვის ადმინისტრაციული მეთოდები.

ამ ქვეყანაში მშენებლობის განვითარებაში ენერგოეფექტურობის ამაღლება გახდა ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ბოლო 15-20 წლის განმავლობაში. ეს ასახულია სამშენებლო კომპლექსის ენერგოდაზოგვის ამოცანებში ნორმატიული დოკუმენტების სახით. ნებისმიერი ორგანიზაცია ვალდებულია ახლის მშენებლობა, არსებულის რეკონსტრუქცია და რემონტი განახორციელოს ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების უზრუნველყოფის და ენერგომომარაგების სისტემების სრულყოფით.

ევროპული ქვეყნების და რუსეთის გამოცდილების საფუძველზე[6] უკრაინის საპროექტო ორგანიზაციებში დამუშავებულია უკრაინული სამშენებლო ნორმები NNNo ენერგოდაზოგვის საკითხები ყველაზე ინტენსიურად ვითარდება რუსეთში, [6] სადაც მიღებულია მთელი რიგი საკანონმდებლო აქტები. სამთავრობო დონეზე დამუშავებულია ენერგეტიკული სტრატეგია, რომელშიც განსაზღვრულია ენერგეტიკული პოლიტიკის მიზნები და ამოცანები. შენობების და ნაგებობების ენერგოეფექტურობის ნორმების კონცეფცია ითვალისწინებს ნორმატიულ-მეთოდიკური დოკუმენტების სისტემის დამუშავებას და კორექტირებას.

ენერგოდაზოგვის პოლიტიკის გატარებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ბელორუსიის გამოცდილება. ამ ქვეყანაში სახელმწიფო დონეზე შემუშავებულია შენობების სერტიფიცირების სახელმწიფო პროგრმადა შექმნილია შენობების სერთიფიცირების სპეციალური ორგანო. შენობების ენერგეტიკული სერთიფიკაციის დანერგვას აქვს მთელი რიგი უპირატესობები. პირველ რიგში ენერგოაუდიტთან შედარებით იგი წარმოადგენს ენერგოეფექტურობის შეფასების უფრო ხელმისაწვდომ და ნაკლებად ხარჯიანს, მეორეს მხრივ იგი აძლევს სტიმულს ორგანიზაციებს ინვესტირება განახორციელონ საკუთარ შენობებში ენერგოდაზოგვის ღონისძიებებზე. ამ სფეროში მთავარ მარეგლამენტირებლ დოკუმენტს წარმოადგენს ევროპარლამენტის და საბჭოს დირექტივები 2010/31/EEC, „შენობების ენერგეტიკული მახასიათებლების შესახებ“.

ამჟამად მსოფლიოში [7,8,10,13] შეინიშნება სწრაფვა შენობების სრულ მონიტორინგზე: შიგა ტემპერატურაზე, სითბოს, ელექტროენერგიის და წყლის ხარჯვაზე. ამ მიმართულების მართვის სისტემის დანერგვა საშუალებას იძლევა ოპტიმალურად წარიმართოს სამეურნეო სამსახურის მუშაობა. მიღწეულ იქნეს ენერგიის დანახარჯების მაქსიმალური შემცირება.

ზემოთ მითითებული ევროპული დირექტივის „შენობების ენერგეტიკული მახასიათებლების შესახებ“, რეალიზაცია არის ინსტრუმენტი შენობების ენერგოეფექტურობიის ამაღლების ინსტრუმენტი. მას აქვს დიდი მნიშვნელობა, ვინაიდან საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები წარმოადგენენ ენერგიის მსხვილ ენერგომომხმარებლებს. შენობების ენერგოდაზოგვის მართვის საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების ენერგომოხმარების სტრუქტურაში ელექტროენერგიის ხარჯის წილი განათების სისტემაზე შეადგენს 70-80 %-ს. ამ ციფრებში ჩადებულია მისი ეკონომიის უდიდესი პოტენციალი. არსებობს ხელოვნურ განათებაზე ენერგომოხმარების რაციონალიზაციის ექსტენსიური და ინტენსიური ხერხები.[10] პირველი მდგომარეობს იმაში, განათების ეფექტიანობის ამაღლება ხდება უშუალოდ განათების ახალი კვების წყაროების და მოწყობილობების ფართოდ დანერგვით. განათებისსისტემაში დანადგარების ენერგოეფექტურობის ამაღლება ხდება არსებული სანათების ტექნიკური ექსპლუატაციის რეჟიმების ოპტიმიზაციის ხარჯზე. განათების დანადგარების ავტომატური მართვა საშუალებას იძლევა განხორციელდეს სრული კონტროლი ელექტროენერგიის მოხმარებაზე.

საზოგადოებრივი შენობების განათებაზე ელექტროენერგიის ეკონომიის ყველაზე ეფექტურ საშუალებად მიჩნეულია [10] შუქდიოდური განათების სისტემის დანერგვა, რომელიც ელექტროენერგიის მოხმარებას ამცირებს ორჯერ და მეტად. თუმცა განათების ამ სისტემის დანერგვა დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან. ამ ხარჯების არ არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია ჩატარდეს საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების განათებაზე ელექტროენერგიის განათების სისტემების მოდერნიზაცია. რომელიც ელექტროენერგიის ეკონომიაში იმავე შედგეს იძლევა.

საქართველოში ენერგოეფექტურობის პოლიტიკის გატარების თვალსაზრისით გარკვეული სამუშაოებია ჩატარებული. ქვეყანაში ენერგოეფექტური ტექნოლოგიების გამოყენებისა და ენერგიის დაზოგვის [2] არსებული პოტენციალის შეფასება პირველად ჩატარდა 1997-1999 წლებში საქართველოს ელექტროენერგეტიკის სექტორის ოპტიმალური განვითარების პროექტის ფარგლებში. შეფასებები მოიცავდა ეფექტური ტექნოლოგიების სტანდარტულ პაკეტებს ცალ-ცალკე მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო სექტორისათვის. მრეწველობის სექტორისათვის ეს იყო ცვლადსიჩქარიანი ელექტრული ამძრავის გამოყენება, ტრანსფორმატორების სიმძლავრეებისა და მუშაობის რეჟიმების ოპტიმიზაცია, შეკუმშული ჰაერის მიწოდების ქსელის დეცენტრალიზაცია და მცირე ზომის კომპრესორების დაყენება მაღალი სიმძლავრის დაუტვირთავი კომპრესორების ნაცვლად, რეაქტიული სიმძლავრის კომპენსატორების და ძრავების გადატვირთვისაგან დაცვის მოწყობილობების გამოყენება, ენერგორესურსების

ელექტრონული ხარჯსაზომი სისტემების, ენერგოდამზოგი განათებისა და ელექტროგენერაციის ეკონომიური დეცენტრალიზებული სისტემების გამოყენება და სხვა. შეფასებებმა აჩვენა, რომ აღნიშნული სისტემების ეტაპობრივი დანერგვით 2005 წელს მრეწველობის სექტორში შესაძლებელი იქნებოდა დაზოგილიყო მინიმუმ 200 მლნ.კვტ.სთ ელექტროენერგია. საყოფაცხოვრებო სექტორისათვის ენერგოეფექტური ღონისძიებების პაკეტი მოიცავდა ელექტროენერგიის მოხმარების აღრიცხვისა და დახარჯული ელექტროენერგიის საფასურის გადახდის სისტემის მოწესრიგებას, ბინებიდან სითბური დანაკარგების შემცირებას ორმაგი შემინვის ან ე.წ. დათბუნების გზით, განათების ენერგოდამზოგი-კომპაქტური ფლუორესცენციური ნათურების გამოყენება, თბურ ტუმბოებზე დაფუძნებული სითბო-სიცივით მომარაგების სისტემებისა და მაღალეფექტური ელექტროხელსაწყოების გამოყენებას, განახლებადი ენერგიის წყაროებისა და გეოთერმული წყლის გამოყენებას. მოგვიანებით საქართველოში შეიქმნა სააგენტოს ტიპის სამსახური - ენერგოეფექტურობის ცენტრი, რომელმაც ჩაატარა მნიშვნელოვანი სამუშაოები სამრეწველო საწარმოების ენერგოაუდიტში, ასევე დაამუშავა და შეადგინა ენერგოაუდიტის ჩატარების მეთოდიკა.

ენერგოეფექტურობის პროექტების ფართომასშტაბიანი შესრულება საქართველოში დაიწყო 2000 წელს USAID-ის პროგრამის ფარგლებში კომპანია Hagler Bailly-ის მიერ (მოგვიანებით ეს პროექტები გააგრძელა კომპანიამ PA Consulting) სამუშაოების მენეჯმენტი განახორციელა ინჟინერ-ენერგეტიკოსთა ასოციაციამ (GAEE), მთავარი კონტრაქტორის სტატუსით, რომელიც შეიქმნა 1998 წელს და მისი ძირითადი ბირთვი დაკომპლექტებული იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის პროფესორებით. ეს ასოციაცია 1998 წლიდან წარმოადგენს აშშ-ს ინჟინერ-ენერგეტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის ქვედანაყოფს.

ასოციაციის წევრები, როგორც ექსპერტები, კონსულტანტები, მენეჯერის ასისტენტები და ძირითადი შემსრულებლები, აქტიურად თანამშრომლობენ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, კომპანიებთან, კონტრაქტორებთან, ინვესტორებთან და პარტნიორებთან. სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ საქართველოში განხორციელებულ USAIDD-ის პროგრამებში („თანამედროვე დამზოგი ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და განათების ინიციატივა“, „ენერგეტიკის განვითარება სოფლად“, „ენერგეტიკის სექტორის შესაძლებლობების გაუმჯობესების პროექტი“, „ენერგოეფექტურობის პროგრამა“ და სხვა.). USAID-ის კონტრაქტორებთან -PA Consulting Group, Hagler Bailly Co da Winrock International,ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივა“ და კავშირთან „ენერგოეფეტქურობის ცენტრი საქართველო“ ერთად, მათი უშუალო მონაწილეობით ქ. თბილისში და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განხორციელდა ენერგოეფექტურობის 100-ზე მეტი საპილოტო პროექტი და დაინერგა ენერგოდამზოგი ტექნოლოგიები საყოფაცხოვრებო, სასწავლო-საგანმანათლებლო, სამედიცინო, კომერციულ და სამრეწველო სექტორებში.

ენერგოეფექტურობის ამაღლების პრობლემები მაღალ თეორიულ და პრაქტიკულ დონეზე აქვს დამუშავებული სტუ-ს ენერგეტიკის და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტზე მომუშავე მეცნიერთა ჯგუფს [1,2,3]. მათ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების პრაქტიკაში გამოყენება საშუალებას იძლევა ამ სფეროში მიღწეულ იქნას მნიშვნელოვანი პროგრესი.

როგორც ზემოთ მოყვანილი ანალიზი გვიჩვენებს, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანად არის მიჩნეული ენერგოდაზოგვის უზრუნველყოფა. ამ მიმართულებით მუშაობა აყვანილია სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე და მიცემული აქვს გეგმაზომიერი და კომპლექსური ხასიათი. შემუშავებულია სპეციალური სტანდარტები, ჩამოყალიბებულია ნორმატიული ბაზა, გადაწყვეტილია ენერგორესურსების ეკონომიურად მოხმარების საკითხები. საქართველოში ენერგოდაზოგვის მართვის პრობლემების სიღრმისეული შესწავლით გამოირკვა, რომ ამ მიმართულებით, ზემოთ მოყვანილი ღონისძიებების განხორციელებამ სათანადო შედეგი ვერ გამოიღო. ვინაიდან ქვეყანაში აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა არ არის აყვანილი სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე. დღემდე არ არის მიღებული ენერგოდაზოგვის შესახებ კანონი, არ არის შემუშავებული ენერგოდაზოგვის სტრატეგიული გეგმა და მისი განხორციელების გრძელვადიანი სახელმწიფო პროგრამა. არ არის გატარებული ქმედითი ღონისძიებები ენერგოდაზოგვის სპეციალური სტანდარტის EN1600, ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს დირექტივების 2010/31/,EC „შენობების ენერგეტიკული მახასიათებლების შესახებ“. დასანერგად რაც მთავარია, ქვეყანაში არ არის ჩამოყალიბებული ენერგოდაზოგვის მართვის ერთიანი კომპლექსური სისტემა. ქვეყანაში ენერგოდაზოგვის მდგომარეობის რეალური შეფასების მიზნით შესწავლილი იქნა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის მ.შ.პ-ის ენერგოტევადობის მაჩვენებელი [15]. ანალიზის შედეგები შეტანილია ცხრილ 1-ში.

ცხრილი 1

მ.შ.პ-ის ენერგოტევადობის მაჩვებლები ქვეყნების მიხედვით 2015 წლის მდგომარეობით.

№	ქვეყნები	მ.შ.პ-ის ენერგოტევადობა (ტ.პ.ს./1000$)
1	ა.შ.შ.	0,154
2	კანარის კუნძულები	0,239
3	იაპონია	0,116
4	გერმანია	0,106
5	საფრანგეთი	0,118
6	დიდი ბრიტანეთი	0,092

7	ბრაზილია	0,122
8	რუსეთი	0,243
9	იტალია	0,088
10	ინდოეთი	0,166
11	კანადა	0,189
12	ავსტრალია	0,144
13	ესპანეთი	0,088
14	მექსიკა	0,104
15	კორეის რესპუბლიკა	0,177
16	ინდონეზია	0,201
17	თურქეთი	0,091
18	ნიდერლანდები	0,120
19	საუდის არაბეთი	0,271
20	შვეიცარია	0,069
21	შვეცია	0,138
22	ნორვეგია	0,116
23	ბელგია	0,148
24	პოლონეთი	0,133
25	სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა	0,260
26	ტაილანდი	0,200
27	გაერთიანებული არაბეთის ემირატები	0,176
28	ვენესუელა	0,074
29	ნიგერია	0,301
30	ეგვიპტე	0,147
31	პაკისტანი	0,183
32	კატარი	0,166
33	ქუვეითი	0,241
34	უკრაინა	0,426
35	ვიეტნამი	0,215
36	ბანგლადეში	0,126
37	მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელი	0,257
38	საქართველო	0,340

ცხრილში 1-ში ნათლად ჩანს, რომ საქართველოში 2015 წლის მდგომარეობით მთლიანი შიდა პროდუქტის ენერგოტევადობის მაჩვენებელი 1,3 ჯერ აღემატება მსოფლიო ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს. პრობლემის თვალსაჩინოდ წარმოდგენისათვის ჩატარდა საქართველოში მ.შ.პ-ის ენერგომოხმარების და ენერგოტევადობის ზღვრული ზრდის ტემპების პროგნოზული ანალიზი,[4,5]. ჩატარებული კვლევით მიღებული პროგნოზული მაჩვენებლები ასახულია ცხრილ 2 და გრაფიკ 1-ზე.

ცხრილი 2

მ.შ.პ-ის, ენერგორესურსების მოხმარების და ენერგოტევადობის პროგნოზული ცვალებადობის %-ლი მაჩვენებლები 2012-2020 წწ.

წლები	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
მ.შ.პ-ის ზრდის ტემპი %	6,4	3,3	4,7	3	3,5	5	4,7	4,9	5
ენერგორესურსების მოხმარების ზრდის ტემპი %	5	7	7	4	5	7	5	3,4	6
ენერგოტევადობის ზრდის ტემპი %	0,8	2,1	1,5	1,3	1,4	1,4	1,2	0,7	1,2

გრაფიკი 1. მ.შ.პ-ის, ენერგორესურსების მოხმარების და ენერგოტევადობის პროგნოზული ცვალებადობის %-ლი მაჩვენებლები 2012-2020 წწ.

გრაფიკი 1-ზე ნათლად ჩანს, რომ საქართველოში ენერგომოხმარების ზრდის ტემპი წინ უსწრებს მ.შ.პ-ის ზრდის ტემპს და უახლოეს მომავალში არ არის მოსალოდნელი მ.შ.პ-ის ენერგოტევადობის მნიშვნელოვანი შემცირება, რაც აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყანაში ენრგოდაზოგვის უზრუნველსაყოფად ჩატარებული მუშაობა არაეფექტურია და აქედან გამომდინარე, სამომავლოდ ენერგოდაზოგვის პრობლემის გადაწყვეტისადმი არსებითად ახალი მიდგომა და ეფექტური ღონისძიებების გატარება იქნება საჭირო.

დასკვნები და რეკომენდაციები

1. ენერგოდაზოგვის მართვის საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ მსოფლიოს უკლებლივ ყველა ქვეყნისათვის, ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად მიჩნეულია ენერგორესურსების მაქსიმალური დაზოგვა. იმ ქვეყნებმა, სადაც ენერგოდაზოგვის პრობლემის გადაწყვეტა სახელმწიფო პოლიტიკის დონეზეა აყვანილი მიაღწიეს მნიშვნელოვან შედეგებს;

2. 2030 წლისათვის მსოფლიოში არსებული ეკონომიკის პირობებშიც, მოსალოდნელია ენერგომოხმარების გაორმაგება ნებისმიერი ქვეყნისათვის. მითუმეტეს საქართველოსთვის, აუცილებელია ენერგოდაზოგვის გრძელვადიანი სტრატეგიის და მისი განხორციელების კომპლექსური პროგრამის შემუშავება. ენერგოდაზოგვის სტრატეგიულ ამოცანები უნდა გადაწყდესშემდეგი პრინციპების საფუძველზე:

*ენერგომოხმარების შემცირება მიღწეული უნდა იყოს სახალხო მეურნეობის ენერგოდაზოგვის სტრუქტურული გადაწყობით;

*საყოფაცხოვრებო მომსახურეობაში ფართოდ დაინერგება ენერგომომარაგების რეჟიმების ოპტიმალური მართვის და განათების ეკონომიკური სისტემების ფართოდ დანერგვით;

*პრაქტიკაში რეალიზებული უნდა იყოს მეცნიერულად დასაბუთებული ენერგოდაზოგვის მენეჯმენტის ოპტიმალური მოდელი;

3. სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტად უნდა იქნეს მიჩნეული საქართველოში PDCA მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული ენერგოდაზოგვის ევროპული სტანდარტის ENEN 1601 დანერგვა. ეს სტანდარტი უპირველეს ყოვლისა წარმოადგენს ბიზნეს მოდელს, რომელიც იძლევა შესაძლებლობას განხორციელდეს არა მხოლოდ ენერგოდანახარჯების ოპტიმალური მართვა, არამედ ორგანიზაციაში დაინ-

ერგოს პროცესების ცვალებადობა ქცევით დონეზე, ამასთან აიძულოს ხელმძღვანელობა ენერგოდაზოგვის საკითხები განიხილოს ყოველდღიურ რეჟიმში.

4. საქართველოში ენერგოდაზოგვის პრობლემის ევროკავშირის დირექტივების და ევროსტანდარტის ENEN 1601 მოთხოვნების დონეზე გადაწყვეტისათვის აუცილებელია მიღებულ იქნას ენერგოდაზოგვის შესახებ ეროვნული კანონი, რომელშიც მკაფიოდ იქნება გაწერილი ენერგოდაზოგვის პოლიტიკის განხორციელებაში ენერგომომხმარებელი ორგანიზაციების უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა. გათვალისწინებული იქნება წახალისების ფორმები;

5. ქვეყანაში, შესაძლებლად შემჭიდროვებულ ვადებში უნდა დაინერგოს ენერგოეფექტურობის, ეკოლოგიის და დიზაინის თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების დაპროექტების კომპლექსური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზით და სპეციალური ტექნიკური რეგულირებით;

6. ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს დირექტივების 2010/31/EC, „შენობების ენერგეტიკული მახასიათებლების შესახებ“, მოთხოვნების შესაბამისად საქართველოში უნდა დაინერგოს, როგორც არსებული, ისე ასაშენებელი შენობების ენერგეტიკული სერტიფიცირების სისტემა. ამ მიზნით უნდა შემუშავდეს შენობების სერტიფიცირებისთვის სახელმწიფო პროგრამა და შეიქმნას სერტიფიცირების სპეციალური ორგანო.

7. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში შენობების განათებაზე მოდის დახარჯული ელექტროენერგიის 40%-ზე მეტი, აუცილებელია ჩატარდეს შენობების განათების სისტემის სრული მოდერნიზაცია, პირველ რიგში იგი უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივი შენობების და გარე განათების სისტემაში. იმის გამო, რომ ქვეყანას არ გააჩნია ფინანსური შესაძლებლობები არსებული სანათები მასიურად უნდა შეიცვალოს შუქდიოდური სანათებით. განათების სისტემის მოდერნიზაცია შესაძლებელია ჩატარდეს რეალპინგის გზით. ევროპული ქვეყნების მსგავსად საკანონმდებლო დონეზე უნდა აიკრძალოს განათების სისტემაში არაეკონომიური სანათების გამოყენება.

8. საქართველოში უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს სპეციალური სახელმწიფო პროგრამა საქართველოში ენერგორესურსების იმპორტის შესამცირებლად. ამ მხრივ წინა პლანზე უნდა წამოიწიოს საყოფაცხოვრებო მომსახურეობაში არატრადიციული ენერგეტიკული წყაროების გამოყენების ფართოდ დანერგვამ. საავტომობილო პარკის გეგმაზომიერი განახლება წყალბადზე, ელექტროენერგიაზე მომუშავე და ჰიბრიდული ავტომობილებით. ამ პრობლემის გადაწყვეტა სახელმწიფო დონეზე უნდა იყოს აყვანილი.

9. ქვეყნის წინაშე მდგომი ენრგორესურსების დაზოგვის მხრივ არსებული პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების ერთიან კომპლექსში, სისტემური და გეგმაზომიერი განხორციელება. ენერგოდაზოგვის ერთიანი სახელმწიფო პროგრამის სახით ჩამოყალიბება და მის შესრულებაზე მკაცრი სახელმწიფო კონტროლის დაწესება. მუშაობის ასეთი სახით წარმართვის შემთხვევაში საქართველოში შესაძლებელია ბოლო 5-10 წელიწადში იმპორტირებული ენერგეტიკული რესურსების მოხმარება შეამციროს მინიმუმ 30 %-ით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ.არაბიძე, მ.გუდიაშვილი, ო. კიღურაძე, ი.ლომიძე, თ.ჯიშკარიანი. ენერგოაუდიტი სამრეწველო სექტორში. დამხმარე სახელმძღვანელო. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბილისი 2011 წ.
2. რ.კანდელაკი, თ.ჯიშკარიანი, თ.მიქიაშვილი, დ.კიღურაძე. «ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის პრაქტიკა და პერსპექტივები საქართველოში » სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „ენერგია“. 2005. №1(33), გვ.17-20;
3. თ. მიქიაშვილი. „ენერგოაუდიტი“. სახელმძღვანელო. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი 2010 წ.
4. ნ.გიორგიშვილი.“სტატისტიკური ანგარიშგების ანალიზის საფუძველზე საქართველოს ენერგეტიკუი ბალანსის სტრუქტურის საშუალოვადიანი საპროგნოზო პარამეტრების განსაზღვრა“. სადოქტორო დისერტაცია. სტუ, 2011 წელი.
5. სტატისტიკური წელიწდეული. www.geostat.ge.
6. Андреенко Н. А.“Международный опыт повышения энергоэффективности зданий”. Сборник материалов. 2012
7. Гудим А.С. Марущенко С.Г. Ульянова Т.В. ПУТИ СНИЖЕНИЯ ЭНЕРГОПОТРЕБЛЕНИЯ СИСТЕМ ОСВЕЩЕНИЯ ОБЩЕСТВЕННЫХ ЗДАНИИ. Журнал: Электротехнические комплексы и системы управления. №1/ 2015 г.
8. Мировой опыт энергосбережения. Web-site: www.school639.spb.ru
9. Опыт стран Европы и Азии в энергосбережения. Web-site: www.energosovet.ru
10. Освещение для офиса. Способ снизить энергопотребление. Web-site: www.svitlotek.com
11. Петухова С. Ю. Экономия электроенергии при внутреннем освещении административных обьектов и общественных зданий. ДЭП- единственный на Дальнем Востоке журнал для потребителей энергии. 2004 г. Web-site:dalenergy.ru
12. Повышение энергоэффективности учреждений образования Республики Беларусь: исследования, анализ, рекомендации. Сборник материалов. Минск, 2012
13. Фомин А.Г. Исследование и оптимизация энергопотребления в установках совмещенного освещения с автоматическим управлением. АВТОРЕФЕРАТ ДИСЕРТАЦИИ. 2000 г.
14.Энергосбережение – путь повышения эффективности экономики. Web-site:www.fluitech.com
15.Энергоемкость ВВП зависит от структуры экономики. 2013 г.http://www.ray-idaho.ru

ოთხფაზა ელექტროგადაცემის სადენთა ინდუქციურობა და ტევადობა

არკადი რიკრიკაძე, სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

ჩატარებულია 4 — ფაზა ელექტროგადაცემის სადენთა ინდუქციურობისა და ტევადობის გაანგარიშება. მიღებულია ამ პარამეტრთა საანგარიშო გამოსახულე-ბები. ჩატარებულია მიღებული პარამეტრების შედარებითი ანალიზი 3-ფაზა ელექ-ტროგადაცემის სადენთა ანალოგიურ პარამეტრებთან მიმართებაში.

საკვანძო სიტყვები: ოთხფაზა, ელექტროგადაცემა, სადენი, ინდუქციურობა, ტევადობა.

Индуктивность и емкость четырехфазной линий электропередачи

Аркадий Рикрикадзе

Резюме

В статье проведены расчеты индуктивностей и емкостей проводов электропе редачи 4-х фазного тока.Проведен сравнительный анализ полученных параметров с аналогичними параметрами электропередачи 3–х фазного тока.

Ключевые слова : двухфазный ,четырехфазний, электропередача, провод, индуктивность, емкость.

The inductance and capacitance of a four-phase power lines

Arkadi Rikrikadze

Summary

The article presents calculations of inductances and capacitances of wires of electric 4-phase AC. A comparative analysis of the parameters with similar parameters power 3-phase current.

Keywords: two-phase, three-phase, power, wire inductance, capacitance.

შესავალი

ძირითადი ნაწილი

მრავალფაზა ელექტროგადაცემის თითოეულ სადენში ინდუქცირდება ამავე სადენში გამავალი დენით განპირობებული თვითინდუქციის ე.მ.ძ.. და დანარჩენ სადენში გამავალი დენებით განპირობებული ურთიერთინდუქციის ე.მ.ძ. [1].

განვიხილოთ 4-ფაზა 4-სადენიანი ელექტოგადაცემის ხაზი (ნახ1,ა), რომლის სადენებში გამავალი დენების ვექტორულ დიაგრამას აქვს ნახ.1,ბ-ზე ნაჩვენები სახე.



ნახ.1.

თითოეულ სადენში ძაბვის ვარდნის საანგარიშო გამოსახულება ჩავწეროთ სიმბოლური მეთოდის გამოყენებით და გვაქვს:

$$U_1 = (r + j\omega L)I_1 + j\omega M_{1,2}I_2 + j\omega M_{1,3}I_3 + j\omega M_{1,4}I_4$$

$$U_2 = (r + j\omega L)I_2 + j\omega M_{2,3}I_3 + j\omega M_{2,4}I_4 + j\omega M_{2,1}I_1$$

$$U_3 = (r + j\omega L)I_3 + j\omega M_{3,4}I_4 + j\omega M_{3,1}I_1 + j\omega M_{3,2}I_2$$

$$U_4 = (r + j\omega L)I_4 + j\omega M_{4,1}I_1 + j\omega M_{4,2}I_2 + j\omega M_{4,3}I_3$$

ნახ.1,ბ ვექტორული დიაგრამის თანახმად, ვწერთ:

$$U_1 = [r + j\omega(L - jM_{1,2} - M_{1,3} + jM_{1,4}]\, I_1$$

$$U_2 = [r + j\omega(L - jM_{2,3} - M_{2,4} + jM_{2,1}]\, I_2$$

$$U_3 = [r + j\omega(L - jM_{3,4} - M_{3,1} + jM_{3,2}]\, I_3$$

$$U_4 = [r + j\omega(L - jM_{4,1} - M_{4,2} + jM_{4,3}]\, I_4$$

მრგვალ ფრჩხილებში მდგომი გამოსახულებები შეიძლება განვიხილოთ როგორც თითოეული სადენის ეკვივალენტური ინდუქციურობა, შესაბამისად:

$$L_1^{'} = (L - jM_{1,2} - M_{1,3} + jM_{1,4})$$

$$L_2^{'} = (L - jM_{2,3} - M_{2,4} + jM_{2,1})$$

$$L_3^{'} = (L - jM_{3,4} - M_{3,1} + jM_{3,2})$$

$$L_4^{'} = (L - jM_{4,1} - M_{4,2} + jM_{4,3})$$

ℓ სიგრძისა და R რადიუსის სადენის L თვითინდუქციურობა გამოითვლება გამოსახულებით [1]

$$L = L_{gare} + L_{Siga} = \frac{\mu_0 \ell}{2\pi}\left(\ell n \frac{2\ell}{R} - 1\right) + \frac{\mu \ell}{8\pi}$$

სადაც : μ_0 - მაგნიტური ველის მუდმივა

$\mu_0 = 1{,}256 \cdot 10^{-6}$ hn/m

μ - სადენის მასალის აბსოლიტური მაგნიტური შეღწევადობა (ფერადი ლითონებისათვის $\mu = \mu_0$).

შესაბამისად, 1 კმ სიგრძის ამ სადენის შიგა ინდუქციურობა

$$L_{0,\text{Siga}} = \frac{1{,}256 \cdot 10^{-6}}{8 \cdot 3{,}14} = 0{,}05 \cdot 10^{-3} \text{ hn/km}$$

ანუ სადენის შიგა რეაქტიული წინაღობა

$$x_{0,\text{Siga}} = \omega L_{0,\text{Siga}} = 0{,}0157 \text{ omi/km.}$$

D მანძილზე დაშორებული ℓ სიგრძის ($D << \ell$) პარალელური სადენების ურთი-ერთინდუქციურობა

$$M = \frac{\mu_0 \ell}{2\pi}\left(\ell n \frac{2\ell}{D} - 1\right).$$

ბოლო ორი გამოსახულების გათვალისწინებით სადენთა ეკვივალენტური ინდუქციურობის საანგარიშო გამოსახულებები ჩაიწერება შემდეგ სახეში

$$L_1' = \frac{\mu_0 \ell}{2\pi}\left(\ell n \frac{2\ell}{R} - 1\right) + \frac{\mu \ell}{8\pi} - j\frac{\mu_0 \ell}{2\pi}\left(\ell n \frac{2\ell}{D_{1,2}} - 1\right) - \frac{\mu_0 \ell}{2\pi}\left(\ell n \frac{2\ell}{D_{1,3}} - 1\right) + j\frac{\mu_0 \ell}{2\pi}\left(\ell n \frac{2\ell}{D_{1,4}} - 1\right)$$

$$L_2' = \frac{\mu_0 \ell}{2\pi}\left(\ell n \frac{2\ell}{R} - 1\right) + \frac{\mu \ell}{8\pi} - j\frac{\mu_0 \ell}{2\pi}\left(\ell n \frac{2\ell}{D_{2,3}} - 1\right) - \frac{\mu_0 \ell}{2\pi}\left(\ell n \frac{2\ell}{D_{2,4}} - 1\right) + j\frac{\mu_0 \ell}{2\pi}\left(\ell n \frac{2\ell}{D_{2,1}} - 1\right)$$

$$L_3' = \frac{\mu_0 \ell}{2\pi}\left(\ell n \frac{2\ell}{R} - 1\right) + \frac{\mu \ell}{8\pi} - j\frac{\mu_0 \ell}{4\pi}\left(\ell n \frac{2\ell}{D_{3,4}} - 1\right) - \frac{\mu_0 \ell}{4\pi}\left(\ell n \frac{2\ell}{D_{3,1}} - 1\right) + j\frac{\mu_0 \ell}{4\pi}\left(\ell n \frac{2\ell}{D_{3,2}} - 1\right)$$

$$L_4' = \frac{\mu_0 \ell}{2\pi}\left(\ell n \frac{2\ell}{R} - 1\right) + \frac{\mu \ell}{8\pi} - j\frac{\mu_0 \ell}{4\pi}\left(\ell n \frac{2\ell}{D_{4,1}} - 1\right) - \frac{\mu_0 \ell}{4\pi}\left(\ell n \frac{2\ell}{D_{4,2}} - 1\right) + j\frac{\mu_0 \ell}{4\pi}\left(\ell n \frac{2\ell}{D_{4,3}} - 1\right)$$

ანუ 1 კმ სიგრძის სადენის ეკვივალენტური ინდუქციურობა

$$L_1' = \frac{\mu_0}{2\pi}\ell n \frac{D_{1,3}}{R} + \frac{\mu}{8\pi} + j\frac{\mu_0}{2\pi}\ell n \frac{D_{1,2}}{D_{1,4}}$$

$$L_2' = \frac{\mu_0}{2\pi}\ell n \frac{D_{2,4}}{R} + \frac{\mu}{8\pi} + j\frac{\mu_0}{2\pi}\ell n \frac{D_{2,3}}{D_{2,1}}$$

$$L_3' = \frac{\mu_0}{2\pi}\ell n \frac{D_{3,1}}{R} + \frac{\mu}{8\pi} + j\frac{\mu_0}{2\pi}\ell n \frac{D_{3,4}}{D_{3,2}}$$

$$L_4' = \frac{\mu_0}{2\pi}\ell n \frac{D_{4,2}}{R} + \frac{\mu}{8\pi} + j\frac{\mu_0}{2\pi}\ell n \frac{D_{4,1}}{D_{4,2}}$$

მივიღეთ, რომ სადენის ეკვივალენტური ინდუქციურობა, ზოგადად, კომპლე-ქსური სიდიდეა. მისი ნამდვილი ნაწილი, გამრავლებული $j\omega -$ ზე, გვაძლევს 1 კმ სიგრძის ამ სადენის რეაქტიულ წინაღობას, ხოლო წარმოსახვითი ნაწილი, გამრავ-ლებული $j\omega -$ ზე, გვაძლევს 1 კმ სიგრძის ამავე სადენის აქტიურ დამა-ტებით (ომური წინაღობის ზევით) წინაღობას. 50 ჰერცი ცვლადი დენის საჰაერო ხაზების ალუმინის სადენებისათვის გვაქვს:

$$x_{0,1} = 0{,}0628 \cdot \ell n \frac{D_{1,3}}{R} + 0{,}0157 \text{ ომი/კმ}, \quad r_{0,1,\text{დამატ.}} = 0{,}0628 \cdot \ell n \frac{D_{1,2}}{D_{1,4}} \text{ ომი/კმ};$$

$$x_{0,2} = 0{,}0628 \cdot \ell n \frac{D_{2,4}}{R} + 0{,}0157 \text{ ომი/კმ}, \quad r_{0,2,\text{დამატ.}} = 0{,}0628 \cdot \ell n \frac{D_{2,3}}{D_{2,1}} \text{ ომი/კმ};$$

$$x_{0,3} = 0{,}0628 \cdot \ell n \frac{D_{3,1}}{R} + 0{,}0157 \text{ ომი/კმ}, \quad r_{0,3,\text{დამატ.}} = 0{,}0628 \cdot \ell n \frac{D_{3,4}}{D_{3,2}} \text{ ომი/კმ};$$

$$x_{0,4} = 0{,}0628 \cdot \ell n \frac{D_{4,2}}{R} + 0{,}0157 \text{ ომი/კმ}, \quad r_{0,4,\text{დამატ.}} = 0{,}0628 \cdot \ell n \frac{D_{4,1}}{D_{4,3}} \text{ ომი/კმ};$$

თუ ნატურალური ლოგარითმიდან გადავალთ ათობით ლოგსრითმზე, მივიღებთ

$$x_{0,1} = 0{,}145 \cdot \ell g \frac{D_{1,3}}{R} + 0{,}0157 \text{ ომი/კმ}, \quad r_{0,1,\text{damat.}} = 0{,}145 \cdot \ell g \frac{D_{1,2}}{D_{1,4}} \text{ ომი/კმ}; \qquad (5)$$

$$x_{0..2} = 0{,}145 \cdot \ell g \frac{D_{2,4}}{R} + 0{,}0157 \text{ ომი/კმ}, \quad r_{0,2,\text{დამატ.}} = 0{,}145 \cdot \ell g \frac{D_{2,3}}{D_{2,1}} \text{ ომი/კმ}; \qquad (6)$$

$$x_{0..3} = 0{,}145 \cdot \ell g \frac{D_{3,1}}{R} + 0{,}0157 \text{ ომი/კმ}, \quad r_{0,3,\text{დამატ.}} = 0{,}145 \cdot \ell g \frac{D_{3,4}}{D_{3,2}} \text{ ომი/კმ}; \qquad (7)$$

$$x_{0,4} = 0{,}145 \cdot \ell g \frac{D_{4,2}}{R} + 0{,}0157 \text{ ომი/კმ}, \quad r_{0,4,\text{დამატ.}} = 0{,}145 \cdot \ell g \frac{D_{4,1}}{D_{4,3}} \text{ ომი/კმ}; \qquad (8)$$

როგორც ამ გამოსახულებებიდან ჩანს 1 და 3 ფაზების სადენთა რეაქტიულ წინაღო-ბებზე 2 და 4 ფაზები გავლენას ვერ ახდენს. ანალოგიურად, 2 და 4 ფაზების სადენთა რეაქტიულ წინაღობებზე 1 და 3 ფაზები ვერ ახდენს გავლენას. ეს განპირობებულია იმით, რომ 1 და 3 ფაზური სადენებისათვის 2 და 4 ფაზები ურთიერთსაწინააღმდე-გო ფაზებია და პირიქით.შედეგად მოცემულ ფაზაზე ურთიერთსაწი-ნააღმდეგო ფაზე-ბის მაგნიტური ქმედება გაკომპენ-სირებულია.

1,ბ ნახაზის თანახმად

$$U_{1,2} = U_{2,3} = U_{3,4} = U_{4,1} = \sqrt{2}U_{\text{ფაზ.}},$$

ხოლო

$$U_{1,3} = U_{2,4} = 2U_{\text{ფაზ.}}.$$

აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია სადენები საყრდენებზე განთავსდეს

ნახ.2,ა ან ნახ..2,ბ-ის მიხედვით. მაშინ ფაზურ სადენებს შორის მანძილები : 2,ა

ნახაზის თანახმად

$$D_{1,2}=D_{3,,4}=D, \quad D_{1,4}=D_{2,3}=2D, \quad D_{1,3}=D_{2,4}=\sqrt{5}D;$$

2,ბ ნახაზის თანახმად

$$D_{1,2}=D_{3,4}=D, \quad D_{1,3}=D_{2,4}=2D, \quad D_{1,4}=D_{2,3}=\sqrt{5}D;$$

რადგანაც

$$U_{1,2}=U_{3,4}=\sqrt{2}U_{ფ},$$

ფაზურ სადენებს შორის მანძილი სამფაზა ელექ-ტოგადაცემის სისტემასთან შედარებით შეგვიძლია

$$\frac{\sqrt{2}}{\sqrt{3}}D=0{,}8\ D$$

შევამ(ჯიროთ სიდიდ;ემდე -



ნახ. 2

როცა ფაზაში გვაქვს რამდენიმე სადენი (გახლ-ეჩილი ფაზა), მაშინ (5-8) გამო-სახულებებში უნდა ჩავსვათ ფაზის ეკვივალენტური რადიუსი

$$R_{ეკვ.}=\sqrt{R\cdot a^2_{საშ.გ.}},$$

სადაც $a_{საშ.გ.}$ - ფაზაში სადენებსშორისი საშუ-ალო გეომეტრიული მანძილი ;

R- გახლეჩილი ფაზის სადენის რადიუსი.

გამოთვლებმა აჩვენა, რომ სადენების აქტიური დამატებითი ჯამური წინა-ღობა ნულის ტოლია, რაც ნიშნავს მას, რომ ელექტრომაგნიტური ველის საშუ-ალებით სადენებს შორის ადგილი აქვს აქტიური სიმ-ძლავრის მიმოცვლას.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია სვადასხა ნომი-ნალური ძაბვის ოთხფაზა ელე-ქტროგდაცემის ხაზის სადენების რეაქტიული წინაღობები საყრდენ-ებზე სადე-ნთა ნახ.2,ა და ნახ.2,ბ-ის მიხედვით გან-თავსებისას. ამ ცხრილში ა 330 და 500 კვ ძაბვის ხაზებისათვის ნაჩვენებია გახლეჩილი ფაზის ეკვივა-ლენტური რადიუსი.

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, ოთხფაზა საჰაე-რო ელექტროგდაცემის ხა-ზის ფაზური სადენების რეაქტიული წინაღობები სამფაზა ელექტროგდა-ცემის ხაზის ფაზური სადენების რეაქტიულ წინ-აღობებთან [3] შედარებით, თითქმის 13-16%-ით ან (28-30%-ით) მცირეა, შესაბამისად, საყრდენებზე სადენთა ნახ.2,ა—ს ან ნახ.2,ბ-ის მიხედვით გან-თავსებისას. აქედან გამომდინარე, ხაზის რეჟიმის პარამეტრების მიახლოებითი გაანგარიშებისას 1 კმ სიგრძის აქტიურ წინაღო-ბად მივიღოთ : 220 კვ-მდე ძაბვის ხაზებისათვის ≈0,29-0,32 ომი/კმ ; 330-500 კვ ძაბვის ხაზებისათვის≈0,21-0,23 ომი/კმ. ე.ი. 500 კვ ძაბვის 4-ფაზა ელექტრო-გდაცემის ხაზის ფაზური წინაღობა 3-ფაზა ელექტროგდაცემის ხაზის ფაზური წინაღობასთან შედარებით თითქმის 1,5-ჯერ შემცირდა.

4-ფაზა ელექტროგდაცემის ხაზის ფაზური წინ-აღობა, ომი/კმ

ნომინალური ხაზური ძაბვა,კვ	სადენის მარკა	სადენის გარე დიამეტრი,მმ	ფაზურ სადენებს შორის მ		მანძილი ,მ	1 კმ სიგრძის ხაზის ფაზური რეაქტიული წინაღობა, ომი/კმ, სადენთა განლაგება	
			3-ფაზა სისტემა	4-ფაზა სისტემა		მართკუთხედი (ნახ.2,ა)	მართკუთხედი (ნახ.2,ბ)
35	ფ-50	9,6	3	2,46		0,352	0,294
	ფ-70	11,4	3	2,46		0,342	0,284
	ფ-95	13,5	3	2,46		0,331	0,273
110	ფ-70	11,4	5	4,1		0,374	0,316
	ფ-95	13,5	5	4,1		0,363	0,305
	ფ-120	15,6	5	4,1		0,353	0,295
	ფ-150	16,8	5	4,1		0,347	0,289
	ფ-185	18,9	5	4,1		0,342	0,284
220	ფ-240	21,6	8	6,56		0,363	0,305
	ფ-300	24,5	8	6,56		0,355	0,297
	ფ-400	27,5	8	6,56		0,348	0,290
	ფ-500	30,6	8	6,56		0,341	0,283
330	2ხ ფ-240	80,5	11	9,02		0,292	0,234
	2ხ ფ-300	85,73	11	9,02		0,288	0,230
	2ხ ფ-400	90,83	11	9,02		0,284	0,226
500	3ხ ფ-300	130,16	14	11,48		0,274	0,216
	3ხ ფ-400	135,27	14	11,48		0,272	0,214

გრძელი პარალელური სადენებიანი სისტემის ერთი ფაზური სადენის გასა-შუალოებული ტევადო-ბა გამოითვლება ამ სადენებისა და მათი სარკული ანა-რეკლების ურთიერთ განლაგების მიხედვით. [1, 2].

ოთხფაზა ელექტროგდაცემის სადენებისა და მათი სარკული ანარეკლების ურთიერთგანლაგება ნაჩვენებია მე-3 ნახაზზე.

პარალელურ სადენებიანი ერთი სადენის გასაშუ-ალოებული ტევადობა [1]

$$C = \frac{1}{a_0 - a_m},$$



ნახ.3.

სადაც : a_0 და a_m, ზოგადად , წარმოადგენს მრავალსადენიანი სისტემის სადე-ნთა საშუალო პოტენციურ კოეფიციენტებს , რომლებიც გამოითვ-ლებაK, P, სადე-ნების საკუთარი და ურთიერთ პოტენციური კოეფიციენტების საშუალებით

$$a_{kp} = \frac{1}{2\pi\ell} \ell n \frac{r_{p'k}}{r_{kp}}$$

კერძოდ, როცა K=P მაშინ $a_{kp} = a_0$ წარმოადგენს საკუთარი პოტენციური კოეფიციენტების საშუალო არითმეტიკულს და როცა მაშინ $k \neq p$, მაშინ $a_{kp} = a_m$ წარმოადგენს ურთიერთ პოტენციური კოეფი-ციენტების საშუალო არითმეტიკულს. ზოგადად n რაოდენობის სადენიანი სისტემის შემთხვევში გვაქვს :

$$a_0 = \frac{\sum a_{kp}}{n}, \text{ როცა, K=P}$$

$$a_m = \frac{2 \cdot \sum a_{kp}}{n^2 - n}, \text{ როცა, K} \neq \text{P}$$

ამ გამოსახულებაში K და P მრავალსადენიანი პარალელურ სადენთა სისტემის სადენების ნომრე-ბია.

მე-3 ნახაზის მიხედვით (n = 4) დავწერთ:

$$a_m = \frac{\sum a_{kp}}{(n-1)} = \frac{1}{2\pi\ell} \cdot \frac{1}{6} \left(\begin{array}{l} \ell n \frac{2h+D}{D} + \ell n \frac{\sqrt{(2D)^2 + (2h)^2}}{2D} + \ell n \frac{\sqrt{(2D)^2 + (2h+D)^2}}{\sqrt{5}D} + \\ + \ell n \frac{\sqrt{(2D)^2 + (2h+D)^2}}{\sqrt{5}D} + \ell n \frac{\sqrt{(2D)^2 + (2h+2D)^2}}{2D} + \ell n \frac{2h+D}{D} \end{array} \right) =$$

$$= \frac{1}{2\pi\ell} \cdot \ell n \frac{\sqrt[6]{(2h+D)^2 \cdot \sqrt{(2D)^2 + (2h)^2} \cdot [2D)^2 + (2h+D)^2] \cdot \sqrt{(2D)^2 + (2h+2D)^2}}}{1{,}648 \cdot D}$$

აქ: - R - სადენის რადიუსი.

D — მანძილი ორ უახლოეს ფაზურ სადენს შორის (ნახ.3).

შესაბამისად, ერთი სადენის გასაშუალოებული ტევადობა

$$C = \frac{1}{a_0 - a_m} = \frac{2\pi\ell}{\ell n \frac{3{,}296 \cdot h \cdot D}{R \cdot \sqrt[6]{(2h+D)^2 \cdot [2D)^2 + (2h+D)^2] \cdot \sqrt{[2D)^2 + (2h)^2] \cdot [2D)^2 + (2h+2D)^2]}}}}$$

. თუ მიწის გავლენას უგულვებელვყობთ ანუ და-ვუშვებთ D<<h, მივიღებთ

$$C = \frac{2\pi\ell}{\ell n \frac{2 \cdot D}{R}}, \text{ ფარადი}$$

სამფაზა ელექტროგადაცემის ხაზის სადენთა ერთ ჰორიზონტალურ სიბრტყეში განლაგებისას [1]

$$C = \frac{2\pi\ell}{\ell n \frac{\sqrt[3]{2} \cdot D}{R}} = \frac{2\pi\ell}{\ell n \frac{1{,}26 \cdot D}{R}}, \text{ ფარადი.}$$

თუ გავითვალისწინებთ, რომ 4-ფაზა ელექტრო-გადაცემის სისტემაში ფა-ზურ სადენებს შორის მან-ძილი 3-ფზა ელექტროგადაცემის სისტემასთან შედა-რებით შეიძლება შევამციროდ 0,82D-მდე, მი-ვირებთ, რომ სამფაზა ელექტრო-გადაცემის ხაზის ფაზური სადენის ტევადობასთან შედარებით 4-ფაზა ელე-ქტროგადაცემის ხაზის ფაზური სადენის ტევა-დობა მცირდება: 220 კვ ძაბვის ხაზის შემთხვევაში დაახლოებით 7,5%-ით; 500 კვ ძაბვის ხაზის შემთხ-ვევაში კი დაახლოებით ,3%-ით.

4-ფაზა ელექტროგადაცემის სისტემაში — 3 ფაზა ელექტროგადაცემის სის-ტემასთან შედარებით ფაზური სადენის ინდუქციური წინაღობის თითქმის 1,5-ჯერ შემცირება და ფაზური სადენის ტევადო-ბის თითქმის 7%-ით შემცირება გამოიწვევს ფაზური სადენის ტალღური წინაღობის თითქმის 1,3-ჯერშემ-ცირებას.

მაშასადამე, 4-ფაზა ელექტროგადაცემის სის-ტემის გამტარუნარიანობა (ნა-ტურალური სიმ-ძლავრე) 3-ფაზა ელექტროგადაცემის სისტემასთან შედარებით, მე-4 ფაზური სადენის დამატებისა და ტალღური წინაღობის შემცირების გამო, იზრდება თითქმის 1,75-ჯერ..

დასკვნა

4-ფაზა ელექტროგადაცემის სისტემაში 3-ფაზა ელექტროგადაცემის სისტე-მასთან შედარებით ფა-ზური სადენის ინდუქციური წინაღობა თითქმის 1,5- ჯერ მცირდება, ხოლო ფაზური ტევადობა კი თითქმის 7%-ით მცირდება. ამ პარამე-ტრთა ცვლი-ლებამ განაპირობა ხაზის ტალღური წინაღობის 1,3-ჯერ შემცირება. შედეგად, 4-ფაზა ელექტროგადაცე-მის სისტემის გამტარუნარიანობა (ნატურა-ლური სიმძლავრე) 3-ფაზა ელექტროგადაცემის სისტემას-თან შედარე-ბით, მე-4 ფაზური სადენის დამატებისა და ხაზის ტალღური წინაღობის შემცირების გამო , იზრდება თითქმის 1,75-ჯერ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Нейман Л.Р., Демирчян К.С. Теоретические основы электротехники. Т.2.-Л.: Энергоиздат.1981.-416 с.

2. Мельников Н.А. Электрические сети и системы, М., Энергия 1975, 464 с.

3. Справочник по проектированию электроенергетических систем.Под редакцией С.С. Рокотияна и И.М. Шапиро. М., Энергоатомиздат, 1985. 352 с.

ბიზნეს-ინჟინერინგი არქიტექტურაში

ქალაქის იმიჯის ფორმირების კონცეპტუალური საკითხები

ანნა თანდილაშვილი
სტუ, ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტი, დოქტორანტი

რეზიუმე

ქალაქი და ურბანული გარემო სახელმწიფო სისტემის, საზოგადოებრივი მენტალობის, სოციალური ინტელექტის ისტორიულად ჩამოყალიბებული სივრცითი ორგანიზების ყველაზე სრულყოფილი ფორმაა. იგი წარმოების, ვაჭრობის, ინფრასტრუქტურის, განათლების მაღალგანვითარებული ცენტრია სამეცნიერო, კულტურული, ჯანდაცვის დაწესებულებების ფართო ქსელით. ეკონომიკური პოტენციალის სტიმულირება ზრდის ქალაქის კონკურენტულ უპირატესობას. სწორედ კონკურენციაა ქალაქის დინამიური განვითარების, შემოსავლების ზრდის და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტაბილიზაციის არსებითი ფაქტორი.

ქალაქის პროგრესის საფუძველი ურბანიზმის კონცეპტუალური საფუძვლების განსაზღვრაში და ქალაქის მართვის ოპტიმალური სტრატეგიის შემუშავებაში მდგომარეობს. გნვითარების კონცეფციამ სრულყოფილად უნდა ასახოს ქალაქის ხელისუფლების დამოკიდებულება აქ მიმდინარე ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, ტერიტორიული თუ კულტურული პროცესებისადმი, ამასთან, უნდა ჩამოაყალიბოს ამ პროცესების რეგულირების ნორმები და სტანდარტები, მათი გატარების მექანიზმები.

განვითარების კონცეფცია ქალაქის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას, მისი პოპულარიზაციის ინტერესებს და ქალაქის კონკურენტული უპირატესობების რეალიზაციის გზით, მისი იმიჯის ამაღლებას უნდა ემსახურებოდეს, ეს ეხმარება ქალაქების ბრენდად ქცევას და მათი საყოველთაო ცნობადობის ზრდას.

საკვანძო სიტყვები: ქალაქის იმიჯი, ურბანიზმის კონცეპტუალური საკითხები, ქალაქის კონკურენტული უპირატესობა, განვითარების კონცეფცია, ქალაქი-ბრენდი.

Conceptual issues of the city's image formation

Anna Tandilashvili

SUMMARY

City and urban environment is the most perfect form of the state system, public mentality, historicaly formed of social intelect. City highly developed center with institutions of industrial, trade, infrastructure, effective education system, scientific, cultural, health care, through which is provides a high level of business protection and investment potential. Stimulation of economical potential is growing city's competitive advantages, exactly competition is an essential factor of dynamic development, wich should serve to the growth of revenue and the development of social-economic stability.

The concept of city development need to represent state and individual interests and need to determine management regulations, it should show us the city's competitive advantages, its strengths and should rise the image of the city by realaizing them. The concept of promoting the city's development goals, production processes and infrastructure investirebit starting, tourists, new recidents by attracting and improving living atandards of the population ending.

The concept of development the city's quality of life improvements, the promotion of the interests of the city and its competitive advantages by means of implementation, the image of the need to serve, it helps cities and their general behavior, brand awareness increased.

გლობალურ ბაზარზე ქალაქების ოპტიმალური პოზიციონირება კონკურენტული ურთიერთობების სრულყოფას და სწორ მარკეტინგულ სტრატეგიას ემყარება. წარმატების ერთ-ერთი საუკეთესო კაპიტალი იმიჯია. ნებისმიერი ქალაქის მიზანი ცნობილ ბრენდად ქცევაა, ძლიერი ბრენდი დიდი წარმატება და ის მუდმივი აქტივია, რომელიც ქმნის საზოგადოებრივ აღიარებას და მის სტაბილურ იმიჯს.

ქალაქი და ურბანული გარემო სახელმწიფო სისტემის, საზოგადოებრივი მენტალობის, სოციალური ინტელექტის ისტორიულად ჩამოყალიბებული სივრცითი ორგანიზების ყველაზე სრულყოფილი ფორმაა. ქალაქი ცხოვრების უფლებაა, ესაა შეხვედრებისა და აზრთა გაცვლისათვის საჭირო ადგილის არსებობის უფლება, ესაა ცხოვრების სხვადასხვა რითმის უფლება, უფლება, რომელიც განიჭებს სივრცის და კონკრეტული მომენტების სრულად გამოყენების

უნარს, - აღნიშნავდა ანრი ლეფევრი. ამდენად, არა მხოლოდ ქალაქის, არამედ, ზოგადად, საზოგადოების პროგრესის საფუძველი ურბანიზმის კონცეპტუალური საფუძვლების და ქალაქის მართვის ოპტიმალური სტრატეგიის განსაზღვრაში მდგომარეობს, რაც აქ მიმდინარე პროცესების, რეგულირების ნორმების და სტანდარტების განსაზღვრას, მათი გატარების მექანიზმების უზრუნველყოფას ემსახურება. მზარდი კონკურენცია ქალაქებს განვითარების კონცეფციის შემუშავებას ავალდებულებს, რისი მიზანიც საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლება, ქალაქის ბრენდის შექმნა და ამ გზით მისი იმიჯის ამაღლებაა.

ქალაქის განვითარების ეფექტური მართვის აუცილებელი ინსტრუმენტი მისი კონკურენტუნარიანობის შეფასებაა. კონკურენცია ხელს უწყობს არსებული რესურსების ეფექტურ გამოყენებას და, ამასთან, სტიმულს აძლევს ახალი რესურსების მოზიდვას, რითაც აუმჯობესებს ადგილობრივ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს. ქალაქის პოტენციალის, მისი ძლიერი მხარეების გამოყენების სტიმულირება, დადებითად აისახება ქალაქის იმიჯზე და ზრდის მის ცნომადობას. ეკონომიკური პოტენციალის ზრდა ამაღლებს ქალაქის კონკურენტულ უპირატესობებს, სწორედ კონკურენციაა ქალაქის დინამიური განვითარების არსებითი ფაქტორი, რაც შემოსავლების ზრდაში, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტაბილიზაციასა და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში აისახება.

ქალაქი მაღალგანვითარებული ცენტრია წარმოების, ვაჭრობის, ინფრასტრუქტურის, განათლების ეფექტური სისტემით, სამეცნიერო, კულტურული, ჯანდაცვის დაწესებულებების ფართო ქსელით, რითაც იგი ბიზნესის დაცულობას და საინვესტიციო პოტენციალის მაღალ დონეს უზრუნველყოფს. ქალაქს პრობლემების გადაჭრის მეტი პოტენციალი გააჩნია, განვითარებულ ქვეყნებში შექმნილი ღირებულების 80%, სწორედ, ქალაქში იქმნება, რითაც იგი მნიშვნელოვნად განაპირობებს ცხოვრების შედარებით მაღალ დონეს მთელი ქვეყანის მასშტაბით. დღეს მოსახლეობის ნახევარზე მეტი ქალაქში ცხოვრობს, ევროპულ ქვეყნებში კი ეს მაჩვენებელი 75%-ია, სწორედ სოციუმი წარმოადგენს ქალაქის მთავარ სასიცოცხლო რესურსს. ადამიანის გონება, იდეები, მიზნები, შემოქმედებითი უნარი სულ უფრო ხშირად განიხილება, როგორც ქალაქის განვითარების სტრატეგიული რესურსი, რამაც იგი ტექნოლოგიური, კონცეპტუალური, სოციალური, ინოვაციური იდეების მძლავრ ლაბორატორიად აქცია.

განვითარებული სახელმწიფოების თავისებურებას, მნიშვნელოვანწილად, ის განსაზღვრავს, რომ ახალი პროდუქტის უდიდესი ნაწილი ინტელექტუალური კაპიტალის ხარჯზე იქმნება. ევროპული ურბანისტიკის კონცეპტუალური საფუძველი, სწორედ, ქალაქის რესურსული უპირატესობა და მისი გამოყენების ფართო შესაძლებლობებია. შემოქმედებითი აქტიობების შედეგად მრავალი ქალაქის კულტურა და მათი ბრენდული სახე შეიქმნა, ჩამოყალიბდა ძლიერი ანკლავები და ხელი შეეწყო მათი დადებითი საერთაშორისო რეპუტაციის ფორმირებას. რესურსების ეფექტური მართვის მეტი შესაძლებლობები და კრეატიული იდეების სიმრავლე გახდა პარიზის „სიყვარულის ქალაქის“, ჰადერსფილდის „კრეატიული ქალაქის“, ბერლინის „სიყვარულის ფესტივალის“, ჰელსინკის „ტექნოლოგიური ნოვაციების“, ტილბურგის „მმართველობითი სიახლეების“ ქალაქ-ბრენდებად ჩამოყალიბების წინაპირობა.

ქალაქის განვითარების კონცეფციამ მისი სახელმწიფო და ინდივიდუალური ინტერესები უნდა ასახოს და ამ მიზნების მართვის რეგულაციები განსაზღვროს, იგი ქალაქის კონკურენტული უპირატესობების, მისი ძლიერი მხარეების გამოვლენას და მათი რეალიზაციის გზით ქალაქის იმიჯის ამაღლებას უნდა ემსახურებოდეს. თანამედროვე თეორიაში საქალაქო პოლიტიკა განიხილება, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტების და კერძო სექტორის, ბაზრის მოთამაშეების და რესურსების კომპლექსური ურეთიერთობა“ [5]. ქალაქის კონცეფციის შემუშავება რთული, მრავალეტაპიანი პროცესია, რომელიც სახელმწიფო მართვის სტრუქტურებთან ერთად, საზოგადოების ჩართულობას და მისი ინტერესების უპირობო დაცვას ითვალისწინებს. ურბანისტი თ. სულუხია მიიჩნევს, რომ ქალაქის პოლიტიკის პროგრამული დამუშავების პროცესი შემდეგი ძირითადი ეტაპებისაგან და შედგება: პრობლემის იდენტიფიცირება, საკითხის დღის წესრიგში დაყენება, პროგრამის ფორმულირება და შემუშავება, მისი ლეგიტიმაცია და განხორციელება, პროგრამის შედეგების შეფასება [1].

განვითარების კონცეფციის შემუშავება განსაკუთრებით აქტუალური მსოფლიო სამეურნეო სისტემების ინტეგრირების და ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის კონკურენციის გააქტიურების შედეგად გახდა. კონკურენციის გაძლიერება ადგილობრივი რესურსული პოტენციალის ეფექტური გამოყენების და სამეურნეო ცხოვრებაში მათი აქტიური ჩართვის აუცილებლობას განაპირობებს. ეს პროცესები ქალაქის სტრატეგიული განვითარების პროგრამული დოკუმენტის შექმნას მოითხოვს, რომელშიც ქალაქის ძლიერი მხარეების გააქტიურების და ეფექტური საინვესტიციო პოლიტიკის შექმნის კონცეპტუალური მიდგომები იქნება ასახული. რესურსების იდენტიფიცირების და ცნობადობის გაზრდა სრულყოფს ქალაქის იმიჯს და ამაღლებს საერთაშორისო პროცესებში მის ჩართულობას, ამის საფუძველზე დროთა განმავლობაში, ყალიბდება ქალაქი-ბრენდი, როგორც საყოველთაოდ მიღებული ადმინისტრაციული ერთეული.

ბრენდირების პროცესი უზრუნველყოფს ქალაქის იდენტურობის წარმოჩენას და მისი მიმზიდველი მხარეების პოპულარიზაციას მიზნობრივი აუდიტორიისათვის. ქალაქის ბრენდინგი ხანგრძლივი შემოქმედებითი პროცესია, რომელიც იდენტურობის ანალიზით იწყება, მის საფუძველზე მუშავდება ბრენდის კონცეფცია, შემდეგი ეტაპი ითვალისწინებს ბრენდის იმიჯის ფორმირებას მიზნობრივი ჯგუფების ცნობიერებაში, რასაც მოჰყვება ბრენდის იმიჯის გარდაქმნა ქალაქის იმიჯად.

მსოფლიოს ცნობილ ქალაქებს მდიდარი გამოცდილება დაუგროვდათ საკუთარი იდენტო-

ბის განსაზღვრის მიმართულებით, რაც ე.წ. "ქალაქის თემაში" აისახა. მიზნობრივი აუდიტორიისათვის (მოსახლეობა, ინვესტორები, ტურისტები) „თემის" მქონე ქალაქი უფრო ადვილად აღქმადი და მისი კონცეფციაც უფრო მარტივად გასაგებია. „ძირითადი თემის" მქონე ქალაქმა ზუსტად იცის მისი ინვესტიციური მიმზიდველობის ადრესატი, მისთვის ცნობილია, რა პროფილის ახალი მცხოვრებლები სჭირდება მას კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად, სხვა შემთხვევაში ქალაქი კარგავს თავის პოზიციას თანამედროვე, საკმაოდ აგრესიულ გლობალურ გარემოში. „თემის" მქონე ქალაქში ინვესტორებისთვის მნიშვნელოვანია ის, რომ ქალაქს აქვს განვითარების ნათელი პრიორიტეტები და, შესაბამისად, საკუთარი გარემოს გააზრებულად მართვის შესაძლებლობა.

ბრენდირების კონცეფციის მეცნიერული შესწავლა საკმაოდ ახალია და მნიშვნელოვან დამუშავებას მოითხოვს, იგი მარკერტინგული კვლევების მეცნიერულ საფუძვლებს ემყარება და მის კონცეპტუალურ მიდგომებს იზიარებს. ამასთან, სპეციალისტებს შორის საკმაოდ განსხვავებული მოსაზრებებია, კერძოდ, მათი ნაწილი ქალაქის მარკეტინგს განიხილავს, როგორც განსაკუთრებულ ეკონომიკურ პროცედურას, რომელიც ძირითადად რეკლამირებით განისაზღვრება, მათი აზრით, „ქალაქის მარკეტინგი მიმართულია ქალაქის ფუნქციების და მათზე მოსახლეობის, კომპანიების, ტურისტების და სხვა სუბიექტების მოთხოვნებს შორის თანაფარდობის ოპტიმიზაციისაკენ" [4]. მკვლევართა ნაწილი მარკეტინგს ტერიტორიის მართვის ინსტრუმენტად განიხილავს: „ქალაქის მარკეტინგი - ეს არის ქალაქის მართვის დაგეგმარების, კოორდინაციის და კონტროლის პირდაპირი კავშირების პროცესი, მის სხვადასხვა პარტნიორთან და მიზნობრივ ჯგუფებთან" [3].

ქალაქის განვითარების კონცეფცია მის პოპულარიზაციის მიზნებს ემსახურება, საწარმოო პროცესებში თუ ინფრასტრუქტურაში ინვესტირებით დაწყებული, ტურისტების, ახალი რეზიდენტების მოზიდვით და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებით დამთავრებული. ერთი თავისებურება, რაც ყველა თანამედროვე კონცეფციას ახასიათებს, ქალაქის მართვის პრიორიტეტების ცვლილებაა, სამეურნეო პროცესების მართვიდან, იგი სულ უფრო მეტად მიზნობრივი აუდიტორიების ინტერესების მართვაზე გადადის, რაც მნიშვნელოვნად ცვლის თვით კონცეფციის იდეას.

ქალაქების მდიდარი ემპირიული გამოცდილებიდან გამომდინარე, თავიანთ მომავალზე ზრუნვა მათ საკუთარი იდენტობის განსაზღვრით უნდა დაიწყონ, ეს ეხმარება ქალაქს საინვესტიციო პრიორიტეტების სწორად განსაზღვრაში, საკუთარი მიზნების ჩამოყალიბებასა და მათ მისაღწევად საჭირო მექანიზმების შერჩევაში. ქალაქის უნიკალური ნიშნებით განსაზღვრული მისი იდენტობა, აუცილებელია მიზნობრივი მომხმარებლის დასაინტერესებლად. როგორც წესი, პოტენციური მცხოვრებლები ხედავენ თვითრეალიზაციის შესაძლებლობებს, ტურისტები კი,- ქალაქის თემატურ უნიკალობას და ვიზიტებისთვის გახსნილობას" [2]. ეს ფაქტორი განაპირობებს ქალაქის იმიჯის შექმნის, მისი იდენტობის განსაღვრის, მიზნობრივი აუდიტორიის შერჩევის და ამ საკითხების ერთიან განვითარების კონცეფციაში ასახვის აუცილებლობას.

თანამედროვე პირობებში ქალაქის განვითარების კონცეფციის შექმნის პროცესში ტრადიციულად აღიარებულ სოციალურ, ეკონომიკურ, რეკრეაციულ რესურსებთან ერთად, განსაზღვრულ ადგილს თანაცხოვრების და ქცევის უნიკალური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მაიდენტიფიცირებელი ნორმები ასრულებს (ადგილობრივი გამონათქვამები, მითოლოგია, სამოქალაქო აქტივობის სხვადასხვა ფორმა ურთიერთობის ტრადიციები, საქმიანი კულტურა, ეთნოკულტურა, ფოლკლორი, გართობა, და სხვა), თითოეული მათგანი შეიძლება იქცეს ადგილის იდენტობის ფორმირების ერთგვარ პლატფორმად, მის ბრენდად.

ქალაქის რეპუტაციის ფორმირების ფაქტორები მისი კონკურენტუნარიანობის განსაზღვრის კონცეფციას უნდა დაედოს საფუძვლად. ეკონომიკის თანამედროვე ინტელექტუალიზაცია, მმართველობითი ინოვაციური სისტემები, სამეურნეო გარემოს ახლებური ორგანიზება, გადაწყვეტილებების მიღების პროცესისადმი შემოქმედებითი მიდგომა კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის ქალაქის განვითარების კონცეფციის შექმნას და მასში იმიჯის განმსაზღვრელი ფაქტორების ასახვას. ეს ეხმარება ქალაქების ბრენდად ფორმირებას და მათი საყოველთაო ცნობადობის ზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სულუხია თ., ქალაქის პოლიტიკა, დამხმარე სახელმძღვანელო -„ქალაქის მართვა", საქ. საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, თბილისი, 2003, გვ,119-120;

2. ჩიხლაძე ნ.,გაბელაშვილი კ.,ვალიშვილი თ. ქალაქის ბრენდინგი -- განვითარების ეფექტური იარაღი". ჟ. „ბიზნესი და კანონმდებლობა" N5, 2013;

3. Braun E. City Marketing, Towards an Integrated Aproach/ Erasmus Research Institute of Manajement. Roterdam, 2008;

4. Meer J. van der. The Role of City Marketing in Urban Manajement. Roterdam:EURICUR. Erasmus University, 1992;

5. Judd Denis, Told Swanstrom, City politiks: Private Powers and Public Policy. HarperCollins College Publishers, P.xili, 1994;

6. Institute of Business Ethics, 2003 www.profile.com.ge/

7. CSB Europe/ MORI, 2000). www.PRGUIDE.GE

8. http://www.csrdg.ge

სარედაქციო მოთხოვნები:

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია უნდა მოიცავდეს მეცნიერული კვლევის ახალ შედეგებს ბიზნესსა და ინჟინერიის შემდეგ თეორიულ და გამოყენებით სფეროებში:

- ბიზნეს-ინჟინერინგის თეორიული ასპექტები;
- ბიზნეს-პროცესების მართვის ტექნოლოგიები;
- საინჟინრო-საკონსულტაციო საქმიანობის ეკონომიკური შეფასებები;
- ბიზნესის განვითარების მიზნები და მიმართულებები;
- ბიზნეს-ინჟინერინგი: ენერგეტიკაში, ინფორმატიკაში, ქიმიასა და მეტალურგიაში, ფარმაციაში, მშენებლობაში, ტრანსპორტში, არქიტექტურასა და დიზაინში, სამთო გეოლოგიაში, ნანოტექნოლოგიებსა და ჰიდროტექნიკაში;
- ინოვაციები და ინვესტიციები;
- საინჟინრო საქმიანობის სამართლებრივ-საექსპერტო და სოციალური ასპექტები;
- სამართალი და პოლიტიკა;
- ევროპული და ევროატალნტიკური ინტეგრაცია.

მიღებულ სტატიებს იხილავს რედკოლეგია და დადებითი რეცენზიის შემთხვევაში აქვეყნებს, ასევე განათავსებს ინტერნეტში – ელექტრონულ ჟურნალში.

სტატიები მიიღება ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე.
ქვეყნდება ორიგინალის ენაზე.

სტატიის გაფორმების წესი

- სტატიის მოცულობა უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 15 გვერდისა და სტატიას თან უნდა დაერთოს:
- რეზიუმე ქართულ და უცხოურ ენაზე — ტექსტის დასაწყისში (რეზიუმე უნდა შეიცავდეს არანაკლებ 100-150 სიტყვას), გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა — ტექსტის ბოლოს.
- ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ ქართულ შრიფტი AcadNusx,
- ხოლო ინგლისური და რუსული ტექსტების შრიფტი – Times New Roman.
- შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5, ყველა კიდიდან დაშორება იყოს 2 სმ.
- სტატიის თავში მოათავსეთ შემდეგი ინფორმაცია: ავტორის (თანაავტორის) სახელი, გვარი, აკადემიური წოდება, ელექტრონული მისამართი და ტელეფონის ნომერი.
- ნახაზები, გრაფიკები, სქემები და ა.შ. – ფორმატში TIFF 300 dpi; 600 dpi,
- ფორმულები უნდა აიკრიფოს Microsoftequation 2.0 (2.1.).